დავით კასრაძე

ლიტერატურული პორტრეტები

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1962

ღვაწლმოსილი მწერალი დავით კასრაძე დაიბადა 1884 წელს ქალაქ გორში. სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო 1901 წლიდან. მის კალამს ეკუთვნის რომანები და მოთხრობები: „როსკიპი“, „თეთრი ზამბახი“, „კეთრი“, „ცხოვრება“, „სპარტაკი“, „შურისციხელი“, „მათიას შავარდენი“, დრამატული პოემა „ლეგენდა რუსთაველზე“ და სხვ. დ. კასრაძე ავტორია მთელი რიგი პუბლიცისტური წერილებისა. მას თარგმნილი და გამოქვეყნებული აქვს რუს და უცხოელ ავტორთა მრავალი ნაწარმოები: ნ. გოგოლის „მკვდარი სულები“, ტოლსტოის „კაზაკები“, ტურგენევის „მონადირის ღიიურები“, მოლიერის „მიზანთროპი“ და „ტარტიუფი“, ფრანსის „თაისი“, როსტანის „სირანო დე ბერჟერაკი“, გოლდონის „საპატარძლო აფიშით“, მეტერლინკის პიესები და მრავალი სხვა. მას გამოქვეყნებული აქვს ათობით საბავშვო ნაწარმოები („ჭალაპპელა“, „ბულბული — ხელმწიფის ასული“, „მზიანა“, „კურდღლის საპატარძლო“, „ფარვანას ტბა“, „რადა აქვს ყაყაჩოს ხალები“).

დ. კასრაძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის მოგონებებს. იგი პირადად იცნობდა გამოჩენილ ქართველ მწერლებსა და ქართული თეატრის სახელოვან მოღვაწეებს: ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ვაჟა-ფშაველას, ი. გოგებაშვილს, ან. ერისთავ-ხოშტარიას, ვ. ბარნოვს, შ. მღვიმელს, ლ. მესხიშვილს, კ. ყიფიანს, ვ. გუნიას, მ. საფაროვას, ვ. აბაშიძეს და სხვებს.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს დ. კასრაძის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილ მოგონებათა კრებულს, რომელშიაც საინტერესოდაა გადმოცემული მწერლის შეხვედრები გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან და ავტორისათვის დამახასიათებელი ოსტატობით დახატულია მათი დიდებული სახეები.



ბრძენი ილია

ილია... ილია ქართველი ადამიანისათვის გულთან ახლობელი, საამაყო სახელია... ძნელია ილიას სურათის მოთავსება მცირე ჩარჩოში, რაზომ ძვირფასიც არ უნდა იყოს ეს ჩარჩო; ოქროსი თუ სპილოს ძვლისა, ბროლცურვილი თუ მარგალიტის ტოპაზით მოჭედილი.

ილიას პორტრეტი საჭიროებს დიდ სარკეებს, შორს და ღრმა მანძილზე გამტყორცნი სხივებით. ამიტომ ილიას პორტრეტის ხატვისას მკაფიო სილუეტით დავკმაყოფილდები, სილუეტით, რომელიც მხოლოდ ოცნების მედალიონში მოთავსდება.

ილია მიწაზე მოსიარულე ღმერთი იყო, ბიბლიური ლომი, თილისმურად მიმზიდველი...

არ ვიცი ვინ როგორ, მაგრამ პირადად მე, როდესაც ილია ჭავჭავაძე გავიცანი, თვალწინ წარმომიდგა უაღრესად ახლობელი, გულისხმიერი, ბრძენი კაცი.

ცეცხლი მისი მოჟუჟუნე თვალებისა, ნაზი და ალერსიანი ციმციმი, მაშინ მოინისლებოდა, როდესაც საქართველოს აუგით ახსენებდა ვინმე. ილია მარჯვენა თვალის ქუთუთოს ოდნავ მოუტაცდა და ფიქრმორეული მზერით თითქოს გამოეთიშებოდა ხოლმე მოსაუბრეებს.

* * *

ილია ჭავჭავაძე პირველად მსახიობ ლიზა ჩერქეზიშვილთან გავიცანი, ლიზა ჩვენებური იყო, ლიახვისხეობელი, სოფელ კოშკიდან და გვენათესავებოდა კიდეც.

თბილისში, ლიზაანთ ოჯახი განთქმული იყო გულთბილობითა და პურმარილით.

კვირა-უქმე დღეს აქ თავს იყრიდნენ ცნობილი მსახიობნი: ვალერიან გუნია, კოტე ყიფიანი, ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია და სხვები. მწერლებიდან კი უფრო ისინი მოდიოდნენ სტუმრად, ვინც ლიზას მეუღლეს, ნიკო ხიზანიშვილს, გულით უყვარდა. მათ შორის, რა თქმა უნდა, უპირატესობა ჰქონდა დიდ ილიას.

ამ ოჯახში ხშირად მინახავს გიგა ყიფშიძე, არტურ ლაისტი, არტემ ახნაზაროვი (ჩიორა), ზოგჯერ ანტონ ფურცელაძესაც შემოუღია კარი, ათასში ერთხელ სოფრომ მგალობლიშვილსაც.

ამრიგად, ლიზას ძველ-ქართულ ოჯახში ბედნიერი შემთხვევები მეძლეოდა, უფრო ახლოს გავცნობოდი ჩვენს საზოგადო მოღვაწეებსა და კალმის ბრწყინვალე ოსტატებს. მათ შორის ყველაზე მეტ ყურადღებას, ბუნებრივია, ილია იპყრობდა, როგორც დიდი განმანათლებელი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი, სოციოლოგი და ეკონომისტი.

მისი გამოჩენა ხსენებულ ოჯახში პირდაპირ ზეიმით აღინიშნებო-

და. ეს დინჯი კაცი, ქართული ლიტერატურის შედევრების ბრწყინვალე შემოქმედი, უბრალო ბავშვად გადაიქცეოდა ხოლმე, როდესაც ლიზას ბავშვები — ვახუშტი და შალიკო — ციყვებივით მუხლებზე ახტებოდნენ, ეხვეოდნენ და ეალერსებოდნენ. საოცარი იყო, რომ კაცი გოროზად, აუღებელ ციხედ ცნობილი, მუდამ დინჯი, უთქმელი, სერიოზული და გულჩათხრობილი, ისე საოცრად უყადრებდა თავს ბავშვებს! აქ, ამ ოჯახში ჩამოდიო და იგი მწვერვალებიდან, თითონაც ბავშვი ხდებოდა. რა მომხიბლავი იყო ილია ამ დროს! როგორი სიხარულისა და სიამოვნების ნაპერწკლებს ათოვებდა ჯიღა თვალებიდან!

როდესაც მასპინძელი, ან დიასახლისი დიდის თავაზით აწყვეტინებდნენ ხოლმე ბავშვებთან თამაშს, ილია უცბად იღრუბლებოდა, მის შემკრთალ, ბრძნულ თვალებში მბრწყინავი შარავანდედი ჰქრებოდა და კვლავ სერიოზულობით ინისლებოდა.

...ერთხელ, მასპინძელმა, ნიკო ხიზანიშვილმა, ასეთი სიტყვებით დაურღვია ილიას იდილიური სამყარო საყვარელ ბავშვებთან:

— ბატონო ილია, კოტე ჭადრაკში გიწვევთ! — და ყიფიანზე მიუთითა.

კოტე ყიფიანი ჭადრაკის დაფას მისჯდომოდა, სვლებს აკეთებდა და თავისთვის ვარჯიშობდა.

ილია დინჯად მივიდა მაგიდასთან, სკამზე დაბრძანდა, ფიგურები სათითაოდ გაასწორა და ჩაფიქრდა.

მე ჭადრაკი ბავშვობიდანვე მიყვარდა და მიტაცებდა. შორიდან მოკრძალებით ვუმზერდი მათ თამაშს.

კოტემ მორიდებით ჰკადრა:

— ბატონო ილია, იმდღევანდელი სამაგიეროს გადახდას ხომ არ ინებებთ?

ილიამ არაფერი უპასუხა. პირველი ხუთი სვლა მშვიდობიანად წარიმართა. ილია მძიმედ ირჯებოდა. უბრალო სვლებს დიდ დროს ანდომებდა. დაახლოებით ოცდამეათე სვლაზე ყიფიანმა დააშამათა.

— ჩვენ ჰიფიანები ვართ, ყოფილი იტალიელები! აბა რას გახდებით ჩემთან, თავადო!.. — დაიწყო მასხრობა კოტე ყიფიანმა.

ილიამ სიტყვის შეუბრუნებლივ აკრიფა თეთრი ფიგურები, და-

ალაგა დაფაზე და პირველი სვლა გააკეთა. თამაშის დროს, სვლებში, გაჯავრება ეტყობოდა... ეს პარტია უფრო მალე წააგო, ვიდრე პირველი, რაც დიდად ითაკილა. ის იყო მესამედაც უნდა დაეწყო თამაში, რომ თამამმა დიასახლისმა — ლიზამ დაფაზე ფიგურები აურია და ხელში აიტაცა. ილიამ თამაში დასთმო, გაშლილი სუფრა უკვე უცდიდა სტუმრებს.

* * *

სუფრის თავში, როგორც წესი, სახელგანთქმულ და უცვლელ თამადად ვალერიან გუნია დასვეს. სადილმა გულითად სადღეგრძელოებში და ოხუნჯობაში ჩაიარა. სასმისი სასმისს ცვლიდა.

სუფრასთან ვასო აბაშიძე და ნატო გაბუნია ერთმანეთს გაეშაირნენ და სიცილით ხოცავდნენ სტუმრებს. მასპინძელიც ოხუნჯობის გუნებაზე დადგა, თუმცა ტლანქად მოუვიდა თავისი „ნომერი“— შემწვარი წლის ბატკანი მთლიანად წინ დაიდგა და თითქმის ნახევარი გაათავა. ილია ისეთი სიყვარულითა და ღიმილით შეჰყურებდა მის მადიან ჭამას, რომ ნიკო მზად იყო მთელი ბატკანი შეეჭამა! მასპინძელი გრძნობდა ილიას თვალების ჟუჟუნს, გრძნობდა, რომ ილია მხიარულობდა და ამით — თვითონ იყო ბედნიერი.

თამადამ, ვალერიან გუნიამ წყვილი შევერცხლილი ყანწით შესვა თავად ილიას და ქალბატონ ოლღა თადეოზის ასულ ჭავჭავაძეების სადღეგრძელო, რის შემდეგ ოხუნჯობის ასპარეზზე ახლა სოფრომ მგალობლიშვილი გამოიყვანა.

მე მეგონა, რომ სოფრომი მჭადიდან ნახშირს ვერ გამოიღებდა, სინამდვილეში იგი ჩინებული კომიკი გამოდგა.

თამადამ მაღალხმიანი და უკვდავი მრავალჟამიერის შემდეგ საფირონის ქვებით მოოჭვილი ღვინით სავსე ქართული კულა შესთავაზა სოფრომს და სთხოვა, ერთი „ტეტიური სადღეგრძელო“ გამოგონეო.

ილია ამ სიტყვებს ტაშისცემით შეეგება და ისეთი სიყვარულით მოემზადა მოსასმენად, თითქოს მთლად საქართველოს ისტორიას

უსმენსო. სოფრომმაც დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო! ჯერ დინჯი შესავალი გაუკეთა ტეტიურ კილოზე (თან კისერს იფხანდა), შემდეგ მეამიტად ჩაურთო უცენზურო ფერადები, ისეთის არტისტული მოხდენილობით, რომ ყველანი აღტაცებაში მოიყვანა; თვით ნატო გაბუნია და ასე გასინჯეთ, ვასო აბაშიძეც კი სიცილით იჭაჭებოდნენ. საწყალი კნეინები! რა დღე არ აყარა სოფრომმა ამ სადღეგრძელოთი, მაგრამ ისე უეშმაკოდ და გლეხური გულგაშლილობით, რომ თვითონ ერთხელაც არ გაჰღიმებია!

ილია კი, ბრძენი, უსაყვარლესი ილია, სულ იცინოდა, იცინოდა...

— აგრე, აგრე, ჩემო სოფრომ, — აქეზებდა სიცილნარევი ხმით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, — კიდევ თქვი, თუ ღმერთი გწყრომს, თქვი, თქვი... ნუ გეშინია, დავიმსახურეთ... სწორედ ეგ „ტეფანეები" არიან, რაც არიან ... ჩვენი ცხოვრების ხერხემალი! შენ კი არა ბრძანებ ანეგდოტსა, ისინი შეგვასმენენ შესასმენელსა...

და კვლავ ხარხარი, კისკისი, კნეინათა გაწითლება, მარაოების ქნევა, ილიას გულიანი კუჭკუჭი და თამადის — ვალერიან გუნიას ახალ-ახალი სადღეგრძელოები, შეუვერცხლილი აზარფეშების ტრიალი...

სუფრამ უფრო და უფრო მოილხინა. ახლა ვასო აბაშიძემ ჩაიგდო იუმორის სადავეები. ხან ერთი ლამაზი კნეინა კისკისებდა თავშეუკავებლად, ხან მეორე; ხან მესამე, სიცილით გაგუდული, გარეთ გავარდებოდა ხოლმე.

ერთმა გარემოებამ გამაოცა — ილიას ძალიან უყვარდა სიმღერები, თვითონ კი (ამ კახელ თავადს) ხმას ვერ ამოაღებინებდი...

ილიას დაჟინებული თხოვნით მოიტანა დიასახლისმა ვერცხლის ფიფინურებიანი, აფიცხებული დაირა, რომელიც ილიამ ჩამოართვა და საკუთარი ხელით მიაჩეჩა მშვენიერ ნატოს: „აბა ერთი შენებურად იმღერე რამე, თუ გიყვარდეო"...

ილიას უარს ვინ ეტყოდა!..

თამადამ უანწი „დაასვენა". ნატომ დაირა მოიმარჯვა. უცბად, ლამაზად შეათამაშა, თითქოს შესტყორცნა მაღლა, მაგრამ ეს მოჩვენებითი იყო. მის თლილ თითებს მოვერცხლილი დაირის კიდე მტკი-

ცედ ეპყრათ, ფიფინურებმა კი შეიჟღრიალა და თამბაქოს კვამლითა და ტკბილი სურნელით გაჟღენთილ ოთახში დაიღვარა იშვიათი ტკბილი ხმით ილიას რომანსი:

„ჩემო კარგო ქვეყანავ,
რაზედ მოგიწყენიარ“...

ნატოს აღმოსავლური სიმღერების ფენომენს უწოდებდნენ. მე ბედნიერება მქონდა თითქმის ჯერედ ყრმას მომესმინა მისი ჯადოსნური ხმა რაფიელ ერისთავის იუბილეზე (1895 წ.). მაშინაც დაიმღერა დაირაზე; მაგრამ ახლა, აქ, შინაურობაში ნატოს ხმა ზღაპრულად დამათრობელი და ულამაზესი მეჩვენა.

ილიას სიხარულის ცრემლები წამოეტბორა, თან გულის ავადმყოფობამაც გაახსენა თავი და მძაფრი ხველება აუვარდა.

— ბატონო ილია, ბატონო ილია, რა დაგემართათ?! — შემოეხვივნენ აქეთ-იქიდან.

არტურ ლაისტმა ვალერიან გუნია გარსაჯა და ფანჯრის დახურვაში მიიშველია — „ილია არ გაგვიცივდესო“.

ილიამ ფართო შუბლზე გადაისვა ფერმიხდილი თითები და დაამშვიდა შეშფოთებული სტუმრები:

— ნუ სწუხდებით, ბატონებო, არაფერია...

მაგრამ ხველამ არც ისე ადვილად გაუარა. სუფრა აიშალა. დაირა ჟღრიალით მიეგდო მუთაქაზე. ილია გამოიყვანეს ქუჩაში და ციმციმ ჩასვეს ეტლში. საკუთარ ბინაზე მივიყვანეთ — გუნიამ, ნიკომ და მე.

ეტლი ანდრეევის ქუჩაზე გაჩერდა, ილიას სახლთან. თავზარდაცემული ოლღა გამოგვეგება. მიხვდა, რომ ილიას რაღაცა დაემართა.

ილიას ასტმა მამულის სიყვარული გახლდათ.

— ოლღა, გეთაყვა, უნდა ვიმუშაო. საწერი მაქვს რაღაც.

ვალერიან გუნიას გული გაუსკდა:

— რას ჩადიხართ, ბატონო ილია, როგორ იქნება?!

— არ შემიძლიან, —მიუგო ილიამ, — ის, რაც დღეს უნდა გაკეთდეს, უნდა გაკეთდეს კიდეც! ყოველ დღეს თავისი საზრუნავი აქვს.

ნიკო სახტად დარჩა:

— რა სამუშაო გაქვთ ასეთი, ბატონო ილია?!

— გაზეთისათვის მეთაური უნდა დავწერო.

მე პირი გამიშრა:

— კი მაგრამ...

ილიამ ყველა დაგვამშვიდა:

— ნუ გეშინიათ, მე მუშაობას არ ვუფრთხი! სამუშაოს თითონ ეშინიან ჩემი... რთულია, მეტად რთული მეთაურების წერა, სადღეისო კითხვები უნდა ვარკვიო. ჩვენი, ქართველი ხალხი პოლემიკურ გუნებაზე დგას, თუ ერთი ფეხი წაგცდა, ვაი შენი ბრალი... ბოდიში, ჩემო ვალიკო, ნუღარ გამაცდენთ... ოლღა, სტუმრებს მიხედე...

და კაბინეტის კარი შეიკეტა.

* * *

პეტერბურგის სასახლის სიდამპლე საქართველოსაც გადმოსწვდა. რეაქციონერებმა პირველი მსხვერპლით „მოგვილოცეს“ 1907 წლის ახალიწლის დღე. ეს იყო ლიზა ჩერქეზიშვილის მეუღლის, ზემოაღწერილი ოჯახის პატრონის, ნიკო ხიზანიშვილის საიდუმლო მკვლელობა. ახალწლის მესამე თუ მეოთხე დღეს ქაშვეთის ეკლესიაში მოასვენეს ნიკოს ცხედარი. თოვდა. თოვდა უხმაუროდ, მოწყენილად. პირველ საათზე სამგლოვიარო პანაშვიდზე დასასწრებლად მობრძანდა ილია. იგი მეტისმეტად უღონოდ გამოიყურებოდა. ერთხანს ფიქრმორეული დაჰყურებდა საყვარელი მეგობრის ნეშტს. შემდეგ ჭირისუფლებს მიუსამძიმრა და სწრაფად ეკლესიის ეზოში გავიდა, სადაც შემოეხვივნენ ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლები გიორგი ყაზბეგის მეთაურობით. ნიკოს მოკვლის მიზეზს შეეკითხნენ.

— აბა, როგორა ვსთქვა; მკვლელი არაა შეპყრობილი, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს, ეს სულ ერთია. ჩვენ ყველაზე საშინელ ხანაში შევდგით ფეხი. რეაქციამ აღვირი აიხსნა... ადამიანის სიცოცხლე ჩალის ფასადაც აღარ ღირს. უარესი ამბების მოლოდინში უნდა ვიყოთ, იქნებ შევესწროთ ბევრად საშინელ ტრაგედიას, ვიდრე სტავროპოლისა იყო, დიმიტრი ყიფიანის თავზედ დამტყდარი...

ილიას ეტლი მოჰგვარეს. გიორგი ყაზბეგმა ხელი შეაშველა და თვითონაც გვერდით მიუჯდა.

თოვდა უხმაუროდ, ნაღვლიანად...

„ილია გულთამხილველია, — გავიფიქრე გულში, — ნეტავ რა საშინელება განსჭვრიტა ისეთი, რაც სტავროპოლის ტრაგედიაზე უარესი უნდა იყოს?“

ნუთუ?!

მაგრამ არა! გული დავიარხეინე. ილია სახელმწიფო საბჭოს დეპუტატია! ვინ რას გაუბედავს?! ხან რა ვთქვი, ხან რა, მაგრამ გამახსენდა ისიც, რომ სახელმწიფო საბჭოში მან სასტიკად გაილაშქრა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. მისი სიტყვით გათამამებულმა საბჭოს მეორე წევრმა, დეპუტატმა ტაგანცევმა, როგორც იურისტმა, მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. მთელი რუსეთის პრესა აჰმაურდა. რამდენადაც მემარჯვენეთა შავი პრესა ცოფებს ყრიდა, იმდენად მემარცხენეთა და მოლიბერალო პრესას ცაში აჰყავდა „თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე“ და „შეუდარებელი ვექილი ტაგანცევი“. კერძოდ ილიას შესახებ ლიბერალურმა გაზეთმა „რუსკოე სლოვომ“ ასეთი ქება-დიდება დაბეჭდა: „დღემდე ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ მზე აღმოსავლეთიდან ამოდიოდა, ახლა ისიც უნდა დავიჯეროთ, რომ მორალური მზეც იქიდან ამოდის!..“

რად გამახსენდა ეს ამბავი?!. რად ვაფათურებდი ხელს პეტერბურგში? არ ვიცი, არა, მაგრამ იმ დღეს რაღაცა შემზარავ ამბად მომეჩვენა ილიას მიერ მოხდენილი ეფექტი, სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გალაშქრებით გამოწვეული.

და მართლაც, ნიკო ხიზანიშვილის მკვლელობიდან რამოდენიმე თვის შემდეგ ილიაც გამოასალმეს წუთისოფელს!

ეს იყო ყველაზე საშინელი მკვლელობა!

* * *

ილიას მკვლელობის დღეს მე თბილისში ვიყავი. 1907 წლის 30 აგვისტოს უეცრად თბილისის მოწმენდილ ცაზე გრგვინვასავით გაისმა ხმა, ილია საგურამოს მახლობლად მოჰკლეს, წიწამურშიო. ეს ამ-

ბავი გაზეთ „ისრის“ რედაქციამ მიიღო ნაგვიანევად და იმავე წუთს მთელს თბილისს ელვის სისწრაფით მოედო. სწრაფად რედაქციაში გავჩნდი, აუარება ხალხი მოსწყდომოდა. პირველი მიხეილ ჯავახიშვილი დავინახე (მაშინ „ადამაშვილი“). იქვე, მის გვერდით ცოფებსა ჰყრიდა ია ეკალაძე. ზოგს ლაპარაკის უნარი დაჰკარგოდა. ღონემიხდილი იჯდა და სდუმდა სამსონ ფირცხალავა, რომელსაც საზოგადოება იცნობდა „სიტყვას“ ფსევდონიმით. „ახლა რაღა ვქნათ!“ — აი, ეს იყო ყველას საკითხი.

იმავე დღეს დაიბადა ახალგაზრდა პოეტი, რომელმაც საქართველოს გლოვის ზარს მეტად მარჯვედ დაუწყო რეკვა. ეს იყო სანდრო შანშიაშვილი, რომელსაც ბედმა არგუნა პირველი გამოსვლა ამ მძიმე მომენტში და ისიც მოზარის როლში.

სანდროს ლექსი „ისარში“ მოათავსეს, პირველ სექტემბერს.

დიდი იყო ლექსით მოხდენილი შთაბეჭდილება. გაზეთს იტაცებდნენ. ერთმანეთს უკითხავდნენ. იცრემლებოდნენ. ყველანი აღიარებდნენ, თუ რა ძნელია დიდი ადამიანის დატირება ასე ანაზდეულად.

ჭაბუკი პოეტი კი მწყობრად, ჩინებულად გამოთქვამდა მთელი ერის თავზე დატეხილ უბედურებას...

31 აგვისტოდან მოყოლებული ილიას დასაფლავების დღემდე არ შეწყვეტილა საქართველოს ბობოქრობა.

დამკრძალავი კომისიის გადაწყვეტილებით, ილიას გამოსვენება საგურამოდან 6 სექტემბერს უნდა მომხდარიყო. ცხადია, ამ დღისათვის საქართველოს საუკეთესო შვილები საგურამოში გაჩნდებოდნენ და სამგლოვიარო პროცესიას საზეიმო ელფერს მისცემდნენ. ასედაც მოხდა: მთელი ფშავ-ხევსურეთი დაძრულიყო (თითქოს საომრად გამოწყობილანო), დეპუტაცია დეპუტაციას მოსდევდა სხვადასხვა კუთხიდან, თბილისი ხომ მთლად დაცარიელდა. მთელი საგურამოელი ქალები შავებში იყვნენ გამოწყობილნი, როგორც ნამდვილი ჭირისუფლები!...

გლოვობდა კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, ქართლი, სვანეთი, აფხაზეთი, აჭარა...

საგურამოდან ნელი სვლით მოედინებოდა პროცესია. ნახევარი საათის შემდეგ ყველანი შეჩერდნენ იმ ადგილას, სადაც მოჰკლეს

ილია. გლეხებმა სწრაფად აღმოაჩინეს შავად ჩამხმარი, ნასისხლარი ადგილი. იროდიონ ევდოშვილის წინადადებით ეს ადგილი კენჭებით შემოფარგლეს მომავალი ობელისკისათვის, ხოლო თვითონ პოეტმა უჩვეულო გრძნობიერებით წარმოსთქვა ძლიერი სიტყვა. მის შეკითხვაზე, რა უნდა ეწოდოს მკვლელს, თუ არა იუდაო!.. მთელმა პროცესიამ გრიალით უპასუხა: „იუდა! იუდა! იუდა!“.

მე მეგონა, მცხეთაში მოთავდებოდა მგლოვიარე საქართველოს ვაება. თბილისის შესავალ კარში უფრო დიდი ამბები დაგვხვდა. ჯგუფჯგუფად მოდიოდნენ და ვერცხლის გვირგვინებს ეზიდებოდნენ ილიას შესახვედრად. ოლღას ქუჩაზე ჯვრიდან დაწყებული ზევით გავაკებამდე ნემსის ყუნწი არ ჩავარდებოდა. პროცესიას მოზარე გურული ცხენოსნები გამოეყვნენ და თბილისის ბჭეში უპატაკეს მოზღვავებულ ხალხს საქმის ვითარება. თბილისის კართან ჩერდება პროცესია და აქვე სამღვდელოება იხდის პანაშვიდს. ვინ იცის, რამდენი სიტყვა წარმოითქვა, მაგრამ ჩემს ხსოვნაში არ წაიშლება ორი ორატორის მიერ მოხდენილი ეფექტი. პირველი იყო ფართო მხარბეჭიანი ვაჟკაცი — მწერლობაში ელეფთერიძის სახელწოდებით ცნობილი, ილია ზურაბიშვილი. მისი სიტყვა მეტისმეტად მგრძნობიარე იყო და პოეტური. შეიძლება წარმოიდგინოთ ის ზღვა ხალხი როგორ აქვითინდა, როდესაც ორატორმა ილიას შესჩივლა: „ახლა რა ეუთხრათ შენს მოდუდუნე ბედის მომჩივარ ალაზანს, რა ხმა მივაწვდინოთ შენს მშობელ ყვარლის მთებს, რით ვანუგეშოთ ბაღში ცრემლით ანატირი „ვაზი ობოლი“? სდუმხარ? მაშ მართალია?! თუ აგრეა, იგლოვეთ, იგლოვეთ მდუმარედ, შენ, ალაზანო, ზვირთი ზვირთზე ააგორე, აბობოქრდი, მოჰყევი მწარე ზარს, თქვენ, ყვარლის მთებო, ნისლით შეიბურეთ მწვერვალები, ეგ იქნება ძაძა! შენ, ობოლო ვაზო, აფრქვიე მწუხარე ცრემლი“... და ასე, ქვევით, ვაება, მოთქმითი გოდება, თითქოს ქვეყანა აღსასრულს უახლოვდებაო.

ორატორის სიტყვებმა მეც დამხანჯლეს, ქვითინებდა სენტიმენტალობით დაზიდული ჩემი გული... მე მინდოდა უფრო მკაცრი სიტყვები მომესმინა, შმაგი, ფრთაშესხმული, როგორც ვაჟკაცის ხელით მოქნეული ხანჯალი, მოწინააღმდეგეს რომ გულში ტარამდის ჩაესობა. და აი, თითქოს ასეთი ორატორი გამოჩნდა. ეს იყო გამხდარ-გამხ-

დარი ვაჟკაცი, თმებს ნიავი ურხევდა, თითქოს შურისძიების აფრები აუშვიაო. სამწუხაროდ ვერ აღმიდგენია მისი ვინაობა. იმავე დროს, მეტად ძნელია მისი სიტყვის გადმოცემა, ძალიან ძნელი.

... პროცესია დაიძრა. ამ დიდ ვაებაში თანაგვიგრძნეს მეზობლებმაც. დეპუტაცია დეპუტაციას მოსდევდა ნაირ-ნაირი გვირგვინებით, რომელთა შორის ცხრა გვირგვინი სულ ვერცხლისა იყო. ძვირფას ცხედარს ბალდახანით მიასვენებდნენ. რამდენიმე გუნდი გალობდა პროცესიის სხვადასხვა ადგილას. მთელ გზაზე ჯვრიდან დაწყებული სიონის ტაძრამდე მაღაზიები დაეკეტათ, ფანჯრებიდან შავი დროშები გადმოეკიდათ. პირველ გიმნაზიასთან მოსწავლეები სამგლოვიარო მარშით შეგვხვდნენ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სადგომი ქუჩის მხრიდან ძაძით იყო შემოსილი. სიონის ქუჩაზე ყვავილებით შემკული თაღი ერთი ტროტუარიდან მეორეზე გადაეკიდათ.

9 სექტემბერი უკანასკნელი, გამოთხოვების დღე იყო. ამ დღისათვის გამოცხადდნენ საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელნი: კახეთიდან, ქართლიდან, ფშავ-ხევსურეთიდან, საინგილოდან, გურიიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან, აფხაზეთიდან, სვანეთიდან. ოსეთ-ლეჩხუმიდან, აჭარიდან, ჯავახეთიდან... პანაშვიდის შემდეგ მგოსნის ცვამი გამოასვენეს ნიკო ცხვედაძემ, ანტონ ფურცელაძემ, არტურ ლაისტმა, ქალაქის თავმა ჩერქეზიშვილმა და კიდევ სხვებმა. პროცესიას წინ მოუღვოდნენ შავი დროშებით. შემდეგ მოასვენებდნენ კუბოს, რომელსაც უკან მოსდევდა ასოთხმოცდახუთი დეპუტაცია საზოგადო დაწესებულებათა, დაბა-ქალაქებისა, რედაქციებისა, სასწავლებლებისა... ყველა სად ჩამოითვლება! ერევნის მოედანზე პროცესიას შეუერთდნენ სომხებისა და მაჰმადიანების უმაღლესი სამღვდელოება, ამ დღისათვის საგანგებოდ ჩამოსული სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები, ბაქოელი სტუმრები. აქ უნდოდათ, რომ პოლიცია მიშველებოდა პროცესიას წესრიგის დასაცავად, მაგრამ ვალერიან გუნიამ, როგორც წესრიგის დაცვის მთავარმა ხელმძღვანელმა, ცივად გააბრუნა ისინი, თქვენს დახმარებას არ ვსაჭიროებთ, ყვე-

ლაფერი რიგზე იქნებაო. და მართლაც, მიუხედავად აურაცხელი ხალხისა, წესრიგი სანაქებოდ იყო და არსად დარღვეულა.

აი, მივადექით ძაძით შემოსილ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. უცბად გაისმა ხმა:

— აკაკი!.. აკაკი!..

აკაკის სიტყვები „ისარში“ წაკითხული გვქონდა, ხოლო არ ვიცოდით იმავე სიტყვას გაიმეორებდა, თუ გამოსათხოვარი სხვა რამ იქნებოდა.

აგერ, მხრებში შესდგომიან ვალერიან გუნია და ნიკო ცხვედაძე როგორც ავადმყოფს და ისე აჰყავთ სამგლოვიარო ტრიბუნაზე.

გამოჩნდა აკაკი ავადმყოფი სახით, მაგრამ დიდებული გამომეტყველებით.

ოლიმპიელი!..

აკაკი ბევრჯერ მენახა საჯაროდ გამოსული, კულისებშიც, სცენაზე, როგორც დრამატურგი, მიმოგზაურია კიდეც მასთან ერთად ქუთაისიდან თბილისამდე, მაგრამ სულ სხვა იყო იმ დიდი განცდის წუთებში, როგორც ერის მთავარი რწმუნებული, მისი ბაირახტარი.

აკაკის ზევსურმა სიდიადემ ხელად ჰიპნოზით შეიპყრო მთელი საზოგადოება. მოვშვილდეთ სმენა. მოკლე იყო მისი სიტყვა, როგორც გულთამხილავისა:

„— ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას!“ — ასეთი სიტყვით დაიწყო მან და ამ ფრაზით შეამკო სამგლოვიარო ლექსის ყველა აბზაცის შავი არშია.

ბოლოს ილიას ცხედარს მიუბრუნდა და აქვითინდა:

— „ბედნიერი ხარ, ძმაო ილია, რომ შენმა სახელმა შენდა სათაყვანებლად ამოდენა ხალხი შეჰკრიბა. და თუ ერს გადაშენება მოელის, მაშინაც ბედნიერი იქნები, რადგანაც ჩვენს უბედურებას შენის თვალით აღარ იხილავ. მაგრამ ეს არ მჯერა...“

და კვლავ აქვითინდა. ყველანი აცრემლდნენ.

ნიკო ცხვედაძემ და ვალერიან გუნიამ ნელ-ნელა ჩამოიყვანეს აკაკი სამგლოვიარო ტრიბუნიდან. რა ნეტარებით შევყურებდი თმა-

დათოვლილ იუპიტერს, ასეთი უბრალოებით, ასეთი მაღალი გრძნობების თილისმა რომ გაშალა...

განცალკევებით და როგორც მუდამ ორიგინალურად, მთელი მთის მშვენებით წამოდგა ვაჟაც. მაშინ წარმოსთქვა მან ყველასთვის ცნობილი რაინდული დატირება:

შენი სისხლიცა იქ ბრწყინავს,
სად წინაპართა ნთხეულა".

ბოლოს, არ შემიძლია არ აღვადგინო ილიას დასაფლავების უკანასკნელი სურათი. სამარის თავთან წამოდგა თმებშეუვერცხლილი მანდილოსანი, ეს იყო ნინო ნაკაშიძე. ის არ სტიროდა. იდგა როგორც მწუხარების ქანდაკება, საქართველოს გულისძგერას კარგა ხანს დუმილით გადმოსცემდა. შემდეგ ამეტყველდა...

ალბათ მწუხარებით დაზიდულმა მისმა სახემ შთააგონა მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს — ილიას საფლავზე აგებული პატარა ტაძარი შეემკო მწუხარე ქალის ჰორელიეფით.

და მართლაც, ილიას სამარეზე, როგორც მარადიული ცრემლის სიმბოლო, ისე დგას ქართვლის დედის შესანიშნავი ქანდაკება და ახლა, როცა მადლიერი შთამომავლობა—ბედნიერი ბავშვები ფერადფერადი თაიგულებით ადიან მთაწმინდის კალთებზე რათა ილიას, აკაკის, ვაჟას, იაკობის, ტატოს და სხვა უკვდავ მოღვაწეთა საფლავები ცოცხალი ყვავილებით შეამკონ, როდესაც ილიას სიმღერები წკრიალ-წკრიალით ეფინება განახლებულ, თვალწარმტაც თბილისს, თითქოს უფრო ბრწყინდება თავისუფალ საქართველოს კაშკაშა ზეცა...

თითქოს ბრძენი ილიას ფიქრმორეული, ძვირფასი სახე კმაყოფილი, მადლიერი ღიმილით მომართავს ჩვენს ბედნიერ სამშობლოს,

თითქოს უნებლიეთ გვესმის ქართველი ერის დიდი შემოქმედის, მზრუნველი გუთნის-დედისა და უკვდავი მეურვის იმედით განსხივებული, მშობლიური ხმა:

„—მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება,
შენს მაჯისცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება!"...

1957 წ.



აკაკის ჩირაღდნები

ქართული პოეზიის იალბუზი — ასე უწოდა აკაკის მის საიუბილეო დღეებში 1908 წელს იაკობ გოგებაშვილმა. „ოლიმპიელი“ — დაარქვა მას მხცოვანმა მოქანდაკემ იაკობ ნიკოლაძემ 1916 წელს, როდესაც ატელიეში პირველად გამოსდგა თაბაშირში ჩამოსხმული მართლაც და ოლიმპიური ბიუსტი პოეტისა. იგივე ბიუსტი, ქვაში გამოკვეთილი, ამშვენებს ოპერის შენობის სკვერს. რამდენი სიყვარული, რამდენი ცეცხლია ჩაქსოვილი ამ მარმარილოში ჯადოსანი მოქანდაკის საკვეთელის წყალობით! ამ რძისფერ, ცივ ლოდში თითქოს ხორცი შეუსხამს აკაკის,

ცოცხლობს, სუნთქავს, თქვენკენ იზიდება... იქვე იგრძნობთ, რომ ეპოქის ქარიშხლებს სასტიკი გრგვინვით გადაუვლიათ მის ფართო შუბლზე.

ამ ფრთოსანი ოლიმპიელის აკვანს ამაოდ დაუწყებთ ძებნას ოლიმპზე — ის არც მის თხემზეა და არც პარნასზე, მისი ადგილი საქართველოშია, სოფელ სხვიტორში.

მისი მშობელი არც ჰერა ყოფილა და არც ზევსი, არამედ ღარიბი, ობლობაში აღზრდილი როსტომ წერეთელი და ეკატერინე აბაშიძე გახლდათ, მის აკვანს არც ფერიები შემოხვეოდნენ დასარწევად და არც ჯადოქრებს უბანავებიათ კასტილიდის წყაროს ტალღებში — პირიქით, დედის მკერდს მოგლეჯილი ბავშვი სოფელ სავანეში გააბარეს, გლეხ ფარსადან ყანჩაველის ოჯახში აღსაზრდელად.

ფეხშიშველ ბიჭებთან ყვავილების კრეფა, სალამური, ძროხები, კალო—აი, პატარა აკაკის პირველი სკოლა...

გიმნაზიის კარი უკვე ნორჩი პოეტის ხელით შეაღო მან. ხოლო, 1859 წელს, როდესაც ზღაპრული მურომეცის სახით იღვიძებდა მებრძოლი, ახალი რუსეთი, 19 წლის აკაკი უკვე პეტერბურგშია, ილიას, ნიკო ნიკოლაძისა და სხვა „თერგდალეულთა“ გვერდით...

აქ, პეტერბურგში, აკაკი ხარბად დაეწაფა ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, ბელინსკის, ნეკრასოვის, გერცენის შემოქმედებას.

ჰაბუკმა აკაკიმ მალე მიაგნო, ასე ვთქვათ, ჩვენებურ „დეკაბრისტებს“, თუ შეიძლება დეკაბრისტები ვუწოდოთ „კავკასიელთა პატარა წრეს“, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ნიკო ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კირ. ლორთქიფანიძე, ბ. ღოღობერიძე და სხვები. აკაკი ამ წრის თაიგული შეიქმნა. მისი ბინა საიდუმლო თუ ღია კრებების კერად გადაიქცა. აქ, აკაკიმ საკუთარი ბინის კუთხე დაუთმო საცხოვრებლად პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ — კრონშტადტის პატიმრობიდან დაბრუნებულ და უნივერსიტეტიდან „მგლის პასპორტით“ გამოძევებულ ნიკო ნიკოლაძეს. აქ ჩამოიკრა გერცენის „კოლოკოლის“ ზარი, აქ ეზიარა იგი დემოკრატიულ იდეებს, განსაკუთრებით მასზე გავლენას ახდენს ჩერნიშევსკი. აკაკი უკვე ერკვევა, თუ რა უფრო საჭიროა შემოქმედებისათვის: ხელოვნება ხელოვნებისათვის თუ ხელოვნება ცხოვრებისათვის. და ასე,

ახალი, საბრძოლო საჭურველით შეიარაღებული, უბრუნდება იგი სამშობლოს.

მისი დაბრუნება მოხდა იმ დროს, როდესაც საქართველო პოეზიის სფეროში ხანგრძლივ პაუზას განიცდიდა. მას მტკიცედ სწამდა, რომ მოაზროვნე ადამიანისათვის ცხოვრებაში ყველაზე დიდ ბედნიერებას ბრძოლა შეადგენს. თავისი ტემპერამენტით იგი დაუღალავი მებრძოლი შეიქმნა, მებრძოლი სოციალურ უკუღმართობათა წინააღმდეგ; მებრძოლი თანამოკალმეთა შორის, როგორც ახალ ჰეშმარიტებათა მქადაგებელი.

* * *

/ როდესაც აკაკის პოეზიას შევიგრძნობთ, უნებლიეთ ვიხიბლებით პოეტის ძარღვიანი ქართულითა და ხატოვანი ენით. მისი ლექსები „სალამური“, „სულიკო“, „ციცინათელა“, „მუშური“, „განთიადი“, „ჭაღარა“ და მრავალი სხვა, მისი პოემები „გამზრდელი“, „თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“, „ნაცარქექია“, დრამატიული პოემები — „თამარ ცბიერი“, „პატარა კახი“, ქართული ლიტერატურის საგანძურში დარჩებიან მარად, როგორც უმშვენიერესი ქმნილებანი, ანთებული ჩირაღდნები!..

/ ვიქტორ ჰიუგომ ბოდლერის შესახებ ერთხელ თქვა: „მისი პოეზია უმშვენიერესი თრთოლვააო“, თუ თრთოლვის მშვენიერებაზე მიდგა საქმე, არ ვიცი, რა უნდა იყოს აკაკის პოეზიაზე უმაღლესი! გაიხსენეთ მისი პატრიოტული ლექსი „განთიადი“.

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები
შენზედვე მგლოვიარეო...

. .

წინ მომეგებნენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო...“

აი, მშობლიური მზისა და მთვარის მაღმერთებელი პოეტი, რომელსაც გენიოსის მფარველი მუზა გვირგვინად თავს ადგას, რათა არწივის ფრთებით პოეზიის მეშვიდე ცაზე გაანავარდოს...

აკაკის „სულიკოს“ მუსიკალობამ ხომ გაანგრია ყველა ჯებირი და გავიდა მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოთა შარაგზაზე. მხოლოდ ამ ერთი ლექსის ფერთა ორკესტრაცია საკმარისია, რომ აკაკი უკვდავ პოეტად მივიჩნიოთ!..

ახლა აკაკის ლექსთა ცხოველმყოფელობა!..

„აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა...
სერზედ შევდექ, ჰმუნვის ალი მენელა!..
მზემან სხივი მომაფინა მაშინა,
სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა!“.

რა მელოდიური, ნაზი, უკვდავი სტრიქონებია! რა სიმშვიდით სუნთქავს თვითეული სიტყვა!

აკაკის ჰანგები ათეული წლების მანძილზე ჩვენი კომპოზიტორების საიდეალო თემატიკაა.

აკაკის უმაღლესი პოეზია ულეველ საკვებს აძლევს ფერწერის ოსტატებს.

აკაკი—პოეტი, აკაკი—ტრიბუნი საზოგადოებაში ახორციელებს მთელი თაობის პოლიტიკურ პათოსს. ის გამუდმებულ ბრძოლაშია, მუდმივ თავდამსხმელი, მის ხუმრობა-ოხუნჯობაში რამდენი მოხდენილად ნატყორცნი ისარია!..

არავის, ჩვენს მწერლობაში, გარდა დიდი ილიასი, არ ეხერხებოდა ირონიის ფარხმლით ისე ბრძოლა, როგორც აკაკის. მისი იუმორი მუდამ სიბრძნის ნაკვესია. იაკობ მანსვეტაშვილმა და ნაწილობრივ სოფრომ მგალობლიშვილმა აუარება ფაქტები შეკრიბეს აკაკის იუმორიდან, რომელთა გახსენება დღესაც სიცილის გუნებაზე დაგაყენებთ.

აკაკი მუდამ დემოკრატი იყო და დემოკრატიული აზრების მატარებელი. ჰუმანურობა, შრომის სიყვარული, ძმობა და ერთობა, აი, მისი შემოქმედების საძირკველი!

აკაკი აღტაცებით შეეგება 1905 წლის რევოლუციას. აკაკი შეიქმნა ჩვენი რუჟე დე ლილ, მან დაწერა ქართული მარსელოზა — „ძირს, მთავრობავ, უსამართლო!“ მანვე პირველმა გადმოაქართულა

ინტერნაციონალი. მისივე კალამს ეკუთვნის ქუთაისში, სალიტერატურო საღამოზე წაკითხული „ძმობა, ერთობა და სიყვარული“.

/ აკაკი ჩვენი პოეზიის ვეფხი იყო, ვეფხის ნახტომებით დაჯირითობდა. მისი ტორის ქვეშ არაერთხელ აწკმუტუნებულან ცარიზმის ცერბერები. /

აკაკის სწამდა, რომ დადგებოდა დრო, დრო თავისუფლებისა და ბედნიერების, დრო ძმობისა და თანასწორობის...

ეპიურ ჟანრში პოეტმა სრულყოფას მიაღწია. აკაკის „თორნიკე ერისთავი“ ქართული ლიტერატურის შედევრია. ამ პოემის კომპოზიციური აღნაგობა, ბატალური სცენები, დინამიკა, გაოცებთ, გხიბლავთ და გატყვევებთ.

ორბელიძისა და აფრანიკეს შებმა, ქართველთა ლაშქრის ბრძოლის სურათები, ცხენთა ჭიხვინი, ხმლების ლაპლაპი, საბედისწერო ფინალი და ბედნიერი დასასრული მკითხველს სანთელივით აგზნებს...

/ აკაკის „გამზრდელი“ მშვენიერი დიდაქტიკური პოემაა, ერთერთი თვალსაჩინო მეტეორთაგანი, არა მარტო აკაკის შემოქმედებაში, ჩვენი პოეზიის მიღმა მხარესაც, სადაც მღვდელმსახურებენ ჰომეროსი და უკანასკნელი ელლინი დიდი გოეთე! და ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ „გამზრდელის“ მორალური აზრი ის ცხოველმყოფელი ჩირაღდანია, რომელიც აკაკის პალიტრაზე მარადიულ ცეცხლად ანთია... /

აკაკის დრამატიული პოემებიდან საიდეალოდ „პატარა კახი“ მიაჩნდა. ამ დრამატიულ პოემაში გადმოიღვარა აკაკის სიხარულიც, ნაღველიც და აღმაფრენაც...

ქართულ პიესებში ეს უმშვენიერესი პიესათაგანია დაწერილი სცენიური ლაკონიურობით და წარმტაცი ბუმბერაზობით.

* * *

/ ძნელია, მეტად ძნელი, ბუმბერაზის პოეზიის ამოწურვა, ბევრი რამ დარჩება მკვლევარს უთქმელი, ბევრი რამ დარჩება შთამომავლობას აღმოსაჩენი! /

პოეტის მრავალტომიან თხზულებებში უხვადაა გაბნეული თვალმარგალიტი მისი ამაყი სულის სალაროდან. ჩვენ შეგვიძლია ათასჯერ განვძარცვოთ მისი საუნჯენი, მაგრამ ვერ დავლევთ, ვერ ამოვაშრობთ აკაკის შემოქმედების პალიტრას...

მასში, როგორც სპექტრის ფოკუსში, გაკვანძულია ქართული სულის შემოქმედების ყოველი ხვეული, ძველი და ახალი!..

აკაკის სიტყვა — ზოდია სპეტაკი მარმარილოსი, ხან ნაზი, ვით ჩურჩული სიყვარულისა, ხან წარმტაცი, როგორც ბუჩქებში მიმალული ბულბული — სულიკო, ხან ცეცხლოვანი, როგორც მისი ჯიღის ვარსკვლავები, ხან მოთინათინე, როგორც ციცინათელა...

* * *

აკაკის სახე არა თუ მრავალჯერ მინახავს, დიდებულ მგოსანს პირადად ვიცნობდი კიდეც.

ერთხელ (1915 წ.) ქუთაისში ი. გრიშაშვილმა სალიტერატურო საღამო გამართა და მეც მიმიწვია, სადაც წავიკითხე ლექცია — „მშვენიერება ხელოვნებაში“.

მეორე დღეს თბილისისაკენ ვბრუნდებოდი.

ქუთაისის მატარებლის ბაქანი. ჩოხოსანი თავადაზნაურობა. ფაფახმოხდილი მელოტი დარბაისლები. შლეიფიანი კაბები. მარაოები. მომხიბლავი ღიმილი. სადგურის მორიგე. პოლიციელთა ხმლების ვერცხლისფერი კაშკაში. ორთქლმავლის ქშენა.

ჩემი ყურადღება ერთმა ცარიელმა ვაგონმა მიიპყრო, რომელსაც ბაქანზე მყოფი ხალხი ისე შეჰყურებდა, როგორც მლოცველები ტაძარს. ვაგონის სარკმელში თმადათოვლილი დიდებული მოხუცის ოლიმპიურ მზერას მოვკარი თვალი. მან ხელით მოიჩრდილა და ღრმა, უძირო, ჭკვიანი თვალებით ბაქანი მიმოათვალიერა. ის-ის იყო თავის მორიდება დავაპირე, რომ აკაკიმ შემნიშნა და სარკმელიდან ხელი დამიქნია — ამოდიო. სიამაყის გრძნობამ ამითრთოლა გული. ამ ბედნიერებას როგორ დავკარგავდი! ჩოხოსანმა თავადებმა ზრდილობიანი თავის დაკვრით დამითმეს გზა და მეც ვაგონში აღმოვჩნდი.

ვაგონი სრულიად ცარიელი იყო, მხოლოდ ერთი კუპე ეჭირა აკაკის თანმხლები პირებით. მთელი ვაგონი სასიქადულო პოეტს ეკუთვნოდა. ქართველ ერს იმდენად უყვარდა აკაკი, რომ საკუთარი მხრებით ატარებდნენ.

ეს იყო ჩემს სიცოცხლეში დაუვიწყარი შეხვედრა; ტკბილი, ბრძნული საუბარი თმადათოვლილ მოხუცთან, რომლის მღერადი ხმა სმენიდან არ მშორდება დღემდე...

უფრო ადრე კი — ყველაზე დამახასიათებელი და ამაღელვებელი — ეს იყო დიდი ილიას დაკრძალვის დღეს! სიონიდან გამოსვენების შემდეგ ილიას კუბო ქართული თეატრის შენობასთან შეაჩერეს. აკაკი, როგორც ნათლის სვეტი, ისე აღიზიდა ილიას ცხედართან და ათრთოლებული ტუჩებით ამეტყველდა. მისმა ხმამ ელექტროდენივით გადაირბინა მოზღვავებული ქართველი ხალხის თავზე.

ეს იყო მომენტი ორი მზის შეხვედრისა და გამოთხოვებისა — ილიასი და აკაკის...

ორივე მნათობი ხშირად მინახავს ცალ-ცალკე, მაგრამ ერთად არასოდეს. ერთად მაშინ ვნახე ისინი....

მაშინ ერთი — ღმერთკაცის ცხედარი და მეორე — თმადათოვლილი ბუმბერაზი გამოეთხოვნენ ერთმანეთს, გამოეთხოვნენ, რათა შემდეგ, მადლიერი შთამომავლობის ხელით, იმავე ადგილას დამდგარიყვნენ ერთ კვარცხლბეკზე, მხარიმხარ, ხელგადაჭდობილნი, გაქვავებულნი, და მღიმარე მზერით შეხვედროდნენ განახლებული თბილისის ყოველ ახალ განთიადს.

1940 წ.



გოლიათი ვაჟა

ძველი თბილისის მტვრიან ქუჩებში სიცხის ბუღი და პაპანაქება იდგა. ერთი ძველი შენობის მეორე სართულს ავყევი. განიერ აბრაზე ეწერა: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზია“.

მაღაზიიდან ნაცნობი სახე მიღიმოდა. ხელი დამიქნია — შემოდიო. თან მინერალური წყლით სავსე ბოთლსა და ჭიქას მიჩვენებდა და მიცინოდა. მე გამეხარდა, რომ ძია შიო მაღაზიაში დამხვდა.

შიო მღვიმელი ისედაც ძალზე საყვარელი კაცი იყო, ამ სიყვარულს ისიც აორკეცებდა, რომ ჩვენი ახლობელი ნათესავი გახლდათ.

მაღაზიის კარი შევაღე და შევედი. შიომ ხელი ჩამომართვა.

— ამ სიცხე-პაპანაქებაში აქ რამ მოგიყვანა, ჩემო დათო!

— ძია შიო, შენი ჭირიმე, ჟურნალი „მოამბე“ მინდა.

— რომელი ნომერი?

— 1894 წლის ივლისისა.

— ჟურნალს კი გიშოვნი, მაგრამ რად გინდა?

მე გავწითლდი.

— რომანის დაწერას ვაპირებ და....

— მერე?

— მარიამ დედოფალზე მასალებსა ვკრებ... ამასწინათ წავიკითხე როიტერის წერილი, ალექსანდრე ჭყონიას თარგმნილი. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და აი, ეხლა იმდენად ღონივრად ვგრძნობ თავს, რომ ვკადნიერდები ამ დიდ ტილოს გადმოსაცემად „გიშრის კარავის“ სახელწოდებით.

შიომ წამაქეზა, სხვა მასალებსაც გიშოვნიო. სახელდახელოდ გავიდა მაღაზიის მეორე განყოფილებაში და იქიდან გამომიძვრინა „მოამბე“, რომელსაც თითქმის ერთი კვირა ვეძებდი ბუკინისტებში და ვერ აღმოვაჩინე.

დიდი მადლობით ჩამოვართვი ჟურნალი და ის-ის იყო გასასვლელისაკენ გავემართე, რომ მაღაზია თითქოს ჩამობნელდა. ნაბდიანი გოლიათი მოადგა მაღაზიას. მხრებზე წამოსხმული შავი ნაბადი და ფშავური ქუდი დიდად შვენოდა.

— ვინ არის ეგ კაცი?

— ვაჟა-ფშაველა.

ვაჟა!.. პირველად ვნახე. მისმა გარეგნობამ შემაკრთო, გამაოცა იმიტომ კი არა, რომ გოლიათური ტანადობისა იყო, ამას ისედაც მოველოდი, არამედ იმიტომ, რომ მკაცრი გამომეტყველებისა გამოდგა. შეხედვის უმალ თვალწინ წარმომიდგა მისი გმირები ბახტრიონიდან. ალბათ, პოემის გმირების დევკაცობას საკუთარი ტანის აღნაგობიდან სესხულობდა!

ვაჟამ ფანჯარაზე მათრახის ტარით მოგვიკაკუნა.

ამ უზარმაზარ ვაჟკაცს ჩვეულებად ჰქონდა: ჩარგლიდან დაიძრებოდა თუ არა, თან ხელნაწერებით სავსე ჰრელ ხურჯინსაც წამოიღებდა ხოლმე. ჯერ ბრძენ ილიასთან შეივლიდა, ხურჯინს დაბერტყავდა და შემდეგ სხვა მეგობრებს ჩამოუვლიდა.

იმ დღეს ვაჟას ხურჯინი თან არ აღმოაჩნდა, მაშასადამე, უკვე ილიასთან დაბერტყილი ექნებოდა.

— ეგ არის ვაჟა?! — შევძახე აღტაცებით და ფანჯარას ვეცი.

ვაჟამ სარკმელს გარედან დაკვირვებით შემომხედა. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. არასოდეს არ დამავიწყდება მისი სახე, რომელზედაც აღბეჭდილი იყო ადამიანის უძლეველობაც და თავისუფლების იერიც.

ამ ახოვან ვაჟკაცს ციმბირის წყლულით დაშრეტოდა თვალი, რაც მას ციკლოპის იერს აძლევდა, მაგრამ ეს კი არ გზარავდათ, თითქოს უხდებოდა კიდეც. მისი ჯანსაღი თვალი ფილოსოფიურად იმზირებოდა, იგი ვერ მალავდა ვერც ლომგული ადამიანის მეტყველებას, ვერც ძალმომრეობის წინააღმდეგ მეტყველ სულს.

მან მშფოთვარე სახის ნაკვთები მოიჩრდილა და მათრახის ტარით ერთხელ კიდევ მოგვიკაკუნა.

შიო გარეთ გავიდა, სულის მოთქმა არც კი აცალა, ხელგაშლილმა შეუკივლა და გადაჰკოცნა.

ვაჟამ შიოს წყლიანი ბოთლი გამოართვა და ერთი მოყუდებით გამოსცალა.

— აბა, მაღაზია მიჰკეტ-მოჰკეტე, ან ვინმეს გადააბარე, მირიანა-შვილთან მივდივართ საქეიფოდ, სუფრა გველოდება. კაცები გვიცდიან.

ჯერი ჩემზე მოდგა.

შიომ ჩემი თავი გააცნო.

— ეს ჩვენი დათუნაა, რომანსა სწერს.

მორცხვად თავი დავხარე. ვაჟამ ნიკაპი ამიწია:

— რას გაწითლდი, ბიჭო, რომანის წერა განა დასაძრახია. სცადე, ცდა ბედის მონახევრეაო. აბა, წავიდეთ, შიო!

ქუჩაში გამოვედით. მეც დაუპატიჟებელ მაჩანჩალად ვაჟას ავედევნე, იქნებ რამე სახარბიელო მოვისმინო-მეთქი.

საქეიფო ადგილამდე სულ ერთი მტკაველი თუ იქნებოდა. მირიანაშვილის სარდაფი „იარმუკაზე“ განთქმული იყო.

ვაჟას თბილისში გამოჩენას ორი შიკრიკი შეიტყობდა ხოლმე — ვანო ბუქურაული და იროდიონ ევდოშვილი.

მირიანაშვილი მაშინვე დაკეტავდა ხოლმე თავის სარდაფს, რათა ნახევრად აზიური, ნახევრად ევროპული პურმარილით დახვედროდა მთის მგოსანს.

პირველი—რა თქმა უნდა, მწვადები იყო, ხოლო მეორე — რასაც ვაჟა ინდომებდა.

მირიანაშვილის ღვინო ვანო ბუქურაულს მოჰქონდა ხელადებით. (ღვინო ჩინებული იყო, მირიანაშვილები ამ საქმეში კახეთს არ შეარცხვენდნენ).

ვაჟამ პირველი სასმისი შეავსო ხელადიდან, ნაბადი ჩოხიდან გადაიგდო და სადღეგრძელო ინება:

— აბა, ჩემო „თეთრო შიო“, ალავერდს შენთანა ვარ! („თეთრ შიოს“ — მღვიმელს უწოდებდა, „შავ შიოს“ კი — არაგვისპირელს).

შიო ფეხზე წამოდგა. პირველი საქართველოს სადღეგრძელო შეისვა. მე მეგონა, ვაჟა საკუთარი ლექსით იტყოდა, მან კი ჰიქა გამოსცალა და შიოს ლექსი წარმოსთქვა:

— ჰა, შიო, როგორ ამბობ?!.

„ძალავ, სიკვდილად ხმობილო,
თავი რომ გიგავს ხვედასა,
სამშობლოს ხელი გაუშვი
თორემ გ'ტირებ დედასა!“

ამ სიტყვების შემდეგ გადაიხარხარა, თითებით „ცოცხალი“ გაგლიჯა, დაჯდა და ჰიქა შეავსო... სარდაფის კარი გადაკეტილი იყო, მხოლოდ ქუჩაში მოგროვილი გამვლელების ჩოჩქოლი ისმოდა: „ვაჟა... ვაჟა... ვაჟა ქეიფობს“...

• • •

მას შემდეგ დღეები დღეებს მისდევდა, თვეები თვეებს, მაგრამ ვაჟას სითბო, სულში ჩაღვრილი, მოსვენებას არ მაძლევდა... მისი ვაჟკაცური „სიმღერების“ სიღრმე მხიბლავდა ჭაბუკობის წლებიდანვე. მხიბლავდა მისი რთული პოეზია, გულით წმინდა, სულით ქართული, მისი ქართული ძარღვიანი ენა, სათუთი ფერებით გადმოცემული ცისა და დედამიწის გულისცემა.

ვაჟა — ჩვენი პოეზიის ატლანტია, რომელსაც თასმებით შეუპყრია სამყარო და ფები-აპოლოს ეტლით მზისკენ მიაქროლებს პოეზიის ფრთამალ რაშებს...

• • •

... 1910 წლამდე პარიზში ვცხოვრობდი, შემდეგ ბრიუსელში გადავედი. აქ სხვათაშორის ჩემი უახლოესი, გულითადი მეგობრებიც იყვნენ — გერონტი ქიქოძე, ირაკლი ტატიშვილი, კონდრატე თათარაშვილი (უიარაღო) და სხვები.

ბელგიიდან სამშობლოში გამოგზავნილ მრავალ კორესპონდენციებს შორის 1915 წელს გაზეთმა „საქართველომ“ (№ 60) დაბეჭდა ჩემი ესკიზი, რომელშიც მე ვცდილობდი კრიტიკული აზროვნებით მსოფლიოს წინაშე წარმომედგინა ფენომენალური პოეტი, ქართული პოეზიის ამირანი — ვაჟა-ფშაველა.

რა შესანიშნავი, წარმტაცი ფერადებია მის ორიგინალურ პოეზიაში!

მის თხზულებათა ანდამატივით მიმზიდველი ფურცლები თვალწინ გვიშლიან უცნაურ წალკოტს, სადაც ყოველ ბორცვს, ლალის ჭალაკს, ზურმუხტის მდელოს, კორდზე მოფენილ ია-ზამბახს თუ მაისის ვარდს ფოლადისფერი დასდებია და წვეთ-წვეთობით მხოლოდ ერთი ჩანჩქერის ცვარ-ნამით იპკურებიან — ვაჟას მწველი ცრემლით! და აი, მათ შორის მონავარდე ვაჟას სული, ეს ტროპიკული გრძნობით მჭროლავი ქარიშხალი დაეძებს არა პაროსის მარმარილოს, არამედ ეულკანის ალით გაღაჟღაჟებულ ბრინჯაოს, ან, თუ

გნებავთ, შავ კლდეს, რომ მისი ალით მკერდიდან ამოჰკვეთოს თავის ოცნებათა გული და, ვით ნაძვნარის სურნელება, ნელ-ნელა დააკმიოს მყინვარე მწვერვალთა ფიქრის ღრუბლებში, რათა ობოლ ვარსკვლავად აციაგდეს და აელვარდეს.

ვაჟა მყინვარია, მისი სიტყვა — მყინვარის ფიქრით დანაკვესი ელვის ისარი.

ვაჟა მხოლოდ ერთ წიგნს იცნობს და იგი ერთიც დიდბუნებოვანი ხალხის გულია. ეს გენიოსობის დაუშრეტელი საჭურჭლეა. ვაჟა მხოლოდ ამ ჭურიდან სვამდა აპოლონის მათრობელა ნექტარს, მხოლოდ ამ ნექტარის ამბროზიით იყო მთვრალი და ცეცხლის ალად აგზნებული.

ვაჟა თვით ჯანსაღი ხალხის სულია!

ლაღი და ძალოვანი, მოკრძალებული და უაღრესად მორცხვი რაინდი, იგი ერთსა და იმავე დროს სასტიკი რეალისტია, მისტიკოსი, მჭმუნვარე პესიმისტი და საოცარი ოპტიმისტი. მისი შემოქმედება სადაა ვით თვით ცხოვრება, მჩქეფარე და ძალოვანი,- ვით იმავე ცხოვრების დაუღალავი ენერგია, მისებრ მიმზიდველი და გამჭვირვალე, მის მსგავსად აფრამოფრიალე, ღრმა, შეკუმშული და კაჟის ნაპერწკლიდან დაკვესილი ღვთაების ცეცხლი. აბა ვაჟასებრ გავიდეთ ჩვენც ხალხში, ვისუნთქოთ საღი ბუნების ჰაერი, გავიზიაროთ მისი ტანჯვა, მისი ვაება, გავეცნოთ თვით მის სიხარულს, რწმენას, ბედსა და უბედობას და მაშინ, მხოლოდ მაშინ ჩავწვდებით მას, ვაჟას, მაშინ უფრო ნათლად დავინახავთ მის ფოლად სულს, რომელიც მხოლოდ ბუნების წალკოტზე ისვენებდა, მხოლოდ იქ ჰხედავდა ყოვლადშემძლე ადამიანს.

ვაჟა არათუ ჩვენი სამშობლოს გმირი მგოსანია, არამედ ჩვენი ისტორიისაც... იგი ჯადოსნურ სარკით გვახედებს წარსულისაკენ, სადაც გმირნი გმირობდნენ, სადაც მამულიშვილობა უკვდავია! ქართველი ერის მომავალი ვაჟამ რომანტიკულ ნიადაგზე ააშენა, აქ ეძებს იგი ხსნას, აქედან ლამობს სიცოცხლის ნერგი შეგვთავაზოს, შთაგვბეროს მივიწყების სარბიელზე ობოლი დროშასავით მოფრიალე მამა-პაპათა ძლიერი სული და გვაღირსოს ახალი განთიადი, ახალი სიცოცხლის დასაწყისი! უღრმესი თაყვანისცემა ჩვენი ისტორიის და-

მამშვენებელთა სახელების წინაშე, როგორებიც არიან თამარი, ერეკლე, მას კერპმსახურად ჰხდის.

ვაჟას მხედრული სული მხედრულ იდეალს ეთაყვანებოდა, ამიტომ არის, რომ ვერ ნახავთ მის პოემებში ერთ ბწკარსაც, სადაც ყოველი სიტყვა ბრძოლის ქურაში არ იყოს გამოწრთობილი.

კითხულობთ მის პოემებს და გაოგნებული ხართ. რა დიდებული სურათებია, რა წარმტაცი მეტაფორები! „მთებმა დახუჭეს თვალები“, ან „ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინი“, — და ათასობით სხვა მეტაფორა. ეს ხომ შედევრებია ჩვენი თანამედროვე ლიტერატურისა! ჰომეროსისებური ლაღი სრბოლა, ცად აბჯენა, ცის კოცნა, მწვერვალთა გადაქელვა, — ეს ხომ გენიოს მხატვართა პალიტრიდან ნასესხები ფერადებია! მერე სად ნახა ვაჟამ გენიოსი მხატვარი? ან ვინ იყო, ვისი სახიერების წარმომადგენელია ეს უცნაური პიროვნება? რა თქმა უნდა, სამშობლო მისი და უწინარეს ყოვლისა ფშაველი, სადაც დაიბადა ჩვენი მგოსანი, სადაც ბუნება თვითვე ჰქმნიდა გრანდიოზულ სახეებს, სადაც ღმერთები ჯერ კიდევ არ დაწოცილან და გმირ მთიელთა შორის სალაზღანდაროდ ჩამოდიან დაბლა მიწაზე. მაშ რად გიკვირთ, თუ ვაჟას გმირებიც დევებად, ტიტანებად მოგვეჩვენებიან? აიღეთ „ბახტრიონი“, აქ ყველა გმირი ღმერთ-კაცია, ზეზვა, ლუხუმი, ხოშარაული, კვირია — ეს ხომ საზღაპრო გმირებია, რომელთა წარმოშობა მხოლოდ მთას შეეძლო. სანათა — ეს ხომ „ქართველის დედის“ ტანჯული სახიერებაა, ვის მწუხარებასაც ვერარა მდუღარება ვერ ჩამორეცხავს, ვიდრე საგოდებელი მისი „ბახტრიონის“ გალავანს მისჯაჭვია...

ვაჟას ფიქრის „სახატე“ მხოლოდ მისი სამშობლოა, საქართველოა. მასზე ფიქრმა წელში გაჰღუნა ჩვენი მგოსანი. ერთხანად უიმედობის ვულკანმაც კი იფეთქა მის გულში და მწუხარებით გულდათუთქულს ათქმევინა: „რა ჰქვიან ასეთ სიცოცხლეს, რა ჰქვიან ასეთს ყოფასა?“

მაგრამ მოპასუხეს ვერ ჰხედავს. უძირო კაეშანი იპყრობს. რა აწუხებს მგოსანს, მის გულს რა დარდი შემოსწოლია? იქნებ ინდივი-

დური ყოფნა-არყოფნის საკითხი აწუხებს? არა! მისი საგონებელი ისევ „ბახტრიონის“ აღებაა...

„ბახტრიონის“ აღების გარეშე მისთვის ყოველი იმედის სხივი ჩამქრალია, ველარაფერი ანუგეშებს. მისთვის სულ ერთია „გამოვა მზე თუ არა“, იცის, რომ მის სევდას ვერაფერი ვერ წარხოცავს, ვერავითარი მზე ვერ გაულღობს დამზრალ იმედს, რადგან „დაჭრილი სამშობლო“ უპატრონოდ ასე ყვავ-ყორნების საჯიჯგნად დარჩენილა ეულად, ველად, მაგრამ... ნუ იფიქრებთ, ვითომც ვაჟა სულით დაეცა და წინასწარვე პასიურად ხელი მოაწერა სიკვდილს. რა ბრძანებაა! მაშინ რაღა ვაჟა იქნებოდა, რაღა „რკინის მკვნეტელი“ მთის არწივი იქნებოდა... მისი პესიმიზმი ჯანსაღი პესიმიზმია! იგი თვით სიცოცხლის ძახილი გახლავთ, დაუშრეტელი ენერგიის ბუმბერაზი ტოკვა, ამირანის გულ-მკერდის ვულკანისებური ბორგვა, რომ თვით ჯოჯოხეთიც კი შეაძრწუნოს და სტიქიონის რახტს ელვის რახტითვე შეუტიოს. აი საუცხოო ნიმუში მგოსნის დევ-კაცობისა, როდესაც მეფე ლირივით თავშიშველი ქარიშხალ-სეტყვა-კორიანტელის დროს ეულად გაჭრილა ველ-მინდორზე და ცას უკივის საბრძოლველად:

„დამსეტყვე, ცაო, დამსეტყვე,
აქა ვარ ჩემი თავითა...“

ვაჟა მზადაა ყოველგვარი შხამი გამოსცალოს, რისხვის ჭარცეცხლი გადაიტანოს, მაგრამ „მცნებათ“ კი არ უღალატოს. იგი „მჭვარტლიან ჩონგურით“ შესძრავს მთა-ბარს, იმღერებს იმას, რაც „დღემდის დაუმღერნია!“ დაე, ამისთვის სტანჯონ, აწამონ, ცოცხლივ ტყავი გააძრონ, იგი „ბილწებს არ შეეკვრება ზავითა“, არავითარი კომპრომისი, არავითარი მორიდება! ვაჟა მინდიას სახით „გველს შესჯამს“, ოღონდ ჩაიგდოს საიდუმლო გასაღები, ოღონდ გრძნეულებანი შეჰბოჭოს და გულში ჩასწვდეს საჯოჯოხეთო გამოცანას, თუ ვით შეიძლება „ბახტრიონის“ წამოქცევა, ვით შეიძლება იმ ტურფა ეთერის განთავისუფლება, ვინც ამდენ ალეგორიებით უნარსა მატებს და ვის სახელსაც საქართველოდ იხსენიებენ. დიახ, წამება, ქვეყნიური ჯოჯოხეთი, მაგრამ „ბილწებთან ზავი“ არასოდეს! აი ესაა მისი დევიზი და ვერარა რისხვის ქარიშხალი ვერ წარხოცავს მას. ეს ზვიადი, ეს ქედმოუხრელი ამირანი, ვით აჯანყებული ანგელოზი, შიშველი


მახვილით დგას თავის სამოთხე—სახატეს კარიბჭესთან... ვაჟა სტიჭიონს დაემსგავსა. თავშიშველი მრისხანედ ეგებება ელვა-სეტყვის წვიმას. შეუძლებელია ბრძოლის ჟინმა თქვენც არ გაგიტაცოთ და ვაჟას გმირების დანახვაზე თქვენც არ აღივსოთ ვაჟკაცობით, არ წარმოიდგინოთ თავი ერთ-ერთ მის გმირად და გულზვიადად არ დაიძახოთ:

„ნეტავ-ღა გაზრდის მშობელი
ვაჟკაცებს ჩვენისთანასა?“

უკაცრავად! აჩქარდით. უნდა მცირეოდენი შესწორება შეიტანოთ. ვგონებ, გინდოდათ გეთქვათ:

„გაზრდის-ღა განა ვაჟკაცებს
მშობელი ვაჟასთანასა?“

1915 წ.



„დედა ენის“ ბურჯი იაკობი

ის იყო კარგად მოსული, ჩასხმული, მაღალი, მხარბეჭიანი და ლამაზი ვაჟკაცი. მისი ომახიანი და მჭექარე ხმა ჩვეულებრივ ლაპარაკშიც ისეთს შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს ვიღაცას უჯავრდებაო. მაგრამ ამ ახოვნებას, მის რიხიანობას, როგორღაც არ ეხამებოდა სევდით მომზირალი სახე, ოდნავ ფერმკრთალი იერით და კეთილშობილური გამომეტყველებით. მისი წაბლისფერი თმა მუდამ ურჩობას ეწეოდა და ოდნავ შერხევაზე მის სპეტაკ შუბლს ხვეულ კულულებად ეფინებოდა. თვალები იშვიათი ჰქონდა, ფართო, ღია ბაიებით.

უყვარდა თავაწეული პირდაპირი სიარული, თითქოს სივრცეში რაღაცას მიშტერებიაო. ამ დროს მას უსათუოდ ხელები ზურგს უკან ჰქონდა დაწყობილი, თუნდაც ხელში სჭეროდა თავისი განუყრელი თანამგზავრი — მოკაუჭებული ჯოხი.

პირად ცხოვრებაში იგი ნამდვილი ანაქორეტი იყო. მას სასჯელი არა მიუღია რა, თვითონ დაადო თავის თავს სასჯელი და ცხრაკლიტულში გამოემწყვდია!

მან უარყო ამქვეყნიური ბედნიერებანი, უარყო ხორციელების სიტკბო, ოჯახი, თვით ქართველური მადიანი და „ფრიად შესარგი" სმა-ჭამა. ხელმომჭირნეობა, ზრუნვა საზოგადოებისათვის — აი მისი ქეიფი, როდესაც ათასობით წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა, როდესაც არც ერთი ნათესავი არ დასტოვა უყურადღებოდ და ყველას თავისი წვლილი მიუზღა.

მისი შამპანური ადამიას განთქმული სარძევე იყო სასტუმრო „სევერნიე ნომერას" ქვეშ — სარდაფში. ვისაც იაკობის ნახვა უნდოდა, მას შეეძლო ამ სარძევეში დღის 12 საათისათვის ჩასულიყო. იაკობს პუნქტუალურად ამ დანიშნულ საათზე ნახავდით სავარძელში მჯდომარეს ერთსა და იმავე მაგიდასთან, ან კაკაოთი, ანდა წყვილი კვერცხით და რძით მოსაუზმეს..

ტუბერკულოზმა და დიეტამ იაკობის იშვიათ თვალებზე თავისი გავლენა მოახდინა და ერთგვარი მელანქოლიის ღრუბლებით შემოსა. მაგრამ ეს არ უშლიდა, რომ, როგორც ფიცხბუნებოვანი, სწრაფად აფეთქებულიყო და რისხვით აფორიაქებულ თვალებში ათასი ელვის ისარი წამოეთოვა.

იშვიათად თუ ვისმეს ჰქონია განვითარებული ალღო სწრაფად მტერ-მოყვარის გარჩევაში, როგორც იაკობს. 1910 წელს ბრიუსელში გამგზავრების წინ მე ჩამივარდა იაკობის ბიბლიოთეკიდან გამოტანილი ერთ დროს დიდად გახმაურებული ვ ე ლ ი ჩ კ ო ს რომანი „Удавы". ეს რომანი ჩვენი მეზობელი სომხების გაკიცხვის აპოლოგიას წარმოადგენდა და მეტად შოვინისტურ გამღიზიანებელ აზრებს შეიცავდა. იაკობს მთელი ფურცლები ფანქრით ჰქონდა აჭრელებული. ამ შენიშვნებიდან მოჩანდა ზიზღი ავტორისადმი, რომელსაც იაკობი უწოდებდა პროვოკატორს, აგენტს, მეფის ჯაშუშს, შე-

მოჩენილ მტერს, რომელსაც მიზნად დაუსახავს — ორი ერის — ქართველებისა და სომხების ერთმანეთზე გადაკიდება და წასისინება. იაკობმა ამ ფურცლებზე გამოთქმული აზრები სააშკარაო ბრალდებად წარუდგინა ველიჩკოს „ივერიაში“ ჯერ კიდევ 1904 წელს და პირდაპირ დასვა საკითხი ჩვენი საზოგადოების წინაშე: „მტერი თუ მოყვარე?“.

საინტერესო იყო იაკობი განრისხების დროს. ხშირად მინახავს მისი გახელება, როდესაც „მუნჯი ბერძენის“ სწავლების მეთოდს განიხილავდნენ, თუნდა ვიწრო ინტიმურ წრეში. მინახავს იაკობის ყალყზე შედგომა, როდესაც საკითხი შეხებია „უწმინდესი“ სინოდის მიერ წარმოდგენილ ყოვლად უწმინდურ არქიელების თავხედურ საქციელს. მაგრამ მინახავს აგრეთვე მაშინაც, როდესაც სასოწარკვეთილება და გულისწყრომა ერთმანეთს შებრძოლებიან მის არსებაში და სიბრაზე უნიათო ცრემლების ღვართქაფად წამოსკდომია, — ეს იყო დიდი ილიას ტრაგიკულად მოკვლის დღეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მისი დიდებული ცხედარი კუბოთი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წინ დაასვენეს და გრძნობამორეულმა აკაკიმ, ჭეშმარიტად, ოლიმპიური ზეშთაგონებით წარმოსთქვა თავისი გამოსათხოვარი სიტყვა: „ნუ მიღელვებთ მოხუცს გრძნობას...“ ამ დროს მოზღვავებულ გულისწყრომას ვეღარ გაუძლო იაკობმა და აკაკის სიტყვის დასასრულს რიხიანად შესძახა, თითქოს ვიღაცას დაუტიაო:

— არა, თუ ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენ უნდა აღმოვაჩინოთ ილიას მკვლელი და მისი ჩაქოლვით ჩამოვიწმინდოთ სამარადისო სირცხვილი...

ეს რომ თქვა, მოკუმშული მუშტი გაიქნია, თითქოს აგერ-აგერ გახსნის და შურისძიების დემონებს ათასობით წამოაფრენსო.

იაკობი არასოდეს არ ყოფილა თავისი საუკუნის სენით დაავადებული. არასოდეს არ ყოფილა ჩინების მოტრფიალე. ამ საკითხშიც იგი უაღრესად სასტიკი გამოდგა. იაკობმა სრული შეგნებით დასწვა როგორც სემინარიის ატესტატი, ისე სასულიერო აკადემიის მოწმობები. ამ ამბის მოწმე ნიკო ლომოური აი, როგორ აგვიწერს ამ მომენტს:

იაკობი პუხარს მისჯდომოდა და რაღაცას დაფაცურობდა:

ეს რა დასწვი, იაკობ? — ეკითხება ნიკო.

— ჩემი გემები, რომ უკან დაბრუნება აღარ შემეძლოს! და ამ სიტყვებით მან მართლაც ქვა მიაგორა მოხელეობასაც და მის უმსგავსო იერარქიასაც. იმ დროს უმაღლესი სასწავლებლის მოწმობები ანუ „ფარატინები“, როგორც ახასიათებდა ნიკო ლომოური, დიდ გასავალში იყო. ამ „ფარატინებს“ ჰქონდათ ერთგვარი თილისმა, რომელიც მოხელეობის ასპარეზზე საოცარი სისწრაფით მიაჯირითებდა თავის პატრონს ჩინოვნიკობის მაღალ საფეხურებისაკენ.

იაკობმა დაანახვა სინოდს, რომ მათგან ბოძებული „ფარატინების“ გარეშეც ადამიანს შეუძლია პატიოსანი შრომით ცხოვრების ლელო გაიტანოს, არც ერთი ნაბიჯი არ დაუთმოს ეროვნულ მჩაგვრელებს და მხურვალე მონაწილეობა მიიღოს მამულიშვილთა მიერ გაჩაღებულ ბრძოლაში!

* * *

„გორის ზეით, კარალეთის პირდაპირ, ლიახვის დასავლეთით, რუისის მთის ძირას არს თედოწმინდა. მცირედ მის ზეით ერთვის დასავლეთიდამ ლიახვს ვარიანის ფშანი და ახალდაბისა. ამ ფშანსაშინა იპყრობის კალმახი და უფრო კარგი“. ასე აგვიწერს ბატონიშვილი ვახუშტი თავის „გეოგრაფიაში“ იაკობის სამშობლოს, სოფელ ვარიანის მდებარეობას.

ვახუშტის აღწერილობა ამ სოფლის მთელ სურათს ვერ იძლევა იგი მხოლოდ გაკვრითი შტრიხებია. ამ ხარვეზს ავსებს თვითონ იაკობი თავის „ბავშვობის დროის მოგონებაში“: „შუაგულ სოფელში რამდენიმე ვეებერთელა წყარო ამოჩუხჩუხებდა მიწიდან. სოფლის გარშემო ადგილები ხომ სავსე იყო ცივ-ცივი წყაროებითა. ზაფხულში აქ საამური სიგრილე ტრიალებდა. ეს მრავალი წყაროები სულ სამხრეთისაკენ მოდიოდნენ, გზაში ერთმანეთში ერეოდნენ და აჩენდნენ მოზრდილს ფშანებს, რომელთა ნაპირებს ბურვიდა თხილის ბუჩქები. ამ ფშანების წმინდა წყალში ჩნდებოდნენ და მრავლდებოდნენ სხვადასხვა თევზები და მათ შორის კალმახიცა, უგემრიელესი თევზთა შორის“. („ბუნების კარი“, გვ. 263—264, 1907).

ეს სოფელი მეტისმეტად ციებიანი იყო, კოღოების საბუდარი. ყოველ გაზაფხულს ლიახვმა იცის მეტად გიჟური ადიდება და არანაკლებ გიჟურ-აბობოქრებული წვალეკვა ნაპირებზე მდებარე სოფლებისა, შემდეგში ლიახვი თავის კალაპოტს უბრუნდება და სოფელიც ამოისუნთქავს ხოლმე. იაკობს ეს ორი მომენტი ლიახვის ადიდებისა და მისი დაცხრომისა მშვენივრად აქვს აღნიშნული საბავშვოდ გადაკეთებულ ხალხურ ლექსში, რომელიც „დედა ენაში“ აქვს მოთავსებული:

„ლიახვმა სთქვა: ავდიდდები,
არაგვს არ დავედარები,
ისე მოვალ და მოვშხუი,
თითქოს ფეხს მეკრას ნალები“.

სოფელი ვარიანი, მისი ავი და კარგი ხალხმა შესანიშნავად დაახასიათა პატარა, მოხდენილი შაირით. თავის დროზე იაკობს ძალიან მოსწონებია ეს შაირი და ხშირად მოუყვანია იგი ვარიანელთა სიბედ'შავის დასახასიათებლად:

„ვარიანი, ვალიანი, უტყეო და ქარიანი“.

და, მართლაც იშვიათად მოიპოვებოდა ქართლში ასე გაწყალებული და გაპარტახებული სოფელი, როგორც ვარიანი, ასე ღარიბი, ასე ბუნებისაგანაც განწირული, ასე დავალიანებული და ქარიანი.

ზ. ჭიჭინაძის სიტყვით, გოგებაანი „სამცხე-საათაბაგოდან“ ყოფილან. უეჭველია, ზ. ჭიჭინაძე ემყარება ბატონიშვილ ვახუშტის სიტყვას: „სამცხისათვის აზნაური უფროს მცირედ: ჯაყელი ესე არს ათაბაგი და ფაშა ახალციხისა. შალიკაშვილი... ქობულაძე, გოგიბაშვილი“, მაგრამ ეს „გოგიბაშვილები“ იყვნენ თუ არა გოგებაშვილების წინაპარნი, არ ვიცით, ჩვენ არც ის ვიცით, რამდენად გამრავლებულნი იყვნენ გოგებაანი ახალდაბაში. ფაქტია, მხოლოდ ის, რომ გოგებაშვილები ბოლო ხანებში ვარიანს შერჩნენ და ამ გვარის მამამთავრად ისევ სიმონ გოგებაშვილი ითვლებოდა,—ქართლული გამოთქმით — „გოგებაანთ სიმონი“. ახალდაბიდან გამოქცეული სიმონ გოგებაშვილი შეიტკბეს ბერკაცაშვილებმა, მათ მიჰყვნენ სხვებიც, ვარიანელების სიმპატია მისდამი უსაზღვრო იყო, არა მარტო იმი-

ტომ, რომ იგი გამოექცა, — ილიას სიტყვით რომ ვთქვათ, — ყოველად „გულქვას და აჯამს ბატონს“, არამედ უფრო იმიტომ, რომ სიმონი მეტად გამრჯე კაცი გამოდგა, მოხერხებული, დიდად გამჭრიახი და პატიოსნებით აღსავსე.

პატიოსანი მშრომელი სიმონის სახელი თანდათან იზრდებოდა სოფელში. მალე ის დაახლოვებია ადგილობრივ მღვდელს. როგორც თავისი საუკუნის ადამიანს, სიმონს ეკლესია ძალიან ყვარებია და მნათედ დამდგარა. შემდეგ დიაკვნისაგან შეუსწავლია ხუცური ანბანი და ჟამნის კითხვა. იგი იმდენად ნიჭიერი გამომდგარა, რომ მასწავლებლისთვის გაუსწრია და მღვდლის უურადღება მიუპყრია. წლის თავზე იგი თურმე სამოციქულოსაც კითხულობდა ჩინებულად. მღვდელსაც და მრევლსაც ძალიან შეჰყვარებიათ. გარდა ამისა სიმონს მშვენიერი ხმაც აღმოსჩენია. საეკლესიო საგალობელთა კილოები ჩინებულად აუთვისებია. ესეც ცოტაა, საეკლესიო საგალობელის შესრულების დროს დღესასწაულებში ჩვეულებრივ კილოებს გვერდს უხვევს და ასრულებს სხვანაირად, იმპროვიზირებული სახით, საზეიმო ელფერის კილოებით. ის აოცებს ხალხს, ხიბლავს მრევლს, მლოცველნი მას შეჰხარიან. მისი საგალობელნი იღებენ საკუთარ სახელწოდებას — „გოგებაანთ საგალობელი“.

სიმონი კარგა ხანს უცოლშვილოდ დარჩენილა. მას თვითონ ვარიანელებმა მიუთითეს სოფ. დირბში მცხოვრებ ბეჟან კალმახელიძის ოჯახზე. აქ სიმონი გაეცნო ყოველად სათნო მარიამს, რომელსაც შინაურობაშიც და სოფელშიც მაგდანას ეძახდნენ.

აი ამ ორი ადამიანისაგან — სიმონისა და ბეჟანიანთ მაგდანასაგან წარმოიშვა — იაკობი. ორივემ სათუთად ჩააქსოვა მას თავიანთი ხასიათი და მიდრეკილებანი პირდაპირობისა, უშიშროებისა და პატიოსნებისადმი. „მე არც ბატონი მინდა და არც მისი ნაფუძარი!“— ეს დევიზი იყო იაკობისა მთელს მის სიცოცხლეში. იაკობიც, როგორც სიმონი, ამპარტავანი იყო, რიხიანი, უშიშარი და პირდაპირ შემხლელი, პირშივე მთქმელი სათქმელისა, დედისაგან მან მიიღო კალმახელიძიანთ სიფიცხე და ამავე დროს განსაცვიფრებელი სიდინჯე...

სიმონ გოგებაშვილს ჰყოლია ექვსი ვაჟიშვილი და ორი ქალი-

შვილი. ძმებში ყველაზე უმცროსი — ალექსანდრე ძალიან ადრე გარდაცვლილა. სიმონს არ უზრუნია შვილების განათლებისათვის. ეს იმ ხანაში არც ისე დიდ მოთხოვნილებას შეადგენდა. მას მოუსურვებია შინაურულად მოემზადებინა შვილები და ყველანი მღვდელ-დიაკვნებად გაემწესებინა თვითონ ვარიანსა და მახლობელ სოფლებში. და მართლაც უფროს ვაჟიშვილს — ივანეს ბავშვობიდანვე ასწავლა გალობა, ჟამნისა, სამოციქულოს კითხვა. ბოლოს დიაკვნად დააყენა. დიაკვნად აღზარდა ანდრიაც. ზაქარიამ მთავრის ხარისხს მიაღწია. მხოლოდ დიმიტრი აღმოჩნდა ურჩი — მან სოფლის მეურნეობა აირჩია და მღვდელ-დიაკვნობის კარიერიდან შორს დადგა. საქმე იაკობზე მიდგა.

სიმონის შვილებში იაკობი ყველაზე სუსტი იყო აგებულებით, მაგრამ მეტად მკვირცხლი გონებიანი, პატარაობიდანვე ის მშობლების თაიგულია, ნამეტნავად დედისა. ბავშვის უჩვეულო მეხსიერება სრულიად ადვილად ითვისებდა აუარება ლოცვას, საგალობელს, ამას დაუმატეთ მისი ასაკისთვის გადაჭარბებული სიდინჯე და მაშინ ადვილად მიხვდებით, თუ რატომ შეჰხაროდნენ მასში მშობლებიც და ნათესავებიც არა მარტო ჩვეულებრივს ბერს, არამედ მომავალ მესვეტეს, რომელიც ერთ-ერთს უდაბნოს დაამშვენებდა, ამ შემთხვევაში მათ ამონიშნული ჰქონდათ შიო მღვიმის მონასტერი.

სოფლის ბიჭებში იაკობი ჯერ არ გადიოდა, მაგრამ თუ გავიდოდა მათი სული და გული იყო. შემოიკრებდა ყველას და ახარებდა რომელიმე ალექსიანის მოთხრობებით, ხშირად აცრემლებდა კიდეც. სოფლურ თამაშობასაც არ ეკრძალებოდა, ნამეტნავად სიმღერების ათვისებაში იჩენდა დიდ ნიჭს, უფრო სევდიანი კილოები იზიდავდა. იგი ანცვიფრებდა მსმენელთ თავისი „ოროველათი“, „გუთნურით“. „კალოურით“, „ურმულით“. თუმცა მშობლები უშლიდნენ, მაგრამ იაკობი მაინც ახერხებდა ღამღამობით გაპარვას ღამის მეხრეებთან; გლეხები მისი სული და გული იყვნენ, მათ მისდევდა ხვნაში, მკაში, კალოზე და ისიც მათ გვერდით აწკრიალებდა სათანადო სიმღერას.

სოფლის ბუნება დიდად იტაცებდა პატარა იაკობს, მან ჯერ არ იცოდა, თუ რა საშინელებას წარმოადგენდა მისი მშობლიური სოფელი, როგორც ჭაობების საბატონო და ციებ-ცხელების სამეფო. სიმ-

ღერებით დატყვევებული, მოჯადოვებული „ოროველას“ გრძნეულებით. ის ალიონზე უკვე ღამის მეხრეებში იყო, მისდევდა გუთნის დედას. ფეხშიშველი გადაირბენდა ჭაობნარებს, უჯდებოდა გუთნეულის უღელს და მღეროდა გატაცებით, თითქოს ჰიპნოზით შეპყრობილი, როგორც მინდვრის ტოროლა.

პატარა იაკობს ყვარებია ფშანში თევზაობა, თევზის დაჭერა. ყველას აოცებდა მისი უჩვეულო დაკვირვებანი. იგი თურმე შეკითხვებით უწყალებდა გულს მშობლებს, თუ რატომ იყო ასე ლამაზად დაწინწკლული კალმახი, რატომ იყო შავი და ულაზათო ღლავი, ან ასე ვერცხლისფრად მოკიაფე ლიფსიტა, ულვაშოსანი მურწა, ცხვირწაწვეტილი ციმორი, დახორკლილი კაპუეტი, ანუ „ლურჯა“, ხშირად რომელიმე დაჭერილ თევზს ისე გაუტაცნია დაკვირვების დროს, რომ უცბად ხელიდან გასხლტომია და ფშანის ზვირთებში გაქცევია. ამას იაკობი არ ნაღვლობდა, მას ის უხაროდა, რომ ყველა ჯიშის თევზისთვის განმასხვავებელი ნიშნები აღმოაჩინა, თუ რომელს რამდენი ფრთა ჰქონდა, რანაირი მოყვანილობა. ფერი.

მას ყვარებია, აგრეთვე სახლის წინ მოჩუხჩუხე ცივ წყაროს გვერდით ჯდომა და ფიქრმორეული მზერა. რაზე ფიქრობდა ამ დროს იგი?.. „ბუნების კარში“ ისე ლამაზად რომ აგვიწერს ორაგულის მოგზაურობას, ან პატარა ლიფსიტების ცხოვრებას, მათ დაზრდას, მჩქეფარე მდინარიდან მლაშე ზღვის ზვირთებში წასვლა-მოგზაურობას და შემდეგ იქიდან დაბრუნებას ქვირითის დასაყრელად,— ეს სულ ბავშვობის დროინდელი დაკვირვებიდანაა გამოტანილი...

...მაგრამ მამას იაკობის კარიერა მოსვენებას არ აძლევდა. იაკობი მას ესახებოდა მიტრამოსილ მღვდელმთავრად, დედას კი წინდაწინვე თავი მოჰქონდა იაკობის ასეთი განდიდებით საეკლესიო ასპარეზზე.

მაგრამ დედ-მამის აზრს არ ეთანხმებოდა თვითონ სიმონის უფროსი ვაჟიშვილი ივანე. ის ბეჯითად ადევნებდა თვალყურს თავის პატარა ძმას და დიდად შეუყვარდა იგი. მან პირველმა რეალურად დააყენა საკითხი იაკობის სწავლა-აღზრდის შესახებ: ბავშვი უკვე მეცხრე წელში გადავიდა და რას უპირებთო.

— როგორ თუ რას? — მიუგო სიმონმა, — აქ აღვზრდით, ვას-

წავლით წერა-კითხვას, ჟამნს, და შემდეგ თორმეტი წლისას გავისტუმრებთ შიო მღვიმის მონასტერშიო.

ივანე არ დაეთანხმა მშობლების ასეთ გადაწყვეტილებას, შეეკამათა: ბავშვს არ დაგაღუპვინებთო.

— მაშ რა ვუყოთ? — იკითხა სიმონმა.

— რა და ის, რომ ბიჭი სასულიერო სასწავლებელში უნდა მივაბაროთ... დაგვიანება აღარ შეიძლება.

მშობლებს გულს შემოეყარათ, ნამეტნავად დედას, ბავშვი სუსტია და ხომ დამეღუპა, უდედოდ ვერ გასძლებსო.

მაგრამ ივანე თავისას არ იშლიდა, მას უნდოდა, რომ მის ჰკვიანს და სათნოებით აღსავსე პატარა კაკოს (იაკობს) უსათუოდ ესწავლა. აქეთ მშობლები და იქით ივანე. სიმონი, რა ერთი დედამაც დაუჭირა მხარი, გაგულისდა, შვილს არავის დავანებებო, ჯერი თვითონ იაკობზე მიდგა. მან სურვილი გამოსთქვა სწავლისა:

— მე სწავლა მინდა, წამიყვანეთ გორში...

— მაშ დედა არ გყვარებია! — შესძახა მაგდანამ.

— არა, როგორ არ მიყვარს, მაგრამ სწავლა მწყურია... — მიუგო პატარამ და ცრემლმორეული დედას მოეხვია.

— თქვენ გინდათ, რომ ამ ბავშვის ცოდოში ჩავდგეთ ყველანი, — უთხრა ივანემ, — აგიტეხიათ — ბერი, ბერიო! დაე ისწავლოს და შემდეგ იქნება უარი არა სთქვას ბერობაზე, ანდა იქნებ უკეთესი გზა აირჩიოს, ვიდრე ბერობაა! მივაბაროთ სასულიეროში, გაიზრდება, დავაჟკაცდება, გზას თვითონ მონახავს. დღეგრძელი იყოს, ყველაფერს მოასწრებს, — არ უსვენებდა ივანე მშობლებს.

სიმონი მაინც დიდ უარზე იდგა, მაშინ ივანემ ყური აღარ ათხოვა მშობლების გადაწყვეტილებას, შეჰკაზმა ცხენი, ძალით წაიყვანა და მიაბარა იაკობი გორის სასულიერო სასწავლებელში. მშობლები თითქოს შეურიგდნენ ბედს, მაგრამ ეს იყო მოჩვენებითი, სიმონმა მესამე დღეს შეჰკაზმა იგივე ცხენი და ივანეს ჩუმად ჩაიჭრა გორში, იაკობი უკან შემოისვა და შინ დააბრუნა.

ივანემ სულ ცეცხლი წაიკიდა — ბავშვს ნუ ჰღუპავთო. მან მაინც თავისი გაიტანა, პატარა იაკობი თბილისში წაიყვანა და იქ მიაბარა სასულიერო სასწავლებელში.

მშობლები შემოსწყრნენ ივანეს, მაგრამ განვლო დრომ და იაკო-

ბის კარგმა ნიშნებმა და სწავლაში უჩვეულო წარჩინებამ დააზავა ყველანი.

თბილისის სასულიერო სასწავლებელში იაკობმა საყოველთაო სიყვარული და ყურადღება დაიმსახურა. იგი სახელმწიფო ხარჯზე აჰყავთ.

მაგრამ საკითხავია რას წარმოადგენდა იმ დროინდელი თბილისის სასულიერო სასწავლებელი? ნამდვილად კი ემსახურებოდა იგი თავის დანიშნულებას? ძალიან ნაკლებად! ახლა თითქოს იოლად გესმით „სასულიერო სასწავლებელი“, მაშინ კი იგი ნამდვილი საგიჟეთი იყო, უკეთ სამხეცეთი. ამ სასწავლებლის რაობის გასაგებად საკმარისია გავიხსენოთ ისეთი ალალ-მართალი და გულწმინდა ადამიანის აღსარება, როგორიც იყო ვასილ ბარნოვი. მან თავის პატარა აღსარებაში სასულიერო სასწავლებლის აღმზრდელთა მიმართ შემდეგი გამწარებული სიტყვა წარმოთქვა... ამ სასწავლებელში „იმდენად უზრდელად და ტლანქად გვექცეოდნენ, რომ იძულებული გავხდი ლიტერატურული ეთიკისათვის გადამეხვია და ჩემს „ქოჩორა ხეში“ მაშინდელ „აღმზრდელთა“ მიმართ გამწარებით წამომეძახა: „თუ აძაღლებაა სადმე, ამისთანა ადამიანები უნდა აძაღლდნენო“.

ვასილ ბარნოვი 17 წლით უმცროსი იყო იაკობზე. დრო და ჟამს თავისი მიჰქონდა, ყველაფერი უმჯობესდებოდა, მაგრამ სასულიერო სასწავლებელს არა ეშველა რა. ის ისეთივე დარჩა, როგორიც იაკობის დროს იყო, უკეთ—დაარსების დღიდან. სასწავლებელში გამეფებულმა სიმკაცრემ აიძულა მოსწავლეები, რომ მისთვის დაერქმიათ „ნორჩ სულთა საჯალათო“. მაგრამ ბარნოვი ამასაც ამბობს, რომ თუ სასწავლებელმა ბევრი დაღუპა და თავის მოკვლაზე ან გაქცევაზე აფიქრებინა, ზოგმა დასძლია ამ ჯოჯოხეთსაო. „რჩეულნი და დიდბუნოვანნი ბავშვები უძლებდნენ წამებას და ლახავდნენ სასწავლებლის შიგნით გამეფებულს სიმახინჯისა და სისაძაგლის ჯებირებსო“. იაკობიც რჩეულთა ასეთ რიცხვს ეკუთვნოდა. მან დასძლია ყოველნაირი სიძნელენი; უფრო მეტიც, მან პირველ მოწაფედ გაათავა სასწავლებელი, თუმცა სასწავლებელმა თავისი დაღი დაასვა და ფიზიკურად ძალზე გასტეხა, ავად გახადა, გააყვითლა, დააძაბუნა. დიაღ, დააძაბუნა, მაგრამ ის არ შეჩერებულა, — სწავლისადმი ლტოლვა

დიდი იყო, — მას უნდოდა განეგრძო სწავლა, როგორც ამის უფლებას აძლევდა სწავლაში დამსახურება და პირველი მოწაფის მოწმობა.

სასულიერო სასწავლებლიდან შემდგომი საფეხური სემინარია იყო. ორივე ეს სასწავლებელი ერთ შენობაში მოეთავსებინათ. თუმცა სემინარიის ყაზარმული რეჟიმის შესაცვლელად 1835 წელს ერთგვარი რეორგანიზაცია მოხდა, მაგრამ შიგ გამეფებულ ჟანდარმულ სულსა და ველურობას მაინც არაფერი ეშველა: იგივე ცემა-ტყეპა, უტიფრობა, უშვერი გინება, თმების ბღლვნა, „როზგი“, სიმინდის მარცვლებზე შიშველი მუხლებით დაჩოქება, კუთხეში დაყენება, იგივე ყველა საგნის სწავლება უცნობ ენაზე, დედა ენის დევნა. ყოველივე ამან ათქმევინა სწავლისათვის თავდადებულს, დიდ ენთუზიაზსტს და სემინარიის პირველ მოწაფეს, ფრიად ნიჭიერ ჭაბუკს— გიორგი ნიკოლოზის ძე იოსელიანს ჯერ კიდევ 1865 წელს, ისიც ოფიციალურ სამღვდელოთა ჟურნალ „საქართველოს სასულიერო მახარობელში“ შემდეგი გაბედული სიტყვა: „მოვა დრო, — უკივის იგი დედა ენის მაგინებელთა და მაწყევართ, — როდესაც ჩვენი შთამომავლობა თქვენს საფლავს ზიზღით დახედავს და დააფურთხებს!“.

იაკობს თვითონვე დიდად უკვირდა თავისი მოთმინება და ხუმრობით ერთხელ კიდეც შენიშნა თავის თავს აკაფისტიდან ამოღებული სიტყვებით: „დიდება მოთმინებასა შენსა, დიდება შენდა...“ მართლაც სადიდებელი იყო ამ მხრივ იაკობი, ის სრულს უდაბნოში გრძნობდა თავს, მაგრამ ყველას გაუძლო, გადალახა. ერთადერთი ნათელი პიროვნება მისი მასწავლებლებიდან დანიელ ჭონქაძე იყო. მაგრამ ის ოსურ ენას ასწავლიდა და არც გასაქანი ჰქონდა რომ ბავშვებისათვის სანუგეშო ეთქვა რამ. დასანანია, რომ იაკობმა, როგორც ჩვენმა დიდ მოღვაწეთა უმრავლესობამ, არ იზრუნა წერილობითი საბუთები დაეტოვებინა თავის თავზე და იმ გარემოზე, რომელშიც მას უხდებოდა ტრიალი. ერთადერთი ფანქრით ნაწერი ავტოგრაფი (ფოსტის ქაღალდის სამ გვერდზე მოთავსებული) რამდენიმე საყურადღებო და უძვირფასეს ცნობას იძლევა. იმ ფოსტის ქაღალდზე მოთავსებული ავტოგრაფის ცნობებიდან ჩვენ ვიგებთ, რომ იაკობს სემინარია პირველ მოწაფედ დაუმთავრებია 1860 წელს. შემდეგ გაკვრით გვაცნობებს პატარა დეტალებს, თუ როგორ მიიღეს კიევის

სასულიერო აკადემიაში, შემდეგ ნიკოლაძესთან შეჯახების პატარა ეპიზოდი... სულ ხუთ-ხუთ სტრიქონში ისეთ მკვეთრ შტრიხებს იძლევა, რომ გენანებათ, რატომ იძუნწა და უფრო მეტი არ დასწერა ამ დალოცვილმა...

* * *

სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ იაკობმა კიევის სასულიერო აკადემიის კარი შეაღო. აქ ეცნობა იაკობი გერცენს, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს...

იაკობმა აკადემიაში გადასწყვიტა, რომ ყოველმხრივ შეიარაღებულიყო არამზადა და კაციჭამია პოლიტიკოსების წინააღმდეგ გამოსასვლელად. ამ მხრივ მას ხელს უწვდიან სულის ახალი მეგობრები და გზას უჩვენებენ თუ რითი და როგორ ებრძოლა მას სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ესენი იყვნენ მისი ნამდვილი სულიერი მოძღვრები და მთელს ცხოვრებაში მისი უერთგულესი თანამგზავრები — ნიკოლოზ ივანეს ძე პიროგოვისა და კონსტანტინე დიმიტრის ძე უშინსკის თხზულებანი პედაგოგიური საკითხების ირგვლივ.

როგორც ვიცით, უშინსკი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა დედა ენას ბავშვის აღზრდა-განვითარების საქმეში. „მოსწავლის ნორმალური განვითარებისათვის უმთავრეს საგნად, დედაბოძად, რაზედაც აგებული უნდა იყოს ბავშვის სულიერი განვითარება და რომელზედაც უნდა დამყარდეს სავსებით სულიერი განძი, — არის დედა-ენა!“ რამდენადაც ამ იდეების ქადაგებით დიდ უკმაყოფილებას იწვევდა იგი ძველს პედაგოგიურ სამყაროში, იმდენად უფრო გატაცებით ითვისებდა მის აზრებს ახალი რუსეთის ჯანსაღი პედაგოგიკა. იაკობი დაუყოვნებლივ შეუდგა მისი შრომების შესწავლას. ერთი მხრით დარვინი, ჰუმბოლტი, ჰერბერტ სპენსერი, ჰეგელი, ბოკლი, ხოლო მეორე მხრით, პიროგოვი, პესტალოცი, და ნამეტნავად უშინსკი, — აი ის დიდი ავტორიტეტები, რომელთა მოძღვრება საფუძვლად უნდა დასდებოდა მის აზროვნებაში უკვე გაფიქრებულ „ბუნების კარს“ და ჩვენი ენის დედაბურჯს, იაკობის ნაოცნებარ „დედა ენას“!

აკადემიაში ყოფნის მესამე წლის დასაწყისს იაკობი ავად გახდა

და ექიმების კატეგორიული მოთხოვნით უბრუნდება მშობლიურ კერას.

სამშობლოში ჩამოსვლისთანავე, აკადემიის საბუთების მიხედვით, იაკობს ნიშნავენ კავკასიის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად, მაგრამ ეს დანიშვნა ნომინალური გამოდგა.

იაკობი ბრუნდება თბილისს და ახლა მას ნიშნავენ სასულიერო სასწავლებელში გეოგრაფიისა და არითმეტიკის მასწავლებლად (1863 წ.). პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობის დაწყებისთანავე იაკობი შეუდგა ზრუნვას, რომ სასწავლებელში გაამეფოს დედა ენა და ამ ენაზე მოსწავლეებს მისცეს სათანადო სახელმძღვანელოები.

იაკობის გამოჩენა სასულიერო სასწავლებელსა და შემდეგ სემინარიაში უაღრეს აღტაცებას იწვევს მოსწავლეებში. ნამდვილი სანადიმო ჩოჩქოლი შეიქმნა. „ყმაწვილებო, იაკობ გოგებაშვილი ჩამოსულა, იაკობი!“ — მხოლოდ ეს ძაწილი გაისმოდა სასწავლებელში.

იაკობმა შემოსვლისთანავე ყველაფერს თავისი მადლიანი ბეჭედი დაასვა: უწინარეს ყოვლისა სასტიკად აკრძალა მოსწავლეთა დასჯა, რაც სხვა მასწავლებლებს არაფრად ეპაშნიკათ. იგი სასტიკად სდევნის ძველ ჩვევებს, ამყარებს მამაშვილურ დამოკიდებულებას სასწავლებელში, იაკობის მეცადინეობით მალე საღვთისმეტყველო საგნების გვერდით საპატიო ადგილს იჭერს ბუნებისმეტყველებაც, სამოქალაქო ისტორიაც. ამაში ხელს უწყობს ის გარემოება, რომ იაკობს „სასწავლებლის ბიბლიოთეკის გამგებლობაც ჰქონდა ჩაბარებული“. იაკობი თვითონვე შერჩევით „ურიგებდა შეგირდებს ისეთ წიგნებს, რომლებიც ყველა მოსწავლისათვის გასაგები და მისახვედრი იქნებოდა“.

სიყვარულით იხსენიებს იაკობის მოღვაწეობას და მის დამოკიდებულებას მოწაფეებისადმი ნიკო ლომოური.

სემინარიაში გამეფებულ „ბარბაროსულ რეჟიმთან ბრძოლას“ ეხება აგრეთვე მწერალი სოფრომ მგალობლიშვილიც. ისიც ადასტურებს, რომ იაკობმა მოსპო არა მარტო „როზგი“, არამედ საზოგადოდ ყველანაირი ფიზიკური დასჯა“. ასეთი ტლანქი სასჯელების ნაცვლად იაკობმა „შემოიღო შეგნება, დარიგება, მამაშვილური დაყვავება“.

ასე იღვწოდა იაკობი პედაგოგიურ ასპარეზზე. ასე არარაობიდან და დაშლილ-გაპარტახებული სასწავლებლიდან მართლაც მან შეჰქმნა და სასწავლებელს დაამსგავსა სასულიერო სასწავლებელი. მან ბოლო მოუღო მრავალ არანორმალობას, ბავშვებს შეუქმნა „დედა ენა“, — გოგებაშვილის სიტყვითვე რომ ვთქვათ — „როგორც სულისა და გულის სახელმძღვანელო“ და „რუსკოე სლოვო“, როგორც გონების სავარჯიშო სახელმძღვანელო“, — ეს იმიტომ, რომ მან იცოდა, უდედაენოდ არავითარი წინმსვლელობა არ იქნება, ხოლო „ვინც დედა ენის გარდა სხვა ენა არა იცის რა, მან რიგიანად არც თავისი ენა იცის...“ ამ შემთხვევაში რუსულ ენას, როგორც დავინახეთ, იაკობი დიდ მნიშვნელობას აძლევდა და მთელი გულის სიწმინდით დასძენდა: „რათა ტაატით არ იაროს საქართველოს ეროვნების ეტლმა, ან არ გაჩერდეს ერთ ადგილას, საჭიროა მასში შევაბათ ძირში ქართული ენა და ყევრად მიუბათ რუსული ენა და შემდგომ სხვა ენები. მაშინ და მხოლოდ მაშინ, ეტლი ჩვენი ეროვნებისა ჯეროვანი სისწრაფით იცლის ცხოვრების გზაზე და მიაღწევს სამშვიდობოს სადგურს“.

იაკობის მუდმივი საზრუნავი სამშობლოს სამსახური იყო. აი, რას მოგვითხრობს სოფრომ მგალობლიშვილი თავის მოგონებაში:

„მის (იაკობის) ბინაში თავს იყრიდნენ ჩვენი უნიჭიერესი ახალთაობის ახალგაზრდა მესვეურნი: „დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, აკაკი, ანტონ ფურცელაძე, რომელიც „ზურაბ მოენიძის“ ფსევდონიმით გამოდიოდა, პეტრე უმიკაშვილი, ილია ჭავჭავაძე მაშინ თბილისში არ იყო. ჯერ არც ნიკოლაძე ჩამოსულიყო. მთელი მათი აზრი ტრიალებდა სამშობლო ქვეყნის, ენის, ლიტერატურის გარშემო!“

აქ, იაკობის ბინაზე მუშავდებოდა და ზუსტი განმარტებანი გამოჰქონდათ უცხო სიტყვებისა, ფართო მასების დასახმარებლად. პირველად იაკობის ბინა იქცა იმ ქურად, სადაც გამოიწრთო და ხალხს ეუწყა, თუ რა არის „რევოლუცია“, რა არის „კონსტიტუცია“, „რესპუბლიკა“, „დემოკრატია“ და მრავალი სხვა, რომელთაც მოქალაქეობა მოაპოვებინეს ქართულ ლექსიკაშიც და შეგვასისხლხორცებინეს იმდენად, რომ მათს უცხოობას უკვე აღარ ვგრძნობთ!.. იაკობ

გოგებაშვილის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებას.

დღიდან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებისა იაკობი მდევკაცად იქცა. ავადმყოფია, მაგრამ ის არაფრად აგდებს ავადმყოფობას, — ის იბრძვის, ის ცოცხლობს, ის მოქმედებს, ის ლაშქრობს ადგილობრივ პრესაშიც, ცენტრშიც, ის ამხელს ხელისუფლებას, ის თავისებური მეამბოხეა, ნაციონალური რევოლუციის ერთი დიდი მედროშეთაგანი. მას მოცალეობა არც კი აქვს, რომ შინ დაჯდეს: ამიერიდან მისი ოჯახი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაა. ისაა მისთვის ყველაფერი, საკუთარ ბინაზე მხოლოდ განსაზღვრულ საათებში ნახულობდნენ... გადაჭარბებულად არ უნდა მივიღოთ ვანო ავალიშვილის მოწმობა, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბინა იაკობის ოჯახად გადაიქცაო. ყოველ დილის ათი საათიდან მას აქ ნახავდით. ათი წუთითაც რომ დაეგვიანა, მაშინვე გამგეობა კაცს აფრენდა მის ბინაზე, ავად ხომ არ გახდაო!

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაკენ ჰქონდა მიპყრობილი იაკობს მთელი ყურადღება, პირველ რიგში მის გაძლიერებაზე ფიქრობდა. მთელი თავისი ქონება — სახელმძღვანელოებით შეძენილი 13 ათასი მანეთი ოქროთი—სულ მას უანდერძა. სიცოცხლეში კიდევ, ვანო ავალიშვილის მოწმობით, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოებაში ხანგრძლივად იყო წიგნის მაღაზიის გამგედ, იაკობი თურმე ყოველ სამ თვეში ერთხელ ახდენდა საკუთარი წიგნების შემოსავლის განაწილებას. მთელი თანხიდან ჯერ დიდ ნაწილს გადასდებდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის, შემდეგ სტიპენდიანტებისათვის და ბოლოს საქველმოქმედო მიზნებისათვის.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მისთვის ყველაფერი იყო, ის ოცნებობდა რომ საზოგადოება გარდაქმნილიყო ჩვენი ეროვნული მეობის განმტკიცებელ ბერკეტად.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით მოეწყო ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშთის გადმოსვენება განჯიდან.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ყველას აჩვენა, რომ 15 წლის არსებობის ა'პარეზზე იგი საკმაოდ გაზრდილა, საკ-

მაოდ ძლიერი და ეროვნული საქმიანობის ორგანო გამხდარა. ნიკო ბარათაშვილის გადმოსვენება მოეწყო გრანდიოზული სახით. გაზეთმა „ივერიამ“ დაგვიტოვა აღწერა გადმოსვენების პროცესიისა. აქ მკვეთრი შტრიხებითაა მოცემული ჩვენი საზოგადოების მესვეურნი: ილია, აკაკი, გ. წერეთელი; დეპუტატები ქუთაისიდან, სხვა ქალაქებიდან, მგალობელთა გუნდები, ზღვა საზოგადოება, ჩინებული წესრიგი, მგზნებარე სიტყვები და უგულითადესი პატივისცემა მგოსნისადმი, როდესაც მთელი საზოგადოება მუხლს იყრის კუბოს წინაშე. განა ერთხელ და განა ორჯერ, არაშედ ყველგან, სადაც გზადაგზა უხდებოდათ შეჩერება და სიტყვების თქმა. მთიდან კიდევ ვაჟას მქუხარე ლექსი ლაღი ირემის ეშხით გამოინავარდებს... ჭეშმარიტად დიდი მაესტროს ჯადოსნური ხელის გაქნევა იყო საჭირო, რომ ესოდენ გრანდიოზული სახე მიეღო ამ პროცესიას! აქ თქვენ გახარებთ ის გარემოება, რომ ამ პროცესიის ჯადოსანი მაესტრო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება იყო, რომელიც 15 წლის არსებობის იუბილეს ამ დიადი საქმიანობით აღნიშნავდა.

რომ პროცესია გარდაიქმნა ეროვნული გრძნობების დიად დემონსტრაციად, ეს ჩანს იქიდანაც,რომ ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენია იმდროინდელ ჟანდარმერიას, რომელიც 1894 წელს 7 მარტის თარიღით საიდუმლო მოხსენებით აცნობებს დეპარტამენტს, რომ ქართველებმა ვითომც „... განსაკუთრებული მიზნით მოთხარეს მიწიდან რაღაცა ძვლები და ეროვნული პოეტის ნეშტის სახით გადმოასვენეს თბილისში, სადაც ამ ნეშტს მიეგება მრავალათასიანი საზოგადოება და დიდი პატივისცემით და მოწიწებით მიაბარეს მიწას“.

სურათოვნად აგვიწერენ ამ ამბავს ჟანდარმერიის აგენტები:

„კუბო ხელიდან ხელში გადადიოდა. არა თუ ყველა წოდების პირნი ეცილებოდნენ ერთმანეთს მის წაღებაში, არამედ ქალებიც კი ცდილობდნენ, როგორმე რამოდენიმე ნაბიჯზე კუბოს გასვენებაში მონაწილეობა მიეღოთ. დედებს მოეყვანათ თავისი პატარა შვილები, აჩოქებდნენ კუბოს წინ და თაყვანს სცემდნენ კუბოს, როგორც წმინდანის ნეშტს.“

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლებს რომლითაც მალე საქართველოს ყველა კუთხე მოიფინა, იაკობი საკუ-

თარი თვალით ამოწმებდა, სად როგორ იყო სწავლის საქმე დაყენებული და ვაი იმ მასწავლებელს, ვინც ჯეროვნად თავის სიმაღლეზე არ იდგა!..

თუმცა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ისტორიაში ხშირი იყო, როგორც აღმავლობისა, ისე დაღმავლობის მომენტები, თუმცა საზოგადოებრივ მელანქოლიისათვის იაკობსაც შეუწევია თავისი ნაღვლიანი ხმა, მაგრამ, მას, იაკობს არასოდეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიმართ რწმენა არ დაუკარგავს, მუდამ ჯიუტი წარმოდგენისა იყო მის შესახებ, მუდამ მოკამათე, დაუღალავად მებრძოლი, მისი ქომაგი და მეპატრონე. იგი ყველას ავალდებულებდა საქართველოს დღეგრძელობის სახელით, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ გაეღოთ თავიანთი წვლილი“. მას სწამდა ამ საზოგადოების უმაღლესი მისია, მისი უმაღლესი მოწოდება. მახსოვს ერთხელ — წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, როდესაც სიტყვა ჩამოვარდა საზოგადოების ირგვლივ, იაკობმა ხაზგასმით აღნიშნა: „...ამ საზოგადოებას ყველამ უნდა შეუწყოს ხელი, განურჩევლად წოდებისა, მისი წარმატება საღმრთო მოვალეობად უნდა მიიჩნიოს ყველამო“.

* * *

იაკობის უკანასკნელი საცხოვრებელი ბინა იყო: ვეძინის ქუჩა, № 1, კუთხე. სახლი კომპოზიტორ ყარაშვილისა. მისავალი ვეძინის ქუჩიდან.

კარს შეაღებდით თუ არა, მისავლის ფართობი დიდ ოთახად წარმოგიდგებოდათ, რომელსაც ვეძინის ქუჩის მხრივ ფანჯარა ჰქონდა დაყოლებული. თუ გსურდათ ამ ფანჯრიდან გადაგეხედათ, საჭირო იყო კიბის სამი-ოთხი საფეხური მაინც აგეევლოთ.

ამ ფანჯრიდან მარცხნივ კიდევ ხუთიოდე საფეხურით შედიოდით სამზარეულოში, სადაც ცხოვრობდა მისი ერთგული მსახური და იმავე დროს კარგი მზარეული იაკობ გულუაშვილი, რომელიც თავდადებულად ემსახურებოდა მას.

შესავლის ცალ მხარეზე სამი თუ ოთხი საფეხურით მიადგებო-

დით კარებს, აქედან იწყებოდა დერეფანი, რომლითაც შედიოდით როგორც სასადილოში, ისე სასტუმრო დარბაზში.

დარბაზში შესასვლელთან ტანისამოსის დასაკიდი იდგა, რომელზეც შეამჩნევდით იაკობის მოსასხამს, მის განუშორებელ ქოლგასა და ჯოხს.

დაკეტვით მხოლოდ დერეფნის კარი იკეტებოდა, ხოლო სასადილოს კარი და დარბაზისა ზამთარ-ზაფხულ სულ ღია იყო. ამას განგებ სჩადიოდა იაკობი, რომ რაც შეიძლებოდა მეტი ჰაერი ჰქონოდა შიგნით.

მხარმარჯვნივ იაკობის სასადილო ოთახი იყო. აღსანიშნავია, რომ აქაც კი საწერი მაგიდა ედგა, როგორც დარბაზსა და დასაძინებელ ოთახში. საწერი ქაღალდი, ფანქრები, კალმები და წიგნები, ყველგან წიგნები.

იქვე იდგა ტახტი ზედ დაფენილი ხალიჩით, ორი მუთაქითა და თავბალიშით. ამ ტახტზე უყვარდა ხოლმე იაკობს წამოწოლა და დასვენება ყოველ ნასადილევს ან საუზმის შემდეგ.

მარცხნივ კედლის პირას იდგა უბრალო ჭურჭლის კარადა. ეს იყო ჩვეულებრივი სამზარეულოს კარადა ორი პატარა კარით და ერთი უჯრით. კარადას ზემოდან გადაფარებული იყო კეწკეწა მუშამბი ზედ გამწკრივებული ბორჯომის წყლის ბოთლებით, რაც იაკობს ღვინისა და წყლის მაგივრობას უწევდა. აი ეს კარადა იყო ასე ვთქვათ, იაკობის „ბუფეტი“. ამ ბუფეტის ახლო კუთხეში იდგა სასადილო მაგიდა ისე პატარა, რომ სამი სული ძლივს ეტეოდა პურის საჭმელად. მასზე ეფინა სუფთა თეთრი სუფრა.

ამ ოთახში იდგა ექვსი ვენური სკამი, საწერი მაგიდა და მის წინ მდგარი მშვენიერი სავარძელი.

სასადილო ოთახი იმავე დროს იაკობის სამუშაო ოთახიც იყო. მას სხვა კაბინეტი არ ჰქონია. საზოგადოდ მას არც ერთი ოთახი არ ჰქონდა ამორჩეული სამუშაოდ. ყველგან საწერი მაგიდები იდგა ხოლმე ზედ დალაგებული უხვი ქაღალდითა და გაწყობილი საწერ კალმით და ფერადი ფანქრებით. სადაც მოეხალისებოდა, იქ ჯდებოდა და მუშაობდა, მაგრამ უმთავრესად ისევ სასადილო ოთახს ეტანებოდა ხოლმე.

სასადილოდან ერთი კარით შედიოდით კარგა მოზრდილ ოთახში — ეს იყო იაკობის ბიბლიოთეკა. აქაც იშვიათ სისუფთავეს ნახავდით. გამწკრივებული კარადები სულ გადატვირთული იყო სხვადასხვა წიგნებით.

კლასიფიკაციის მიხედვით თითოეულ წიგნის კარადას თავისი დანიშნულება ჰქონდა. ყველაზე ხშირად იღებოდა პედაგოგიური ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების კარადა. რაც კი რამ ახალი ითქმებოდა რუსეთში პედაგოგიკის სფეროში, სულ აქ შეგეძლოთ გენახათ. მშვენიერი ყდებით იმზირებოდნენ მისი ცხოვრების უდიდესი თანამგზავრები — უშინსკი, პიროგოვი, პესტალოცი, კონდორსე, მაკოლეი, დარვინი, სპენსერი, ჟან-ჟაკ რუსო, დიდი უტოპისტებიდან აქ ადგილი ჰქონდა დათმობილი რობერტ ოუენს, სენ-სიმონს და მრავალ სხვათა.

მეორე კარადა დათმობილი ჰქონდა ისტორიულ წიგნებს, სადაც ნახავდით მიშლეს „საფრანგეთის დიდ რევოლუციას“, აგრეთვე მომზენს, დრეპერს, მაქსიმ კოვალევსკის, მარისა და ხახანაშვილის წიგნებს, ცაგარელის შრომებს, რაღა თქმა უნდა, აქვე ნახავდით, ვახუშტისაც, მარი ბროსეს, ქართლის ცხოვრებასა და სხვებს, ვინც კი საქართველოს ისტორიას შეხებოდნენ ჰეროდოტედან მოყოლებული დღემდე.

მესამე კარადაში ნახავდით მსოფლიოს კლასიკოსებს.

მეოთხე კარადა ქართველ კლასიკოსებსა და ჩვენს პერიოდიკას ჰქონდა დათმობილი.

კარადათა შორის იმდენი ადგილი იყო დატოვებული, რომ მხოლოდ ერთ კაცს შეეძლო თავისუფლად გავლა.

ამ ოთახშივე იდგა ორი დიდი ყუთი იაკობის სახელმძღვანელოთა კლიშეებით.

სასტუმრო დარბაზში ორი კარით შეიძლებოდა შესვლა: ერთი სასადილო ოთახიდან, მეორე — პირდაპირ დერეფნიდან. მისი მორთულობაც არ იყო მდიდრული, პირიქით, ძალიან სადა, შუა ადგილი ეკავა მაგიდას, გადაფარებულს სუფრით, აქვე ნახავდით ლომბორს, ორი ვენური ჩალის სავარძლით, სადა დივანს, შემდეგ კედელთან იდგა მაგიდა, რომელზედაც მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი

ჟურნალ-გაზეთები ელაგა. აქვე ნახავდით ძვირფას ალბომებს, რომლებიც საზოგადო მოღვაწეთა და მისი პირად მეგობართა სურათებით იყო სავსე.

დარბაზის ერთ კედელს ამშვენებდა სურათები, რასაც სხვა ოთახებში ვერ შენიშნავდით. შუა ადგილი ეკავა თამარ დედოფლის გრანდიოზულ სურათს, რომელიც ოქროს ჩარჩოდან გადმოიყურებოდა. მის თავზე განმარტოებით ეკიდა „საქართველოს დიდება“ საბინინის მიერ შესრულებული, ისიც ოქროს ჩარჩოთი. თამარს მარჯვნივ მისდევდა აკაკის სურათი, დიმიტრი ყიფიანი, გაბრიელ და ანტონ კათალიკოსი. მეორე რიგში ამ სურათების დაბლა მთავარი ადგილი ეკავა მეფე ერეკლეს სურათს. შემდეგ თვითონ იაკობის სურათი იყო საზაფხულო ტანისამოსში. განსაკუთრებით საპატიო ადგილი ეჭირა ილიას სურათებს.

„დიდების“ მარცხნივ მშვენიერი ჩარჩოდან გადმოიყურებოდა ეკატერინე გაბაშვილი: ეს გახლდათ ერთ-ერთი თანამედროვე ქართველი ქალის სურათი, რომელსაც იაკობი დიდ პატივსა სცემდა. აქვე ნახავდით „ქართველი მწერლების“ საერთო ჯგუფის სურათს, რომელიც ფოტოგრაფ მომცემლიძემ დაამუშავა. გ. წერეთელს, რაფიელ ერისთავს და ეგნატე ნინოშვილს, ამ უკანასკნელს დიდად აფასებდა იაკობი და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა კიდეც ისეთი სათუთი მიდგომით, რომ მის თავმოყვარეობაზე არ ემოქმედნა.

განსაკუთრებული კუთხე ჰქონდა საბინინისეულ ნინოს სურათს, რომელიც სამს მომენტს შეიცავდა: ერთი — ნინო ჯვრით ზედშეწნული საკუთარი თმებით, მეორე — ჯავახეთის გზაზე სიზმრად ღვთისმშობლის გამოცხადება და მესამეც — ნინო, როგორც მოციქულთა თანასწორი ანგელოზებით გარსშემორტყმული. ჩარჩოები ამ ლეგენდარული ქალისა ბზისა იყო, ოქროთი დაფერილი.

სასტუმროს დარბაზს სამი ფანჯარა ჰქონდა და ერთი შუშიანი კარები, რომლითაც გადიოდით ქუჩაში გადაკიდულ აივანზე. ეს კარები იშვიათად იღებოდა, უკეთ, რომ ვთქვათ, აღებდა მას მსახური, მხოლოდ მაშინ, როცა იაკობი სადმე წავიდოდა. იაკობს მისი გაღებისა ეშინოდა: გამკრავი ქარი იცის და გამჭვალავსო.

ფანჯრებს ფარდები არ ჰქონდათ ჩამოფარებული. თვითონ შუ-

შის კარებს კი კარგა სქელი ფარდა ჰქონდა გვერდით აწეული. ზამთრობით ეს მშვენიერი სქელი ფარდა ჩამოიშლებოდა და გაზაფხულამდე არც აიწეოდა, ისე უნდა ყოფილიყო, რომ სიცივეს არ შემოეტანა შიგნით.

სასტუმროდან შემოდიოდით დასაძინებელ ოთახში. აქაც სიმარტივესთან გვაქვს საქმე: არავითარი ზედმეტი მორთულობა, არც დიდი ნოხები. პირველად შენიშნავდით საწოლს, ცალკარიან უბრალოსა და შავად გაკრიალებულ განჯინას, და კიდევ ერთს კამოდს.

მისი საწოლის ერთ კედელს ამშვენებდა ფაბრიკული იაფფასიანი ხალიჩა. შეხედულებით საკმაოდ ლამაზი იყო ეს ხალიჩა. მაისის ვარდებით მოქარგული, მოორნამენტებული.

აქვე, ამ საწოლის თავთან, სადაც ბალიშები ეწყო, კედელთან ორ მინიატურულ სურათს შეამჩნევდით. მე მინახავს ეს სურათები. ჩემთვის უცნობი დარჩა — ვინ იყო მათი შემსრულებელი მხატვარი, არც შევკითხივარ იაკობს. ისე კი ძალიან მომწონდა. ერთი იყო „განთიადი“, ხოლო მეორე „დაისი“. წამოწოლისას იაკობს უყვარდა ამ სურათებზე თვალის მიშტერება, როგორც მისი ცხოვრების უძვირფასეს სიმბოლოებზე. პირველში უეჭველია ის გაიხსენებდა თავის ახალგაზრდობას, ხოლო მეორეში ხედავდა თავის ცხოვრების დაისს, რომლის მიბინდულ ჰორიზონტზე ჰაეროვნად ტივტივდებოდა მისი ჯვარცმათა დღეები, რაც განეცადა უკვე გარბენილ თავის გრძელსა და ეკლით მოფენილ ცხოვრების გზაზე, უღელში შებმულ სამშობლოს დიდ მწუხარებათა და დიდ ნაღველთა გასაქარვებლად რომ გადახდა ცარიზმთან და სინოდის ყვავ-ყორნებთან ბრძოლაში...

იაკობს შინ ვერასოდეს ვერ ნახავდით გამოწყობილს. ის იღვიძებდა დილის 7 საათზე. შინ ყოფნისას იაკობს მუდამ გრძელ ხალათში ნახავდით. დილითაც, სადილობის დროსაც და საღამოთითაც, ზამთარშიც და ზაფხულშიც.

იშვიათი გემოვნებით იყო ნაკერი ეს ხალათი. გრძელი, ჩამოშლილი კალთები კოჭებამდე სცემდა. წელზე შემოჭერილი ჰქონდა ფუნჯიანი აბრეშუმის ქამარი. ხალათის ორივე კალთა ამოქარგული იყო ცისფერი ნაზი ყვავილებით, რომლებიც წვრილი ხრახნილებით ერთმანეთს კოპწიად ეხლართებოდნენ. ასევე ლამაზი ყვავილების

ორნამენტებით იყო ნაქარგი ანაფორას მსგავსი ფართო სახელოები. მეტად მშვენიერი სანახავი იყო იაკობი ამ ხალათში, განსაკუთრებით დიდებული, როდესაც ჯიბეებში ხელს ჩაიწყობდა და ოთახში მოჰყვებოდა სიარულს.

სიარული ასე იცოდა: როცა კურსს რომელიმე ოთახიდან აიღებდა, პირდაპირ სასტუმროსკენ გასწევდა ხოლმე, იქიდან გაემართებოდა ბიბლიოთეკისაკენ, აქ თვალს მიმოავლებდა წიგნებსა და შეუჩერებლივ გასწევდა სასადილოსაკენ, შემდეგ ეწვეოდა დერეფანს და აქედან ტურნე იწყებოდა იმავე სასადილოში შესვლით, შემდეგ სასტუმროსა და ბიბლიოთეკაში, შემდეგ იწყებოდა ისევ დერეფანი, ისევ სასადილო და ასე შემდეგ.

იაკობს წოლა ეჯავრებოდა, უპირატესობას მოძრაობას აძლევდა. სიარულის დროს ხელები უკან ჰქონდა დაწყობილი და თავისთვის ღიღინებდა რაიმე სიმღერას. ნამეტნავად უყვარდა: — „შენი ჭირიმე გუთანო, ღირღიტავ ბანი უთხარო“, „ოროველა“, „ქალოური“.

დილის რვა საათზე უკვე ნასაუზმევი იყო.

დილის სამუშაო საათებში ის ან წერდა, ან კორექტურას ასწორებდა, ამ საქმეში იაკობი ყველას იშველიებდა: ასოთამწყობებს, გამოცდილ კორექტორებს, ამხანაგებს, ნაცნობებს და უცნობებსაც კი!

დილის საათებში თუ სამუშაო არ ჰქონდა, უსათუოდ ჟურნალ-გაზეთებს კითხულობდა. მის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, თუ გაზეთების კითხვის დროს არასასიამოვნო ცნობას ამოიკითხავდა, განსაკუთრებით ქართული ენის სწავლების დევნის გამო. სამაგიეროდ მოხდენილი პუბლიცისტური წერილის წაკითხვაზე სახე უბრწყინდებოდა.

თუ ამინდი კარგი იყო, გარეთაც გადიოდა სასეირნოდ, საღამოთი უსათუოდ თეატრს ესტუმრებოდა, თუ კრებაზე არ იყო მიწვეული, ან გადაუდებელი საქმე არ აიძულებდა შინ დარჩენას.

თეატრი და მისი ბედი იაკობის მუდმივ საზრუნავ საგანს შეადგენდა. დიდი ღვაწლი მიუძღვის მას ახალი თეატრის აგებაში, აგრეთვე დასის შესანახად სახსრების გამონახვაში და სხვა. ეს იმიტომ, რომ — იაკობის სიტყვით, „ეს ისეთი ადგილია, სადაც კვირაში ერთ

საღამოს გავატარებთ, მართლაც, როგორც მშვენიერი ხელოვნების ტაძარში, ვისიამოვნებთ ტკბილი ქართული ენით, რომელიც გაძევებული იყო ყოველგვარი დაწესებულებებიდან, დავსტკბებით ჩვენთა მსახიობთა ნიჭიერი თამაშით, ვნახავთ ერთმანეთს, მოვილაპარაკებთ დღიურის ჰირ-ვარამზე, გავაცოცხლებთ ერთმანეთს და ცოტათი მაინც განახლებულნი დავბრუნდებით შინა...“ ბოლოს ასე დასძენს: „გვახსოვდეს, რომ ყველა კერა ჩვენის ეროვნული ცხოვრებისა ამჟამად თითქმის გაუქმებულია და შემაერთებელ ცენტრად დარჩენილია ერთადერთი ეროვნული თეატრი და ნუთუ ეს კერაც უნდა ჩავაქროთ და გავაუქმოთ?! მაშინ, ხომ ცოცხალთა რიცხვიდან უნდა ამოვიშალოთ თავი და მკვდართა თანა ჩავირიცხოთ“.

მაგრამ დავუბრუნდეთ მის შინაურ ყოფაცხოვრებას, მის ჩვევებს.

იაკობს უყვარდა სტუმრები. მომსვლელთ იღებდა დღის 12 საათზე.

თუ იაკობი მხიარულ გუნებაზე იყო (მისი მხიარულების მიზეზი კი ქართველი ხალხისა და სკოლების შესახებ კარგი წერილის წაკითხვა იყო ჟურნალ-გაზეთებში), თავისებურად ქეიფობდა. — დღეს უნდა ვიქეიფოთ, — იტყოდა სადილის წინ, — ამიტომ ცოტაოდენი ნუნუაც უნდა დავლიოთო. და ღვინის ბოთლს შემოაცოცებდა, დიდის მზრუნველობით მოხსნიდა თავს, თავის ჭიქას ნახევრად წყლით შეავსებდა და ზევიდან ღვინოს უმატებდა. სტუმრისას კი მთლიანად ღვინით შეავსებდა. იტყოდა ჩინებულ სადღეგრძელოს და იმ ჭიქას მთელი სადილის განმავლობაში სვამდა...

იაკობის ღვინის სმის ამბავი საარაკოდ იყო გადაქცეული ჩვენს მწერლებში, ამიტომ იყო, რომ ვაჟაც, შიო მღვიმელიც, ია ეკალაძეც იაკობის დანახვაზე ოხუნჯობდნენ: არიქათ, ბიჭებო, იაკობი მოდის, არ დაგვინახოს, თორემ ადამიას სარძევეში დაგვპატიჟებსო.

დღის თორმეტ საათზე, თუკი იაკობს შინ მოსათავებელი საქმე არ ჰქონდა, უსათუოდ თავის „სატრფოსთან“ მიეშურებოდა პაემანზე — ეს იყო მისი გამოზრდილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

ამ წესს მხოლოდ გაზაფხულობით და კარგ დღეებში უხვევდა

ხოლმე: წერა-კითხვის საზოგადოებას ათ საათზე ესტუმრებოდა, დაჰყოფდა ერთ საათს, შემდეგ ადამიას სარძევეში მიდიოდა, ხოლო აქედან ალექსანდრეს ბაღში და იქ ჩრდილნარებსა და ყვავილნართა შორის ერთი საათი სეირნობდა, შემდეგ უბრუნდებოდა ისევ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და სადილობამდე იქ რჩებოდა.

ცხოვრობდა იაკობი ძალიან ხელმომჭირნედ. ის სულ ხალხისა და ნათესაობისათვის ზრუნავდა და ეს ზრუნვა, ეს სიყვარული გატაცებამდის მიდიოდა. ნათესაობა მისთვის უწმინდესი ცნება იყო. მას არ მოსწონდა ნათესავი, ვინც ცხოვრებაში ბედოვლათობდა, მაგრამ სიყვარული კი დიდი ჰქონდა. რამდენად იტანჯებოდა იგი, რამდენად ზრუნავდა ყველა ასეთის გამოსაბრუნებლად, ანუ „განსაკაცებლად“, როგორც იტყოდა ხოლმე იაკობი ასეთ შემთხვევაში.

ყველაფერი სხვებს და ნაკლებად თავის თავზე ზრუნვა — აი მისი დევიზი! „დედა ენაში“ ჩართულ ხალხურ შაირს:

„კაცი უნდა ხერხი იყოს,
გაჰქონდეს და გამოჰქონდეს,
განა კაცი ეჩო არის,
სულ თავისკენ მიითლიდეს“, —

იაკობი პრაქტიკულად ატარებდა ცხოვრებაში. მისი ნატვრა მუდამ ის იყო, რასაც მოხუცის ენით გვიქადაგებდა, როდესაც მისი „დედა ენით“ ვიზრდებოდით:

—

ნეტავი ჩემი სასახლე
მაღლა მთაზედა ამეგო,
გამვლელ და გამომვლელისთვის
ყველასთვის კარი გამეღო,
სიტყვა არვისთვის მეწყინა,
სუყველას გული მომეგო.
რაც მეშოვნა და მეპოვნა
სულ ღარიბებზე გადმეგო“.

და ეს მოძღვრებაც პრაქტიკაში ჰქონდა გატარებული იაკობს. ვანო ავალიშვილი, როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოე-

ბაში ხანგრძლივად მომუშავე და დაახლოებული იაკობთან, აი რა ძვირფას ცნობებს გვაძლევს: „იაკობი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში ყოველ სამ თვეში ერთხელ ახდენდა სახელმძღვანელოების შემოსავლის ანგარიშ-გასწორებას. უდიდესი ნაწილი ამ შემოსავლისა მიდიოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ძირითადი ფონდის გასაძლიერებლად, შემდეგ სტიპენდიებზე, საქველმომქმედო საზოგადოებათა დასაჩუქრებაზე, მახლობლებზე და ბოლოს ნარჩომს იტოვებდა, თუმცა ესეც თავის თავისთვის ენანებოდა და არა ერთხელ უკითხნია ჩვენთვის: საზოგადოების ფულს ხომ არ ვხარჯავო“.

საინტერესოა გავეცნოთ იაკობს, როგორც ბავშვების მეგობარს.

„მამა და დედა მპირდებოდნენ, — გვიამბობს ქრ. ბიბილურიკასრაძისა, — რომ ქალაქში კარგ პაპას მაჩვენებდნენ. გულის კანკალით ველოდი მასთან შეხვედრას. დადგა სანატრელი წუთებიც. მივედით მთაწმინდაში მის ბინაზე. ზარი დავრეკეთ. მსახურმა შიგნით შეგვიპატიჟა. ყველაზე ადრე მე მივირბინე კარებთან და გაღებისთანავე იაკობს შემოვეხვიე მუხლებზე პაპას ძახილით. მან მომიალერსა და მითხრა: პაპას ნუღარ დამიძახებ — მე შენი ძია ვარ! ის იყო და ის, იმ დღიდან მას იაკობ ძიას ვეძახდი... ძიამ ძალიან გაიხარა ჩვენი მისვლით. დედა და მამა მოწიწებით ექცეოდნენ. ძიაც განიხარებდა და იმ ღამეს არ დაგვრთო ნება, რომ სასტუმროში წავსულიყავით. აქ დარჩით, ამ ღამეს ჩემთან გაატარებთო.

მეორე დღეს ძია სულ თავს დამტრიალებდა, ჩაეცვა მიხაკისფერი გრძელი ხალათი, მომისვა გვერდით სავარძელში, მიალერსებდა და თან პატარა ლექსებს მასწავლიდა, ყურადღებას აქცევდა, რომელ ლექსს როგორ ავითვისებდი. მე „ყაყაჩოსა სიწითლითა“ უფრო გულზე მეფონა და სულ მალე შევისწავლე, ვიდრე „ვარდმა გასძახა ბულბულსა“. დღე რომ ძილი მომერია და დედამ დამაძინა, გაღვიძებისას ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. შემოვიდა ძია და ძალიან ბევრი პარკები და ყუთები შემოიტანა, პარკებში ხილი აღმოჩნდა, ერთ ყუთში შოკოლადის კამფეტები იყო, მაგრამ ყველაზე ძალიან გამახარა დიდმა ყუთმა. სიგრძითაც და სიგანითაც ის არ გავდა კამფეტების ყუთს.

— აბა, ჩემო გოგონა, გამოიცანი, აქ რა არის? — შემეკითხა ძია და მოღიმარე თვალებით დამაცქერდა.

მე ბევრი რამ დავასახელე, ხან ფეხსაცმელი, ხან საკაბე, მაგრამ ვერ გამოვიცანი, ბოლოს თვითონვე მიმახვედრა:

— ამისთანა რამ შენც გეყოლება სოფელში, მაგრამ ის შენი გაკეთებული იქნება, ეს კი ძალიან ლამაზია, კარგია, ახლა სძინავს და თვალები დახუჭული აქვს, არ გააღვიძო, თორემ უცბად შეეშინდება.

ძიამ დაიწყო ნელ-ნელა ყუთის გახსნა. როცა ყუთს თავი ოდნავ აუწია, კინაღამ შიგ ჩავუვარდი. იმან ხელახლად მითხრა — წყნარად, არ შეაშინოო. მეც თავი შევიკავე და როცა ჩურჩულით ვუთხარი „ძია ნელა, ჩქარა ნუ ახდი თავს, თორემ გაეღვიძება და შეეშინდება-მეთქი“, — გულიანად გადაიხარხარა.

ბოლოს, როგორც იყო ახადა თავი და რას ვხედავ: დედოფალა, მაგრამ რა დედოფალა! სიზმარშიც არ მენახა იმის მსგავსი!

ძიამ დედოფალა წამოაყენა. თვალები აუხამხამდა დედოფალას და წელში გასწორებისას ცისფერი თვალები შემომანათა. ხელიდან გამოვტაცე და გულში ჩავიკარი. დღედაღამ სულ გულთან მეჭირა, რომ არავის წაერთმია. ახლა ქალაქი აღარ მაინტერესებდა. მე მინდოდა ჩქარა სოფელში წავსულიყავი და იქაური ჩემი ტოლი გოგონები გამეკვირვებინა ამ მშვენიერი დედოფალათი“.

იაკობმა ეს დღე ბავშვის ბედნიერებით დააგვირგვინა, — იმ დღესვე წაიყვანა თავისი ძმისწული ნუშო და გოგონა თავისი დედოფალათი და მათთან ერთად თვითონაც სურათი გადაიღო „ამ ბედნიერი დღის აღსანიშნავად...“

იაკობი პატარა გოგონათი შემდეგშიც დიდად ხარობდა, განსაკუთრებით, როცა საპარქიო ქალთა საწავლებელში მიაბარეს იგი. მას ავადმყოფობად გადაექცა, რომ ის ყოველ კვირა დღით ინახულოს, მიუტანოს საჩუქრები, გაახაროს! ამ სასწავლებელშიც დიდად აფასებდნან იაკობს. მის მოსვლას პარადულ კანწყობილებით ხვდებოდნენ დაწყებული მასწავლებელთა პერსონალით და გათავებული დარაჯებით, ნამეტნავად მოსწავლე გოგონები, რომლებიც „იმ კარებისაკენ გაეშურებოდნენ ხოლმე, საიდანაც ელოდნენ მის შემოსვლას“.

იაკობს ძალიან აინტერესებდა სოფლის ცხოვრება და დიდ მზრუნველობას იჩენდა თავის მშობლიურ, მეტად ღარიბ სოფელ ვარიანის მიმართ. როდესაც მგზავრს ვისმეს ნახავდა, უსათუოდ ქინაქინს თან გაატანდა დიდი რაოდენობით, ვარიანელ გლეხებს დაურიგეთ, იქ ციება იცის, გაჭირვებულ ხალხს დაეხმარეთო.

იაკობი მეტად ძვირფასი ადამიანი იყო, ფრთხილი, თავის აზრს ათასნაირად ამოწმებდა, ცდილობდა ქართული ენის სიმდიდრის გამოჩენა-გამოვლინებას.

აი რას მოგვითხრობს ამის შესახებ დავით მონასელიძე:

„მე პატარა ვიყავი, მაგრამ მკაფიოდ მახსოვს, ზოგიც შემდგომ ჩვენიანებისაგან გამიგია, რომ იაკობი ჩვენს სოფელს კავთისხევსაც ეწვეოდა ხოლმე ზაფხულის დღეების გასატარებლად. მას ბინა ჰქონდა ესტატე მონასელიძესთან, მისი სახლი მშვენიერს ადგილს იყო აგებული და აივნით კავთურას გადმოჰყურებდა. იქვე წყაროა. კუნლის ბუჩქებით. ღამით და დილით ბულბულების სტვენა საამურად ავსებდა იქაურობას. იაკობს აი ამ წყაროსთან უყვარდა დილაობით და საღამოობით ჩასვლა. ესაუბრებოდა მოხუცებს, ესაუბრებოდა ბავშვებსაც და ზოგიერთ ფრაზებს უბისწიგნში იწერდა. მახსოვს, ერთხელ ასეთი რამეც ჩაიწერა:

„პირქვე ჩავეცი“, „გულაღმა დავეცი“... რად ჩაიწერა, ან რისთვის არ ვიცი. ზოგიერთი ჩანაწერი სიტყვების მნიშვნელობას შემდეგში მივხვდი, მაშინ კი ძალიან ვოცდებოდი...“

იაკობის უცილობლივ დიდ ღირსებას შეადგენდა მისი პირდაპირობა. მოურიდებელი კაცი იყო, სათქმელს უბოდიშოდ მოგახლიდათ. ამ მხრივ მას თავისი თეორია ჰქონდა, რომელიც ჩემის ყურით მომისმენია. აი ესეც: „მეჯავრება ადამიანი, რომელიც პირში გელაქუცებს და ზურგს უკან სამარეს გითხრის. მე პირდაპირ გამოსულ მტერს უფრო მეტად ვაფასებ, ვიდრე პირმოთნესა და ზურგს უკან შენს დამაწყევარს. ვაჟკაცი მუდამ პირში მთქმელი უნდა იყოს“.

იაკობი მამხილებელი იყო, მკაცრი, არა მარტო პირში თქმით, წერითაც, რაზედაც მისი შესანიშნავი წერილები მეტყველებენ.

კიდევ ერთი ხაზია აღსანიშნავი იაკობის ცხოვრებაში: ის უსაზღვროდ თავმდაბალი იყო და პატივმოყვარეობას არასოდეს არ დაუ-

ბრმავებია. როდესაც მას მეგობრებმა დაუპირეს იუბილეს გადახდა 40 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად, მან ხელები გაასავსავა: ეს როგორ შეიძლება, ჩვენს გვერდით ორი იალბუზია ილია და აკაკი, ჯერ ისინი დასდაფნეთ და შემდეგ, თუკი იალბუზის კალთასთან სერს შეუძლია გამოჩენა, ჩემთვის მაშინ მოიცალეთო.

აი ასეთი იყო იაკობი შინ თუ გარეთ, მტერთან თუ მოყვარესთან. ჰალსტუკში, საშინაო ხალათში, თავისთავადი, სპეტაკი, მოსარჩლე თავისი ერისა, ლალა ჩვენი საზოგადოებისა, კუშტი დარაჯი ჩვენი მეობისა და მასთან უაღრესად დემოკრატი.

* * *

სიბერე ნელ-ნელა შემოეპარა. სახის ნაკვთები დაურბილდა, მის მშვენიერს იშვიათ თვალებს ბინდი დაეტყო, მაგრამ მაინც ყველაფერს სჭვრეტს, არაფერი არ ეპარება. თანაც სიმძიმე მოერია. გარეთ გასვლა აღარ ეხალისებოდა. უფრო მოუხშირეს წერა-კითხვის საზოგადოებიდან მოკითხვას, მისი მარტივი პასუხი ერთი და იგივე იყო: „მადლობა ღმერთს, ჯერ კარგადა ვარ!“

იაკობი სერიოზულად ავად გახდა 1912 წლის მაისის 11-ს. ეს ავადმყოფობა მან სასწრაფოდ აცნობა თავის ძმისწულს შალვა გოგებაშვილს.

მას წამლობა დაუწყო ექიმმა ტიტე ჭიჭოძემ, თუმცა თბილისის ექიმები ერთმანეთს არ აცლიდნენ, რომ მოჭირნახულე დიდ მოღვაწისათვის სიცოცხლის დღენი გაეგრძელებინათ.

ავადმყოფს შალვას გარდა, მუდმივ თავს ადგა იაკობის ნათლული ნ. ცხვედაძის ქალიშვილი, ელენე, რომელიც „დიდ გულმტკივნეულობას და მზრუნველობას იჩენდა მისდამი“.

ერთ კვირა დღეს, როდესაც იაკობთან მივიდა ეპარქიალური სასწავლებლის მოწაფე, მისი ძმისწულის ქალიშვილი ქრისტინე ბიბილური, — ავადმყოფს თვალები გაუბრწყინდა. გოგონას ელდა ეცა, რად წევხარო. იაკობმა დაამშვიდა — საიმისო არაფერია, შენ რაღა ამბავს მატყობინებ, ჩემო ჩიტო ჩიტოლიაო! გოგონაც ატიკტიკდა, ბევრი რამ უამბო, ბევრი რამით გაახარა. უამბო ისიც, რომ სკოლის

უფროსი კლასის მოწაფენი ექსკურსიაზე მიდიოდნენ რუსეთში, ნახულობდნენ კიევს. კიევის გაგონებაზე იაკობი გამოცოცხლდა. გაახსენდა თავისი ყმაწვილობა, გატაცებით უამბო იქაური ცხოვრება, ისტორიული ძეგლები: „მე ძლიერ მიყვარს კიევი, უსათუოდ წადი...“ დარიგებაც მისცა, სად რა ენახა კიევში, რისთვის მიექცია ყურადღება, ბოლოს სთხოვა:

— შენს გაზრდას, მანდ გაზეთის დამატებაა და შიო მღვიმელის ლექსი წამიკითხეო. გოგონამ „სახალხო გაზეთის“ დამატება გადმოიღო, რომლის პირველ გვერდზე მოთავსებული იყო შიოს საუცხოო ლექსი „არწივს“ და ალმაფრენით წაიკითხა:

„არ შეგვიშინდე, არწივო,
რა დროს სიკვდილის ჯერია!
შავს ყორანს ჩახლეჩილის ხმით
რამდენჯერ დაუმღერია.
მაგრამ შენს დიად გულს და თვალს
მკაცრად რომ შეუბღვერია,
გაბრუნებული, წასულა,
როგორც მაცდური ფერია!

„როდესაც ამ ლექსს ვკითხულობდი, ძია იაკობს თვალები გაუბრწყინდა, სიამოვნებით იღიმებოდა, — განაგრძობს თავის მოგონებას ქრისტინე, — აი გავათავე კიდეც, მაგრამ ძიას, როდი უნდა ასე მალე შეწყდეს შიოს გულის ძაფებზე აჟღერებული გედის სიმღერა. კიდევ წამიკითხეო მთხოვა. მე ვიფიქრე ალბათ კარგი გამოთქმით ვერ წავიკითხე-მეთქი და შევეცადე მეორედ უფრო უკეთესად წამეკითხა. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, რომ ძიას გაბრწყინებული თვალები ნისლით შეემოსა, დარდმა დაზიდა მისი შუბლი და ღრმად ჩაფიქრდა. მე შევეკითხე: „ძია, როცა რუსეთიდან ჩამოვალ, თქვენ სად გნახავთ მაშინ? — აქ იქნებით, თუ ბორჯომში?“ მაშინ მან თავისი ნაღვლიანი თვალები კედლის ხალიჩის ყვავილთა თაიგულს მიაშტერა და მიპასუხა: „შენ რომ კიევიდან ჩამოხვალ, მე მაშინ ფუფალასთან ვიქნები“. მე გავუწყერი, რად ფიქრობთ მაგისთანა უბედურებას-მეთქი და დავიწყე ქვითინი. ძალიან შეწუხდა.

მოხუცი, მასვე გავუხდი გასაჩერებელი. დამიწყო დამტკიცება, რომ მე არ უნდა ვიდარდო ძიას დაკარგვა, ეს იმიტომ, რომ ბუნების კანონი ასეთიაო. შემდეგ მოყვა დარიგებას: „ძიამ თავისი მოვალეობა შეასრულა. 72 წელი იცხოვრა... იმისი ხნისა ნათესავებში აღარავინ არის“... ამას რომ ამბობდა, მარჯვენა ხელი გადმოეკიდა საწოლზე. მე დავიჩოქე, იმისი ხელი მივიხუტე გულზე და მხურვალედ დავიწყე ტირილი. ის აღარ ლაპარაკობდა, მხოლოდ მარცხენა ხელით ნაწნავები გამისწორა, გადამისვა თავზე, მომიალერსა და დამლოცა, სიტყვა ჩამომართვა, სასიქადულო დედა გამოდი, კარგი ოჯახი შექმენი, შვილებიც შეგნებულ ადამიანებად დაზარდეო. ჩვენი მძიმე მდგომარეობა ზარის ხმამ ჩასწყვიტა. ახალი მნახველები მოვიდნენ და მეც მეორე ოთახში გავედი.

ახალი სტუმარი იყო ნიკო ლომოური, სულიერად დიდად გაიხარა იაკობმა, არაჩვეულებრივად ესიამოვნა ნამოწაფარის ნახვა. გამოთხოვებისას ნიკომ ხელზე აკოცა, რაზედაც იაკობმა ღიმილით შენიშნა:

— ბლაღოჩინი ხომ არა ვარ, რომ ხელზე მკოცნი?

— რომელი ბლაღოჩინის ხელია ამაზე მადლიანი? — მიუგო ღრმა პატივისცემით და სიყვარულით აღსავსე ნიკომ და დაემშვიდობა.

ამავე დღის პირველი საათისათვის ღრმად ჩაიძინა იაკობმა. გამოღვიძებისას შალვას დაუძახა და პიჯაკი მოატანინა. ამოიღო კამოდის გასაღები და უჯრიდან ამოაღებინა მთელი შეკვრა ქაღალდებისა.

— მანდ არის ჩემი ანდერძი. დაჯექი, და ხმამაღლა წამიკითხე, მინდა შენი აზრიც გავიგო და შევამოწმო, ხომ არავინ გამომრჩა ან საზოგადოებას ხომ რამე არ დავაკელი? — შემდეგ უფრო დამშვიდებით გამოვეთხოვები ამ წუთისოფელს.

როდესაც შალვამ ანდერძი წაიკითხა, იაკობმა ფიქრებს აართვა თავი და ღრმად ამოიოხრა:

— მოვრჩი,მე ჩემი სამსახური ხალხის საქმისათვის, მისი სიკეთისათვის, რაც რჩება ჩემი სიკვდილის შემდეგ, დიდი ნაწილი უნდა ხალხსვე მოხმარდეს. მგონია, ნათესავებიც არ დამემდურებიან, ცოტ-ცოტა ყველას გავაწვდინე და არავინ გამომრჩენია. მხოლოდ ის მაფიქრებს, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ კარ-

გად მოუაროს ჩემს „დედა ენას“ და გონივრულად მოიხმაროს მისი შემოსავალი. თუ ახლა გადურჩი სიკვდილს, შეიძლება ცოტა შესწორება შევიტანო ამ მხრივ...

შემდეგ დამავალა: „ჩემი დაკრძალვა უსათუოდ უნდა მოხდეს ბესარიონ ღოღობერიძისა და ნიკო ცხვედაძის საფლავის გვერდით. მე ეს წერილობით ვთხოვე ლუარსაბ ბოცვაძეს თავის დროზე და გაფრთხილებული მყავს თალაკვაძეც“...

მე კიდევ შევტირე. აგრე რად მეუბნები-მეთქი, მაგრამ მან მბრძანებლური სახით შემომხედა და მითხრა:

— რასაც გეუბნებიან, გაიგონე! — გვერდი იბრუნა. ნაშუადღევის შემდეგ შენიშნეს, რომ იაკობს ენა ჩაუვარდა და 13 ივნისს (ახ. სტილით) დილის 6 საათისათვის იაკობმა სამუდამოდ დახუჭა თვალი“.

იმავე ღამიდან მთელი ათი დღის განმავლობაში გლოვის ზარი იდგა საქართველოში.

ათი დღე იგლოვა მთელმა საქართველომ თავისი დიდი მოამაგე. აუარებელი დეპეშა და სამგლოვიარო წერილი მოდიოდა საქართველოს ყველა კუთხიდან.

„ჩამორეკეთ, ჩამორეკეთ, ნუ დააყენებთ ზარებს, დაე ხანგრძლივად გვესმოდეს სევდის მომგვრელი ხმა“ — ასე მოსთქვამდა „ბათუმის გაზეთი“ და იქვე აგვიწერდა მძიმე სურათს, რომელიც შექმნილიყო სამგლოვიარო ამბავის გაგონებაზე: „ქუთაისის ქუჩებში არავის ემჩნევა მხიარულება. ყველა მწუხარებას მისცემია. ჩვენი მხცოვანი მგოსანი აკაკი ღრმად ჩაფიქრებული მიდის, მისი ნათელი ბადრი სახე მწუხარებას მოუცავს, აგერ ჩვენი ნიჭიერი ბელეტრისტი კლდიაშვილი დავინახე. ისიც დაღონებული გამოიყურება. ჩანს, რაღაც აწუხებს. ყველაფერს გლოვის ბეჭედი აზის. მოსწავლეთა ჟრიამული აღარ აყრუებს ბაღს. მოისმის ჩუმი, სევდის მომგვრელი, მწარე ფიქრების აღმძვრელი გლოვის ზარის ხმა, მდინარე ფაზისი აღარ რაკრაკებს. ისიც სევდას მოუცავს, ბუტბუტებს, მოსთქვამს.

რა ამბავია? წყეულმა სიკვდილმა მოგვიკლა, აღარ გვყავს ჩვენი მშობლიური, ტკბილი ენის მასწავლებელი იაკობი. მოკვდა საუკეთესო მამულიშვილი... ჩამორეკეთ... ჩამორეკეთ... დაე ისევ და ისევ ხანგრძლივად გვესმოდეს სევდის მომგვრელი ზარის ხმა...“

გლოვობდნენ პოეტები. ისმოდა ი. გრიშაშვილის კვნესა:

„ცას ლოყები დაეკაწრა,
ცა სტიროდა, ცა ჩიოდა,
ცა სტიროდა უხილავად,
მაგრამ ცრემლი არ ცვიოდა.
ცას ლოყები დაეკაწრა
ცას ჩვენს საფლავს, ცას მეწამულს,
ცა სტიროდა ამაყ მებრძოლს,
ცა სტიროდა ობოლ მამულს".

დასრულდა საყოველთაო გლოვა. დიდებული ცხედარი ჩაუშვეს საფლავს. დიდი მოჭირნახულე ადამიანის სახე გულში ჩაიკრა დიდუბის გალავანმა. ხოლო 1940 წლის 27 ოქტომბერს მადლიერმა შთამომავლობამ ნეშტი დიდებული ადამიანისა მიაბარა მთაწმინდის მიწას.

1940 წ.



„ბედნიერი მანდილოსანი“
ეკატერინე გაბაშვილი

ახელწოდება „ბედნიერი მანდილოსანი“ ეკატერინე გაბაშვილმა მიიღო 1911 წელს, მაისის პირველს, როდესაც ქართველმა ხალხმა ზეიმით გადაიხადა მისი 40 წლის სამწერლო მოღვაწეობის იუბილე.

„ბედნიერი მანდილოსანი!“ — ამის გამგონი ალბათ მოელის ლამაზ ზღაპრებს, სამაისო ლეგენდებს...

მაგრამ „ბედნიერი მანდილოსანი“ სწორედ ამ მხრივ არაა ბედნიერი. თვალი გადაავლეთ მის წარსულს, რამდენ გაუნაღდებელ თამასუქს წააწყდებით, ბედის მიერ აღთქმულ ეტრატებზე ჩამოწე-

რილს. იუბილემდე და შემდგომაც მისი ბედის საყურედ უფრო წამება-ტანჯვას ვხედავთ დანისლულ სხივით მოელვარეს, ვიდრე ბედობის ნებიერ ყურთუკს.

„ბედნიერი მანდილოსნის“ ცხოვრებაში ხშირად დამდგარა სასოწარკვეთილების წამი, როდესაც კალამი ემსხვრევა ადამიანს, მაგრამ ეკატერინე სწორედ იმით იყო ბედნიერი, რომ მისი ნებისყოფა ვერავითარმა გაჭირვების ქარიშხალმა ვერ დაამსხვრია. ბრძოლა საზოგადოებრივ სიბრმავესთან, ბრძოლა თამამი აზროვნებისათვის, ბრძოლა პრესის ჯალათობასთან, — აი ხვედრი ადამიანისა, ვისაც „ბედნიერი მანდილოსანი“ ეწოდა!

.სამოცი წელი ბრძოლა სამოღვაწეო ასპარეზზე და ალმასივით უდრეკელობა — ნუთუ ეს არაა ბედნიერება?!

ქალთა შორის უპირატესი, რომელსაც ჩვენი ერის მატიანეში პირველსა ხვდა წილად ერთი დღით შესვენება და დადაფვნა ულამაზეს თვეში ფურჩვნილ მაისში და ამის შემდეგ კვლავაც აფოლადებული იერით და ძველი ჯავარის კვერთხით გავლა მეწამულ ზღვაზე — ნუთუ ეს არაა ბედნიერება?!

მიბრძანდით მასთან და დატკბით მისი ენაწყლიანი საუბრით. უმზერთ და კვირობთ, უმზერთ და იხიბლებით, უმზერთ და ვერ ძღებით მასთან ბაასით...

„შრომის დედაბოძის განმტკიცება“, — აი ეს პაროლი მოგვცა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც შრომის სუფევაზე ლაპარაკი აკრძალულ დაფის საიდუმლოებას შეადგენდა. ხან სასტიკი ბრალმდებელი, ხან დიდი რეფორმატორი, ადამიანის პიროვნების დამცველი, გლეხკაცის ჭირვარამის შემცნობი... ტვირთმძიმეთა ნუგეშისცემა და ქალის უენო მონური მდგომარეობიდან გამოყვანა — აი პროგრამა, რომელსაც ავითარებდა „კონას“ და „თინას ლეკურის“ მთხრობელი „ბედნიერი მანდილოსანი“.

„არ არსებობს სამშობლოს ბედნიერება მშრომელი ხალხის ბედნიერების გარეშე!“ — აი, პირველი მუხლი „ბედნიერი მანდილოსნის“ ათი მცნებისა!

ამიტომაა, რომ მას ასე კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოების ფართო ფენა.

რა სასიხარულოა, რომ მზცოვანი „ბედნიერი მანდილოსანი“ ჟამთა სვლის სიავეს ზედ აბიჯებს და საუკუნის ჯაჭვთა მეოთხმოცე რგოლს ფოლადად ჰკვერავს, ჰკვერავს მტკიცე და შეურყეველი ნებისყოფით!..

„ვასო დაგვბერებია!“ — ასე შემომჩივლა ღიმილით ბედნიერმა მანდილოსანმა ბარნოვის შესახებ, როცა ხომლელს — რომანოზ ფანცხავას ვასაფლავებდით.

„ვასო დაგვბერებია... ვერის დაღმართამდე ძლივს მომყვა.. შემდეგ გაიქცა... მე კი ჩვენი მოღვაწე რომანოზი საფლავის კარამდე მივაცილე და აგერ, ეხლა თქვენთანაც ვსაუბრობ“...

და კვლავ მახვილი სიტყვით კენწლაობა, ისევ გულიანი სიცილი...

თქვენც ხარობთ, რომ მარილიანი იუმორით ასე ხალისობს მეოთხმოცე გაზაფხულის მნახველი — ბედნიერი მანდილოსანი!

ნუთუ ეს ბედნიერება არაა?!

მოგონების სიმთა შეთრთოლებაზე „ბედნიერი მანდილოსანი“ ხან მჭმუნვარეა, ხან სახე გაბრწყინებული. მის ლამაზ თხრობას ხელს არ უშლის წელთა დაზიდულობით დაბეთჰოვენება ჩვენი მწერლისა: ყურის ფარს პატარა სასმენი აპარატით შეარხევს, შემოგაცქერდება და თქვენს აზრს უმალვე იჭერს, ვიდრე ტუჩებით გასთქვამდეთ.

— ოთხმოცი წლის საზღვარს მივადექი, — ამბობს „ბედნიერი მანდილოსანი“, — მაგრამ ჩემი რწმენა ურყევია. ყოველ რევოლუციის ჩირაღს ვეთაყვანებოდი, განსაკუთრებით დიდ იმედებს ვამყარებდი და ვამყარებ ოქტომბრის რევოლუციაზე, რომელმაც წარმოშვა ახალი ადამიანები.

ჩემთვის, რასაკვირველია, პირველ რიგში იყო და იქნება ქალთა საკითხი.

ქალის მდგომარეობა ჩვენში მკვეთრად გამოხატულია ოჯახში. ქართველ ქალზეა ნათქვამი: „კაცის აშენებული ოჯახი დედაკაცმა დააქცია და დედაკაცისა — ეშმაკმაც ვერა“. ეს გვითითებს ქალის განსაკუთრებულ როლზე ოჯახის შექმნის საკითხში. სულ სხვაა ქალი უფლებითა და საზოგადოებრივი თვალსაზრისით. აქ ჩვენი ქალი

სრულიად უმწეო იყო, თითქმის უენო, როგორც ეს უკარნახა ოდესღაც ბარბაროსულად შემტკიცებულმა ჩვეულებამ, რომელიც მოითხოვდა, რომ ქალის არსებითი გრძნობა და ფიქრი სულ სხვის უფლებასა და განკარგულებაში ყოფილიყო. დღეს ამ მხრივ ჩინური კედელი გარღვეულია. ძველი უნარი და კალმის ცეცხლი კიდევ რომ შემრჩენოდა, მზად ვიყავი წარმომედგინა ახალი ტიპის „კონა“, ახალი სახის „რომანი დიდ ხევში“, ახალი „გურგენაულის ბაბო“...

ყოველივე ახალი აზრი მახარებს, მაღფრთოვანებს, არასოდეს დაღუპულ იდეათა რომანტიკოსი არ ვყოფილვარ, რომ წარსულის რესტავრაციაზე მეფიქრნა და „იმედები“ სხვადასხვა ქალწულებრივი სხივოსნობით შემემოსნა. მე მაინტერესებდა და მაინტერესებს თვით ეს ცხოვრება, რეალობა, აი ეს ახლა, აი ეს ადამიანები, თვითონ პიროვნება, თვითონ სოციალური ყოფაცხოვრება. ამის გარეშე კალამი მიჩლუნგდება, შემოქმედება უარს ამბობს თავისი სიტყვა სთქვას...

— ვის უნდა მიეწეროს თქვენში მებრძოლი სულის გამეფება?

— რა თქმა უნდა, მამაჩემს, რევაზ თარხნიშვილს, რომელიც იმ დროის კვალობაზე ფრიად განვითარებული და კაცთმოყვარე ადამიანი იყო. დედაჩემი ვახტანგ ბაგრატიონ-დავითაშვილის ქალი გახლდათ. ხუთი წლისა ვიყავი, რომ მომიკვდა, მაშასადამე, 1856 წელს. მამის ხელში ვიზრდებოდი, ძალიან მიყვარდა მისი საუბარი, ყველგან თან დავყავდი, მიხსნიდა ბუნების საიდუმლოებას, მასწავლიდა ისტორიას. 12—13 წლამდე გვერდიდან არ მიშორებდა.

შემდეგ წამიყვანეს თბილისში. მამას არ სურდა მაინცდამაინც ქალთა ინსტიტუტში ჩემი მიბარება, მაგრამ კენჭი ჰქონდა ნარგები და ძალაუნებურად მიმიყვანეს. ინსტიტუტში სახელმწიფო ხარჯზე მიმიღებდნენ, თუ გამოცდებს ჩავაბარებდი, სოფლად გაზრდილს ტანი აყრილი მქონდა. მართალია, რუსული ენა ვიცოდი, მაგრამ ქართული აქცენტით სასტიკად ვკვეთავდი. გამოცდების დროს ქვეყნის ნაწილები სხაპასხუპით ჩამოვთვალე. მასწავლებლები სიცილით დაიხოცნენ. არ მიმიღეს: წლოვანება, რუსული ენის კარგად არცოდნა და ვაჟური მეტყველება საკმაო საბუთად მიიღეს იმისათვის, რომ კარი მოეხურნათ ჩემთვის.

შემდეგ პანსიონები მომატარეს. პანსიონებში მადამ ფავრისა ამოარჩიეს.

მადამ ფავრის პანსიონი! თავს ნებას მივცემ მცირეოდენი ხნით შეგაჩეროთ.

ამ პანსიონში სწავლის საქმე ჯეროვან სიმაღლეზე იყო დაყენებული. მადამ ფავრმა თავი მოუყარა საუკეთესო მასწავლებლებს. ესენი იყვნენ: იაკობ გოგებაშვილი, ნიკო დედაბრიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო ინაშვილი და სხვები. ინაშვილზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება. ეს იყო პატარა, ტანდაბალი, ფერმკრთალი, ნაყვავილარი ახალგაზრდა, შავი მოელვარე თვალებით, ფრიად მგრძნობიარე და ნაზი, მეოცნებე, მორწმუნესავით ცისკენ მიპყრობილი თვალებით. ყოველი მისი სიტყვა გრძნობით იყო გამთბარი, სხივმფენი, მანუგეშებელი და შთამაგონებელი. მისი აზრით ქალი უნდა ყოფილიყო ქვაკუთხედი ჩვენი მომავლისა. უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა იგი ქალის როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მამაშვილური იყო ყოველი მისი სიტყვა. ეს პიროვნება გამოყვანილი მყავს მოთხრობაში. „სდუღს და არ გადმოდის“. მიუხედავად იმისა, რომ ცენზურამ სასტიკად დამიმახინჯა აღნიშნული მოთხრობა, მაინც აშკარად ჩანს, რა გულისტკივილი მაწუხებდა მისი დაწერის დროს.

„დედაკაცებს ეკუთვნით საუკეთესო ხანა ჩვენი ისტორიისა, დედაკაცებმა უნდა მოუტანონ ხალხს მომავალი, საოცნებო ცხოვრება და შვილების აღზრდით ქვეყანა უნდა აავსონ შეგნებული მუშაკებითაო“, — ამბობდა ინაშვილი. „ენის სიფაქიზე დედისგანაა. ყველა ეროვნების წარმომადგენელ ქალს ევალება თავისი ერის წესი და ჩვეულებანი მშობლიური ენით შეათვისებინოს შვილებს“. ასე გვწვრთნიდა ეს დაუღალავი მუშაკი, რომელმაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მატიანისათვის შეუმჩნეველად ჩაიარა...

როგორც მოგახსენეთ, მადამ ფავრმა პანსიონში თავი მოუყარა სულ მოწინავე ელემენტებს. იმ დროს პოლონეთის აჯანყება დამარცხდა. იქიდან ჩვენში გადმოასახლეს აჯანყების ხელმძღვანელნი. ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, პროფესორი გულაკი, ფავრმა მოიწვია პანსიონში მასწავლებლად. გულაკმა მშვენივრად შეისწავლა ქართული ენა და ლიტერატურა. განსაკუთრებით დაინტერესდა „ვეფხის

ტყაოსნით“. მახსოვს, ერთხელ საჯარო ლექციაც წაიკითხა, თუ არა ვცდები 1866 წელს. ლექცია შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „...ამნაირად, რუსთაველის პოემა საკაცობრიო პოემაა. მოვა დრო, როდესაც კაცობრიობა ხარბად დაეწაფება ამ უკვდავების წყაროს. ვწუხვარ, რომ თვით ქართველ ახალგაზრდობას ნაკლებად ასწავლიან დედა ენას და დიდი დაგვიანებით მოუხდებათ შეისწავლონ თითქმის დავიწყებას მიცემული ეს საკაცობრიო ძეგლი“... ამ ლექციის გამო გულაკს კინაღამ მასწავლებლობა აუკრძალეს.

ვერ დავივიწყებ იუშკოვსაც, რუსული ენის მასწავლებელს. იგი უკრაინელი იყო, კიევის უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტიკური დამნაშავე და გადმოსახლებული. ისე მშვენივრად კითხულობდა პუშკინს, ლერმონტოვს, განსაკუთრებით გოგოლს, თითქო მართლა სტუდენტებთან ჰქონდა საქმე და არა მოდის მიმდევარ პანსიონის მოწაფეებთან.

თვითონ მადამ ფავრი გვასწავლიდა ფრანგულ ენას, კეთილშობილურ მანერებს, მიხვრა-მოხვრას. გრაციით აღსავსე, შავს ფარჩის კაბაში მოკვალთული, არშიებით და ბლონდის ხვეულებით შემკული გულმკერდით ჩვენ გვასწავლიდა ჰაეროვან სილფიდის იერის დაჭერას, მისი მშვენიერების აღვისებას.

მაგრამ ფავრს მალე ჩამწარდა ასეთი გატაცება: თავისდა საუბედუროდ, პირველი გიმნაზიის დირექტორ ჟილიხევსკის რჩევით მან მოიწვია მასწავლებლად უკრაინიდან დევნილი სილიტრენკო. ეს იყო „საშინელი ადამიანი“, ანუ „ნიჰილისტი“, როგორც ამბობდნენ მაშინ; გაბანჯგლული თმით, თვალებზე წამოდგმულ სათვალეებით, ჰუჰუიანი ფრჩხილებით, და თავხედობამდე მისული უცერემონიო საქციელით. გაკვეთილების დროსაც კი მაგიდაზე ჯდებოდა და მოწაფეებს გვიყვებოდა ომახიანი ბოხი ხმით პანსიონისათვის შეუფერებელ ამბებს. თქმა არ უნდა, მადამ ფავრი ასეთ ურიგობას ვერ შეიწყნარებდა და, მართლაც, მალე პანსიონიდან დაითხოვა. განდევნილმა ნიჰილისტმა თავისებურად უპასუხა გაზ. „კავკაზში“ პატარა ფელეტონით, რომელშიც მადამ ფავრს „მადამ-ლული“ უწოდა, ხოლო მოწაფეებს „ლულისტები“. ფელეტონში მარილიანი იუმორით გამათრახებული იყო როგორც ფავრი, ისე მთელი პანსიონი.

ფავრის სახელი მოედო ქალაქს. გიმნაზიელებმა აგვიკლეს, მოსვენებას არ გვაძლევდნენ, დაგვცინოდნენ. ერთი სიტყვით, ნიჰილისტმა ნიჰილისტურად იძია შური.

* * *

პანსიონის დამთავრების შემდეგ ღირსებული მოწაფის სახელით დავბრუნდი ქორში, სადაც დავიბადე და ბავშვობის პერიოდი გავატარე.

გორი მაშინ ძლიერ ჩამორჩენილი ქალაქი იყო. კულტურული ცხოვრების ნასახი სრულებით აღგვილიყო. ქუჩებში ათასში ერთგან შენიშნავდით „ასტავკაში“ გამოსულ ჩინოვნიკებს, ან თავადიშვილებს. მათ ჰქონდათ დიდრონი შენობები. მთელი შემოსავალი და განუსაზღვრელი თავისუფალი დრო ერთმანეთის პატიჟში მისდიოდათ. მედუქნეები წვრილმანით ვაჭრობდნენ, ხოლო მაზრის სასამართლოს და პოლიციის მოხელენი ქალაქის კლუბში ბანქოს თამაშით იკლავდნენ თავს. ერთი სამოქალაქო სკოლა ჰქონდათ, ისიც ძლიერ მცირერიცხოვანი მოწაფეებით და თითო-ოროლა მასწავლებლით. ქალების სწავლაზე ხომ არავინ ზრუნავდა. აქ ძალაში იყო ისევ ძველი შეხედულობა, რაიც გამოიხატებოდა სალმრთო სჯულის წიგნების კითხვაში.

ჩემი აღზრდით და სწავლით ისეთი ადამიანი გამოვედი, რომელსაც ათასი ოცნება ეზმანება, ვიდრე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდოდეს. მასწავლებელ ინაშვილის ლანდი დამდევდა და თითქოს მთხოვდა მისი იდეალები გამეფურჩქნა. და აი, მეც უმალვე შემოვიკრიბე ახალგაზრდობა და ახალი მეთოდით დავუწყე წვრთნა. მალე სახელი გავითქვი ჩინებული მასწავლებლისა, ასე რომ სასტიკი კონკურენცია გავუწიე ეგრეთწოდებულ შინა ოსტატებს, რომელნიც ბავშვთა დამახინჯებას უფრო უწყობდნენ ხელს, ვიდრე მათს განვითარებას. ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ ქალაქმა დეპუტაცია მაახლა. გამეხსნა ქალებისათვის პირველ დაწყებითი სკოლა. ვინაიდან იმ დროს სამრევლო სკოლის გარეშე ფიქრი შეუძლებელი იყო და მთხოვნელებიც მეტწილად სამღვდელოება და ეკლესიის რწმუნე-

ბულნი იყვნენ, მეც ეკლესიის გვერდით მომიხდა სამრევლო საქალებო სკოლის დაარსება.

წლის დასაწყისშივე ყველაფერი მოგვარდა, ხოლო წლის დამლევს ჩემმა მოწაფეებმა საჯარო გამოცდაზე თავი ისახელეს. ამის შესახებ შესაფერი კორესპონდენცია აფრინეს „დროებაში“, ხოლო იქიდან გადმომიგზავნეს რამდენიმე ათეული წიგნი საზოგადოებაში გასავრცელებლად, თანაც მთხოვდნენ, გაზეთში მეთანამშრომლა დროგამოშვებით.

— ვინ გამოგეხმაურათ „დროებიდან“?

— ვინ იქნებოდა, თუ არა ჩვენი დაუღალავი პეტრე უმიკაშვილი! აი, ადამიანი საკმაოდ შეუფასებელი, მუდამ დიდად თავდადებული, უჩინარი და უანგარო მოღვაწე, რომელიც საზოგადოების განვითარებისათვის იკლავდა თავს. იგი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ყოველ საზოგადო მოვლენას და გულისყურით ეპყრობოდა ახალგაზრდათა გამოსვლას საზოგადო ასპარეზზე...

იმ ზაფხულს წავედი სოფელ ფლავში. მეტად მიკარგული სოფელი იყო, რაღაც ოციოდე კომლი მცხოვრებით. მამული აუარება ჰქონდათ, ჰქონდათ ტყეც. გლეხები ლაღობდნენ. მათ შორის გლახა და უსაქონლო არ მოიპოვებოდა. ყველა მხნედ, ვაჟკაცურად გამოიყურებოდა. დედაკაცებსაც დიდი უფლება ჰქონდათ მოპოვებული. აქ მეტი წილი ხიზნები იყვნენ, მაგრამ სითამამით და თავდადებულობით მკვიდრ მცხოვრებთ არ ჩამოუვარდებოდნენ.

სოფლის თავში, გორაკის კალთაზე გვედგა ორთვალიანი ხის სახლი, ჭედული. ერთ ოთახში ვცხოვრობდით ბებიაჩემი, მე და ჩემი ძმა. როცა მამაჩემი ჩვენთან იყო, ისიც ჩვენთან ბინავდებოდა. მეორე ოთახში გველაგა ბარგი. იქ მოთავსებული გვყავდნენ მოსამსახურე დედაკაცი და ბიჭი. ამ ოთახსვე ვხმარობდით სამზარეულოდ. არც ბაღი. არც დიდი კარმიდამო. ორთვალიანი სახლი, შიგნით და გარეთ გაულესავი, პაწია ფანჯრებით, ვიწრო აივნით და სამსაფეხურიანი კიბით.

გლეხები მიწურში ცხოვრობდნენ. ბინადრობას ერდოების ნაჭვრეტიდან ამოდენილ ბოლით თუ მიხვდებოდით. მიყვარდა, განსაკუთრებით პატარაობისას, ამ საკვამურებიდან ჩახედვა: ზე-

დიზედ მიყრილი ქალ-კაცი, საოჯახო ნივთები, აკვანი ბავშვით, კერა თავისი საკიდელათი, დიდრონი ჭდეული ძელებით, პირქვეწაყრილი კეცებით, კალთებწამოკეცილი დედაბრებით, ხის მაშებით, რომელსაც საკეცს ეძახდნენ. სადილობისას ხომ აუცილებელი იყო მზითვის ჭრელი სუფრა, ლურჯი ხალები, თუნგი და ხელსაბანი ტაშტი, შეჭამანდისათვის ჯამები, მაწვნის ქილები, ქოთნები, სადღვებელა და, იმავე დროს პატარძლის დაუღალავი ფუსფუსი, რომ ჯალაბობისათვის ყოველისფერი რიგზე და დროზე მიერთმია.

ფლავში იმ დროს არც ეკლესია იყო, არც დუქანი, არც სკოლა. გლეხების სალაყბო ადგილი კვირა-უქმეობით ჩვენს წინ გაშლილი პატარა მოედანი იყო. ჯერ კიდევ ბავშვობისას თვალი მიდევნებია, აივნიდან, დილაადრიან როგორ მოჰყვებოდნენ თავის მოყრას და გრძელ კომბლებზე დაბჯენილი სუფთად გამოწყობილი გლეხები რა ხალისით უსმენდნენ მამაჩემს სხვა ქვეყნებში უკეთესად მოწყობილი ცხოვრების შესახებ, კულტურულად განვითარებულ მეურნეობაზე, გაუმჯობესებულ ჯიშიან საქონელზე, სკოლაზე, სწავლის მნიშვნელობაზე და სხვა. და აი, როცა დავასაკდი, მამის ჩვეულებამ თითქოს ჩემშიაც გაიღვიძა.

ხშირად მნახავდით კალოზე, სიმინდის გარჩევაზე, ვიძენდი მეგობრებს სოფლის ქალებში, მეტადრე ახალგაზრდა ქალების განუშორებელი მეგობარი შევიქენი.

იმ ზაფხულს, მაშასადამე, 1869 წელს ფლავში მოვიდა სოფლის მღვდელი და ვიღაცა ორი მოხელე მოიყვანა სასკოლო ასაკის ბავშვთა აღსაწერად. ყველა უარყოფით შეხვდა. მე ჩემი გავლენით ვისარგებლე, დავტრიალდი სოფელში და ვეცადე, ყველასათვის შემეგნებინებინა სკოლის და განათლების აუცილებლობა და სიდიადე. ეს გარემოება კორესპოდენციაში ავწერე და გავუგზავნე „დროების“ რედაქციას.

გლეხკაცების აზრი სასოფლო სკოლაზე? გლეხებში გავრცელებული იყო ხმა, ვინც ისწავლის, უსათუოდ სალდათში წაიყვანენო. გლეხობა კინაღამ აჯანყებაზე გადავიდა. ჩემი გულისტკივილი კორესპოდენციაში ჩავაქსოვე. წერილი დაიბეჭდა 1870 წელს, ახალწლის დღეს.

ერთი კვირის შემდეგ იმავე „დროებაში“ ჩემი წერილის გამოვინმე დარია მამაცაშვილი გამომეხმაურა. იგი უზომოდ აღტაცებული იყო, რომ გლეხის ოჯახში შეეედი, შევიტყე მისი ავი და კარგი და გზა გავუთითე სინათლისაკენ. ასეთი გამოქომაგება გამარჯვებას მაგრძნობინებდა და მათამამებდა, შემდეგი ნაბიჯიც გადამედგა სამწერლო ასპარეზზე. აღარ დამიყოვნებია და მალე მთელი სერია სურათები დავსტამბე გლეხკაცების ცხოვრებიდან. აი, ასე დაიწყო ჩემი კალმოსნობის ისტორია.

პირველი ორი წერილის შემდეგ თბილისში ჩამოვედი. მეორე დღეს მეწვია პეტრე უმიკაშვილი. დიდი ქება-დიდება მიძღვნა, რომ გავბედე კალმის აღება; თანაც ლექცია წამიკითხა, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავი მომავალში: პირველ რიგში შეუწყვეტელი გონებრივი განვითარება და შემდეგ სინდისიერი აღსრულება ყოველი განზრახვისაო. თანაც თავისი გამოცემული „ვისრამიანი“ გადმომცა სათუთი წარწერით. ბოლოს გამომემშვიდობა და ერთხელ კიდევ შემნიშნა:

— ქალი! იცით რა არის ქალი ჩვენი ერისთვის?!. ქალის ხმა! ქალი მწერალი! რა დიდი რამ არის საქართველოსთვის, რამდენ აღთქმას შეიცავს იგი!

უწყინარი პეტრეს სახით თითქოს მკვდრეთით აღსდგა ჩემი სიყრმის პირველი მასწავლებელი ინაშვილი. ათასი მოვალეობის სიმძიმემ დამზიდა. ხალხის სამსახური უკვე მეძახდა. დგებოდა დიადი მომენტი ჩემი მოწოდებისა—ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა, ხალხის ბედნიერებისათვის თავის დადება, რასაც ჯერ კიდევ მამა ჩვილ კატოს გულში მინერგავდა.

* * *

იმ ზამთარს თბილისში ერთი საწყალი აზნაურის ცოლი მეწვია და მთხოვა მოენედ წავყოლოდი იმ დროს გამოჩენილ ვექილთან ი. პოლტარაცკისთან. აღმოჩნდა, რომ პოლტარაცკიმ ჩინებულად იცოდა ქართული ენა. მაგრამ ეს არაა საინტერესო. საქმე ისაა, რომ სწორედ აქ გავეცანი ალექსანდრე გაბაშვილს! შემდეგ შეხვედრისას

პეტრე უმიკაშვილიც შეგვესწრო. იმ დღიდან იგი ბევრს მელაპარაკებოდა გაბაშვილზე, როგორც საზოგადო მოღვაწეზე. პირველ ხანებში მეც იმდენად ვაქცევდი ყურადღებას, რამდენადაც კალმის კაცად მიმაჩნდა იგი. მისთვის არასოდეს არ შემიხედნია როგორც მამაკაცისათვის, რომელზეც ბედი მითითებდა, რომ მის მეუღლედ გავმხდარიყავ.

თბილისში ჩემი ყოფნა მეორე მხრითაცაა საინტერესო: იმ ხანებში თბილისის „კრუჟოკში“ ლექციებს კითხულობდა ცნობილი პროფესორი ივანე თარხნიშვილი. ალექსანდრე გაბაშვილმა გაცნობის მეორე დღესვე ბილეთები მომიტანა ლექციებზე დასასწრებად: კვირაში სამჯერ მოდიოდა ჩემს წასაყვანად. ლექციები დიდ გავლენას ახდენდა მსმენელებზე. „ნერვიული სისტემის აგებულება“—ასეთი იყო ლექციების თემა. მაგრამ მის მჭევრობას არც პოლიტიკური მხარე რჩებოდა უყურადღებოდ, რის გამოც მთელი აუდიტორია ოვაციებით ეგებებოდა, ყვავილებით უფენდნენ გზას, ხელსახოცს სტაცებდნენ და მის ნაკუწებს ურიგებდნენ ერთმანეთს, როგორც ძვირფას სახსოვარს. ამ ლექციებიდან გავიგეთ, რომ ქალებსაც გზა გვეხსნებოდა უნივერსიტეტში საექიმო განყოფილებაზე. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ლათინური ენის ცოდნა და გიმნაზიის სრული კურსის გავლა.

ამნაირად, თბილისმა საზოგადოებაში გამომიყვანა, თბილისმა მომცა ახალი პერსპექტივები ჩემი მომავალი ცხოვრებისა და უზომოდ მომაწყურა უმაღლესი განათლების მიღება.

• • •

თბილისიდან გორში დავბრუნდი. ტარანტასტი ნჯღრევით მოჰქროდა თოვლიან გზაზე. საშინლად ჰყინავდა. ძეგვში ჩამოვხტით. დუქანში გავთბით, ვისადილეთ, ცხენები დავასვენეთ და ისევ გავუდექით გზას. ძეგვიდან პატარა აღმართს რომ შევუდექით, ცხენებმა ფორხილი დაიწყეს გათოშილ გზაზე. ტარანტასს ძლივსღა სძრავდნენ. ურემი წამოგვეწია, რომლითაც ახლად ჯვარდაწერილი ნეფე-დედოფალი მოჰყავდათ ტოტებიანი გვირგვინებით. პატარძალი გა-

ყინულიყო, ძაგძაგით გვერდით მჯდარ დედაკაცს ეკვროდა. მთვრალი მაყრები რაღაზედაც ჩხუბობდნენ. დედოფალი მდადეს შესტიროდა. მაყრებმა არ შეიბრალეს: ურმიდან გადმოუყარეს სკივრი, მაფრაშა და დედოფალიც მიაყოლეს. ტარანტასიდან გადმოვხტი, ჩავერიე საქმეში, როგორც იყო, მოჩხუბარნი დავამშვიდე და მაყრიონი ისევ სიმღერით და ღრიანცელით გზას გაუყენე. ჩემი მოთხრობა „გაბედნიერება“ ამ შეხვედრის ნაყოფი იყო.

1870 წელს, 14 იანვარს, უკვე გორში ვიყავი. გორში იმ დროს მთელი არტილერიის ბრიგადა იდგა. ოფიცრებში ქართველებიც ერივნენ, პოლონელებიც. საკმაოდ განვითარებული ხალხი იყო. როცა გაიგეს ჩემი სურვილი — უნივერსიტეტში შესვლის შესახებ, ყველანი დატრიალდნენ, ხელი შემიწყეს, ზოგმა თავისი ცოდნით, უფრო კი უმდიდრესი ბიბლიოთეკით. ისინი ხარბად ეწაფებოდნენ ყოველ ახალ აზრს. მათი კერძო ბიბლიოთეკები ყველანაირ წიგნს შეიცავდა: ბოკლი, სტუარტ მილი, სპენსერი, ლასალი და მრავალი სხვა აქ გაფაციცებით იკითხებოდა. მამისგან ბუნებისმეტყველებისადმი მიდრეკილების განვითარება ჩემში ახალ ნაყოფიერ სარბიელს ჰპოვებდა. ზემოთ დასახელებულ ავტორებს გარდა აქ გავიცანი შოლეშოტი, ბრემი, ლამარკი, გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ბელინსკი, პისარევი, შემდეგ მიხაილოვსკი, ტურგენევი, დოსტოევსკი, ტოლსტოი, დოდე, ჰიუგო, ზოლა და სხვები.

თამამი აზრებით ქალებში მე და დიასამიძის ქალი ვერჩეოდით. მე თმაც შევიკრიჭე, რის გამოც ქართველმა „არისტოკრატიამ“ უსამართლოდ ამითვალწუნა. ნიჰილისტი მიწოდეს. როცა ალექსანდრე II ჩამოვიდა და მარშალმა ერისთავმა იმდროინდელ არისტოკრატ ქალებს მოუყარა თავი ნადიმზე დასასწრებად, მე გვერდი ამიქციეს ჩემი ნათესაობა, ნამეტნავად ბებია ბარბარე უყვედრებით მიკლებდა: „ეგეც შენ! აგერ, ამხანაგებსა და ტოლებში როგორ გამოგაკლეს!.. მისი აზროვნება ვერ ურიგდებოდა „გასათხოვარ ქალის ქუჩა-ქუჩა წანწალს, შუაღამემდე ვაუკაცებთან ჯიყჯიყს, წიგნების კითხვას“. ხშირად დაუკეტნია ჩემთვის კარი, მიქრობდა სანათს, წიგნებს მიხვევდა. აი ამ სინათლისა და სიბნელის ბრძოლაში მიდიოდა ჩემი ახალგაზრდობის დღენი.

ის პატარა ამბავი, რომელიც გავიხსენე თბილისიდან დაბრუნების დროს, სახელდობრ, ნეფე-დედოფლის და მაყრიონის შესახებ, სახელდახელოდ ავწერე და თბილისში დარჩენილ ჩემს ახლად გაცხობილ ალექსანდრე გაბაშვილს გავუგზავნე რედაქციაში გადასაცემად. ამ შემთხვევამ გაბაშვილს უფლება მისცა ჩემთან მიწერ-მოწერა გაემართნა. წერილებში სულ იმას მიქადაგებდა, რომ სოფლისთვის დიდი ყურადღება მიმექცია: „ყველაფერი სოფლისათვის!“ ეს იყო იმისი ხვეწნა, როგორც მესამოცე წლების ხალხოსნური იდეებით გამსჭვალული ადამიანისა. სოფლად კულტურული მუშაობა ყველაზე უდიდეს მოღვაწეობად მიაჩნდა მას. თანაც პროექტებს მაცნობდა, თუ როგორ უნდა გვემუშავნა სოფლად, როგორ მოგვეწყო რაციონალურად მეურნეობა, რაიც მისი აზრით, არა მარტო ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს გააძლიერებდა, არამედ თვით ხალხსაც საღათას ძილიდან გამოიყვანდა. გარდა მიწერ-მოწერისა, იგი მიგზავნიდა ჟურნალ-გაზეთებს, სადაც ის ათავსებდა წერილებს სამეურნეო კითხვების ირგვლივ. მისი ასეთი ზრახვები გულთან მივიტანე, თითქოს სულის მონათესავე ვიპოვე. ვოცნებობდი, მალე შევხვედროდი კიდევ, რომ პირადად უფრო ღრმად ჩავწდომოდი მის იდეალებს. უეჭველია, ამასვე ჰგრძნობდა გაბაშვილიც, რადგან ზაფხულის დამდეგს აღარ მოუცადა, რომ თბილისში ჩავსულიყავი, თვითონვე ამოვიდა გორში, ხშირი სტუმარი იყო ჩემი, რასაც შედეგად მოჰყვა ჩვენი შეკავშირება.

ამ გარემოებამ თან წაიღო ჩემი ოცნება უმაღლესი სწავლის შესახებ. ახლა უფრო მარტივი და კონკრეტული წინადადება წამოიყენა ცხოვრებამ: რაც შეიძლება მალე შევდგომოდით ხალხის დაახლოებას. ამ მიზნით გადავწყვიტეთ სოფლად მოგვეწყო თვალსაჩინო საცდელი მეურნეობა. იმ დროს ხელთ მქონდა 3.000 მანეთი, რაც გადავდე გაბაშვილის მიერ განზრახული ფერმის მოსაწყობად.

გათხოვების შემდეგ სოფელ ფლავში ავედი სოფლელებთან გამოსათხოვებლად. ეხლაც არ დამვიწყებია მძიმე განცდის წუთები. სადილი გავმართე. შემდეგ რკინიგზის სადგურისკენ გავეშურეთ. მთელი სოფელი უკან გამოგვყვა. ბალღებიც კი გულისტკივილით მოგვდევდნენ.

„ღმერთმა დასწყეველოს ის ჩვეულება, რომ ქალი უნდა ოჯახიდან წავიდეს და მამული კი ვაჟს დარჩეს“, — ტირილით ჩამჩურჩულა ჩემი სიყრმის მეგობარმა ბეჟიტაურის ქალმა: „რა ჰქენი კატო, რად დაანებე ჩემი პატრონობა ძმას? ან რატომ არ გვკითხე, ვის უფრო ვარჩევდით?!“. მეც გული ამიჩუყდა. იმაზე უფრო ვტიროდი, რომ მამა იქ არ იყო, რომ დავერიგებინე მაინც, შემდეგ კი აკი არ ავცდი მის მხილებას: „ვერ მოიქეცი, შვილო, კარგად, ძლიერ აჩქარდი, შენზე მონდობილი ოჯახი და ხალხის სამსახური პირადზე გასცვალე. მაგრამ რა ერთი გადასდგი ნაბიჯი, უკან ვეღარ გამობრუნდები“. ამიხდა სოფლის საყვედური, თან მომყვა მამის გულნაკლულოვანებაც. დღიდან გათხოვებისა დაიმარხა მთელი ჩემი ოცნება, კეთილშობილური ზრახვანი. ოჯახმა, ბავშვების აღზრდამ, ნამეტნავად სიკვდილიანობამ ერთობ გამანადგურა, დამავიწყდა ქვეყნიერება და ბრძოლა ხალხის ბედნიერებისათვის. ამ ხანში თორმეტი შვილი შემეძინა. თორმეტი პირი... თორმეტი წუხილი. სინანული... ათასში ერთხელ სიხარულიც გამოერეოდა, მაგრამ მხოლოდ ათასში ერთხელ!.. მართალია, მეოთხმოცე წლებში გაიხსენეს ჩემი ძველი დამსახურება და მეც თითქოს გამოვცოცხლდი, მაგრამ, ვიმეორებ, ოცი წლის სირბილი იყო საჭირო, რომ ყოველი ჭირი დამეთმინა და ისევ დავბრუნებოდი საზოგადოებრივ ცხოვრებას.

— თქვენ ბრძანეთ, მეოთხმოცე წლებში გამიხსენეს, რომ სამწერლო ასპარეზს დავბრუნებოდიო. ალბათ, ინიციატივა ისევ უმიკაშვილს თუ ეკუთვნოდა?

— არა, ამჯერად ვანო მაჩაბელი გამომეხმაურა. იმ დროს ილია ჭავჭავაძემ და სხვა მოღვაწეებმა მოისურვეს ჟურნალების — „ივერიისა“ და „დროების“ შეერთება, რომელიც შემდეგ ვანოს და ილიას რედაქტორობით გამოდიოდა. თვითონ მაჩაბელი პირადად მეწვია და მთხოვა, რაიმე მოთხრობა დამეწერა. „მე თქვენში მომავალ ბელეტრისტს შევხარი!“ — ეს სიტყვები ვანოს ეკუთვნის. გავხალისდი. წაქეზებამ „კონა“ დამაწერინა. მაგრამ პატარა ინციდენტი:

როცა „კონა“ მოვათავე, ფურცლები მაგიდაზე დავტოვე და

ბავშვებს მივუჯექი. მოსამსახურე გოგო რუსი იყო. მაგიდასთან მისვლისას შევნიშნე, რომ ნაწერის ნახევარიც აღარაა. დავიწყე ძებნა. გოგოს შევეკითხე. მან მიპასუხა, ჭუჭყიან ქაღალდებთან ერთად მოვსპეო... მეტი რა გზა იყო, მივუჯექი მაგიდას და ხელმეორედ დავწერე...

„ბედნიერმა მანდილოსანმა“ ახლა თავისი მოგზაურობა გაიხსენა დასავლეთ საქართველოში.

— დასავლეთმა საქართველომ ჩემს ოფიციალურ იუბილეზე ადრე შინაური იუბილე გადამიხადა 1880 წელს. ეს წელი დაუვიწყარია ჩემთვის. იმერეთის დასათვალიერებლად გავემგზავრე სწორედ ამ წელს. ქუთაისში დამიხვდა გიორგი წერეთელი. ყველანი ფეხზე დააყენა, ვუთხარ, გელათის ნახვა მენატრება-მეთქი. გიორგიმ მიპასუხა: „სწორედ კარგი დრო შეგირჩევია, ხვალ დღეობაა, ბერებმა კარგი ქეიფი იციან და ბევრს რამეს ვნახავთ!“ გავემართეთ. შორიდანვე ფუსფუსი შევნიშნე. ფანტაზია ათასი ცეცხლით ამეგზნო რიონის ლანდშაფტის ხილვის დროს. ვუმზერდი და ვიხიბლებოდი, ვუმზერდი და უსაზღვროდ ვტკბებოდი, მშვენიერებას ახალ-ახალი მშვენიერება სცვლიდა. აგერ, მივედით გელათშიც. მთელი ქვეყანა იქ დაგვხვდა. ზეიმი იყო. მართლა დღეობა მეგონა. შევხედოთ, დიმიტრი ყიფიანიც ამოგრიალდა. ნადიმი გაცხოველდა. ტოლუმბაშობა თვითონ გიორგიმ იკისრა. პირველად ჩემი სადღეგრძელო რომ დალია, გავეცდი, რა დროს ჩემი სადღეგრძელოა, როდესაც ამდენი პატივსაცემი ხალხია-მეთქი. სწორედ ეხლა გაშალა მოხდენილი სიტყვა გიორგიმ და მიმახვედრა, რომ დღესასწაული ჩემი სტუმრობის გამო იყო გამართული. მთლად დავიბენი. ესოდენ უზომო ბედნიერება არასოდეს არ განმეცადა. „რით დავიმსახურე, რით?!.“ — ვეკითხებოდი აღელვებით. გიორგი ენაწყლიანობდა: „თქვენი ქალობით, ქართველი დედობით, თქვენი კალმით... ქართველ ქალებში თქვენ პირველმა აიღეთ კალამი. ეს უკვე საკმარისია, რომ თაყვანისცემით მოგეგებოთ!..“

არა, ეს რაღაც არაჩვეულებრივი ამბავი იყო, ზეიმის ზეიმი! შემდეგში, 40 წლის იუბილეს გადახდის დროს, ასეთი განცდა აღარ მახლდა, თუმცა განზომილობით უფრო მნიშვნელოვანი იყო. ჩემთვის გელათის ექსპრომტი საუკეთესო ლექსია დასავლეთ საქართველოს გულიდან ჩემს გულში ჩანაპერწკლებული და მას, ალბათ მხოლოდ სიკვდილი თუ დამავიწყებს...

თქვენ ბიბლიოთეკას გიქებენ, არ შეიძლება როცა ჩემთან გამოივლით, თან წამოიღოთ ბალზაკი, ან ჰიუგო! აჰ, რა კარგად სწერდნენ ის დალოცვილები!..

მივხვდი, რომ დარბაზობას წერტილი დაუსვა. ბოდიში მოვიხადე. ზედმეტი კითხვებით აღარ მოვქანცე წელთა დაზიდულობით გამობრძმედილი „ბედნიერი მანდილოსანი“. ან რაღა უნდა მეკითხნა? საბავშვო ჟურნალებს როდის მოჰკიდეთ ხელი-მეთქი? განა თვით მე და ასიათასები იმთავითვე არ ვიცნობთ „ჯეჯილს“, „ნაკადულს“, სადაც თითქმის ყოველთვის ვკითხულობდით ჩვენი სიხარულის აღმაფრენელ მოთხრობებს! მეკითხა, საზოგადო საქმეებში როგორ როლს ასრულებდით-მეთქი? მაგრამ რომელი საზოგადო საქმე იყო, რომ „ბედნიერ მანდილოსანს“ გვერდი აერიდებინოს?! ბანკის კრებები, სკოლების საკითხები, რედაქციები, თეატრის აღორძინება, ძველი და ახლანდელი საზოგადოება, „ბედნიერი მანდილოსნისთვის“ გადაუდებელ საკითხებს შეადგენდა.

თავმდაბლობა, — აი კიდევ რა უნდა აღვნიშნოთ ეკატერინეში. მის თავმდაბლობას ახასიათებს ის გარემოებაც, რომ დიდი მოწიწებით იღებს ყოველგვარ შენიშვნას. შემთხვევით ხელში ჩამივარდა „დროების“ ერთი ნომერი, სადაც მისი პაწია მოთხრობაა დაბეჭდილი. გრიგოლ ორბელიანს ეს მოთხრობა შეუსწორებია მართლწერის მხრივ. ფანქრით ბევრი შენიშვნაცაა მიწერილი... „ბედნიერი მანდილოსანი“ მას ისე ინახავს, როგორც რელიქვიებს.

საბოლოო სიტყვისათვის ჩვენ არ გვჭირია გავიხსენოთ არც პირველი იუბილე, გელათის ნადიმზე წარმოთქმული სიტყვები გიორგი წერეთლისა და დიმიტრი ყიფიანისა, არც ოფიციალური იუბილეს დროს მირთმეული რეგალიები, დავკმაყოფილდებით

მხოლოდ სრულიად სადა, საახალწლო ექსპრომტით, რომელიც ეკუთვნის ნიკო დადიანის. დიახაც, ყოველად დარბაისლურს კალამს:

ქალია, მაგრამ ქალობა
მას როდი უშლის წერასა,
ღვაწლი მიუძღვის საფასი,
ვერ ვუკიჟინებთ ვერასა,
გულაგზნებული ესწრაფვის
დაობლებულთა შეელასა,
შესტრფის და სწყალობს კიდევაც
მშობელი ენის კერასა!



„არმაზის ძურწმი“

ვასილ ბარნოვი

ჯ მას წინათ „სახელგამში“ შევიარე. ნიკოლო მიწიშვილმა საუბარი გამიბა და შემდეგ ასეთი დავალება მომცა:

— კვირაში რამდენიმე საათი გასწირე, როგორც ფრედერიკ რეფერვმა, მიდი ჩვენს მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან და გადმომეცი ზოგიერთი შტრიხი მათი წარსულიდან, თუ აწმყოდან, მათი გულისტკივილი, დამიხატე რაოდენადმე მათი პორტრეტი, რომ შთამომავლობას საბიოგრაფიო მასალა მივაწოდოთ, კარგი?

— კეთილი!

ხელის ჩამორთმევას მოყვა პროგრამის შემუშავება.

პროგრამის პირველ მუხლში აღინიშნა ვასილ ბარნოვი, რომელსაც დაუყოვნებლივ სადარბაზო საათი გამოვთხოვე...

ოთხშაბათი, 8 თებერვალი, საღამოს ექვსი საათი. ბარნოვის ქუჩა № 14. კარს ვაკაკუნებ. მიღებენ. შევდივარ დარბაზში.

რამდენიმე წუთის შემდეგ გამოდის თვითონ ვასილიც. ღიმილი. მისალმება. თავაზი.

სიტყვა არ დაუძრავს და უკვე დაზიდული ვარ ულრმესი პატივისცემით. პატრიარქალური მეტყველება, მოღუშული ფიგურა, სათვალეების ქვეშ მკრთალავი ცოცხალი თვალები. მოგრძო და ხვეული წვერი, როგორც ბიბლიური რომელიმე წინასწარმეტყველისა, ბიბლიურობითვე დაფერილია მთელი მისი ქცევა: ზომაზე დინჯი.

— რისთვის გარჯილხარ, ჩემო დავით?..

— მე თქვენ გაგაფრთხილეთ, ბოდიშს ვიხდი თუ...

— ჰო, მართლა. მახსოვს... მაგრამ ვის რაში სჭირდება ან ჩემი წარსული, ან ჩემი აწმყო, ან ჩემი აზრები? ჩემი მოვალეობაა ერს მივცე, რის მიცემაც შემიძლიან და...

— კი, მაგრამ... ჩვენთვის ფრიად საინტერესოა ვიცოდეთ...

მაგრამ მტკიცება ამაოა, დიდი ნათქვამის კაცია. ისევ ხერხი. პატარა გახუმრება, გადაკვრ-გადმოკვრა და უნებურად სფინქსი აიდგამს ნელ-ნელა ენას.

* * *

პირველი რაც თვალში გეცემათ, მხცოვან ბელეტრისტს ნუ მოსთხოვთ რომელიმე ამბავის თარიღს.

„არ მახსოვს“ — გეტყვით.

მართლაც „არ ახსოვს“. მან სწორედ არ იცის დაბადების დღე, რომელ წელს გაათავა სემინარია ან აკადემია, როდის გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, უკეთესს გეტყვით, იუბილე როდის გადაუხადეს, ისიც არ ახსოვს... იცის, რომ ეს მისი ცხოვრების სარბიელზე მოხდა, მაგრამ არ ახსოვს რომელ წელს.

მის ბავშვობას, როგორც ჩანს, არ აზის აღტაცების ბეჭედი, მზიურ სიხარულს არ დაუკოცნია კისკისითა...

— დავიბადე სოფ. კოდაში.

— 1857 წელს, არა? — ვამხნევებ, რომ თარიღის გახსენებამ არ შეაშფოთოს, — ამას მაინცდამაინც მნიშვნელობა არა აქვს, ხელთა მაქვს თქვენი ოფიციალური ბიოგრაფია და ყველაფერს შევამოწმებ.

— კეთილი, კეთილი — ღიმილით დასტურსა მცემს. მცირეოდენ ფიქრს მიეცა, თვალები მილულა და შემდეგ განაგრძო: — ჩემს წინაპრებს სოფ. ბარნავში უცხოვრიათ. იქიდან გადმოსულან და ამიტომ უწოდებიათ ბარნაველები.

პატარაობა დედის კალთაში გავატარე. დედა ფრიად განსწავლული იყო იმ დროის კვალობაზე. მისგან შევისწავლე საღმრთო წერილი, ჩვენი მეფეების სახელები, ბიბლიური თქმულებანი, ძველი ხალხური ლექსები. დედისგანვე ვიცოდი თვლა, მთვარის ძველებური გამოანგარიშება, ზღაპრები, ლეგენდები... ყველაფერს ადვილად ვითვისებდი, ადვილად მემორჩილებოდა. ჭკვიანს მეძახდნენ, მშობლები ჩემს დიდს მომავალს წინასწარმეტყველებდნენ.

სოფლის ბიჭებში ნაკლებად გავდიოდი. ამიტომაცაა, რომ არ მახსოვს ჩემი ყრმობის ხანიდან რაიმე თვალსაჩინო ეპიზოდი.

უკვე თორმეტი წლისა ვიქნებოდი, როცა მამაჩემი ზაქარია გადაიყვანეს მღვდლად ერწოში, ხევსურთა სოფელ ტოლათში. აქ რამდენადმე გავერთე, ჩემმა ბავშვობამ ასე თუ ისე გაიღვიძა. შემიყვარდა კალოზე ჯდომა, გუთანზე სიარული, განსაკუთრებით ტყე. არ შეიძლებოდა ვინმეს წალდი და ნაჯახი აეღო და ტყეში წასულიყო, რომ მეც თან არ წავყოლოდი, მაგრამ არა შეშის საჭრელად, არამედ ტყის საიდუმლოებაში ჩასანთქმელად. გავდგებოდი განზე და ფოთოლთა შრიალში თითქოს ვისმენდი ტყის დედოფლებისა და ლამაზ ზღაპრების ასულთა ძახილს, მათ სიმღერებს.

აქ ერთი ამბავი მაგონდება: ტოლათში, როგორც ხევსურთა სხვა სოფლებში, ჰყავდათ საკუთარი დეკანოზი — ხუცესი, სახელად კურდღელა. კურდღელა მათი სალოცავის კოპალესი და იახსარის მთავარი მსახური იყო და ერთსა და იმავე დროს ხუცობდა

კიდეც და ყოველნაირ წარმართულ კულტს უსრულებდა მლოცველებს — თუ კურატის დაკვლის დროს, თუ ღრეობის გასატარებლად; იგი ზვარაკის შემწირველიც იყო, ქადაგიც და გამოცდილი მკითხავიც. ცხოვრობდა განდეგილად.

კურდღელას ერთი შვილიშვილი ჰყავდა, ქიტესა, სწორედ ჩემი ხნისა. ორთავე ერთგვარი სიყვარულით ვეპყრობოდით მას და პაპას ვეძახდით. რად? იმიტომ რომ იმასაც ვუყვარდით, არაფერს გვაკლებდა, განსაკუთრებით სულიერ საზრდოს ბლომად იძლეოდა; უკვე მოსუყებული ვიყავით ხევსურ გმირთა თავგადასავლებით, ქისტებთან გარდახდილ ბრძოლის ამბებით, ამ შავთვალას გატაცებით, იმ დალალკავას მიერ თხუთმეტი კაცის მოგერიებით, ლეგენდებით და სიმღერებით... ოჰ, ეხლაც კი გულს სევდა გამიელვებს ხოლმე, როდესაც გამახსენდება მისი უბედური დაღუპვა, ცოცხლივ ცეცხლის ალში ჩაწვა!

კურდღელა დედის შემდეგ ჩემი მეორე მასწავლებელი იყო, ბევრად მაღალი, ვიდრე ისინი, ვის ხელშიაც ბედმა და გარემოებამ ჩამაგდო, როდესაც თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიმაბარეს. იმდროინდელი ჩემი სულის ტრაგედია და იმავე დროს ტრაგედია მთელი ქართველი ბავშვებისა აღწერილი მაქვს აი ამ პატარა მოთხრობაში, რომელიც „მოამბეში“ დაიბეჭდა.

და მხცოვანმა ჩემმა მოსაუბრემ გადმომცა პატარა ფორმატის წიგნად შეკრული მოთხრობა „ქოჩორა ხე“.

— თქვენ ბრძანეთ, რომ თორმეტი წლის იქნებოდით, როდესაც დეკანოზ კურდღელასაგან ისმენდით „ამირანის“ ლეგენდებს, ანდა „ჯომარდისა“ და „ნამორდის“ ზღაპრებს, როგორც „ქოჩორა ხეში“ გაქვთ ნათქვამი. აღვადგინოთ, მანამდე მიბარებული იყავით თუ არა თბილისის სასულიერო სასწავლებელში?

— რამდენი წლისა ვიქნებოდი არ მახსოვს, ვიცი, რომ კარგა მოზრდილი ბიჭი ვიყავი. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, იმდენად გავმწარდი იმ ხანებში, იმდენად უზრდელად და ტლანქად გვექცეოდნენ, რომ იძულებული ვიყავი ლიტერატურული ეთიკისათვის გადამეხვია და „ქოჩორა ხეში“ ასეთ აღმზრდელთა შესახებ გამწარე-

ბით წამომეძახა: „თუ აძაღლებაა, სწორედ ამისთანები უნდა აძაღლდნენ“...

— ალბათ ძალიან გაგამწარეს...

— გამამწარეს და მერე როგორ, კინაღამ სწავლაზე გული ამაცრუებინეს, როგორც მრავალ სხვებს...

უმთავრესი რასაც ვერ შევგუებოდი, იყო ის, რომ მისველისთანავე ეგრეთწოდებული „ბუკვარი“ გადამაშლევინეს და უთავბოლოდ მათუთიყუშებდნენ: „ბრა-ბრი-ბრუ... გრა-გრი-გრუ... დრა-დრი-დრუ...“ და როდესაც მრავალჯერ ქოჩრის ამოგლეჯისა და როზგების მიღების შემდეგ ანბანს მოვრჩი, პირდაპირ კითხვაზე და გრამატიკაზე გადამიყვანეს. ცოცხალი ენის ნაცვლად უნდა გვებრუნებინა, ვთქვათ, თუნდა ეს: „პრეჟნაია ზაბავა“... ანდა მძიმედ უნდა ჩამომეთვალა: „ნა ალეუტსკიხ ასტრავახ ვოდიატსია ჩორნიე ი ჩორნობურიე ლისიცი“... ისტორიასაც ასევე: „ნავუხოდონოსორ ცარ ვავილონსკი რაზრუშილ იუდეისკოე ცარსტვო“... ყმაწვილო, სიზმარი რა არის, ტკბილი სიზმარი დამენატრა! ძილში და ცხადად შეშლილსავით ვიზეპირებდი და ვბოდავდი ჩემთვის გაუგებარ სიტყვებს. ასევე იტანჯებოდნენ ჩემი ტოლები. მახსოვს, და ეს „ქოჩორა ხეშიც“ გადავიტანე, ერთს ჩემს ამხანაგს, თმები როგორ დააგლიჯა და თავზე ჯოხი დაამსხვრია მასწავლებელმა, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მახვილი სწორად არ დასვა. გამხეცებულმა მასწავლებელმა ყურები დააგლიჯა საწყალ ბავშვს, ესეც არ აკმარა, როცა ბავშვი ატირდა, ჯოხი უთუთქა თავში და სისხლი გადმოადინა. გუნებაში ავტირდი ამ სურათის შემყურე და მოვყევ დედისგან შესწავლილი ფსალმუნის ღაღადს: „მიხსენ მე, უფალო, მტერთაგან და მდევართა ჩემთაგან განმარიდე მე...“

ჰეშმარიტად, იმ დროს უდიდესი „მტერი“ და „მდევარი“ თუ კიდევ ვინმე იქნებოდა ქვეყნიერებაზე, ვიდრე მასწავლებელი, ამას ვეღარ წარმოვიდგენდი...

ოდესღაც ლაღი, სწავლისათვის მეოცნებე, ეხლა კი დასეტყვილი ჩემი ყრმობის თავმომწონე ფანტაზია მობუზული, უჩინარად ჰქრებოდა.

ვინ იცის, იქნებ ბედგამწარებულს მრავალთა მსგავსად მეც დეზი მეკრა სასწავლებლისათვის, რომ ამ დროს ზედამხედველად არ დაენიშნათ იაკობ გოგებაშვილი!

ნათელი სახე!

უნეტარესი მოგონება!

შემოსვლისთანავე ყველაფერს თავისი მადლიანი ბეჭედი დასვა. უწინარეს ყოვლისა, სასტიკად აკრძალა მოწაფეთა ბარბაროსული დასჯა, რაიც სხვა მასწავლებლებს არაფრად ეჭაშნიკათ. ო, დიდი და ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდა ცხონებულს, რომ ნორჩ სულთა საჯალათო სასწავლებლისათვის დაემსგავსებინა.

გარდა ამისა, იაკობი სხვაფრივაც იყო აღსანიშნავი: კლასებში ამოგვირჩია მოწინავე მოწაფეები, თავისთან გვიბარებდა, ჯერ ჩვენ გვავარჯიშებდა და გვასწავლიდა გაკვეთილებს, რა თქმა უნდა, უსასყიდლოდ და შემდეგ გვთხოვდა, რომ ჩვენც ჩვენის მხრივ ჩამორჩენილები მოგვემზადებინა... ისე ვიგრძენით თითქოს გამოვცოცხლდით, თითქოს მზეს დავუბრუნდით მზის შვილები...

არა, როცა იაკობს ვიხსენებ, უნებურად გული მიტოკავს, ის ჩვენი სინამდვილისათვის გაცილებით დიდი ადამიანი იყო, ვიდრე ეს წარმოდგენილი გვაქვს...

რაკი მოგონებაზე მიდგა საქმე თავს ნებას მივცემ და პატარა ეპიზოდს გავიხსენებ ამ ბუმბერაზი პედაგოგის ცხოვრებიდან: წელი არ მახსოვს როდის იყო 1910 თუ 1911 ან 1912-ში. ეს კი ვიცი, რომ იაკობი მძიმე ავადმყოფი შეიქნა. ვინახულე. დიდად გაიხარა. უსაყვარლესი საუბარი, როგორიც შეიძლება წარმოვიდგინოთ აღმზრდელსა და აღზრდილს შორის, როცა ამაგი დაფასებულია, გამოთხოვებისას ტკბილი ამბორი. იტირა: „ვასილ, ეხლა სიკვდილისა აღარ მეშინია, — მეუბნება ერთგვარი სიამაყის შეგნებით და ვხედავ, თვალები კმაყოფილების ნაპერწკლებით უელვარებს, — მე მგონია ყოვლისფერი შევასრულე, სავსებით ვალი მოხდილი მაქვს სამშობლოს წინაშე". „არა, — ვეუბნები, — თქვენ კიდევ ერთი რამ დაგრჩათ გასაკეთებელი და ეს ხინჯად სდევს თქვენს უანგარო და ნათელს მოღვაწეობას". იაკობი აენთო, სძლია ავადმყოფობას და ნახევრად წამოიწია მჯექარე შეძახილით: „განა

რა დამრჩა, ჩემო ვასილ?!“ „რა და თქვენი საგანძურის გამომზეურება: ყველა ნაშრომის გამოცემა, შთამომავლობას სწყურია ვიხილოთ ყველა თქვენი თხზულებანი“... გულზე მოეშვა, წამოჭარხლებული სახე ისევ დაუამდა. უღრმესი მადლობით ჩამომართვა ხელი.

პირველი ტომი მისი „რჩეული ნაწერებისა“ ამ დარბაზობის ნაყოფი გახლავთ...

* * *

— რა თქმა უნდა, თქვენ სწავლას განაგრძობდით სასულიერო სემინარიაში. ეს რომელ წელს მოხდა? — ვეკითხები, თან ეშმაკურად მეღიმება.

— კიდევ თარიღი! ახირებული ხართ, ყმაწვილო! ოღონდაც, რომ სემინარიაში გადავედი, ეს იყო კუვშინსკის რეჟიმის დროს.

— კუვშინსკი?

— დიახ კუვშინსკი. ამ წყეულმა ბერ-მონაზონმა მთელი სემინარია უაზარმად გადააქცია, ყველაფერი ისე მოაწყო, რომ მოსწავლეთა გულიდან აღმოეფხვრა ყოველგვარი ნასახი ქართველობისა. სწავლა რუსულად, სიმღერა-გალობა რუსულად. მასწავლებელნიც რუსები, გარდა ერთ-ორი ქართველისა, რომლებიც ჩრდილებსავით დაჰკრთოდნენ და ოთხად იკაკვებოდნენ წელში უფროსის დანახვაზე, მაგრამ ეს რაა! კუვშინსკის მეთოდი მოსწავლეთა აღზრდისა ეს იყო მეთოდი სიმახინჯის და გარყვნილების; არასოდეს სემინარიის კედლებში არ გამეფებულა ჯაშუშობა და ბეზღობა ისე, როგორც იმ წყეულის დროს და არასოდეს იმდენი ახალგაზრდობა არ დაღუპულა ამ რეჟიმის გამო, როგორც მაშინ. ჟანდარმი აიმართა სასულიერო პირის სახით, ნამდვილი ბელზებელი!

საოცარია ადამიანის ბუნება, რამდენსაც მეტ უჯიათობას მიაყენებთ, იმდენს უკიდურეს შედეგს მიაღწევთ, ასე იყო მაშინაც კუვშინსკიმ ხომ აამყრალა იქაურობა, სამაგიეროდ წამოიზარდნენ ისეთნი, ვინც ამოღებულ მახვილსავით დატრიალებდნენ. უნდა გამოვტყდე: არასოდეს მებრძოლი არ ვყოფილვარ, მაგრამ არც ის მომხდარა, რომ ამხანაგებს რამეში ჩამოვრჩენოდი. კუვშინსკის

საპასუხო წრეში მეც ერთი თანამგზავრთაგანი გახლდით. უფროს ამხანაგებში მეთაურებად ითვლებოდნენ: სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური, დიმიტრი ბაქრაძე — ეს წრე ფრიად სახელგანთქმული იყო, დაუღალავი, მომქმედი...

ერთხელ, მაგონდება, ვანო მახარობლიძემ მოიტანა აკრძალული წიგნი, წიგნი ხელიდან ხელში გადადიოდა. ჩემი ჯერიც დადგა. მე აივანზე ვიყავი და სიარულით ვკითხულობდი წიგნს, ამ დროს შევნიშნე, რომ კუვშინსკი და მამა აბრამი აივანზე გამოვიდნენ. გზადაგზა მოწაფეები ლოცვა-კურთხევას იღებდნენ მისგან. არ მესიამოვნა მათი დანახვა, მაგრამ მაინც გული გავიმაგრე. უკან გაბრუნებაზე ფიქრი ზედმეტი იყო. ისევ წინ გავსწიე იმ მიზნით, რომ აივნის ბოლო კარით ეზოში ჩავსულიყავი. მივედი. სიურპრიზი — კარი დაკეტილია. მეტი რა გზა იყო, უკან გამოვტრიალდი და გამბედაობას მივანდე ჩემი გადარჩენა. როცა კითხვით დავუპირისპირდი მათ, ისე დავიჭირე თავი, ვითომც პირველად შემენიშნოს, წიგნი მოვკეცე, იღლიაში ამოვიდე და ღიმილით მივედი ლოცვა-კურთხევის მისაღებად. აბრამმა პირჯვარი გადამწერა. კუვშინსკიმ უქო ჩემი თავი. კიდევ თავაზი, ღიმილი და ნელ-ნელა უკან დახევით სხვა ამხანაგებს გზა დავუთმე.

ასე და ამგვარად ჩემმა გამბედაობამ სადებიუტო გამოსვლაში უინციდენტოდ გადამარჩინა.

— აკადემია?

— აკადემიაში შესვლა ერთი წლით დამიგვიანდა, თუმცა სემინარია საუკეთესოდ დავამთავრე. აკადემიაში სამი წარგვადგინეს. პირველ წელს მხოლოდ ორი მიიღეს. მე შემდეგ წელს მოვხვდი, ისტორიულ განყოფილებაზე, ლექციებს გვიკითხავდა ცნობილი ისტორიკოსი კლიუჩევსკი. დისერტაციად ავირჩიე პასკალის „პროვინციალური წერილები“ იეზუიტების წინააღმდეგ. მივიღე მაგისტრობა და მოსკოვშივე მთხოვეს დარჩენა, მაგრამ არ დავრჩი, გული საქართველოსკენ მეწეოდა. სენაკში მიკრეს თავი, მაგრამ ვიდრე იქ წავიდოდი, გავეცანი ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს და მასთან ერთად ვმუშაობდი არქივებში. მალე თბილისის სემინარიაში მომცეს აღმზრდელის თანამდებობა, ინსპექტორის თანაშემწედ; ასე რომ,

სენაკში სულაც არ წავსულვარ. მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდა რექტორ ჩუდეცკის მკვლელობა... ყველა ქართველი მასწავლებელი გამოგვრეკეს, მიგვფანტ-მოგვფანტეს; მე თელავში გადამიყვანეს, სადაც დავყავი მთელი 24 წელი. იქვე დავცოლშვილდი, ხოლო 1911 წელს თბილისში გადმომიყვანეს სემინარიაში ქართული ენის მასწავლებლად, შემდეგ სახალხო უნივერსიტეტშიც მიმიწვიეს ლექტორად, შემდეგ მიმიწვიეს მუშფაკში.

— საინტერესოა როდის გამოხვედით სამწერლო ასპარეზზე?

— სწორედ ეხლა მაგაზე მსურდა გადავსულიყავ: მწერლობა სოფლის კორესპონდენტობით დავიწყე სერგეი მესხის „დროებაში“, თუმცა აკადემიაშივე ხელი მივყავი სასულიერო ხასიათის მწერლობის თარგმნას. შემდეგ ორი მოთხრობა გადმოვაკეთე. ესენიც დაიბეჭდა. სერგეი მესხს პირადად არ ვიცნობდი. საზოგადოდ თვითონ მე ვერიდებოდი დიდი ადამიანების გაცნობას... ვთანამშრომლობდი „ჯეჯილშიც“, ვთარგმნე შარდენის მოგზაურობა ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ილიამ დამიბეჭდა „ივერიაში“, შემდეგ უმთავრესად „მოამბეში“ ვთანამშრომლობდი „ცნობის ფურცლის დამატებებში“ და ბოლოს არ ყოფილა ისეთი გაზეთი თუ პერიოდული გამოცემა. რომელშიც მონაწილეობა არ მიმეღოს.

პირველი საავტორო ჰონორარი მივიღე ასი მანეთი, იპ. ვართაგავას ხელით, რომელიც გადმომცა „გრდემლში“ დაბეჭდილ მოთხრობაში: „თებერას დანიშნული“.

* * *

შემდეგ ჩვენი საუბარი შეეხო ჩვენს დღევანდელ მწერლობას. მას არ მოსწონს ამდენ მიმართულებათა არსებობა.

— ეს სახიფათოა, ყმაწვილო, მეტად სახიფათოა! — მეუბნება, — მწერალთა კავშირი ამდენ მიმართულებათა გამო ფიქციად იქცა, ერთობის ნაცვლად მივიღეთ დაქუცმაცება და, რაც უარესია, ურთიერთისადმი უპატივცემლობა გავამეფეთ.

— უმიმართულებოდ არ ივარგებს, პატივცემულო ვასილ, მაინცდამაინც თქვენ ვის უჭერთ მხარს?

— სწორედ მოგახსენოთ, ჩემთვის მიმართულება არ არსებობს. მე ვიცი, მხოლოდ რომ ხალხს უნდა ვემსახურო და ყოველისფერი ხალხისათვის უნდა იყოს. ამიტომაა, რომ ჩემი რომანები უმთავრესად ხალხოსნურია, თვით ისტორიულებიც კი, რომელთა რიცხვი 20-ს აღწევს, ასეთი სულისკვეთებით მაქვს დაწერილი. ჩემი ნაწარმოებნი: „ამჭრის მშვენება“, „ისნის ცისკარი“, „მარგალიტის ცრემლები“, „ვაი შენს დამკარგავს“, ტკბილი დუდუკი“, „სადედოფლო სარტყელი“, „მტკვრის ვაჟი“ და ეს-ეს არის დასაბეჭდად გამზადებული „თეთრი გვირგვინი“, ამ თემას დასტრიალებს; თბილისის მეორმოცე წლები ისე მაქვს ამოკვეთილი, როგორც ბეჭედში. ჩვენი ოჯახი, მაშინდელი ბაზრობა, დღეობები, აღებ-მიცემობა, ერთი სიტყვით, იმ დროინდელი მაჯისცემა, ვფიქრობ, გადმოვეცი ობიექტიურად. ჰო, ეს რაზე ვთქვი? ჩემს მიმართულებაზე... მიმართულება, მაშასადამე, ხალხოსნური მაქვს, წერით კი წინასწარ განზრახვით არ ვწერ. ყოველისფერი თავისით მოდის. წერის დროს ისე ვგრძნობ, თითქოს ხორცშესხმული გმირები დგანან, მოქმედებენ, მათი ხმა მესმის, როგორც სცენაზე გამოსული აქტიორებისა...

* * *

...მოსაღამოვდა. ფანჯრის რაფიდან დაწვნენ ჩამავალი მზის იისფერი სხივები. პაემნის დრო ამოიწურა. ოთახში ჩამოწოლილ ბინდბუნდში ვასილ ბარნოვი უძრავად იყო გამოკვეთილი და რატომღაც თვალწინ წარმომიდგა არმაზის ქურუმი, თმადათოვლილი, სპეტაკი და დიდბუნებოვანი...

...ქუჩაში გამოსვლისას ღრმად ჩავისუნთქე გრილი ჰაერი და ფიქრით დამძიმებული გავყევი გზას შინისკენ. მივდიოდი და თან მიმყვებოდა მხცოვანი მოხუცის რაღაც უხილავი „მიმქრალი შარავანდედი“...



პირველი რომანისტი ბანოვანი

ან. ერისთავ-ხოშტარია

ვიდი ხანია მსურდა ახლოს გამეცნო ჩვენი უხუცესი მწერალი ანასტასია ერისთავ-ხოშტარია. ეს სურვილი განვახორციელე 1944 წლის ივლისში. ვინახულე საკუთარ ბინაზე. ჩემი მისვლა ეუცხოვა.

— ჩემთან ისე იშვიათად დაიარებიან... — სთქვა მან თითქოს მობოდიშებით.

ბედზე მწერალთა კავშირიდან წამოღებული მქონდა საანკეტო

ფურცელი და ეს მოვიმიზეზე, კავშირის დავალებით ანკეტა უნდა შემივსოთ-მეთქი. ბოლოს ჩემი დარბაზობის ნამდვილი მიზანიც გავაცანი. ანასტასია დაფიქრდა:

— ვისთვის რა საჭიროა?!. — სთქვა მან, ცოტა ხნის შემდეგ კი დასძინა: — ახალ მოთხრობას ვწერ, რომელსაც ავტობიოგრაფიული ხასიათი ექნება.

— სახელდობრ? — შეეკითხე ანასტასიას.

— ეს გახლავთ „სალი“, რომლის პირველი ნაწილი „მნათობში“ გამოვაქვეყნე. დღეს-ხვალ მეორე ნაწილსაც მოვათავებ და „მნათობს“ გადავცემ. იმედია, მასპინძლობას გამიწევეს.

— რაღა თქმა უნდა, — დავეთანხმე ანასტასიას, — მაგრამ ჩემთვის და, საზოგადოდ ქართული საზოგადოებისათვის „სალი“ მაინც მოთხრობად დარჩება. თქვენი „სალი“ ადგილ-ადგილ დამუქებულია, მემუარებად ვერ გამოდგება. მართალია, დაგვეხმარება ბიოგრაფიის შევსებაში, მაგრამ მთლად არა. მე მსურს ზუსტი და უფერუმარილო ცნობები თქვენი მშვენიერი წარსულიდან.

— „მშვენიერი წარსულიდან!“ — ჩაიღიმა ანასტასიამ. — საიდან იცით, რომ ჩემი წარსული მშვენიერია?

დავიბენი. უხერხული მდგომარეობიდან ისევ ანასტასიამ გამომიყვანა.

— თუმცა... დიახ, ჩემს თავგადასავალში ბევრი რამ არის კარგი და მშვენიერი, მაგრამ მას სჭარბობს უფრო მძიმე და მუქი ფერი.

და რომ, მართლაც, ეს ასე იყო, ანასტასიამ თავიდან მომიყვა თავისი თავგადასავალი.

თხრობის დროს ანასტასიას კილო დინჯია, მოფიქრებული. ხშირად ისვენებს. ხშირად იმეორებს კიდეც ერთსა და იმავეს. ავიწყდება თავისი ნათქვამი, მაგრამ თუ გაიმეორა, ერთ სიტყვასაც არ შეცვლის, ბეჯითად იმეორებს ერთსა და იმავეს.

— მე ქართლელი ვარ, — სთქვა მან, — მამაჩემი, გიორგი დიმიტრის ძე ერისთავი, მეჯვრისხეველი მემამულე იყო. იგი გაიზარდა რუსეთში. სწავლა დაამთავრა პეტერბურგში, პაჟთა კორპუსში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სამსახურში არ შესულა. სამხედრო კარიერა ფიქრადაც არ მოსვლია. მამაჩემს ორი ძმა ჰყავდა. ძმები

შამულს ამუშავებდნენ და მას, როგორც ნასწავლს, ანებივრებდნენ— შენ ოჯახში იყავი, ჩვენ მამულს მოვუვლითო.

რუსეთში ხანგრძლივმა ყოფნამ და ნებიერობამ მას მშობლიური ენა მიავიწყა. შინ და გარეთ სულ რუსულად ლაპარაკობდა. ყველას მოსწონდა იგი. ლამაზი, ახოვანი ვაჟკაცი იყო. ჩინებული მოლაპარაკე. ერთადერთი პაპაჩემი ზაალი იყო, რომელიც მუდამ ჯანყდებოდა:

— რაღა მოგივიდა, ადამიანო, რომ სულ რუსულად ლაპარაკობ?

პაპაჩემმავე საალერსოდ მას „რუსეთუმე“ უწოდა და ფართო საზოგადოებაშიც მალე მარტო ამ სახელით იცნობდნენ მას.

როგორც ჩინებული მოლაპარაკე და თვალწარმტაცი ვაჟკაცი, მამაჩემი ასე ვთქვათ „მოდაში“ იყო. უიმისოდ ლხინი და ქეიფი არ ჩაივლიდა. მუდამ სუფრის თავში იჯდა თამადად. გაუჩნდნენ თაყვანისმცემლებიც. მრავალ ბანოვანს ეჭირა მისკენ თვალი და ეშხის ბადესა სტყორცნიდა დასაჭერად.

ქართულ საზოგადოებაში ტრიალმა ნელ-ნელა დაკარგული შვილი გამოაფხიზლა და მშობლიურ კერას დაუბრუნა. მამაჩემმა შეითვისა ქართული ენა. გლეხებში უკვე ქართულად ლაპარაკობდა. ბოლოს მოთამამდა და ქართულ ენაზე ვრცელი სიტყვის თქმასაც ახერხებდა.

მართალია, მამაჩემი კარგა შეძლებული მემამულე იყო, მაგრამ რწმენით ლიბერალობდა და გლეხებთან კეთილი განწყობილება ჰქონდა. პეტერბურგში ყოფნამ ფუჭად როდი ჩაუარა. სამხედრო მეცნიერების გარდა იგი არ ერიდებოდა ლიბერალურ წრეებში ტრიალსაც. რუსეთის კლასიკოსების თაყვანისმცემელი იყო. მის ბიბლიოთეკაში ნახავდით ტოლსტოის, დოსტოევსკის, ტურგენევს, ჩერნიშევსკის, გერცენს, დობროლუბოვს... ამითი აიხსნება მისი ჰუმანიურობა გლეხებისადმი მოპყრობაში. არავის ახსოვს, რომ გლეხს უჯიათად მოპყრობოდა, იძულებით ვისთვისმე რამე გადაეხდევინებინა ან ეჩივლა. გლეხებმაც შეიყვარეს. მამულზე დაწესებული საღალო გადასახადი თავიანთ ნებაზე შემოჰქონდათ. ის კი არა, სხვებისაც ეჯავრებოდა, გლეხებს უჯიათად ნუ ეპყრობითო. ზოგჯერ

შუამავლადაც გამოსულა და როდესაც სხვა მემამულეებს ჩაფრები მოუყვანიათ გლეხების დასარბევად, მორიგებით მოუთავებია საქმე, მემამულეები შეურცხვენია, — ჩვენ არ შეგვფერის ახლანდელ დროში, რომ მამათა ცოდვები გავიზიაროთო.

მაგრამ კარგ მხარეებთან ერთად მამაჩემს ერთი დიდი ნაკლიცა ჰქონდა, ეს იყო გამუდმებული ნარდისა და ბანქოს თამაში. სოფელი მისთვის სასურველი ასპარეზი არ გამოდგა, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმულიყო. მას ტრიალი უხდებოდა მემამულეთა შორის, სადაც ნარდი, ბანქო და ქეიფი მთავარი შესაქცევი საშუალება იყო.

იმდროინდელ საზოგადოებაში რომანტიკა ძალაში გახლდათ. ჩვენს ქალებს, ნამეტნავად მოწინავე საზოგადოებაში, მთელი ჰკუა და გონება თვალებში ჰქონდათ მოქცეული. საკმარისი იყო სადმე მოხდენილი ვაჟკაცი გამოჩენილიყო, რომ უმალვე ასდევნებოდნენ. ვაჟი ქალს უმღეროდა და ქალი ვაჟს:

„აჩრდილივით უკან დაგდევ,
სულ შენთანა ვარ,
გეფიცები ერთგულებას,
რომ შენი ყმა ვარ“...

მამაჩემი ახოვანი ვაჟკაცი იყო, ტანადი, ლამაზი, გემოვნებით ჩაცმულ-დახურული, მხიარული. მრავალ ქალს აუძგერა გული. მრავალი შეიქნა მისი „აჩრდილი“. მაგრამ მამაჩემის არჩევანი ისევ ფციელ მემამულე ზაალ ბაგრატიონის ასულ ელისაბედზე შეჩერდა, რომელსაც შინაურობაში ლიზას ეძახდნენ. ლიზას მეტი ზაალს სხვა შვილი არ ჰყოლია. ლამაზმა ვაჟკაცმა ლამაზი საცოლე იშოვნა, შესაფერი მზითვით.

ახალი ჯვარდაწერილი ცოლ-ქმარი ბედნიერად გრძნობდა თავს. მზითვის დამატებამ მამაჩემს შეაძლებინა დიდრაჯულად ეცხოვრა — ზაფხულობით სოფლად, ზამთრობით კი — გორში. დაწვრილშვილდნენ. არ ვიცი, სათვალავში მე, ვგონებ, მეშვიდე უნდა ვყოფილიყავი.

მე ტყუპის ცალი გახლდით. დავიბადე გორში, 1868 წელს. აქ შეიძლება მცირეოდენი კორექტივის შეტანა: ერთი წელიწადი მოპა-

რული უნდა იყოს. ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, — ასე იცოდნენ და ეს წესი ქართველებში ჯერაც არ გამქრალა, რომ შვილებს წელიწადი მოაკლონ. ყოველ შემთხვევაში მეტრიკული ამონაწერით მე დაბადებული ვარ 1868 წელს. ასე რომ, ახლა ოთხმოც წელს ვუკაკუნებ...

აქ არ შემიძლია ჩემი დაბადების ერთი ეპიზოდი არ გავიხსენო, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ჩემს შემდგომ აღზრდა-განვითარებაზე, შეიძლება ითქვას, მთელს ჩემს მომავალზე.

როგორც მოგახსენეთ მე ტყუპის ცალი ვიყავი, უმცროსი. უფროსი ჩემი და — სოფიო, უფრო თამამი დაიბადა და ჩემი მშობლების არჩევანიც მასზე შეჩერდა, რომ ის შინ აღეზარდათ. მე ქუდბედით დავბადებულვარ. ვიდრე ბებია თავიდან ამ „ქუდს“ გადამაცლიდა, კინაღამ დავმხრჩვალვარ. ბებიაჩემს ჩემი „ქუდი“ ვაშლის ძირას დაუმარხია. ძველად სწამდათ, ვაშლის ხე ბედობის ხეა, მის ქვეშ ჩამარხული ახლად დაბადებულის ქუდბედი ბავშვს ბედნიერ ვარსკვლავზე აღზრდისო. ბედისა და უბედობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თვალად და ტანად ძალიან სუსტი ვყოფილვარ, იმდენად მიმტკნარებული, რომ ჩემს გადარჩენაში დაეჭვებულან კიდეც. ჩემს მშობლებს არც უდარდნიათ. ისინი მოხარულები იყვნენ, რომ ტყუპებიდან პირველი თამამი შეეძინათ, მაშასადამე, ადვილად დასათმობი ვიყავი, როგორც „სახარჯო“, ჩვენი „სოფიოს სანაცვლო იყოსო“.

ბებიაჩემსაც დაედასტურებინა, რომ მე სიცოცხლე არ მეწერა. ქუდბედის ჩამარხვის შემდეგ რომ გამოტრიალებულა, დაუხედნია ჩემთვის და უთქვამს:

— ბეჩა, ეს რა ხინტლიანი ბავშვი ამიყვანია... კვდება... ის დროა, რომ მღვდელს დავუძახოთ, თორემ მოუნათლავი მოგვიკვდება!

მოუნათლავად ბავშვის სიკვდილი დიდი უბედურება იყო. სასწრაფოდ მღვდელთან აფრინეს კაცი. ჰაი-ჰუით ნათლიის ძებნას შესდგომიან. მემამულეებიდან არავის უნდომნია, ჩემი ნათლიობა. მაშინ მამაჩემთან მისულა ჩვენი მეზობელი გლეხი გიორგი ცუცქერიძე და ჭოჩრის ფხანით უთქვამს:

— თქვენს გახარებას, კნიაზო, ე გოგო ხომ გიკვდებათ, მოდი მომანათლინეთ, იქნება რა იღბლიანი გამოდგეს, კარგი ხელი მაქვს, ჩემი ნათლულებიდან არც ერთი არ მომკვდარა.

უარი არ უთქვამთ. ცუცქერიძეს მოანათვლინეს ჩემი თავი. მის-მა გულწმინდა სურვილმა და კეთილმა წინასწარმეტყველებამ გას-ჭრა—მე მის ნათლულებში არ გამოვერჩიე, დღეგრძელი გამოვდექი.

* * *

მართალია, გადავურჩი სიკვდილს, მაგრამ რაკიღა იმ თავითვე ჩემზე მშობლებმა გული აიცრუეს, შემდეგშიც ცივად მეპყრობოდ-ნენ, ამიბუეს, თითქოს მათი გერი ვიყავი, ან უკანონო შვილი. ყოველ შემთხვევაში მე დიდად გამომარჩიეს სოფიოსაგან. ეს თვალში ეცათ დედის მხრით ჩემს დიდედას და პაპა ზაალს.

— რა ვქნა, ამ გოგოს ხომ არ შემოიკლავთ, სადაურულად ექ-ცევით?! თუ თქვენ არ გინდათ, სთქვით, მე გავზრდი...

არც თუ ბევრი უფიქრია. დამტაცა ხელი პაპამ და ფცაში წამი-ყვანა. დატრიალდა, სოფელი შესძრა, მრავალი ძიძა იშოვნა, რომელ-თაც ჩემი კბილა ბავშვები ჰყავდათ. თვითეული ძიძა თავს მოვა-ლედ სთვლიდა ძუძუ ეწოვებინა ჩემთვის. სოფელში არც ერთი მე-ძუძური არ იყო, რომელსაც ჩემთვის ძუძუ არ ეწოვებინოს. დედები რიგრიგად მოდიოდნენ. ფეხიც მათ ამადგმევინეს. მშობლიური ალერსი, მოტეხილი ენით ჭიკჭიკი, სოფლის ბავშვებში ტრიალი სულ მათგან შევისწავლე. ამიტომ იყო, სოფელში ყველას ვუყვარდი, თავს მევლებოდნენ. მეც ძალიან მიყვარდა ისინი!.. როცა წამოვიჩიტე, ჩემმა მშობლებმა მომინახულეს და მოისურვეს ჩემი წაყვანა. მაგრამ პაპაჩემის ოჯახს ისე ვიყავ შეჩვეული, რომ ნამდვილი მშობლები არ მივიღე. ისინი ჩემთვის უცხონი იყვნენ. პაპას თუ მამას ვეძახდი და დიდედას — დედას, ჩემს მშობლებს, პირდაპირ სახელებით ვიხსე-ნიებდი, მამას გიორგის ვეძახოდი, ხოლო დედას—ლიზას. მე მათ არ გავყევი. ისევ პაპაჩემის ტკბილ ოჯახში დავრჩი, იქ დავასვადგურე ჩემი გული.

* * *

პაპაჩემი ზაალი მეტად გულკეთილი ადამიანი გახლდათ. ისიც გლეხებს მამაშვილურად ეპყრობოდა. ჰკიცხავდა მემამულეებს, რომლებიც გლეხებს ცუდად ეპყრობოდნენ. „ეს ცუდი მოპყრობა იმიტომაა, რომ ჩვენი თავადები გაუნათლებლები არიან, — ხშირად უთქვამს მას, — თავი და თავი ყოველგვარი უბედურებისა, გაუნათლებლობაა. ჩვენს საუკუნეში უვიცი პირუტყვობასა ნიშნავსო“.

პაპაჩემი არ ჰგავდა ზოგიერთ მემამულეს, რომელთაც სწავლის საჭიროება კი შეეგნოთ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მარტო ვაჟიშვილებისათვის ესწავლებინათ; ქალისთვის ლოცვებიც საკმარისია, ანბანს და ლოცვებს ჩვენი მღვდელიც ასწავლისო. პაპაჩემის აზრით სწავლა როგორც ვაჟისთვის, ისე ქალისთვის საჭირო იყო და აუცილებელი. მე მის ხელში ვიზრდებოდი და აბა როგორ დამტოვებდა უსწავლელს? მორიგი საზრუნავი მისთვის ჩემი მომავალი აღზრდის საკითხი შეიქმნა.

იმ დროს თბილისში განთქმული იყო ეგრეთწოდებული „დევიჩი ინსტიტუტი“, სადაც ჩვენი არისტოკრატიის ქალიშვილები იზრდებოდნენ. ეს ინსტიტუტი გარეგნულადაც და შიგნიდანაც მონასტრული ელფერისა იყო, როგორც დასავლეთ ევროპის ძველი საუკუნის სამონასტრო სკოლები. იქ აღზრდილთ ნამდვილი ცხოვრებისა არა იცოდნენ რა. ისინი იზრდებოდნენ ცხრაკლიტულში, ოცნების ანაბარად. ზნეობრივი სიფაქიზე იდეალურად იყო დაყენებული. პაპაჩემს იმიტომ უფრო წაუგორდა თვალი და ერთ მშვენიერ დღეს მეც თბილისის გზაზე დამაყენა.

ინსტიტუტში დიდი პატივით გაუღეს კარი პაპაჩემს. მომიალერსეს. წიგნებიც მაჩუქეს. მაგრამ როდესაც საქმე საქმეზე მიდგა და ჩემს საბუთებს გაეცნენ, ტუჩი აგვიბზუეს მეც და პაპასაც.

— თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენს შვილობილს ვერ მივიღებთ! — უთხრა პაპაჩემს ინსტიტუტის დირექტორმა.

პაპაჩემი სახტად დარჩა.

— რატომ?!

— ეგ... ბოდიში მაგრამ, გლეხს მოუნათლია...

— მერე რაო, რომ გლეხის მონათლულია? — მიუგო პაპაჩემმა. — გლეხიც ხომ ადამიანია?!.

დირექტორმა ითაკილა ასეთი პასუხი და ცივად მიუგო პაპას:

— გლეხი მაინც გლეხია... კიდევ ბოდიში, თქვენო ბრწყინვალებავ, გლეხის მონათლულს ჩვენს ინსტიტუში ვერ მივიღებთ!

პაპაჩემი მიხვდა, რომ დირექტორთან კამათი იგივე იქნებოდა, რაც კედელზე ცერცვის შეყრა. გულდაწყვეტილი გამოვბრუნდით.

— ეგეც შენი „დევიჩი ინსტიტუტი“! — ბუტბუტებდა პაპაჩემი. — არამზადები!... რა ბრალი უძევს ბავშვს, თუ ცუცქერიძემ მონათლა?!.

ბრალი ედო თუ არა ცუცქერიძეს ეს სხვა საქმეა. ეს კია, რომ ჩემი კეთილი ნათლიის გლეხობა ასეთი დაბრკოლების მიზეზი გახდა ჩემი სწავლის საქმეში.

* * *

ჩვენ ფცაში დავბრუნდით. ისევ სოფელი. ისევ სოფლური ცხოვრებაში ტრიალი. ცხენზე ჯირითით ვიქარვებდი გულის დარდს. ვწუხდი, ნუთუ სწავლა არ მეღირსება-მეთქი?!

ნაგვიანევად, მაგრამ მაინც მეღირსა ბედის გაღიმება. ქალაქ გორში გახსნეს ქალთა გიმნაზია. ყველას იღებდნენ, ასაკის მიუხედავად. მე, თუმცა წლოვანობით თითქმის თოთხმეტისა ვიქნებოდი, მაგრამ მაინც მოსამზადებელ კლასში დამსვეს. ჩემი და სოფიო პირველ კლასში იყო. რადგან ქართული ენა ჩინებულად ვიცოდი, მე ნება დამრთეს ქართული ენის გაკვეთილები პირველკლასელებთან ერთად მომესმინა.

ყველა საგანზე უფრო მეტად ქართული შემიყვარდა. ჩვენი მასწავლებელი მიხეილ ყიფიანი იყო. კაცი მაღალი მოწოდებით გამსჭვალული, იდეური, შესანიშნავი მჭევრმეტყველი, ფიცხი, მოუსყიდავი, უშიშარი. მისი გაკვეთილები მუდამ საზეიმო იყო მოსწავლეთათვის. იგი გვასწავლიდა საგანს ოფიციალური პროგრამის გარეშე. ჩვენ ბევრად მეტი ვიცოდით, ვიდრე ამასა გვთხოვდნენ. შექმნა წრეები. თვითეულ მოწაფეს საკუთარ დავალებას გვაძლევდა. ჩვენი

კლასიკოსები გაგვაცნო, შეგვაყვარა. შემდეგ თვალი აგვიხილა და სოციალურ საკითხებშიც ჩაგვახედა; შეგვაყვარა გლეხი და დაგვაფიქრა მის აუტანელ ცხოვრებაზე. მიხეილი ჩვენთვის ყველაფერი იყო.

ჩემდა სამწუხაროდ მიხეილ ყიფიანის გაკვეთილებს მხოლოდ ერთ წელს ვუსმენდი. იგი თურმე ჟანდარმერიის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. მანამდე გადასახლებული ყოფილა კიდეც. გადასახლებიდან დაბრუნებულს მოეხერხებინა მოქალაქეობრივი უფლებების აღდგენა და პროგიმნაზიაში მასწავლებლის თანამდებობის მიღება. მაგრამ აი, გაუჩნდა მთხრობელი. იგი „ბუნტოვჩიკად“ აღიარეს. „ბუნტი“, „ბუნტის კაცი“ იმ დროს საშინელ სიტყვებად ითვლებოდა და, აბა როგორ აპატიებდნენ მიხეილს კეთილშობილური აზრების ქადაგებას, მით უმეტეს, ქართულ ენაზე, როდესაც ქართული ენაც დევნას განიცდიდა ყოვლად საზიზღარი იანოვსკების მხრივ!

რამდენიმე გაკვეთილი გაგვიცდა. მიხეილს ვერ ვხედავდით. გვეგონა, ავად იყო. მასწავლებელთა შორის კი რაღაც ჩურჩული ატყდა. ერთ მშვენიერ დღეს, ვხედავთ, ეტლი მოგრიალებს. სკოლის ფანჯრები ღია იყო. თითქოს ხელი გვკრესო, ყველანი წამოვიშალეთ და რას ვხედავთ: ეტლში ჩვენი საყვარელი მასწავლებელი მიხეილი ჩაუსვამთ ჟანდარმებს. მეეტლეს მუჯლუგუნებით აიძულებდნენ, რომ ცხენები ჩქარა გაერეკა, მაგრამ აი, ეტლი გაუსწორდა ჩვენს სასწავლებელს და გვესმის მტკიცე, თითქმის მბრძანებლური კილო:

— შეაჩერე ერთი წუთით ეტლი!

მეეტლემ შეაჩერა, თუმცა ჟანდარმები უბრძანებდნენ, რომ ცხენები გაერეკნა. მიხეილი წამოდგა, პირი იბრუნა ჩვენსკენ და ვაჟკაცურად მოგვესალმა:

— სალამი, პატარა ქართველებს! მე ციმბირში მივყევარ ამ ძაღლებს... გახსოვდეთ, რომ თქვენ ქართველები ხართ... ისწავლეთ, ისწავლეთ და ისწავლეთ! სწავლით, შრომით და უნარიანობით გაახარეთ თქვენი დაბეჩავებული სამშობლო... მშვიდობით, პატარა მეგობრებო!..

ეტლი დაიძრა. ჩვენ ღრიალი შევქენით. მივაწყდით კარებს. ვიღას ახსოვდა გაკვეთილები? გამოვიშალენით ქუჩაში და მივრბოდით, მივტიროდით...

ნაჩალნიცამ წიოკობით შეგვრეკა კლასში და აგვიკრძალა ყიფიანის სახელის ხსენება.

* * *

ყიფიანი მოგვაშორეს, მაგრამ ბედმა არ დაგვკარგა და არა ნაკლებ კეთილი კაცი მოგვივლინა მასწავლებლად. ეს იყო ნიკო ლომოური.

ლომოური მეტად ჩუმი ადამიანი იყო, ფრთხილი. მიხეილის ბედმა ყველა მასწავლებელი ჩააფიქრა. ჩააფიქრა თვითონ ნიკოც. მაგრამ ის ყიფიანში მუდამ დიდ ძალას ხედავდა. თურმე იმდენი მოეხერხებინა, რომ სადგურზე ენახა მიხეილი და მისი რჩევა-დარიგება მოესმინა, თუ როგორ და რა ესწავლებინა ჩვენთვის. ნიკომ მიხეილის სწავლის მეთოდი განაგრძო. ფრთხილად, მაგრამ ისიც სოციალურ საკითხებში გვახედებდა. სულ გლეხი, გლეხი და გლეხი. გლეხზე ამოსდიოდა ნიკოს მზე და მთვარე. გლეხი ჩვენი ეროვნების ბურჯია, თუ ის წაიქცა, ქართველი ერიც გაჰქრებაო, — ამბობდა ის. ნიკო ლომოურმა ყურადღება მიგვაქცევინა რუს კლასიკოსებზე. მისი რჩევით შემიყვარდა ტურგენევი, გონჩაროვი, ტოლსტოი, ჩერნიშევსკი...

— წერა როდის დაიწყეთ? — ვეკითხები.

ანასტასია დაფიქრდა.

— წელი არ მახსოვს, ვიცი კი, რომ პროგიმნაზიაშივე მოხდა ეს ამბავი. წამქეზებელი კი ნიკო იყო. მას ჩვეულებად ჰქონდა, აეღო რუსულ ენაზე დაწერილი რომელიმე მხატვრული ნაწარმოები და ეთქვა: აბა, ვინაა თქვენში ყოჩაღი, რომ ეს მოთხრობა გადამითარგმნოსო?

და აი ერთხელ ასეთ ვარჯიშში მან მომცა უსახელო ავტორის ღსური თქმულება ამირანზე — „ბესო“.

შინაარსის მხრივ მოთხრობა მეტად სადაა: „პატარა მწყემსი ბესო თხებს აძოვებს. ერთხელ თხები გადაიკარგნენ. მათ საძებნელად მიდის მაღლა-მაღლა მთებში. შემოაღამდა. ესმის კვნესა. მიიხედა. ერთ გამოქვაბულში უზარმაზარი დევკაცი წევს.

— შენს გახარებას, პატარა ბიჭო, მაგ ჯამით წყალი მომაწოდე, ძალიან მწყურიან...

ბიჭმა თხოვნა აუსრულა. ჯამით წყალი მიაწოდა. ის-ის იყო დევკაცი წყალს დაეწაფა, რომ კლდემ დაიგრიალა და დევკაცის ქვაბულის კარი ამოჰქოლა. მწყემსი ჭკუაზე შეიშალა. სოფლელები აჰყვნენ მას გამოქვაბულის სანახავად, მაგრამ იქ პატარა კლდის მეტი არაფერი დახვედრიათ“.

ნიკომ ჩემი თარგმანი რომ ნახა, ძალიან მოეწონა.

— კარგია, კარგი, განაგრძე, — მითხრა ნიკომ, — შენში მწერლობის უნარსა ვჭვრეტ. თარგმანი ენასა და სტილს ასწავლის დამწყებს...

ნიკომ ითავა და „ბესო“ დააბეჭდინა „ნობათში“, რომელსაც რედაქტორობდა ანდრია ღულაძე. ეს იყო 1885 წელს. ამ ნომრითვე დაიხურა „ნობათი“.

შემდეგ ნიკომ ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი“ მათარგმნინა. მომწონდა თხრობა, მაგრამ ხალისით არ მითარგმნია, თუმცა ბოლომდე მივიყვანე.

— რად აგიცრუვდათ გული? — ვეკითხები ანასტასიას.

— უნებურად დამებადა კითხვა — განა ღირს ადამიანმა თარგმანში დრო დაჰკარგოს, თუკი თითონაც შეუძლია წერა? — ეს აზრი ნიკო ლომოურსაც გავანდე. მან არ გაიზიარა ჩემი ასეთი შეხედულება:

— ქალო, გეუბნები, შენთვისვე უკეთესია თარგმანში გაივარჯიშო ხელი, ოსტატობას შეისწავლი, კალამი უფრო მარჯვედ დაგემორჩილება.

მან „ბიძია თომას ქოხი“ გამისწორა, მაგრამ დაბეჭდვაზე აღარ უფიქრია. აღარც მე შემიწუხებია ახალი თარგმანებით. პირდაპირ ორიგინალურზე გადავედი და დავწერე „პატარა ნუცას სათხოვარი“.

ჩემი მოთხრობის გმირი ნუცა იაკობ გოგებაშვილის „ნუცას

სკოლამ“ გამაბედვინა, იმ განსხვავებით, რომ იაკობის ნუცა დედოფლებს ასწავლიდა ანბანს, ჩემს გმირს კი შეგნებული ჰქონდა ანბანის ცოდნის საჭიროება და, როგორც ღარიბი გლეხის შვილი, ყველას ევედრებოდა, წერა-კითხვა მასწავლეთო.

მოთხრობას დაბრკოლება არ გადაჰღობებია და საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილში“ მოათავსეს. ეს მარტო ჩემი გამარჯვება კი არ იყო, არამედ მასწავლებლისაც და მთელი სასწავლებლისაც. ყველანი მილოცავდნენ. ნიკომ კლასში საჯაროდ წაიკითხა და თავისი აღტაცება არ დამალა.

შემდეგი მოთხრობა „დაუვიწყარი საღამო“, ვგონებ, „ივერიაში“ დაიბეჭდა.

მესამე მოთხრობა კი „ბატონებმა არ დაიწუნეს“, სოფელში დავწერე, დამოუკიდებლივ. ნიკო ლომოური უკვე შორს იყო. ეს იყო სერიოზული ცდა ბელეტრისტიკის სარბიელზე მუხლის მოსამტკიცებლად. მაგრამ ამაზე შემდეგ... ამ მოთხრობას თავისი ისტორია აქვს, რასაც დაემთხვა ჩემი აკაკისთან შეხვედრა და დაახლოება.

* * *

გორის პროგიმნაზიით დამთავრდა ჩემი სწავლა-განათლების თავი და ბოლო. ზედმეტი იყო ფიქრი უმაღლეს სასწავლებელში სწავლის განგრძობაზე. ისევ ჩემი საყვარელი აღმზრდელის სნეული პაპის ჭერქვეშ უნდა დავბრუნებულიყავი. პირველი ჩემი საზრუნავი ის იყო, რომ სოფლის ბავშვებს ცოდნის მიღებაში დავხმარებოდი.

ქართლის სოფლები სწავლა-განათლების მხრივ უდაბნოს წარმოადგენენ. არავინ ზრუნავდა გლეხებისათვის გაეხსნათ სკოლა. პაპაჩემს ვთხოვე — ნება დამრთე, ბავშვებს ვასწავლო-მეთქი. მას სიხარულით წამოენთო თვალები. ხელი შემიწყო. მართალია, ღარიბი იყო, მაგრამ ნება დამრთო მის ჭერქვეშ პატარა კუთხე გამომეყო შინაური სკოლისათვის.

სამწუხაროდ, სიღარიბე დიდი იყო. ბავშვებს იმდენიც არა ჰქონდათ, რომ ჩაეცვათ და დაეხურათ, გასამრჯელოზე ვინ იფიქ-

რებდა?! არც წიგნები, არც რვეულები. ჩემს მოსწავლეებს დავავალე თითო-თითო მანეთი მაინც შემოეტანათ. მეტწილმა შემოიტანა. მე ამ ფულით ვიყიდე სასწავლო წიგნები, რვეულები, ფანქრები და შევუდექი მუშაობას. ერთ წელში თავი მასახელებინეს. რა ჩინებული ბავშვები იყვნენ, რა ნიჭიერები! ეხლაც არ მავიწყდება თვითეული მათგანის სიცოცხლით სავსე თვალები, ენამახვილობა, გატაცება. ზოგმა დეკლამაციის ნიჭიც გამოიჩინა. უნდა გენახათ, რა გატაცებით მოჰყვებოდნენ ხოლმე:

„ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია,
ყმაწვილსა კარგი სწავლითა
დედა გაუხარებია..."

ჰხარობდნენ დედებიც. მამებს გოგოების სწავლა გულს უჩუყებდა, ნამეტნავად თუ მოსაკითხ წერილს დააწერინებდნენ ხოლმე თავიანთ გოგონებს, ან ვისიმე მოწერილ ბარათს ჩააკითხებდნენ. სამაგიეროდ ბიჭების სწავლაზე უარობდნენ — ღორ-ხბოს და ნახირს ვინღა მოუაროსო.

შემდეგი წელი უფრო ნაყოფიერი გამოდგა. ჩემმა მოწაფეებმა უკვე ილიას და აკაკის ლექსებიც იცოდნენ. მალე ჩემი პატარა სკოლა მისაბაძი გახდა ახალგაზრდა ქართველებისათვის, რომელთაც სწავლა მიეღოთ. იმათაც თავიანთი სკოლები გახსნეს. „დედა-ენას" მოვრჩით, ჩვენ უკვე „ბუნების კარს" გავდიოდით. სულიერ სიმშვიდეს ბავშვების სწავლებაში ვპოვებდი.

* * *

ასე მიდიოდა ჩემი დღე. ამ კარჩაკეტილ ცხოვრებას ათასში ერთხელ თუ ვამზეურებდი, ისიც ან გორში, იშვიათად კი თბილისში ჩასვლით. განსაკუთრებით ჩემს მახსოვრობაში წარუხოცელად აღიბეჭდა 1887 წელი. საგაზაფხულო დღესასწაულზე კეკლუცად

დართული სოფლის ველ-მინდვრები მივატოვე და თბილისს ვეწვიე. რაღაც უჩვეულო წინათგრძნობა მახარებდა. რად მივეჩქარებოდი თბილისს, ან რა მახარებდა?!

თბილისში ერთი მოხუცი ნათესავი მყავდა, ელიზბარ ერისთავის მეუღლე, ამატა ბაზილევსკაია. მეტად სათნო და მოსიყვარულე ადამიანი იყო.

— ტასო, დუშეჩკა! რა კარგ ფეხზე მოხვედი, — შემეგება იგი აღტაცებით, — აკაკია ჩვენთან სტუმრად!

სიხარულმა იქვე გამაქვავა:

— აკაკი?!

— დიაღ, ჩვენი აკაკი!..

ფიქრი აღარც კი მაცალა, მომბჯია ხელი და სასტუმრო ოთახში შემიყვანა, სადაც გამაცნო ჩვენი სულმნათი მგოსანი.

— ბატონო აკაკი, ეს ჩემი ძმისწულია. სოფელში საკუთარი სკოლა გახსნა. ბავშვებს თქვენი ლექსები შეასწავლა.

აკაკიმ საყვარლად გამომიწოდა ხელი.

მას ჩემი პატარა ბიძაშვილი უჯდა მუხლზე. იმ კუდრაჭას არც უფიქრია მუხლიდან ჩამოსვლა.

განა კითხვა უნდა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა აკაკი? მის მშვენიერ ლექსებს თან ახლდა აკაკის სადა საქციელი, მისი სადა კილო, კვიმატობა. გრძნეული იყო, გრძნეული!.. ახლა მისი თვალწარბი? გაშლილი შუბლი? ერთი თვალის შეევლება საკმარისი იყო, რომ მასში გეცნოთ მგოსანი, საზოგადოების გამომაცოცხლებელი, ქართველი ხალხის სიამაყე!..

აკაკიმ წამაქეზა:

— მომწონს თქვენი გადაწყვეტილება. რომელ სოფელში ხართ?

— პაპაჩემის სოფელში, ფცაში.

— ა, ვიცი, ვიცი, ზაალსაც ვიცნობ... ვყოფილვარ თქვენს სოფელში, მაგრამ დიდი ხანია მას შემდეგ. იქნებ გნახოთ და ახლოს გავიცნო თქვენი სკოლა...

მეუხერხულებოდა, რომ ბუმბერაზი ადამიანი „თქვენობით" მელაპარაკებოდა.

— აბა, ეცადეთ, გაგვახაროთ, კარგი ბავშვები აღგვიზარდე!

ის დღე წარუხოცელად აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. დრომ განვლო. ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ აკაკის ნათელი სახე ისევ თვალწინ მიდგას, თითქოს ეხლაც ხელს მიწვდის, ალერსიანად მამხნევებს, მაქეზებს, რომ ბავშვები აღვზარდო... ბედმა და გარემოებამ წილად მარგუნა, შემდეგში დიდების აღზრდაზეც მეზრუნა ჩემი ნაწერებით.

* * *

მას შემდეგ სულ აკაკის მოლოდინში ვიყავი. გული დამწყდა. რომ იმ წელსაც და მომავალშიც იმედი არ გამიმართლდა. ხელი ჩავიქნიე: ბუმბერაზი ადამიანი ჩვენი სოფლის სანახავად ათასჯერ ხომ არ მოიცლის, ერთხელ უნახავს, ესეც საკმარისია. ის აღარ მოვა, არა...

მართალია, ბავშვებთან სწავლაში ვიყავი გართული, მაგრამ კალამი არასოდეს არ დამიგდია. თავისუფალ დროს, მეცადინეობის შემდეგ, სულ კლასიკოსების კითხვას და წერას ვანდომებდი.

ერთხელ წერის დროს თავს წამომადგა ჩემი სიყრმის მეგობარი დათა ბაგრატიონი და მითხრა:

— ტასო! აკაკი ჩამოვიდა ჩვენთან. ვიცი, ყველაზე მეტად შენ გაგეხარდება მისი ნახვა. აბა, წავიდეთ... აიკიდე გუდა-ნაბადი...

მეც უცბად ავენთე. მაგრამ იმავწუთს ერთმა აზრმა გამიელვა თავში და შევჩერდი:

— დათა, შენ წადი... მე ეხლავე მოვალ...

— რატომ არ გინდა ეხლავე წამოხვიდე?

— ჩემი მოწაფეები უნდა ვაჩვენო. მან დარიგება მომცა, როგორ ან რა მესწავლებინა ბავშვებისათვის. უნდა გამოვცადო ჩემი თავი, როგორი მასწავლებელი ვარ.

დათას მოეწონა ჩემი აზრი და გაფრინდა.

მე სასწრაფოდ შევკრიბე ბავშვები და ვუთხარი ვისთანაც მიმყავდა. შემდეგ კი მე და ჩემი კოხტად დართული ბავშვები, ყვავილების თაიგულებით სელში, ბაგრატიონთა კარისაკენ გავეშურეთ.

პროვინციის რჩეულ საზოგადოებას მოეყარა თავი, საუზმეს შესდგომოდნენ. აკაკის ჩვეულებრივ ბავშვები შემოჰხვეოდნენ. აკაკი

ხუმრობდა, თავისი ბოსტნებული სიტყვებით და ნაკვესებით საზოგადო ზეიმსაც ჰქმნიდა.

ჩემმა რაზმმა ყველას ყურადღება მიიპყრო. ბავშვები ფარული სიხარულით მორცხვად ჩამწკრივდნენ აკაკის წინ. აკაკიმ თვითონ გამოიყვანა ბავშვები მორცხვობის მდგომარეობიდან, გაუცინა, ყველას სათითაოდ ხელი ჩამოართვა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ. ბავშვები მოთამამდნენ.

— ლექსები იცით? — შეეკითხა აკაკი.

— დიახ, ვიცით...

— მეც ვიცი, — სთქვა მან და დაიწყო:

„ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო
ჩემო..."

აქ აკაკიმ განგებ წაიბორძიკა, გაიღიმა და სთქვა:

— დამავიწყდა... მოიცათ... მომაგონეთ...

ბავშვები ჯერ გაოცდნენ, ამისთანა კარგი ლექსი როგორ უნდა დაავიწყდეს ისეთ დიდ მგოსანს როგორც აკაკი ბრძანდებაო. შემდეგ მორცხვად სიტყვა მიაწოდეს. შემდეგ მოუმატეს. ბოლოს აღტაცებული სიცილით თვითონ ბოლომდის წაიკითხეს.

საზოგადო აღტაცებამ იფეთქა. აკაკიმ ბავშვები სულ სათითაოდ გადაჰკოცნა. ეს იყო და ეს. ბავშვები თითქოს ერთმანეთს შეეჯიბრნენ, რომ დიდებული მგოსნისათვის ეჩვენებინათ, რამდენი საუცხოო ლექსი იცოდნენ...

აკაკის გამოთხოვებაც საზეიმო იყო. მან თავისი ლოცვა-კურთხევა კვლავ ხელის ჩამორთმევით დაიწყო. თვითეულს ჰკოცნიდა, უსურვებდა კარგ მომავალს, სწავლას და კიდევ სწავლას.

ქათინაურები მეც ბევრი მივიღე. წამაქეზა როგორც საუცხოო მასწავლებელი. ბოლოს დასძინა:

— ჩემს პატივცემულ ცოლისდას — შენს საყვარელ ძალუა ამატას არა ერთხელ ჩამოუგდია ჩემთან საუბარი შენს ირგვლივ, მაგრამ დღევანდლამდე არ მეგონა და ვერც მოვიფიქრებდი, თუ შენი წრის ახალგაზრდა ქალი ასე გულითადად მოეკიდებოდა ბავშვების აღზრდის საქმეს... ბავშვები, ჩემო ტასო, ყველაფერია! ბავშვი —

ეს ჩვენი მომავლის საწინდარია! იარე ამ გზით და გამარჯვებული იქნებიო.

— ვეცდები, ბატონო აკაკი, თქვენი სიტყვა გულზე დავიბეჭდო!...

გახარებულმა მასპინძელმა ჩემს აღტაცებას გადააჭარბა, წინ წამოდგა და თავმომწონედ მიმართა ოდნავ ჭაღარაშერეულ მგოსანს:

— იცით რა მოგახსენოთ, ბატონო აკაკი, ჩვენი ტასო დიდი ჩუმჩუმელა ვინმეა, ლექსებსაცა წერს!

მეწყინა. საყვედურით შევხედე დათას, მაგრამ მან აღარ მაცალა და აკაკის ჩემი ორი ლექსი გადასცა.

აკაკიმ ლექსებს თვალი რომ გადაავლო, შევატყე, წეღანდელი შთაბეჭდილება გაუქარწყლდა.

— არ გირჩევ ლექსების წერას, ჩემო ტასო, ისევ სოფლის ბავშვების აღზრდა-განვითარებას დაუბრუნდი, ეს უფრო სახარბიელო იქნება ჩვენი ერის მომავლისათვის. დღევანდელმა მათმა გამოსვლამ ნათელყო, რამდენი გამოუმჟღავნებელი ნიჭი იკარგება ჩვენს ხალხში. ვინ იცის, აი ამ ბავშვებში რა სთვლემს, რომ ჩვენი ერი შეჰმოსოს ახალი შარავანდედით.

უხერხულობა ვიგრძენი. ათასი საყვედურით ავავსე შემდეგში დათა, ჩემი ლექსები დაუკითხავად რად გადაეცი-მეთქი. ეს კი არა, დათამ ახალი ამბითაც გადაამლაშა:

— თუ ლექსებში იკოჭლა ჩვენმა ტასომ, იქნებ მაგისი მოთხრობები უფრო მოგეწონოთ?

— ინებოს ღმერთმა, მაგასაც გავეცნობი, — უთხრა აკაკიმ და მერე მე მომიბრუნდა: — ჩემი ავადმყოფობა უკიდურესი გულახდილობაა. ლექსები არ მომეწონა. მაგრამ თუ მოთხრობამ ღირსეული შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც დათა ირწმუნება, მაშინ პირველი მე მოგიმართავთ ხელს.

აღელვებული გამოვემშვიდობე აკაკის.

საღამოს დათამ შემოიარა ჩემთან და მითხრა, აკაკი შენს მოთხრობას თხოულობსო. გავწითლდი, ავთრთოლდი. უარი გამებედნა? მქონდა ამისი უფლება? არა, რაკი მოისურვა, უნდა გავუგზავნო, მისი

სურვილი და ბრძანება ერთი და იგივე უნდა იყოს ჩემისთანა უბრალო მომაკვდავისათვის-მეთქი. ვახსენე ღმერთი და დათას ხელით გავუგზავნე ჩემი მოთხრობა: „ბატონებმა არ დაიწუნეს“.

* * *

მთელი ღამე არ მიძინია. ვღელავდი. „ვინ იცის, იქნება ჩემს მოთხრობასაც იგივე ბედი ეწიოს, რაც ჩემს ლექსებს?!“ — გავიფიქრე გუნებაში. ათასი უიმედო პასუხი, ათასში ერთხელ იმედის სხივიც კრთოდა.

— განა აუცილებლივ ყველა მწერალი უნდა გამოვიდეს? — ბოლოს თავი ასე ვინუგეშე, —ამ ქვეყანაზე ასპარეზი დიდია. ოღონდ ადამიანმა მოისურვოს გარჯა და უნარის გამოჩენა... მეც შევეწირები ჩემი სოფლის გოგონების აღზრდას. სოფელი ბნელია. მას განათლება ეჭირვება.

დაუსრულებლად გაგრძელდა ღამე. რამდენი ვიღელვე, რამდენი შეკითხვები მივეც, მაგრამ ღამე მაინც სდუმდა. პასუხის გაცემას მევე მანდობდა.

თავზე დამათენდა. შევხედოთ, ჩვენმა დათა ბაგრატიონმა ადრიანად შემოირბინა. თვალები ანთებოდა. ღელავდა.

— ტასო, აკაკი გიბარებს... აბა, ნუღარ დააყოვნებ, ჩაიცვი მალე... გელოდება...

შევიფრთხიალე:

— ნუთუ?!. ნუთუ?!.

იმედმა ელვასავით დამკრა და სიამოვნების ჟრუანტელით ძარღვებში დამირბინა.

აკაკი აივანზე გამოსულიყო. ეტყობოდა, მზის ამოსვლას აქვე შეჰგებებოდა. სავარძელში იჯდა, სივრცეს გაჰყურებდა.

მომკრა თუ არა თვალი, კარებშივე მომეგება:

— ტასო, შენს გამოისად წუხელის ღამე გამიტყდა. თვალზე რული არ მომკარებია...

„ნეტა ამას რაღა ადარდებდა, რომ რული არ მოუვიდა?“ —გა-

ვიფიქრე გუნებაში. მე ჩემი თავის ამბავი ვიცოდი. მისი უძილობის მიზეზი? ამ საკითხს ფარდა თვითონ აკაკიმ აჰხადა:

— ღამე გამიტყდა, — განაგრძო აკაკიმ, — ამ დროს შენი მოთხრობა გამახსენდა და გადავშალე. მოსალოცი ხარ, ტასო, ლექსებში ვერ ივარგე, სამაგიეროდ მოთხრობისათვის კალამი გემარჯვება. განსაკუთრებით მომწონს შენი ქართლური იერით შეფერადებული და შედარებით შემსუბუქებული ენა. გადავწყვიტე, თბილისში წავიღო და „კვალში“ დავაბეჭდინო ანასტასია თუმანიშვილს.

ბედნიერებამ დამათრო. ეს იყო განცდათა უმაღლესი წერტილი. უსიტყვოდ შევყურებდი მას, როგორც ჩემს მხსნელს, გზის მანათობელს. მისი ალერსიანი შუქმფენი თვალები მოწმობდა მის გულწრფელობას. ჩემი მოთხრობის გმირი თუ „ბატონებმა არ დაიწუნეს“, თვითონ მთლიანად ეს მოთხრობა არ დაიწუნა ისეთმა დიდებულმა ადამიანმა, როგორიც აკაკი იყო. განა ამაზე მეტი ბედნიერება იქნებოდა ახლად ფეხამდგარი მწერლისათვის?!

ჩემმა მოთხრობამ დღის სინათლე იხილა.

* * *

შემდეგი თვალსაჩინო მოთხრობა გახლდათ „ლაზარემ გადააჭარბა“, რომელიც პირველად „მოამბეში“ დაიბეჭდა.

მოთხრობის სიუჟეტი სოფლის ცრუმორწმუნეობაზეა აგებული. მოგონილი არაფერია. სულ თვალით ნახული ამბები ავწერე. მოთხრობაში მხოლოდ დახელოვნებულ კორესპონდენტის როლს ვასრულებდი.

დიდი გვალვა იყო. მთელი სოფელი მწუხარებას მიეცა. ცას შეჰყურებდნენ, მაგრამ ღრუბელი არსადა ჩანდა. ნათეს მინდვრებს ბუღი სწვავდა, ანადგურებდა. სოფელმა გადასწყვიტა „ლაზარობა“ გაემართა. ეს იყო ცრუმორწმუნეობის უმაღლესი თეატრალიზაცია. ამ ლაზარობაში უმთავრესად ქალებმა მიიღეს მონაწილეობა. ყველანი თეთრ მანდილებში გამოეწყვნენ. მეთაურმა ხელში ციკანი დაიჭირა. ეს იყო იმათი ლაზარე. შემდეგ სოფელს კარი-კარს ჩამოუარეს და უგალობდნენ გაბმული ხმით:

„ლაზარ მოდგა კარსაო,
აბრიალებს თვალსაო,
ცხრილი აგორებულაო,
წვიმა გაჩქარებულაო.
აღარ გვინდა გოროხიო,
ახლა მოგვეც ტალახიო...“

ვისიმე კარზე მისვლისას წინამძღოლი მანდილოსანი „ლაზარეს“ აათამაშებდა. სახლის პატრონები მოვალენი იყვნენ, ჩაფებით წყალი გამოეტანათ და ლაზათიანად დაეწუწათ მანდილოსნები.

სოფლის კარი-კარ შემოვლის შემდეგ დასველებულ-დაწუწული ქალები თავაღებით მირბოდნენ მინდვრად და სიცხის ლულით აელვარებულ ცას იმავე ჰიმნს სასოწარკვეთილებით უგალობდნენ:

„...აღარ გვინდა გოროხიო,
ეხლა მოგვეც ტალახიო...“

ცამ თითქოს შეისმინა მათი ვედრება. დაუშვა კოკისპირულმა წვიმამ. ხალხი აღტაცებაში მოვიდა. ქალები ზეიმობდნენ და ყიჟინით მორბოდნენ შინისაკენ. მაგრამ დახეთ უბედურებას: „ლაზარეც“ ეშხზე მოვიდა და მლოცველთა და მღაღადებელთა გადაჭარბებული დამწყალობება მოისურვა. იჭექა. იელვა ზედიზედ. გავარდა მეხი და კაკლის სიმსხო სეტყვით ისე მირეგვ-მორეგვა ნათესები და ბაღ-ვენახები, რომ მთელი წლის სარჩო-საბადებელზე ხელი აიღეს სოფლელებმა.

აი, ეს ამბავი მაქვს ამ მოთხრობაში აღწერილი, რა თქმა უნდა, უფრო ვრცლად და შეფერადებით.

* * *

— თქვენ ყველაფერი ბრძანეთ, ქ-ნო ტასო, მაგრამ არაფერს მეუბნებით თქვენს „მოლიპულ გზაზე“, — ვეუბნები, — მახსოვს, მე გორში ვსწავლობდი მაშინ და როდესაც ქუჩაში გაიელიდით, ყველანი თქვენზე ათითებდნენ, — აგერ, „მოლიპული გზა“ ამ ქალმა დაწერაო.

ტასოს ეამა მისი მთავარი ნაწარმოების გახსენება.

— „მოლიპული გზა“ სოფელ ფცაში დავწერე. ნაწილობრივ გორში. რომანმა დიდი აურზაური გამოიწვია იმდროინდელ საზოგადოებაში. მაშინდელი მაღალი წრის საზოგადოება უალყზე შედგა. ბევრმა თავისი თავი იცნო შიგ, სწყინდათ, აგრე არ მითქვამს, ეგ სხვისი ამბავი მომაწერესო. მათ ავიწყდებოდათ ერთი რამ: ავტორი მხატვარია. მისთვის შერჩეული გმირი ფოტოგრაფიული აპარატის ობიექტი კი არ არის, არამედ მისი შემოქმედების მთავარი საგანი, რომელსაც ავსებს და აფერადებს ნაირ-ნაირი დეტალებით, რაც სხვებში შეუნიშნია. მე ყურადღებას ვაქცევდი უმთავრესად ცხოვრების ნამდვილ ასახვას. ტენდენცია კი ისეთი მქონდა, რომ მავნე და უარყოფითი მხარეები დამემუქებინა, ხაზი გამესვა. საბოლოოდ მხატვრული ნაწარმოები ხომ სარკეა. ამ სარკეში ადამიანმა უნდა დაინახოს თავის ღირსებათა გვერდით ნაკლიც, მური ჩამოიწმინდოს... რას წარმოადგენდა ჩემი დროის პროვინციის საზოგადოება? სამწუხარო მოვლენებით აღსავსეს. გამუდმებული ქეიფი, ნარდი. ლოტო, უმთავრესად კი ბანქოს თამაში. ეს ბანქო და ქეიფი იყო მთავარი მიზეზი თავად-აზნაურთა გაკოტრებისა. მემამულეებს ხელიდან ეცლებოდათ მამული, იღუპებოდნენ. ეს იყო „მოლიპული გზა“. ჩემი გმირები — ოქროც, მაკინეც განწირულად მიმაჩნდნენ, თუ ფუქსავატურ ცხოვრებაზე ხელს არ აიღებდნენ. ოქრო სპეტაკი ვაჟკაცია, სიკეთით დაჯილდოებული, მაგრამ მაკინეს მავნე გავლენის ქვეშ მოექცევა და, როგორც ბუნებით სუსტი ნებისყოფის ადამიანი იღუპება კიდეც.

— საინტერესოა, ვინ გყავდათ მხედველობაში, როდესაც ოქროს ჰხატავდით? — ვეკითხები მე.

— ოქრო გამოგონილი ტიპი არაა. მე მხედველობაში მყავდა წერეთელი კოწია. ეს იყო ახოვანი ვაჟკაცი, თვალწარმტაცი, სამხედრო. იგი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და ხელად ჩვენი მაღალი წრის მანდილოსნების კერპი გახდა. გაიმართა „ნადირობა“, ეშხის ბადეთა სროლა, ნადიმები, ცეკვა-თამაში. ევროპა და აზია ერთად გადაიხლართა. წერეთლის დებს უნდოდათ, რომ მათ ძმას მილიონერი შეერთო. მაგრამ წერეთელს მილიონერი კი არა, „ქეთინო“ უყ-

ვარდა, კარჩაკეტილი ადამიანი, მხატვარი, მეოცნებე... დებმა ამ სიყვარულზე ხელი ააღებინეს და ფინალიც ისეთი კატასტროფიული იყო, როგორიც მე მაქვს აღწერილი.

წერეთელს გარდა სხვა ტიპებიც ასევე რეალური ცხოვრებიდან მყვანან ამოღებული. ბევრმა იცნო თავისი თავი, როგორც მოგახსენეთ, აურზაური შეიქმნა, წერეთლები დამემუქრნენ კიდეც...

— ქეთინო? ქეთინოში ვიღას ჰხატავდით? — ვეკითხები ტასოს.

ტასო სდუმს. არ უნდა ამაზე პასუხის გაცემა.

— ეს მე იმიტომ უფრო მაინტერესებს, რომ ქეთინოსთანა ტიპები იმდროინდელ საქართველოში არ მოიპოვებოდნენ. ასეთი მონასტრული კარჩაკეტილობა, ზნეობრივი სიფაქიზე, იმავე დროს მხატვრული ნიჭი, ხელოვნებისადმი თაყვანისცემა... არა, ჩვენი განათლებული ქალები, თუნდაც ინსტიტუტდამთავრებულები, ჩამორჩენილები იყვნენ... ეს გაიდეალებული ტიპია, როგორსაც გვიხატავდა ჟორჟ ზანდი... მან ბევრ რომანში თავისი თავი ამოატივტივა და იდეალური შარავანდედით შეჰმოსა... ამისი მსგავსი ხომ არაფერი მოხდა, როდესაც თქვენი პალიტრიდან ქეთინოს სურათის ფერებს ჰკრებდით?

როგორც იყო, იძლია ანასტასია და დამეთანხმა, რომ ქეთინო მისი პროტოტიპია... შემდეგი განმარტებანი ბევრს ინტიმურ ხასიათის მხარეთა გაშიშვლებას მოითხოვდა, რაც არ მოისურვა ტასომ და მეც იძულებული გავხდი მისი დუმილის წერტილებისათვის რამდენიმე წერტილი დამერთო.

* * *

დრო იყო ტასოს ოჯახური ცხოვრებაც გაგვეცნო. გავეხუმრე:

— როგორ და საიდან მოგაგნოთ, პატივცემულო ტასო, მეგრელმა დუტუმ? რომელ ლაფშათი შემოიფრინა თქვენთან?

ანასტასიამ გაიღიმა.

— მას მეგრული ლაფშა არ დასჭირვებია; ჩემმა „მოლიპულმა გზამ" მისცა მისამართი.

ქართლის მემამულეთა შორის კულტურით დიდად გამოირჩე-

ოდა ნიკო დიასამიძის ოჯახი. მასთან დაიარებოდნენ იმდროინდელი ჩვენი გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი. აკაკი თითქმის მუდმივი სტუმარი იყო მათი. დუტუ, ჩემი დიმიტრი ხოშტარიაც, კარგად იცნობდა ამ ოჯახს და ხშირად დაიარებოდა მათთან. იმ დროს დუტუ მოდაში იყო. მის ლექსებს ქალები გიტარაზე მღეროდნენ... და აი, ერთხელ, დიასამიძეებთან მორიგი დარბაზობის დროს, დუტუ გასცნობია ჩემს რომანს და დაინტერესებულა ჩემი გაცნობით.

სტუმრებში მას შეუნიშნავს ჩემი ახლო ნათესავი კოტე ხერხეულიძე.

— ვინაა ეს ანასტასია ერისთავი? — შეეკითხა იგი, — სადაურია?

— ჩვენი ახლო მეზობელია. თუ გნებავთ გაგაცნობთ?

— ო, დიდად დამავალებთ...

კოტემ ფცაში მოიყვანა. გავეცან. დღემ ჩინებულად ჩაიარა. დუტუს ნაწერებით ვიცნობდი. გარეგნულადაც ეშხიანი კაცი გამოდგა, მიმზიდველი, ოდნავად ფიზიკური ნაკლით (ცალი ფეხით კოჭლობდა). მის ბუნების სიმკვირცხლეს თან სდევდა პოეტური სიამაყეც. განსაკუთრებით მომეწონა ნადიმის დროს წამოთქმული სიტყვის გამო. იგი ჩემს სულს ენათესავებოდა. განსაკუთრებით აღმაფრთოვანა მისი სიტყვის ფინალმა, მოხდენილი ექსპრომტით:

„აჰ, რად არ ძალმიძს, რომ ცრემლად ვიქცე,
გავხდე მდინარე აღქაფებული,
და გადავრეცხო, რაც ქვეყანაზე
ბოროტებაა დამყარებული!..“

დღემ ისე ჩაიარა, რომ შაბლონურ ტრფიალებას და ჩვეულებრივ „მიყვარხარს“ ადგილი არ ჰქონია. პირიქით, დიდი კრძალვა, რიდი, უაღრესი პატივისცემა ამჟღავნებდა მისი სულის სიფაქიზეს. ესეც უჩვეულო ამბავი იყო იმდროინდელი საზოგადოებისათვის. საღამოთი დაგვემშვიდობა. ერთი კვირის შემდეგ მივიღე წერილი. თბილს და გრძნობით აღსავსე სტრიქონებს თან სდევდა სიწრფელე, კრძალვა. თანაც მაფრთხილებდა, უკეთუ უარს მეტყვით ჩემს წინა-

დადებაზე, ჩვენ დავრჩეთ ერთიერთმანეთისათვის პატივისმცემელნი და, თუ ოდესმე რამე გაჭირვება დაგატყდებათ, ნუ მომერიდებით. მე მზად ვიქნები ძმური დახმარება გაგიწიოთო.

დავფიქრდი. თვალი გადავავლე ჩემს წარსულს, აწმყოს. რამდენჯერმე გადავიკითხე წერილი და დავინახე, რომ მე და დუტუს შორის ბევრი რამ იყო საერთო. ის პოეტი იყო, მე ბელეტრისტი. მაშასადამე, იდეურობისა და პროფესიის სიახლოვე ერთმანეთში სულიერ ჰარმონიას შეჰქმნიდა. მომეწონა ისიც, რომ წერილში არ იყო თაქარიანული ბაქიბუქობა და გადაჭარბებული კილო, ვითომც მას უჩემოდ ცხოვრება არ შეეძლებოდა და სხვა ამისთანა, როგორც სჩვევია ზოგიერთებს. არა, წერილი თბილი იყო, ზომიერი კილოთი დაწერილი. მეც დადებითად გავეცი პასუხი და ჩემი მომავალიც ამით გადაწყდა.

* * *

ჩვენი ჯვრისწერა მოხდა სოფ. მეჯვრისხევში, 1897 წ. მამაჩემი მაშინ იქ ცხოვრობდა. თუმცა ავადმყოფი იყო, მაგრამ შვილის ბედნიერებამ ლოგინიდან წამოაყენა. ის უსაზღვროდ ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ ჩემმა ქორწილის დღემ მის ჭერქვეშ თავი მოუყარა ჩვენი საზოგადოების არა მარტო რჩეულ წევრებს, არამედ დადაფნილებსაც, როგორიც იყო აკაკი და გიორგი წერეთელი. აკაკი მამად დაადგა ჩემს დუტუს, მე კი — გიორგი წერეთელმა გამაბედნიერა თავისი მამობით. აღფრთოვანებული მამაჩემი ქორწილის დირიჟორობას ეწეოდა. ის თამადა იყო და მერე როგორი თამადა! გრძნობით აღსავსე! ასე ენამეტყველი მე ის არასოდეს არ მენახა! ჩვენი დამლოცველნი აკაკი და გიორგი წერეთელი მოსწრებული სიტყვებით და კალმასობით სუფრის თაიგულს წარმოადგენდნენ.

ჩვენი ქორწილის გაგრძელება მეჯვრისხევიდან თბილისში მოხდა, გიორგი წერეთელთან. ანასტასია წერეთლის დიასახლისობა და გულითადობა ქართული სუფრის მშვენებით იმოსებოდა.

დამთავრდა ქორწილის დღეები. ჩვენ, მე და დუტუ, გავემგზავრეთ ოლთისში, სადაც ის მსახურობდა.

ოლთისში დუტუ საოჯახოდ მოწყობილიყო. იქვე ჰყავდა დედაც. მაგრამ საცხოვრებლად ოლთისი ყოვლად უვარგისი იყო, სიშიშვლე, უდაბნოს იერი... აუტანელი იყო ჩემთვის იქ ყოფნა. მე, როგორც ქართლში დაბადებულს, ყური შეჩვეული მქონდა სხვაგვარ კილოს, სულის ობლობა ვიგრძენ. დიმიტრიმ ეს შემამჩნია და იმდენი იღონა, რომ წლის თავზე ერევანში გადავიდა და მეც თან წამიყვანა. ერევანი შედარებით უკეთესი გამოდგა ჩვენთვის. აქ შერეული მოსახლეობა იყო, ნახავდით რუსებსაც, სომხებსაც, თათრებსაც და ნაწილობრივ ქართველებსაც. გასართობიც ბევრი აღმოჩნდა. ცხოვრება იაფი იყო, დოვლათით სავსე. ზაფხულობით დიმიტრის მივყავდი დასასვენებლად გოგჩის ტბის მახლობლად. საუცხოო აგარაკი იყო. სულიერი ძალღონე კვლავ შემოვიკრიბე. აქ დავწერე ჩემი მეორე რომანი „ბედის ტრიალი“, რომელიც სანახევროდ ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. ჩემი გმირი „ციცო“ ეს მე თვითონ ვარ. აქ აღწერილია ბავშვობა. შემდეგ, როცა ციცო ასაკდება, ავწერ ჩემი დის ნინას ცხოვრებას. ამ რომანშიც უმთავრესად ცხოვრების უკუღმართი მხარეების გამომჟღავნება მაინტერესებდა.

* * *

შემდეგი ჩემი რომანი „მიწა“ იყო. აქაც ძველი იარა ჩავაქსოვე. ვქადაგებდი, რომ მიწა უნდა ჰქონოდა მის მომვლელს, მის დამუშავებელს, ესე იგი, გლეხს. რომ მისი დასაკუთრება მემამულეების მხრივ ერთგვარი ავაზაკობაა...

მე მინდა ერთს ჩემს მივიწყებულ მოთხრობაზე შევაჩერო თქვენი ყურადღება: „ეკლესიის გარშემო...“

— ო, დიახ, სასიამოვნოა... მახსოვს, მაგ მოთხრობამ სამღვდელოებაში დიდი აურზაური გამოიწვია, — ვეუბნები ტასოს.

— დიახ. მე ამ მოთხრობაში სამღვდელოება ამოვიღე ნიშანში. ქართული სოფელი ისედაც უვიცობისა და ცრუმორწმუნეობის არტახებით იყო შებოჭილი, ჩვენი სამღვდელოება კი თითქოს განგებ ცეცხლზე ნავთს უსხამდა.

ბავშვების ბერად აღკვეცა, სინანული, ტირილი, გოდება, შესაწირავები... ხალხი ცრუმორწმუნეობის ტყვე იყო. სამღვდელოება

ხელს უწყობდა ამ ტყვეობაში ყოფნას, სიბნელეს, რომ მრევლი საპარსავ ცხვრებად ჰგულებოდათ. მღვდლად ანგარებით მიდიოდნენ. სასულიერო სემინარიის მესამე კლასიდან გამორიცხული ჩემი გმირი სიკო არჩევანშია: პრისტავობა უფრო მეტს შემოსავალს მისცემდა, თუ მღვდლობა? ესეც ცოტაა. იშვიათია იმდენი მგლური თვისებები ვისმე გამოეჩინოს, როგორც მღვდლებს მღვდლებისადმი. ერთმანეთის ქიშპობა, ბეზღობა, არქიელებთან და ბლაღოჩინებთან სირბილი, მაცდურად მუცელზე ხოხვა უფროსის წინაშე, რომ როგორმე კარგი მრევლი ჩაეგდოთ ხელში, ხოლო ყოველივე ამის შემდეგ მსუქან მრევლში მგლური მტაცებლობა, მსუნაგობა, სიმრუშე. ყველაფერი ეს აღწერილი მაქვს აღნიშნულ მოთხრობაში. ერთადერთი გადაყრუებული მამა იოსებია სათნო, მაგრამ იმასაც თვითონ მღვდლები გამოსტაცებენ მრევლსა და ეკლესიას. ესეც ცოტაა, დაქირავებულ ავაზაკთა ხელით მის ეკლესიას აძარცვინებენ და აიძულებენ სპეტაკ მოხუცს დანჯღრეულ სამრეკლოზე ავიდეს და სეტყვა-ქუხილში ასტეხოს ზარის რეკვა. მოაჯირი იმსხვრევა და იოსების ტანჯვასაც ბოლო ეღება.

მოთხრობაში ჩემი გმირები ლოგიკურად ათეიზმამდე მიდიან. აქ ძალდატანებას კი არა, შეგნებას მიჰყავს ისინი ღმერთის უარყოფამდე, რომლის სახელითაც ამდენი უბედურება იყო გამეფებული.

მოთხრობა, როგორც თქვენ ბრძანეთ, არ შეიწყნარეს. სამღვდელოება დაფაცურდა, სინოდში უნდა გადაეგზავნათ ეს მოთხრობა ანათემის მისაცემად. ერთადერთი მღვდელი იყო, კაპანაძე, მისი სახელი აღარ მახსოვს, რომელიც წინ აღუდგა მათ გადაწყვეტილებას, — ჩვენ სიმართლეს კი არ უნდა ვუფრთხოდეთ, ნაკლი უნდა გამოვასწოროთ.

* * *

მის მოგონებათა ხეივნებში მრავალი რამაა სასიხარულოც და სამწუხაროც. სამწუხარო მოგონებებიდან მას აქვს აკაკის დაკრძალვის ამბავი, ილიასი...

უკვე სამოცი წელი უსრულდება, რაც სამწერლო ასპარეზზე

გამოვიდა. იგი ნეტარებით იხსენებს სოფლურ ცხოვრებას, — სოფელი ჩემი უნივერსიტეტი იყოო!

— დღესაც, თუმცა თბილისში ვცხოვრობ, მაგრამ სულიერად ისევ სოფელთანა ვარ, იქ მიმიწევს გული... ჩემი ახალი რომანი „სალი“, ჩემი თავგადასავლის ძეგლია, აქ სოფელიც მექნება აღბეჭდილი... ჩემი ტოლებიც, რომელთა შორისაც ვტრიალებდი და უხვადა ვკრეფდი ჩემი რომანებისა და მოთხრობების საღებავებს... ვფიქრობ, ამასაც მალე მოვათავებ...

— რა თქმა უნდა, მოათავებთ, — ვეუბნები, — პატივცემულო ტასო, თქვენ ჩვენი ჟორჟ ზანდი ხართ!

— ჟორჟ ზანდი? არა! მე სულიერად ვერ დავენათესავები მას... სოფლად ჩემს განდეგილურ ცხოვრებაში გამოწერილი მქონდა მრავალი ჟურნალ-გაზეთი. ვიცნობდი რუსეთისა და უცხოეთის კლასიკოსებს, ხარბად ვეწაფებოდი მათ ნაწერებს. ძალიან მიყვარდა ჰიუგოს რომანები. ეხლაც ჟრუანტელსა მგვრის მისი „განკიცხულნი“, ან ხელოვნების ისეთი დიდი ძეგლი, როგორიცაა მისი „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“! მიყვარდა დოდეც, ბალზაკიც, მაგრამ ჰიუგომ სულ სხვა ადგილი დაიკავა ჩემს გულში...

* * *

დარბაზობა ანასტასიასთან უკვე მოთავებულად მიმაჩნდა. პირველი ქართველი ბანოვანი რომანისტი ქალი წამოდგა და გასასვლელისაკენ გამომაცილა.

მე ზრდილობიანად დავემშვიდობე. თმადათოვლილმა მანდილოსანმა სათნო ღიმილით გამომიწოდა ამაგდარი ხელი და მაგრად მომიჭირა სუსტი თითები.

— ნახვამდის. აი, ომიც გათავდება ჩვენი გამარჯვებით... მე მინდა, რომ შენს მოგონებას დაურთო: ყველაფერი, რაც კი დამიწერია და შემიქმნია, მივუძღვენი ქართველი ერის მომავალ თაობებს, იმ შორეულ ყმაწვილებს, რომლებიც იცხოვრებენ გაცილებით უკეთესად, ვიდრე მათი წინაპართ უცხოვრიათ.

1944 წ.



ქართული სცენის მშვენება

ლადო მესხიშვილი

ჯგერ სრული ოცდათორმეტი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩვენს სცენაზე პირველად გამოვიდა ჩვენი მელპომენეს მშვენება ვლადიმერ სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილი, რომლის სასცენო მოღვაწეობას ღირსეულად დღესასწაულობს ჩვენი ერი ამავე წლის დამდეგს, სახელდობრ ათ თებერვალს, 1913 წელს. ვინ არის ვლადიმერ სარდიონის ძე? რას წარმოადგენდა იგი ჩვენი სასცენო ხე-

ლოვნების ისტორიაში? ამის პასუხს მიიღებთ როგორც ადგილობრივი პრესის საშუალებით, ისე კერძო საუბრის დროს. მრავალფეროვანია ეს პასუხი, ფრიად გაშლილი, მაგრამ სადა, მეტად მარტივი, სადაც სიტყვათა კეკლუც თაიგულად გამოკვალთულს წინადადებაში ქვემდებარე აღნიშნავს გაკვირვების ნიშანს, ხოლო შემასმენელი — აღტაცებას და უზომო ქება-დიდებას!

მაგრამ ამგვარი განმარტებით დაკმაყოფილება არ შეიძლება. ჩვენ გვსურს არა ქათინაურების შეკრება, არამედ საღი ანალიზის მოხდენა, რათა რამდენადმე მაინც ავხსნათ ამ დიდბუნებოვან ნიჭის სასცენო მოღვაწეობა. სინთეზი ჩვენის ანალიზისა შესაძლებელია ბევრმა არ მიიღოს, ისიც შეიძლება, რომ მრავალს ის ჰიპერბოლად მოეჩვენოს, მაგრამ ნურავინ დაივიწყებს, რომ თვით ლადო მესხიშვილი ჩვენი სასცენო ხელოვნების ისტორიაში ჰიპერბოლაა, თუ გნებავთ სფინქსი, რომელიც ჩვენდა საბედნიეროდ ძლიერმა ფორტუნამ მოგვივლინა.

ლადო მესხიშვილი სწორედ იმ დროს ეწვია ჩვენს სცენას, როდესაც ჩვენი თეატრი კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამის შესახებ მეტად მოსწრებულად იყო აღნიშნული ქართულ პრესაში: „ჩვენს თეატრს არც კისერი უვარგა, არც ფეხები, ზურგზე კიდევ საშინელი კუზი ამოსვლია, ერთი სიტყვით, იგი რაღაცა ახმახი დრომადერი გახლავთო“. და, რაღა თქმა უნდა, რომ ვ. აბაშიძე და კოტე მესხი, როგორც ანტრეპრენიორები, ასეთი ძალის გამოჩენით დიდად განიხარებდნენ!..

საბედნიეროდ, ლადო გარემოებათა სიძნელეს არ დაუფრთხია, იგი მოთმინებით იყო აღჭურვილი და წარბშეუხრელად გადაჰყურებდა თავის მომავალს, სადაც მისმა ბედის ვარსკვლავმა გაუცინა ტკბილ სატრფოსავით. ამ დროს სრულიად მარტო დგას ლადო, ერთადერთია თავის მშობლიურ სტიქიაში და დღითი დღე ცდილობს გვაჩვენოს თავისი საკუთარი კათედრა, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა ჩვენი თუ უცხოელთა ცხოვრების ვითარების გაცნობა და ხელოვნების გამოჩინება. და მართლაც: იგი არ ყოფილა პოლიტიკოსი, მაგრამ საზოგადოებრივი და პოლიტიკური იდეებით სასცენო კათედრიდან გვიზრდიდა ახალ თაობას; იგი არ

იყო ქურუმი, მაგრამ მარადჟამს ფები-აპოლლოს სახით გამო-
ბრწყინებული საიდუმლო ლოცვებს ასწავლიდა ღმერთებთან სა-
საუბროდ ჩვენი სცენის ისეთს საიმედო და სასიქადულო ვარს-
კვლავებს, როგორნიც არიან ქ-ნი ნინო ჩხეიძე და ნინო დავითა-
შვილი; მისგანვე გაიწვრთნენ არა ნაკლებ საიმედო და სულ ნორჩი
ძალები: ი. ზარდალიშვილი, ვ. შალიკაშვილი და სხვები. შეიქმნა
ერთგვარი სკოლა, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ „მესხიშვი-
ლის სკოლა“. აქ სწავლობდნენ, აქ იზრდებოდნენ ახალგაზრდა მსა-
ხიობნი!..

მესხიშვილის ღირსებად და სათაყვანო საქმედ უნდა ჩაითვა-
ლოს ისიც, რომ ყველა სიკეთესთან ერთად იგი პოეტია: მან შეჰ-
ქმნა, თუ შესაძლებელია ასე ითქვას, პლასტიკური პოეზია, რომ-
ლის უაღრესი განვითარებით თვით ილუზიათა ლაჟვარდი სამეფო
ჩამოგვიტანა ძირს და მშვენიერების საიდუმლოებაში გვახედებდა,
როგორც დაუდეგარი ცელქი ფერია, რომელიც ტბიდან ამოცოც-
დება და ციაგთა სალამურის ხმაზე სიცილ-კისკისით მოცეკვს საი-
დუმლო ვერცხლის სხივებზე... იგი, პირველ ყოვლისა, თამაშობს,
და ამ თამაშით ჰქმნის ახალ-ახალ ტიპებს, ახალ-ახალ სახეებს,
რომელთა სურათები ჩვენი ხელოვნების ალბომის ფურცლებში
აუქსოვია და თვის საგანძურში შეუნახავს.

მაგრამ... ნუ ვიჭაობთ! ავწიოთ უკვე შეთრთოლებული ფარ-
და, თვალი გადავავლოთ სწრაფად გარბენილს მის სასიზმრო მოღ-
ვაწეობის ხანას სასცენო ხელოვნების ასპარეზზე, ერთად გადავ-
შალოთ თეატრის ისტორიის რვეული. უეჭველია, ეს რვეული
უფრო მეტს გვეტყვის, საგულისხმოს!..

* * *

ქარიშხალსავით განვლილი ახალგაზრდობა, სულიერი სიობლე
ყმაწვილობაში, ასეთივე ობლობა შემდეგ, როდესაც ჭეშმარიტ
ცხოვრებას პირისპირ წარუდგება ადამიანი ანგარიშის გასასწო-
რებლად, სრული ობლობა შიგნით, სრული ობლობა გარეთ, ხან
იმედის სხივის მილევა, მბჟუტავი სახით ციაგი ბედის საზღვრებზე,

ხან აღგზნება, აწევა მაღლა, მწვერვალისაკენ, საკეისროდ გამზადებული ტრიუმფი, სკიპტრა-გვირგვინი, ხან კი დაგმობა, გაწბილება და ბედკრულ წინასწარმეტყველთა უწყალო ხვედრი, აი რას გვეუბნება ჩვენი სცენის ქურუმის ისტორია! ეს ისტორია, ჰეშმარიტად, მისივე საყვარელი ედმუნდ-კინის ისტორიაა, რომელსაც ის ასეთის გატაცებით გვიხატავს ჩვენს სცენაზე...

ფიზიკურად სუსტი, მილეული ყმაწვილი, რომლის ჯანმრთელობაში არა ერთხელ ეჭვი შეპარვიათ მის მშობლებს, ნაზი არსება, რომელსაც მხოლოდ დედის ალერსი ახარებდა და აცოცხლებდა, პატარა ლადო ერთგვარ მელანქოლიას შეუპყრია. რა იყო მისი სურვილი? რად იტანჯებოდა ბავშვი? არავინ უწყის. რაღა თქმა უნდა, რომ მისი მომავალი ნიჭის სიდიადე და დანიშნულება აზრადაც არავის მოსვლია, თვით ლადოს ბავშვობითვე რწმენად ჰქონდა ჩანერგილი, რომ ის მომავალში ექიმი იქნებოდა და მამის ადგილს დაიჭერდა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი თეატრის აწინდელი შუქურ-ვარსკვლავის დაბადება სწორედ მაშინ მოხდა, სახელდობრ 1857 წლის 16 თებერვალს, როდესაც ჩვენი თეატრის დანიშნულება, როგორც საკუთარმა კვლევამ და კომპეტენტურ ავტორთა მოწმობამ დაგვარწმუნა (გ. თუმანიშვილი, უმიკაშვილი, მეუნარგია, ალ. ხახანაშვილი, არჩილ ჯორჯაძე, ივ. გომართელი, შალვა დადიანი და სხვები), მხოლოდ გართობის მიზანს ემსახურებოდა და მისი ბედი ხელთ ჰქონდათ მოსწავლე ახალგაზრდობას. 1856 წლიდან ხომ, ესე იგი ერთი წლით ადრე, ვიდრე ლადო ქვეყნიერებას მოევლინებოდა, შესწყდა თვით ამ შინაურ წარმოდგენათა ძარღვი და 1861 წლამდე აღარავის ვჰვრეტთ, რომელსაც შეეძლებოდა საქმის მოწესრიგება და სასცენო ხელოვნების გამოღვიძება... მაგრამ დავუბრუნდეთ თვით ლადოს ბავშვობას.

ლადო ნებიერი ბავშვია თავის დედ-მამის ოჯახში. დედამისი ჩოლოყაშვილის ასული გახლდათ, ძველი მეოჯახე ქალი, რომლის სიდარბაისლე ყველას სამაგალითოდ ჰქონდა მიჩნეული, ხოლო მამამისი სარდიონ დიმიტრის ძე იმ დროის სახელგანთქმული ექიმი, ქართველთა შორის ეს პირველი ადამიანი იყო, რომელმაც

უმაღლესი სწავლა-განათლება მიიღო რუსეთის უნივერსიტეტში. ეს გახლდათ ერთგვარი დიპლომატი და დროის შესაფერი ცოდნით აღჭურვილი ადამიანი, რომელიც გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ყოველს საზოგადო მოვლენას; ყოველს ახალ აზრს, რომელიც დასავლეთ ევროპის ქარს მოჰქონდა რუსეთში. მისი ოცნება მუდამ ის იყო, რომ ყოველი ახალი ჩვენს სამშობლოშიც გადმოენერგა, თუკი ეს რამდენადმე მაინც შესაძლებელი იქნებოდა.

ქონებრივად ვერ ვიტყვით, რომ რაიმე გაჭირვება განეცადოს მას, ამ მხრივ იგი, დიახაც, უზრუნველყოფილი იყო. დღიური შემოსავალი რომ არა ვსთქვათ, საკმარისია გავიხსენოთ ის აუარებელი ქონება, რომელიც მემკვიდრეობით დარჩა მშობლებისაგან. აი, ეს გარემოება იყო სარდიონის ხელში ის უმტკიცესი თავდები, რომლითაც მუდამ ოცნებობდა თავის შვილების საგანგებო აღზრდაზე, რაც ნამდვილ ევროპულ სწავლა-განათლების მიღებაში უნდა გამოხატულიყო. სწორედ ამ მიზნით ხელმძღვანელობდა იგი, როდესაც თავის ოჯახში შვილებს სამ-სამი აღმზრდელი მამაკაცი და ერთიც აღმზრდელი ქალი თავზე დააყენა.

ლადო ჯერ ოთხი წლისაც არ იყო, როდესაც მისი უფროსი ძმები პანსიონში მიაბარეს, რომელსაც მთელი თბილისი იცნობდა „კანონიჩის პანსიონის“ სახელით. პატარა ბავშვი ყველას გასაოცრად დაბეჯითებით ითხოვდა, მეც ჩემს ძმებთან წამიყვანეთო. რა თქმა უნდა, მშობლებს ეს სიცილადაც არ ეყოთ, ბავშვური ჟინიანობით ხსნიდნენ, რომელიც თავისთავად გაივლიდა. მაგრამ ასე არ მოხდა. პირველად თითქოს ბავშვი ბედს შეურიგდა. აღარ სტიროდა, თუმცა გაბუტული ყოველთვის იყო. მაგრამ აი დადგა დრო, როდესაც ბავშვს საწადელი აუსრულდა. ერთხელ ბედმა თუ გარემოებამ ისე მოაწყო ყველაფერი, რომ მამას უსათუოდ ლადოც თან უნდა წაეყვანა მისი ძმების სანახავად. ლადოც თითქოს ამ დროს უცდიდა. ერთი მოეხვია ძმებს და ტირილით სასტიკი პროტესტი განუცხადა მამას შინ დაბრუნებაზე. მეტი რა გზა იყო, ლადოც დასტოვა მამამ კანონიჩის პანსიონში, რა თქმა უნდა, იმდენად წიგნის სასწავლებლად არა, რამდენადაც ბავშვის გულის მოსაგებად,

იქნებ ერთი კვირის შემდეგ უდედობა იწვნიოს და გამომყვესო. ბავშვმა კი თავის სულიერ სამეფოში იგრძნო თავი, მით უმეტეს, რომ პანსიონის გამგე ქალი დედობრივი სიყვარულით მოეკიდა, აუარებელი სათამაშო ნივთებით მოჰხიბლა და თან ათას სანახაობით ართობდა, ასე რომ მის წასაყვანად მეორედ მოსული მამა ისევ ხელცარიელი დაბრუნდა სახლში, ოღონდ ახალ იდეალად ის დაისახა, რომ ჩემი ლადო უცხო ენებს მაინც ისწავლის პანსიონში. მართლაც, ამ პანსიონში ენების შესწავლის საქმე ძალიან კარგად იყო დაყენებული, განსაკუთრებით ფრანგული ენა თითქმის ოფიციალურ და სავალდებულო ენად ითვლებოდა. ჩვენი პატარა ლადოც მალე ითვისებს აქ ენას; დედის კალთიდან ჯერ ფრთა გაუმაგრებელ ჩიტის ბარტყსავით გადმოფრენილი სულ ადვილად შეეთვისა მეორე დედას — კანონიჩის მეუღლეს, რომლის სახელით, როგორცა ვსთქვით, ეს პანსიონი არსებობდა. ამანაც საკუთარს შვილსავით შეიყვარა და ერთურთს მშობლიურ ენით ეხმატკბილებოდნენ.

სამი თუ ოთხი წლის შემდეგ პატარა ლადო მშობლებმა კანონიჩის პანსიონიდან გადაიყვანეს პასტორ ლეზენდორფის ოჯახში, გერმანული ენის შესასწავლად. რა თქმა უნდა, ბავშვს აქაც არავითარი საშუალება არ მოეპოებოდა, რომ ქართული ენისთვის ჯეროვანი ყურადღება მიექცია. მაგრამ მოვუსმინოთ თვითონ მსახიობის ჩივილს. აი რას ამბობს იგი, თავის ავტობიოგრაფიულ შენიშვნებში: „სამწუხაროდ ეს მიუტევებელი ნაკლი ეხლაც სჭირს ჩვენს მაღალს საზოგადოების წრეს და არა ერთსა და ორს ქართველს იპოვნით, რომელთაც მშობლიური ენისა არა უწყიან რა! ეს გარემოება მით უფრო მაკვირვებს, რომ მესხიშვილთა გვარი ყოველთვის მშვენიერი ქართული ენის მცოდნენი იყვნენ და თვით მამაჩემი სხვა და სხვა თარგმანებს გარდა ქართულ ჟურნალ „ცისკარში“ თანამშრომლობდა“.

როგორც ვხედავთ, ბავშვის აღზრდას, მართლაც, არავითარი სისტემა არა ჰქონია. სანამ კანონიჩთან იყო პანსიონში, იგი ფრანგული წესრიგით იზრდებოდა, დაავიწყეს სამშობლო ენა, დაჰყავდათ ფრანგულს ოჯახებში, კვირა-უქმით კიდევ — ფრანგების

ეკლესიაში, ხოლო როდესაც ლეზენდორფთან გადაიყვანეს, მაშინ პროტესტანტობა დააწყებინეს, მოსწყვიტეს ფრანგულს ენას, ოჯახობას, ქართველობისას ხომ ნუღა ბრძანებთ... სამაგიეროდ ლიუთერანთა ეკლესია ბავშვის იდეალად გადაიქცა, მამაო ჩვენოსაც აღარც ფრანგულად ათქმევინებდნენ, არც ქართულად, არც რუსულად, არამედ გერმანულად თუთიყუშსავით ამეორებინებდნენ.

ეი ამითი აიხსნება, რომ ლადოს კარგახნობამდე შერჩა სურვილი, ეპისკოპოსი გამოსულიყო!..

* * *

ლადო ჯერ ისევ პანსიონში იყო, როდესაც მშობლები გარდაეცვალა. ობლად დარჩენილს მცირეწლოვან ბავშვებს მზრუნველად დაადგათ მათი ბიძა, მიხეილ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილი. ეს გახლდათ დროის შესაფერად კარგად განვითარებული ადამიანი, რომელიც ვექილობას ეწეოდა. „მზრუნველმა“ ბიძამ სრულიად უდავიდარაბოდ ბავშვების სამკვიდრო თავის საკუთრებად გამოაცხადა და ობლები უმწეოდ დასტოვა! პასუხისმგებლობა რომ მთლიანად მოეხსნა თავიდან, ლადო და მისი ძმები სამხედრო სასწავლებლებში მიჰფანტ-მოჰფანტა. თვით ჩვენი ლადო კიევის კორპუსში მიაღებინა.

კორპუსში გამოცდა ჩინებულად ჩააბარა ლადომ და პირდაპირ მეორე კლასში დასვეს. მაგრამ ყმაწვილის გული იმთავითვე ვერ შეეთვისა სამხედრო სამსახურს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მას პატარაობიდანვე გულში ჩანერგილი ჰქონდა სახელის მოხვეჭა საექიმო ასპარეზზე, ან ეპისკოპოსად კურთხევა! მამის ექიმობის სახელი ახლაც კეკლუც ქალსავით ეპატიჟებოდა თავისკენ და იდუმალის ხმით ჩასჩურჩულებდა, რომ ადრე და მალე იგი კორპუსის ციხეებს უნდა განშორებოდა. ახლა ამას დაუმატეთ თვითონ მისი მამის ანდერძი, რომ მისი გაკვეთილი გზა უფრო გაეფართოვებინა შვილს, შემდეგ საყვარელი დის ჩურჩული ობლობის დროს, რომ მამის ანდერძისთვის არ ეღალატა:

„კარგად ისწავლე ძამიკო, — ხშირად უთქვამს მას, — ვინძლო რომ მამასავით სახელოვანი კაცი გამოხვიდე, არ დაივიწყო, რომ შენ მაინც ექიმი უნდა გახდე და არა სამხედრო კაცი. ამით უფრო ადვილია ხალხისთვის სარგებლობის მოტანა და სახელის მოხვეჭა". აი, სწორედ ეს მიზეზი იყო, რომ ლადომ იმ თავითვე გული აიცრუა კორპუსზე და რის ვაივაგლახით მხოლოდ ორ წელიწადს დაჰყო იქ, ესე იგი, მეოთხე კლასში იყო, როდესაც თავი დააღწია კორპუსის კედლებს. ამ დროს ლადო იქნებოდა 13—14 წლისა.

კორპუსიდან გამოსვლისთანავე ლადოს ოცნებამ ფრთა გაშალა, რომ ის ოდესმე მაინც სახელგანთქმული ექიმი გამოსულიყო და ამ მიზნით მოსკოვს გაემგზავრა.

ლადო მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა: ლადო განიხარებს, გატაცებით ისმენს ლექციებს, უზომოდ შრომობს. მაგრამ ლადოს ოცნებას განხორციელება არ უწერია. თავდაუზოგავი შრომა ფიზიკურად ასუსტებს, აავადებს და ექიმების რჩევით იძულებული ხდება სწავლას თავი შეიანებოს და სამშობლოში დაბრუნდეს.

* * *

თბილისში ჩამოსვლისას ლადო მასწავლებლობას იწყებს. ჯერ კობიაშვილის პანსიონში, შემდეგ კი თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში, სადაც ანატომიას, ფიზიოლოგიას და ბუნებისმეტყველებას ასწავლიდა.

მართალია, ლადო ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მისი მოწოდება ექიმობა იყო, მაგრამ თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მისმა გადაწყვეტილებამ გეზი სულ სხვა მხრით იცვალა.

ჯერ კიდევ ბავშვობის დროს ლადოს ერთგვარი მისწრაფება ჰქონდა თეატრალობისა. თავის ამხანაგებთან ერთად, განსაკუთრებით თანაკლასელ მეგობარ გ. ჭონქაძესთან, ხშირად მართავდა საბავშვო წარმოდგენებს. მოსკოვშიც ხშირად გამოდიოდა კლუბების სცენებზე და აი, სამშობლოშიც, სამი წლის წამლობისა და განკურნების შემდეგ, რაკი ადგილიც იშოვნა, რუსულ დასში

ჩაეწერა, რომელიც ამ დროს ძველს სახაზინო თეატრში მართავდა წარმოდგენებს.

ეს იყო 1881 წელს, როდესაც ლადოს შეუსრულდა 24 წელი.

ამ წელს „რუსულმა ტრუპამ“ საქველმოქმედო მიზნით დადგა ჩერნიშევსკის პიესა „Испорченная жизнь“. მთავარ როლს (კურჩაევი) ასრულებდა ლადო. პირველ წყებაში ისხდნენ ჩვენი ცნობილი მოღვაწენი დავით ერისთავი, ილია ჭავჭავაძე და მიხეილ ბებუთაშვილი. მეოთხე მოქმედების შემდეგ სამთავე ერთად შევიდნენ კულისებში, მონახეს ლადო და ერთის ამბით გამოემცნაურნენ. დავით ერისთავმა, როგორც სასცენო ხელოვნების კარგმა მცოდნემ, მაშინვე განსჭვრიტა ლადოს დიადი ნიჭი, ველარ დამალა თავისი სულიერი აღმაფრენა და აღტაცებულმა შესძახა: „როგორც იქნა ვიპოვე ჩემი ხიმშიაშვილიო!“ ილია ჭავჭავაძემ კი თავისებური დინჯი დარბაისლობით მიმართა ჭაბუკს: როგორი ქართველი ხარ, ყმაწვილო, როდესაც შენს სამშობლო სცენას გაურბიხარ და რუსულ სცენაზე თამაშობო. არ გეკადრება ქართველს ასეთი საქციელი! ჩვენი სცენა ჯერჯერობით მეტად ღარიბია და ვისაც ნიჭი და უნარი აქვს, მოვალეა მის აღყვავებას ემსახუროსო.

დარცხვენილი ლადო დიდხანს იდგა გაჩუმებული, ინსტინქტურად გრძნობდა თავის დანაშაულს, რომელშიაც თავისი მხრივ ნაკლები ბრალი მიუძოდა. და აი, სამთა წინაშე თავის გასამართლებლად მხოლოდ ისღა მოახერხა ეთქვა, რომ სამშობლო ენა არ ვიციო და თან დასძინა: თქვენის ხელმძღვანელობით და ჩემის მეცადინეობით, ვფიქრობ, ყოველივე სიძნელეს გადავლახავო.

ეს მოხდა ვ. აბაშიძისა და კოტე მესხის ანტრეპრიზის დროს. ამათაც შეიტყეს თუ არა ახალი ნიჭის აღმოჩენა, სიხარულით დაფაცურდნენ, რათა ეს ახალი ნიჭი სამშობლოს გულზე გაეფურჩქნათ.

და მართლაც, იმავე 1881 წლის 10 ოქტომბერს, ჩვენ ვხედავთ ლადოს პირველად ქართულ სცენაზე გამოსულს, ასრულებს ვილკენის როლს პიესაში: „შეშლილი“.

სწორედ ამ დღიდან იწყება ლადოს მიერ უარისყოფა ოცნებისა ექიმობაზე. სულით და გულით ეწირება ის სცენას!..

თუ რამდენად ძნელი უნდა ყოფილიყო ვლ. ალექსი-მესხიშვილისათვის ქართულს სცენაზე გამოსვლა, ამას ადვილად გავითვალისწინებთ, თუ გავიხსენებთ, რომ სცენის ხელმძღვანელნი იძულებულნი იყვნენ მისთვის როლები რუსული ასოებით გადაეწერათ! ამისდა მიუხედავად ლადო ყოველს დაბრკოლებას სძლევს თვისი მკვირცხლი მეხსიერებით. მართალია, მის დებიუტს პირველადვე ოვაციებით არ ეგებებიან, მაგრამ მასში ხედავენ სასცენო ხელოვნების დიად ნიჭს, ეს კი ეჭვს გარეშეა. მაგრამ პატარა მოთმინება ვიქონიოთ და განვიხილოთ ზოგიერთი რეცენზენტის წერილი:

„დებიუტანტის (იგულისხმება ვლ. ალექსი-მესხიშვილი. დ. კ.) შესახებ, — წერს „დროების“ რეცენზენტი ბ-ნი ემბე, რომლის წერილებს, საზოგადოდ, დიდი დაკვირვებისა და სასცენო ხელოვნების ზედმიწევნითი ცოდნა ეტყობა, — ჩვენ გარდაწყვეტილ აზრს ვერ გამოვთქვამთ. ჩვენ გავიგონეთ, რომ იმ დღეს ის შეუძლოდ იყოო, და ამითი აიხსნება, რომ ბ-ნი მესხიევი ზოგიერთ სიტყვებსა და ფრაზებს არ ასრულებდა და საზოგადოდ როგორღაც უმართებულოდ ეჭირა თავი სცენაზე. ეს მით უფრო გასაკვირველია, რომ მეოთხე მოქმედებაში თამაშის დროს ეტყობოდა, რომ ის მგრძნობიერი აქტიორია“, („დროება“, № 214, 1881 წ.).

მაგრამ, თუ მისი თამაში გამოცანად დარჩა თვით ისეთს დაკვირვებულს რეცენზენტს, როგორც ემბე იყო, და ვერ აეხსნა, თუ რატომ „ჩერდებოდა მსახიობი“, ან რატომ არ „ასრულებდა ფრაზებს“, სამაგიეროდ ახალგაზრდა მსახიობის მეორე გამოსვლა იწვევს სწრაფს კამათს, აზრთა შეხლას. ეს მოხდა მეშვიდე დღეს, ესე იგი, 17 ოქტომბერს, 1881 წელს, როდესაც დრამატიული დასის გამგეებმა ივანე კერესელიძეს შეუკვეთეს ჩერნიშევსკის იმავე პიესის გადმოკეთება, რომელშიაც თამაშობდა ლადო რუსულ დასთან ერთად. ამ უკანასკნელსაც არ დაუყოვნებია და ჩერნიშევსკის პიესა „დაქცეული ოჯახის“ სახელით სთარგმნა. ახალგაზრდა მსახიობს ანდობენ მეტად რთულ როლს — ინდოს.

აი მოკლედ ამოწერილი ადგილები სხვადასხვა სარეცენზიო წერილებიდან:

„ბ-ნი ალექსეევ-მესხიევის თამაშის უკეთესი მომენტები იყო პირველ მოქმედებაში, როცა ის ისმენს საყვედურს თავის ცოლთან და ბრაზი მოსდის განაჩენის სიმკაცრით. შემდეგ პირველი მოქმედების დაბოლოვება ტირილით. მესამე მოქმედება თითქმის სულ მთლად კარგად იქმნა შესრულებული. სცენამ სამართლებით და მოგონებამ ცოლზე ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინეს. მაგრამ ბატონმა მესხიევმა ერთი დაუდევრობა ჩაიდინა, რომელიც ძლიერ მავნებელია დრამულის როლებისათვის: თამაშის დროს ის მთელს არსებას უმორჩილებს როლსა, საშინელი მოკრება ყველა თავის ძალ-ღონისა ძლიერ მომენტებში ხმარებულნი ამ მომენტების გათავებისთანავე თავდება და შუათანა ადგილზე გადასვლა უჭირდება აქტიორს დაღალვისა გამო. ამ მოქმედების გათავებისთანავე თითქოს თავდება მოქმედებაო, აქტიორს ეკარგება საზოგადოება და ეს უშლის შთაბეჭდილების ერთობას. ბევრს ეს ნაკლულევანება აქტიორის ღირსებად ეგონებათ, რომელიც როლში შედის, მაგრამ თეატრი, პირველ-ყოვლისა, ხელოვნებაა, არ შეიძლება თუ სურათს ჰხატავთ, მარტო ხელი, პირი და ხე დაჰხატოთ და დანარჩენი არაფერი დაასრულოთ, ვინც კი ამ სურათს ნახავს, ყველა უკმაყოფილო დარჩება. ამის აცილება შეიძლება ამნაირად: დაე, ბ-ნმა მესხიევმა გამოიცვალოს თავის შეხედულობა თამაშზე: ვარწმუნებთ იმას, რომ ძლიერი თამაშის ადგილები იმას ყოველთვის გამოუვა... როცა როლს ასრულებს, ყურადღება მიაქციოს შუათანა ვითარებათა ასრულებას“... („დროება“, № 220, 1881 წ.).

ორი დღის შემდეგ „დროების“ მორიგ ნომერში ვინმე ხორეშან გვერდწითელი (მგონია, ეს ილია წინამძღვრიშვილია) ბეჭდავს სტატიას: „ახალი სნეულება“, რომელშიაც ჰკიცხავს ჩვენს დარბაისელს საზოგადოებას, რომელსაც ქაღალდის თამაშში და კლუბებში სიარულით გადაეგო მთელი თავისი ჭონება, და ისეთს კულტურულს დაწესებულებისათვის, როგორიც თეატრია, ოდნავ დროს არ გასწირავენო. შემდეგ წერილი გადადის თეატრის განახლებაზე, ოპტიმისტურ აღტაცებაში მოდის, როდესაც გაიხსენებს წინა დღით ნახულს „დაქცეულს ოჯახს“: აბა ქაღალდის თამაშში დროს დაკარგვას უმჯობესი არ არის, რომ ასეთს შინაარსიან პიე-

სებზე იაროს ადამიანმაო და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩვენი ეხლანდელი მსახიობნი თვით ევროპის სცენასაც კი დაამშვენებდნენ, არამც თუ ჩვენს პატარა სცენასაო. შემდეგ ულოცავს გლად. მესხიშვილის დებიუტანტობას: „რამდენიმე საათის განმავლობაში მან და ქალბატონმა საფაროვის ასულმა გამოიარეს ის ტანჯვა, რა ტანჯვაშიაც ყოფილიყვნენ მაიკო და მისი ქმარი. ესეთი თამაშობა ამტკიცებს დიდ ნიჭიერებას და ღირსებას აქტიორისას და აქტრისასა... („დროება“, № 222, 1881 წ.).

დაბოლოს მოვიტანთ ჟურნალ ივერიაში დაბეჭდილ რეცენზიას:

„ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, — ამბობს ავტორი (ვფიქრობთ, ეს წერილი გ. თუმანიშვილის კალამს უნდა ეკუთვნოდეს),— პუბლიკაზე მოახდინა ალექსეევ-მესხიევმა. ეს პირველად გამოვიდა „შეშლილში“ ვიღაც ქარაფშუტა ფრანტის პატარა როლში, შემდეგ „დაქცეულ ოჯახში“, ასრულებდა უმთავრეს როლს, თავად ინდოს, რომელიც თავისი ცოლის ღალატის გამო იტანჯება. ამ დრამატიულ როლში ახალმა მოთამაშემ გამოიჩინა ნამდვილი ნიჭი. იმის გრძნობიერი, ელექტრონული ხმა, იმისი სცენის ცოდნა ბევრჯგლ დაავიწყებდა მაყურებელს, რომ ის თეატრშია. „დაქცეულ ოჯახის“ წარმოდგენაზე ბევრი ატირა ჩვენი ქალები და თავის მონოლოგებით საკმაოდ გაათბო ჩვენი ცივი, ცალიერი თეატრი“... („ივერია“, № 11, გვ. 145, 1881 წ.).

ჩვენ შეგვეძლო კიდევ სხვა ადგილებიც ამოგვეღო ჩვენი აზრის დასასკვნელად, მაგრამ ესეც კმარა. „დროებაც“ და „ივერიაც“ მართალია, არა ჰხედავენ დებიუტანტის დიადს მომავალს, მაგრამ ყველანი თითქმის ხაზგასმით აღნიშნავენ მის სცენის ცოდნას, გრძნობიერებას, ელექტრონულ ხმას, ძალღონის შემოკრებას, რომ როლის სიდიადე უმწვერვალესად გაასხივოსნოს. დიდი ნაკლი, რომელზედაც რეცენზენტები უთითებენ, ეს გახლავთ „უეცრივი შეჩერება მოქმედების დროს, რაიც მეტად ცუდს შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა ზოგიერთს ეს ღირსება ჰგონიათ“. რაკი „დროების“ რეცენზენტს მეტად კომპენტენტურ პიროვნებად ვთვლით ამ საკითხში, ჩვენ არ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ მის შენიშვნებს, ოღონდ მცი-

რამოდენი განმარტებით, რომ ეს შეჩერება გამოწვეული იყო არა იმიტომ, რომ თვითონ აქტიორი ამას საჭიროებად სთვლიდა, არამედ იმიტომ... რომ როლი მტკიცედ არ იცოდა ენის უცოდინარობის გამო. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ლადო როლებს რუსული ასოებით დაწერილსა სწავლობდა. მაშ რაოდენი ენერგია უნდა დაეხარჯა, რომ ასე თამამად გამოსულიყო თუნდა ისეთს საპასუხისმგებლო როლში, როგორც იყო თავადი ინდო „დაქცეულ ოჯახში“? რაც შეეხება მთელი ძალღონის შემოკრებას და მის არა პროპორციულად განაწილებას, რის შესახებაც „დროების“ იგივე რეცენზენტი სამართლიანად შენიშნავს, ესეც თავისთავად იმავე მიზეზის ცხად შედეგად უნდა ჩაითვალოს, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ, ესე იგი, ენის უცოდინარობა. თქმა არ უნდა, ლადოს რომ ქართული ენა კარგად სცოდნოდა, მისი პირველი დებიუტი გამოსვლისთანავე საოვაციო პანეგირიკებით იქნებოდა აღნიშნული ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

ასეა თუ ისე, 1881 წლის 10 ოქტომბერი ღირსშესანიშნავი დღეა ჩვენი თეატრის ისტორიაში, თუ გნებავთ, ეს გახლავთ უდიდესი მნათობის გამობრწყინება, რომელიც რა ერთხელ იხილავს ჩვენი სამშობლოს სცენას, ვეღარა ჰპოვებს შეკავებას, აუწერელის სისწრაფით ვითარდება, ნაზად იშლება მთელი მისი დინამიური ბუნება და დღითი დღე ჩვენი მელპომენეს კომპასის ისარიც სულ ამ ერთის შარავანდედისკენ იხრება სიმბოლიური ნიშნით, რომ დავით ერისთავის წინასწარმეტყველება მართლა ამ რჩეულს უნდა შეესრულებინა: ლევან ხიმშიაშვილის როლის განსახიერება კვლავ მას უცდიდა!..

* * *

ეს ბედნიერი დღეც ადრე თუ გვიან უნდა დამდგარიყო. ქართველი ხალხი, რომელსაც „ჯერ ისევ ბურანი არ მოეცილებია“ და მხოლოდ „ეხლა იფშვნეტდა თვალებს“, საჭიროებდა გამაფხიზლებელს საყვირს. ეს საყვირი კი, ჩვენი მოწინავე ინტელიგენციის აზრით, თეატრიდან უნდა მოესმინა ხალხს. თეატრი ერთგვარი ტრიბუნა

გახლდათ, რომელსაც „უუდიდებულესი მისია უნდა შეესრულებინა“ ეროვნულ საკითხში.

...მაგრამ ოცნებასა და სინამდვილეს შუა დიდი ზღვარი იყო. ქართული თეატრი იმ დროს სრულებითაც არ წარმოადგენდა ხელოვნების ტაძარს. ჩვენ გვახსოვს, რომ დღიდან დაარსებისა მას გასართობ საგნადა სთვლიდნენ. რა გზით, როგორ მოეხერხებინათ გასართობ ადგილიდან საპოლიტიკო ტრიბუნა აემართნათ? აი, აქეთკენ იყო მიმართული თვითეულის აზრი და გონება. პირველ ყოვლისა, ყურადღება მიექცა პიესებს. ჩვენი თეატრის რეპერტუარში უკვე ვხედავთ ორიგინალურ პიესას „არსენას“ და ნახევრად ორიგინალურ პიესას — „სამშობლოს“. იმ დროისათვის ამ პიესებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: ქართველ ხალხს შეეძლო თავიანთი გმირების დანახვა. რომანტიკული ერი და ზღაპრული გმირობა — ჰაი, ჰაი, რომ ერთგვარი საყვირი იქნებოდა!.. მაგრამ ერთიც და მეორეც დროებით მკვდარი ასოებით დაწერილ ქაღალდის ფურცლებს წარმოადგენდნენ, ვიდრე მათ არ ეღირსათ „სამშობლოს“ სცენაზე დადგმა. ეს კი ძნელი აღსასრულებელი შეიქმნა. არა სჩანდა კაცი, რომელსაც შეეძლო სასწაულის მოხდენა, რომელიც ღვთიურის ნიჭის თილისმით გაჰხსნიდა „სამშობლოს“ ჩაფერფლილს კარებს... თეატრი, ჩვენი მეოთხმოცელთა სიტყვით, მეტად „საცოდავს მდგომარეობაშია“. აი, ასეთ დროს ცისკარსავით გამოანათა დავით ერისთავის „სამშობლომ“. ჩაბალახ მოხდილი ქართველობა კვლავ რაინდული თავგამოდებით ამტვრევს თეატრის კარებს და თხოულობს „სამშობლოს“ დადგმას. იგი დაჟინებით თხოულობს. მისი წარმოდგენით ეროვნული დღესასწაულის დაწყებას! მაგრამ სად იყო ლევან ხიმშიაშვილი? დავით ერისთავი დიდხანს დაეძებდა ერთ მუჭა ნიჭიერ ახალგაზრდა მსახიობთა შორის თავის ლევან ხიმშიაშვილის გამომსახველს, ვიდრე შემთხვევამ, როგორც გვახსოვს, რუსულ სცენაზე არ აღმოაჩენინა სრულიად უცნობი ძალა, სრულიად ობოლი ნიჭი, რომელიც მხოლოდ თითქოს განგებ ჩვენი მწყურვალი სცენისთვის შეექმნა ხელოვნების ღმერთს; მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, თუ ეს ენის არმცოდნე ადამიანი სულ რამოდენიმე თვეში გაკადნიერდებოდა და ასეთ რთულ როლში გამოვიდოდა. მართ-

ლაც, საოცარია, ჯერ თვესაც არ გაევლო მას შემდეგ, რაც მესხიშვილი ადგილობრივ ტიპის როლში გამოიყვანეს და კიჟინა დასცეს, ევროპიელს არ გიხდება ჩვენებური როლებიო, უკეთ, რეცენზენტის სიტყვები თუ გადმოვიღეთ, დავინახავთ, რომ მხოლოდ ერთმა მესხიშვილმა წაახდინა ნაკისრი როლი: „ბ-ნ მესხიევს სრულიად თავის ნიჭისა და ხასიათის შესაფერი როლი არ ჰქონდა, (ლაპარაკია შარვაშიძის ოთხმოქმედებად გადმოკეთებულ კომედიაზე: „მომაკვდავნი“ — დ. კ.) ასლან თარელი, — განაგრძობს რეცენზენტი, — მთის კაცია, ველური, მაგრამ კეთილშობილის გრძნობით სავსე, ცრუ განათლება ჯერ იმას არ მიჰკარებია, რაც გულზე აწევს, რასაც ჰგრძნობს, ის პირდაპირ გამოსთქვამს, დაურიდებლად მოქმედებს, ბ-ნი მესხიშვილი კი ამ დროს ჰგავდა ჩერქეზულ ტანისამოსში გამოწყობილ ევროპიელს...“ („დროება“, № 239, 1881 წ.).

და აი, სწორედ ეს ევროპიელი ადამიანი, რომლისთვისაც ადგილობრივი ტიპის შექმნა მისი ნიჭისა და ხასიათის შესაფერ ამპლუას არ წარმოადგენდა, მაინც თავსა სდებს ლევან ხიმშიაშვილის როლის შესაქმნელად. დავით ერისთავი სულით და გულით მიენდო მას და იგიც თავის მხრივ ღირსეულად უმართლებს იმედს 22 იანვარს, 1882 წელს.

„დროების“ მოწმობით სპექტაკლს „მთელი ჩვენი საზოგადოების ნაღები“ დაესწრო.

სამწუხაროდ, „დროებას“ მოაკლდა ისეთი თვალსაჩინო რეცენზენტი, როგორც ემბე იყო. ჩვენ ვერა ვხედავთ დაწვრილებით ანგარიშს ამ პიესის დადგმის შესახებ. უსახელო ავტორი მხოლოდ საზოგადო ეფექტს აგვიწერს, რომ ყველანი „ბრავოს“ იძახოდნენო, ამით კმაყოფილდება „რეცენზენტი“, რასაც ამჟამად ჩვენთვის ძალიან ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რომ მსახიობთა ნამდვილი თამაშის ღირსება ხელოვნების მხრივ დავაფასოთ. თვითონ ბ-ნი ემბე — იგივე მ. პ. ბებუთაშვილი — რეჟისორად იყო მიწვეული და დავით ერისთავისა და მსახიობთა საკეისრო ტრიუმფს ინაწილებდა. დაფნის გვირგვინები, ატლასის აფიშები, ოვაციები — აი რას წარმოადგენდა იმ დროინდელი სადღესასწაულო საღამო! ლევან ხიმშიაშვილმა და სვიმონ ლეონიძემ (კ. ყიფიანი), ამ ორმა დრამის საუკე-

თესო ნასკვმა შექმნეს ის მთლიანობა, რომელსაც აგვიწერს „იმედი“ აღფრთოვანებულის გატაცებით! ეს ის მთლიანობაა, როდესაც „ითქვა სიტყვა, რომელიც მოხვდა ყველა ქართველის გულს, აატოკა და შეათამაშა ქართველების ძარღვი. ცეცხლი, რომელსაც შემოხვეოდა ნაცარი და აღარა ჩანდა, ეხლა გამოიყურებოდა ისე, როგ შორი მანძილიდანაც დაინახავდით და თანდათანობით მეტად ღვივის. ქართველთ მხოლოდ ეხლა მოგვეცა შემთხვევა, რომ რამდენიმე ხან ერთად ვყოფილიყავით, ერთად გვეფიქრა. ჩვენ გვტანჯავდა და გვაწუხებდა არა რომელიმე კერძო კითხვა, არამედ საზოგადო, საყოველთაო საგანი... მოგვეცა შემთხვევა, რომ განცალკევებული ხალხი, განგანზე მოსიარულე, ერთმანეთის პიუნდობელი, შევიკრიბეთ ერთს ადგილას და ერთურთთან გადავაბით ჩვენი გულის მამოძრავებელი ძაფები, სულის ვითარება, მივენდეთ ერთმანეთს და გული გავიმაგრეთ იმ იმედით, რომ ერთსა და ორს კი არ შეგვტკივებია სამშობლოსათვის გული, არამედ მთელს ხალხს“.

პიესას იმეორებენ. ამ დღეს უფრო ზედმეტი დღესასწაულის ელფერი აძევს. აუარებელი ხალხი ესწრება. „დროების“ რეცენზენტი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ყველაზე დიდი თანაგრძნობა და ტაში მიიღეს „სიმონ ლეონიძის აღმსრულებელმა ბ-ნმა კ. ყიფიანმა და ლევან ხიმშიაშვილის წარმომადგენელმა ბ-ნმა ალექსეევ-მესხიევმაო“, („დროება“, № 17, 1882 წ.).

ამნაირად, ამ საისტორიო დღეს ვლ. ალექსი-მესხიშვილს ჰხვდა წილად უდიდესი როლი შეესრულებინა ჩვენს სადრამო ხელოვნების საეპოპეიო განვითარებაში: იგი გახდა მთელი ერის სულისკვეთების გამომხატველი, მან სძლია თავის თავსაც კი, და თავის მადლიერს ერს მისცა სცენის კათედრა, საიდანაც ხალხს შეასმინა ქართული სიტყვა, გულიდან ამოხეთქილი რომანტიკული სიმის კვნესა! მან გადალახა თვით სიძნელის ზღუდეთა ზღუდე, რომელიც პიესის ეთნოგრაფიულ არარეალობაში გამოიხატებოდა და მშრალს ეფექტებს მისცა მისტიკური ხასიათი, რომლითაც გამქრალ ეპოქის სული საიდუმლოდ გამოაჩინა სცენაზე და სამშობლოს მზგავსს ტრაგედიის შესაძლებლობაში დაარწმუნა ყველა მნახველი. ჭაღარა წარსულის სულის ჯადოსნურმა ხასიათმა მთლიანი შთაბეჭდილება შეჰქმნა.

ქართველი ხალხი შეჰყურებდა მას, გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა ყოველ მის სიტყვას, მის მოძრაობას, გულაჩუყებით ქვითინებდა და დასტიროდა თავის ბედს, როდესაც ჰხედავდა „სამშობლოს“ გაცამტვერებას, გმირების გაქრობას, აწინდელს გააჩრდილებულს მდგომარეობას, ხოლო რა ფარდა შეირხეოდა და ჩამოეშვებოდა, ცრემლი აღფრთოვანებას უთმობდა ადგილს და ოვაციათა ტალღით თან იტაცებდა ქართველ აპოლლოს!..

ასე და ამგვარად შეიქმნა ქართული სცენის ქართული კათედრა, ასე და ამგვარად სულ მოკლე ხანში ფრთა გააშლევინა ლადომ ჩვენი სცენის მცირე გუნდს, ვით მისი გაფურჩქვნისა და გაზაფხულის მაუწყებელმა ფრთაცქვიტმა მერცხალმა! ქართველთა გულში მალე იპოვნა თანაგრძნობა, იგი მისი სათაყვანებელი კერპი ხდება და აჰა, როდესაც ეს უკანასკნელი ორი კვირის შემდეგ თავის საბენეფისოდ დასდგამს კ. მესხის „თამარ ბატონიშვილს“, აუარებელი ხალხი მიაწყდება თეატრის კარებს, ტევა არ არის, ბევრი ბრუნდება უბილეთობისა გამო. თვით „დროების“ რეცენზენტი დიდის თანაგრძნობით აღწერს ამ საარაკო ტრიუმფს, თუ ხალხმა „დაფნის გვირგვინით და მისივე სურათით“, მასთან „მრავალი საჩუქრებით“ როგორ „დააჯილდოვა თავისი საყვარელი სცენის ქურუმი“, ანდა „სპექტაკლის შემდგომ“ როგორ „ასწიეს ვლ. ალექსეევ-მესხიევი და ისე მიიყვანეს ფაიტონამდინ“. („დროება“, № 24, 1882 წ.).

აი, ამ სახით მიისწრაფოდა ლადო ჩვენს სცენაზე, ამ სახით დაატყვევა საზოგადოება და მისი საარაკო სახელის გარშემო ჩვენს საზოგადოებაში უკვე საზეიმო საყვირს უკრავდნენ!..

* * *

როგორც დავინახეთ, ლადოს სცენაზე გამოსვლით ჩვენმა პატარა დასმა ყველა დაარწმუნა თავის საკუთარ ძალ-ღონეში. ისტორიული დრამების ნიადაგზე დაიწყო ჩვენი თეატრის აღორძინების პროცესი. ლადომ პირველმა თავის ამხანაგებითურთ გაუღო დავით ერისთავს „სამშობლოს“ კარი, ამას მოჰყვა „თამარ ბატონიშვილი“, შემდეგ „ბაგრატ დიდი“, „ანუკა ბატონიშვილი“.

ხალხს თავისი საკუთარი თვალით შეეძლო ენახა ხორცშესხმულობა თავის ტრადიციებისა, რომანტიკული სულისკვეთებისა, რომელიც უზომო მწუხარებაში, ან უზომო სიხარულში უნდა გამოსახულიყო.

მაგრამ ლადო როგორც ძლიერი ალღოიანი ხელოვანი ადრევე მიხვდა, რომ მარტო ასეთი გზით სიარული არ შეიძლებოდა, ამ ნიადაგზე შეჩერება ეს იგივე იქნებოდა, რომ ერთს წერტილზე შეეყინა თავისი ნიჭი და ვიწრო ჩარჩოში მოქცეულიყო. აი, ამიტომ განიზრახა რეპერტუარის შეხამება, შეცვლა, მისი გაზრდა, რათა მასთან ერთად აეყვავილებინა დრამატიული ხელოვნება, თავისი სასცენო ნიჭი და მასთან, რა თქმა უნდა, ქართული სცენა, რომელიც დროისა და გარემოების მიხედვით იმ ჟამად, როგორც ვთქვით, რომანტიზმის ტალღებში ირწეოდა. არა „სამშობლო“, არა „ბაგრატ დიდი“, „ანუკა ბატონიშვილი“ და სხვა და სხვები, არამედ ჰამლეტი! აი რას მიაპყრო ოცნების თვალი!

15 თებერვალი, 1883 წელი. ეს ისტორიული დღეა ჩვენი თეატრის აღორძინებისა და განვითარებისა, რომელიც აშკარად ამტკიცებდა თავის არსებობის სიძლიერეს და, თუნდაც მარცხითაც გათავებულიყო, მაინც გამარჯვებად უნდა გვედღესასწაულა. ეს ის დღე იყო, როდესაც ჩვენი ხალხი დასძლევს ძილს, რომანტიკულ ბუნებას, გასცდება კერძო მწუხარების საზღვრებს, რათა ჰამლეტის გაშლილს მანდილში ეხილნა გამოხვეული მსოფლიო მწუხარება, რომლის კვნესა ათასთა და ათიათასთა კვნესაზე უაღრესია, ხოლო გოდება — თვით ნიობეის გოდებაზე მწვავე, მთუთქველი!

ახალგაზრდა მსახიობის განზრახვა მეტად სახიფათო კადნიერება გახლდათ: ეს იყო ერთგვარი თავგამოდება, თუ შეიძლება ასე ითქვას, აღფრთოვანებული ჰაბუკისა, რომელიც წინადვე ღრმად დარწმუნებულია თავის გამარჯვებაში. სამწუხაროდ, ჰამლეტის დადგმას ჯერ დღესაც არა აქვს სათანადო ნიადაგი, არამც თუ მაშინ, როდესაც არც სცენის ტექნიკა იყო ჯეროვნად განვითარებული და არც თუ საზოგადოება გახლდათ ინტელექტის მხრით მომზადებული. ჩვენ, როგორც აღფრთოვანების ხალხი, ჯერ კიდევ ასე ადვილად ვერ შევითვისებთ და შევიყვარებთ ჰამლეტს, როგორც ადვი-

ლად ვერ შეითვისა და შეიყვარა იგი მისმა სამშობლო ინგლისმა, რომელსაც საუკუნოები დასჭირდა, ვიდრე მას მშობლის ყურს ათხოვებდა.

თვით ჰამლეტის როლის სირთულეს და საზოგადოების მოუმზადებლობას უნდა დაერთოს დასის მეტისმეტი სისუსტე. აქ არა თუ თვალსაჩინო, არამედ ისეთი ძალებიც კი არ იღებდნენ მონაწილეობას, რომ ანსამბლისათვის ხელი შეეწყოთ!

დაბოლოს, არ არსებობდა ჰამლეტის ხეირიანი თარგმანი. იმ დროს ჯერ კიდევ ივ. მაჩაბლის ქართულ სცენაზე ჰარმონიულად ამეტყველებული „ჰამლეტი“ არა ჰქონიათ ხელში. თამაშობდნენ ანტონ ფურცელაძის თარგმანს, რომლის სისრულეს მაშინ უფრო დაინახავს ადამიანი, თუ გაიხსენებს, რომ ჰამლეტის საშედევრო მონოლოგი „ყოფნა არ ყოფნა“ მას ასე ჰქონდა ნათარგმნი: „სიკვდილი თუ სიცოცხლე?..“ ასეა თუ ისე, ფაქტი ისევ ფაქტად რჩება, ლადო კადნიერებაზე თავსა სდებს და აზროვნების ტიტანს — შექსპირს ჰერკულესსავით ეჭიდება.

საბედნიეროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, 25 თებერვალი ღირსშესანიშნავ დღედ რჩება ჩვენი სასცენო ხელოვნების გამარჯვებაში!

აი, ბ-ნი ნანეიშვილის ვრცელი სარეცენზიო წერილის ზოგიერთი ადგილები: „ჰამლეტის როლში გამოსული ბ-ნი ალექსეევ-მესხიევი გამოსვლისთანავე არწმუნებს ადამიანს, რომ მას აქვს საქმე უეჭველად ნიჭიერ აქტიორთან, რომლის ხმა, მოხდენილი მიხვრა-მოხვრა და სხვა სცენიური თვისებანი მიიზიდავენ საზოგადოების ყურადღებას. ეს აქტიორი სავსეა ეფექტებით“... („დროება“, № 47, 1883 წ.).

მოვიყვანთ ი. კავთელის წერილიდან „ჰამლეტი ქართულ სცენაზე“, რომელიც ჟურნალ „თეატრის“ სამ ნომერში გაგრძელდა. ვრცელ ამონაწერს. იგი წერს: „შესანიშნავი იყო ის ადგილი, როდესაც ჰამლეტი მარტო რჩება სცენაზედ და დაიწყებს მონოლოგს: „რა მდაბალი ქმნილება ვარ“ და სხვა... ეს მონოლოგი წარმოადგენს: გულის გოდებას, რომელიც ხან დასცინის თავის თავს, ხან ამტყუნებს... მესხიევმა ეს სულის კვნესა მძულვარებით გადმოანთხია.

მისმა მდიდარმა და მელოდრამატულმა ხმამ და ნამდვილმა გრძნობამ დაგვიხატა ჰამლეტის მთელი სულის შინაგანი მდგომარეობანი... ასევე ხელოვნურად ჩაატარა სცენა ოფელიასთან. მით უფრო შესანიშნავი იყო ეს ადგილი, რომ გამოუთქმელი მღელვარება ემჩნეოდა ბ-ნ მესხიევს, რომელიც თავის თავს სასტიკად ემუქრებოდა, რომ იმოდენა გამბედაობა არა ჰქონდა, რამდენიც საჭირო იყო. აგრეთვე ემჩნეოდა ძლიერი სიყვარული, მაგრამ იძულებული იყო განშორებიყო ამ ნეტარს ქმნილებას, რომელიც იმის მეორე სიცოცხლეს შეადგენდა. როდესაც სცენიდან გადიოდა, აშკარად ემჩნეოდა, რომ სულს ოფელიასთან ჰსტოვებდა, რომ მხოლოდ უძლური ხორცი ღა შორდებოდა ამ ნაზ ქმნილებას... რაც შეეხება იმ ადგილს, როდესაც მეფე გარბის და ჰამლეტი მარტო რჩება, ისეთის ისტერიკულის ხმით გადიხარხარა, რომ თითქოს მაცქერალთაც კი რაღაცა სიხარული იგრძნეს, რომელიც ჰამლეტის სულსა მსჭვალავდა. სწორედ რომ ეს უკანასკნელი წუთი რიგიანად იყო დახატული ბ-ნ მესხიევისგან. მაგრამ უფრო შესანიშნავად და ხელოვნურად წარმოსთქვა ის მონოლოგი, როდესაც მეფეს დაჩოქილსა ჰხედავს და სიკვდილს უპირებს, ანდა სცენა, სადაც იგი დედას ელაპარაკება და სულით სტანჯავს, აწამებს მას. ყველა ეს ადგილები ბ-ნ ვლ. ალექსეევ-მესხიევმა ისე მშვენივრად და ხელოვნურად დახატა, რომ სრული თეატრალური ხელოვნების ნიჭი გამოიჩინა, რითაც მაცქერალნი აღტაცებაში მოიყვანა. იმის უცნაური ხმის გამოცვლა, საშინელი აღელვება, მშობლიური სიყვარული, შურის ძიება, ყველა ეს სხვადასხვა ფერად შეხამებული სცენა თავის დროზედ იყვნენ გამოხატულნი და ყოველ სიტყვას თავის შესაფერი გრძნობის ბეჭედი ესმებოდა, რომელსაც იმის პირის სახე სარკესავით გვიჩვენებდა, დისჰარმონია უეცრივ ჰარმონიად იცვლებოდა და იმის შთამბეჭდავი მელოდიური ხმა სრულს მშვენიერს ესტეტიკურს გრძნობას უღვიძებდა მაცქერალთ. კიდევ ერთი უკანასკნელი გარემოებაც უნდა მოვაგონოთ მკითხველებს და მაცქერალთ: როდესაც ჰამლეტი მეფეს სწამლავს. მხოლოდ აქ იკრებს სრულს ძალღონეს, რომელსაც აქნობამდე არ იჩენდა. აი აქ ბ-ნ ვლ. ალექსეევ-მესხიევმა ჰეშმარიტად და რეალურად დახატა ეს მაღალსულოვანი კაცობრიული მღელვარება, რო-

მელსაც მოთმინების ჯაჭვი უწყდება და თავს ამსხვერპლებს“... („თეატრი“, № 2, 1886 წწ.).

ეს ვრცელი ამონაწერი ხაზგასასმელია იმიტომ, რომ მსახიობმა სცენაზე გამოსვლისთანავე გვაჩვენა ცენზი, ცენზი თავისი ღრმა რწმენისა, თავისი მოწოდებისა და ხელოვნებისადმი უდიდესი სიყვარული და თაყვანისცემა. ხელოვნება ერთგვარი რელიგიაა მისთვის. და აი, სწორედ ამ მხრით არის ბედნიერი ჩვენი ლადოც, რომ სრული სილაღე იგრძნო თავის სამშობლო სტიქიისა და უმალვე ორბის ფრთით კამარა შეჰკრა ლაჟვარდ ცაში, რაკიღა ერთი შემთხვევა მიეცა. განა შესაძლებელი იყო ნიჭის დაფარვა, თუკი როლი მსახიობის ინდივიდუალობას შეეფერებოდა? განა შესაძლებელია მხატვარმა შეჰქმნას ის, რაც მას არა სწამს, ანუ რასაც იგი არ ეტრფის? და აი, ჩვენი საყვარელი მსახიობიც არაფრის წინ ქედს არ იხრის, ფართოდ შლის სამოქმედოდ თავის სასცენო რუქას და სრულის რწმენით გვიშლის თავის დიად ნიჭს მთელი თავისი დრამატიული დიხამიზმით. ზღვა აზრთ სამეფო, რომელსაც ჰამლეტს უწოდებენ, ეს თვით გონება ღვთაებრივი პოეზიისა, ჰამლეტი — ეს ხელოვნების უმწვერვალესი და უსპეტაკესი ლოგოსი, რომელიც ძხოლოდ ერთი შემეცნების ცეცხლით იგზნების მთელს თავის მწუხარების შავს ზოლებიან პროცესში, ჰამლეტი — ეს ყველა თავმომწონე არტისტის სათაყვანებელი იდეალი, მესხიშვილის განპიროვნებით გარდაიქმნა კაშკაშა მზედ, რომლის შარავანდედიდან სხივთა ისრების ენებით მოსწვიმს ფილოსოფია, პოემა უხრწნელი მშვენიერების შესახებ, სევდა მსოფლიო მწუხარების, კვნესა ცხოვრებისაგან ღონემიხდილ ადამის შვილის, სათნოება და იმავე დროს ახოვანება შუა საუკუნეთა ჩაფხუტოსანი რაინდისა!

* * *

ვისაც თვალყური უდევნებია მესხიშვილის ჰამლეტისათვის უდიდეს მონოლოგების დროს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი კითხულობს „ყოფნა არ ყოფნას“, ვინც კარგად არ დაჰკვირვებია ამ დროს მის უძრავ მდგომარეობას, უნებლიეთ იკითხავდა:

როგორ? ნუთუ არ სცდება მსახიობი? აქ კითხვა მიდის ყოფნის შესახებ, ყოფნა თვით სიცოცხლეა, ცხოვრება, ხოლო ეს უკანასკნელი კი — მოძრაობა! ცხოვრებამ არ იცის შეჩერება, მაშ რას ნიშნავს მსახიობის უცნაური გაქვავება ამ მონოლოგის დროს? რას ნიშნავს ეს მძიმე შეყინვა და საიდუმლო წუთთა გამეფება, თითქოს ცოცხალს ადამიანს ეს-ეს არის მაჯისცემა შეუწყდაო? მსახიობს, არ სცოდნია ბუნების ელემენტარული კანონები: მაშ სცდება იგი!

უეჭველია, ეს კითხვა ბევრს დაებადებოდა, როგორც მაგალითად, თვით ი. კავთელს, რომელიც, როგორც წინა წერილშიც ვსთქვით, ხელოვნების შეფასებაში საკმაო ნიჭს იჩენს. ამ ადგილის შესახებ აი რასა წერს იგი: „მესამე მოქმედებაში ჰამლეტი გამოდის შესანიშნავი მონოლოგით: „სიკვდილი თუ სიცოცხლე?“ ჩვენდა სამწუხაროდ, ვერაფერი შთაბეჭდილება იქონია ამ მონოლოგმა. ბ-ნ მსახიობის ხმა სრულებით არ ისმოდა და მით უფრო იკარგებოდა ილლუზია!“ („თეატრი“, № 2, 1886 წელი).

რა გულუბრყვილო შენიშვნაა! ჩვენ თამამად ვიტყვით, რომ სცდება რეცენზენტი! ლადო მესხიშვილმა ამ შემთხვევაში ღირსეულად დაიცვა თავისი ინდივიდუალობა და თავისი საკუთარი მსოფლმხედველობისდაგვარად განმარტა იგი. მისი ჰამლეტი ამ უდიდებულეს მონოლოგის დროს თვალწინ გიყენებთ გაწამებულს ადამიანს, ვისთვისაც არ არსებობს აბსოლუტური ღამე, ღამე, რომლის წყვდიად სამოსლის ქვეშაც კი მუდამ სინათლე იჭრება და შიშით აკრთობს შის ზეწარს. ადამიანთა ტრაგიკული ძილის დაკარგვა უეცრივ შეაჩერებს მას რაღაც საიდუმლო კარის ბჭესთან. სწორედ ამ შედგომაში დაინახავთ ჰვრეტით განცდას, მხატვრული განცდა თავისთავად გულისხმობს უსიტყვო მდგომარეობას, უსიტყვო ჰვრეტას. ჰვრეტითი განცდის დროს ნება შემეცნებას რაღაცა სასწაულით შორდება, ადამიანი ეძლევა დავიწყებას, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში თუ დაიწყებს ინტელექტი ნების გარეშე მოქმედებას, თორემ სხვაფრივ სულ ერთიანად იცვლება სუბიექტი, როგორც მისი ობიექტი — გარე ქვეყანა. ამ დროს მას არა უნდა რა, უკეთ, მას აღარა აქვს აღარავითარი ნდომა, სურვილი, იგი დროის გარეშე დგება, ვინაიდან ყოველი ნდომა, ყოველი სურვილი მხოლოდ დროს საზღვრებშია. რამდენადაც შორსაა ჩვენგან აზრთა და გრძნობათა სფე-

რო, იმდენად იგი უძრავია, როგორც უძრავად გვეჩვენებიან წყვდიადით მოცულს სივრცეში კეკლუცად მოციაგე ვარსკვლავები! ჰამლეტს არსად არ ეცხოვრება, იმიტომ, რომ იგი მსოფლიო აზრად გარდაიქმნა. ის იშვა მსოფლიო შემეცნებაში. აი, ამიტომ არის, რომ მესხიშვილმა ამ მომენტში ჰამლეტს გამოაცალა ბუნებრიობის კრიტერიუმი და გონებისა და გულის საზომად გარდაჰქმნა იგი. უდედო, საოცნებო სულიერ სასძლო — ოფელიას დამკარგველი, ჰამლეტი, ვინც უძლური შეიქმნა — ბოროტებისათვის პასუხი ეგო, უნიადაგოდ გაჰყურებს დაუსაბამო სივრცეს, ოდნავი ემოციაც კი არსად სჩანს, თითქოს უსულო ქანდაკებად იზიდება და, ვით სივრცეში გადაკარგული ციაგი, თვის სულის გასხივოსნებულს ძაძებში გაჰხვევს მთელს მსოფლიოს. აი, აქ დგება სწორედ მომენტი უდიდებულესი მონოლოგისა, როდესაც მესხიშვილის ჰამლეტი საიდუმლოებით მოცულს მარმარილოს სვეტად იზიდება უცნობი ყინულოვანი სამეუფოდან! მას თვალწინ ეშლება ამ ცხოვრების გარდაღმა მხარე. იქ, უეჭველია, გამეფებულია ქვეყანა უშფოთველობისა, ქვეყანა დასვენებისა, ქვეყანა სანატრელი მშვიდობიანობისა! მერე თავდება აქ საკითხი? არა! იქ რაღაა? იმის იქით, გარდაღმა მხარეს? რაღა იქნება იმაზე უბრძნესი, უმშვენიერესი და უმშვიდესი, უკეკლუცესი? არარა, გარდა ერთი მისტიკური სიკვდილისა! სიკვდილი კი იგივე დაწუნარებაა, სიმშვიდე და უშფოთველობა, სადაც შესაძლებელია.

„მოვსპოთ სიცოცხლე... დავიძინოთ... სხვა არაფერი"...

დიახ, ამ საუცხოო მონოლოგის დროს ვისაც უნახავს მესხიშვილი, იგი იხილავდა ხელოვნების უახლესს, თანამედროვე სიტყვას, იხილავდა ნირვანას, ვით სიწუნარისა და უაღრეს უშფოთველობის აბსოლუტობას!..

მაგრამ აი, გამოჩნდება ოფელია! პირველს ემოციას მხოლოდ ეხლა შენიშნავთ. თქვენც გამოდიხართ დავიწყებულს მდგომარეობიდან. ოფელიას გამოჩენა ისევ ამ ქვეყნისაკენ დააბრუნებს მსახიობს:

„..... ოფელია! ჩუმად ახლა კი!..
მოიხსენიე შენს ლოცვებში, ჰოი ფერიავ,
ჩემი ცოდვები...“

რა წყნარი სევდით ამბობს ამ სიტყვებს, რა რიგი დაჭანცვა იხატება მის კილოში! მსახიობს სწრაფად სულ სხვა ქვეყნად მიჰყევხართ. აქ თქვენ ვერა სჭვრეტთ ძლიერ ვნებათა წყვეტებას, შურისძიებად განმზადებას, რომელიც ერთგვარ დემონურ ელფერს ადებდა მის მონოლოგებს!..

არა, ასეთი სწორი და უნაკლო ჰამლეტი მეტად იშვიათია!

ასევე დიდებული სანახავია მესხიშვილის ჰამლეტი პირველს მოქმედებაში, როდესაც ხდება ჰამლეტის შეხვედრა მამის აჩრდილთან. აქ იგი რაღაც უაღრეს ძალით იმოსება, რათა ტრაგედიის გასაღები ახლავე ჩაიბაროს და თავისთან ერთად გაიტაცოს თვითონ მსმენელის გულისყური. მართლაც, სცენაზე მეფდება მისტიკური იდუმალება. თქვენ უნებლიეთ ჟრჟოლვა გიპყრობთ, წინდაწინვე ჰგრძნობთ, რომ რაღაცა მოხდება და თუ მსახიობი ეხლავე არ ასრულებს ამ რაღაცას, მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო მეტად დაგაინტერესოთ და ნელ-ნელა, სცენაზე თამაშით გაგიშალოთ საიდუმლოების შემზარავი შავი ზეწარი.

საინტერესოა პირველ მოქმედების მეორე სურათიც, როდესაც ხელმწიფე-დედოფალს ამალითურთ გაისტუმრებს და მარტოდ დარჩება, სახელდობრ, როდესაც იწყება ერთი უძვირფასესი მონოლოგთაგანი ჰამლეტის სევდის:

„რად არ მეშლება ეს სხეული ესრეთ მაგარი?“

აღარას ვიტყვით იმ სცენების შესახებ, რომლებიც ხდება ჰამლეტსა და მის დედის შუა, ან მსახიობებთან წარმოდგენის დროს, ან კიდევ მესაფლავეებთან, დასასრულს ლაერტთან დაშნებით ბრძოლის დროს და სხვა. ყველა ეს სცენები მეტად რეალურია, ეფექტური და მსახიობისაგან იმდენს ხელოვნებას არ მოითხოვს, როგორც დიადი მონოლოგები, სადაც მსახიობმა თვითეულ სიტყვის მოხაზულობით უნდა შეჰქმნას ერთსახეობა. ლადო გასცილდა ჩვეულებრივს თეატრალურს ტრადიციებს, რომელთა წყალობით ჰამლეტიდან მხოლოდ იმ ადგილებს ადგენდნენ, რომელთაც უფრო

მეტი თეატრალური სახე აქვთ. რა თქმა უნდა, ამისი წინააღმდეგი არავინ არის, მაგრამ ჰამლეტის ბედის თეატრალურს საზღვრებს იქით ჩვენ ვხედავთ მისი ფილოსოფიის მკრთოლავ ჩრდილებს, რომელთაც პირველზე არა ნაკლები მნიშვნელობა აქვთ და უფრო მეტიც: სწორედ ამ ჩრდილთა გამოჩინება, მათი სრულყოფა რეალურად, მათზე ემოციური ზეგავლენა უნდა შეადგენდეს ხელოვან მსახიობის დანიშნულებას. საბედნიეროდ, ჩვენი ლადო სრულიად თავისუფლად პოულობს შესაფერს ჟესტს, მიმიკას, განსაკუთრებით ხელოვნურად ატარებს იმ ადგილებს, სადაც ფსიქოლოგიური მომენტებია: რყევა, ორად გაყოფა, გრძნობათა ჩაკვლა, შეჩერება თუ განრისხება — ყველა მის გამგებლობის ქვეშ იყრის თავს, რის გამოც მისი ჰამლეტი წინ გვიდგება როგორც ფილოსოფოსი, მელანქოლიკ-ენთუზიასტი, უაღრეს ინსტიქტთა მომხაზველი აღფრთოვანებული უფლისწული! სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ლადოს შესაფერი პარტნიორები არ ჰყოლია, რომ ანსამბლი დაცული ყოფილიყო და თავის თამაშის მოხაზულობა სრულ ეყო. იგი ყოველთვის საუცხოოდ გვიდგენს ჰამლეტს, თავისებურად ჰმარტავს მას და თუ მისი განმარტება სხვებს არ მოსწონთ, ანუ სხვებს სხვანაირად ესმით, ამაში დამნაშავე მსახიობი კი არ არის, არამედ თვით შექსპირის ბუმბერაზობა, რომლის თვალისმომჭრელი შარავანდედი გონების თვალს ათასნაირი სახით ეჩვენება!

* * *

შემდეგ წელს, სახელდობრ 1884 წელს, შინაური ქიშპობის ნიადაგზე ჩვენი თეატრის საქმე აიწეწ-დაიწეწა. ის, რაც ორიოდე წლის წინათ გაკეთდა, სულ ერთიანად წამოიქცა. დასში გამეფდა ერთგვარი თვითნებობა, უკონტროლო ავტორიტეტობა. მართალია, იდგმება პიესები, მაგრამ ვაი ამ დადგმას!..

რა თქმა უნდა, ასეთს პირობებში შეუძლებელია ნიჭის გაშლა, წინსვლა, თვით გენიოსიც უძლურია, თუ იგი შებოჭილია და გასაქან გზას ვერ ჰპოებს!..

დასის გამოღვიძება მოხდა 1889 წელს, ესე იგი, ერთი წლის შემდეგ, როდესაც ლადომ სასცენო ხელოვნების სფეროში თავისი

მოღვაწეობის პირველი პერიოდი დაასრულა და დროებით განშორდა ქართულს თეატრს...

ლადოს ამ პირველი პერიოდის მეორე ნახევარში წვრილმანი როლების მეტი არა შეუქმნია რა.

სამაგიეროდ ძველს როლებში ლადოს ბადალი არავინა ჰყავს. ლევან ხიმშიაშვილი ბევრმა იმ დროინდელმა პირველხარისხოვანმა არტისტმა შეასრულა, მაგრამ... „შეშლილი“ ხომ მის სატრიუმფო პიესას წარმოადგენს! ამის დამადასტურებლად, ჩვენი აზრით, ზედმეტი არ იქნება ილია ჭავჭავაძის ვრცელი წერილიდან ლადოს შესახებ ამოვიღოთ ადგილი და გავაცნოთ მკითხველს.

„.....ქმრის როლს თამაშობდა ბ-ნი მესხიევი, — ბრძანებს ილია,— პირველ ორ მოქმედებაში უნაკლულო იყო მისი თამაში. ყოველისფერი, მიხვრა, მოხვრა, ხმა, ლაპარაკი, სიტყვის გამოთქმა და ქართული კილოც კი, რომელიც წინად ხშირად უმტყუნებდა ხოლმე ამ ნიჭიერს და ჭკუით სავსე არტისტს, ეხლა ყოველივე ეს ბედნიერად შეუერთდნენ ერთმანეთს, რომ სავსებით და მთელი ზედმოქმედება ექონიათ მსმენელზედ. მის თამაშობით გატაცებულმა საზოგადოებამ არა ერთხელ და ორჯერ გამოიწვია არტისტი ტაშის ცემით და ბრავოს ძახილითა. ჩვენ განსაკუთრებით გაგვაოცა არტისტმა პირველ მოქმედებაში. ავტორი ერთის სიტყვითაც არ ამჟღავნებს მსმენელთა წინაშე, რომ ქმარია შეშლილი. პირიქით, თითქო ყველა ღონისძიებასა ჰხმარობს, რომ აცდინოს მაყურებელი და ქმრის სიტყვით შეშლილად ცოლი აგულისხმოს მსმენელსა. ბ-ნ მესხიევმა, ამ ჭკვიანმა და ნიჭიერმა არტისტმა, აქ სწორედ მთელი დრამა შეჰქმნა და ამით ძლიერ შესძრა მაყურებელთა გული, როცა იგი უამბობს ექიმს თავის ცოლის შეშლილობას, აკი მოგახსენეთ, არც სიტყვით, არც რაიმე ნიშნით ნებას არ აძლევს არტისტს თავისი ჭკუიდამ შეშლილობა გამოამჟღავნოს. მთხრობელის შეშლილობას იმოდენად ჰმალავს ჯერ კიდევ ავტორი, რომ თვით გამოცდილ ექიმსაც კი გუმანი ვერ მიეტანა, რომ მართალს შეშლილს უგდებს ყურსა და მართალს შეშლილს ელაპარაკება. ჩვენის ფიქრით, არტისტული, ჭეშმარიტად არტისტული თამაშობა კი თხოულობს ამ სცენაში ქმარმა ეჭვი შეაპაროს მაყურებელს და გულში

ათქმევინოს: რა ვქნა, თვითონ ეს ხომ არ არის ჰკუიდან შეშლილიო. ეს ეჭვი ბოლოს გამართლდება, თუ გამტყუნდება — სულ ერთია, ხოლო ეგ ეჭვი ატყვევებს მაყურებლის გულსა და გონებას და ინტერესს უჩენს, რომ თვალგაფაციცებით და გულისლევით თვალი და გონება ადევნოს მოქმედებასა და თვით პიესასა.

ასეც მოახდინა ბ-ნმა მესხიევმა და მოახდინა საოცარის ხელოვნებითა. ეს მეტისმეტად ძნელია ნამეტანად, თუ გავიხსენებთ, რომ ავტორმა არავითარი ხორციელი ღონისძიება არ მისცა და განგებაც არ მისცა, რომ ეს ენიშნებინა მაყურებელთათვის. ჩვენ ვამბობთ, განგებ არ მისცაო, იმიტომ კი არა, რომ ეგ ავტორს ფიქრად არ ჰქონია; პირიქით, ხელოვანი ავტორი თავის დღეში შემთხვევას არ დაჰკარგავს, რომ ამისთანა გულის დამტყვევებელი და წამღებელი საგანი, ამისთანა საყურადღებო სულის მოძრაობა და ხალისი არ უჩვენოს მაყურებელსა. კვანძი მელოდრამისა აქ უნდა შეიკრას ავტორის აზრით და ეს სრულიად მიანდო მან არტისტის ნიჭს, არტისტის ჰკუას, არტისტის მოხვედრილობას და გამოცდილებასა და თვითონ ავტორი კი მიდგა უკან. მით უფრო ღრმად აღსაბეჭდია ადამიანის გულზედ იგი სულის მოძრაობა, რომელიც არც სიტყვით, არც მოქმედებით განგებ არა თქმულა და უნდა კი ითქვას იმოდენად, რამოდენადაც შესაძლოა კაცმა უთქმელი საგულებლად გაჰხადოს მაყურებელისათვის. ეს შეუძლიან მარტო ჰკვიანს, გონება გახსნილს და ღრმად გამკითხავს არტისტს და სწორედ ამისთანა არტისტად გვეჩვენა ჩვენ ბ-ნი მესხიევი კვირა დღეს იმ სცენაში, როცა ექიმს ჰკვიანად უამბობს თავის ცოლის ჰკუიდამ შეშლილობას მაშინ, როდესაც თვითონ არის შეშლილი და ავტორი — კი ჰმალამს; თითქო არტისტს ეუბნებოდეს, შენ იცი და შენმა ნიჭმაო, მე თქმაც მინდა და არა თქმაცაო, და ეს, თუ არტისტი ხარ, შენ მოახერხეო. გულწრფელად ვიტყვით, რომ ბ-ნმა მესხიევმა მოახერხა. არა ერთი და ორი მაყურებელი ჰლაპარაკობდა ამ სცენის შემდეგ: აი, ვნახოთ, თუ თვითონ ქმარი არ გამოდგეს ჰკუიდან შეშლილიო და ისეთის კილოთი ამბობდა ამასა, რომ თავისივე სიტყვა სჯეროდა კიდეცა და არცა სჯეროდა.

ჩვენ დიდხანს შევდექით ამ ერთს სცენაზედ, იმიტომ კი არა,

რომ სხვა სცენები არა ჰქონდა კარგი და საყურადღებო ბ-ნს მესხიევს. აკი ვსთქვით, ორი პირველი სცენა კარგად ჩაატარაო, ყოვლად უნაკლულოდაო. ხოლო ეს სცენა, ჩვენის ფიქრით, ერთი იმისთანა სცენაა, რომელსაც მარტო ნიჭი და ცოდნა არტისტისა შესწვდება ხოლმე და სხვა ყოველივე ამისათვის უღონოა; ბურთი და მოედანი არტისტისა მაგისთანა სცენებია ხოლმე და ამიტომაც ასე გრძლად მოგვივიდა მაგ სცენის თაობაზე"... („ივერია", № 251. 1886 წელი).

* * *

ლადოს სამშობლოში დაბრუნება მხოლოდ ოთხი წლის შემდგომ მოხდა, 1893 წელს. პირველ ხანებში იგი თბილისში რჩება, თუმცა გული ქუთაისისკენ ეწეოდა, სადაც სულ ნორჩს ძალებს მოეყარათ თავი და ამხანაგობა შეედგინათ, რათა მათი ხელმძღვანელის — კოტე მესხის წასვლის შემდგომაც წარმოდგენები არ შეწყვეტილიყო. ამ ჯგუფში შედიოდნენ ქალებიდან: ჩვენი სცენის მშვენება ქ-ნი ნინო ჩხეიძის ასული, ს. კანდელაკისა, დ. ივანიძისა და სხვ., ხოლო მამაკაცებიდან: ვას. ბალანჩივაძე, ნემო (ჯანოევი), შალვა დადიანი, თუთბერიძე, მიხ. მარჯანიშვილი, მალ. ბოლქვაძე და სხვები. ამ ახალს ჯგუფს ხშირად მოსდიოდა ლადოს გამამხნევებელი წერილები, სადაც იგი აღუთქვამდა მათ დახმარებას, მალე ჩამოგეშველებით და კოტე მესხის დაწყებულს საქმეს ჩინებულად განვაგრძობთო. რა თქმა უნდა, ეს აღთქმა ყველას ახარებდა, თუმცა სამი წლის განმავლობაში მხოლოდ გასტროლებში გამოიხატა იგი.

1896 წელს კი ლადომ ნამდვილად შეასრულა თავისი სიტყვა: ქუთაისს ეწვია. გარემოება თითქოს განგებ უწყობდა ხელს, რომ საზოგადოების თაიგულად გამხდარიყო და თეატრს შეეყვარებინა. ეხლა უკვე ყველაფერი მზა იყო: თეატრი (ძველი, ხარაზოვისა) უკვე გამოსყიდული და განახლებული იყო, დასიც სულით და გულით მოწყურებულ ახალგაზრდა მსახიობთაგან შესდგებოდა, ხელმძღვანელი იყო საჭირო და აჰა, ესეც გამოჩნდა! მართლაც, ლადოს ჩასვლას შეაქვს სიცხოველე, იდგმება საუკეთესო პიესები, განსაკუთრებით კლასიკოსები. ჩვენი თეატრის ზოგიერთი მეისტორიენი,

როგორც მაგ. იონა მეუნარგია, შალვა დადიანი, კადნიერებად არა სთვლიან, თუ იმ დროინდელს თეატრს შეადარებენ მოსკოვისა და პეტერბურგის თეატრს. და ასეთი ზრდა, ჩვენი სცენის ასეთი ფურჩნა იქნობამდის გრძელდება, ვიდრე რევოლუციის დროებით მარცხს არ მოჰყვა საშინელი რეპრესიები და ალიხანოვ-ავარსკის შემოსევა, რომელმაც ერთიანად ჩაახშო ყოველგვარი კულტურული მუშაობა. ეს გახლავთ 1906 წელი, როდესაც ლადო ქუთაისს გამოეთხოვა და თბილისში გადმოკიდა.

მიუხედავად ასეთი დაუდგრომელის ცხოვრებისა, ლადომ მაინც მოასწრო მრავალი რთული და ფრიად საგულისხმო ტიპის შექმნა. მისი მუშაობის მეორე პერიოდი აღსანიშნავია როგორც მისი ნიჭის ზეაღმაფრენა და შეუწყვეტელი დღესასწაული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლადომ პირველს პერიოდში სცენაზე შესვლისთანავე „სამშობლოს“ გაუღო კარი და მით შეჰქმნა ეროვნული კათედრა, რამაც ისტორიული დრამების განვითარების ტემპი დააჩქარა. ახალი ტიპებიდან საინტერესოა ამ სფეროში გაიოზ ფაღავა („და-ძმა“, ვალ. გუნიასი), მაგრამ ჩვენი ერის რომანტიკული მისწრაფება დააგვირგვინა არა გაიოზით, არამედ კონსტანტინე ბატონიშვილის განსახებით (ალ. ყაზბეგის „ქეთევან წამებული“). ამ პიესის დადგმით ლადომ თავი ისახელა ჯერ ერთი იმით, რომ მას პირველს ეკუთვნის ინიციატივა, რომ პიესა ცენზურის ბორკილებიდან გაენთავისუფლებინა, მეორეც, როგორც სახელოვანმა რეჟისორმა: მიზანსცენები, სურათები, ყველა რიგ-რიგად მიდიოდა; ხაზგასასმელია არა მარტო ანტურაჟის მოხაზულობა, არამედ ის, რომ ამ რთულ პიესაში მის მიერ გაწრთვნილმა ახალგაზრდობამ ნამდვილი სასწაული მოახდინა ანსამბლის დაცვით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მომეტებული მათგანი ანბანის უცოდინარი იყო და სცენისკენ მხოლოდ ალღოს ანაბარად მოიწევდნენ. მაგრამ ლეგენდამ აქ იჩინა თავი: ლადოს კვერთხის დარტყმით ეს ქვები ამეტყველდებიან და „ქეთევან წამებული“ ისეთის სისრულით ჩაატარეს, რომ მისი მსგავსი თბილისის სცენას მანამდე არა ენახა რა!

ასეთი სახით დაათავა ლადომ რომანტიკული სულისკვეთება. მაგრამ მეორე პერიოდი მისი სასცენო მოღვაწეობისა მარტო

ამ ერთის მხრით არ განიზომება. უეჭველია, თქვენ არ დაგავიწყდებოდათ, რომ ლადომ დღევანდლამდე, 1912 წლამდე, პირველმა და უკანასკნელმა გამოიტანა ჩვენს სცენაზე ჰამლეტის ძაძა, მისი შავი მანტია და მით ხაზი გაუსვა, რომ სცენის ასაყვავებლად საჭიროა კლასიკოსთა ამეტყველება. ჰამლეტს მოჰყვა „მეფე ლირი“, „ოტელო“, „რიჩარდ მესამე“, შექსპირის გვერდით ჩვენ ვხედავთ მეორე ტიტანს — შილერს; ჩვენი სცენა ეცნობა მის „ვერაგობა და სიყვარულს“, „ყაჩაღებს“. შემდეგ იდგმება მოლიერი, ოსტროვსკი. მაგრამ არც ერთი პიესა იმდენ ფურორს არ იწვევს, როგორც გუცკოვის უკვდავი პიესა „ურიელ აკოსტა“, ეს შედევრი ლადოს სასცენო ხელოვნებისა და მისი ნიჭის აპოთეოზი! ამავე ხანას ეკუთვნის ედმუნდ კინის დადგმა, რომელსაც ლადომ და მხოლოდ ლადომ მისცა ნამდვილი თავისი მეტყველება, სახიერება!

ლადოს პიროვნების დასახასიათებლად საინტერესოა ლევან ყიფიანის წერილი.

„ქუთაისის დასის გასტროლი ალექსი-მესხიშვილის მეთაურობით, — ამბობს იგი, — დიად მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენს უფერულს ქართულის სცენის ცხოვრებაში...

...თვითონ ალექსი-მესხიშვილის გარდა, რომელიც წარმოადგენს ამხანაგობის ცენტრალურსა და შემაერთებელს ძალას, მისს სულსა, და გულს, დასში შედიან აგრეთვე ქ-ნი ნინო ჩხეიძის ასული, ნ. დავითაშვილის ასული, ჯავახიშვილის ასული, ივანიძისა და სხვანი, რომელნიც სრულიად შესწყობიან სცენას და წკრიალა ხმით და ნაპერწკლების მთოველ თვალებით სიცოცხლის წყაროს დასწაფვიან.

მამაკაცთა პერსონალიდან ერჩევიან: შალიკაშვილი, ზარდალიშვილი, დადიანი, გვარაძე. ამ ამხანაგობის განსაკუთრებულს თვისებას შეადგენს: ანსამბლი და გონივრული და სიყვარულით მოპყრობა თვითეულის მსახიობის მიერ, გინდაც იგი სრულიად პატარა და უმნიშვნელო როლს ასრულებდეს. ამის მიღწევა კი მხოლოდ იქ შეიძლება, სადაც მხატვრულ გამაერთიანებელ ძალად გამოდის თვით ჭეშმარიტი მხატვარი, რომელიც ერთგულად უძღვება ყველას, საზოგადო მთლიანობის შექმნაზე აქვს მიქცეული ყურადღება და არა მარტო თავის თავზე, რომ მარტო თვითონ მოახდინოს ეფექტი“...

ეს სიტყვები საუკეთესო დამახასიათებელია ლადოს სიდიადისა. ლადოს და მხოლოდ ლადოს ხელში უპირავს განახლების დროშა, ლადოს და მხოლოდ ლადოს ელოდებიან ჩვენი ახალგაზრდობის საუკეთესო ძალები, მხოლოდ ლადოში ჰხედავენ თავიანთს მესიას, თავიანთს წინასწარმეტყველს.

სწორედ ამიტომ ქუთაისიდან ლადოს ჩამოსვლა, ღირსშესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენი თეატრის ისტორიაში. ლადო ამიერიდან ტრიბუნი ხდება. 1906 წლიდან მოყოლებული ისიც იბრძვის, მაგრამ სცენიდან. ხალხი თეატრის კარებს ამტვრევს, იგი ესწრაფვის დაინახოს ოქტავ მირბოს „ჟან და მადლენა“, ან „ბარ-ტელ ტუაზელ“, ვიქტორ ჰიუგოს „რუიბლაზი“, დიმოვის ცნობილი პიესა „ისმინე ისრაილ“, განსაკუთრებით აღსანიშნავია მონტის სახელგანთქმული პიესა „კაი-გრაკხი“.

ოვაციები, ახალგაზრდობის სიგიჟემდე მისვლა, ქუდების სროლა, ტრიბუნაზე გადმომდგარ კაი-გრაკხისადმი აპლოდისმენტები, ყვირილ-ყიჟინი, ქება-დიდება, სტვენა, ერთი სიტყვით, სამხრეთის სისხლის ადუღება და მის კვალადობაზე აღმაფრენა, ხოლო მის გვერდით პოლიციის ჩარევა და აურზაური, — აი რას იწვევდა ეს პიესა.

დიახ, ქართველ ერს ამ მესამე პერიოდში განახლებულის დროშით ეჩვენა ჩვენი საყვარელი მსახიობი; უაღრეს ტრიბუნად გარდაიქმნა, პოლიტიკურ იდეების გამავრცელებლად, რის გამოც მას ჯერ კიდევ ქუთაისში თავად-აზნაურობა აუჯანყდა, როგორც მსახიობ-აგიტატორს...

* * *

სამწუხაროდ, ჩვენ დრო და გარემოება ნებას არ გვაძლევს მკითხველი ჩვენთან გავიყოლოთ ჩვენს მელპომენეს გრძელს გალერეაში ყველა იმ ტიპის სანახავად, რაც კი ლადოს შეუქმნია ჩვენს სცენაზე. საოცარია, რომ თვითეული მათგანი ერთგვარად საყვარელია ჩვენთვის და არ ვიცით, რომელ ერთს მივცეთ უპირატესობა? მართლაც, რომელ ერთზე უნდა შევაჩეროთ ჩვენი მკითხველი?!

აი საზიზღარი, ყოვლად მახინჯი, ცბიერი და ზნედაცემული ფრანც

მორი, გინახავთ ვინმე ამ როლში ლადოს მსგავსი? თქვენი არ ვიცი და პირადად ჩვენ — არა! ფრანცი ჯერჯერობით ლადოს ეკუთვნის... შეუძლებელია აქ ადამიანმა გამოჰყოს რომელიმე სცენა, ვინაიდან ლადო ყველგან საოცარის სისწორით გვიხატავს ბოროტების ზღვას, სადაც ფრანცი ხშირად პირუტყვის სიცოფემდის მიდის (გაიხსენეთ სცენა, როდესაც ამალიას თავსა სთხოვს, ხოლო ეს უკანასკნელი ხმალს იშიშვლებს): დახრჩენილი კბილებით, მოკუნტული და თვალებიდან ნაპერწკლების მთოველი, სიბრაზით ცერზე იკბენს და ჰღრენს... მაგრამ ვით შეიძლება დაწვრილებით ამის აღწერა?!. ეს კია, რომ თვითეული მისი ნაბიჯი მოხაზულია ფსიქოლოგიურის სისწორით.

ან აი, თქვენს წინ სავარძელზე მილუშული სალახანა, გარიყულთა მოძმე, ყავახანების ტაკიმასხარა, მაგრამ იმავე დროს გენიოსი მსახიობი! ხომ იცით, ვიზედაც გეუბნებით? იცით, როგორ არ იცით! ეს ხომ ჩვენი ცნობილი ედმუნდ კინია! ხედავთ, ბოთლისთვის ყელში წაუჭერია ხელი, ახრჩობს... ბოთლს ახრჩობს... ანდა სცენა თავგასულს მილორდთან! ან აი, მისს ანას რა რიგი ძმური სიყვარულით უხსნის სცენის დანიშნულებას... არა, საკმარისია თქვენთვის კინის ხსენება, რომ ლადოც იქვე გაიხსენოთ. ეს ორი სახელი ერთად შეჯაჭვულია და შეგიძლიათ სრულიად სამართლიანად წარმოსთქვათ — ედმუნდ-კინ — მესხიშვილი, მესხიშვილი — ედმუნდ-კინი!

რა თქმა უნდა, არ დაივიწყებდით მარკსაც („ახალი მოძღვრება"), ვგონებ ეხლაც თვალწინ გიდგათ მისი და მისი საყვარელი მერციას (ნ. დავითაშვილი) განდობა, ან ერთად სიკვდილის გარდაწყვეტილება; აი პეტრონიუსი! („ვიდრე ხვალ, უფალო?"), განსაკუთრებით საყურადღებოა ევნიკესი (ქ-ნი ალ. კარგარეთელი) და მის შორის სცენა ქანდაკთან და უკანასკნელი სცენა სისხლის გამოშვების დროს! რა საუცხოო ერთსახეობის სურათს ჰქმნიან ორივე ამ დროს! მესხიშვილის პეტრონიუსში მოსჩანს ღირსება ანტიკური არისტოკრატიის სულისა, იგი ჭეშმარიტად arbit elegant-ს წარმოადგენს; მასში ჩვენ ვიხილეთ სიმშვენიერე, მიუწვდომელი სინარნარე და სიკეკლუცე!..

ანდა იქნებ გაგახსენდეთ საცოდავი გააჩრდილებული რობერტი (ჰაუპტმანის „ავადმყოფი ხალხი“). უკეთეს შემთხვევაში მიგითითებთ ოსვალდზე (იბსენის „მოჩვენებანი“). გახსოვთ, ამ დიდებული პიესის წარმოდგენისას როგორი მისტიკური სახით დაატყვევა მთელი დარბაზი უკანასკნელი აქტის დროს, როდესაც ოსვალდი გიჟდება და მორღვეული თვალებით იძახის უმწეოდ მდგარ დედის წინაშე: „მზე მინდა... მზე!“. ეს რაღაც არაჩვეულებრივი რამ იყო! მის თვალთა ელექტრონულმა ძალამ უნებურად თვალები დაგვახრევინა. ჩვენ დავინახეთ, თუ უკვდავს წარსულს როგორ შესძლებია საღი აღდგომა, რათა ხელახლად შეჰქმნას სადღესასწაულოდ გამაბრუებელი ორგია! ჩვენ დავინახეთ, რომ თუმც ყველა ეს წარსულია, ლანდი, მაგრამ ამ ლანდში, ამ მოჩვენებაში უფრო მეტი რეალობა და მეტი ძალაა, ვიდრე აწმყოში და ხილულში; ჩვენ დავრწმუნდით, რომ ეს ჩრდილნი, ეს მოჩვენებანი ოსვალდის სახით როგორ სძლევენ ცოცხლებს, რომელნიც ფიქრობენ, ვითომც თავისით განაგებენ თავიანთს ბედს, მაშინ როდესაც მათს ბუნებაში მკვდართა აჩრდილნი ნავარდობენ! ჩვენ დავინახეთ, რომ დიდიხანია, რაც ქვეყნიერებას გამოსალმებია გარყვნილი კამერგერი ალვინგი, მაგრამ ნამდვილად მის ცხოვრებას მისი შვილი ოსვალდი განაგრძობს. რა რეალურად დაგვანახვა ლადომ ამ წარსულის გამობრუნება!..

არა, ლადო შეუდარებელია!..

ან იქნებ გაინტერესებთ ვასილ კოკრინი („შავი ბერი“, ტოლსტოისა)? ანდა იქნებ ეხლაც გესმით ის საზარელი ძლიერება, რომელიც იოანე მრისხანეს კვერთხის დარტყმაში გამოხატა ლადომ თავის ბენეფისში, 2 თებერვალს, 1911 წელს! უეჭველია, ნეზნამოვიც მოგაგონდათ, „უდანაშაულოდ დასჯილში“, რა თქმა უნდა, არ დაივიწყებდით „იულიუს კეისარსაც“!.. იულიუს კეისრის გვერდით, უეჭველია, გაიხსენებთ ხელოსან ჰენრიხსაც (ჰაუპტმანი, „დაძირული ზარი“); არ დაივიწყებდით აგრეთვე სტრინბერგის ცნობილ პიესას: „მამა“, სადაც როტმისტრის სახით ლადომ საოცარი სისწორით დაგვიხატა მამის გაწამებული მდგომარეობა.

მეტად მიგვაჩნია მკითხველის ყურადღების ზედმეტად შეჩერება იმაზე, თუ რაოდენ შეუდარებელია ლადო კლასიკურს პიე-

სებში. ამჟამად ჩვენი სურვილია მივუთითოთ ერთს გარემოებაზე, რომელიც ფრიად დამახასიათებელია ლადოს დიდბუნებოვნებისა და მისი ნიჭის სიძლიერისა: ეს გახლავთ არა მარტო მისი დრამატიული ნიჭი, არამედ კომიკურიც. საოცარია, რომ რასაც ლადო ჰკიდებს ხელს, იქ ხელმწიფეზაც მისი არის, ავიღოთ თუნდა პიესა, „კრეჩინსკის ქორწილი“. რა არის ამ პიესაში ღირსშესანიშნავი? თითქოს არაფერი, მაგრამ ჩვენ მაინც ყველანი სიამოვნებით მივეშურებით თეატრში, როცა გავიგებთ, რომ მას სდგამენ. რატომ? მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ შეგვეძლება ვნახოთ ხელოვნება ხელოვანი მსახიობისა! ხომ ასჯერ და ათასჯერ მაინც გვინახავს ლადო რასპლუევის როლში, მაგრამ მაინც მივესწრაფებით, რომ ვნახოთ მისი ალღო და უნარი, რომელიც საოცარი სახით გვიხატავს რასპლუევის სპეციფიკურს თვისებათ. ყოველი დეტალის დაცვა, ერთი სცენის მეორეზე უკეთესად შესრულება — და ჯანსაღი სიცილი, აი რატომ მივდივართ, ასე სიამოვნებით ამ სპექტაკლზე დასასწრებად.

აი, თქვენს წინ დგას რასპლუევი: ხომ იცით რომელ სცენაზე გითითებთ? როცა მას ფეხქვეშ წაიგდებენ და „ინგლისურ ბოქსს“ უთავაზებენ ფერდებში! განა თვალწინ არ წარმოგიდგებათ ხოლმე ამ დროს დაჯაგლაგებული, სიბერით გადამღვძალი ქოფაკი, რომელიც ინსტინქტიურად საცოდავ წკმუტუნსა და ყეფას მოჰყვება. ვიდრე ცელქი სოფლელი ბიჭი ქვას სდრუზავს გვერდში? „განათლებული ინვლისელი და ბოქსი“! როგორ მოგწონთ ამ დროს ლადო? არ ელოდით, განა, მისგან ასეთს ხელოვნურს კომიზმს? ეს ხომ მის ამპლუას არ შეადგენს: სად დრამატიული არტისტი და სად კომიკობა! ეს ორი უკიდურესი სარტყელი ერთსა და იმავე ადამიანში თავსდება. „ეს სამჯერ“ — სამჯერ მისტყეპეს ამ დილით, მაგრამ თქვენ იცით, რომ ამ საცოდავი ქმნილების ასე აბუჩად აგდება და პირუტყვსავით მოპყრობა არც პირველი იქნება და არც უკანასკნელი. იგი თავის პერიოდს შეასრულებს და თავიდან მოჰყვება თვლას „სამჯერ“, გავიგონებთ ხვალაც, ზეგაც... არა, ყველა ეს ისეთის მოხაზულობით არის შესრულებული, რომ ლადო გარდიქმნება ხოლმე იმად, რასაც ფრანგები ეძახიან: instrument du plaisir, რა თქმა უნდა, théâtrale — დავუმატებთ ჩვენ.

ძნელია, როგორც ვთქვით, არა თუ დეტალური, არამედ თვით სქემატიური აღწუსხვა ყველა იმ ტიპებისა, რაც კი ლადოს შეუქმნია ჩვენს სცენაზე! მაგრამ ჩვენი სურვილია მკითხველი ერთხელ კიდევ შევაჩეროთ და გავაცნოთ ის შთაბეჭდილებანი, რომელსაც ახდენდა ლადოს თამაში ურიელ აკოსტას წარმოდგენის დროს.

შეუდარებელი ათლეტი, ძალ-ღონით აღსავსე ჭაბუკი, რომელიც მშვენიერებით მხოლოდ იმიტომ იმოსება, რომ თვით ბუნებამ მშვენიერების სიმბოლოდ შეჰქმნა, ქედ-მოუხრელი გალილეი და ენადაუშრეტელი მქევრმეტყველი, ვით საღმთო ტაძრის ღმერთთა მოშურნე ქურუმი, მოციქული ახალ ცხოვრების, რომელიც ერთი კვერთხის დარტყმით ძველ კერპებს სპობს და გზას უკაფავს ახალ ცხოვრების განთიადს, ხან წარბშეუხრელი მომქუხარე, ვით განრისხებულ იუპიტერის მიერ ახმაურებული მთაგრეხილი, ხან კი მინაზებული, ვითა მომწყემსე ანგელოზის უმანკო კრავი, თვით სათნოება სათნოების და მორცხვ ქალწულთა თავის წონება, რომელთაც ჰაეროვანი კოცნაც კი ღაწვებს უქარგავთ სიწითლითა, — აი ის ყოვლად შემკული თაიგული, რომელიც არა ერთხელ და ორჯერ მოუწოდებია ჩვენთვის ჩვენს მელპომენეს ვლ. ალექსი-მესხიშვილს ურიელ აკოსტას განსახებით! წარსულს კვირასაც, თითქოს სურს დამსწრე საზოგადოებას დაანახვოს, თუ რაში უნდა გამოიხატებოდეს შემოქმედების დანიშნულება ხელოვნების სფეროში. იგი აღფრთოვანებულ ჭაბუკის ცეცხლით გადმომდგარიყო და საოცარის ენერგიით ეკვეთებოდა საუკუნოებით განმტკიცებულს უგუნურებას, მერე ისე თამამად, ისეთის ხალისით, თითქოს მის თავზე ცხოვრების ქარიშხალს ოდნავაც არ გადაუვლია და ჯერ კიდევ სიბრძნის ნიშნად სიბერეს თმა საღმრთო თრთვილით არ შეუვერცხლიაო. ერთის მხრით ალერსი, მიყუჩებული ხმატკბილობა, ვით დამცხრალ მთიების ციაგობა გარს შემორტყმულ ვარსკვლავთა ჯარის წინაშე, აუწერელი სინაზე, რომელსაც ძალად აქსოვებდა თავის გატეხილ ხმას, რის გამოც ბგერა უფრო კეკლუცი ხდებოდა და ხავერდოვანი რიტმიული ტალღებით ილულებოდა უზენაეს ტრფიალების გაშლილ ფურცლებში ივდითის (ქ-ნი ნ. დავითაშვილი) წინაშე, ხან აღელვება, ფაფარ წამოშლით ყალყზე შედგომა,

როდესაც უგუნურ რაბინთა წინაშე იძულებულსა ჰყოფენ უარ ჰყოს ნახული სინათლე. აი ის მრავალფეროვანი სურათი, რომლის პერსპექტივების იქით გაგვიშალა ჩვენმა ძვირფასმა მსახიობმა სიკეკლუცე და მრისხანება, ნარნარება და შემაძრწუნებულობა, საერთოდ კი... ღვთაებრივი სანახაობა!

აი, აკოსტა თავის პატივცემულ მასწავლებელ დე-სილვასთან (ვ. შალიკაშვილი) დგას. ეს უკანასკნელი უკმაყოფილოა, რომ მისი მოწაფე, რომელიც ბავშვობის დროს მის ფერხთან იჯდა და „აზრთა სისპეტაკეს სწავლობდა“ დღეს „წინ აღუდგა თავის წიგნით“. მაგრამ ურიელ ამ შემთხვევაშიც როდი მედიდურობს, ის მხოლოდ მოიბოდიშებს საყვარელი მასწავლებლის წინაშე და ამხელს მის შეცდომებს, ტკბილად, უმტკივნეულოდ.

თითქოს გამოცხადების დროს დამცხრალი წინასწარმეტყველი ყოფილიყოს, ამ განდობის შემდეგ იგი ჰპოვებს მეტად საუცხოო ინტონაციას, რომელშიაც უზომო სიყვარული და უაღრესი პატივისცემა იხატება მისი მასწავლებელის წინაშე!

მაგრამ ეს მხოლოდ მასწავლებელთან! ნუ იფიქრებთ, იგი ყოველთვის ასეთია! არა! მისი კილო სწრაფად ჰპოვებს რისხვის ისრებს, როდესაც მის პირადობას ეხებიან, ან მისი სულის საუნჯეს, მის იდეალთა იდეალ—ივდითს, რომელზედაც მის ნაძალადევ საქმროს ბენ-იოხაის (ი. ზარდალიშვილი) სასტიკად ამცნო:

„იგი ცით ქვეყნად მოვლენილია...“

უნდა გენახათ ამ დროს იგი, როგორ ჰკუმშავდა ბრაზით ტუჩებს, როგორ იკავებდა მღელვარებას და მაშინ მიხვდებოდით, თუ რა ტრაგიზმს განიცდიდა ამ დროს მსახიობი, რომელმაც გადმოხეთქილ ტალღას პირი შეუკრა, მხოლოდ იმიტომ, რომ ოდნავი შენიშვნით ეგრძნობინებინა თავხედ ბენ-იოხაისათვის, თუ ვისთან ჰქონდა საქმე.

მაგრამ ეს რაა! უნდა ნახოთ მეორე მოქმედება: აკოსტა ივდითთან — ამ „ქვეყნად მოვლინებულ ანგელოზთან“, რარიგი ნარნარებით შეხმატკბილდნენ! ქ-ნი დავითაშვილიც საუცხოოდ უწყობდა ხელსა, ორივემ ერთად თითქოს წუთით შეჰქმნეს უმანკო

სიყვარულის ერთსახეობა, თვალწინ გაგვეშალა ტრისტანისა და იზოლდას სიყვარული, რომელნიც უმალ სიკვდილზე დასდებდნენ თავს, ვიდრე ტლანქ სარეცელზე სულის სისპეტაკეს შეჰბღალავდნენ! აქ, ამ მომენტში გადიშლება ხელოვნების უაღრესობა და მადლიერს თვალზე ცრემლები გესხურებათ, რომ მიწიერთ ზეციურ გრძნობათა განცდის ძირს ჩაჰმოტანა ასე ლამაზად შესძლებიათ. ივდითი, ეს ურიელის სიყრმის მოწაფე, ნაცნობ ყვავილებზე მიუთითებს და თითქოს სურს თავზე შემოევლოს თავის მასწავლებელსაო, უზენაესი სიყვარულით ატკბობს მას უმანკო ხანის მოგონებებით, როდესაც აკოსტა მისი გონების განსპეტაკებას ცდილობდა გულით.

მაგრამ ურიელს მოგონებანი შუბლს შეუკრავს, ნაღვლის პირბადე ეფარება სალმრთო სახეზე და წყნარად აძლევს პასუხს, რომელშიაც, ვინ იცის, რაოდენი მწუხარება არ ჩააქსოვა!

„მაგრამ ყველა ეს მორჩა... დასრულდა...“

ამას თან მოჰყვა ამოკვნესა, რამაც ელექტრონსავით გაიარა მთელს დარბაზში; ეს იყო ერთგვარი მსოფლიო მწუხარების ხელჩაქნეული „მორჩა... გათავდა“, რომლის იქით აღარავითარი იმედის სხივი არ კიაფობს თუნდ წამით მაინც! „მორჩა... გათავდა...“ ეს უიმედობის ტალღის ნაკვნესი, თვით სასოწარკვეთილების ძახილი გახლდათ. მცირე ჟესტით საკმარის ჰყო მსახიობმა, რომ განცდის კარის ბჭე დაგენახათ! აქ მსახიობმა სძლია ხელოვნება, იგი მისი გამგებელი ქურუმი იყო, რომელმაც ერთად გადახლართა სინამდვილე და ოცნება, ხელოვნება და თვით ცხოვრება.

ახლა მე გაგახსენებთ არა იმ სცენას, როდესაც ურიელის გაწირულ ძმებს მისი ბრმა დედა შემოჰყავთ, არც თუ ტრაგიზმით სავსე მომენტს, რომელიც, ვინ იცის იქნებ ეხლაც, ყურს გიკვეთავთ ურიელის გულით ამოკვნესილ ხმის გაგონებაზე: „დედა, ოჰ, დედა!“ არა, მე მსურს მიგითითოთ იმ მომენტზე, როდესაც ურიელი ერთსა და იმავე დროს ჰამლეტიც იყო და იუპიტერიც, ახალგაზრდა მეოცნებე მისუსტებული ყრმა, ჭეშმარიტების მაძიებელი მანფრედი, ფაუსტი, ბრძენი და სულელი, პარნასის ცხრა დათ

შომღერალი აპოლლო და ტაკიმასხარა, ხორციელი შემოქმედი და უსხეულო მოჩვენება ვით სული უაღრეს სახებისა, ახალ მოძღვრების ახალი ქრისტე, თვით გენიოსობის ცეცხლის სიმბოლო, როდესაც ფერმკრთალი, კულულებ უსწორმასწოროდ გადმოყრილი, თეთრებში ჩაცმული ურიელ, ანტიკურ ქვეყნის ამოძრავებული ქანდაკება წარდგება სინაგოგაში გადაყრუებულ რაბინთა წინაშე, რომელთაც თალმუდის მეტი არა სწამთ რა და ყოველ ახალზე ცინიკური ღიმილით გაიძახიან გონებაგახევებულ ბენ-აკიბთა პირით: ყოველივე ეს ყოფილა... დიახ, ყოფილა... რა არის აქ საკვირველიო! ამ დროს იგი ერთსა და იმავე დროს ზეაღდგენილი რომანტიზმის განსახება გახლდათ, თვით პესიმიზმისა და ნიჰილიზმის მტკივნეული ძარღვი, რომელიც უზომო ნაღველით დააცქერდა უარმყოფელ ოქმის ეტრატს, საუკუნეთა სიბნელის სიმბოლოს!

ამ დროს მოისმა მუსიკა. უცოდველ ყრმათა პირით შურის საძიებელ ჰიმნს აგალობებდნენ უმეცარნი და ამან უფრო გაასკეცა ურიელის მწუხარება, ისე მოსჩანდა, თითქოს ყოველი წუთი განგებ მას ქვეით და ქვეით ეწეოდა, რომ ტანჯვის პირსავსე ფიალა ბოლომდის გამოეცლევინებინათ.

მაგრამ რა არის ყველა ეს იმ საშინელ ტრაგიზმთან შედარებით, რომელსაც განიცდის ურიელ უარყოფის აქტის წაკითხვის დროს! ტიტანიური ძალა მსოფლიო მწუხარების ჰიმნს შეალია და აი, ეტრატის ბოლომდე ჩაკითხვას ვერ მოასწრებს — „მე ურიელ აკოსტა“... რომ ძლიერს სულს ხორცი უღალატებს და გონმიხდილი კიბის საფეხურზე დაეცემა. მლოცველთ გააქვთ ურიელ შიგნით სინაგოგაში, რომ ყველამ ზედ გადაუაროს, როგორც შენაბულს. ამით სარგებლობს მისი მეტოქე ბენ-იოხაი, ივდითის ნაძალადევი საქმრო და აი, ყველასთან ერთად აკოსტას უდიერად შულზე დასცხებს ფეხს. მაგრამ აკოსტამ თითქოს ინსტინქტით იგრძნოო, მისი თვითშემეცნება ვულკანსავით ამოჰხეთქავს და როგორც ცირკში გამოშვებული ველური ანდალუზიური ხარი ესპანელის წითელ მანტიით შეფრთხეს და კამარა შევლებული კუშტად მოსხლტეს, რომ მახვილ რქებით გაანიავოს მეტოქე, ისე აკოსტა

გამოიჭრა და თან მოჰქონდა რისხვის ქარი. ეს იყო რაღაც არა-ადამიანური შებრძოლება თმაშეზრდილ სამსონ ძლიერისა, რომელიც მზად იყო მთელი სვეტები მიენგრ-მოენგრია და ნანგრევთა შორის ჩაემარხა როგორც თვის მოშურნე მტერნი, ისე თავისი თავიც! ხელმწიფება შურის მაძიებელ ქარიშხალისა, ხელმწიფება უმადური ფატალიზმისა მას თვით ღმერთებთან აამაღლებდა! იგი კვნესოდა საკუთარ ხმით, ყოველ წუთში ათას გვარად იცვლიდა ფერსა და თუ მჭექარე ხმა მიზანს ვერ აღწევდა სიძლიერით, სამაგიეროდ შემაძრწუნებელი მიმიკა ელლინთა ტრაგედიას წინ გვიყენებდა და... შემდეგ მოხდა სასწაული: მსახიობი და მაყურებელნი თითქოს შეითქვნენ, თითქოს მარტო დღეს ხედავდნენ ახალ რაღაცას, ძველს, ნაცნობს, მაგრამ მაინც ახალს, რომელიც ბრწყინვალე თამაშმა მისცა.

მაგრამ აი, დე-სილვასაგან გაიგებს, ივდითმა გიღალტა, ბენიოხაის უნდა გაჰყვეს ცოლადაო. ეს კი თვით იოხაის წიხლზე უარესი ამბავი იყო. აკოსტა, რომელმაც ივდითის სახელს შესწირა ყოველივე, რომლისთვისაც აგერ უარმყოფელი ოქმიც კი იკისრა, ივდითი, რომელიც მისი სიყრმის მეგობარი იყო, რომლის სახებაზეც დაამყნო თავისი ბედი და უბედობა, დღეს მას ჰღალატობს. სასოწარკვეთილებამ მოსწყვიტა წელი და დიდიხნის განწირული ბრძოლის შემდეგ შეჰნიშნა სილვას:

„მძორთათვის მოვიკალ თავი, სილვა!..
ოჰ, მომაკვდავნო, თქვენ მეტისმეტად მომაკვდავნი ხართ“!..

აი ხელში რა დასკვნა მისცა მუხთალმა ბედმა. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ეხლაც მას მიჰყვეს! არა, აქ იჩენს თავს ძალად შებორკილი ძლიერი სული და ფეხის დარტყმით დაიძახებს: „მაინც ბრუნავს!“

„მაინც ბრუნავს“, ეს ხმა მისგან „განთავისუფლებული დემონის“ ხმა იყო, რომელმაც „მოაშორა მძიმე ლოდები!“ არა, შეუძლებელია ამ სცენის გადმოცემა! უმალ ელვა და მეხის მელოდიად შეიქმნა მისი მრისხანე მხილება, რომელიც თანდათან აპოგეას აღწევდა მთელი კატასტროფის მოსახდენად!

არა, შეუძლებელია-მეთქი მსახიობის მშვენიერი თამაძის გადმოცემა, თუ თვითონ არ ნახა ადამიანმა! ეს ზეკაცური გალაშქრება, რომლითაც იგი თვით თავის თავსაც აღემატება, თვით თქვენც განთავისუფლებდათ რაღაც იდუმალი ბრჭყალებიდან. თქვენც წინდაწინვე ჰგრძნობთ, რომ ამ ჰექა-ქუხილს უეჭველად კატასტროფა მოჰყვება, აუცილებელი სიკვდილი. და აი, მართლაც, ენერგიადალეული აკოსტა გამოჩნდება მეხუთე მოქმედებაში, როდესაც მანასეს ქალი ივდითი ქორწილს გადაიხდის ბენ-იოხაისთან, მაგრამ ვიდრე მას გაუზიარებს სარეცელს, ურიელს შეეწინდება სულიერად და საწამლავს დალევს. გაუსწორებელი ნაბიჯი უკვე გადაიდგა: ურიელი ნახავს მას, როცა იგი უკანასკნელ წუთებში იმყოფება. აქ მოხდა ახალი ჰარმონია: ქ-ნი ნ. დავითაშვილი უზენაეს ყვავილთა სინაზით შემკობილიყო, კვლავ მშვენების ნასკვად გამოიკრა მათი შეწყობილი თამაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მომაკვდავი ივდითი ემშვიდობება მამას და ურიელს გადასცემს თავის გვირვინს:

„და შენ, ძვირფასო გულისა სწორო,
აიღე შენთვის ეგე გვირგვინი,
იგი შენია... და მხოლოდ შენი...“

აუტანელი იყო ეს მომენტი. აკოსტამ ცრემლი დააფრქვია სატრფოს გაციებულს გვამს და ბოლოს თვითონაც მოისპო სიცოცხლე, რომ მისი სული ივდითისას გაჰყოლოდა...

ასე დაასრულა ჩვენმა მელპომენემ ურიელ აკოსტას როლი. მან სრული სინამდვილით გადმოგვცა ყოველი დეტალი ურიელის სულიერ განცდისა. მისი თამაში იყო ბუნებრივი, ბრწყინვალე, უნაკლო! იგი წარსდგა დამსწრე საზოგადოების წინაშე, როგორც დაუშრეტელი ღვთაება, ხელოვნების ქურუმი!

შემოქმედი — ღმერთი — ტალანტი — ურიელ-აკოსტა და ამ სინონიმების გვერდით მოწერილი აპოლლო — ვლადიმერ ალექსიმესხიშვილი ყველა ერთ სახით მელპომენეს ღმერთებად გახდნენ

და თვითეული მათგანი წარმოადგენს განუმეორებელს სიმშვენიერეს, როგორც ერთ ღმერთის პირმშო შვილი — ხელოვნების საღმრთო ჭურუმი...

• • •

აქამდე ჩვენ ვილაპარაკეთ ელ. ალექსი-მესხიშვილის შესახებ, როგორც მსახიობზე. რაოდენადმე შევიხედეთ ჩვენი მელპომენეს გალერეაში მის მიერ შექმნილ ტიპების დასათვალიერებლად, ახლა ჩვენი სურვილია ორიოდ სიტყვით შევეხოთ მესხიშვილს არა როგორც ჩვენი სასცენო ხელოვნების აკორდის ძაფს, არამედ როგორც მასწავლებელს, ე. ი. როგორც რეჟისორს.

ვისაც კი ლადოსთვის თვალყური უდევნებია რეპეტიციების დროს, როდესაც მისი რეჟისორობით მიდის პიესა, ერთს საოცარს მოვლენას შენიშნავდა: ახალგაზრდა მსახიობნი ისე შესციცინათელებენ მას, როგორც სცენის სახელოვანს სოკრატეს. სასიამოვნოა ასეთი ყურადღება ჩვენს ახალგაზრდათა მხრივ, როდესაც არც ერთს შენიშვნას არ უშვებენ და მით იადვილებენ როლის შესწავლას.

მომეტებულს შემთხვევაში ლადოს შენიშვნებს ფსიქოლოგიური ელფერი აძევს, თუმცა არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას უყურადღებოდ დაეტოვებინოს დრამის ეთიკური, ან მხატვრული მხარე. მომეტებულს შემთხვევაში, როგორც ვსთქვით, შენიშვნებს აძლევს ფსიქოლოგიურ მხარეზე. თვითონ ბ-ნი მესხიშვილი აი რას ამბობს თავის ერთ-ერთი ლექციის შესავალში ემოციების შესახებ: „რეჟისორის მოთხოვნილების ხასიათი აშკარად გვიმტკიცებს რა დიდი და ურღვევი კავშირია სცენასა და ფსიქოლოგიას შუა. და მართლაც: მხოლოდ ერთად შეერთებულს ფსიქოლოგიას და სასცენო ხელოვნებას შეუძლიან შეჰქმნას სისტემატიური თეორია დრამის აღსრულებისა სცენაზე...“

ლადოს მასწავლებლობის უნარს და ახალგაზრდათა ყურადღებას მაშინ უფრო ნათლად დავინახავთ, თუ თვალს გადავაე-

ლებთ თვით ამ მოზარდ ახალთაობას. თვითეულს მის მოწაფეს აშკარად ეტყობა მასწავლებლის მიმბაძველობა, რომელიც ხშირად მონურ იმიტატორობამდის მიდის.

ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს მესხიშვილის სკოლის დასახასიათებლად, სადაც თვითონ მსახიობი იყო მოდელიცა და მჭევრმეტყველი მასწავლებელიც.

აღსანიშნავია ლადოს მასწავლებლობის მეორე მხარე, სახელდობრ ის, რომ მისთვის სცენაზე თამაში არ წარმოადგენს მარტო ერთს ტლანქს რეალიზმს, რომელიც ფოტოგრაფიული სახით გვიჩვენებს ამა თუ იმ მოვლენის სიშიშვლეს. ლადომ გაამართლა გოეთეს სიტყვა: „ჩასწვდით ადამინთა ცხოვრების სიღრმეს, მთელს თავისი მოხაზულობითო!“ ცხოვრების სიღრმის ჩაწვდომა! რა წარმტაცი სიტყვები არის! სამწუხაროდ, ყველას არ შეგვიძლია ვიპოვნოთ ამ უძირო ჭის ძირზე ჩასაშვები მანქანა. ლადოს კი ადამიანთა სულის საიდუმლო გასაღები დიდი ხანია რაც ხელთ იგდო. მსახიობის ღირსებაც სწორედ ეს არის. ხელოვნურად შინაგან გრძნობათა გაშუქება ეს არც ისე ადვილი საქმე გახლავთ. ამისათვის საჭიროა, რომ მსახიობი უაღრეს ნებით იყოს აღჭურვილი, რომ გრძნობათა ძაფების გამგებლობა არ შეეშალოს და ყოველ სიტყვას თან შეზომილი მეტყველება მიაყოლოს, განსაკუთრებით მიმიკას, რომელიც ჩვენს სიტყვებს აძლევს მეტს სიცოცხლეს, მეტს სახიერებას. სახის მეტყველება ხშირად უკეთესად გადმოსცემს ადამიანის განზრახვას, მის ფიქრს, ვიდრე რომელიმე სიტყვა. ამნაირად, ნაკვთების მოხმარება, მათი ამოძრავება შიდა გრძნობათა გარედ გამოსატანად, განსაზღვრულ ადამიანის ტემპერამენტის მიხედვით, აი ის ფოკუსი, რომელიც გამოსახსნელად აბარია თვითეულს მსახიობს. ხელოვან მსახიობისთვის საჭირო არ არის ოთხსა და ხშირად ხუთ მოქმედებათა გაჭიანურება. მისთვის საკმარისია მცირე ჟესტი, რომ მთლად გამოგვიხატოს პიესის კვანძი.

ამის ბრწყინვალე მაგალითი მოგვცა ლადომ ოსვალდის განსახიერებით („მოჩვენებანი“), როდესაც გონზე იშლება და მორღვეული თვალებით ელექტრონის დენს მისცა გამოსავალი „მზე მინდა... მზე... მზე!“ და მით ეს სცენა თვის შექმნილ ტიპთა შო-

რის საშედევროდ ჩააქსოვა ჩვენს მელპომენეს ალბომის ფურცლებზე. აი, რას ითხოვს ხელოვნება, რაკენ არის მისი გონება მიპყრობილი. ლადოს ღირსებაც სწორედ ისაა, რომ ერთხელაც არ ჰღალატობს მას. მისი ანალიტიკური ნიჭი, ფერადთა ნამდვილი შერჩევა, რომლითაც ესა თუ ის ემოცია უნდა გამოჰხატოს ამა თუ იმ ტიპის დახატვის დროს, სრულ შეხმატკბილებულ მშვენიერებად გვეშლება თვალწინ. და, რაც უფრო საყურადღებოა, ლადოს აქვს ცეცხლი შემოქმედებისა, რაიც ყველას არა აქვს მომადლებული და ურომლისოდაც ხელოვანი ვერ იხელოვნებს. მართალია, ის შესძლებს სურათის დასრულებას, სწორედ იქმნება ხმარებული ფერადები, შესაძლებელია ისიც, რომ იგი კლასიკოს მხატვართა შორის ჩაირიცხოს, მაგრამ მისი მხატვრობა ვერ გაიტაცებს ადამიანს. იგი ვერასოდეს ზე ვერ აიწევს, ადრევე ბოლო ეღება მის ინდივიდუალურს ნიჭს და საბოლოოდ ერთსა და იმავე ფარგლებში ტრიალით მისი სურათებიც მოსაწყენ სანახაობად იქცევიან, ვინაიდან, ხშირად მათში თქვენ დაინახავთ ერთსა და იმავე ხაზებს, ერთსა და იმავე ფერადებს, თუნდაც ერთი სურათი მეორისგან შინაარსით ფრიად განსხვავებული იყოს. ასევე უნდა ითქვას ყველა ხელოვანზე, რა თქმა უნდა, მსახიობზედაც. რა არის მისთვის მარტოოდენ ტლანქ რეალობის გარეგნული მიმბაძველობა? არაფერი. ამით ის ვერავის ვერ გააკვირვებს, ამგვარი „მსახიობობა" ყველას შეუძლია, თუკი შრომასა და გარჯილობას გამოიჩენს. ჩვენ, შესაძლებელია, პირველ ხარისხოვანი მსახიობი ვიყოთ ამა თუ იმ დასში, მაგრამ მწვერვალიდან მაინც შორს ვიდგეთ. მწვერვალი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ასეთს რჩეულთა გუნდს ეკუთვნის ჩვენი საყვარელი ლადოც, რომელმაც დაგვანახვა თავისი ნიჭის უბადლობა, უმთავრესად ნერვი და ცეცხლი ყოვლისა შემოქმედ ადონაისისა, რის გამოც ათას რთულს როლებს მისცა ნამდვილი მეტყველება, მისცა სიცოცხლე, სახეობა და მადლიანი სიცხოველე. აი, რატომ არის, რომ ასე ხანმოკლე მოღვაწეობის სარბიელზე მან გაუხსნა ჩვენს თეატრს ეროვნული ტრიბუნა, აამეტყველა კლასიკური პიესები და კაიგრაკხის პოლიტიკური დროშით წინ წარუძღვა ჩვენს ახალგაზრდობას! აი, ამიტომ

არის, რომ ყოველ წინადადებაში მის შესახებ ქვემდებარე ყოველთვის გაკვირვების ნიშანს შეიცავს, ხოლო შემასმენელი—აღტაცებას და უზომო ქებადიდებას! და ჩვენი ცდაც მხოლოდ ის იყო, რომ, ამ საიდუმლო წინადადებისთვის ფარდა აგვეხადა. ჩვენ ჩვენს მიზანს განხორციელებულად ჩავთვლით, თუ პირუთვნელი მკითხველი ამ წინადადებას დაუკვირდება და ქვემდებარესაც და შემასმენელსაც ამის შემდეგ თავიანთს ადგილას დასვამს, თავთავიანთსავე მნიშვნელობით!..

1912 წ.



ლაპარაკობს მიხეილ ჯავახიშვილი

ქართას ცხრაას ოცდარვა წელი, მაისის შუა რიცხვები. მწერალთა სახახლეში ბევრს ლაპარაკობდნენ ანტონოვსკაიას „გიორგი სააკაძის“ პირველ ტომზე. საქმიანად ირჯებოდა ნიკოლო მიწიშვილი, რომელსაც გამომცემლობაში მტკიცედ ჩაედგა ფეხი და დიდ უნარსაც იჩენდა მის (გამომცემლობის) წარმატებაში. ის ხომ მრავალფეროვანი ნიჭის პატრონი იყო: პოეტი, კრიტიკოსი, ბელეტრისტი, ჟურნალისტი, და, თუ გნებავთ, დიპლომატიც. ყველა ამას დაურთეთ მისი თავაზიანობა, ურყევი გულკეთილობა და მისი პორტრეტი ხელთ გექნებათ.

თვალი მომკრა თუ არა ნიკოლომ, მწერალთა ჯგუფს გამოეყო და ხელკავით კაბინეტში შემიპატიჟა:

— რით შემიძლია გემსახუროთ, პატივცემულო ნიკოლო?

— მძიმედ ირჯებით, ბატონო დავით, — მეუბნება იგი, — თქვენმა ლიტერატურულმა პორტრეტებმა საზოგადოების ყურადღება დაიმსახურა. ბარნოვს და ეკატერინე გაბაშვილს ახლა სხვებიც უნდა მივაყოლოთ, შეჩერება არ შეიძლება.

— მაინც?

— თქვენი თანამედროვეებით განაგრძეთ: ნიკო ლომოური, ბაჩანა, სოფრომ მგალობლიშვილი, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია და ბოლოს უფრო აქეთ — მიხეილ ჯავახიშვილი. ეს უკანასკნელი პირველ რიგში.

მიხეილ ჯავახიშვილი ჩვენი ლიტერატურის პლასტიკის მაესტროა. ჰოდა, მოიმარჯვეთ თქვენი ტურისტული ფოტოაპარატი, ეწვიეთ მიშელს პირდაპირ სახლში და თქვენებური ლამაზ-ლამაზი შტრიხებით მოგვეცით მისი სალონური პორტრეტი. უმთავრესად ჩვენ გვაინტერესებს მიხეილ ჯავახიშვილი ხალათში.

— ესე იგი?

— რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება მისი შინაური ცხოვრება, როგორც წაასწრებთ კაბინეტში, წერს თუ კითხულობს, რანაირ გარემოებაში დაგხვდებათ, ერთი სიტყვით, დაწერთ მის პორტრეტს ფრანგულ ყაიდაზე. შემდეგისთვის ჟურნალ „ქართველ მწერლებში“ მინდა შემოვიღოთ ამნაირი ჟანრის პორტრეტებისათვის უფრო განსაზღვრული ორი რუბრიკა: „გუშინდელთა პორტრეტები“ და „დღევანდელთა პორტრეტები“. მოდის?

— მოდის.

ხელი გამომიწოდა.

ნახევრადღია სარკმელიდან ჩიტების ჟივილ-ხივილს შემოჰქონდა მაისის დამათრობელი სურნელება.

* * *

... მიხეილი შინ დამხვდა. შემიპატიჟა. ჩვენ შევედით მის სამუშაო ოთახში. დიდი კომფორტით ვერ დაიკვეხნიდა ეს ოთახი, თუმცა

რაც იყო, სულ სუფთა და ლაზათიანი, მის საწერ მაგიდაზე ჩამწკრივებული იყო რუსული ჟურნალ-გაზეთები და უცხოელ კლასიკოსთა ტომეულები: ჰიუგო, ზოლა, ბალზაკი, ფლობერი... მაგიდაზე გადაშლილი იდო მოპასანის სახელოვანი რომანი „ლამაზი მეგობარი“, რომლის თარგმანსაც უკვე შესდგომოდა. იქვე დაედო ლარუსის მოკლე ლექსიკონი. მიყრილ-მოყრილი ქაღალდები და ფანქრები წარმოგიდგენდნენ სურათს, რასაც პუშკინი „Поэтическая небрежность“-ს უწოდებდა. მწვანე ბროლის ჭიქაში ეწყო ფერადი ფანქრები. მას ხომ ჩვეულებად ჰქონდა წაკითხული ფურცლების აჭრელება წითელი და შავი ფანქრით. ხშირი იყო კითხვის ნიშნები, მაგრამ არანაკლებ უხვად იმეტებდა მინაწერებს: „რაო, რაო?!.“ „სისულელეა!..“ „კარგია“... „ვიმეტებ ოთხს ჯვრით“...

კედლები მოჩითული იყო მიხეილის მოთხრობათა გმირების სურათებით. აკვარელი სჭარბობს. აგერ მისი „ჯაყო“, თვალში გეცემათ ჯაყოს ველური მეტყველება; გრძნობთ, რომ მას ჯერ კულტურისა არაფერი მიჰკარებია. იქვეა „ლამბალო და ყაშა“, „თეთრი საყელოს“ გმირები. სრულიად განცალკევებული ადგილი დაუთმია გიგო გაბაშვილის „მოქალაქისათვის“. საზოგადოდ ის დიდი პატივით იხსენიებდა ხოლმე გიგოს: ჩვენში საკმარისად არ ესმით და არც უნდათ იცოდნენ, რა ძლიერ ძალას წარმოადგენს გიგო გაბაშვილიო.

— ნამეტნავად მისი „სამარყანდის ბაზრობა“... იქ ხომ ყველაფერი მზის სხივებშია ჩაწვული. ყველგან მზე... ყველგან მხურვალება... მტვერშიც... საბაზროდ მოსულ ხალხშიც....

გაბაშვილის „მოქალაქის“ შემდეგ შენიშნავდით ლადო გუდიაშვილის ესკიზებს, სიდამონ-ერისთავის რამდენიმე ეტიუდს, აგრეთვე გრინევსკის. ლადო გუდიაშვილის წერის მანერა ძალიან მოსწონდა; სიხარულს მგვრის, მის ხაზებში პოეზიას ვკითხულობო!

საწერ მაგიდაზე ლამაზი გოგონას ქანდაკებაა პარიზის სახსოვრად წამოღებული.

რამდენიმე ხავერდოვანი საკარძელი ამთავრებდა მისი კაბინეტის მორთულობას.

მეორე ოთახიდან პიანინოს ხმა ისმის. კლავიშების თრთოლვაზე ემჩნევა, რომ დამკვრელი პატარა უნდა იყოს. უნდა გენახათ, რა

სათუთად ცდილობდა პატარა სერენადის გამოყვანას. იგი გამოდგა მიხეილის ქალიშვილი, თორმეტ-ცამეტი წლის ქეთინო, რომელსაც ჯერაც არ მოეშორებინა პალმასავით ამართულ ქოჩორზე პეპელა-ბანტი.

მაგიდას შემოვუსხედით.

— ეს არის მიწიშვილმა ტელეფონით გამაფრთხილა, რედაქციის დავალებით დავითი მოდის თქვენთან ინტერვიუზეო.

— დიახ, ნიკოლომ გამომგზავნა...

კიდევ რაღაც უნდა მეთქვა, მაგრამ მიხეილმა აღარ დამაცადა და სრულიად სერიოზული შეშფოთებით მითხრა:

— რა შემოიღეს ამ თათრებმა?!

სახტად დავრჩი:

— ვინ თათრებმა, ბატონო მიხეილ? მე თათრები სულაც არ მიხსენებია!..

— ნიკოლო! ნიკოლო!.. რა ჯანდაბური სახელია? დასწყევლოს ღმერთმა, საიდან გამონახავენ ხოლმე ასეთ უცნაურ სახელებს? ქართველობისა ერცხვინებათ, თუ? ნიკოლო, პაოლო, ტიციან!.. წაიკითხე მაგათი მანიფესტი „ცისფერ ყანწებში?“

— როგორ არა.

— მოგწონს?

— არ მომწონს, მაგრამ მაგათ ნაწერებში ზოგიერთ ღირსებას ვხედავ, რაზედაც თვალის დახუჭვა დანაშაული იქნება.

— ვაჟაზე რაღას იტყვი? რატომ ენათესავებიან მას?

— ეს ერთგვარი პასპორტი იყო მოქალაქეობის მოსაპოვებლად.

—დე აგრე იყოს, მაგრამ მე რეალისტი ვარ და ჩემს პოზიტიურ პოზიციებს ვერავინ შემაცვლევინებს... თუმცა ახლა ამაზე ლაპარაკის დრო არ არის, შენ ხომ გარკვეული დავალებით მოხვედი?..

— დიახ, ჩემო მიხეილ, რედაქციისგან დავალებული მაქვს, თქვენი ლიტერატურული პორტრეტი წარვუდგინო.

— კეთილი, კეთილი!..

* * *

პატარა გოგონამ ვაზით ხილი შემოგვიტანა. ჩვენ თან ხილს შევექცეოდით, თან განვაგრძობდით შეწყვეტილ საუბარს.

— ჩემი ბავშვობა ხომ არ გაინტერესებთ?

— რა თქმა უნდა, ეგეც და კიდევ ბევრი სხვა რამ... რიგრიგად მოვყვეთ, გეთაყვა, თქვენც ხომ ჩვენი ბარნოვივით დაბადების წელი არ დაგავიწყდათ?

— არა, ამ მხრივ ბედნიერი ვარ. ყოველი წუთი ზუსტად მახსოვს. საეჭვოდ მხოლოდ ჩემი დაბადების წელია, მაგრამ ამაში ბრალი არ მიდევს. მამაჩემმა საბამ ჩვენს მღვდელს ვგონებ ერთი წელი მოაპარვინა, ხოლო რა მიზნით, არ ვიცი. მაგრამ ეს, ხომ გითხარით, ჩემი ბრალი არ არის-მეთქი. ოფიციალური თარიღი კი მეტრიკული ამონაწერიდან 1880 წელია, დავიბადე სოფელ წერაქვში. იცი, სად არის ეს სოფელი?

— გამოგიტყდებით, არა! — მივუგე დარცხვენით.

— არც გასაკვირია. ქართველებს საზოგადოდ არ გვეხერხება ჩვენი პატარა მიწა-წყლის შესწავლა, თუმცა პატრიოტობით მოგვაქვს თავი!..

მან რუქა გაშალა.

— აი, აქაც არაა აღნიშნული და მე ფანქრით ჩავწერე: „წერაქვი“. წერაქვი ერთადერთი ქართული სოფელია გაღმა ბორჩალოში. მეორე სოფელი მამაჩემმა გააშენა წერაქვის მახლობლად და სიონი დაარქვა.

— სიონი? ალბათ, დიდი მორწმუნე ყოფილა მამათქვენი, რომ სიონი დაურქმევია მაგ სოფლისთვის.

— პირიქით, დიდი ათეისტი იყო, ხელმოჭერილი ქიზიყელი, საკმაოდ მკლავმაგარი და იმდროის კვალობაზე კარგა შეძლებული გლეხი.

— დედა?

— ქართლელი იყო. პატარაობისას ბევრს ვაჯავრებდი. დაუდეგარი ვიყავი, ცელქი, ჯიუტი. ათასი ავადმყოფობა შემჭონდა სახლში. ბევრჯერ სიკვდილიც წამომდგომია თავზე, მაგრამ ფალავნობაში ვერ მაჯობა, ხელიდან დავუსხლტი და, როგორც მხედავ, ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ. ყელჭირვება, ხუნაგი და ათასნაირი სხვა ავადმყოფობა ფეხდაფეხ მდევდა. ერთხელ ექიმმა ჩემს მორჩენაზე ხელი აიღო, მაგრამ მე მაინც გადავრჩი. ბურანში ვიყავი. თვალი რომ გავახილე,

უცნაური ფუსფუსი შევნიშნე. დედაჩემი საცოდავად ტიროდა, ხოლო მამაჩემი ბოძს მისდგომოდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა თავს ზედ ახლიდა. ქვა რომ ატირებულიყო, ისე არ გამიკვირდებოდა, როგორც მე მაშინ მამაჩემის ცრემლებმა გამაკვირვეს...

მოგონებათა სამყაროში გადაიკარგა მიხეილი.

— იქნებ ჩემი ბავშვობის დასახასიათებლად ერთი ეპიზოდი გამოგადგეს, — მეუბნება იგი.

— საინტერესოა!

— ერთხელ მშობლების დაუკითხავად მეზობლის ცხვარს გავყევი მთაში. კარგა შორს გადავედით. დამიღამდა. მწყემსებმა უკან გამომაგდეს. ტყეში გზა ამერია. დანგრეულ საწნახელს მივაგენ და მთელი ღამე იქ გავათიე. ნადირი მომეტანა. ხეზე ავედი. მეორე დღეს მშობლებისაგან კარგებისა მომხვდა... მეორე ამბავი უფრო საინტერესოა. თევზაობას შეეხება.

პაპიროსი გააბოლა და განაგრძო:

— თევზაობა პატარობიდანვე მიყვარდა. მდინარე შულავერში ერთი დინამიტით ხშირად ორი ფუთი თევზი ამომიყრია. ერთხელ, მაშინ უკვე თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ჭაბუკი ვიქნებოდი, ანკესი ავიღე, აბრეშუმის ბაწარი კისერზე შემოვიხვიე და დინამიტი შევამზადე. შულავერზე მისვლისას დინამიტს ქვა მოვაბი, პატრუქს წავუკიდე და გადასასროლად მოვიქნიე. ანკესი და დინამიტი ერთმანეთს მოვახვედრე. ფერი მეცვალა, ერთმანეთზე გადახლართული ანკესი და დინამიტი რომ დავინახე. ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. გამწარებული ვეცი ანკესის ბაწარს. თითები დავიგლიჯე. იმ სასოწარკვეთილებისა და ბრძოლის დაღი ეხლაც მატყვია ხელებზე. აი, დახედე, პატრუქმა ხელები როგორ დამწვა. ცოტაც და დავიღუპებოდი, დინამიტი რომ ამფეთქებოდა. მაგრამ სასოწარკვეთილმა ბრძოლამ მიხსნა განსაცდელისაგან, დინამიტი მოვწყვიტე და ვისროლე წყალში. ცხვირწინ ამიფეთქდა, მთლად გავიწუწე. დავეცი. მაგრამ გადავრჩი, დიდხანს გარეტიანებული ვეგდე ერთ ადგილას, განძრევას ვეღარ ვახერხებდი. როდის-როდის წამოვიწიე და ლასლასით შინ დავბრუნდი. დედაჩემს გული გაუსკდა, გაფითრებული რომ დამინახა, გამოვუტყდი, რაც თავს გადამხდა. ვეჭილად დედის შინა-

გრძნობები დამიდგა,—„ვაიმე შვილოვოო!“ ტანისამოსი გამომიცვალა, დამბანა, დამასუფთავა, დაშუშხული და დაკაწრული ხელები შემიხვია, ილოცა და აღთქმა დამადებინა, რომ დინამიტს ახლოს აღარ გავეკარებოდი. მეც შევფიცე. იმ დღესვე დინამიტი გადამაყრევინა დედაჩემმა, მაგრამ ვითაღლითე და ერთი ცალი დინამიტი მაინც ტახტის ქვეშ დავმალე.

ერთხელ დაარხეინებული ვწევარ ტახტზე. უცბად რაღაცა საზარელი გრიალი მესმის. წამოვხტი, გარეთ გავვარდი. რას ვხედავ. ახლად დანთებული ფურნე აღარსად იყო. ფერი მეცვალა. მაშინვე შინ შევვარდი. ტახტის ქვეშ შევიხედე, ყველაფერი გადავაქოთე, მაგრამ დამალული დინამიტი ვეღარ აღმოვაჩინე. თურმე გამოგვის დროს ბურბუშელასთვის მიეყოლებინათ დინამიტი და ფურნეში შეეყარათ. ეჭვი აიღეს. მომცივდნენ. თავი მოვიკატუნე, ქიმია მოვიშველიე, დედაჩემს გულმოდგინედ ვუხსნიდი, ფურნეში რაღაც გაზები დაგროვილა და ალბათ იმიტომ აფეთქდა-მეთქი. გაზების შიშით ახალი ფურნის აშენებას კარგა ხანს ვეღარ ბედავდნენ!...

ახლა ბაღებში ონავრობა და ხიდან ჩამოვარდნა?! ახლა ცხენის ჭენება და ფქვილის ტომარასავით გაგორება?!. ეჰ, ყველა ეს ბავშვობის ლაღი ჩვეულებანია, მე კი ამ ჩვეულებების წყალობით კინაღამ წუთისოფელს გამოვესალმე. ერთხელ ცხენმა ისე ლაზათიანად გადმომაგდო, რომ მთელი ათი დღე უგონოდ ვეგდე ლოგინში, და სუნთქვაშეკრული ვკვნესოდი...

* * *

ლაპარაკში დაისი წამოგვეპარა. მიხეილმა საწერი მაგიდის ლამპა გააჩაღა და ფანჯარა გამოაღო.

— რა საოცარია ეს ხალხი, რა საჭიროა ფანჯრებზე ასეთი ფარდების ჩამოშვება. ფანჯრები უნდა მეტწილად ღია იყოს, რაც შეიძლება მეტი სინათლე მოგდიოდეს, მეტი ჰაერი, სიგრილე. ამ მხრივ როგორ გვჯობიან ჩიტუნები: შებინდებისას ტოტებსა და ტოტებს შუა იმალებიან, მაგრამ ბუნების სურნელებით მაინც სუნთქავენ...

— მითხარით, გეთაყვა, — ვეუბნები, — სად მიიღეთ პირველი დაწყებითი სწავლა?

— ლორეში, — მომიგო მან, — რუსულად პრიველნოეს უძახოდნენ, თათრულად — ჯალალ-ოღლს. რვა წლისა მიმაბარეს მშობლებმა. სწავლა რუსულ ენაზე სწარმოებდა. საოცარი სისწრაფით ავითვისე რუსული, ისე კარგად, რომ მშობლიური ენა მავიწყდებოდა. წარჩინებულად ვსწავლობდი, თუმცა ცელქობა არც იქ დამიშლია. ვერაფრით ვერ მაკავებდნენ. თუ მითმენდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ კარგი მოსწავლი ვიყავი. ასე მიდიოდა წლები. ოთხი წლის შემდეგ ერთმა მასწავლებელმა მაწყენინა, „დონღუზ ოღლი“ დამიძახა, რაც „ღორის შვილს“ ნიშნავს. თავმოყვარე ბიჭი ვიყავი. ვერ მოვითმინე, მივატოვე სასწავლებელი, დავკარი ფეხი და თორმეტი წლის ბიჭმა ორმოცდაათი ვერსი გამოვირბინე. მამაჩემი გაოცდა.

— ბიჭო, რა ოფლში გაწუწულხარ, საიდან მოქაქანებ?!.

რა მეტი ჯანი იყო, ყველაფერი ვუამბე, ასე და ასე, ანცობისთვის დონღუზ ოღლი დამიძახა მასწავლებელმა-მეთქი. ამაზე მამაჩემი გაცოფდა. კარგებისა მირტყა, როდემდის უნდა იყო ასეთი გადარეულიო.

— მაშ სწავლა არ გდომებია და ეგაა! აბა, აიკიდე გუდანაბადი და წავიდეთ უკან! — ეს რომ სთქვა, სული აღარ მომათქმევინა, კიდევ ერთი ორჯერ მაინც მითუთქა სახრე და ასე გალახული, უსმელ-უჭმელი, დედაჩემთან გამოუთხოვარი უკან წამიყვანა ჯალალ-ოღლში.

მასწავლებელს არც კი მოუბოდიშნია, მიმიყვანა, ამხანაგების გვერდით დამსვა და თითის დაქნევით დამემუქრა, თუ კიდევ გამაჯავრებ, ახლა თავს წაგაჭრი და მართლა ღორებს შეგაჭმევო!..

როცა ჯალალ-ოღლში სწავლა მოვათავე, ჩემი მშობლები საგონებელში ჩავარდნენ, სად წავეყვანეთ სასწავლებლად. მამაჩემი ხარჯს არ ერიდებოდა. დიდი აწონდაწონის შემდეგ არჩევანი წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლაზე შეჩერდა. მამაჩემი მეურნეობას მისდევდა და მოესურვა, შვილიც ნასწავლი მეურნე გამოსვლოდა. ეს იყო 1893 წელს. იმ დროს ქართული ენა ძალიან სუსტად ვიცოდი. რა თქმა უნდა, სწავლა გამიძნელდებოდა, წინამძღვრიანთ კარში ყვე-

ლა საგანს ქართულად გავდიოდით. გული მერჩოდა, რომ მშობლიურ ენას მალე დავუფლებოდი. აქ დიდი ამაგი დამდო ქართული ენის მასწავლებელმა დავით ალექსის ძე დავითაშვილმა. რუსულ ენაზე რაღაც-რაღაცას ვბღაჯნიდი. გაეცნო. მომიწონა და მთხოვა, აბა ახლა ქართულად გადმოვიტანოთ ეგ მოთხრობებიო. ჩამიჯდა. სულ იმას ჩამჩიჩინებდა, რომ მალე გავმართულიყავი მშობლიურ ენაში.

— შენ ნიჭიერი ხარ, — მეუბნებოდა იგი, — ვაჟკაცობა უნდა გამოიჩინო და დაეუფლო მშობლიურ ენას. უფლება არ გაქვს დამარხო შენი ნიჭი. ილაპარაკე ქართულად. ნუ გეშინია, გაგიძნელდება, მაგრამ მაინც ივარჯიშე!

ერთი წლის შემდეგ მე უკვე ვლაპარაკობდი კიდეც და კალამიც საკმაოდ მემორჩილებოდა. დავითაშვილი აღფრთოვანებული იყო. მომიჯდებოდა ხოლმე გვერდით და ხმამაღლა მიკითხავდა და მაკითხებდა ილიას პოემებს. გრიგოლ ორბელიანის „მუშა ბოქულაძე“ ზეპირად მასწავლა და კილოსაც მისწორებდა. ჩვენი კლასიკოსებიდან თითქმის ყველანი გამაცნო.

— თვითეულ მწერალს თავისი სტილი აქვს. და მერე იცი, რა არის სტილი? ეს სიტყვა რომაულია. ძველად რომაელებს კალმის ნაცვლად ხელში ეჭირათ ფოლადის წვეტიანი ჯოხები და თიხის ფირფიტებზე იმითი აჭდევდნენ ასოებს. დღევანდელი მწერლის ხელში სტილი გაელვებული ხანჯლის წვერი უნდა იყოს, რომ პირდაპირ გულში ხვდებოდეს მკითხველს. განა დამშვიდებით შეიძლება წავიკითხოთ ილიას „კაცია ადამიანი?!“, ან მისი „აჩრდილი“, გინდა „კაკო ყაჩაღი“? შენც უნდა სწერო, გეხერხება კიდეც. გამოიმუშავე შენი საკუთარი სტილი, მკვეთრად მბასრავი. ამით უდიდეს სამსახურს გაუწევ შენს სამშობლოსა და მშობელ ხალხს, — მაქეზებდა დავითაშვილი.

თქმა არ უნდა, ამხანაგებს წამოვეწეოდი. კარგია, როდესაც მადლით მოსილი ხელმძღვანელი აღმოუჩნდება ჭაბუკს, და ისიც მაშინ, როდესაც იგი სისრულეში მიდის და საკუთარი ფორმა უნდა მიიღოს.

ვერ დავემდურები თვითონ ილია წინამძღვრიშვილსაც. ნამდვილი ქართველი იყო, დიდ ილიასთან დაახლოებული. საგურამოში

ყოველ წელს დაიარებოდა მასთან, ხოლო ილიაობას მოწაფეებიც მივყავდით მხცოვანი მწერლის გასახარებლად. ილიაობა დღეს საქართველოს ნაღები თავს იყრიდა საგურამოში. ყველას თავისი ნობათი მიჰქონდა, რომ გაეხარებინათ ჩვენი უგვირგვინო მეფე. წინამძღვრიშვილმა მოწაფეებში სულ დარჩეული ყმაწვილები გამოარჩია. რჩეულთა შორის მეც მოვხვდი. უკეთ რომ ვთქვათ, დავითაშვილის შუამდგომლობით მეც სურვილი ამიხდინა წინამძღვრიშვილმა. საგურამოში ისე მივდიოდი, როგორც მართლმორწმუნე მუსლიმანი ქააბაში. პირველად ვნახე ადამიანი, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი ამოავსო და ვისი თაყვანისმცემელიც გამხადა დავით დავითაშვილმა!

მოწაფეების გამოჩენაზე ილიამ დიდად გაიხარა. წამოდგა. მოგვეგება. წინამძღვრიშვილი და დავითაშვილი წინ წარუდგნენ. ეტყობოდა, დიდი ილია თავის სეხნიას დიდ პატივსა სცემდა.

— აქ მომიყვანეთ თქვენი დაზრდილი ბარტყები. გმადლობთ, ჩემო ძმაო, გმადლობთ! — ილიამ სათითაოდ ყველას ხელი ჩამოგვართვა.

დავით დავითაშვილმა ჩემზე შეაჩერა მისი ყურადღება:

— ბატონო ილია, აი ეს ჭაბუკი დიდ იმედებს იძლევა... უსათუოდ კარგი პროზაიკოსი დადგება!

— ინებოს ღმერთმა! — შესძახა ილიამ. — თორემ კარგა ხანია მძიმე პაუზა გვსრისავს. შემცვლელი გვეჭირვება! — შემდეგ მე მომიალერსა: — აბა, შენ იცი, შვილო, იბეჭითე, ისწავლე, ნიჭი არაფერია თუ მას მოვლა და განვითარება არა აქვს. ვინძლო ყველას აღემატო, ვისაც აქა ჰხედავ...

ლოყები ამეწვა. ვიგრძენ, ყურებამდის გაწითლებული უნდა ვყოფილიყავ. ამასობაში ნადიმიც გაიმართა. ეს არაჩვეულებრივი სანახაობა დღესაც სიზმარეულად მეცხადება. პირველად ვნახე ქართული სუფრა, ქართული სულით, ტრადიციული ნაირ-ნაირი „მრავალჟამიერით“, სიტყვებით, სმურებით, ქართლ-კახური სიმღერებით, ცეკვა-თამაშით და იმავე დროს თვით ილიას ჯანგაუტეხელი მამითადობით, მისი ზევსური თამადობით... დარეტიანებული წამოვდექ სუფრიდან. წამოსვლისას ილიამ გამიხსენა. რამდენიმე წიგნი მაჩუქა

თავის თხზულებებიდან და კვლავ შეგონებით გამიმეორა: „აბა, ყმაწვილო, შენ იცი, იბეჯითე, არ შეგვარცხვინოო!“

აღფრთოვანებული ვიყავ, მაგრამ მწერლობაზე მაინც არ ვფიქრობდი. მწერალი, მწერლობა უფრო ბედნიერთა ხვედრი მეგონა.

წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სასწავლებელს მოვრჩი თუ არა, ახლა იალტაში გავემგზავრე. 1897 წლამდე იქ ვსწავლობდი... აჰ, თურმე ნუ იტყვი, უბედურება ქურდულად თან ამდევნებოდა, როგორც კარგი ნაგეში ძაღლი. 1899 წელს ყირიმში ვიყავი პრაქტიკაზე. მომდის წერილი საშინელი ამბით: თურმე ჩვენს ოჯახს ყაჩაღები დასცემიან, მოუკლავთ დედაჩემი და ზედ მიუკლავთ ჩემი და და ერთიც მოჯამაგირე. მამა სასწრაფოდ მიბარებდა. ვეღარც კი ვიცანი, ისე გამოცვლილიყო... ურწმუნო კაცმა რამდენიმე ათასი დახარჯა, ძველი ქართული ეკლესია განაახლებინა და შიგ დაასაფლავებინა დედაჩემიც და ჩემი დაც. ერთი წლის შემდეგ ჩვენი ოჯახის უბედურება მამაჩემის სიკვდილით „დაგვირგვინდა“.

დაობლებამ ხელი შემიშალა სწავლის განგრძობაში. უკანასკნელი კლასი მივატოვე იალტაში და სამშობლოსაკენ გამოვეშურე. ჯერ წერაქვში ავედი, შემდეგ სიონში, ერთხელ კიდევ მიმოვავლე თვალი ძველ კერას, სადაც დავიბადე, აღვიზარდე და ამდენი სათუთი მოგონებებით მიკრული ვიყავ, როგორც საკუთარ დედის მკერდს. ვეღარ გავუძელ. ავიკიდე ჩემი გუდა-ნაბადი და სამუდამოდ გავშორდი იქაურობას...

* * *

პირველად ალავერდის ქარხნებს მივაშურე. ქარხნის ბატონ-პატრონები ფრანგები იყვნენ, როგორღაც კარგ თვალზე შემომხედეს და კარგი სამსახური ვიშოვე. მათი წყალობით ავიდგი სალაყბო ფრანგული ენა. პარალელურად მშობლიური ენის აღდგენასაც შევუდექი, რომელიც იალტაში სწავლის პერიოდში კვლავ დამავიწყდა. დავითაშვილის მიერ გაწეულ ამაგს ამაოდ არ ჩაუვლია. ვგრძნობდი, რომ დრო იყო სერიოზულად მომეკიდა ხელი მშობლიური ენის

შესწავლისათვის. ილია წინამძღვრიშვილის ლანდი სულ თან დამდევდა. მასაც არა ერთხელ გავუფრთხილებივარ: — არ გადაგვარდე, შენს ნიჭს გაუფრთხილდიო!

დავიწყე წერა, მაგრამ ვწერდი ისე, ჩემი გულის ჭიის გასახარად. ვწერდი და იმ დღესვე ვხევდი. ქართულ ენასთან შეჯიბრში შედიოდა რუსული ენა, ის წინ უსწრებდა შემოქმედების დროს და ეს მაღელვებდა. მაგრამ თავს მაინც ვიიმედებდი, რუსულად დაწერილ ფურცლებს ვხევდი და ახლა ქართულად ვწერდი, მერე იმასაც ვხევდი. ფრანგთა წყალობით გავეცანი მოპასანის ნოველებს და მაშინვე მისი ტყვე გავხდი. უცხოელი მწერლებიდან აგრეთვე იბსენმა მიიპყრო მთელი ჩემი ყურადღება. იბსენმა ისე გამიტაცა, რომ კინაღამ დრამატურგობა დავიწყე. ვცადე კიდეც, მაგრამ უმალვე დავრწმუნდი, დრამატურგობა ყველაზე მაღალი და სათუთი ხელოვნება იყო და თუ მოწოდებით არ დასწერდი, შენი დრამა მხოლოდ და მხოლოდ ჩხირკედელობად დარჩებოდა. ისევ მოპასანს დავუბრუნდი. ჩემი პირველი მოთხრობის გმირებიც მოპასანისას მოგაგონებდათ. ეს კაცი პირდაპირ სრისავდა ჩემს შემოქმედებით უნარიანობას... კვლავ განვაგრძობდი მოთხრობების წერას. კვლავ ვწერდი, ვწერდი და ვხევდი, ხან ვწვავდი კიდეც.

— რა ჯალათი ყოფილხარ, — ეუბნები, — აგრე როგორ შეიძლება! უნდა შეგენახა შენი ნაწერები.

— მერე რა ფასი აქვს მიმბაძველობას?

— მიმბაძველობა დამწყები მწერლისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. დიდი მწერლებიც კი ზოგჯერ ვინმეს გავლენის ქვეშ იმყოფებიან... ასე რომ, არავინ დაგძრახავდა, თუ ყრმობაში მოპასანის მეხარკე გახდებოდი.

— მე ჩემი სტილის ძიებაში ვიყავი, სტილი კი მწერლისთვის ყველაფერია. სტილის ძიებამ თავი გამანებებინა ალავერდის ქარხნებს. მე მივხვდი, რომ ალავერდის ქარხნებში მუშაობა და ფრანგულ ენაზე ლაყბობა უნივერსიტეტად ვერ გამომადგებოდა და სულ მალე ჩავჭრებოდი. ჩემს ოცნებას ახლა თბილისი წარმოადგენდა და აი ერთ მშვენიერ დღეს ალავერდსაც გამოვეთხოვე და თბილისისკენ გამოვეშურე.

— თუ გახსოვს, რომელ წელს უნდა მომხდარიყო ასეთი დიდი გარდატეხა, რამაც თბილისის გზა გიჩვენა?

— მახსოვს, ეს იყო 1903 წელს. დაბინავებისთანავე შევუდექი ქალაქის შესწავლას. სულ მოვლილი მაქვს ფეხით არა მარტო სიონი, მამადავითი, არამედ კრწანისის ველიც, სეიდაბადიც, შავნაბადაც, მეტეხიც... შემდეგ მივაგენ ბუკინისტების სამყაროსაც. ეს იყო დღევანდელ ჯორჯაძის ქუჩაზე, მაშინ ქაშვეთის ქუჩას ეძახდნენ. ბუკინისტებიდან ჯერ მიხეილ გაჩეჩილაძეს გამოვემცნაურე, შემდეგ სოსიკო მერკვილაძეს, მაგრამ ჩემთვის ყველაზე საინტერესო და სასარგებლო კაცი გამოდგა იოსებ იმედაშვილი. შემატყო თუ არა, რომ წიგნების დიდი მოყვარული ვიყავ, დაინტერესდა ჩემით, დამიახლოვა და დიდი ამაგიც დამდო... მან პირველმა მირჩია გორკის თხზულებანი გამეცნო, შემესწავლა; თუ მართლა წერის უნარი გაქვს, მისგან აიღე და შეითვისე წერის მანერაო. დიდად ვუმადლი ამ მხრივ იოსებს. მთელი ახალი სამყარო გადამეშალა წინ. თავს ვაყვედრიდი, შე ოხერო ჩემო თავო, რუსეთში იმდენ ხანს დაყიალობდი, რატომ ერთხელ გორკისაკენ არ გადაიხედე-მეთქი! გორკიმ ჩემს თვალში იბსენიც კი დაჩრდილა, ის იბსენი, რომლის გმირებს სიზმრებშიც კი სულ თან დავდევდი. ასეთი სასწაული მოახდინა ჩემზე გორკიმ!.. იოსები დიდი პროპაგანდისტიც გამოდგა. ძალიან ბევრს მელაპარაკებოდა სოციალ-დემოკრატებზე. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ევროპაში სამრეწველო კრიზისმა იჩინა თავი და რუსეთსაც გადმოსწვდა მთელი თავისი საშინელებით. სამი ათასამდე საწარმო დაიკეტა. ათასობით მუშა უმუშევარი დარჩა. უკვე ახდილად გაისმოდა მეფის საწინააღმდეგო ლოზუნგები: „ძირს მეფის თვითმპყრობელობა!“. უნდა გენახათ, ჩვენი იმედაშვილი სიხარულით რა დღეში იყო, როდესაც ამ ლოზუნგმა ჩვენამდისაც მოაღწია! გაფიცულთა რიგებში ჩადგნენ ბაქოს, ბათუმის, თბილისისა და სხვა სამრეწველო ქალაქების მუშები... ერთხელ, სად იყო და სად არა, იმედაშვილმა ლენინის წიგნი მომიტანა — „რა ვაკეთოთ?“ მთელი ღამეები ვკითხულობდი ლენინის ამ ნაშრომს და ადგილებს ვიწერდი. ეს წიგნი დიდად დამეხმარა, რომ პარტიულ საკითხებში სათანადოდ გავრკვეულიყავ.

ასე ვეწაფებოდი თვითგანვითარებას აქ, თბილისში, აქვე უნდა

აღვნიშნო, რომ მატერიალურად ძალიან მიჭირდა. ფეხდაფეხ მდევდა შიმშილი, სიტიტვლე, მაგრამ ეს ხელს არ მიშლიდა, უჩინარ მოწოდებისთვის ყური მეთხოვებინა: მე ისევ ვწერდი და ვხევდი. იმ განსხვავებით, რომ ნაწერი ახლა ქართული იყო, რუსული ენის მიშველება აღარ მჭირდებოდა.

* * *

საუბრის კილო ნელ-ნელა მე თვითონ სხვა საგანზე გადავიტანე.

— თქვენ, რამდენადაც მახსოვს, სწორედ მაგ წლებში ლიახვის ხეობაზე გნახეთ სოფელ ქურთაში. ქურთამ შეგიტკბოთ. ხშირად თამარაშენშიც დადიოდით. მახსოვს, გატაცებული იყავით კნიაჟნა მარგოთი!..

— ეგ სწორია, რომ ლიახვის პირი ამოვარჩიე დროებით საცხოვრებლად, მაგრამ კნიაჟნა მარგო აქ არაფერ შუაშია. თუმცა მარგო მომწონდა და მომწონდა საგრძნობლადაც...

— მაშ, რაღა მაინცდამაინც ქურთა-თამარაშენი ამოირჩიეთ?!.

— ქურთაში და თამარაშენში განსაზღვრული მიზნით მივდიოდი. რაკილა ვგრძნობდი, რომ მომავალი ჩემი კარიერა მწერლობა იყო, ვთქვი, ისევ ლიახვის ხეობაში წავალ, შიგ ქართლის გულში, სადაც უფრო სუფთად ლაპარაკობენ ქართულ ენაზე-მეთქი.

— ვინმემ გირჩიათ, თუ?..

— წინამძღვრიანთ სამეურნეო სკოლაში ჩემი საყვარელი მასწავლებელი დავითაშვილი სულ იმას ჩამჩიჩინებდა: თუ გინდა, ქართული ენის მშვენიერებით დატკბე, წადი თამარაშენსა და ქურთაშიო.

— ერიჰა-ა! — სიცილით შევნიშნე მიხეილს. — ეგ კუთხური პატრიოტიზმით მოსვლია თქვენს მასწავლებელს. დავითაშვილი ხომ ხვითელია. იცით, სად არის ხვითი?

— როგორ არა, ვყოფილვარ კიდეც.

— ჰოდა...

— მომითმინე. არც ისეა საქმე, როგორც შენ გგონია. თამარაშენი მართლაც ქართული ენის ერთ-ერთი შესანიშნავი კერათაგანია. შემთხვევითი როდია, რომ ვანო მაჩაბელმა შექსპირი ისეთი ჩინებუ-

ლი ქართული ენით თარგმნა, რომ მისი ენა მისაბაძი გახდა. მართალია, ამბობენ და ასედაც იყო, რომ ვანო ეკლესიაში მღვდელს ემსახურებოდა და ჟამნსა და სამოციქულოს კითხულობდა, ასე რომ მთაწმინდელების ენა იქიდან აითვისაო, მაგრამ ენის შესწავლის საქმეში მთავარი წყარო ისევ ხალხია და არა მწიგნობრული ენა. აი, სწორედ ამან გამიტაცა და თბილისიდან თამარაშენ-ქურთაში გადამაფრინა. არც მინანია — დავითაშვილი მართალი გამოდგა. აქაურმა ხალხური ენის მოქნილობამ, მხატვრულმა გამოთქმებმა მომაჯადოვა. გლეხებთან საუბარი დიდ სიამოვნებას მგვრიდა. მხიბლავდა მათი ქართული თავისი მუსიკობით.

— თქვენი მარგო რაღა იქნა?.. რატომ არაფერს ამბობთ მასზე?..

— რაც შეეხება მარგოს... — მეუბნება ფიქრმორეული, — ჩემს მოთხრობებში და რომანებში ხშირად მაქვს ჩაქსოვილი მისი ანარეკლი. პროზასაც ხომ თავისი მუზა ჰყავს? არა ვმალავ, მარგო იყო ჩემი მუზა... ბევრ ადგილას, სადაც უფრო პოეზიის ელფერი დაჰკრავს ჩემს პროზას, შეგიძლიათ შეჩერდეთ და სთქვათ: „ეს მარგოს სახსოვარია!“

ლიახვის ხეობა მართლაც შემიყვარდა. შემოვლილი მაქვს მთელი ჯავის ხეობა როკამდე. მდიდარია, თვალწარმტაცია ბუნება მთელი ხეობისა, მაგრამ ყველგან სისაწყლე, უბედურება... რა უნდა ჰქნას ადამიანმა, როდესაც წნელამობმული ქალამნებით დაიარებიან. ერთი რამაა სასიხარულო, ხალხი მაინც ჯანმრთელია, დევკაცური ხერხემლით... თბილისში შთაბეჭდილებებით დატვირთული დავბრუნდი. განზრახვა მქონდა, ამ მთიანეთის ცხოვრებიდან ახალი „სალამბო“ დამეწერა, ანდა „იორიოს ასული“; ეს იქნებოდა ქურთა-თამარაშენში გატარებულ ცხოვრების საჩუქარი, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო პირველყოველისა ფლობერის მაღალი მხატვრული ნიჭი და დ'ანუნციოს პოეტური აღმაფრენა, ამასთან ცოტაოდენად მაინც მყუდრო და უზრუნველყოფილი ცხოვრების პირობები. მე კი არც ერთი მქონდა და არც მეორე. ამიტომ იყო, რომ სალამბოს ტილოს გაშლის ნაცვლად თბილისში დაბრუნების შემდეგ ერთ ღამეში დავწერე „ჩანჩურა“, სად სალამბო და სად მართლაც ჩანჩურა! ჩანჩურას მ. ადამაშვილის ფსევდონიმი მოვაწერე, პაპაჩემის ადამის სა-

ხელის მიხედვით. თუ ვინცობაა დამიწუნებდნენ მოთხრობას, დამარცხდებოდა ადამაშვილი და არა ჯავახიშვილი! საწყალი პაპა! ასე გავიმეტე მისმა შვილიშვილმა პატიოსანი და გამრჯე კაცი!.. გადაიკითხეს... ვღელავ, აღტაცებულნი დარჩნენ, ქართველებსაც გორკი გამოგვიჩნდაო! ხელად ჰონორარიც გამომიწერეს — 50 მანეთი. ეს იმ დროს დიდი ფული იყო ისეთი ადამიანისათვის, რომელსაც ჰონორარის მიღების დროს, ლიახვის ხეობაში სიარულის გამო ცალ ფეხზე კალოში ეცვა, ხოლო მეორეზე — ძირგავარდნილი ჩექმა.

ჰონორარი ავიღე, გამოვეწყვე და ოფიციალური დარბაზობისთვის რედაქციას ვეწვიე. იქ მთელი რედაქციის თანამშრომლები გავიცანი უკვე ჯავახიშვილის სახით. აქ იყვნენ: გიგო რცხილაძე, გიორგი ლასხიშვილი, ალექსანდრე ჯაბადარი, სამსონ ფირცხალავა, ილიკო აღლაძე, რომელმაც სადილად დამპატიჟა და მრავალი აღთქმით გამამხნევა. მანვე მირჩია ჯერჯერობით ადამაშვილის ფსევდონიმით განმეგრძო წერა. მე უკვე „ცნობის ფურცლის“ უახლოესი თანამშრომელი გავხდი.

„ცნობის ფურცელში“ ჩემი თანამშრომლობა 1904 წელს დაემთხვა. ეს იყო თვითმპყრობელობის დაცემის დასაწყისი წელი. იაპონია იანვარში მოულოდნელად თავს დაატყდა პორტარტურსა და იქ თავშეფარებულ რუსეთის ფლოტს დიდი ზარალი მიაყენა. დაიწყო მეფის რუსეთისათვის უსასტიკესი და ყოვლად სამარცხვინო ომი. რუსეთის დამარცხება ამ ომში ცარიზმის დამხობასა და რევოლუციის გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა. ამიტომ იყო, რომ რევოლუციურად განწყობილი საზოგადოების თანაგრძნობა იაპონიის გამარჯვებისაკენ იხრებოდა. მთელი რუსეთი და მასთან ერთად საქართველოც აშკარა „პორაჟენცების“ ბანაკად გადაიქცა. მეც „პორაჟენცებში“ ჩავდგი ფეხი. ვწერდი როგორც პამფლეტებს, ისე სამხედრო მიმოხილვებს. პირდაპირ დავიღუპე კაცი. რაც ხუთი წლის განმავლობაში დავწერე (1903—1908 წლებში), რამდენიმე თვეში შემეძლო დამეწერა. ჟურნალისტად გადავიქეცი და ჩემი ჭაბუკობის აღმაფრენა ამ საქმეს შევალიე.

• • •

„ცნობის ფურცელში“ ჟურნალისტობამ სახელი გამითქვა. ერთ დღეს „ივერიის“ რედაქციამ გიგა ყიფშიძე მომიგზავნა თხოვნით მათს რედაქციაში გადავსულიყავ. გიგა იმდენს ეცადა, რომ მართლა „ივერიის“ თანამშრომელი გამხადა. ექვსი თვის შემდეგ „ივერიის“ რედაქციას სათავეში ჩაუდგა ფილიპე გოგიჩაიშვილი, რეორგანიზაცია მოახდინა და დამაწინაურა, საფინანსო საქმეში ჩამაბა, ბუხჰალტერიას მომაკიდებინა ხელი, ასე ნელ-ნელა ვკვდებოდი, როგორც შემოქმედი...

ჩემი სამწერლო ასპარეზიდან ჩამოშორება და წვრილმანებზე დახურდავება საზოგადოებაში არ მოიწონეს. შეუჩნდნენ ფილიპე გოგიჩაიშვილს, კაცს ნუ ჰღუპავო და როგორც იყო ჩემი თავი ჯათმობინეს. საპიროდ დაინახეს, უცხოეთში გავეგზავნეთ. გოგიჩაიშვილმა მიშუამდგომლა დიდი მეცენატის ზუბალაშვილის წინაშე, რომელმაც სტიპენდია დამინიშნა 75 მანეთის რაოდენობით. გავკეთდი კაცი!..

— საინტერესოა, პირდაპირ პარიზში წახვედით თუ რუსეთის დიდ ქალაქებსაც ეწვიეთ, როგორიცაა პეტერბურგი, მოსკოვი?

— არა, ჩემი მარშრუტი ზუსტად პარიზისაკენ უნდა ყოფილიყო მიმართული, მაგრამ პარიზში გამგზავრება არც ისე ადვილი გამოდგა. ეჰვის თვალით მიყურებდნენ და ურჩების სიაში ამომაყოფინეს თავი. საზღვარგარეთის პასპორტი ვერ იქნა და ვერ ავიღე, სხვა რა გზა იყო, გადავწყვიტე, ისევ თბილისში განმეგრძო მუშაობა. დავაარსე ყოველკვირეული ჟურნალი „გლეხი“. ეს იყო 1906 წელს. შენც უნდა გახსოვდეს: შენი ლექსი „გლეხის ღიღინი“ პირველ ნომერშივე მოვათავსე.

— მახსოვს... ისიც მახსოვს, ამ ახალი ჟურნალის რამდენიმე ნომერი როგორ აიტანეთ ქურთაში ნაცნობებში გასავრცელებლად. გიორგი მაჩაბელი რეაქციისაგან დატუქსული შინ იჯდა და რევოლვერის სროლაში ავარჯიშებდა ახალგაზრდებს. მახსოვს, ნიკოლოზ მეორის სურათი როგორ გააკრა კოშკის კარზე და ნაგანის სისტემის რეეოლვერი გასროლინა, შენ შუბლში დაუმიზნე, მაგრამ ისე უხეი-

როდ ესროლე, რომ კონდახი თვითონ შენ მოგხვდა მარჯვენა წარბთან და ტყვია კი დანიშნულებას ძალზე ასცდა.

ორთავემ გადავიხარხარეთ.

— რა დიდი ბავშვები ვიყავით!.. თუმცა ასეთი რამ დამახასიათებელია რომანტიკული რევოლუციისათვის. გიორგი მაჩაბელი წითელი რაზმის წინამძღოლი იყო, აგერ რომ რევოლვერის სროლაში ავარჯიშებდა ახალგაზრდებს, მეორე წამს კაკლის ტოტებში მიცოცავდა და იქ უცდიდა მთვარის ამოსვლას, რომ ფლეიტის ნაზი დაკვრით გაეებრუებინეთ... დავუბრუნდეთ ისევ ჩემს ჟურნალ „გლეხს“. „გლეხის“ ტირაჟი საოცრად იზრდებოდა და მალე ათასი ცალიდან შვიდი ათასზე ახტა. ეს არნახული ამბავი იყო ჩვენი ჟურნალ-გაზეთების გავრცელების იმდროინდელ ისტორიაში. ჟურნალი მერვე ნომერზე მიმიკეტეს და სასამართლოში მიმცეს. უკვე ხუმრობა აღარ იყო. რეაქცია მძიმედ მოაბიჯებდა და შურისძიება დიდი იქნებოდა: ან დამხვრეტდნენ, ან გამაციმბირებდნენ. გაქცევა ჩემი პასპორტით ახლა უფრო შეუძლებელი შეიქმნა, სხვისი პასპორტით გაქცევა ვამჯობინე. გავხეხე ხუთმანეთიანი და ჩემი მეგობრის სახელით ავიღე საზღვარგარეთის პასპორტი.

— ვინ იყო ასეთი თავგამეტებული ადამიანი?!

— ჩვენი ანტიკვარი, ძველი ნივთების დიდი მოყვარული მიხეილ ლობჟანიძე. მაგრამ ამ პასპორტმა კინაღამ ხიფათში ჩამაგდო, რომ ერთი ხერხისათვის არ მიმემართნა, რაც შემდეგში ჩემი რომანის გმირს კვაჭი კვაჭანტირაძეს მივაწერე. აი რაში იყო საქმე: საზღვარგარეთული პასპორტით მატარებელში რომ შევდგი ფეხი, გული ამიჩქროლდა. ათასმა ფიქრმა შემიპყრო. როსტოვამდე უინცინდენტოდ გადავრჩი, იქიდან კი ერთი ჟანდარმის პოლკოვნიკი ამეკიდა და თავს აღარ მანებებდა. ამცრა, მაგრამ თავს მაგრად ვიჭერდი. ვენაში მიდიოდა. საზღვარზე პასპორტები ჩამოგვართვეს შესამოწმებლად. უკანასკნელ სადგურზე ვოლოჩინსკში პასპორტები ვაგონებშივე დაგვირიგეს. როდესაც ჟანდარმთა ოფიცერი ჩვენს კუპეში შემოვიდა და თავზე დაგვადგა, უეცრივ ჩემი ახალი გვარი დამავიწყდა. სიკვდილსაც დავიწყებია ჩემი კეთილისმყოფელი გულითადი მეგობარი მიხეილ ლობჟანიძე! მისი გვარი ვერ გავიხსენე. ვიდრე ჟანდარმი

ჩემს თანამგზავრებს პასპორტებს ჩააბარებდა, ყუმბარასავით საპირფარეშოში შევვარდი. მთელი ძალღონე მოვიკრიფე მეხსიერებისა, მაგრამ არ იქნა, ველარ გავიხსენე. „დავიღუპე!“ — გამიელვა თავში. სწორედ ამ დროს ჟანდარმმა საპირფარეშოს კარი დააკაკუნა. მეორედ. მესამედ. ადგილიდან ფეხს არ ვიცვლიდი. უცბად ერთმა აზრმა გამიელვა და მას მივენდე: ავლუღლუღდი. „მუნჯი ყოფილა“, — შენიშნა ჟანდარმმა თანამშრომელს, მე თავი დავუქნიე და ვანიშნე, აგრეა-მეთქი. ჟანდარმმა პასპორტები გადმომილაგა. ჩემი პასპორტი უმალ ვიცანი. წავწვდი, გადავშალე და ვიდრე წავიკითხავდი, მეხსიერებამ აღმიდგინა ახალი გვარი, რომ ლობჟანიძე ვიყავი. კუპეში დაბრუნებისას ჩემი თანამგზავრი პოლკოვნიკი შემეკითხა გაფითრების მიზეზს. „შემდეგ მოგახსენებთ!“ — მივუგე და, მათლაც, ათიოდე წუთის შემდეგ საზღვარი რომ გადავლახეთ და უცხოეთში დავიგულე თავი, მაშინ ვუამბე ჩემს თანამგზავრს ყველაფერი. ბევრი იცინა. ჩემი გამბედაობა იმდენად მოეწონა, რომ ვენიდან ადვილად აღარ გამიშვა, ვენის შესანიშნავი ადგილები დამათვალიერებინა და კარგადაც მაქეიფა...

* * *

ამის შემდეგ მიხეილს ორჯერ კიდევ მოუხდა ევროპაში წასვლა.

— ქუდბედიანი გამოვდექი, — მეუბნება იგი, — ზუბალაშვილისეული სტიპენდია 75 მანეთი თვიურად უცვლელად მქონდა. გარდა ამისა, ევროპაში სტუმრად მოსული ჩვენი მეცენატები კარგად მიღებდნენ. მათი წყალობით დავათვალიერე იტალიის ღირსშესანიშნავი ქალაქები, თითქმის მთლად მოვლილი მაქვს ავსტრიისა და გერმანიის დიდი ქალაქები და მუზეუმები. ცენტრად პარიზი მქონდა მიჩნეული, უკეთ რომ ვთქვათ პარიზიდან საცხოვრებლად ამოვირჩიე ჯერ ვილმობლი და შემდეგ რანსი, ჰიურეს პანსიონი, სადაც შენც დამხვდი. გახსოვს, გორკის „დედა“ მოგიტანე ფრანგულ ენაზე და ერთად გადავიკითხეთ. გახსოვს, როგორ ვღელავდით, როგორ მოხიბლული ვიყავით ამ შესანიშნავი ნაწარმოებით!..

— ზუბალაშვილის გარდა კიდევ რომელ მეცენატთან გქონიათ საქმე? დავით სარაჯიშვილთან ხომ არა?

— არა, თუმცა გაცნობით გავეცანი. მე დიდად ვუმადლი ბესარიონ ღოღობერიძეს, შავი ქვის მრეწველს. თავისი ხარჯით შემომატარა ლონდონი, ნიცა, კარლსბადი... ამ უკანასკნელ ქალაქს დიდად ეტანებოდა იგი, სამკურნალო წყლებზე დადიოდა, ბუნებაც ძლიერ მოსწონდა და ხშირად სტკბებოდა ფრანც ჰოხის მზერით, ხან კიდევ ჰირშენშპრუნგში გასეირნებით. მე კი ერთიცა და მეორეც მაინცდამაინც დიდ რამედ არ მიმაჩნია, ვერც ერთი მათგანი სიდიადით ვერ შეედრება ვერც ჩვენს მყინვარწვერს და ვერც ჩვენს ცივ-გომბორს, საიდანაც ალაზნის ველის მზერით ვერ სტკბება თვალი! ეგეც არ იყოს, მთელი ჩვენი სამშობლო ხომ კურორტების ქვეყანაა!.. ღოღობერიძესთან დაკავშირებით კიდევ ერთი ეპიზოდი მახსენდება: ერთხელ ღოღობერიძემ პარიზში მყოფი ქართველობა დაგვპატიჟა. ნადიმზე დაესწრო ჩვენი აწ ღვაწლმოსილი მწერალი თედო სახოკია. სახოკია ღოღობერიძის სტიპენდიანტი ყოფილიყო. ღოღობერიძემ ნადიმის დროს სახოკიას განუცხადა: შავი ქვის მრეწველობის საქმე ცუდად მიდის და ამიერიდან სტიპენდიით ვეღარ დაგეხმარებითო. სულ ბევრი-ბევრი ახლა სამი თვის სტიპენდიას ერთბაშად მოგცემთ და შემდეგ თქვენ იცითო. თედოს იქვე გადაუთვალა სამი თვის სტიპენდია. დაღონებულმა თედომ უპასუხა: — კეთილი, მოვიფიქრებო. ამაზე ღოღობერიძემ მიუგო: იფიქრეთ... სამი თვის სტიპენდია წინასწარ სწორედ იმიტომ მოგეცით, რომ იფიქროთ თქვენს მომავალზეო. ამაზე თედოსაც გაეცინა და ჩვენც. საწყალი თედო, პარიზიდან ბრიუსელში გადაბარგდა იმ იმედით, რომ იქ ცხოვრება ბევრად იაფიაო...

* * *

ჰიურეს პანსიონში ცხოვრების შესახებ მიხეილმა იძუნწა. რადგანაც ამ პანსიონში მეც მასთან ერთად ვიყავი, ამ ხარვეზს მე თვითონ ვავსებ:

ჰიურეს პანსიონს მეტწილად უცხოელი სტუდენტობა ეტანებოდა. აქ ნახავდით პოლონელ სტუდენტებსაც, გერმანელებსაც, ბულგარელებსაც, თვით იაპონელებსაც. თვითონ ბ-ნი ჰიურე არ მოგვ-

წონდა, მაგრამ მის პანსიონში ცხოვრება გვიზიდავდა უცხოელი სტუდენტების გამო. ჩვენი მიხეილი ძალიან დაუახლოვდა ერთ იაპონელ სტუდენტს. დამეგობრდნენ. მუდამ ერთად იყვნენ. პარიზშიც ერთად მიდიოდნენ, როდესაც დიდი სპექტაკლები იმართებოდა. სხვათა შორის დაესწრნენ ელეონორა დუზეს გასტროლებს. მეც მხვდა ბედნიერება და დუზე ორჯერ ვნახე მათთან ერთად სპექტაკლებში—„ანტონიოსი და კლეოპატრა“ და „მარგარიტა გოტიე“. გოტიეში მე და მიხეილს ნანახი გვყავდა სარა ბერნარი. სარა უკვე ღრმად მოხუცი იყო და ეშხმოტეხილი, სადღა იყო ის სარა, რომელიც ხელში აყვანილი დაჰყავდათ და ცაში დააფრენდნენ!.. მიხეილს ძალიან მოეწონა ელეონორა დუზე და განაცხადა, რომ სარას მარგარიტას ბევრად სჯობია ელეონორა დუზეს კამელიების ქალბატონი. ამის თამაშში უფრო რეალობა სჭარბობს, იგი განთავისუფლებულია ცრუ კლასიკური მანერებისაგანო. ასევე დიდად მოსწონდა დუზე ეგვიპტის დედოფლის როლში. მიხეილმა ეგვიპტის დედოფლის წარმოდგენით ჰეტერა კი არ დაინახა დუზეს წყალობით, არამედ ჩვენი ზეინაბი. დუზეს ბუნებრივ თამაშში განსაკუთრებით მოსწონდა, ორი მომენტი: 1) როდესაც კლეოპატრა გამოჩნდება ვარდისფერ იალქნიანი ხომალდით, ტახტრევანზე წამოწოლილი და ათასნაირი სურნელებით გაჟღენთილი, რომ ანტონიოსი შეხვედრისთანავე დაიპყროს როგორც კეისარი და დამპყრობი სარდალი მონად გადააქციოს; 2) სცენა შიკრიკთან. რა მეფური თავდაჭერა, რა მწუხარებით განადგურება დახატა ელეონორამ! მის ფეხებთან დაცემული შიკრიკისათვის დასასჯელად თითქოს ფეხი უნდა ეკრა, მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ ის დედოფალია, თვალებსა ლულავს, ამის უფლებას არ აძლევს მისი მეფური ხარისხის სიდიადე და განადგურებული სთხოვს, განაგრძე სამწუხარო ამბის თხრობაო.

ერთი სიტყვით, მიხეილი კარგა ხანს დადიოდა ელეონორა დუზეს თამაშით მოხიბლული და ნატრობდა, იბსენის „ნორაშიც“ ენახა ეს ჯადოსანი. საქართველოში ელეონორა დუზეს სახსოვრად მან წამოიღო მისი „ცრემლების სურა“, რომელიც გაავსო დუზემ ანტონიოსის დაღუპვით გამოწვეული მწუხარებით, ვიდრე ასპიტს ნებას დართავდა მოეშხამა იგი...

• • •

... ერთი წლის შემდეგ ჩვენ პარიზში დავშორდით ერთმანეთს. მე გადავედი ბრიუსელში, რადგანაც ცხოვრება იქ უფრო იაფი იყო. სამი თვის შემდეგ მიხეილმა მომძებნა, ისიც ბრიუსელს ესტუმრა და თითქმის ერთი წლით დარჩა. აქვე დაგვხვდა თედო სახოკიაც.

თედომ მიხეილი დააახლოვა ყიფიანების ოჯახთან. ამ ოჯახის გაცნობით მიხეილი ძალიან კმაყოფილი დარჩა. პალიკო ყიფიანში მან დაინახა დიდი პატრიოტი ადამიანი. მისი ოჯახის კარი ქართველებისთვის მუდამ ღია იყო...

მეორე ქართული ოჯახი, რომელსაც შეეტკბო მიხეილი, იყო ილიკო თაქთაქიშვილის ოჯახი. აქ მან გაიცნო კამო.

კამო დიდად დაინტერესდა მიხეილით.

— ახლა რაზე მუშაობთ? — შეეკითხა იგი.

— მე ჯერჯერობით ვსწავლობ, — მიუგო მიხეილმა.

— უნივერსიტეტში?

— დიახ. ჩემი უნივერსიტეტია პარიზი, დრეზდენი, მილანი, ლონდონი, ბერლინი, ბრიუსელი...

— ა, მესმის, მესმის...

— მე მწერალი გახლავართ...

ბოლოს ერთმანეთი ისე შეიტკბეს, რომ კამომ თავისი თავგადასავალი დაწვრილებით უამბო მიხეილს.

— საინტერესოა, — თქვა მიხეილმა, — ერთი მშვენიერი რომანი შეიძლება დაწეროს კაცმა.

— მერე რაღას უყურებთ, დალოცვილო, — სიტყვა ჩაურთო მასპინძელმა, — კალამი თქვენ გიჭრით და მასალას აგერ კამოსაგან მიიღებთ.

მიხეილს განზრახვა ჰქონდა მართლაც დაეწერა რომანი კამოს შესახებ, მაგრამ სურვილი სურვილად დარჩა...

• • •

1910 წელს მიხეილმა გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება. ბრიუსელიდან წასვლის წინ მთხოვა მეთარგმნა მისთვის მოპასანის ერთი თვალსაჩინო რომანი „ცხოვრება“.

— თუ დამაკმაყოფილებლად სთარგმნე, დავაბეჭდინებ თბილისში. ამის შემდეგ სერიოზულ თარგმანს დაგიკვეთავ. ანატოლ ფრანსის რომანს „თაისს“. ხომ იცი, ფრანსს დიდად ვაფასებ. უნდა მასახელო.

მთელი ლექცია წამიკითხა მიხეილმა ფრანსის შესახებ... მე მისი სურვილი შევასრულე. ჯერ ბრიუსელიდან არ გასულიყო, რომ ჩემოდანში ჩავუდე მოპასანის რომანი „ცხოვრება“, „თაისზეც“ შევპირდი, ამის თარგმანსაც თქვენს სახელზე გადმოვგზავნი-მეთქი. როდესაც „თაისი“ მოვათავე და თბილისში დანიშნულებისამებრ გადავუგზავნე, სულ მალე ასეთი პასუხი მივიღე მიხეილისაგან: „თაისის“ თარგმანმა ხუთი მიიღო, მომავალ თვეში „სახალხო გაზეთის“ ხელისმომწერთ დაურიგდებათ. მოპასანის „ცხოვრებაზე“ კი თავი შეეკავებინათ.

თბილისში მიხეილ ჯავახიშვილს კარგა ხანს სხვისი პასპორტით მოუხდა ცხოვრება. იგი დიდის ენერგიით შეუდგა მზადებას და დიპლომი აიღო ქართული ენისა და ისტორიის. ადგილიც ჰქონდა აღთქმული ქართულ გიმნაზიაში, მაგრამ ვიდრე პედაგოგობას შეუდგებოდა, დააპატიმრეს და გადასახლება მიუსაჯეს.

1914 წელს დაწყებული ომით ისარგებლა მიხეილმა და სამშობლოში დაბრუნდა, იგი გაზეთ „საქართველოს“ თანამშრომელი შეიქნა. სწერდა ომის მიმოხილვებს. ამ პერიოდში მისი ფსევდონიმი იყო „მადლი“.

1916 წელს მას ვხედავთ ფრონტზე წითელ ჯვარში. ფრონტზე ყოფნა მისი შემოქმედებისათვის დიდად ნაყოფიერი გამოდგა, მან შემოიარა სპარსეთი და ოსმალეთის რამდენიმე ვილაეთი. „ლამბალო და ყაშა“, „მართალი აბდულაჰ“ იმდროინდელი განცდების ნაყოფი გახლავთ.

აი, რა მიამბო ამ პერიოდის შესახებ მიხეილმა:

— სპარსეთში სალამირის პროვინციაში ვმუშაობდი, აქ იყო გადასახლებული ალექსანდრე ბატონიშვილი, ქურთისტანის საზღვართან. ვფიქრობდი, იქნებ სახარბიელო ცნობები მოვკრიბო ისტორიული რომანის დასაწერად-მეთქი, მაგრამ საამისოდ დრო აღარ მრჩებოდა. იქ დავუახლოვდი ქურთების ბელადს ისმაილ აღა სიმკოს,

რომელიც თავზე ხელაღებული რაინდი იყო. დამიმეგობრდა. სიმკოს საჩუქრად თბილისიდან ჩავუტანე ქართული ხმალი, სამაგიეროდ მან მაჩუქა მშვენიერი ქურთულ-არაბული ცხენი. სიმკო ფრთხილობდა, რომ მის ქვეშევრდომთ ზიანი არ მოეყენებინათ ჩემთვის, ამიტომ ყოველი შემთხვევისთვის მან ჩემი სამსახურის მოწმობაზე ბეჭედი დამისვა და ხელიც მომიწერა. რამდენიმე თვის შემდეგ მისი ხელმოწერა და ბეჭედი დიდად გამომადგა. დილმანიდან წინა პოზიციებზე გადავინაცვლე. ასი ვერსით დავშორდი მთავარ ბაზას. შუა გზაზე მხლებელი დამივარდა. სურიანის ხეობაში ქურთებმა მოულოდნელად გზა გადამიღობეს. გამაფითრეს. გამახსენდა სიმკოს ბეჭედი. ვუჩვენე. გასჭრა, მაგრამ მთლად თავი მაინც არ გამანებეს. მთა-მთა მატარეს უგზო-უკვლოდ, ალქაჯური ვიწრო ბილიკებით და ისე მომიყვანეს სიმკოს ბანაკში შესამოწმებლად. სიმკომ დიდად გაიხარა ჩემი დაბრუნებით და სამ დღეს აღარ გამიშვა...

1917 წელს ისევ თბილისში დავბრუნდი და კვლავ მწერლობას მივყავ ხელი. დიდი გამოცდილება მივიღე ამდენ საქმიან წანწალში. აუარება ტიპები თან დამდევდნენ და ყელს მიწევდნენ, რომ გმირებად გამომეყვანა... სეზონი, როგორც გეხსომება „კვაჭი კვაჭანტირაძით“ გავხსენი. ნაწარმოებს წარმატება ხვდა წილად. ჩემი „კვაჭი“ იმდენად პოპულარული შეიქნა, რომ „კვაჭობა“ უკვე გაქნილი ადამიანის სახელწოდებად გადაიქცა. ხშირად გაიგონებდით: „გაკვაჭა“, „კვაჭობს“... „კვაჭი კვაჭანტირაძეს“ მივაყოლე „ჯაყოს ხიზნები“, ეს ქურთა-თამარაშენში ყოფნის სახსოვარია. მართალია, რომანმა აუარება მკითხველი გამიჩინა, მაგრამ აუარება დამაწყევარიც! კრიტიკაში ბევრი მაქებდა გულახდილობისთვის, ბევრი მაძაგებდა. ზოგიერთებმა ისიც კი მითხრეს, თუ გინდა, რომ ძველებურად მიგიღოთ და გულთბილად მოგეპყროთ, შენი შემოქმედებიდან ჯაყო ამოშალეო. ჯერ ერთი, რუსების თქმისა არ იყოს: „კალმით დაწერილს ნაჯახით ვერ ამოჭრი“, და მეორეც, საკითხი მართლაც ასე რომ იყოს დაყენებული, მაშინ მე ყველაფერს დავთმობ, მაგრამ „ჯაყოს“ და „თეთრ საყელოს“ ვერავინ გამამეტებინებს.

შემდეგ მიხეილს შევეკითხე, თუ რაზე მუშაობდა ამჟამად.

— აუარება თემები მაქვს, — მიპასუხა მან, — თავზე საყრელი.

აგერ მესამე წელია, რაც „არსენაზე“ ვმუშაობ, აგრეთვე „შეთქმულებზე“, რომელშიც მინდა გავაშუქო 1832 წლის შეთქმულება. ორივე დიდი ტილოა. მასალა აუარებელია, საღებავები — უხვზე უხვი.. ვნახოთ, რა გამოვა...

ამით მოვათავე ჩემი ინტერვიუ ჩემს მიხეილთან. ზურგს უკან მოიხურა კარი. კარს იქით დარჩა დიდი შემოქმედი, ხელოვანი, მონუმენტური ბელეტრისტი, ქართული ლიტერატურის დიდი მოამაგე, კეთილშობილი რაინდი...

1928 წ.



ია ძარგარეთელის

ცხოვრების საბედისწერო ეპიზოდები

ჯერ კიდევ ცხრაას ოცდაცხრამეტი წლის 8 მარტს ჩვენი თეატრის ისტორიისათვის საჭირო მასალების შესაკრებად ძველი ვეტერანებიდან ალექსანდრა კარგარეთელი ამოვარჩიე, როგორც ძველი თაობის თვალსაჩინო აქტრისა. განა შეიძლება სუმბათაშვილის „ღალატი“ ახსენოთ და რუქაიამ უმალვე თქვენს თვალწინ არ გაიელვოს თეთრი ნაბადით! და ეს რუქაია ხომ კარგარეთელი იყო!..

მოლოდინი გამიმართლდა. მისგან მრავალი ღირსშესანიშნავი მასალა მივიღე, დიდის მადლობით გამოვეთხოვე და წასვლას ვაპირებ-

დი, რომ ია მოვიკითხე, როგორც ალექსანდრას ცხოვრების პირველი თანამგზავრი.

— იცით რა, — მეუბნება ალექსანდრა, — თუ დრო გაქვთ, კარგი იქნება, რომ ინახულოთ, ძალიან გაეხარდება. ამ მოხუცებაში საშინელს მარტოობას განიცდის. საკვირველია, რომ ავადმყოფია და მუშაობის ხალისი მაინც არ დაჰკარგვია. რა იშვიათი ადამიანია! წამოხვალთ? ის აქვე მახლობლად ცხოვრობს, კოჯრის ქუჩაზე.

თვალებში შევაცქერდი. მისმა გულწრფელმა თხოვნამ უღრმესი პატივისცემა დამანახვა იმ ადამიანისადმი, რომელიც ოდესღაც თუ მღეროდა, მღეროდა მისთვის, ალექსანდრასთვის. მოგონებამ ფრთა გაშალა. 1896 წლებიდან მოყოლებული ქართულ საზოგადოებაში იას რომანსებს რომ მღეროდნენ, „მშვენიერთა ხელმწიფავ“, ან „შეგიშრობ ცრემლებს“ და „შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი“, განა სულ ალექსანდრასთვის არ იყო ნამღერი?!. სწორედ 1896 წელს ნახა იამ ალექსანდრა პირველად სუმბათაშვილის „ბორკილში“ და აი, ალექსანდრამ სუმბათაშვილის „ბორკილიდან“ ტრფიალების ბორკილი სტყორცნა და ჭაბუკი მომღერალი, რომელიც ის-ის იყო მოსკოვიდან დაბრუნებულიყო, თავის ტყვედ გაიხადა, როგორც „მშვენიერთა ხელმწიფამ“...

— ნუ დაიზარებთ, წავიდეთ, გავახაროთ მოხუცი! — მითხრა ხელახლად ალექსანდრამ. მეც სიამოვნებით დავთანხმდი.

• • •

უკვე დღის ორი საათი იყო, როცა იასთან შევაღეთ კარი. ის საწერ მაგიდას მისჯდომოდა და იმდენად გართულიყო მუშაობაში, რომ ჩვენი შესვლა ვერც კი შენიშნა. ჩვეულებრივად ცაცია ხელში ფანქარი მოემარჯვებინა და მარდად ათამაშებდა ნოტების ქაღალდზე წვრილმან წერტილების მოსაბნევად. დასახიჩრებული მარჯვენა ხელით მხრებზე მოგდებული ძველი პალტო დაეკავებინა.

როცა ჩემი მისვლა გააგებინა ალექსანდრამ, ია წამოდგა და გახარებული სახით წამოფარფატდა. არ მესიამოვნა, რომ ცალ ფეხს მოათრევდა. სიბერეს მივაწერე, მაგრამ მოვტყუვდი.

— შარშან, რაც კავთისხევში ფეხი მოვიტეხე, — შემომჩივლა შან, — დარჩენილი სიცოცხლე ერთი ათად გამინახევრდა. რაღა ვარ, რა სასიცოცხლო ვარ....

და აი, ასეთი არასასიამოვნო, მისთვის მტკივნეული საკითხის გასაქარწყლებლად, როგორიცაა „რაღა ვარ, რა სასიცოცხლო ვარ“, მე სიტყვა ბანზე ავუგდე და შორიდან შემოვუარე:

— სხვა, ია, სულ წერ და წერ... ალბათ, ჩვენს კუდრაჭა ჩიტუნიებს კიდევ რამეს უმზადებ, ხომ?

— მაინც რომ აგრეა, — მითხრა იამ და სახეზე ნათელი წამოადგა, — ჩვენს ჩიტუნიებს ძალიან ცქრიალა სიმღერებს ვუმზადებ...

მცირე პაუზის შემდეგ განმარტება მისცა თავის სამუშაოს:

— ხომ იცი, როგორ მიყვარს სოფელი. სიყრმიდანვე მიყვარდა ხალხში გასვლა, ჩვენს გლეხებში ტრიალი. მე, ფილიმონ ქორიძეს, ბალანჩივაძეს, ნამეტნავად ზაჭრო ჩხიკვაძეს თითქოს პირი გვქონდა შეკრული, შეჯიბრში ვიყავით გასული, თუ ვინ უფრო მეტს მარგალიტებს ამოჰკრებდა ხალხის დაუშრეტელი წიაღიდან. ხალხში გასვლა სიბერეშიც გამომყვა. პატარა მოვმჯობინდები თუ არა, სოფლისაკენ უნდა გავქუსლო. ამ უკანასკნელ წლებში ორმოცამდე სიმღერა მაქვს ჩაწერილი.... რა უსაზღვროდ მდიდარია ჩვენი ხალხი, მის მიერ შემრნახული ხელუხლებელი საუნჯე! ჩვენს ახალ კომპოზიტორებს მართებთ შეეჩვიონ ხალხში გასვლას, იქ მონახავენ სასურველ მელოდიებს, რაც ლეიტმოტივად გაუძღვება მათს მოფიქრებულ ოპერებს... ეჰ, ეხლა სულ სხვა დროა. ფართო სამოქმედო ასპარეზია გაშლილი....

მე კი ასე ფართო მუშაობისთვის ძალა აღარ შემწევს. ახლა ჩემს შვილიშვილებს შევხარი და მათი სახით ვუმღერი ახალგაზრდა საქართველოს, ჩვენს ჩიტუნებს...

ზღვასავით მოლურჯო თვალებს იისფერი ელვარება უკრთოლებდა, თითქოს სიცოცხლე მოემატა. ...რამდენი თაობა აღუზრდია და როგორი ხალისით მზად იყო ახალ-ახალი ნობათით გაეხარებინა „ჩიტუნიები“!..

მის სამუშაო ოთახში საგრძნობლად ციოდა. ალექსანდრამ სასადილო ოთახში შეგვიპატიჟა, სადაც მზეს სითბო საამური ტალღებით

შემოეგორებინა. იქვე ახალგაზრდა დედა ბავშვს ათამაშებდა. იამ სიამაყით ჩამოართვა ბავშვი, მოუალერსა შვილიშვილს, გადაჰკოცნა და თან მითხრა:

— ამათთვის ღირს, რომ ადამიანმა კიდევ ინატროს სიცოცხლე, ღირს, რომ იმღეროს და ტკბილი ჰანგებით დაუტკბოს სმენა, შეასწავლოს ჩვენი მშობლიური ჰანგები, ესოდენ ძვირფასი, ესოდენ დაუფასებლად ამოხეთქილი ხალხის წიაღიდან...

ია გაერთო. ბავშვი ისევ დედას დაუბრუნა. შემოვუსხედით მაგიდას.

— აი, ეხლა კი შინაურულად ვიჭუკჭუკოთ აქეთურზე, იქითურზე! — სთქვა მან და მეგობრულად გამიღიმა.

* * *

იას დიდი ხანია ვიცნობდი. ჯერ კიდევ წითელხალათიანი ბიჭი ვიყავი (მაშასადამე, 1905 წლის ამბებს ვიხსენებ), რომ იას სახელს შევნატროდი. ყველგან მისი რომანსები ისმოდა. 1906 წელს მისი დაჭრის ამბავმა შავრაზმელების მუხანათური ხანჯლით დიდი ალიაქოთი და საზოგადოებრივი გულისწყრომა გამოიწვია.

ია გადარჩა სიკვდილს, მაგრამ სამუდამოდ დასახიჩრდა.

ჩვენი საუბარი ჯერ ფილარმონიულ საზოგადოებას შეეხო, რომელიც იას ინიციატივით დაარსდა 1903 წელს, შემდეგ ქართულად ოპერების დადგმა გავახსენებინე. ია ხომ პირველია საქართველოში, ვინც შესაძლოდ სცნო ქართული ძალებით ოპერები დაედგა მშობლიურ ენაზე. მარტო ეს ფაქტიც საკმარისია მისი სახელის უკვდავსაყოფად. ია იუმორის გუნებაზე დადგა და ბევრი მაცინა ვასო აბაშიძის ბარტელოზე.

— ჯერ კიდევ 1895 წელს, როდესაც მუსიკის ცოდნის გაღრმავების მიზნით მოსკოვის ფილარმონიულ სამუსიკო სასწავლებელში მუსიკისა და სიმღერის კურსი მოვათავე, აზრად დამებადა ქართულად დაგვედგა „სევილიელი დალაქი“. სამშობლოში დაბრუნებისთანავე ჩემი აზრი ვალიკო გუნიას გავანდე. მან ნაადრევად სცნო, შენი სურვილები განუხორციელებელი დარჩებაო. საკითხმა თითქმის

მთლად მიიძინა. გაიარა რამდენიმე წელმა. ჩემი სურვილი ხელახლა განვუცხადე ვალიკოს, რადგან ახლა საამისო პირობები გაცილებით მეტი იყო. მუსიკის მცოდნეებიც გამოგვიჩნდნენ, მომღერლებიც. დიდ იმედებს ვამყარებდი ნიკო ქართველიშვილზე, როგორც ჩინებულ მუსიკოსზე და დირიჟორზე. ეხლა კი თანაგრძნობით შემხვდა ვალიკო. შევუდექით ლიბრეტოს თარგმნას. როგორც იყო, ვძლიეთ მისი გადათარგმნა. მუსიკალური მხრით ყოველი სტრიქონი შევამოწმე და დავრწმუნდი, ქართულად ოპერის დადგმა შესაძლებელი იყო. ამ მხრივ ლელოს გავიტანდით. მაგრამ, ახლა სხვა დაბრკოლება გადაგვეღობა წინ.

როგორც მოგეხსენებათ, არტისტული საზოგადოების თეატრი, დღევანდელი რუსთაველის სახელობის თეატრი, იმდროინდელ მილიონერ მანთაშევსა და მის კომპანიას ეკუთვნოდა. ოპერის თეატრს ჩვენ არ გვითმობდნენ. არტისტული საზოგადოების თეატრის ქირასაც დიდს გვთხოვდნენ. რა უნდა დაგვჯდომოდა თვითეული სპექტაკლი, ეს იქიდან შეგიძლიათ დაასკვნათ, თუ გავიხსენებთ, რომ მარტო ორკესტრის ქირას 800 მანეთს გვახდევინებდნენ ოქროთი. ახლა არტისტების გასტუმრება? ახლა თეატრის ქირა? მაგრამ სადაც მონდომება ყოფილა, იქ დაბრკოლება არ არსებობს. ჩვენი საზოგადოების მესვეური ქალები ნინო ნაკაშიძე და მარიამ დემურია დატრიალდნენ და თეატრის ხარჯები უზრუნველჰყვეს ბილეთების გაყიდვით.

„სევილიელ დალაქში“ ქართველებიდან გამოვიყვანე ცხომელიძე, ბარტელოს როლი ვაკისრებინე ვასო აბაშიძეს, ფიგაროს მე ვასრულებდი, რუსებიდან დიდი თანაგრძნობით შემოგვეშველნენ არციბაშევის ქალი, ევლახოვი, სოკოლსკი და სხვები. გამოვტყდები, რამდენადაც რუსებმა ხელი შეგვიწყეს და როლები ქართულად ჩინებულად შეისწავლეს, იმდენად გაძნელდა ვასო აბაშიძის მორჯულება. ვალიკო გუნიამაც სცადა მისი შეცვლა, მაგრამ ვასოს ხმა უკეთესი ჰქონდა, ეს იყო რომ ზარმაცობდა. ყოველ რეპეტიციაზე ან იგვიანებდა, ანდა სულ არ მოდიოდა.

— შენი ჭირიმე, ია, დღეს მაპატიე და შემდეგისათვის დროზე მოვალ... არ დავიგვიანებ!..

მაგრამ „შემდეგისათვისაც“ ვასო ისევ იკარგებოდა, ან თუ გამოჩნდებოდა, სულ ბოლოს, სახის მანჭვით და თავისებური ყელის წევით, კომიკურად კარებიდანვე მომმართავდა ხოლმე: „შენი ჭირიმე, დღესაც მაპატიე... ხვალ აღარ დავიგვიანებ“... ბოლოს იძულებული შევიქენ, სრულიად მომეხსნა იგი. მეგონა, ითაკილებდა, მაგრამ ვასოს როდი სწყენია, გაეხარდა კიდეც:

— შე დალოცვილო, — მეუბნება, — რომელი შალიაპინი მე მნახე, რომ ოპერაში მიგყევარ. თუ გინდა ხანუმაში დამიძახე და მოუმზადებლივ გამოვალ...

ამით დამთავრდა ჩემი და ვასოს დამოკიდებულება ოპერის საქმეში. ვგონებ ორივეს გაგვეხარდა, რომ ბოლო მაინც კეთილი იყო.

* * *

9 მაისს „სევილიელი დალაქი“ ანშლანგით წავიდა. დიდძალი საზოგადოება დაესწრო. რომ იტყვიან „ტრიუმფიო“, სწორედ ეს იყო. ყველაზე საყვარელმა თვემ, ლამაზმა და მშვენიერმა მაისმა ჩვენი გული სიამით აავსო. დიდი თანაგრძნობა იყო. მთხოვდნენ, რომ კიდევ გაგვემეორებინა, მაგრამ განმეორება ჩვენს ხელთ როდი იყო!..

ივნისის ბოლო რიცხვებში „პოტიომკინზე“ აჯანყება მოხდა. ყველას ლეიტენანტ შმიდტის სახელი ეკერა პირზე. ამ გარემოებამ რეაქცია გაამძვინვარა, დიკი, ალიხანოვ-ავარსკი და მათი დამჭაშები ცოფიანი ძაღლებივით დაძრწოდნენ და ჰბუგავდნენ გურიას, მთელს დასავლეთს საქართველოს, ქართლის სოფლებს...

ერთხელ ყოფილ ალექსანდროვის ბაღში შემომხვდა ლადო დარჩიაშვილი. მას კარგად ვიცნობდი განსაკუთრებით 1905 წლიდან. მე სოციალ-დემოკრატებმა მორიგ რედაქტორად ამირჩიეს და გამომაცემინეს გაზეთი „ტალღა“, რომლის მხოლოდ შვიდი ნომერი გამოვიდა, შემდეგ გაზეთი მიგვიკეტეს. ეს რედაქტორობა 500 მანეთი ჯარიმა დაჯდა, რაც სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გადაიხადა. ლადო ხშირად მხვდებოდა რედაქციაში, და აი ეხლაც მეგობრულად მომესალმა, შემაჩერა, რას მიეშურები, შენ მუდამ ფიცხობ, ვინ ქართლელი და ვინ ასეთი აჩქარებული ნერვებით ცხოვრებაო. ხის

ქვეშ ჩავსხედით, შევეხეთ პოლიტიკას და ბოლოს თეატრზეც ჩამოვაგდეთ საუბარი.

— შენმა „სევილიელმა დალაქმა“ დიდი იმედები აგვიძრა. ეს უკვე დიდი გამარჯვებაა ჩვენი კულტურის ფრონტზე. კარგი იქნება, რომ გავიმეოროთ. მისი განმეორება მეორე მხრითაც მაინტერესებს, როგორც შემოსავლის წყარო, ხალხი დიდძალი ესწრება. ალბათ, შემდეგშიაც ასე იქნება. ხომ ჰხედავ, რეაქცია მძვინვარებს. რამე უნდა ვიღონოთ, რომ აწიოკებულთ დავეხმაროთ...

ჩემს პატრიოტულ გრძნობებს მეტი აფეთქება აღარ ეჭირვებოდა. რა საპატიო მიზანს მისახავდა საყვარელი ადამიანი, განა შეიძლებოდა უარი მეთქვა?! მაგრამ გარემოება ხელს არ მიწყობდა და ჩემი დარდი გავუმხილე:

— ბარემ, ჩემო ლადო, მაგრამ ფული არ გაგვაჩნია. სახაზინო თეატრი ძალიან ბევრს მოითხოვს. ჩვენ კი, სამწუხაროდ, გულითა ვართ მდიდრები და არა ჯიბით.

— ეგ არაფერია, — გამამხნევა ლადომ, — ჩვენ დიდი ორგანიზაცია გვაქვს და საჭირო თანხასაც გამოვნახავთ, ოღონდ ითავე, ინიციატივა გამოიჩინე და ხარჯებისა ნუ გეშინია. სადაც არაფერი იხარჯება, იქ არც არაფერი კეთდება... ამ სპექტაკლს ჩვენ დავარქმევთ „ღარიბ სტუდენტთა საქველმოქმედო სპექტაკლს“; ნებართვის აღება ადვილია, ფული კი იქ წავა, გურიაში...

მტკიცე სიტყვა მივეცი, რომ ყველაფერს ვიღონებდი. იმ დღესვე ვინახულე სახაზინო თეატრის ანტრეპრენიორი დონსკოი. დონსკოი მოლიბერალო კაცი იყო, თავაზიანი, ჩემი კარგი ნაცნობი და თეატრის ხაზით — მეგობარი. ის დიდი თანაგრძნობით შეხვდა ჩემს წინადადებას. წარმოიდგინეთ, ქირად მხოლოდ 480 მან. მთხოვა. არც კი მივაჭრია, მადლობა გადავუხადე და შევუდექი საქმეს.

გზადაგზა ვფიქრობდი, დონსკოი ჭკუაზე ხომ არ შეიშალა, ასე იაფად რომ დამითმო თეატრი მეთქი, მაგრამ როცა საქმის ვითარებას დავუფიქრდი, ყველაფერს მივხვდი, მივხვდი, რომ ეს 480 მან. მისთვის პოვნა იყო და აი რატომ:

თუმცა რეაქცია მძვინვარებდა, მაგრამ რევოლუციონერებს ისე ადვილად როდი დაუყრიათ ფარხმალი, „შავხალათა ბიჭები“, რო-

გორც ეძახოდნენ მაშინ წითელ ტერორისტებს, მოსვენებას როდი აძლევდნენ რეაქციის ისეთს ჭოფაკებს, როგორიც იყვნენ მალამა, გენ-გრიაზნოვი, ალიხანოვ-ავარსკი და სხვ. შავს ტერორს დაუყოვნებლივ წითელი ტერორი მოსდევდა. დარტყმას დარტყმით უპასუხებდნენ. თბილისში საგანგებო წესები იყო გამოცხადებული. საღამოს 8 საათის შემდეგ შიშით კარში არავინ გამოდიოდა. ვიღას ეთიატრებოდა?!. მე კი მეგონა, რომ ლიბერალმა დონსკოიმ გულკეთილობით გამოიმეტა თეატრი, სინამდვილეში მე მას სიკეთე ვუყავი. სამართლიანად შევშინდი, ვაი თუ სპექტაკლი ჩავარდეს-მეთქი, მაგრამ მეორე დღეს ლადოს პაემანზე რომ შევხვდი, მან ხელახლა ფრთები შემასხა, ნუ გეშინიან, ხალხი გეყოლება, ოღონდ ლოჟების და წინა რიგების ბილეთები როგორმე ხელზე გავაყიდინოთ ვინმესო. ეს „ვინმე“ ჩვენი საშა გახლდათ...

და იამ ღიმილით ალექსანდრასკენ მიიხედა.

— მართალია, — დაემოწმა საშა იას, — დიდფასიანი ბილეთები სულ მე გავყიდე. მოვირთე, მოვიკაზმე და მაშინ ვისარგებლე ჩემი გაცნობით და ყურადღებით, რომელიც საზოგადოებაში მქონდა მოპოვებული. ჯეო მთავარმმართებელთან შევაღე თამამად კარი და „ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ“ თვალი მოვთხარე და ათ-ათი თუმანი წავგლიჯე თვითეულ ბილეთში, შემდეგ ხელი მივყე გენერალ-გუბერნატორს და მაღალი ხარისხის მოხელეებს და იმავე დღეს მინდობილი ბილეთები მთლად გავასაღე. არც ერთი მოხელე არ დამხვედრია ცივად, ყველა უხვად იღებდა ჩემგან დაწესებულს ხარჯს — ათ-ათ თუმანს თვითეულ ბილეთში. მოგროვილი თანხა იამ ჩაიბარა და იმავე დღეს „ღარიბ სტუდენტთა დამხმარე კომიტეტს“ გადასცა.

ია ფიქრებმა გაიტაცა, მაგრამ წამსვე გამოერკვა და დაწყებული ამბავი განაგრძო:

— მეტად ძვირფასი აუდიტორიის მოლოდინი უნდა მქონოდა, რადგან ყველა ბილეთი ხელზე გაიყიდა, მაგრამ „ტუზები“, ესე იგი, ის ხალხი, ვინც ათ-ათ თუმნიანი ბილეთები აიღო, სულაც არ მოსულან. სამაგიეროდ დარჩიაშვილმა მოიყვანა თავისი ხალხი. რა თქმა უნდა, ამ სპექტაკლს დაესწრებოდა ჩვენი არისტოკრატიის ნაწილიც.

მაგრამ მეორე მოქმედების დროს უცბად მაღლა რიგიდან ერთი შავ-ხალათიანი გადმოდგა და დაიძახა:

— ხალხო, რა დროს წარმოდგენაა, ქუჩებში სისხლი იღვრება!

არისტოკრატია შეფრთხა და თეატრის დარბაზი დასტოვა, თუმცა სცენიდან ვამშვიდებდი, მოიცათ, პასუხს მე ვაგებ, რომ აქ არაფერი არ მოხდება-მეთქი, ასე რომ, ბოლოს ხელთ შეგვრჩა ისევ ლადო დარჩიაშვილის მიერ მოყვანილი ხალხი.

* * *

„სევილიელი დალაქის“ გამარჯვებამ ფრთები შემასხა და ახლა „დემონზე“ დავიწყე ოცნება. 1906 წლის 24 იანვარს დემონის დადგმაც მოვახერხე. საზოგადოებაში უკვე სახელი და ნდობა მოვიპოვე. თეატრში დავმკვიდრდი, იქვე ვიშოვნე სამსახური და შევუდექი ოპერათა ლიბრეტოების შერჩევას და გადმოქართულებას.

იმ დროს ოპერის თეატრს ოთხი დირექტორი ჰყავდა, ოთხივე ქართველების მოძულე, წმინდა წყლის შავრაზმელი გენერლები: როდე, აკიმოვი, მირზოევი და გრუზინსკი. ვიცოდი მათი ამბავი, მაგრამ რევოლუციის მიერ შექმნილი გმირული ხანა ჩემისთანა პატარა ხალხსაც გმირებად ხდიდა, სულაც არ მოვრიდებივარ მათ, მთელის არსებით თეატრის მუშებთან დავახლოვდი, ვაწვდიდი გაზეთებს, ვამხნევებდი, რევოლუცია ისევ ფეხზე წამოდგება-მეთქი, ვუკითხავდი ბროშურებს, ზოგს წერილებს ვუწერდი რუსეთის შორეულ კუთხეში მიტოვებულ ცოლშვილთან და სხვა. თვითშეგნების განვითარებამ ისინიც გამოაფხიზლა. ერთხელ არ მომერიდნენ და მითხრეს:

— ილია გეორგიევიჩ, ყველას ჯამაგირები ემატება, ჩვენ რა დავაშავეთ?!.. ცხოვრება ძვირდება და ისევ ძველს ჯამაგირზე ვსხედვართ. გვიშუამდგომლეთ დირექციის წინაშე, რომ პატარა რამე წაგვიმატონ.

მეც დავტრიალდი. შევუდგინე წერილობითი მოთხოვნა და თეატრის ტექნიკოს მირზოევთან ერთად წარვდექი როდეს წინაშე.

გენერალ როდეს ულვაში აუთრთოლდა სიბრაზით, სასტიკად გადმომხედა. ამ გადმოხედვით მაგრძნობინა, რა შენი საქმეა, ამისთანა საქმეში რომ ეჩრებიო. თქმით კი მხოლოდ ესა თქვა:

— მძიმე საკითხია. ამას მარტო მე ვერ გადავჭრი, ბ-ნ აკიმოვსაც უნდა შევეკითხო.

— იმედი მაქვს, ამ სამართლიან მოთხოვნას უყურადღებოდ არ დასტოვებთ, — ვუთხარი გამოთხოვებისას.

— კეთილი, კეთილი,—მომიგო მან და ხელი ცივად ჩამომართვა.

გენერალმა როდემ იმავე საღამოს ინახულა აკიმოვი. მოიწვიეს ოთხთა თათბირი. მოთხოვნაში ეწერა: „8 საათის სამუშაო დღის შემოღება, ერთდროული დახმარება და უფასო ექიმობა“, სულ ეს იყო.

დირექტორთა თათბირმა დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა მუშების ჩემდამი ნდობა და სიყვარული. სამაგიეროდ ამითვალწუნა დირექციამ... ჯაშუშები მომიჩინეს. ამის შესახებ თვით მუშებმა გამაფრთხილეს.

ოპერაში სტატისტების მოწვევა ჩემი საქმე იყო. მთავარმართებელს მშვენიერი გუნდი ჰყავდა. მომღერლები კაზაკები იყვნენ. მათ მალე დავუახლოვდი და ამხანაგური კავშირი გავაბი, ასე რომ მათ შორის ერთგვარ პროპაგანდასაც ვეწეოდი. ამ ამბავმა ჩვენს დირექტორებამდე მიაღწია და აამუშავეს „პატრიოტული საზოგადოება“, რომელიც სულ შავრაზმელებისგან შედგებოდა.

წამდაუწუმ საბუთებს მიჩხრეკდნენ, ვითომც რევიზიის სახით. ერთხელ სწრაფი და საიდუმლოებით მოცული რევიზიაც მომიწყეს. რუსეთიდან რევიზორის სახით მოიწვიეს ოხრანკის განთქმული წევრი, დუნაევსკი, რომელიც არ დასჯერდა ჩემი სამუშაო ოთახის გაჩხრეკას და ახლა კაზაკების თანადასწრებით სარდაფიც კი გადააქოთა. ბევრი ვუსაყვედურე, მაგისი ჩხრეკა რა საჭიროა, ეგ ხომ მე არ მაბარია-მეთქი, მაგრამ არ გამიგონა. ჩემდა საბედნიეროდ იქ ვერაფერი აღმოჩნდა და ისღა დარჩენოდა, რომ საბუტაფორიო იარაღი — თოფები, რევოლვერები და ხმლები წამოჰკრიფა, ამას აქ რა უნდაო და ერთის რიხით ოქმი შეადგინა „ცივი იარაღის აღმოჩენაზე“. მე გამეცინა, თუ ყველგან ასეთი „ცივი იარაღი“ აღმოაჩინეთ, მაშ აშენებულა თქვენი საქმე, რეაქციის საბოლოო გამარჯვება უზრუნველყოფილია-მეთქი!

თითქოს გადავრჩი, ამ ჩხრეკით უნდა ამოწურულიყო თანამშრომელთა შიში და გაფრთხილება. ნოემბერი განვლიეთ და დე-

კემბერს იმედიანად შევხვდი, თუმცა ეს თვე თბილისისთვის უჩვეულო თოვლიანი გამოდგა. ერთ საღამოს თეატრის კართან დამხვდა ბოქაულის ფორმით ერთი აყლაყუდა კაცი, რომელსაც ორი გოროდოვოი ახლდა თან. ბოქაული გადაკრულში იყო, უცერემონიოდ მოვიდა ჩემთან და მითხრა, უნდა გაგჩხრიკოთო.

რას ვიზამდი!

მან ჩემი გაჩხრეკა იქვე არ ისურვა და საუბნო განყოფილებაში წამიყვანა.

აქ ვინმე „ნიკოლაი სემიონოვიჩმა“ გამჩხრიკა. ჩხრეკა ფორმალური იყო, ხელი ამისვა-ჩამომისვა უბეზე, მაგრამ ის კი შევნიშნე, რომ სახეზე დაკვირვებით მაცქერდებოდა. მალე გამანთავისუფლა.

მეორე დღეს ბარიატინსკის ქუჩის კუთხეში ტროტუარზე იგივე „ნიკოლაი სემიონოვიჩი“, რომელიც გვარად ბოიარსკი გამოდგა, ორი გოროდოვოის თანხლებით იდგა და ჩემსკენ იმზირებოდა. თავი ისე ვაჩვენე, ვითომც არც კი შემინიშნავს და თეატრისაკენ აჩქარებული ნაბიჯით გავეშურე. ბოიარსკიმ მათ ჩემზე მიუთითა და რაღაცა წასჩურჩულა, შემდეგ თითონ გაბრუნდა და ისინი გამომადევნა. გოროდოვოებმა მდიეს, მდიეს, ხან აქედან შემომხედეს, ხან იქიდან. თავი მხოლოდ მაშინ დამანებეს, როცა თეატრში შევედი.

ერთმა კვირამ მშვიდობიანად ჩაიარა. დამავიწყდა ბოიარსკიცა და იმისი გოროდოვოებიც. მეგონა, ყველაფერი ჩაიფარცხა, საშიში აღარაფერია-მეთქი, მაგრამ მოვტყუვდი...

ია შეჩერდა, თვალებზე ცრემლები წამოაწვა და ჩუმი ხმით წაიღიღინა თავისი საყვარელი რომანსი: „შენ რაღას იტყვი, არაგვო“.

მეც ავღელდი. საშა მეორე ოთახში გავიდა. ვფიქრობდი, გამოვმშვიდობებოდი, მაგრამ იამ შემაჩერა:

— მოიცა, რას მიიჩქარი, ჯერ ხომ მთავარი არ მითქვამს...

* * *

მართლაც, მთავარი სათქმელი იამ ბოლოსთვის შემოინახა.

— 1906 წლის 14 დეკემბერი ჩემთვის საბედისწერო დღე იყო. თოვდა, ყინავდა. ოპერიდან რომ გამოვედი, ქუჩებში მუხლამდე

თოვლი იდო. მთვარე ანათებდა. გავწიე შინისკენ. მადათოვის კუნძულთან, აფთიაქის გვერდით ორი ატუზული კაცი შევამჩნიე. ფეხი ავუჩქარე, რომ ორბელიანის ქუჩაზე გავსულიყავი და შინ შემესწრო მათთვის. მაგრამ მათ გზა გადამიღობეს:

— კარგარეთელი თქვენ ბრძანდებით?

— დიახ, რა იყო?

— გუბერნატორის განკარგულებით დაპატიმრებული ბრძანდებით.

დავიბენი. ვერც განკარგულების ქაღალდი მოვთხოვე, ვერც ვერაფერი. ის კი მოვახერხე, რომ მეთქვა, აქვე ახლოს ვცხოვრობ, შინაურებს შევატყობინებ, რომ ჩემზე არ იდარდონ-მეთქი, მაგრამ მათ დამაარხეინეს:

— ნუ სწუხდებით, ბატონო, ჩვენ ისინი უკვე გავაფრთხილეთ. საშიში არაფერია, ალბათ რაიმე გაუგებრობას აქვს ადგილი.

— მეც ავრე მგონია, რომ რაღაცა გაუგებრობას აქვს ადგილი. რა გაეწყობა, მოგყვებით.

იქვე „ლონდონის“ სასტუმროსთან ეტლი იდგა, დაუძახეს, ჩამსვეს. აქ ვიღაც მესამე პირიც შემოგვემატა.

თითქოს დარიგებულიაო, მეეტლემ შემოჰკრა კნუტი ცხენებს და გააფრინა. მდუმარედ გავიარეთ ვორონცოვის ხიდი, შემდეგ რიყე, ჩვენს სიარულს საზღვარი არ უდევს. გულმა კვნესა დამიწყო. ვიგრძენ, რომ სასიკვდილოდ მივყავდი.

მნაცაკანოვის ხიდთან, საიდანაც ერევნის გზა იწყება, გოროდოვოების საგუშაგო იდგა, საგუბერნიო ციხის კარგა დაშორებით. აქ მათ ეტლი შეაჩერეს, გაისტუმრეს. ღამის ორი საათი იყო, როცა საგუშაგოს გვერდით გამატარეს, გუშაგმა გოროდოვოებმა თავისთვის ჩაილაპარაკეს:

— კიდევ მიჰყავთ... საბრალო კაცი!.. ამ კვირაში ეს მერამდენეა?!.

იქვე შორიახლოს დუქნიდან სინათლე გამოდიოდა. ვთხოვე ჩემს გამყოლებს, შევიდეთ, პატარა ბარათს დავწერ ჩემს მეუღლესთან, აქედან პირდაპირ მიდით მასთან, გადაეცით და კარგ საჩუქარს მიიღებთ მისგან-მეთქი. დამთანხმდნენ.

შესვლისთანავე მათთვის არაყი მოვითხოვე. მე ბარათის წერას შეკუდექი. შევხედოთ, საგუშაგოზე მდგარი ერთი დარაჯთაგანი მოვიდა. იმასაც არაყი შევპატიჟე. ეს ის გოროდოვოი იყო, რომელმაც „საბრალო კაცი“ მიწოდა. მედუქნეს ვთხოვე, რომ მისთვის არაყი მიეცა, მან არაყი დალია, მადღეგრძელა, შემომხედა ერთხელ კიდევ, თავი ჩაიქნია და გასწია საგუშაგოზე.

როცა ბარათი გადავეცი, უცნობებმა ისევ საგუშაგოს გვერდით გამატარეს, მათ ერთი მეეზოვეც შეჰმატებოდათ განუყრელი კეტით. საგუშაგოდან ორას-სამასი ნაბიჯი გავიარეთ. უცბად მათ ხელისკვრით წინ გამიგდეს და ზურგში ტყვია დამახალეს. დავეცი. ორი კბილიც ჩამემსხვრა. ვგრძნობ, რომ ტანისამოსს მხდიან, ამართვეს საათიც, — მოკვდაო, — სთქვეს და გაიქცნენ. დიდხანს ვეგდე უპატრონოდ. თვალებში ხან სიბნელე ჩამომაწვებოდა და ხან ცეცხლის ალი... უკანასკნელი ძალღონე მოვიკრიბე და უადამიანო ხმით შევბღავლე: მიშველეთ, მომკლეს-მეთქი. გუშაგი გოროდოვოი უმალვე მოიჭრა ჩემთან. უშველოს ღმერთმა, იმან გადამარჩინა.

არ ვიცი, გონზე როდის მოვედი, მეორე თუ მესამე დღეს. ეს კი, რომ, როცა თვალები ავახილე, ჩემს გვერდით აკაკი შევნიშნე, თავადაზნაურთა წინამძღოლი თუმანიშვილი და აკიმოვი. არ ვიცი, რატომ, თითქოს ხელი მკრესო, ლოგინზე დაკრული კაცი ავყვირდი, ავწიოკდი, შეშფოთებული ვიწევდი წამოსახტომად.

— გაათრიეთ, გაათრიეთ, რა უნდა ჩემს მკვლელს, აქ!..

აკიმოვი იმავე წუთს კუდამოძუებული გაიპარა.

* * *

ჩემი საქმე სამხედრო სასამართლომ გაარჩია. მოსამართლეები სულ შავრაზმელი გენერლები იყვნენ. მეც მიმიყვანეს, მოიყვანეს აგრეთვე ოპერის თეატრის დირექტორებიც.

წარმოუდგენელი ცინიკური კომედია იქნა გათამაშებული. ბ-ნმა აკიმოვმა, როცა ჩემი დაკითხვა დაიწყეს, სთხოვა ექსპერტებს, ცოდეაა კარგარეთელი, ექიმებს შევამოწმებინოთ, რამდენად უვნებელი იქნება მაგისთვის ლაპარაკი, ეგ ნევრასტენიით დაავადმყოფდა და

ღრმა ჭრილობებიც უფრო გააძლიერებს მაგის ავადმყოფობასო. მას უნდოდა, რომ სასამართლოში მე სულ არ მელაპარაკნა.

მე მადლობა გადავუხადე ჩემზე „მზრუნველობისათვის“ და ადგილიდან არ მომიცვლია ფეხი, მე მსურს მკვლელებს ვუყურო თვალებში-მეთქი.

დამთავრდა შავრაზმელების მართლმსაჯულების კომედია. სასამართლომ მხოლოდ ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ როდე და გრუზინსკი. სასჯელად ის აკმარეს, რომ დირექტორობიდან მოხსნეს. დაქირავებულ მკვლელებს კი ასე გაუნაწილეს სასჯელი:

ვინც რევოლვერი დამახალა, გვარად გორლიუკოვი გამოდგა, მას მიუსაჯეს ადგილობრივ ორი წლით ციხეში პატიმრობა. მეორეს, გოროდოვოის ფორმით რომ იყო, ერთი წლის პატიმრობა, ხოლო მესამეს — ექვსი თვე. გოროდოვოის ფორმით მოგზავნილი მკვლელი და ის მესამე რაღაცა მოსაზრებით რუსეთისაკენ გაისტუმრეს და, ვგონებ, გზიდანვე გაათავისუფლეს...

* * *

კარგა ხანმა განვლო, ვიდრე საავადმყოფოს თავს დავაღწევდი. მართალია, ავდექი, მაგრამ ვაი ამ ადგომას, — დასახიჩრებული, სამუდამოდ განახევრებული, მარჯვენა ხელდაკარგული, თეატრს სამუდამოდ უნდა გამოვთხოვებოდი. ჯანის გატეხამ თან წაიღო ჩემი ხმაც, რომლის იმედით ვცოცხლობდი, რომ ოპერებს ავამეტყველებდი ქართულად. თეატრში რომ მივედი, წავბარბაცდი, მეეზოვემ მომკიდა ხელი და ისე შემიყვანა. მთელი კაპელდინერები და თეატრის მუშები შემომეხვივნენ, სტაროდნენ, მილოცავდნენ გადარჩენას.

მეც გული ამიჩუყდა და ცრემლებითვე მადლობას ვუხდიდი მათ ასეთი თანაგრძნობისთვის.

სწორედ მოგახსენოთ, ჩემი დასახიჩრება ფაქტად რომ იქცა და მარჯვენა ხელი წამერთვა, თავი სასიკვდილოდ მქონდა გადადებული, ეხლა რაღა ვარ, ვის რად გამოვადგები-მეთქი. მაგრამ, წარმოიდგინეთ, როცა თეატრიდან გამოვედი და ეს მუშები გამომყვნენ, ეტლი დამიქირავეს და ბინამდეც კი მიმაცილეს, ჩემში ახალი ძალა ვიგრ-

ძენი, დავრწმუნდი, რომ ღირდა კიდევ სიცოცხლე, რათა აი ამ ხალხისთვის მემუშავნა. ცხოვრება ვრცელია და სამუშაო ასპარეზი უსაზღვრო თავისი მრავალფეროვნებით, რომ ადამიანმა ყოველთვის კუნჭული გამონახოს სამუშაოდ, ხალხის სასარგებლოდ გააკეთოს რამე...

მას აქეთ აგერ 33 წელმა განვლო, მაგრამ ჩემი ცაცია ხელით არ მიმიტოვებია მუშაობა საზოგადოებრივ ასპარეზზე, რომ ჩემი წვლილიც შემეტანა ხალხის ბედნიერებისთვის.

* * *

ტრაგიკული ფურცლები ჩემი დასახიჩრებისა დაუმთავრებელი ფრესკო იქნებოდა, თუ კიდევ ერთი ამბავიც არ გავიხსენე.

საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ, აღარ მახსოვს, ერთმა თვემ გაიარა, ორმა თუ კიდევ მეტმა, ეს კია, რომ კიდევ ღირსშესანიშნავი ამბავი გადამხდა თავზე. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიდან მოწვევის ბარათი მივიღე. ტრამვაიში ჩავჯექი. ფეხდაფეხ ერთი ჩოხოსანი ჰაბუკი წამომეწია, ტრამვაიში ამომყვა და გვერდით მომიჯდა. შევატყე, ჩემთან გამოლაპარაკებას აპირებდა. თვალტანად სანდომიანი იყო, მომწონდა მისი ახოვნება, არწივისებური გამოხედვა, ლამაზი ჩაცმულობა, ზოლებიანი ახალუხით დამშვენებული ფართო გულმკერდი.

— თქვენ ჩემთან გაქვთ საქმე?

— დიახ, ბატონო ია! თქვენთან ციხიდან ბარათია... ინებეთ... ოღონდ აქ ნუ წაიკითხავთ...

ბარათი გადმომცა. მეუცნაურა მისი ასეთი საიდუმლო განკარგულება.

—რაშია საქმე, ამხანაგო?

— გთხოვთ აქ არ წაიკითხოთ, მხოლოდ შინ, — გაიმეორა მან და შემდეგ ყურთან საიდუმლოდ წამჩურჩულა:

— გაიხარეთ, ბატონო ია, სისხლი აღებულია!

ეს რომ სთქვა, ხელი ჩამომართვა და გაქანებული ტრამვაიდან მიმინოსავით გადაფრინდა. ტროტუარზე შეჩერებისას მან ერთხელ კიდევ მომიხადა ქუდი და მოჩვენებასავით გაჰქრა.

თვალებზე ხელი მოვისვი, სიზმარში მეგონა თავი.

ხელები ამითრთოლდა. მინდოდა ბარათი აქვე გამეხსნა, მაგრამ ვერ გავბედე.

მეჩვენებოდა, თითქოს ის ჰაბუკი ისევ მაფრთხილებდა — „აქ არა, შინ წაიკითხეთ, ბატონო ია!“

პირველ გაჩერებაზევე გადმოვხტი. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში აღარ წავსულვარ, ეტლი ვიქირავე და შინ დავბრუნდი...

მისვლისთანავე კაბინეტში ჩავიკეტე. ხელები მითრთოდა. ბარათი ცეკვას მოჰყვა. დიდხანს გამიჭირდა ასოების გარჩევა. ბოლოს, როგორც იყო თვალი შევაჩვიე და ერთი ათჯერ მაინც გადავიკითხე.

„ბატონო ია, — ასე იწყებოდა ეს ბარათი, — თქვენი სისხლი აღებულია. წუხელის, ნაშუაღამევს, ასე დილის 4 საათზე, თქვენი მკვლელი გორლიუნკო პატიმრებმა ძაღლივით მოვაღრძეთ! დაე, იცოდნენ ნიკოლოზის დამჭაშებმა და მათმა ყვავ-ყორნებმა, რომ რევოლუციის მოშთობა არ შეიძლება, კვლას მოკვლით ვუპასუხებთ და ყოველ მსხვერპლს ერთი ათად ავინაზღაურებთ! ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს რევოლუციას!“

მართალია, გორლიუნკოს მკვლელები აზვიადებდნენ რევოლუციისათვის ჩემს მნიშვნელობას, მაგრამ იმ ამბავმა, რომ მათ თითონვე სწორი განაჩენი გამოუტანეს მკვლელს, რითაც მწვავე სილა გააწნეს შავრაზმელ მართლმსაჯულებას, მე გამახარა, ენერგიით ამავსო და უებარ მალამოდ დაედო ჩემს ჭრილობას. ეხლა ვიგრძენი ახალი ძალა, ახალი სიცოცხლისადმი წყურვილი, რომ მთელი ჩემის ძალღონით კვლავ ხალხის სამსახურში დამელია სიცოცხლის დღენი. გავამართლე თუ არა ჩემი ასეთი გადაწყვეტილება, ამას ისტორია დაინახავს, როცა პატარა კაცების ნამოღვაწარს თვალს გადაავლებს.

* * *

ია დადუმდა, მე გავაჩერე ფანჯრის თარეში ჩემს ბლოკნოტზე. ვგრძნობდი, რომ ია მოიქანცა და მის იდუმალ ცრემლებს და ნერვიულობას დაცხრომა ეჭირვებოდა.

— ნუ მიხვალ, მოიცა კაცო, რა გაჩქარებს, — მომმართა მან, როდესაც მადლობა გადავუხადე და ქუდს ხელი წავატანე.

— არა, ჩემო ია,—ვეუბნები,—ეხლა დაისვენეთ, სხვა დროს შემოვივლი და მაშინ განვაგრძოთ საუბარი...

— ჰო, აგრე, აგრე... სიბერეში იმედიანი სიტყვა მტრის თავზე მოქნეული მახვილია. გმადლობ, რომ გამართე, გულზე როგორღაც მომეშვა. რა მართალი ყოფილა ჩვენი შოთა, დიდი შოთა რუსთაველი, როდესაც ამბობს:

„დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს“...

* * *

რამდენი ფიქრი აღმიძრა იას ნაამბობმა!.. ჩემს ფიქრებს ცეცხლი წაუკიდა კოჯრის ქუჩის გვერდით ფერდობიდან მომზირალმა კბილებდახრჩენილ ნაოხრებად ქცეულმა გალავანმა. რამდენი რამ უნახავთ ამ ნაოხრებს, მაგრამ სდუმან. ადამიანის ბედნიერება მაინც ის არის, რომ ერთხელაც მოუხდება თავის ჭირთა თქმა, ეს ნანგრევები კი დუმილში ჩაიძირებიან, ვიდრე ჟამთა სვლა მთლიანად არ წაშლის მათ. მივდიოდი შინისკენ და ამ ფიქრებს თან აკომპანიმენტად მოჰყვებოდა იას წეღანდელი ღიღინი:

„შენ რაღას იტყვი, არაგვო,
მდინარევ, ჭართველ ერისა...“

მტკიცედ გადავწყვიტე, ხშირხშირად მევლო იასთან და ნელნელა ამეკინძა მის მეხსიერებაში დარჩენილი გაფანტული ფურცლები, რომლებიც ვინ იცის, რამდენ საგულისხმიერო საიდუმლოებას ინახავდნენ, როგორც ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ისტორიისთვის უსაჭიროეს დოკუმენტებს. მაინტერესებდა, მორიგ დარბაზობის დროს ხელნაწერშივე გავცნობოდი მის „მემუარებს“, მაგრამ ეს მეორე დარბაზობა აღარ მოხერხდა. რამდენიმე დღის შემდეგ ია კარგარეთელი გარდაიცვალა.

1944 წ.



მარად მოგმღიმარი რაინდი

შალვა დადიანი

ვინახავთ მამაკაცი, რომელიც დაჯილდოვებულია უნაკლო ახოვანებით, კეთილშობილებით, მომაჯადოებელი ხმით, კეთილგონიერებით, ზრდილობითა და უბადლო ნიჭით?

გთხოვთ, იცნობდეთ! პატივცემული შალვა დადიანი!

თქვენ ხელს ართმევთ დათოვლილ თმიანს, ანდამატურად მიმზიდველ, ვარსკვლავებივით მოელვარე თვალებიან ვაჟკაცს, რომელიც საამური ღიმილით თქვენს გულს ინადირებს.

აბა დაუკვირდით მის პორტრეტს! კარგად, ღრმად დაუკვირდით და თქვენი მოგონებების ფსკერიდან აღიზიდება ბეთანიის ტაძრის ფრესკაში ამოკვეთილი ლაშა გიორგის ნათელი სახე, ქართველურად გადაკალმული წარბებით.

ჩვენთვის უცნობი მხატვრის მიერ, ჟამთა სვლის ყოველ მოდგმათა განსაცვიფრებლად, ბეთანიაში გადმოცემულ მშვენიერებას თითქოს შალვაში უპოვია თავისი განმეორებული სახე. ამას დაუმატეთ დადიანთა ქართველური, ზვიადი რიხი, ბაჯაღლო პატიოსნება და გრძნეული ღიმილი, ის ღიმილი, რომლის ჯადოსნობაზე ლეგენდად შემოგვრჩა ერთი შორეული მოგონება:

1919 წელი... ზაფხული... ლაგოდეხის შარაგზის გასწვრივ ზურმუხტისფერი ბუჩქები, ალაზნის თვალწარმტაცი ველის გაშლილი პანორამა.

შალვა დადიანი თავისი მოგზაური დასით.

მოგზაურობა ძველი წესით: ურმით, ფურგონით ან დანჯღრეული ტარანტასით, ხან დასისხლულთვალება კამეჩები, ხან თვალბრიალა ხარები, ხან ციებიანივით ძაგძაგა ძრავი...

ქართველ მსახიობთა დასი მხიარულია, თუმცა ლაგოდეხიდან ჯიბეგაფხეკილი ბრუნდება.

უფულობა არ აწუხებს არც ხელმძღვანელს, არც დასის შემადგენლობას. იმდროინდელი ქართველი მსახიობნი მიჩვეულნი იყვნენ შიმშილობას, ოღონდ ღვთაებად გაბრწყინებული შალვა დადიანის წინაშე თავის „მღვდელმსახურება“ შეესრულებინათ.

ასეთ დასებს შეჰქონდათ ხალხში, მასაში თეატრის წარმოდგენები, რათა შორეულ მიყრუებულ კუთხეებში შეეტანათ რაიმე იმედის სხივი.

დღის პირველი საათი. ჭიაბერის ტყე. ფურგონის ბორბალი ზანტად ტრიალებს. მშვენიერი სანახაობა, მაღლა — თვალწარმტაცი, თეთრი ღრუბლები; დაბლა — მერცხლების შურდულები და ფრინველთა ორკესტრის ჟივილ-ხივილი.

შალვა ფურგონზე წამოწოლილა. იდაყვდაყრდნობით ოხუნჯობს, აცინებს თავის ამხანაგებს მარილიანი იუმორით, რომ მაინც

ცოცხლები არიან, რომ კარგი საქმე გააკეთეს, რომ ახლა სხვა კუთხეს მიაშურებენ, ახალი მსხვერპლის გასაღებად.

წუთიც და მჭექარე ხმა მეხივით გავარდა. დასის მხიარულება და სიცილი შეწყდა, ზაფხულის თბილი ჰაერი გაჰკვეთა ფირალების შმაგმა ძახილმა:

— შესდექით!.. ხელები მაღლა! ან ფული, ან სული!

ქალებმა იკივლეს. ზარდაცემული მსახიობები ფურგონიდან გადაცვივდნენ და სიმინდებს მოედვნენ, იმალებიან.

ყაჩაღთა მეთაური ერთი მოქნევით ახტა ფურგონზე. მის წინაშე მხოლოდ შალვა წარსდგა.

ბოროტ, ხარბ თვალებს გაუსწორდა ნამდვილი ვაჟკაცის მზერა. შალვამ გრძნეული ღიმილით მოიფხიკა ჯიბე, უკანასკნელი ორი აბაზი ამოიღო, მარჯვენა ხელით გაუწოდა, ხოლო მარცხენა ხელით უეცრად სილა სტკიცა ყაჩაღთა მეთაურს.

ფირალთა მეთაური წახდა! ყაჩაღებს დღემდე არ ენახათ ასეთი სასწაული. ყველა შეაკრთო შალვას ვაჟკაცურმა უდარდელობამ, ბეჯითმა ჟესტმა და სანდომიანმა თილისმურმა ღიმილმა, მისმა კეთილშობილურმა სახემ თოფები დაახრევინა თავგზააბნეულ ბიჭებს; გაოცებულმა ყაჩაღთა მეთაურმა ფული უკანვე დაუბრუნა შალვას და დაბნეულმა, მოკრძალებით დაიხია უკან.

ყაჩაღები წელმოწყვეტილნი დაუბრუნდნენ ტყეს. ფურგონზე დარჩა შალვა დადიანი, გრძნეული ღიმილით...

ეს ეპიზოდი საუკეთესო შტრიხია შალვას ჯადოსნური მეტყველებისა.

* * *

შალვას ცხოვრების პირველი პერიოდი, მისი ნიჭი, ხასიათი, ბედი და უბედობა იწყება არისტოკრატიზმით და თავდება პლებეის რომანტიზმით. მაგრამ ეს რომანტიზმი არ უნდა ვიგულისხმოთ არც გერმანული გაგებით და არც ფრანგული გაგებით. ე. ი. ქუდში აუცილებლად გარჭობილი ფრთით, ტანზე ოქრომკედიანი მანტიით წამო-

სხმული დონჟუანი, ბანოვანის წინაშე რომ ფიცით იმოწმებს მთვარეს.

არა, შალვას რომანტიზმი წმინდა ქართული მიწა-წყლის რომანტიზმი გახლდათ. შალვას რომანტიზმი გამომდინარეობდა არა სიღარიბიდან, არამედ გვაროვნული ზვიადობიდან.

შალვა არასოდეს არ ყოფილა არისტოკრატის დაუდევრობით გაბრუებული. იგი იყო დიდი ნიკო დადიანის უსაყვარლესი მემკვიდრე, კლასიკურ ცოდნას მოკლებული, მაგრამ თანაუგრძნობდა დასავლეთ საქართველოს უღარიბეს გლეხკაცობას, აიმედებდა და ნუგეშს ჰფენდა მათ, რის შედეგადაც ქართველ მოსახლეობას მომავლის იმედის ნაპერწკალი უჩნდებოდა გულში.

ნიკო დადიანი სკოლას ქედმაღლურად უყურებდა. ზვიადი ფეოდალური შეხედულება თავის თავზე, უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელიც მას შთამომავლობით მოეპოვებოდა, თითქოს საკმარისი იყო, რომ მაშას ეზრუნა ნიჭიერი ბიჭუნას მეცნიერულად აღზრდაზე; მაგრამ შეცდა ძველი ლიბერალი ფეოდალი, მწიგნობარი ნიკო: მან სკოლის კარი დაუხშო მემკვიდრეს, რომელსაც აინტერესებდა მამის ძვირფასი ბიბლიოთეკა, უნიკალური ფოლიანტები, „ქართლის ცხოვრების“ გვერდით ოქროს ყდაში ჩასმული არისტოტელი და პლატონი.

პაწაწინა შალვას სწყუროდა ანბანი, მისმა ტალანტმა აიტაცა ჭალადიდელის „მახსოვს პირველად სასწავლებელში“, რომელსაც მისი ტოლები სკოლიდან დაბრუნებისას მოიმღეროდნენ.

შალვა უკვე ერთი წლით ჩამორჩა ტოლებს. მოინისლა, მის ბავშვობას მოაკლდა სიხარულის შარავანდედი.

არის მისი სიყრმის ლეგენდებიდან ერთი მშვენიერი ნატეხი, რომელიც ოქროს საკვეთელითაა ამოჭრილი მის მეტად საინტერესო ბიოგრაფიულ მასალებში:

წვიმა. ნისლიანი შემოდგომა. საშინელი მოწყენილობა. ნიკო თავის კაბინეტში დაჰკირკიტებს ძველ ქართულ ფოლიანტებს, ფასდაუდებელ ლიტერატურულ მარგალიტებს.

პატარა ბიჭუნა, შალვა, ფანჯრიდან სივრცეს გაჰყურებს და იცრემლება, როგორც მოქურუშებული, ღრუბლიანი ცა.

ბიჭუნას ჩუმი ქვითინი არღვევს იდუმალებას. მოფილოსოფოსო ფეოდალი შეკრთა:

— შვილო, შალვა, რატომ სტირი?

— მამიკო! მეც მინდა წიგნი... წიგ...ნი მას...წავლე...

მამამ ღიმილით ჩაიკრა გულში თავის თმახუჭუჭა ლამაზი ბიჭი. იმავე დღეს შეუდგნენ წიგნის სწავლას. ოთხად-ოთხი ასო შეასწავლეს იმ დღეს შალვას, ჩათვლით, გამოხატულებით, „ერთბაშად გამოთქმით“.

„თ-ო-ხ-ი“...

რა ყიჟინა შეიქნა დადიანების ოჯახში!

გახარებული ბებია, რომელიც დედობას უწევდა შალვას, ყელზე შემოეჭდო პატარა ბიჭს და საზეიმოდ იკისრა წერა-კითხვის სწავლების შემდგომი გაგრძელება.

დიდი ქალბატონის — ბებიის გრძნობები შალვას მუდამ ნაზ ქსოვილად ებურებოდა. ის იყო მისი სიხარული და აღმაფრენა; ის, მხოლოდ ის ასწავლიდა საყოფაცხოვრებო ზღაპრებს, ის შეიქმნა პატარა შალვას სულის მესაიდუმლე, ის მოუთხრობდა ამ მთის ამბავს, იმ მთის ლეგენდებს, ისტორიულ პირთა თავგადასავალს. ბებიის ზღაპრებში ადამიანებს ცვლიდნენ ბუმბერაზები. პატარა შალვა მოიხიბლა... ზღაპრები, წარმტაცი ზღაპრები, კოლხეთის ზურმუხტოვან კიდეებზე წარმოშობილი ლამაზი ზღაპრები, კეკლუცი მზეთუნახავებით, ფანტასტიკური ფრინველებით, რომელთა ფრთების გაშლას თან მოჰქონდათ პატარა შალვას ბედნიერება და შიში, სევდა და სიხარული.

ასე აინთო პატარა შალვას გულში უქრობი კოცონი.

... ყრმა შალვა თბილისში ჩამოიყვანეს.

აქ, მამის ფართო წრე აჯადოებს, იგი სასოებით შეჰყურებს იმდროინდელ ბუმბერაზებს — ილიას, აკაკის, ვანო მაჩაბელს, აქვე შეიგრძნო ლიტერატურული, ქართული ენის მარილი.

გაირბინა რამდენიმე წელმაც და შალვა უკვე გაეცნო მებრძოლი პროლეტარიატის წარმომადგენლებს, ფარული წრის მუშაკებს, დღითი დღე იზრდებოდა, როგორც პოლიტიკური მებრძოლი.

შალვას შინაგანი სტიქია თავისუფლებისათვის ბრძოლას მო-

ითხოვდა. საბრძოლო გზად მან თეატრის სცენა აირჩია. 18 წლის ასაკში იგი უკვე „კომედიანტთა“ დასშია, ითმენს შიმშილს, წანწალს, უძილო, ხანმოკლე ღამეებს, მაგრამ თეატრის სცენიდან ყოველი პამფლეტი და სპექტაკლი მიმართულია მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად. შალვა ამ პერიოდიდან ხან მსახიობია, ხან მებრძოლი რეჟისორი, ხან მშიერი, ხან ერთი დღით მაძღარი. მას ერთხელაც არ გაუხედია მამის სამკვიდრებელისაკენ, მარგანეცის მადნეულობის მმართველის სავარძლისკენ.

შალვამ აირჩია ხელოვნების მსახურის გზა და მზად იყო ამ ეკლიან გზაზე დასაწვავად, დასაფერფლად მიეტანა თავის ამაყი სული. თეატრის ცხოვრების პარალელურად შალვამ დაიწყო წერა. მისი „კალმის ნაშმაკარი“ თუ „ნაცუღლუტარი“, როგორც ხშირად უწოდებდა შალვა თავის კოპწია მინიატურებს, ეტიუდებს, კომედიებს, სულაც არ იყო „ნაშმაკარი“, უკვე სერიოზული საღებავებით გადმოსცემდა დამწყები მწერალი ადამიანის განცდებს. იმ პერიოდის სალიტერატურო საგანძური შალვამ 78 მინიატურით გაამდიდრა. ამას მოჰყვა რამდენიმე შესანიშნავი მოთხრობა. ამ მოთხრობებს შორის წმინდა მარგალიტებივით შემოგანათებთ „სამსონის თმები“, „ლელა“, „ტყვე“, „შვილი“, „იახში ხანუმ“.

ყველა ეს მინიატურა ორიგინალურია წერის მანერით, შინაარსით, კომპოზიციური ჩუქურთმებით. მათში ხან მხატვრული ნიჰილიზმი იგრძნობა, ხან ნირვანა სილამაზისადმი, ხან კი აჯანყებული მზიურობა, რომელმაც არ უწყის სასოწარკვეთა და განდგომა ცხოვრებიდან. სიცოცხლით სავსე ჭაბუკი შალვა შესტრფოდა მომავალს და როგორც გოეთე შემოქმედების აღმაფრენით იწვოდა. იმ აღმაფრენით, ურომლისოდაც არ შეიძლება არსებობდეს ჭეშმარიტი შემოქმედება.

შალვაში ნიშანწყალიც არ იყო ლიტერატურული პედანტობისა და პატივმოყვარეობისა, რომლითაც ხშირად ბუმბერაზი ტალანტებიც კი ავადდებიან. შალვა მუდამ მოკრძალებულია, ის ნაკლებად ლაპარაკობდა თავის თავზე, თვით მაშინაც კი, როცა „ჭუჭის“ ფსევდონიმით დაბეჭდა თავისი პირველი ბელეტრისტული ნაწარმოები „წმინდა ცრემლები“.

სულ მალე შალვამ აღიარება მოიპოვა საქვეყნოდ ცნობილი, სახელმოხვეჭილი რომანებით. ზოგი მათგანი ეხებოდა ოქროს ხანის დიდ ტილოს, ზოგი „ურდოებს“, ზოგი სამეგრელოს გლეხთა აჯანყების ისტორიას...

როგორც მწერალი, შალვა მრავალფეროვანია. ასევე მრავალმხრივია იგი, როგორც მსახიობი, რეჟისორი. მასში იბრძოდა სიყრმის წლებიდანვე რამდენიმე მიმართულება, მაგრამ რეალიზმის სკოლამ მას გაუხსნა ლიტერატურაში საბრძოლო, ნოვატორული გზა.

თუ შალვა თავის პიესით „მღვიმეში“ სიმბოლისტების ფალანგის მედროშედ გვევლინებოდა და მარადისობის წიაღის ახსნა-განმარტება სურდა, შემდგომ მისი სიმბოლოები დაიმსხვრნენ, ხორცი შეისხეს, რეალობად იქცნენ. მისი მზენათი მღვიმეშია მომწყვდეული, მაგრამ გარკვეული გეგმით მოქმედებს: „ჩვენ გვინდა ნამდვილი სიცოცხლე... ჩვენ გვინდა მზე, მზის მოპოვება...“ — ამბობს იგი, — „ამისთვის საჭიროა ამ თაღების გარღვევა.“ ეს სიტყვები მაშინ გაისმა, როცა აღვირახსნილი ცარიზმი 1905 წლის რევოლუციის სისხლში დაცურავდა, როცა თვით სამღვდელოებაც კი ჯალათი გაპონებისაგან შედგებოდა. შალვას საბრძოლო ლოზუნგი „თაღი უნდა გაინგრეს!“ რომანტიკოსის თეთრი ხელთათმანის თამაში კი არ იყო, არამედ ნამდვილი მებრძოლის კადნიერი მრისხანე პაროლი, რომელიც აზვირთებული რევოლუციის გრიგალისკენ მოუწოდებდა ხალხს.

და შემდგომ, როცა სტოლიპინის რეაქციის მარყუჟმა მოაღრჩო ყოველივე პროგრესული, როცა ალიხანოვ-ავარსკების ტირანიამ წარმოშვა სულმდაბალ ჯაშუშთა მოდგმა, როცა ჯაშუშს ჯაშუში ჰყავდა მიჩენილი, ხოლო საზოგადოებრივი აზროვნება ბურუსში გაეხვია, შალვა ქალაქ ოდესის ჩაბნელებულ სასტუმროში წერს თავის პატარა, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან პიესას — „როს ნადიმობდნენ“... პიესის გმირი მგოსანი ამბობს — „უკვე აღსდგა ქარიშხალი, განთიადის მოციქული!..“

შალვას წინასწარმეტყველება ახდა. არ ჩამქრალა სიმართლის ნაპერწკალი. შალვა დადიანი ოქტომბრის მთაგრეხილზე შედგა, როგორც გამარჯვებული რაინდი, რომელსაც აუხდა სიმბოლიურად დასახული უდიდესი ოცნება „დიდი ბუნების უცხო ჰარმონიაზე“.

და აი, დღემდე ჩვენთანაა, გამარჯვებული, გაღიმებული, შალვა—კეთილშობილი ქართველი მწერალი, შალვა—დრამატურგი, შალვა—მსახიობი, შალვა განახლებული სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი!

1939 წ.



შეუდარებელი შემოქმედი ალექსანდრე წუწუნავა

ჯერ კიდევ ცხრაას ხუთი წელი, ზაფხულის მიწურული. მოსკოვი. ბრონნაიას რაიონი. ბალაშოვის დიდ შესახვევში თითქოს საგანგებოდ მოწყვეტილი მშვენიერი შენობა, სადაც ამჟამად ბინადრობდა საქართველოს სახელოვანი შვილი, ცნობილი მსახიობი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილი-იუჟინი. ზუსტად თორმეტ საათზე ამ შენობის საპარადო კართან შეჩერდა დაახლოებით 25 წლის მორჩილი ტანის ჭაბუკი და ნერვიულად ჩამოჰკრა შესავალი კარის ზარს. დუ-

მილი. ზარი განმეორდა. კარი გაიღო. თავი გამოჰყო კამერდინერმა, რომელსაც სახეზე უმალვე შეეტყო, რომ დაუპატიჟებელი სტუმარი თვალში არ მოუვიდა.

— რა გნებავთ?

— ბატონ იუჟინის ნახვა მინდა.

კამერდინერი გაწყრა. აყვირდა.

— დასწყეველოს ღმერთმა! ვეღარ მორჩება კაცი ამდენ მნახველს...

— ბატონო ჩემო...

კამერდინერი აღარ აცდის:

— გეყოფათ!.. მოასვენეთ!.. ერთ კაცს არ შეუძლია დღეში ათასი სტუმარი მიიღოს!..

კამერდინერს უნდოდა ჰაბუკის ცხვირ წინ კარი მიეკეტა, მაგრამ მან აღარ დააცადა:

— ჰო, მაგრამ არც მე შემიძლია მოცდა, — თბილისიდან ვარ ჩამოსული. ალექსანდრე ივანეს ძე პირადად უნდა ვინახულო და გადავცე ქართული თეატრის დასის ხელმძღვანელის ვალერიან გუნიას ბარათი...

კამერდინერი გატყდა. ბურტყუნით გააგებინა ჰაბუკს, მოითმინეთო, შებრუნდა შიგნით და პასუხით მალე გამოტრიალდა.

— ალექსანდრე ივანეს ძე წუხელის გვიან მობრძანდა, ჯერ კიდევ ისვენებს. გთხოვათ სამი საათისათვის მიაკითხოთ მცირე თეატრში.

დღის სამი საათი.

ჰაბუკი მცირე თეატრის კარს შეაღებს. აქაც იგივე კამერდინერი დაუხვდება. ამჟამად იგი უფრო სანდომიანია, იღიმება კიდეც.

— ა, მოხვედით? ალექსანდრე ივანეს ძე ახლავე მიგიღებთ.

კამერდინერის გამოდარებამ იმედის სხივი ჩაუშუქა თბილისიდან ჩასულ ჰაბუკს. ორიოდე წუთის შემდეგ მის სანახავად გამოდის მცირე თეატრის სახელოვანი მსახიობი ლეშკოვსკაია—სცენიური დიალოგის შესანიშნავი ოსტატი და იუჟინ-სუმბათაშვილის პარტნიორი, მას უკან მოჰყვა თვითონ სუმბათაშვილი. თუმცა ჰაბუკს თვალი მოჰკრა, მაგრამ სხვას დაუწყო თვალიერება, ალბათ გაიფიქრა, აგრე მო-

რჩილი ტანის ჰაბუკი როგორ შეიძლება ჩემი თანამემამულე იყოსო, მაგრამ სხვა რომ ვერ აღმოაჩინა, გაუღიმა და შეეკითხა:

— ეს თქვენა ხართ საქართველოდან ჩამოსული?

— დიახ, მე გახლავართ, ბატონო ალექსანდრე!

სუმბათაშვილმა თავაზიანად მიიღო ჰაბუკი, კაბინეტში შეიპატიჟა.

კაბინეტში ჰაბუკმა ვალერიან გუნიას ბარათი გადასცა. სუმბათაშვილმა ჩაიკითხა ბარათი და გაიღიმა:

— სხვა, როგორ არის ჩემი ვალიკო? ხომ არ დამიბერდა?

— რა დროს სიბერეა, ის ძველებურად უშიშარი რაინდია სცენაზეც და ცხოვრებაშიც, როგორც საზოგადო მოღვაწე...

— რით შემიძლია გემსახუროთ? ბარათში ვალიკო კონკრეტულად არ იწერება, რას მავალებს. ან რა სახის დახმარება გეჭირვებათ?

— სამხატვრო თეატრში მინდა შესვლა, ბატონო ალექსანდრე, აი ამისთვის მჭირდება თქვენი დახმარება.

სუმბათაშვილმა ჰაბუკს იმედი არ გაუცრუა და შეპირდა, მოველაპარაკები ნემიროვიჩ-დანჩენკოს და ვთხოვ, რომ მიგიღოსო.

— პასუხისათვის სამი დღის შემდეგ შემოიარეთ! — დაასკვნა სუმბათაშვილმა.

სამი დღე სამ საუკუნეს უდრიდა. როგორც იქნა სამი დღეც გავიდა. მაგრამ...

სუმბათაშვილის მოწყენილმა სახემ წინასწარვე არასასიამოვნო პასუხი აუწყა ჰაბუკს:

— ვალოდიამ უარი მითხრა, რადგან — ის მორჩილი ტანის ყმაწვილი უკვე ჩემთანაც იყოო, უადგილობის გამო ვერ მივიღე და მიკვირს, ასე ახირებულად რად გაწუხებსო.

ჰაბუკმა გაკვირვება გამოსთქვა, ნემიროვიჩ-დანჩენკო თვალითაც არ მინახავს, არც ვიცნობ, არც როდისმე შევხვედრივაროო!..

სუმბათაშვილს დიდად გაუკვირდა ეს ამბავი. ეწყინა კიდეც. ტელეფონის მილი აიღო და ნემიროვიჩ-დანჩენკოს გადასცა ჰაბუკის პასუხი, — ის ახლაც ზის ჩემს კაბინეტში და შემიძლია გამოგიგზავნოთ დასარწმუნებლად.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ჭაბუკის შეხვედრა ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან, როგორღაც გაჭიანურდა.

მხოლოდ ერთი წლის შემდეგ სამხატვრო თეატრში ვხედავთ ჭაბუკს, ნემიროვიჩ-დანჩენკოს კაბინეტში. მაშინ აეხადა ფარდა გაუგებრობის საიდუმლოებას: თურმე ჩვენს ჭაბუკზე ადრე ისეთივე თხოვნით ჩასულა ქუთაისიდან იმნაირივე ტანმორჩილი ჭაბუკი და ეს გამხდარიყო გაუგებრობის საბაბი, რომელიც ზევით არის აღნიშნული.

საიდუმლოს გახსნის შემდეგ ნემიროვიჩ-დანჩენკო დაუტკბა ჭაბუკს და ჰკითხა, საქართველოს რომელი კუთხიდან ხარ ჩამოსულიო.

— ოზურგეთიდან! — მიუგო გათამამებულმა ჭაბუკმა.

— რას მეუბნებით! — გაიხარა ნემიროვიჩ-დანჩენკომ, — მეც ოზურგეთში დავიბადე, ხოლო სწავლა თბილისის გიმნაზიაში მივიღე სუმბათაშვილთან ერთად... მოხარული ვარ! ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება!

ჭაბუკი, რომელიც ასე დაჟინებით და უტეხი ნებისყოფით იკვლევდა გზას მოსკოვის სამხატვრო თეატრისაკენ, გახლდათ ალექსანდრე რაჟდენის ძე წუწუნავა, ანუ „ჩვენი ალიოშა“ როგორც საალერსოდ ვიტყოდით ხოლმე მისი მისამართით.

* * *

რას აკეთებდა ალ. წუწუნავა, ვიდრე სამხატვრო თეატრში მოეწყობოდა? მის ავტობიოგრაფიაში ასეთი მშრალი ცნობებია მოცემული.

„დავიბადე 1881 წელს, 16 იანვარს, ს. ლიხაურში, ქალაქ მახარაძეს მახლობლად (ყოფილი ოზურგეთი, ქუთაისის გუბერნია) აზნაურის რაჟდენ წუწუნავას ოჯახში. დაწყებითი სწავლა მივიღე სამოქალაქო სასწავლებელში, შემდეგ გადავედი თბილისის საოსტატო ინსტიტუტში, სადაც დავყავი ორი წელიწადი... ინსტიტუტის შემდეგ თეატრში დავიწყე მუშაობა“...

უფრო საინტერესო ცნობებს გვაძლევს იგი ფრაგმენტებად გაფანტულ მოგონებებში.

ერთ-ერთ ხელნაწერ მოგონებაში იგი ლაპარაკობს თავის მშობ-

ლებზე, ნათესაობაზე. ცდილობს აღადგინოს წუწუნავათა წინაპრების გენეალოგია, ასევე აღწერს იმდროინდელ ყოფაცხოვრებას, ოზურგეთის სკოლას, სადაც მშობლებს მიუბარებიათ ალიოშა სასწავლებლად. თვალის ერთი გადავლებით იგრძნობა, რომ ეს სკოლა კი არ ყოფილა, არამედ ნორჩ სულთა სატანჯველი, სადაც სქოლასტიკური სწავლების მეთოდი ყოფილა გამეფებული და ამ მეთოდის აუცილებელი თანამგზავრი—სისასტიკე, მოწაფეების ცემა-ტყეპა, დაშინება, უშველი ლანძღვა და ათასნაირი ანტიპედაგოგიური ხერხები, რითაც ბავშვებს რყვნიდნენ, გადაგვარების გზაზე აყენებდნენ.

საბედნიეროდ, ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში მუდამ მონისლული როდი ყოფილა სკოლის ატმოსფერო: ბრიყვი და ტლანქი პედაგოგების გარდა სასწავლებელს ჰყავდა პატიოსანი და მოწოდებითაც ნამდვილი პედაგოგები, რომელთა შორის გამოირჩეოდა ვანო გომელაური; უაღრესად სპეტაკი ადამიანი და ყმაწვილების დიდი მეგობარი. ვანო გომელაურს პირად ინიციატივით ოფიციალური გაკვეთილების შემდეგ გამოუყვია კერძო საათები და ცალკე მეცადინეობა გაუჩაღებია. ამ საათებში ვ. გომელაური ყმაწვილებს ასწავლიდა თეატრის ისტორიას და უხსნიდა თეატრის დანიშნულებას. მისი აზრით თეატრი მასების აღმზრდელი და გამომფხიზლებელი ტრიბუნა უნდა ყოფილიყო. იგი დიდ ფასსა სდებდა ისტორიულ პიესებს, — ყმაწვილებს შეასწავლა დ. ერისთავის „სამშობლო“ და ვალერიან გუნიას „და-ძმა“, მაგრამ დრამის გვერდით ვ. გომელაურს ყმაწვილებისათვის გაუცვნია კომედიებიც და ვოდევილებიც, გომელაურის წყალობით ყმაწვილები ეცნობიან არა მარტო ზურაბ ანტონოვის „მზის დაბნელებას“, არამედ გაბრიელ სუნდუკიანის „პეპოს“, ა. ცაგარლის „ხანუმას“ და „რაც გინახავს ვეღარ ნახავს“, აგრეთვე სხვა პიესებს. „საჭიროა ხალხში გასვლა. ჩვენ სულსა და გულში უნდა ჩავწვდეთ გლეხებს, მივუხვდეთ, რაზე ჩივიან, რა აწუხებთ, რა ახარებთ... ჩვენ უნდა ვუთანაგრძნოთ მწუხარებაში, ხელი შევუწყოთ კეთილშობილურ სწრაფვაში და ტვირთი შევუმსუბუქოთო,—ეუბნებოდა ვ. გომელაური თავის მოწაფეებს. ალიოშამ პირველად ვანო გომელაურისაგან გაიგო, რომ აკაკის, მშვენიერი ლექსებისა და პოემების გარდა, თურმე მოხდენილი კომედიებიც ჰქონია, ვალერიან

გუნიას კიდევ უამრავი პიესები დაუწერია. შემდეგ თითონვე დასწაფებია ზ. ანტონოვის, ნ. აზიანის, რაფ. ერისთავისა და განსაკუთრებით ა. ცაგარლის პიესებს, რომელთა შინაარსი თითქოს მაყურებელთა უბრალო გართობას ემსახურებოდა, მაგრამ დაკვირვებული თვალი ამ სიმხიარულეში, მსუბუქ სცენებში, აშკარად შეამჩნევდა მძაფრ სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებს. ამ მხრივ გ. სუნდუკიანის „პეპო“ და ა. ცაგარლის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ იშვიათი ოსტატობით უმასპინძლდებოდნენ არა მარტო მექრთამე მოხელეებს, ვაჭრებს, წვრილფეხა ბურჟუაზიას, არამედ დრომოჭმულ მემამულეებსაც, ასე რომ პიესის იდეოლოგია თამამად ხაზს უსვამდა სწორედ სოციალურ მხარეს და ავტორების თამამ მიზანდასახულებას. „თუ ცენზურისა და პოლიციის ბრჭყალებს არ უშინდებიან ჩვენი დრამატურგები, — არიგებდა ყმაწვილებს გომელაური, — არც ჩვენ უნდა შევუშინდეთ მათი პიესების გატანას ხალხში: ვიმუშაოთ. ჯერ სკოლის კედლებში ვცადოთ ჩვენი ძალღონე და თუ მოგვიწონეს, მაშინ გავიდეთ თვით გლეხობაში“. ასეთი კადნიერი ინიციატივა საყვარელი პედაგოგისა პირდაპირ გულში მოხვედრია ალიოშას. შემდეგში მძიმე ავადმყოფობის დროს, როდესაც დამბლა იმორჩილებდა მის სხეულს, იგი მუდამ სიყვარულითა და მოწიწებით იგონებდა ვანო გომელაურს, როგორც აღმზრდელს და ბიძგის მიმცემს სათეატრო ასპარეზზე გამოსასვლელად.

და მართლაც, ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში სულ მალე დაიდგა პატარა-პატარა პიესები, რომლებმაც მიიქციეს მაყურებელთა ყურადღება. მალე საქმე ისე წაიყვანეს პატარა სცენის მოყვარეებმა, რომ სკოლის კედლები ევიწროვათ და ახლა ქალაქშიც გავიდნენ. პატარა დასს წელში მომაგრებამდე ხელმძღვანელობას უწევს იგივე ვანო გომელაური. ოზურგეთის შემდეგ პატარა დასი საგასტროლოდ გადის დაბა-სოფლებში. დასი ფეხდაფეხ შემოივლის გურიის ყველა მიყრუებულ ადგილებს. ალიოშა აკვირდება გლეხთა ცხოვრებას, სწავლობს ნაირ-ნაირ ტიპებს, რაც შემდეგში ასე რიგად გამოადგება ნინოშვილის „ჯანყის“ ეკრანიზაციისათვის. პატარა დასმა ალიოშა იწამა ნამდვილ ხელმძღვანელად. ალიოშა მსახიობია, ალიოშა რეჟისორია, თუ გნებავთ „იმპრესარიოც“, რომელ-

საც მისივე ხუმრობისა არ იყოს, „ჯიბე გახვრეტილი ჰქონდა და კაპეიკიც არ უჭყაოდა“; ეს თეატრალური მოღვაწეობა გაგრძელდა 1895 წლის დასასრულამდე. სიჭაბუკემ, ენთუზიაზმმა და საქმისადმი სიყვარულმა ყველაფერი დააძლევინა ალიოშას. 15 წლის ჭაბუკი თავის მოწოდების ასპარეზად თეატრს გაიხდის. თეატრში ხედავს მთელ თავის მომავალს. თუმცა მშობლებთან ამ ნიადაგზე ხშირად მოსდის უთანხმოება. ისინი მოითხოვდნენ, რომ ალიოშას ხელი აეღო „წანწალზე“ და სწავლა განეგრძო. ერთხანად, სახელდობრ 1898 წელს თითქოს გასტეხეს კიდეც. მამა და მისი ძმა სამსონი თბილისში გამოჰყვნენ და აქ იგი საოსტატო ინსტიტუტში შეიყვანეს სწავლის გასაგრძელებლად.

თბილისში თეატრისადმი სიყვარული კიდევ უფრო მეტად გაუცხოველდა ალიოშას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მან და მისმა ძმამ სამსონმა წაიკითხეს მაცდური აფიშა, სადაც გამოცხადებული იყო, რომ ქართულ თეატრში ვ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნებოდა შილერის „ყაჩაღები“.

სათეატრო მუზეუმის არქივში დაცულია ალ. წუწუნავას საკმაოდ ვრცელი მოგონება, თუ როგორ ნახა პირველად მან ლადო მესხიშვილის „ყაჩაღები“ და რა შთაბეჭდილება დასტოვა მასზე სცენის დიდი ოსტატის თამაშმა.

„... ბევრი რამ გამეგონა ლადოზე. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ საშუალება მოგვეცა მისი სცენაზე ნახვისა. შევიძინეთ ქანდარის ბილეთები. წარმოდგენის დღეს გულის ფანცქალით მოველოდით. დადგა ეს სანატრელი დღეც. ვინათხოვრე სერთუკი, ლამაზად დავივარცხნე ჩემი მხრებამდე დაყრილი გრძელი თმები და ასე გამოწყობილი მივადექით თეატრის კარებს. ავედით ქანდარაზე. გამოჩნდა სცენის ფარდა. ალბათ ზოგიერთს კიდევ ახსოვს ამ ფარდის სილამაზე: მცხეთის მიდამო. არაგვისპირის სოფლელი ქალები კოკებით მხარზე, შორს გაშლილი მთები. ეს პირველი სანახაობაა... მაგრამ უცებ უსიამოვნო ჟრუანტელმა გამირბინა. ქანდარაზე ასვლისთანავე ვიღაცამ გაიცინა, მას აჰყვნენ ყველანი. მე მათკენ გავიხედე. მესმის სიტყვები: „ვა-ა, ეს რა მღვდელი მოსულაო!“ კვლავ სიცილ-ხარხარი. თურმე დამცინოდნენ. ქანდარა, ვისაც ახსოვს, ყა-

რაჩოღელების და კინტოების სამეფო იყო და მათ როგორ გამოეპარებოდათ ჩემი ასეთი ახირებული მორთულობა. ვინ იცის, როდემდის გაგრძელდებოდა მათი ხარხარი, რომ ფარდა არ აწეულიყო. მაშინ შესწყვიტეს ხმაური“.

ალიოშას მთელი ყურადღება ფარდისაკენ იყო მიქცეული, რომელიც ნელა შეირხა, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ამ ფარდას, ჩანს იქიდანაც, რომ თითქმის 50 წლის შემდეგ ხელახლა იხსენებს მას ალ. წუწუნავა მსახიობ ქალ ალექსანდრა კარგარეთელის იუბილეს დროს.

„ფარდის სურათის შინაარსი ალბათ ლერმონტოვის დემონიდან იყო აღებული,—განაგრძობს ალ. წუწუნავა,—მხოლოდ ამ განსხვავებით, რომ ქალები სოფლურად იყვნენ ჩაცმულნი, გლეხურად პირაფარებულნი. ეს თეატრი შემდეგ დაანგრიეს და მის ადგილზე ააშენეს ახალი თეატრი თავადაზნაურობის თეატრად წოდებული. მე კი იმ ძველი თეატრის ფარდა არასოდეს არ დამავიწყდება. ეს ფარდა პირველი ტალღა იყო, რომელმაც თეატრისადმი სიყვარული გამიღრმავა და არც ჩამიქრო საუკუნოდ! ამ ფარდას სპექტაკლის დაწყებამდე ეფარებოდნენ ქართული თეატრის უდიდესი მოღვაწენი: მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ნატო გაბუნია-ცაგარლისა, ეფემია მესხი, ელენე ჩერქეზიშვილი, ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, კოტე მესხი, კოტე ყიფიანი, ვალერიან გუნია და სხვები, რომელთა გამოჩენა სცენაზე ხალხისთვის დღესასწაული იყო ყოველთვის“... აი, პირველ რიგში სწორედ ამ შესანიშნავმა ფარდამ მოახდინა უდიდესი შთაბეჭდილება ოზურგეთელ „იმპრესარიოზე“, ეს იყო, მართლაც „პირველი ტალღა“, რომელმაც განუმტკიცა თეატრისადმი მგზნებარე სიყვარული. მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ალიოშას მოგონებას, იმის შესახებ თუ როგორ ითამაშა ლადომ „ყაჩაღები“.

აი, სცენაზე გამოჩნდნენ ეფემია მესხი, კუნდელის ქალი, კოტე მესხი, მაგრამ „რამდენსაც მეტს დაინახავ ვარსკვლავს ცაში, იმდენს უფრო გატაცებით დაუწყებ ძებნას სხვებს. არ შეიძლება თანავარსკვლავედში სხვა ვარსკვლავიც არ აღმოაჩინო და შეიძლება უფრო ბრწყინვალეც“.

და ეს „ბრწყინვალე ვარსკვლავი“ იყო ლადო მესხიშვილი, რომე-

ლიც აპოლოს მშვენიერებით კი არ გამოჩნდა სცენაზე, არამედ სა-შინელი კუზით. ყოვლად მახინჯი, თანაც კოჭლობით. ასეთი იყო სა-შინელი არსება სცენაზე, მაგრამ მაინც ვარსკვლავის სიდიადით შერ-ჩა მისი ხსოვნა ალიოშას. „აღარ მახსოვს და არც გამოუდგები იმის ძიებას რა ითამაშა ლადომ, მაგრამ ის კი მახსოვს, მან როგორ უცბად ჩამიჭირა ხელში და მასთან ერთად ქართული თეატრის ოსტატებმა როგორ დამიპყრეს... მე უკვე მოხიბლული ვიყავი“.

ეს დაუვიწყარი დღე აი რა ბრწყინვალე დღესასწაულით დამ-თავრდა:

„... როდესაც მაყურებლები ტაშს უკრავდნენ, — განაგრძობს თავის მოგონებას ალიოშა, — მესხიშვილი თავის დასაკრავად გამო-ვიდა, პარიკი მოიხადა და გამოჩნდა მისი შეევრცხლილი თმებით შე-ფარგლული ლამაზი სახე... ხალხი თეატრიდან გამოვიდა, მაგრამ არ იშლებოდა... ვიღაცას ელოდნენ. მე და ჩემი ძმაც მათ შევუერთდით. აგერ გამოვიდა ლადო. იგრიალა „ვაშამ“. შემდეგ ხელში აიტაცეს და ააბურთავეს ლადო. ყველანი მათ გაჰყვნენ. ქალები წივილ-კი-ვილით მისდევდნენ და მისტიროდნენ — ვაიმე, ვაიმე ხელიდან არ გაუვარდეთ, არ მოკლანო... აგერ ეტლიც. ლადო შიგ ჩასვეს, ახალ-გაზრდებმა ცხენები გამოხსნეს, თვითონ შეებნენ და ასე წაიყვანეს“.

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენთვის გასაგებია, რა გულწრფელია ალ. წუწუნავას მოგონება ლადო მესხიშვილის თამაშის გამო და რო-გორი „წარუხოცელი შთაბეჭდილება დასტოვა“ ამ სანახაობამ მასზე. იმ დღიდან ჩემი გრძნობები საუკუნოდ ქართულ თეატრთან გადაი-ჯაჭვაო. არ არსებობს იმაზე დიდი სიამაყე, როდესაც წინაპართა ხე-ლოვნებას შეჰხარის გულწრფელი მოწაფე და თავი მოსწონს მასწავ-ლებლის მაღალი ხელოვნებით. ჭაბუკმა სცენისმოყვარემ შეუმჩნევ-ლად გზა გაიხსნა მომავალი კარიერისთვის სათეატრო ასპარეზზე. ამაზე უფრო მაღალი და სათაყვანო სხვა სარბიელი მისთვის არ იყო. სწავლაზე გული აუცრუვდა. თბილისის საოსტატო სემინარიის კედლები ევიწროვება და გაურბის მას, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუტში მას ჰყავდა ისეთი იდეალური ხელმძღვანელი და დამ-რიგებელი, როგორიც იყო პროკოფი ჯაფარიძე, რომელსაც პარტი-ის რიგებში ხან „ალიოშა ჯაფარიძედ“ იცნობდნენ, ხან „გოლუბი-

წად“, ხან კიდევ „ფეოდორად“. ეს ის ალიოშა ჯაფარიძეა, რომელიც 1918 წელს რევოლუციის მტრების ხელით მოწამებრივი სიკვდილით დაიღუპა 26 კომისრის რიგებში. „ალიოშა ჯაფარიძემ,—ხშირად უთქვამს ჩემთვის ალ. წუწუნავას, — წამაქეზა, თეატრალური ასპარეზისთვის თავი არ გამენებებინა. ოღონდ მუშათა თეატრში შედი და მუშა ხალხის გათვითცნობიერებას ემსახურეო“. — „მუშათა თეატრს“ ალიოშა ჯაფარიძე ავჭალის აუდიტორიას უწოდებდა.

„და განა ვანო გომელაურიც სულ ამას არ ჩაგვჩიჩინებდა ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში? მუშები, გლეხები, ხალხი... ჩვმი მეორე სულის მოძღვარიც ა. ჯაფარიძეც ასევე მითითებდა ხალხის სამსახურს“. და აი 1898 წლიდან ალ. წუწუნავა ავჭალის აუდიტორიის მსახიობი ხდება.

* * *

ავჭალის აუდიტორია მუშათა თეატრად ითვლებოდა. იგი დაარსებული იყო მუშათა წრიდან გამოსული თავდადებული სცენისმოყვარეების მიერ, როგორებიც იყვნენ — ავჭალის აუდიტორიის დიდი მოამაგე ნიკო გოცირიძე, შემდეგ იშვიათი ენთუზიასტი გ. ჯაბაური, ენერგიულად მოქმედნი ე. თედორაშვილი, ჯანიაშვილი, ი. ძნელაძე, მ. თუშმალიშვილი და ყველა დარგში დაუღალავი მოღვაწე იოსებ იმედაშვილი. ეს „აუდიტორია“ მეტად პრიმიტიული იყო, მაგრამ მუშების სულსა და გულს წარმოადგენდა.

სიმპათია ამ აუდიტორიისადმი ისეთი დიდი იყო, რომ ჩვენი კორიფეები ნატო გაბუნია-ცაგარლისა, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი და სხვები ხშირად მონაწილეობდნენ აქ სრულიად უსასყიდლოდ. ღარიბულად მოწყობილ სცენაზე თითქმის ერთსა და იმავე დეკორაციებში იდგმებოდა პატარ-პატარა ვოდევილები, შემდეგ დაიდგა „ხანუმა“, მას მიჰყვა „პეპო“, და „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“, ბოლოს „ორი ობოლი“, „პარიზელი ბიჭი“ და სხვა... ალიოშა წუწუნავაც უსასყიდლოდ იწყებს მუშაობას ამ სცენაზე. გამოდის პატარა როლებში. ასე გრძელდება 1900 წლამდე, ვიდრე ქუთაისიდან ჩამოსული მსახიობი ვასო ურუშაძე არ მიიწვევს

მას ასე ვთქვათ „გასტროლებზე“ დასავლეთ საქართველოში პატარა-პატარა პიესების დასადგმელად.

ალიოშას შეთანხმება ვ. ურუშაძესთან ფრიად მნიშვნელოვანი მომენტია ალ. წუწუნავას ბიოგრაფიაში, რადგან ეს გასტროლები საბაბი შეიქნა ლადო მესხიშვილთან მისი პირისპირ შეხვედრისა. ალიოშამ იცოდა, რომ იმ დროს ლადო ქუთაისის თეატრში იყო მიწვეული მთელი წლით. „რიონის სადგურს რომ დავშორდით და ქუთაისის სილუეტს მოვკარი თვალი, — წერს ალიოშა თავის მოგონებებში, — გულმა სხვანაირად დამიწყო ძგერა. ძლიერ მსურდა მენახა ლადო ქუთაისის სცენაზე. სულით და გულით სულ ქუთაისისკენ მივილტვოდი. აგერ ქუთაისში ვართ... ვასო ურუშაძეს კატეგორიული უარი ვუთხარი „გასტროლებში“ მონაწილეობაზე, როცა თეატრის კარზე წავიკითხე უზარმაზარი აფიშა, რომელიც გვაუწყებდა, რომ საგასტროლოდ ჩამოსულია ვ. აბაშიძე და დგამს „სევილიელ დალაქს“, რომელშიც ლადოც მიიღებს მონაწილეობასო. დავფაცურდი, ერთი წარჩინებული ნაცნობი კაცი მოვნახე და სარეკომენდაციო წერილი მივაწერინე ლადოსთან. თეატრში მითხრეს ლადო ჯერ არ მოსულაო. ქუჩაში მომიხდა მოცდა. გამვლელ-გამოვლელს თვალს ვადევნებ და არც თეატრის კარს ვშორდები. აგერ გამოჩნდა დაბალი ტანის კაცი, ჭაღარა თმით, ლამაზი სახით. თავზე რაღაცნაირი ქუდი ჰხურავს. ვიცანი ლადო მესხიშვილი. გადვუღობე გზა. წერილი გადავეცი მობოდიშებით. გადაიკითხა, შემხედა, გამიცინა, მომხვია ხელი ისეთი სინაზით, როგორც ბავშვს მოჰხვევს ხელს მამა. სცენაზე შემიყვანა, სადაც „სევილიელი დალაქის“ რეპეტიციას შესდგომოდნენ, ლადომ მიმართა ვასოს: „აი თქვენ დონ-ბაზილიო“. თურმე დონ-ბაზილიოს როლი დავით აწყურელს უნდა ეთამაშნა, მაგრამ მას როლის შესრულებაზე უარი განუცხადებია. ლადომ ისარგებლა შემთხვევით და როლი მე ჩამაბარა. დასში მიმიღო, თვეში 15 მანეთი დამინიშნა“*.

მაგრამ საქმე ხელფასის დანიშვნა ხომ არ იყო. არც ის, რომ

---

* სათეატრო მუზეუმი, ალ. წუწუნავას არქივი. ხელნაწერი „დიდი მასწავლებელი ლადო მესხიშვილი“, გვ. 2—5.

გარემოებამ მამა და შვილი შეარიგა, რაჟდენი უკვე აღარ ეღობება ალიოშას გამოჩენას სცენაზე — რადგან ლადო მესხიშვილმა ხელი დაგდო, ალბათ საჭირო კაცი ყოფილხარო. არა, ყველაფერი ეს წვრილმანი საკითხია. რა სკოლა გაიარა ალიოშამ მესხიშვილთან, რატომ უწოდებს იგი მესხიშვილს თავის მემუარებში „დიდ მასწავლებელს“? გავეცნოთ ორ ეპიზოდს ამ პერიოდიდან, რომლებიც მრავალმეტყველ პასუხს იძლევიან ჩვენს მიერ დასმულ საკითხზე.

* * *

დიდ სცენაზე გამოსვლისას ალიოშას ჯერ პატარ-პატარა როლებს აძლევდნენ გამოსაცდელად, მაგრამ ეს მას არ აკმაყოფილებდა, რადგან ოზურგეთის სასწავლებელში მუდამ „დიდ როლებში“ გამოდიოდა და „დასრულებულ მსახიობად“ მოჰქონდა თავი*. ამ ყოყოჩობამ ერთხელ მეტად უსიამოვნო მდგომარეობაში ჩააყენა იგი. მსახიობ ჩარკვიანის საბენეფისოდ დაიდგა მოლიერის „დონ-ჟუანი“, ალიოშას პატარა როლი შესთავაზეს. იუკადრისა. ბენეფისში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. დავით ჩარკვიანი გაწყრა. მიხლა-მოხლის დროს შემოდის ლადო. გაიგებს ჩხუბის მიზეზს:

— „არა, ჩემო კარგო, — ეუბნება იგი ალიოშას, — მსახიობისათვის დიდი და პატარა როლი არ არსებობს. ყველა როლს ერთნაირი სიხალისით, დაკვირვებით და ოსტატობით უნდა შესრულება. მეორეც, შენ მარტო ჩარკვიანისათვის კი არ თამაშობ, არამედ ჩვენთვის, თეატრისათვის და საზოგადოებისათვის. ამიტომ უფლება არა გაქვს შემოთავაზებულ როლზე უარი სთქვა“...**

„დიდი და პატარა როლი არ არსებობს მსახიობისათვის“, — აი რა ანბანური ჭეშმარიტება გაიგო პირველად ალიოშამ ლადოსაგან!

„წარმოდგენის დღეს პარიკმახერმა ქათამაძემ მოხუცი მათხოვრის გრიმი გამიკეთა, ყბები დიდი წვერით შემიმოსა, ამნაირივე

---

* სათეატრო მუზეუმი, ალ. წუწუნავას არქივი. ხელნაწერი „დიდი მასწავლებელი ლადო მესხიშვილი“, გვ. 5.

** იქვე, გვ. 6.

გრძელი და გაბანჯგლული თმები, ტანზე ტომრის ნაგლეჯი წამომაცვეს და ასე გასაწყლებული, ფეხშიშველი, ჯოხით ხელში, მხარზე თოფრაკგადაგდებული ვიგეგვარ კულისებში და ვფიქრობ: „მესხიშვილი როცა სცენაზე გამოდის ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი მოულოდნელი თამაშით და მიხვრა-მოხვრით. განა არ შეიძლება მეც რაიმე ისეთი მოვიგონო, რომ ჩემი ორსიტყვიანი როლი ერთგვარ მოვლენად ვაქციო? მაგრამ როგორ! რა თილისმით? ჩემი სიტყვები მეტად მცირეა: „მოიღეთ მოწყალება, მაჩუქეთ საწყალს!“ — სულ ესაა, ამან რა უნდა შემძინოს? ამ ფიქრებში ვარ, რომ სცენაზე გასვლის მომენტიც დადგა. უეცრივ გამახსენდა ერთი დამბლადაცემული ქუთაისელი მათხოვარი და იმას წავბაძე. ჯერ სახე დავიღრიჯე, როგორც იმ უბედურმა, ავტირდი და ასე გატანჯული სახით გავედი სცენაზე. საზოგადოება მჭუხარე ტაშით შემხვდა. ვიგრძენი სიამაყე და უსაზღვრო სიამოვნება. დასრულდა ტაში. ამოვიღე ხმა და ვაი თქვენს მტერს! ატყდა სიცილი. ხარხარი. ალბათ მაყურებლებს პირველად მესხიშვილი ვეგონე და სინამდვილეში გამოირკვა, რომ მე სხვა ვარ, ვინაიდან იმ ხანაში მარტო ლადოს აჯილდოვებდნენ ხოლმე მჭუხარე ტაშით... ჩემი სიტყვები „მოწყალება მოიღეთ“ და სხვა, არავის გაუგონია. ასეთი მარცხით დამთავრდა ჩემი ქუთაისის სცენაზე პირველად გამოსვლა ბუმბერაზთა გვერდით“*.

კიდევ რა ისწავლა, ანუ რა შეამჩნია ალიოშამ მესხიშვილის თამაშში? — „მესხიშვილის გამოსვლა სცენაზე ყოველთვის რებუსი იყო. არავინ ვიცოდით, რას იზამდა, როგორ მიზანსცენებს გააკეთებდა თამაშის დროს“. ამის გამო ალ. წუწუნავა ერთხელ მეტისმეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. „ერთხელ დადგეს ფრანგული მელოდრამატიული პიესა „ბედს ვერ წაუხვალ“ მიხეილ ნასიძის მიერ ქართულად გადმოკეთებული. პიესა ლადომ დადგა თავის საბენეფისოდ. ვარდანაშვილის როლს ასრულებს თვითონ ბენეფიციანტი. მე კი გამომძიებლის პატარა როლში გამოვდივარ. მე უნდა დავკით-

---

* სათეატრო მუზეუმი, ალ. წუწუნავას არქივი. ხელნაწერი „დიდი მასწავლებელი ლადო მესხიშვილი“, გვ. 6—7.

ხო ვარდანაშვილი, ჭურდობა რაზე ჩაიდინა... აი, აიხადა ფარდა. სცენაზე ვარ მე — გამომძიებელი, მომჩივანი — ვას. ბალანჩივაძე და მოსამსახურე. მოსამსახურეს ვეუბნები: „დამიძახეთ ბრალდებულ ვარდანაშვილს!“ შემოდის ვარდანაშვილი — ლადო, რაღაცნაირად კისერმოგრეხილი, თითქოს დამბლა დასცემია, ძლივს მობობღავს სცენაზე. უაღრესად შესაბრალისი მეტყველება აქვს. როგორ მოახერხა ასე? არ ვიცი. ჩავაშტერდი. უცებ გონზე მოვედი და შევუდექი როლის შესრულებას, ვეკითხები: „რა გვარი ხართ?“

„—ვა...ვა...ვარდანაშვილი!“ — საცოდავი ხმით მიპასუხა ლადომ, საზარლად მესმის მისი კვნესით წარმოთქმული სიტყვები, რაღაცამ შემიპყრო, მისდამი სიბრალულით გავიმსჭვალე და ვეკითხები: „შე... შე... შენი სახელი?“ მეც ლადოსავით მომეგრიხა კისერი და ისე ვაქნევ თავს. „ვანო“ — მიპასუხებს ლადო და იქვე ჩამჩურჩულებს გულმოსული: „რა მოგდის“? მისი გულისწყრომით წაჩურჩულებული შენიშვნა არ მესმის და იმავე კილოთი განვაგრძობ: „რ... რ... რამდენი წლისა ხარ!“ აქ ვ. ბალანჩივაძე ჩამოერევა, გამასწორებს და მკაცრად შემნიშნავს: „რა დაგემართა, რა მოგდის?“ ბურანიდან გამოველ, მივხვდი შეცდომას, მაგრამ უკვე გვიან იყო. თეატრში მაყურებელთა სიცილ-ხარხარი დავიმსახურე. უკვე აშკარად მასმენენ, შეხედეთ, მესხიშვილს როლი წაუხდინაო. მაგრამ ეს რაა, სცენიდან რომ გამოვედი, ლადოს ხმა მესმის: „სად არის წუწუნავა. ჩემი ხელითვე უნდა მოვკლაო“... მივედი მასთან, შემხედა, მიხვდა, რომ საშინლად შეწუხებული ვიყავი. დამშვიდდა და მამაშვილური ლმობიერებით მეუბნება: „არ დაიტყო, როდესაც თამაშობ, ფრთხილად უნდა იყო, რომ ასეთი ფათერაკი არ დაგემართოსო...“•

ლადო მესხიშვილი ქართული სცენის ერთი დიდი რეჟისორთაგანი იყო. როლების ახსნა-განმარტება, ალ. წუწუნავას მოწმობით, თუნდა შინაარსის გადმოცემა, მიზანსცენების დალაგება საოცრად ეხერხებოდა. და ბოლოს დასძენს ალიოშა: „გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მან დიდი სარგებლობა მოუტანა იმდროინდელ თეატრა-

• სათეატრო მუზეუმი, ალ. წუწუნავას არქივი: ხელნაწერი „დიდი მასწავლებელი ლადო მესხიშვილი“, გვ. 7—8.

ლურ ახალგაზრდობას და მათ შორის განსაკუთრებით მე დიდი მადლობელი ვარ ქართული თეატრის ამ უდიდესი ოსტატისა"*.

შემდეგშიც არა ერთხელ იხსენიებს მესხიშვილს როგორც მსახიობს, ადამიანს და რეჟისორს. მესხიშვილის სკოლა ის სამჭედლოა, სადაც გამოიწრთო ალ. წუწუნავა და არა მარტო ის!

მესხიშვილის დასშია ალ. წუწუნავა 1900 წელსაც, როდესაც ლადო დასს გადააბალისებს და თბილისში გადაიყვანს. ამ დღეს უფრო სათუთად იხსენიებს ალ. წუწუნავა—„ჩემი ოფიციალური თეატრალური მუშაობა სწორედ ამ 1900 წელს იწყებაო". მართალია, ხანმოკლე იყო მესხიშვილთან მუშაობა, მაგრამ მეტად ნაყოფიერი. სწორედ ამ პერიოდში იგრძნო ალ. წუწუნავამ სათანადო სიღრმით, რომ სათეატრო ენა სულ სხვაა. და რომ მსახიობი მსახიობის მიმბაძველი კი არ უნდა იყოს, არამედ თავისთავადი. იგი უნდა გახდეს დიდი მცოდნე ადამიანის მრავალფეროვანი ბუნებისა, გახდეს მსახიობი-ფსიქოლოგი, პლასტიკური მხატვარი, რომელიც ადამიანურ განცდებს ისე გამოჰკვეთს, როგორც ოქრომჭედელი სასურველ ნივთს.

* * *

სათბილისოდ ლადომ საგანგებო რეპერტუარი შეადგინა. „კინი", „ჰამლეტი", „ყაჩაღები"... სხვათა შორის „ჰამლეტში" ალიოშასაც მიაღებინა მონაწილეობა. მან შესთავაზა როზენკრანცის როლი. „რასაკვირველია, — ამბობს თავის მოგონებებში ალ. წუწუნავა, — მე სხვა როლებიც მჭონდა, მაგრამ როზენკრანცი იმიტომ დავასახელე, რომ თბილისის გასტროლების შესახებ რეცენზიებში ჩემი გვარიც მოიხსენეს ამ როლის კარგად შესრულებისათვის"**.

რომ მართლა საზოგადოებისა და თვით ჩვენი თეატრის ხელმძღვანელების ყურადღება დაიმსახურა ალიოშა წუწუნავამ ეს ჩანს იქიდანაც, რომ თბილისის გასტროლების შემდეგ ლადო მესხიშვილს და

---

* სათეატრო მუზეუმი, ალ. წუწუნავას არქივი. ხელნაწერი „დიდი მასწავლებელი ლადო მესხიშვილი", გვ. 9.

** ალ. წუწუნავას პირადი არქივი, „1900 წლის სეზონის მოგონებისთვის", გვ. 1.

ვალერიან გუნიას დასი გადაუხალისებიათ და ალ. წუწუნავა კვლავ დაუტოვებიათ დასში. ამ დღიდან ალ. წუწუნავას საქმე აქვს არა უბრალო სცენის მოყვარეებთან, არამედ ჩვენი სცენის ისეთ კორიფეებთან როგორებიც იყვნენ—ნინო ჩხეიძე, ვალ. გუნია, ალექსანდრე იმედაშვილი და სხვები. ყოველ მათ გამოსვლას დიდი დაკვირვებით თვალს ადევნებს ალ. წუწუნავა. სწავლობს მათ სცენურ ხერხებს. თვითონ ალიოშაც გამოჰყავთ სცენაზე. ხან როგორც მსახიობი, ხან როგორც სუფლიორი. ყველაზე დიდი წარმატება საგასტროლო პიესებში ისევ ნ. ნასიძის მიერ გადმოკეთებულ მელოდრამატულ პიესას „ბედს ვერ წაუხვალ“ რგებია წილად, რომელშიც, როგორც ზევით დავინახეთ, ალიოშამ „როლი წაუხდინა მესხიშვილს“. ალ. წუწუნავას კვლავ გამომძიებლის როლს აკისრებენ, მაგრამ ახლა იგი სულ სხვა მსახიობია: იგი მხოლოდ ახლა შენიშნავს, თუ რა ჯადოსანი ყოფილა მესხიშვილი იმავე როლში. ის მაწანწალა, რომელიც საბრალდებულო სკამზე დაუსვიათ, ოდესღაც კეთილი ოჯახის მამა ყოფილა, რომელიც ცოლს რაღაცა მიზეზების გამო გაჰყრია და შვილიც მიუტოვებია, თვითონ ლოთობა დაუწყია, მაწანწალად ქცეულა. ერთხელ შვილის ნახვა მოენატრება და მივა ძველი ნაცნობი სახლის ეზოს ღობესთან, ჭურდულად გადაიხედავს და ხედავს, რომ მისი შვილი ბურთს თამაშობს. გულის აღტყინებას ვეღარ უძლებს მამა, გადაძვრება ბაღში და სამახსოვროდ იპარავს ბავშვის სათამაშო ბურთს, ხან გულში იხუტებს, ხან ცრემლების ზღვაში დააცურებს. მას ბოლოს მოსამსახურე დაიჭერს, როგორც ქურდს, და აი, აქ იჩენს თავს ლადოს ჯადოსნობა! განსაკუთრებით დაუვიწყარი ყოფილა ბურთის მოპარვის სცენა. ალიოშას აოცებს ის პაუზები და უსიტყვო სცენები, რომელიც ჩაუტარებია ლადოს: „თვითონაც ხომ იცრემლებოდა ბურთის მოპარვის დროს, ასევე აცრემლებდა დამსწრე საზოგადოებასაც“. აი, რა სკოლა გაიარა მესხიშვილის დასში ყოფნის დროს. მისი მასწავლებელი ლადო მის წინ აღიმართა როგორც ბუმბერაზი ხელოვანი, უნიჭიერესი „სულის ინჟინერი“, რომელიც საოცარი ოსტატობით ანსახიერებდა ადამიანის სულის ყოველნაირ მოძრაობას. განსაკუთრებით ანცვიფრებდა ალიოშას თუ რა უბრალოებით გადმოსცემდა მესხიშვილი გაუბედურებული მამის სულში მომ-

ხდარ სულიერ კატასტროფას, როდესაც ოდესღაც წესიერი ადამიანი, ტკბილი ოჯახის მამა ქუჩაში გადაგდებულ მძორად, ყოვლად დაცემულ და დაგლახავებულ მაწანწალად იქცევა. მაგრამ აი დაინახავს თავის სისხლხორცს, თავის ბავშვს და გული ისევ აუყვავილდება კეთილშობილების უმშვენიერესი ყვავილებით. უკვე იგრძნობა, რომ მესხიშვილის მიერ განსახიერებული მამა აღარაა სალახანა, საზიზღარი მატლი, მის არსებაში ხდება დიადი გარდატეხა. მართალია, ის ჭურდობს, მაგრამ ამნაირ ჭურდობას დალოცავდა ყველა, ვინც ნახა ეს უმაღლესი აღდგომა დაღუპული ადამიანისა! წარუშლელი შთაბეჭდილება დაუტოვებია ჭაბუკზე, განსაკუთრებით პაუზებს—ბურთის მოპარვის სცენას, ბურთის ალერსს.

ჭაბუკმა წუწუნავამ აქ იხილა, თუ რაში მდგომარეობდა სცენის ოსტატის საიდუმლო ჯადოსნობა. იგი მიხვდა, რომ სცენაზე სულიერი ხანძრების დანთება, კატასტროფები, თუ აღდგომა შესაძლებელია მხატვრული შემოქმედებით. სცენის ოსტატიც პოეტი უნდა იყოს, გარდასახვით ასე ვთქვათ უნიკალური მელოდიების შემქმნელი!

* * *

ალ. წუწუნავას ოცნება იყო მოსკოვში წასულიყო სასწავლებლად. ლადო მესხიშვილის რჩევაც ეს იყო, ისევე როგორც პროკოფი ჯაფარიძისა, რომ როგორმე მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდიაში შესულიყო.

და აი 1905 წელს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალიოშა მოსკოვშია, მოიმარჯვებს ვ. გუნიას სარეკომენდაციო წერილს და სუმბათაშვილს ეწვევა საკუთარ ბინაზე. ჩვენ უკვე ვიცით, რითი დამთავრდა ეს დარბაზობა: ნემიროვიჩ-დანჩენკომ გადაუდო მიღების ვადა ერთი წლით... იმედების მზიური დღეები შემოენისლა ალ. წუწუნავას და აი, დროს მოსაკლავად იგი ქუჩებში დადის და დიდ ქალაქის მოძრაობაში ებმევა. აგერ ის მოხვდება პუშკინის სახელობის მოედანზე, სადაც დიდი მგოსნის ძეგლთან აუარება ხალხი ნახა, ყველა ჯურის მოქალაქე, მუშები, ჯარისკაცები, ოფიცრები, სტუდენტები, მგზნებარე აგიტატორები. აი, ეს მოედანი, ეს აბობოქრებული

ქუჩა, შეიქნება მისთვის უმაღლესი სასწავლებელიც და თვით თეატრიც.

ამ დროისათვის ალ. წუწუნავა დაბინავდა „გაზეტნი პერეულოკში“ გენერალ ტოლმაჩოვის უზარმაზარი სახლის ერთ-ერთ კორპუსში. სწორედ აქ იგი ინახულა მსახიობმა ვასო არაბიძემ, რომელმაც განუცხადა „ბოლშევიკური ორგანიზაციის დავალებით თქვენ და საზოგადოდ ყველა ქართველი სტუდენტი ჩაწერილი ხართ „დრუჟინაში“ და დღესვე უნდა წახვიდეთ ზოგიერთი ობიექტების დასაცავად და არალეგარული გაზეთების ხალხში გასავრცელებლადო.

...ერთხელ ვასო არაბიძე შემოდის ალ. წუწუნავასთან და ბეჯითად მოითხოვს შეიარაღებას. თუმცა წუწუნავა გარეგნული შეხედულებით წარმოსადეგი ვაჟკაცი არ ყოფილა, მაგრამ გულადი იყო.

— მერე სად მიგყევართ?

— მაქსიმ გორკის ემუქრებიან, მისი მოკვლა უნდათ... ჩვენ ქართველ სტუდენტებს დაგვავალეს იმისი დაცვა...*

მაქსიმ გორკის სახელის გაგონება საკმარისი იყო, რომ ალ. წუწუნავას თანხმობა გაეცხადებინა.

ვასო არაბიძის წყალობით მას წილად ხვდა ბედნიერება გასცნობოდა გორკის. იგი ეწერება ვასო არაბიძის მიერ შედგენილ ქართულ რაზმში, სულ მალე ვასო არაბიძის მარჯვენა ხელი ხდება.

ალ. წუწუნავა მოწიწებით იგონებს გორკის ბინაზე პირველად მისვლას. აი ეს პატარა, მაგრამ მეტად საგულისხმო მოგონება:

„...შუა ფანჯრის გვერდით იდგა საწერი მაგიდა, რომელზეც ეწყო წიგნები და იარაღი, კარებიდან მარჯვნივ იდგა მოზრდილი, უბრალოდ მოწნული გალია, რომელშიც გორკის მოეთავსებინა მინდვრის ჩიტები: ბეღურები და სხვა გარეული ჩიტუნიები, რომელთაც გორკი „მუჟიკებს“ უძახოდა. ამ „მუჟიკებში“ ყველაზე მეტად გორკი ეალერსებოდა ხოლმე გულწითელას (снегирь). აგერ გაიღო შუა კარები და შემოვიდა გორკი. ეს იყო საკმაოდ მაღალი, ახოვანი კაცი... ეცვა რბილი, მაღალყელიანი წუღები, ხალათზე კავკასიური ქამარი ეკეთა. ეცვა წუღის ყელებში ჩაშვებული ევროპული შარვალი და

* სტენოგრაფიული ჩანაწერი, გვ. 9.

და პიჯაკი, თმა და ულვაშები ქერა ჰქონდა. ჩამოგვიარა, „გამარჯობა“ გვითხრა, ყველას ხელი ჩამოგვართვა და გვთხოვა დავმჯდარიყავით. მას ძალიან აინტერესებდა საქართველოს ამბები, თვითონაც ბევრი გვიამბო. სად არ ყოფილა: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ოზურგეთში“...

გორკი წუწუნავასათვის, როგორც მთელი ახალი თაობისათვის, ნამდვილი ბელადი გამოდგა, რომელიც სწორ მიმართულებას აძლევდა მათ საქმიანობას. მისგან ისმენდა ხალხურ სიტყვას, ფხიზელ აზრებს, ეცნობოდა ახალი კულტურული ცხოვრების შინაარსს.

ალ. წუწუნავას მოსკოვში ყოფნის დროს რევოლუციური მოძრაობა დიდი სისწრაფით ვითარდებოდა, აღტყინება ძლიერდებოდა და ეტყობოდა, რომ საქმე უთუოდ აჯანყებამდე მივიდოდა. 1905 წ. 18 ოქტომბერს ქუჩაში მოჰკლეს გამოჩენილი რევოლუციონერი ბაუმანი. ბაუმანი მოჰკლა პოლიციამ მაშინდელ „ოხოტნი რიადის“ ახლოს, ბაუმანის დასაფლავებაზე აუარება ხალხი მოაწყდა. აქ იყვნენ ქალები, კაცები, სტუდენტები, პროფესორები... ბაუმანის პროცესიას „ოხოტნი რიადთან“ თავს დაესხნენ ხულიგნები და კაზაკები, სტუდენტებიდან 75—80 კაცი დაიჭრა... გორკიმ რომ ეს ამბავი გაიგო, წინადადება მოგვცა მივპატრონებოდით დაჭრილებს. მთელი ღამე ვდარაჯობდით ინსტიტუტის შენობას, სადაც დაჭრილები მოეთავსებინათ. ინსტიტუტის მერხები აღვმართეთ ბარიკადებად, რომ საბრძოლველად მზად ვყოფილიყავით...“*

აი ეს მოსკოვის ქუჩებში ნახული, კინო-ლენტივით აჭრელებული ამბები, სტუდენტების შეიარაღებული გამოსვლები, გორკისა და ძერჟინსკის სიტყვების მოსმენა, მათი ხელმძღვანელობა რევოლუციურ ბრძოლებში გამოაფოლადებს ალ. წუწუნავას, უმახვილებს თვალს, რომ შემდეგში თეატრალურ ასპარეზზე უფრო თამამად გამოვიდეს, როგორც შეგნებული მოქალაქე ხელოვანი, გარკვეული იდეოლოგიით და იმ პიესებით, რომლებიც ოდნავად მაინც საშუალებას მისცემდნენ რევოლუციური მიდრეკილების გაღვივებისათვის შეეწყო ხელი.

---

* სტენოგრაფიული ჩანაწერი, გვ. 14—15.

მაქსიმ გორკის ბინა იყო რევოლუციონერთა სალიტერატურო სალონი, სადაც თავს იყრიდნენ საუკეთესო ადამიანები, ლიტერატორები, დიდი მსახიობნი.

ყოველი შაბათი და კვირა დღე ასეთი ლიტერატურული საღამოებისათვის იყო დანიშნული. ალ. წუწუნავას ბედნიერება ჰქონდა ამ საღამოებზე გასცნობოდა ლეონიდ ანდრეევს, კუპრინს, ბალმონტს, რომელსაც გორკი დიდ პატივს სცემდა.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი და სახარბიელო ალ. წუწუნავასათვის იყო შალიაპინის გაცნობა. გაცნობა მომხდარა ასეთნაირად: ერთხელ გორკის უთქვამს: გინდათ, ამხანაგებო, შალიაპინი მოგიყვანოთ? — ქართველ ბიჭებს გახარებიათ. გორკიმ შალიაპინი მოიპატიჟა. ვიდრე შალიაპინი მოვიდოდა გორკის ბინაზე, შემოუტანიათ შავრაზმული მოწოდება, რომელიც დაეწერათ „სოიუზ რუსკოგო ნაროდას“ მეთაურს დუბროვინს და „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ რედაქტორს გრიგმუნტს. მოწოდება ასე იწყებოდა: „ჩვენ, რუსი ხალხი, ღვთისა და სამშობლოს სიყვარულით ვაცხადებთ, რათა ყველა რევოლუციონერი მოკლული იქნეს, პირველ რიგში გორკი და შალიაპინიო“, რა თქმა უნდა, ამათ გარდა რევოლუციონერთა მთელი სიაც იქნებოდა წარმოდგენილი. ამ მოწოდებამ ყველაზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩვენებური ბიჭები უკვე საბრძოლველად გაემზადნენ. ამასობაში შემოვიდა თვითონ შალიაპინი, მიესალმა ჯერ გორკის და შემდეგ იქ მყოფებზე მიუთითა, ეს შავგვრემანი ვაჟკაცები საიდან შემოგისხამსო! გორკიმ უთხრა, ქართველი ამხანაგები არიანო. შალიაპინს გაუხარდა და ჰკითხა:

— ვაჟკაცებო, თუ იცნობთ მსახიობ ვალერიან გუნიას?

— როგორ არ ვიცნობთ, ის ხომ ჩვენი თეატრის სიამაყეა!.

გორკიმ შავრაზმელთა მოწოდება გადააწოდა. შალიაპინმა დარდიმანდულად აიღო და ეს მოწოდება, — თურმე მას უფრო ადრე გაეგო ეს ამბავი, — დამსწრეთა წინაშე ისე წაიკითხა, როგორც ეკლესიაში სამოციქულოს კითხულობენ.

— «Мы, Союз русского народа» და სხვა.

ამ წაკითხვამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე, განსაკუთრებით ალ. წუწუნავაზე. იგი მიხვდა, თუ რას ნიშნავს ნამდვილი

მსახიობი. ტალმამ ერთხელ იმპერატორ ნაპოლეონის ნადიმზე საინით მიწოდებული თევზის ირგვლივ ისეთი სანტიმენტალური მონოლოგი შეჰქმნა, თითქოს რასინის ესთერიდან უსესხნიაო. ყველანი ააცრემლა და აატირა. აქაც დიდმა მსახიობმა დამსწრენი აატირა, თუმცა შავრაზმულ მოწოდებას კითხულობდა გენიოსი მსახიობი.

დაღვრემილი განწყობილება ისევ შალიაპინს გაუფანტავს:

— აი, ახლა მე სულ სხვა რამეს გიმღერებთ, აქ მოვიტანე კლავირი რახმანინოვის მიერ დაწერილი ოპერისა, რომელსაც ახლავე გაგაცნობთო.

ვახშამზე ყველამ მოიმხიარულა, ნამეტნავად გორკიმ, რომელსაც დიდად უყვარდა შალიაპინი. შალიაპინმა ქართული სიმღერები მოითხოვა, ამღერა ჩვენი ბიჭები და თვითონაც თავისი მშვენიერი ხმით ამხნევებდა მათ. გორკის ამ ვახშამზე გაუხსენებია ერთი ამბავი თბილისის ცხოვრებიდან, როდესაც თვითონ გორკი და შალიაპინი ერთად ქუჩებს კირწყლავდნენ. შემდეგ საცდელად ოპერაში მისულან ხმის გასასინჯად. გორკი მოსწონებიათ, ხოლო შალიაპინი... დაუწუნებიათ! ასეთი კურიოზები მეფის რუსეთში ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

* * *

თუმცა ალ. წუწუნავა მოსკოვში რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება, მაგრამ მთავარ მიზანდასახულობას როდი ივიწყებდა. გზადაგზა ზოგადი განათლების მიღებაზეც ზრუნავდა, უნივერსიტეტში უსმენდა ისეთ გამოჩენილ პროფესორებს, როგორიც იყვნენ ჩელპანოვი, ფორტუნატოვი, ჩვენი თანამემამულე ალ. ხახანაშვილი.

ალიოშას გულით სწყუროდა სტუდიაში შესვლა. ეს გულისნადები გაანდო გორკის, ხოლო მან თავის მეუღლეს დაავალა, ეშუამდგომლა სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელთან, რომ ჰაბუკი სტუდიაში მიეღოთ. გორკის მეუღლე ერთ დროს სამხატვრო თეატრის მსახიობი იყო. დიდი მეცადინეობის შემდეგ ანდრეევამ მეიერჰოლდის სტუდიაში მოაწყო ალიოშა.

სტუდიაში ალ. წუწუნავასთვის ერთგვარი დღესასწაული იყო.

ის ამახვილებს თვალს, აკვირდება რომელი რეჟისორი რას რა პრინციპებით დგამს. მაგრამ სისტემატურად მუშაობა სტუდიაში იმ დროს შეუძლებელი შეიქნა. მოსკოვი, „ეს უწყინარი და ყოვლად კეთილი ქალაქი“ უკვე მძვინვარე რევოლუციის ასპარეზად გადაიშალა ყოველგვარი ხელოვნური ინსცენირების გარეშე, სადაც რეჟისორობას ეწეოდა თვითონ მისი უდიდებულესობა 1905 წლის რევოლუცია.

გორკიმ ამ რევოლუციას შეაგება თავისი საუცხოო პიესა „მზის შვილები“, იგი ჩქარობდა სამხატვრო თეატრში მალე დაედგათ ეს პიესა, მით უმეტეს, რომ რევოლუციურად განწყობილი მოსკოვიც მას გულისფანცქალით მოელოდა.

„მზის შვილებში“ პროტასოვის მთავარ როლს ასრულებდა შეუდარებელი მსახიობი ვ. კაჩალოვი, როდესაც გორკის ეს გმირი ელაპარაკება შავრაზმელებს, სცენაზე მოიპარება მეეზოვე და თავში დასცხებს მოკლე კეტს. ეს უკვე ნიშანი იყო, ხულიგნები ქვებს დასტაცებენ ხელს და შეიქმნება აურ-ზაური. ამ დროს პროტასოვის მეუღლე ისვრის რევოლვერს და ხულიგნებს გაჰფანტავს. ეს დარბევის სცენა ისე კარგად იყო ჩატარებული, ისე გამოზომილი, თითქოს სინამდვილეს უმზერს ადამიანიო. წინათ მასობრივი სცენები მდუმარე იყო ხოლმე თეატრში, სტატისტებად გამოჰყავდათ პირდაპირ ყაზარმიდან სალდათები, რომელთაც სცენისა არაფერი გაეგებოდათ. აქ კი ყველა მიზანშეწონილად მოქმედებდა, ისე დამაჯერებლად, რომ თვით მოსკოვის გათვითცნობიერებული და სანაქებო საზოგადოება შესცდა, ვიღაცამ შეჰკივლა, არიქათ, ხულიგნები შემოგვესიენ და და თავს უშველეთო. ატყდა ერთი ალიაქოთი, ქალების წივილ-კივილი; ერთი მესამედი საზოგადოებისა გაიქცა,—გვეუბნება ალ. წუწუნავა თავის მოგონებებში. ბოლოს თითონ არტისტები გამოვიდნენ რამპის წინ და დაუწყეს ხალხს დამშვიდება: „ეს მხოლოდ პიესაა ასეთი, არავითარ დარბევას ადგილი არა აქვსო“.

ასეთი გმირული პოეზია შეჰქმნა გორკიმ თავისი „მზის შვილებით“ სცენაზე, რაც თვალით ნახა ალ. წუწუნავამ და რამაც წარუხოცელი და ღრმად აღმზრდელობითი შთაბეჭდილება დასტოვა მასზე. სცენაზე მასობრივი მოძრაობის ზუსტი გადმოცემა მან იდეალად დაისახა.

• • •

დეკემბრის შუა რიცხვებიდან საზოგადოებრივ მოვლენათა ტალღა ისეთ მიმართულებას იღებს, რომ ალიოშა იძულებული იყო შეენელებინა მეცნიერების ტაძარში სიარული და კვლავ საბარიკადო სამზადისისთვის გამოსულიყო ქუჩაში.

„მეტად მღელვარე ამბები დაარხიეს, — ამბობს ალ. წუწუნავა მოგონებებში,—სამხატვრო თეატრში დიდი აფორიაქება იყო, უკვე საკითხი დაისვა წარმოდგენების შეწყვეტაზე"...

მალე სამხატვრო თეატრი საგასტროლოდ მიდის ევროპაში და კარგადაც ჩაატარა ეს მოგზაურობა: ევროპამ თვალით იხილა რა დიდი წარმატება მოეპოვებინა სამხატვრო თეატრს, ყველგან ტრიუმფით ხვდებოდნენ მას... თვითონ მოსკოვში კი ზარბაზნები ჰქუხდა, შეტაკება შეტაკებაზე ხდებოდა, ბარიკადები აღიმართა...

იმავე დროს ხმა დაირხა, რომ კავკასიაში, განსაკუთრებით ბაქოში, დიდი აჯანყებებიაო. ალიოშას გული აღარ უთმენს და სამშობლოში ბრუნდება.

ალ. წუწუნავა ქუთაისს მიაშურებს. აკაკის „სავარდო და სამაისო ქუთაისი" სადგურიდანვე ნაოხარ და გაპარტახებულ უბანს წარმოადგენდა. ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიციის თარეშს საზარელი ნაშთი დაეტოვებინა, თეატრი რაღაცა მანქანებით გადარჩენილიყო, მაგრამ გამოირკვა, რომ საზოგადოდ მსახიობზე და თეატრზე ლაპარაკი თურმე მეტად სახიფათო იყო, რატომ? იმიტომ, რომ ლადო მესხიშვილმა, როგორც ცნობილია, ქუთაისის თეატრი რევოლუციის ბახტრიონად გადააქცია. საქართველოში განთქმულ ქალაქს აი ამ თეატრიდან ატყდებოდა მღელვარე ტალღა, აქედან გაისმოდა უშიშარი ტრიბუნისა და მსახიობის ლადო მესხიშვილის ხმა, ახალგაზრდა მკვლევარს გიორგი ციციშვილს 1955 წელს გამოცემულ ფრიად საინტერესო შრომაში, „შალვა დადიანის დრამატურგია" მოყვანილი აქვს ჟანდარმერიის არქივში აღმოჩენილი მეტად საინტერესო და მრავლისმთქმელი დოკუმენტი, სადაც ნათქვამია: „1905 წლის 28 აგვისტოს ქართული დასის მსახიობთა წარმოდგენის დროს ალექსი მესხიშვილმა წარმოსთქვა ქართულ ენაზე სიტყვა, რომლითაც ხალხს

მოუწოდებდა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის... „მსახიობთა გუნდმა“ სამჯერ შეასრულა „მარსელიოზა“: „აღსდეგ ჩვენო რუსეთის მუშა ხალხო“. „სპექტაკლის შემდეგ თეატრში მყოფი საზოგადოება რამოდენიმე ჯგუფად დაიყო და გაემართა ქალაქის სხვადასხვა მიმართულებით „მარსელიოზისა“ და სხვა რევოლუციური ჰანგების სიმღერით...* რეაქციის შავი თარეშის დროს თეატრში წარმოდგენების გამართვა აიკრძალა. მსახიობნი მიმოიფანტნენ... ასე რომ, ვისთვის მიემართნა ალიოშას ლუკმა პურის ძიებისთვის, აღარ იცოდა, ერთადერთი ქალაქის ბაღი აღმოჩნდა, სადაც საეგებიოდ შევიდა იგი ნაცნობების მოსაძებნად. დაღლილი იქვე გრძელ მერხზე ჩამოჯდა. ამ დროს გაისმა თოფის ხმა. ხალხი აირია. ყვიროდნენ, ჟანდარმთა პოლკოვნიკი მოჰკლესო. ბაღში მყოფნი დაფრთხნენ. ალიოშას მსგავსი ალიაქოთისათვის ყურიც ჰქონდა შეჩვეული და თვალიც. ამიტომ ფეხი არ მოუცვლია ბაღიდან. პოლიციელები დაესხნენ და ისიც ხალხთან ერთად შეაგდეს ერთ ვაგონში, მატარებელი ბათუმისაკენ გაემართა.

ბათუმში ბიძასთან დიმიტრი თაყაიშვილთან ჩამოხტება, რომელიც რევოლუციის თანამგრძნობი იყო და მისი ბინა დევნილთა თავშესაფარს წარმოადგენდა. ცოტა ხნის შემდეგ ალიოშა თავს მოუყრის სცენისმოყვარეებს და ხელს მიჰყოფს წარმოდგენების მართვას. შემოსავალს თითქმის მთლიანად ბათუმის სოციალ-დემოკრატებს აძლევდა, მებრძოლ ორგანიზაციების გასამაგრებლად. პირველ რიგში სდგამს გერმანულიდან ნათარგმნს და გადმოკეთებულს „პედაგოგებს“, ანუ „აღმზრდელ ფლაქსმანს“, ჩირიკოვის ცნობილ პიესას „ებრაელები“ და ივანე გომართელის ახლად დაწერილ პიესას „წამხდარი სისხლი“, რომელიც თავადაზნაურობაზე იყო დაწერილი, საზოგადოება დიდი თანაგრძნობით შეხვდა ალ. წუწუნავას დადგმებს. თეატრში ანშლაგებია. წარმოდგენების გარდა ალიოშა ფარულ წრეებში აკეთებდა მოხსენებებს, ამხანაგებს უყვებოდა მოსკოვის აჯანყების შესახებ. ივნისში კურორტ ბახმაროზე ვხედავთ მას. აქაც

---

* იხ. გიორგი ციციშვილის „შალვა დადიანის დრამატურგია“, გამომცემლობა „ხელოვნება“, 1955 წ., გვ. 26.

ერთი თვის განმავლობაში სდგამს სპექტაკლებს, კითხულობს მოხსენებებს ჩვენთვის უკვე ნაცნობ თემაზე.

აგვისტოს შუა რიცხვებში ალ. წუწუნავა კვლავ მოსკოვს ეწვევა და არალეგალურად დაიწყებს ცხოვრებას, რადგან გამარჯვებული რეაქცია ახლა უკვე შურისძიებაზე გადასულიყო და სწორედ ამ ხანად ალიოშასთან ერთად მებრძოლ ამხანაგებს სამხედრო წესით ასამართლებდნენ. პროცესზე მებრძოლი რაზმელებიდან გამოიყვანეს ორი ქართველი სტუდენტი. საბრალმდებლო აქტიდან გამოირკვა ისიც, რომ ქართველი რაზმელების ხელმძღვანელი ვასილ არაბიძე, ალექსანდრე წუწუნავა და მისი ძმა სამსონ წუწუნავა, გ. ანჯაფარიძე, მიშა ღლონტი და სხვები სასამართლოში არიან მიცემულნი, ისინი „გაქცეულები“ არიან და სადაც შეიპყრობენ, საველე სასამართლოს უნდა გადაეცენო. კურიოზი ის იყო, რომ საბრალდებულო აქტის ამ მუხლის კითხვის დროს ეს პირები სასამართლოს დარბაზში ისხდნენ და გამომწვევი სახით იღიმებოდნენ.

ალ. წუწუნავას რევოლუციური მოღვაწეობის დასახასიათებლად საინტერესოა შჩირინას წერილი. აი, სხვათა შორის, რასა სწერს შჩირინა, განსვენებულის მეუღლეს თ. მ. წუწუნავას სამძიმრის წერილში:

„აქ დაგვიანებით გავიგეთ სამწუხარო ამბავი ალიოშას დაკარგვის შესახებ. ძნელია რითიმე განუგეშოთ ასეთი მძიმე დანაკლისის გამო. ერთადერთი, რითაც შემიძლია შევამსუბუქო თქვენი მწუხარება, ეს არის, ის კეთილი ხსოვნა ალექსანდრე რაჟდენის ძის მიმართ, რომელიც შერჩენიათ არა მარტო იმათ, ვინც მისი მაღალი ნიჭის პატივისმცემელნი იყვნენ, არამედ იმათაც, ვინც იცნობდნენ როგორც დაუღალავ მებრძოლს მოსკოვის საბარიკადო ბრძოლებში 1905 წლის დროს. სწორედ გუშინ მივიღე ერთი ყოფილი მეზღვაურის წერილი, რომელშიც მწუხარებით იხსენიებს ალექსანდრე რაჟდენის ძის მხარდამხარ ბრძოლას მოსკოვის ბარიკადებზე. ეს მეზღვაური გახლავთ ი. გ. ზახარჩენკო, ეს ის ზახარჩენკოა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო შავი ზღვის ფლოტის აჯანყებაში და მოწინავე მებრძოლად ითვლებოდა კავკასიელთა რაზმში, მას როდი დავიწყებია თქვენი მეუღლე, რომელსაც ჩვენს მებრძოლ რიგებში „აქტიორის“ სახელით იცნობდნენ. დრაგუნების განადგურებაში ერთად მიუღიათ

მონაწილეობა. მოსკოვში და დიდი სახელიც მოუხვეჭიათ. გარდა ამისა, შაბათს, 24 ოქტომბერს, მე მოხსენება გავაკეთე სამხატვრო თეატრში იმ არტისტების შესახებ, რომელნიც უშიშრად იბრძოდნენ 1905 წლის რევოლუციის დროს, მოსკოვის ბარიკადებზე. მოხსენება გავაკეთე სამხატვრო თეატრის დიდ დარბაზში მთელი კოლექტივის წინაშე. მე სათანადო ყურადღებით აღვნიშნე თქვენი მეუღლის მონაწილეობა იმ დიდ ბრძოლებში. რა სამწუხაროა, რომ ეს ამბავი სიცოცხლეშივე ვერ შევატყობინე თქვენს მეუღლეს... გულითადი სალამი! ს. შჩირინა, მოსკოვი 26 დეკემბერი"*.

* * *

მოსკოვი, მოსკოვის სამხატვრო თეატრი მარად დაუვიწყარია ალ. წუწუნავასათვის.

მისთვის მოსკოვის სამხატვრო თეატრი უზენაესი, უწმინდესი, მისი ბედნიერებისა და სიხარულის მომნიჭებელი ტაძარია, სადაც მისივე სიტყვით, „პატარა-პატარა ინტერვალებით ოთხი წელი დაჰყო სასცენო ხელოვნების შესასწავლად".

როგორც მისი მეხსიერებიდან ამოუშლელი იყო „მოსკოვის სამხატვრო თეატრი", ისე მის ენის წვერს არ შორდებოდა ამ თეატრის ჭურუმ-მასწავლებლების სახელები: კონსტანტინე სერგის-ძე სტანისლავსკისა და ვლადიმერ ივანეს-ძე ნემიროვიჩ-დანჩენკოსი; ესენი იყვნენ სამხატვრო თეატრში მისი მიმღებნი, აღმზრდელნი, მისი განმკაცებელნი, ალ. წუწუნავას მდიდარ არქივში იშვიათად ნახავთ ისეთ ადგილს, ისეთ ფურცლებს, რომ ეს ორი სანუკვარი სახელი არ ამოიკითხოთ: „სტანისლავსკი"... „ნემიროვიჩ-დანჩენკო"... ჩვენ ვხვდებით აგრეთვე იუჟინ-სუმბათაშვილის, კაჩალოვის, მოსკვინის, ერმოლოვას, ლეშკოვსკაიას, მარია გავრიელოვნა სავინას სახელებსაც.

რა წამოიღო მოსკოვის სამხატვრო თეატრიდან წუწუნავამ? დიდი თეორიული ცოდნა და პრაქტიკულად სარეჟისორო კურსების

---

* ა. წუწუნავას პირადი არქივი. შჩირინას წერილი.

გავლა ამ ორი ტიტანის ხელში — სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ დანჩენკოსი. ალ. წუწუნავას არქივში შენახულია ნაცრისფერყდიანი რვეული № 9, სადაც რუსულ ენაზე დაწერილია საკმაოდ მოზრდილი წერილი (სულ 14 ფურცელი). სამწუხაროდ, ესეც დაუმთავრებელია, თუმცა გარკვეული სათაური აქვს: «Глубоко изучать и творчески развить наследие К. С. Станиславского».

ამ ხელნაწერიდან ჩანს, რომ იმ ოთხი წლის განმავლობაში, როდესაც ალ. წუწუნავა სწავლობდა სამხატვრო თეატრში, იგი მსმენელებში გამოირჩეოდა მუყაითობით, აშკარად ჩანს როგორი გულმოდგინებით თვალყური უდევნებია თითოეული დადგმისათვის და კარგადაც გარკვეულა იმ რეჟისორულ მიდგომებსა და ხერხებში, რომლითაც ხელმძღვანელობდა მისი საყვარელი მასწავლებელი კ. ს. სტანისლავსკი.

„... კ. ს. სტანისლავსკიმ, თავისი ხანგრძლივი არტისტული და სარეჟისორო მოღვაწეობის სარბიელზე ისეთი დიდი მასალა დაგვიტოვა, რომ მის შესასწავლად დიდი დრო და მუშაობაა საჭირო, — გვეუბნება ალ. წუწუნავა ხსენებულ წერილის შესავალში.—ამ მასალებიდან უნდა შერჩეულ იქნეს რაც აუცილებელია ჩვენთვის, რომ აღვზარდოთ და გავაღრმავოთ აქტიორული ოსტატობა და შევძლოთ გადმოვცეთ ყველაზე ღრმა და ძლიერი გრძნობები და აზრები ჩვენი დროის ადამიანისა. კ. ს. სტანისლავსკის მოძღვრებიდან უნდა გამომუშავდეს თეატრის მომავალ მოღვაწეთა აღზრდის სისტემა, სულერთია იქნებიან ესენი საზოგადოდ აქტიორები, რეჟისორები თუ სამხატვრო-ტექნიკური თეატრალური პერსონალი, უკანასკნელ კაპელდინერამდე“...

შემდეგ ალექსანდრე წუწუნავა გვაცნობს თავის დაკვირვებებს:

„როდესაც კ. ს. სტანისლავსკი სდგამდა პიესას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რომელიმე დადგმის განხილვაში ერეოდა, როდესაც გულდასმით შეისწავლიდა ნამუშევარს, იგი ნელ-ნელა იძლეოდა შენიშვნებს და ისეთ მასშტაბით აფართოვებდა ბოლოს, რომ ნაჩვენები შარგა ჰკარგავდა თავის პირვანდელ სახეობას და დამდგმელნი იძულებულნი ხდებოდნენ ისე გადაემუშავებინათ, როგორადაც მოითხოვდა სტანისლავსკი. ოთხ წელს დავყავი სამხატვრო თეატრში, ოთ-

ხი წლის განმავლობაში თვალყურს ვადევნებდი კ. ს. სტანისლავსკის და ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს დადგმებს; ამ ხნის განმავლობაში ჩემ თვალწინ გაიარა ლაბორატორიულმა მუშაობამ, როდესაც დგამდნენ გრიბოედოვის უკვდავ პიესას „ვაი ჭკუისაგან“; შესწავლილი მაქვს როგორ დაიდგა „რევიზორი“, „ცხოვრების დრამა“, „ბორის გოდუნოვი“, „ლურჯი ფრინველი“, „ადამიანის ცხოვრება“, „ერთი თვე სოფლად“, „როსმერჰოლმი“, „ექიმი შტოკმანი“, ჩეხოვის პიესები, გორკის „ფსკერზე“, „მზის შვილები“, ეს იყო ყველაზე დიდი აღყვავების ხანა სამხატვრო თეატრისა“.

რა თქმა უნდა, ამ ოთხი წლის განმავლობაში, რაც ალ. წუწუნავამ დაჰყო მოსკოვის სამხატვრო თეატრში, მის მიერ ნახულ და შესწავლილ პიესათა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე აქ აქვს ჩამოთვლილი. აქ გამორჩენია ჰაუპტმანის „ჰანელეს“ ციური ხმები, არაა ნახსენები იბსენის „ბრანდი“ და სხვა პიესები, რომელთა ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა, მაგრამ რაც გაიხსენა, ისიც საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რა სარეჟისორო სკოლა უნდა გაევლო ისეთ ნიჭიერს და ამ დარგის შესწავლის ენთუზიასტ ჭაბუკს, როგორიც იყო ალიოშა წუწუნავა. იგი ფხიზლად ადევნებს თვალყურს სამხატვრო თეატრის მუშაობას, გაფაციცებით შესცქერის მასწავლებლებს ანუ როგორც თითონ ამბობს „მუდამ სტანისლავსკის, ან ნემიროვიჩ-დანჩენკოს სამუშაო მაგიდასთან ზის“, და გულმოდგინედ სწავლობს მათი მუშაობის მეთოდს. აი, ერთი გაკვეთილის ნიმუში, რომელსაც რელიეფურად გადმოგვცემს იგი თავის მოგონებებში:

როდესაც სამხატვრო თეატრი შეუდგა მეტერლინკის „ლურჯი ფრინველის“ დადგმას, „ფიჭვის“ როლის შესრულება დაევალა მსახიობ ზნამენსკის, რომელსაც მშვენიერი ხმა ჰქონდა და ოცნებობდა ოპერაში შალიაპინის შემცვლელად გამოსულიყო. აქ კი, „ლურჯ ფრინველში“ მას უხდება რაღაც ფიჭვის ხის როლის შესრულება! კ. ს. სტანისლავსკიმ მრავალჯერ გაამეორებინა თითქმის მთლად უსიტყვოდ ეს როლი, მაგრამ სამწუხაროდ ზნამენსკის არაფერი გამოსდიოდა. ერთ-ერთი რეპეტიციის დროს ზნამენსკის გული მოუვიდა, ავანსცენაზე გამოიჭრა, მოიბოდიშა და გადაჭრით განუცხადა კ. ს. სტანისლავსკის: „არ შემიძლია ხის როლის

შესრულება. მე ცოცხალი არსება ვარ და მხოლოდ ცოცხალი ადამიანების როლების შესრულება შემიძლია... მოვალე არ ვარ ხის როლი შევასრულო“... „მაშინ წამოდგა კ. ს. სტანისლავსკი და უთხრა: „აჰ, თქვენ არ შეგიძლიათ ითამაშოთ ხის როლი? კეთილი, მაშ მე გაჩვენებთ, როგორ შეიძლება ასეთი დაწუნებული როლის შესრულება“, ამ სიტყვაზე სტანისლავსკიმ სცენას მიაშურა და ზნამენსკის ადგილზე გაჩერდა. მსმენელები დაინტერესდნენ, როგორ შეასრულებდა ფიჰვის როლს სტანისლავსკი. კ. ს. სტანისლავსკი ჯერ მთელი სიგრძე-სიგანით აიმართა ერთ წერტილზე, შემდეგ თითქმის შეუმჩნეველად თავის რხევა დაიწყო თითქოს უცნაურ ხის კენწეროს ქარმა დაუბერაო. ამას მოჰყვა ფოთლების შრიალი, მთავარი ღეროს გადარწევა და თავისებური ხმის გამოცემა და ბოლოს გადავიდა ფოთლების და ღეროს ჭრიალის შეხმატკბილებულ სიმფონიურ გუგუნზე. კ. ს. სტანისლავსკიმ მოაჯადოვა მაყურებლები, ისინი წამოიშალნენ და ტაშის გრიალით დიდხანს აბურთავეს სცენის ქურუმი. შერცხვენილი ზნამენსკი მივიდა კ. სტანისლავსკისთან, ორივე ხელი ჩამოართვა და ყველას გასაგონად სთქვა: „ახლა კი მივხვდი, რომ კარგ მსახიობს შეუძლია თურმე ხის როლიც შეასრულოსო“. ზნამენსკიმ თავისი ადგილი დაიკავა“.

ალ. წუწუნავამ კ. ს. სტანისლავსკისაგან ამ გაკვეთილით შეიგრძნო, რომ თავისი მხრივ თვით აღმზრდელიც, ამ შემთხვევაში რეჟისორი, თავის სიმაღლეზე უნდა იდგეს, იგი მოწაფეებისათვის ნამდვილი სარკე უნდა იყოს, თავისი ხელოვნებით მათი ამმაღლებელი. თუ რეჟისორს არ აქვს სათანადო ინტუიცია, არ შეუძლია გააზრებულის მარტივი გადმოცემა, მაშინ სპექტაკლის მხატვრული ღირებულება მეტად დაბალი გამოუვა, თუნდაც საუკეთესო ძალები ჰყავდეს, მაშინ როდესაც კარგი რეჟისორის ხელში საშუალო ნიჭის მსახიობიც ამაღლდება და თავისი ხელოვნებით გაგვახარებს.

ალ. წუწუნავა პარალელურად მცირე თეატრშიც დაიარებოდა. თუმცა ალ. წუწუნავა სამხატვრო თეატრის დიდი პატრიოტი იყო, მაგრამ საფუძვლიანად სწავლობდა მცირე თეატრის დადგმების ხერხებს და ამ სწავლის დროს იხიბლებოდა კიდეც ა. სუმბათაშვილი-იუჟინის თამაშით. თავის მემუარებში სუმბათაშვილზე ამბობს:

„...სუმბათაშვილის ხსენებაზე მუდამ თვალწინ მეხატება იგი როგორც გენიოსი მსახიობი. შესანიშნავი გარეგნობის, წარმოსადეგი ვაჟკაცი თავისი მდიდარი მეტყველებით და მოქმედებით პირდაპირ არაჩვეულებრივად ხიბლავდა მაყურებელს. შეუდარებელი იყო მისი ჰიუგოს „ერნანი“, შექსპირის „ოტელო“, მისივე „ჰამლეტი“ ანდა „რიჩარდ მესამე“, ახალგაზრდობაში ხომ გრიბოედოვის ჩაცკის ისე ჩინებულად ასრულებდა, რომ ცალკე წიგნიც კი გამოუშვეს: „ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი ჩაცკის როლში“.

რა თქმა უნდა, ყველა ეს ალ. წუწუნავასათვის დიდი გაკვეთილი იქნებოდა. იგი როგორც რეჟისორი მუდამ იმის ცდაში იყო, რომ აქტიორს სწორად გაეხსნა ფსიქოლოგია დაკისრებული როლისა და სახისა, მკვეთრ ანალიზს უკეთებდა მისი თამაშის სტილს, რიტმიულობას, კილოს.. იგი მუდამ ეხმარებოდა აქტიორებს სათანადო მიზანსცენების შექმნის საქმეში.

* * *

1946 წელს ხელოვნების საქმეთა სამმართველომ ამხ. ალ. წუწუნავასთან ერთად გამაგზავნა ცხინვალში ქართული და ოსური სპექტაკლების დასათვალიერებლად. ჩვენ ათიოდე დღე დავყავით ცხინვალში, ყოველი სპექტაკლის შემდეგ იმართებოდა საუბარი. მე მაოცებდა ალ. წუწუნავას ერუდიცია, თეატრალური საქმის ცოდნა, საუბარი. ალ. წუწუნავას საილუსტრაციოდ უხვად მოჰყავდა მაგალითები სამხატვრო თეატრის ცხოვრებიდან. მისი საქმიანი შენიშვნები, ამხანაგური კრიტიკა მეტად ნაყოფიერი იყო მსმენელთათვის. მსახიობნი მოვალედ თვლიდნენ თავის დროზე და უკლებლად დასწრებოდნენ ხოლმე საუბრებს. საუბრებში იგი ხშირად ახსენებდა მისთვის ესოდენ სანუკვარ სახელებს როგორიცაა: კ. ს. სტანისლავსკი, ნემიროვიჩ-დანჩენკო, კაჩალოვი და სხვ. ხშირად იგი ვიწრო საუბრის ფარგლებს სცილდებოდა და დანამატის სახით მსმენელებს ახალ საათებსა სწირავდა ზოგადი ცოდნის მისაღებად ახალი თეატრის შესახებ. „ჩემს ცხოვრებაშიო,—ამბობდა იგი,—ყველაზე მიმზიდველი, ყველაზე სახარბიელო შეიქნა ის გზა, რომელიც აირჩია მოსკო-

ვის სამხატვრო თეატრმა. ეს თეატრი დიადი სცენიური ხელოვნებით ჰქმნიდა სრულიად ახალ ერას“.... უხსნიდა იმასაც, რა ურთიერთობა უნდა არსებობდეს რეჟისორსა და მსახიობთა შორის. რეჟისორს უნდა აინტერესებდეს პიესის მხატვრული აღნაგობა, ეს მართალია, მაგრამ იდეოლოგიის მხარესაც დიდ ყურადღებას უნდა აქცევდესო. და კვლავ ანსამბლის საკითხი! ყველაზე დიდი მიღწევა მაშინ იქმნება, როდესაც მსახიობნი ყველა როლს, თვალსაჩინოს თუ მეორეხარისხოვანს, სრულყოფილად და ერთმანეთთან შეხმატკბილებით ანსახიერებენო. იგი დიდი მოწინააღმდეგე იყო აქტიორის, რომელიც თავის გამოჩენის მიზნით რეჟისორის ჩანაფიქრს წინ უხტება და ეფექტებით ცდილობს ან ატიროს, და ან აცინოს დამსწრე საზოგადოება. როდესაც ერთ-ერთმა მსახიობმა თავი იმართლა და თითქმის საყვედურიც კი გამოსთქვა, რეჟისორს მეტად დიდი უფლებები აქვს მინიჭებული და პირდაპირ ახშობს აქტიორის ინდივიდუალურ ნიჭსაო, ამაზე ალ. წუწუნავამ უპასუხა: ეს არ არის მართალი, მეც რეჟისორი ვარ, ბევრ რამეს მოვითხოვ მსახიობისაგან და არც მოვეშვები, სანამ კარგად არ შევაგნებინებ რას თამაშობს და რა მომენტში როგორ უნდა ეჭიროს თავი. მე მინდა მსახიობი ანსამბლის ფარგალში მოექცეს და დაკისრებულ როლის შესრულებაში ფართოდ გამოიყენოს თავისი ნიჭიო, და კვლავ ანსამბლი, სულ ანსამბლის საკითხი! რეჟისორისათვის პირველ რიგში ანსამბლის საკითხია, — დაასკვნიდა იგი, — და ამ პუნქტში წუწუნავა გულისხმობდა აქტიორის თამაშსაც, დეკორაციებსაც, კოსტუმებსაც, დადგმის ყოველ წვრილმანს. რეჟისორმა მსახიობს ცოცხლად უნდა განუმარტოს არა მარტო ის, რაც მსახიობს დამოუკიდებლად თავისი უნარით ვერ დაუძლევია, არამედ ისიც, რაც მსახიობს ჭირდება, მაგრამ ჯერ კიდევ ყოყმანშია. ნემიროვიჩ-დანჩენკოს მოსწრებული სიტყვისა არ იყოს, რეჟისორი სპექტაკლის გაფორმების დროს, „მთლიანად უნდა გადინერგოს მსახიობის შემოქმედებაში და იქ ჩაიწვასო“. ვიმეორებ, იმ ათიოდე დღის განმავლობაში, რაც ალ. წუწუნავასთან გავატარე სტალინირში ქართულ-ოსური სპექტაკლების დათვალიერებაზე, თეატრის სტუდიად გარდაიქმნა. იმდენი რამ ითქვა მნიშვნელოვანი ალ. წუწუნავას მიერ, რომ უბის წიგნაკში ჩაწერასაც ვერ ვასწრებდი. მან ერ-

თხელ ვალერიან გუნიას სიტყვებიც მოიხმარა: ნუ დაგავიწყდებათ, ყმაწვილებო, რომ ვალ. გუნიას სიტყვებისა არ იყოს, „სცენა საჯარო ტრიბუნაა. რომელსაც ყურს უგდებს არა ერთი და ორი, არამედ ათასი და ათი ათასი. ყურს უგდებს არა ერთი რაიმე გრძნობა, არამედ ყველაფერი: ყური, თვალი, გონება, ადამიანის ყოველი ცხოველი ინსტინქტი“. ამიტომ იყო, რომ როგორც ქართველ მსახიობთა კოლექტივი, ისე ოსი მსახიობები და რეჟისორები გულთბილი მადლობით იღებდნენ ალ. წუწუნავას ყოველ რჩევასა და დარიგებას.

* * *

ჯერ კიდევ 1905 წელს, როდესაც სამშობლოში პირველად დაბრუნდა მოსკოვის ბარიკადების ცეცხლში გზამოვლილი ალ. წუწუნავა, დიდი სურვილი ჰქონდა, რომ როგორმე ქართულ თეატრში მოწყობილიყო. ვინ იცის, ბედს რომ ეოხუნჯა და ეს სურვილი ახდენოდა, ჩვენ სულაც აღარ გვეყოლებოდა იგი როგორც თვალსაჩინო რეჟისორი, საბედნიეროდ ეს ასე არ მოხდა, რადგან თეატრში მოწყობა ძნელი იყო.

ალ. წუწუნავამ ისევ მოსკოვს მიაშურა და როგორც დავინახეთ სამხატვრო თეატრში დაამთავრა სარეჟისორო კურსები, რის შემდეგ იგი ბრუნდება სამშობლოში და პირდაპირ სახალხო სახლს მიაშურებს, აქვე მოხდება მისი ოფიციალური გამოსვლა როგორც რეჟისორისა და სამხატვრო თეატრის ტრადიციების მიმდევრისა.

სადებიუტოდ ალ. წუწუნავამ სახალხო სახლის თეატრში აირჩია გაბრიელ დ'ანუნციოს იმ დროს დიდად გახმაურებული პიესა „იორიოს ასული“, იოსებ იმედაშვილის თარგმანით. „იორიოს ასული“, როგორც დ'ანუნციოს იმ დროინდელი სხვა პიესები და თვით რომანები, ამბრუცის ციკლიდან ამოღებული პიესაა. ამბრუცი შუა იტალიის მეტისმეტად ველური ოლქია, მთიანი, გრანსასოს კლდოვანი ნაპრალებით და მწვერვალებით. ასეთ ველურ ბუნებაში დ'ანუნციოს გამოჰყავს მეტად მძაფრი ხასიათის მწყემსი პერსონაჟები, რომელთა სიყვარულიც, შურისძიებაც, წყევლაც და გულითადობაც პირველყოფილი სიძლიერით არის აღსავსე. რეჟისორს და მსახიობებს დიდი

გასაქანი აქვთ, რომ მაღალნიჭიერი თამაშით და სასურველი ანსამბლის შექმნით დაატყვევონ მაყურებელი. სამწუხაროდ, ალ. წუწუნავას არქივში ჯერ არაა აღმოჩენილი ახსნა-განმარტება, თუ როგორ დასდგა მან ეს პიესა, სამაგიეროდ ამ ხარვეზს ავსებს გაზეთ „ჩვენი აზრის“ რეცენზენტი, რომელიც ასე აგვიწერს წუწუნავას ამ სადებიუტო დადგმას:

„პარასკევს, 26 ივნისს, — ამბობს იგი, — სახალხო სახლში წარმოადგინეს პიესა „იორიოს ასულის“ პირველი აქტი, რომელიც დადგა მოსკოვის სამხატვრო თეატრის სარეჟისორო სკოლის მოწაფემ ალ. წუწუნავამ.

„იორიოს ასული“ მეტად რთული და ძნელია წარმოსადგენად, მოთამაშედ გამოდიოდნენ სცენისმოყვარულნი, რომელთაგან ზოგი ვგონებ პირველად იყვნენ სცენაზე. სასიხარულოდ ვნახეთ ახალგაზრდა რეჟისორის გამარჯვება, მან ეს სცენის მოყვარენი დიდ მსახიობებად გარდაქმნა. განსაკუთრებით იორიოს ასულის როლის შემსრულებელი ქ. მდივანი ხომ უნაკლო იყო. მაგრამ ჩვენი ახალი ხელოვნების პრინციპის თანახმად მეტ ყურადღებას ვაქცევდით რეჟისორის როლს. საერთოდ ანსამბლის შექმნას. უნდა ითქვას, რომ ყველანი თავის ადგილზე იყვნენ. ამიტომ საერთო მწყობრი თამაშის შთაბეჭდილება ფარაედა კერძო პირების ხელოვნურ თამაშს. თამაში მხატვრული იყო. საერთოდ ყველას მოქმედება შეთანხმებული და ბუნებრივი გამოდგა, თითქოს სცენაზე კი არა, თვითონ ცხოვრებაში ხდებოდა. ყოველივე ხმა, სიარული, ყვირილი, ერთი სიტყვით ყველაფერი, რასაც ვხედავდით და ვისმენდით, პიესის შინაარსთან შეწონილ-შეზომილი იყო, ყველაფერს ბუნებრიობის ბეჭედი ესვა. აქ თითქოს ყველაფერი თავისით მიმდინარეობდა“.

შემდეგ ასე განაგრძობს რეცენზენტი:

„ქართულ სცენაზე უკეთესი მოთამაშენი ბევრნი გვინახავს, უკეთესად დადგმული პიესა კი არც ერთი. ნიჭიერი მსახიობთ ხშირად გაუტაცნივართ, მაგრამ მათ გვერდით ხელობის ჯალათის, მეორეხარისხოვან მსახიობთა ჩხავილს, ყოველი ეფექტი დაუკარგავს და სიამოვნება ჩაუმწარებია. ამ დღეს კი საერთო შთაბეჭდილება მეტს გვიტაცებდა, ვინემ თუნდაც შეუდარებელი თამაში ქ-ნ მარო

მდივნისა. აქ ყველანი ცოცხლობდნენ სცენაზე, აქ იყო კოლექტიური თამაში და არა კერძო მსახიობების, თვით სტატისტებიც ცოცხალ ადამიანებს გვანდნენ, ნამდვილ არსებათ და არა ტიკინებს და სადეკორაციო მასალას. ეს მთავარი ღირსება ახალი ხელოვნების სავსებით დაცული იყო. და ამით ეს წარმოდგენა ერთადერთი იყო ჩვენს სცენაზე. ჩვენ არ გვინახავს უკეთესად დადგმული წარმოდგენა. საზოგადოებამ რეჟისორის ხელი იგრძნო ამ პიესაში, ამიტომ ალ. წუწუნავა არა ერთხელ გამოიწვია და მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვა"...*

ცნობილია, ყოველი ახალი ხელოვანის გამოჩენისას, იქნება ეს მხატვარი, პოეტი, მოქანდაკე, რეჟისორი თუ აქტიორი პირველ რიგში დაინტერესებული საზოგადოება სვამს საკითხს: რა სიახლე მოაქვს ახლად მოვლენილ ხელოვანს? ალ. წუწუნავას დადგმულმა „იორიოს ასულმა" საზოგადოება დიდად დააინტერესა და აგერ მისი, ასე ვთქვათ, რწმუნებული რეცენზენტი ჩამოსთვლის მთელ რიგ სიახლეს, რაც ამ დადგმაში დაუნახავს. რეცენზენტი არ შიშობს აღიაროს, რომ ეს სპექტაკლი „ერთად ერთი წარმოდგენა იყო,—უკეთესი ჩვენ არ გვინახავს, საზოგადოებამ რეჟისორის ხელი იგრძნოო!".

ჩვენი თეატრის ისტორიისათვის რა საამაყო ფურცელია ეს რეცენზია! ჩანს, გაზეთ „ჩვენი აზრის" რეცენზენტი საკმაოდ მომზადებული და თეატრალურ ხელოვნებაში გაწვრთნილი ადამიანი ყოფილა, მან თავის სათქმელი თქვა. წითელი ზოლი გაავლო ძველსა და ახალ თეატრს შორის. ახალგაზრდა რეჟისორის ალ. წუწუნავას ხელით დადგმულ „იორიოს ასულით" იგი თეატრის განახლების ახალ თარიღს სვამს!

„იორიოს ასულის" დადგმამ სენსაცია გამოიწვია მთელ თბილისში. ახალგაზრდა რეჟისორს ულოცავდნენ, თაიგულებს უძღვნიდნენ, ხოტბას ასხამდნენ!..

ალ. წუწუნავას ახალგაზრდა დრამატურგებიდან ყველაზე უფრო მოსწონდა შალვა დადიანი, რომელშიც იგი ხედავდა არა მარტო დრამატურგს, არამედ მსახიობსაც, საიმედო რეჟისორსაც და თამამ

---

* გაზ. „ჩვენი აზრი", № 44, 1909 წ., 1 ივლისი

პუბლიცისტსაც. მას ყველა დარგში თანაბარი ვირტუოზობით შეეძლო ფარიკაობა. რა თქმა უნდა, შ. დადიანში ალ. წუწუნავა უფრო დრამატურგს შესტრფოდა და გატაცებით სწავლობდა მის ყველა ნაწარმოებს ამ დარგში, მისთვის თითქოს მისწრება იყო შალვა დადიანის „გუშინდელნი“, „როს ნადიმობდნენ“, ხელნაწერში გასცნობია შ. დადიანის პიესას „მღვიმეში“, რომლის დადგმა განუხორციელებელ ოცნებად დარჩა შავი რეაქციის თარეშის გამო, რომლის ფონზე შემზარავად გამოიყურებოდნენ ჯალათ სტოლიპინის ცნობილი „შავი ჰალსტუხები“. ალ. წუწუნავას თურმე მოეხაზა კიდეც პატარა ესკიზი, თუ როგორ ჩამოეშორებია პიესისთვის ალეგორიული ჯუბა და აქცენტი გადაეტანა მოქმედებაში ისე, რომ საზოგადოებას რეალისტურ ფონზე ეხილა „ბნელეთის მოციქულთა სამყარო“...

რაკი „მღვიმეზე“ ხელი არ მიუწვდა ახალგაზრდა რეჟისორს, მან ხელი მიჰყო ახალ დრამატურგების გამოვლენას მემარცხენეთა ბანაკიდან. პირველ რიგში სდგამს პოლიო ირეთელის მიერ გასცენირებულ ე. ნინოშვილის „ქრისტინეს“, ამას მიაყოლა იმავე ავტორის ორიგინალური პიესა „დამარცხებულნი“, შემდეგ რიგრიგად მისდევენ ტრიფონ რამიშვილის: „მეზობლები“, „ექიმი ბაშინჯაგიანი“, „შეშლილნი“, ნიკო შიუკაშვილის „მეგობრები“, იოსებ გედევანიშვილის „მსხვერპლი“, ნინო ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე“, მანვე დასდგა კოტე ფოცხვერაშვილის „აშენდა საქართველო“, რომლითაც დიდად დაინტერესებულა აკაკი. თავის მოგონებებში ამ სპექტაკლზე აკაკის საკმაო ადგილი დაუთმო ალიოშამ, პირველ ხანებში აკაკი თითქოს დასევდიანებული უმზერდა ჩვენი ახალგაზრდობის ფუქსავატობას, შემდეგ კი ხარხარი აუვარდა, როდესაც შეზარხოშებული სტუდენტები ილიას ნაწარმოებებს აკაკისად ასაღებდნენ და აკაკისას ილიასეულად. „დიახ, იცინოდა აკაკი, დაასკვნის მოგონებებში ალიოშა, მაგრამ ვაი ამ სიცილს! მაშინ მართლაც რომ „ცრემლზე უფრო მწარე იყო ეს სიცილი...!“

მშობლიურ მიწა-წყალზე დემოკრატიული მიმართულების თეატრში ალ. წუწუნავა სულ წინ მიდის, იზრდება. სახალხო სახლში დადგმული პიესები მისაბაძი გახდა ქართული თეატრის აქტიორებისათვის. ნათელი გახდა, რომ რაც სახალხო სახლის სცენაზე ფეხი

შესდგა ალ. წუწუნავამ, სცენისმოყვარეები იმდენად ამაღლდნენ, რომ მათ შორის ადგილი არ ჰქონდა ისეთ უდისციპლინობას და დაუდევრობას, როგორსაც კადრულობდნენ ზოგჯერ ჩვენი თეატრის კორიფეები. ქართული თეატრის დიდი მოჭირნახულე, პირუთვნელი მემატიანე მისი განვითარების ისტორიისა და დიდი რანგის მსახიობი ვალერიან გუნია გულისწუხილით აი რას მოგვითხრობს თავისი „ქართული თეატრის“ ფურცლებზე: „წარსულ კვირას ქართული დრამატიული საზოგადოების დასმა წარმოადგინა კნ. ბარბარე ჯორჯაძის სამ მოქმედებიანი კომედია: „რას ვეძებდი და რა ვპოვე“. გაბუნია-ცაგარლისა მაქთაღას როლს კარგად თამაშობდა, მაგრამ როლი რომ უკეთ სცოდნოდა და წამდაუწუძ „რა ჰქვიან“ არ ეხმარა, უფრო დიდ შთაბეჭდილებას დასტოვებდა მაყურებელზე“*.

მახსოვს, რომელიღაც ვოდევილში თუ კომედიაში ვასო აბაშიძე ვაჭრის როლში ხშირად იმეორებდა —. „შენ ხარ ჩემი ბატონი“.

როცა ვასოს ამის გამო უსაყვედურეს, მან ჩაიცინა და კრიალოსნის ჩამარცვლით უპასუხა:

— რა ვუყოთ, ქაჯან, „შენ ხარ ჩემი ბატონი“ — სულის მოსათქმელი მალამოა, როცა მსახიობმა როლი არ იცის!

ამაზე უარესი და საანეგდოტო ამბები დამართნიათ სვიმონიძეს, სოსო ივანიძეს და სხვებს... „პატარა კახი“ სოსო ივანიძემ ზეპირად იცოდა და ხშირად ისე შედიოდა როლში, რომ პარტნიორებსაც სტაცებდა სიტყვებს და თან ყურში წასჩურჩულებდა ხოლმე „შენი ჭირიმე, კიდევ მათქმევინე ცოტაო.“ მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს, ალ. წუწუნავას პრაქტიკაში ასეთ უპასუხისმგებლობის კაზუსებს აღარ ჰქონია ადგილი სახალხო სახლის თეატრის სცენაზე, რაც მან რეჟისორობას მოჰკიდა ხელი და სახალხო სახლში შევიდა სამოღვაწეოდ. ალ. წუწუნავას მიერ დადგმულ სპექტაკლებში მონაწილეობა მიუღიათ ჩვენი სცენის კორიფეებ-

---

* ვალ. გუნია, „ქართული თეატრი“ (1879—1889), გამომცემლობა „ხელოვნება“, 1953 წ., გვ. 14.

საც, უფროსი თაობიდან — ლადო მესხიშვილს, ვასო აბაშიძეს, ვალერიან გუნიას, კოტე ყიფიანს, კოტე მესხს, ნატო გაბუნია-ცაგარლისას, მაკო საფაროვა-აბაშიძისას, ლიზა ჩერქეზიშვილს, ვიქტორ გამყრელიძეს, შუა თაობიდან—ნინო ჩხეიძეს, ნინო დავითაშვილს, ტასო აბაშიძეს, ნიკო გოცირიძეს, ვალერიან შალიკაშვილს, კოტე შათირიშვილს, ახალი თაობიდან: მიხეილ ჭიაურელს, არადელ-იშხნელს, ნიკო გვარაძეს, ვიქტორ ნინიძეს, ვერიკო ანჯაფარიძეს, მიხეილ გელოვანს და სხვებს.

ალ. წუწუნავამ ისეთი ავტორიტეტით შეჰმოსა თავისი სახელი, ისეთი მკაცრი დისციპლინა განამტკიცა მსახიობთა შორის, რომ მის განკარგულებას ყველანი წარბშეუხრელად ემორჩილებოდნენ. ანსამბლმა თავისი ადგილი დაიკავა! საზღვარი დაედო აქტიორის ინდივიდუალურ „თავის გამოჩენას". თვით უსიტყვო მონაწილენი, ანუ სტატისტები მანეკენობას თავს აღწევენ და კოლექტიური შეხმატკბილებით ბუნებრივ სახეს იძლევიან სპექტაკლში. ბევრჯერ დაუდგამს ალიოშას მდარე ნაწარმოებნიც, მაგრამ ეს მდარე პიესებიც ნიჭიერი რეჟისორის ხელში საინტერესოდ რჩებოდათ მაყურებლებს.

* * *

ალ. წუწუნავას სახელი მალე თბილისსაც გასცდა. განსაკუთრებული სიმპატიით განიმსჭვალნენ მისდამი ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის მუშა-მოსამსახურენი. გაიგეს თუ არა, სახალხო სახლის ახალგაზრდა რეჟისორი რეპერტუარში უფრო ისეთ პიესებს არჩევს, რომლებიც მუშათა გულისწრაფვას ემსახურებაო, აღარ დაუყოვნებიათ და 1910 წელს ჭიათურის თეატრში მიიწვიეს. ალიოშა შეყოყმანდა. მეგობრები ურჩევდნენ არ წასულიყო, რადგან ჭიათურა მეტად ჩამორჩენილი უბანია და შენს წინსვლას შეაჩერებსო. გულშემატკივართა ასეთი რჩევის მიუხედავად, მან მაინც გადაწყვიტა წასვლა. როდესაც ადგილობრივი სცენის მოყვარენი შეამოწმა, დაინახა, რომ საქმე არც ისე ცუდად იყო, როგორც მას უხატავდნენ. ალ. წუწუნავა ენერგიულად შეუდგა მუშაობას და 1910

და 1911 წლის სეზონში ღირსსახსოვარი კვალი დაამჩნია ჭიათურის თეატრალური ცხოვრების ისტორიაში.

პირველ ხანებში ჭიათურის თეატრის სცენისმოყვარენი დიდად ჩქარობდნენ სახელის მოხვეჭას. მათ ეგონათ, წუწუნავა ერთის დაკვრით დაავაჟკაცებდა და აამაღლებდა თეატრს, არ ეჭაშნიკათ, რომ წუწუნავა საკმაო დროს ანდომებდა რეპეტიციებს და პიესას ისე არ გამოიტანდა სცენაზე, ვიდრე ყველას ზედმიწევნით არ ეცოდინებოდა თავისი როლი. ზოგ სცენისმოყვარეს ეს ზედმეტ გაჭიანურებად ეჩვენებოდა. ალიოშა მამაშვილურად ამშვიდებდა გულსწრაფ ჭაბუკებს.

—არა, სათეატრო საქმეში აჩქარება არ იქნება, ამხანაგებო... რასაც დავდგამთ, სარკესავით ნათელი უნდა იყოს, შეგნებული თამაშით უნდა მოვინადიროთ მაყურებლები.

და, მართლაც როგორც თავის მოგონებებში აგვიწერს ჭიათურის თეატრის პირუთვნელი მემატიანე რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი გიორგი ნუცუბიძე, 1910-11 წლის სეზონში „დაუვიწყარი ხანა შეიქნა ჭიათურის ისტორიაშიო“ და შეძლეგ გაბედულად განაგრძობს: „ნამდვილი ხელოვნება სწორედ ამ სეზონში დაინახა ჭიათურის საზოგადოებამ, ამ წელს აღიზარდნენ ნამდვილი თეატრალური ძალები, უბრალო სცენისმოყვარენი ალ. წუწუნავას ენერგიისა და ნიჭის წყალობით ამაღლდნენ, დავაჟკაცდნენ... ალ. წუწუნავამ სცენისმოყვარეებისათვის შემოიღო რკინისებური დისციპლინა, რამაც დიდი აღმზრდელობითი როლი ითამაშა. მაშინვე შეიმუშავა წესდება სცენისმოყვარეთათვის, რომლის შინაარსი ნორმალური და წესიერი მუშაობისაკენ მოუწოდებდა სცენისმოყვარეებს“*.

ახალგაზრდა რეჟისორმა რიცხობრივად საკმაოდ ბლომად მოასწრო ახალი პიესების დადგმა, მაგრამ არც ერთი არ ყოფილა ისეთი, სადაც მაყურებელს „უპასუხისმგებლობა“ ეგრძნოს. პირველ რიგში მან საზოგადოებას გააცნო პოლიო ირეთელის მიერ

---

* იხ. ნარკვევი „ჭიათურის მუშათა თეატრი“, გ. ნუცუბიძის წერილი „წარსულიდან“, გვ. 18—19.

გასცენიურებული ეგ. ნინოშვილის მოთხრობა „ქრისტინე“, შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ პიესა ზედიზედ რამდენიმეჯერ დაიდგა. შემდეგ საზოგადოების მოთხოვნით დასდგა „ღალატი“, ჭიათურის მუშებსა და საზოგადოდ მოსახლეობას „ღალატი“ ბევრჯერ ენახათ, მაგრამ სულ სხვა იყო ალ. წუწუნავას დადგმული „ღალატი“; განსაკუთრებით გოგოლის „რევიზორის“ დადგმით ისეთი ფურორი მოახდინა, რომ გ. ნუცუბიძის მოწმობით არა თუ ქართველი მაყურებლები, არამედ რუსები და უცხოელებიც, ბერძნები, ფრანგები, გერმანელები, ერთი სიტყვით, ვინც უშუალოდ დაკავშირებული ყოფილა შავიქვის მრეწველობის წარმოებასთან, ბლომად ესწრებოდნენ. უცხოელებს გვერდით თარჯიმნები უსხდნენო, — გვეუბნება ხსენებული მემატიანე, — ისინი განცვიფრებით თვალს ადევნებდნენ გუშინდელ სცენისმოყვარეთა ასეთ ზრდას. ასეთ შეხმატკბილებულ მათს თამაშს. და ბოლოს დასძენს: „1910-11 წლის სეზონში ჭიათურის თეატრმა უმაღლეს წერტილს მიაღწია. იმავე დროს ეს სეზონი გახლდათ სცენის მოყვარეთა აღზრდისა და გამოცდილების შეძენის წელი, წელი მუშათა კულტურული გათვითცნობიერებისა და ამაღლებისა“*.

მუშათა გათვითცნობიერებას მოჰყვა სასიამოვნო მოვლენა: მუშები ებმებიან სათეატრო საქმიანობაში, უჩვეულო გატაცებით ეწერებიან თეატრალური საზოგადოების წევრებად. სამაგიეროდ ეს მოვლენა არ ახარებთ შავი ქვის მრეწველობის კონცესიონერებს, რომლებიც სულ უცხოელები იყვნენ და საკმაო შიშიცა ჰქონდათ 1905 წლის რევოლუციის დროს. თეატრის მარცხნივ გადახრის საკითხმა შეაფიქრიანა ისინი. თეატრალური საზოგადოების გამგეობის წევრებისაგან მალე გაიგეს ალ. წუწუნავას ვინაობა, მისი რევოლუციური წარსული, და საიდუმლო თათბირზე დაადგინეს, რომ ზრდილობიანი გზით ჭიათურის თეატრიდან გაეძევებინათ ალექსანდრე წუწუნავა. ასეც მოიქცნენ. ალ. წუწუნავა გაათავისუფლეს რეჟისორის თანამდებობიდან, ზრდილობიანი ბოდიშებით, ვითომ თეატრს დიდად უჭირს რეჟისორის შენახვაო. რა გაეწყობო-

* იხ. ნარკვევი „ჭიათურის მუშათა თეატრი“, გ. ნუცუბიძის წერილი „წარსულიდან“, გვ. 19.

და. აქ ყველაფერი ნათელი იყო, ალიოშა ჭიათურას უნდა გასცლოდა, ოღონდ გამგეობისაგან გამოითხოვა, როგორმე სეზონი მომთავებინეთ, თუნდაც ხელფასს ნუ მომცემთო. ამის შემდეგ ორმოცდამეხუთე სპექტაკლი უკვე უკანასკნელი უნდა ყოფილიყო. სცენისმოყვარეთა და მუშათა დელეგაციის მოთხოვნით ეს სპექტაკლი რეჟისორის საბენეფისოდ გამოაცხადეს. აუარებელი ხალხი მოაწყდა, ვიღას აინტერესებდა სპექტაკლი? ფარდის შერხევისთანავე აღმოჩნდა,რომ ხალხი უფრო რეჟისორის საპატივცემოდ მოსულიყო, ვიდრე სპექტაკლის სანახავად, რიგრიგად მოდიოდნენ მუშები, მოჰქონდათ თაიგულები და ნაირნაირი საჩუქრები. მოართვეს ოქროს საათი წარწერით: „ჭიათურის თეატრის სცენისმოყვარეთაგან“. „ბენეფისი, — გვეუბნება სპექტაკლის ერთ-ერთი მონაწილე, — დიდ იუბილეს უდრიდა, ნამდვილი ტრიუმფი იყოო“.

ჭიათურის შემდეგ ალ. წუწუნავას კვლავ თბილისში ვხედავთ. იგი უბრუნდება საყვარელ სახალხო სახლს, რომლის მუშაობა იმდენად წინ წასწია, რომ საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა. 1914 წელს ამ მუშაობას შეეხო სამსონ ფირცხალავა, ცნობილი ფელეტონისტი „სიტყვა“, რომელმაც შვიდ მარტს „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა მშვენიერი წერილი „მხატვრულ ქვის ნატეხები“, მომცველი ალ. წუწუნავას რეჟისორული ნიჭის გამოვლენათა შეჯამებისა. მოვიყვანოთ შემოკლებით ეს წერილი: „...სახალხო სახლში ალ. წუწუნავას საბენეფისოდ დაიდგა შ. დადიანის ზღაპარი „პირიმზე“. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ბ-ნ წუწუნავას საპატიო ადგილი აქვს მოპოვებული ჩვენს სასცენო მოღვაწეთა შორის. მის დადგმულ სპექტაკლებს ამჩნევია ნამდვილი მხატვრის ბეჭედი. თქვენთვის ნათელია, რომ საქმე გაქვთ არა განუვითარებელ ხელოსანთან, რომელსაც ზიზილ-პიპილებით და უალაგო ალაგას აჭრელებული ფერადებით უნდა, რომ მოგხიბლოთ, არამედ მხატვართან, რომელიც აღჭურვილია ჭეშმარიტ ხელოვნების გემოვნებით. ბ. წუწუნავა ძლიერ შეზღუდულია როგორც საკმაო საარტისტო ძალების უქონლობით, ისე სასცენო მოწყობილობით და დეკორაციების სიღარიბით; საბედნიეროდ, ბ- ნი წუწუნავა თავისი მხატვრული ნიჭის წყალობით ახერ-

ხებს მშვენიერი წარმოდგენების გამართვას სახალხო თეატრის ღარიბ სცენაზე...

„სახალხო თეატრის რეჟისორმა თავის საბენეფისოდ დადგმულ „პირიმზეში“ სიმბოლური გამოხატულება ბოროტი და კეთილი სულებისა ისე ჩინებულად მოაწყო, რომ მთელი სანახაობა ღრმად ჩაეჭრა მაყურებელთა გონებას. უკეთესი დადგმული ნაწარმოები ჯერ ქართულ სცენას არ უნახავს. ფარდის ახდისთანავე დაინახავთ ერთ მხარეზე მიწოლილ-მიგდებულ მსახიობთ, რომლებიც ბოროტ სულთა ბატონმა საღათასებური ძილით დააძინა. მძინარე მეომარი სულ რვა კაცია, მაგრამ ეს რვა იმნაირად არიან მიწყვეტილ-მოწყვეტილნი, ისე არიან მიმკვდარებულნი, ისე აშლიათ თმები და ისე უმიზნოდ ჰკიდიათ იარაღი, რომ მაყურებელი ცხადად გრძნობს, აქ საშინელი უბედურება დატრიალებულა და ბოროტ სულს შეუბორკავს ყოველივე. სცენის გარედან მოისმის სამგლოვიარო მუსიკა. შემოდის ზღვის ასული, სიმწრით დასცქერის უბედურ მეომრებს და თეთრი ყვავილებით შეამკობს მათ, ამით თითქოს ანუგეშებს მათ სულებს. ჯერ ნაღვლიანი მუსიკა არ შეწყვეტილა, რომ მოისმის შორიდან მგლების ღმუილი, ესენი არიან მავნენი, ბოროტი სულები. შემოდიან შავი ყორნებივით სიკვდილის ჩონჩხები და თითქოს სამარის სიო დაუბერავს ირგელივ. აგერ მათი ბატონიც მაღლობზე რკინის სახიანი, რომელიც წყევლასა და კრულვას უგზავნის ადამიანის შთამომავალთ და ემუქრება მთლად მოსპობას. აგერ დედამიწის ასული, რომელიც პირიმზის მიახლოვებას წინასწარმეტყველებს და რომელსაც გესლიანად დასცხრომიან ყორნები, მაგრამ შორს ცეცხლი გამოჩნდება, ისმის გმირული ხმა და დაინახავთ პირიმზის დასახსნელად წამოსულ დევგმირთა ლაშქარს. ბოროტი სულები იფანტებიან. პირიმზე ბრწყინავს. მის სახეზე აღბეჭდილია რისხვა, უძლეველობა. ბრძოლა არ მომხდარა, მაგრამ გრძნობთ, ვინ გაიმარჯვებს. სინათლის შუქი ჰფენია გმირების მხარეს. სურათი საუცხოოდ და მხატვრულადაა გაფორმებული, ძლიერია, იგი ჩარჩოში ჩასმულ მშვენიერების ნატეხს მოგაგონებთ.“

ბოლოს ასე ამთავრებს ს. ფირცხალავა:

„დიდხანს ვუყურებდი ჩემს წინ ჩამოშვებულ ფარდას და ვცდილობდი იმის იქით გამეჭვრიტა და დამენახა წარმტაცი სანახაობა. იშვიათად დავბრუნებულვარ თეატრიდან ასე კმაყოფილი და სულიერად წახალისებული, როგორც დავბრუნდი მშვენიერად შემკულ ამ სპექტაკლის შემდეგ. შეუძლებელია გულითადი სიხარული არ მიუძღვნა ადამიანს, რომელიც გზას უკაფავს ახალ ქართულ თეატრს“*.

ფირცხალავას ამ წერილში ორი მომენტია საყურადღებო: ერთი ის, რომ ისიც როგორც „ახალი აზრის“ რეცენზენტი „იორიოს ასულის“ დადგმის გარჩევის დროს, ხაზგასმით აღნიშნავს, „უკეთესი დადგმა ქართულ თეატრს არ უნახავს“, და მეორე ის, ალ. წუწუნავაში ხედავს მძლავრ ახალ ძალას, რომელიც „გზას უკაფავს ახალ ქართულ თეატრს“. ორივე შემთხვევაში „ქართულ თეატრში“ იგი გულისხმობს ქართული დრამატიული საზოგადოების თეატრს და მას უპირისპირებს სახალხო თეატრს, რომელიც ალ. წუწუნავას წყალობით სულ წინ მიიწევს აღმავლობის გზით მწვერვალისაკენ. დასკვნითი სიტყვა სწორედ დრამატიული საზოგადოების გასაგონად იყო ნათქვამი, რომ ქართულ თეატრს ალ. წუწუნავას მიერ გაკაფული „ახალი გზით ეარნა“, დრამატიული საზოგადოების გამგეობამ დაჰხარა ქედი და ალ. წუწუნავა მიიწვია ქართული თეატრის ახალი სეზონის ხელმძღვანელად.

* * *

ქართულმა თეატრმა სულ მალე იგრძნო ალ. წუწუნავას ხელი, რომელმაც თეატრში მსახიობთა თვითნებობასა და ძველებურ უპასუხისმგებლობას სასტიკი საზღვარი დაუდო. დამყარდა დისციპლინა. ალ. წუწუნავამ სადებიუტოდ აირჩია იოსებ გედევანიშვილის უკვე გახმაურებული პიესა „მსხვერპლი“. პიესას აქტიორები კარგად იცნობდნენ, ამიტომ პირველი რეპეტიციის დროს თვითმდინარეობას მოეჭიდნენ და რეპეტიცია დაიწყეს ისე, რომ რეჟისორის გეგმას არ გასცნობიან. ალ. წუწუნავა გაშტერდა, ბეგლარ ახოსპირელს,

* იხ. „სახალხო გაზეთის“ 7 მარტის ნომერი.

იმდროინდელ სუფლიორს, პიესა ჩამოართვა და მის გვერდითვე დაჯდა. ნახევარი სცენაც არ გაევლოთ მსახიობთ, რომ ალ. წუწუნავას უკმაყოფილების ნისლმა გადაჰკრა, პიესა იღლიაში ამოიდო, წამოიწია, და მსახიობნი შეაჩერა, ვასო აბაშიძეს არაფერი უთხრა, მაგრამ ხელკავი გაუკეთა და მიზანსცენა ისე შეუსწორა, თითქოს სხვა მსახიობებს ელაპარაკებოდა. „ნუ დაივიწყებთ, რომ ახლა განთიადია, მამლის ყივილი. საქო მედუქნე (ვასო აბაშიძე) დუქნის წინ უნდა იწვეს. გამოღვიძებამდე კარგა დრო ექნება. მზე ნელინელ ამოჰყოფს თავს, სადღაც ძაღლი დაიყეფს, იქ მამალი იყივლებს. აქა-იქ სოფლელები სხვადასხვა მხრიდან მოედინებიან. საქო შეიშმუშნება. იღვიძებს, ამთქნარებს. პირჯვარს იწერს, გლეხების მისალმებაზე ზარმაცად უპასუხებს „გამარჯობას“, და მხოლოდ მაშინ გაიშლება წელში, როდესაც რომელიმე გლეხი „ტაქან არაყს“ მოსთხოვს გადასაკრავად“.

ალ. წუწუნავა მთელ საათს მოუნდა სოფლის გაღვიძების აღწერას და მიზანსცენების დადგენას. არც ერთი მსახიობი არ დასტოვა, რომ ინტონაცია არ შეესწორებინა, ან თვითონვე არ მიეცა პოზის მაგალითი. ასევე ფართოდ გაშალა უსიტყვო სცენები სოფლური ჯანსაღი კოლორიტით.

არა ნაკლებ საინტერესო იყო მსახიობთათვის თითოეული როლის გარჩევა. ალ. წუწუნავა ხაზგასმით აღნიშნავდა: „მსახიობმა უნდა იცოდეს არა მარტო თავისი როლი, არამედ პარტნიორისაცაო.“ როლის ფსიქოლოგიური შინაარსის გადმოცემა მოქმედებით—აი რას თხოულობდა იგი მსახიობისაგან. თვითეული პერსონაჟის მოქმედებას გზადაგზა სულ ახალ-ახალი მოტივებით ამდიდრებდა. ყველაზე მეტი დრო მოანდომა სოფლის თავყრილობას, რომ გამორკვეული ყოფილიყო სტრაჟნიკის მკვლელის ვინაობა და არა მსხვერპლის გაღება, რომ სოფელს ასცდენოდა დარბევა-განადგურება. ალ. წუწუნავა ამ თავყრილობას იმიტომ აქცევდა დიდ ყურადღებას, რომ ამით გამოეკვლინებია სოფლის სიბრძნე, სოფლის პატიოსნება, მისი შორსმჭვრეტელობა, რაინდული თავდადება. სულ პატარ-პატარ რემარკებით იხსნებოდა დიდი მნიშვნელობის დეტალება სრულყოფილი პორტრეტების მისაღებად. აი, წელში გაიმართება

გაბუა (ვ. გამყრელიძე), დღესაც ჩემს სმენას ატკბობს მისი იშვიათი ინტონაცია, ხანდაზმული გლეხის დინჯი მანერები, თვითეული მიგნებული სიბრძნის მოკვეთა საოცარი სისადავით და სიდიადით. აგერ მამასახლისი (გ. ფრონისპირელი) მარტო ის რად ჰღირდა, რომ პორტრეტულ მსგავსების გარდა არ ივიწყებდა წამდაუწუმ კისერზე ჩამოკიდებულ ჯაჭვის შერხევას, რითაც ყოყლოჩინად გაუწყებდათ, რომ ის „ხელმწიფის კაცია“ და რომ მასთან ხუმრობა არ შეიძლება. აგერ ტრაგიკული ფიგურა გულუბრყვილო გიგუა ტეტიაშვილისა. მისი განსახიერება ახალგაზრდა რეჟისორმა იშხნელს მიანდო. აქაც ძალიან დიდხანს შეჩერდა ამ ფიგურის ინდივიდუალური მხარეების გასარკვევად. 1905 წლის რევოლუციამ წარმოშვა სრულიად ახალი ტიპი მებრძოლისა, რომელსაც ხალხმა „წითელი რაზმელი“ უწოდა. გიგუა წითელრაზმელია. გიგუას ოცნებაა ამაღლდეს შეყვარებული გოგონა ნატოს თვალში (ანეტა ჭიქოძე), იგი დაიბნა—თავისი ინიციატივით საიდუმლოდ ჰკლავს სოფლისთვის აბეზარ სტრაჟნიკს. ეს ამბავი ხდება მაშინ, როდესაც რევოლუცია შენელების გზას დაადგა და რეაქცია იწყებს მძვინვარებას. რეაქცია სულთამხუთავივით თავზე წამოადგა სოფელს: ან სტრაჟნიკის მკვლელის აღმოჩენა, ან არა და სოფლის დედაბუდიანად გადაბუგვა. სოფლის ყრილობაზე დიდი მიხლა-მოხლაა. გიგუას არ ჰყოფნის სითამამე გამოტყდეს სტრაჟნიკის მკვლელობაში; სამაგიეროდ გამოდის მისი რიგითი ამხანაგი, დედისერთა წითელრაზმელი ვანო (ალ. იმედაშვილი). ის დაიბრალებს მკვლელობას და სახრჩობელაზეც თამამად ადის, როგორც სოფლის მსხნელი. ახლა მიხვდება გიგუა, რომ წითელი რაზმელი, უნდა ყოფილიყო სპეტაკი, უშიშარი. სინამდვილეში კი იგი გარდაიქმნა მძორის მაძებარ ყორნად, რომელსაც თვალები მოსთხუპნია უმანკო მსხვერპლის—ვანუას სისხლით. მაშასადამე, გიგუას როლის ამსრულებელი აქტიორისათვის არ კმაროდა უსუსური დეკლამაცია, არ ყალბი პათოსით გადმოცემული სიყვარულის ახსნა, სტრაჟნიკის მოკვლამდე და არც სახრჩობელაზე ამხანაგის გაგზავნის შემდეგ მელოდრამატიული სცენიური გაწამაწია. რეჟისორი მოითხოვდა, რომ მსახიობს ეჩვენებინა დამცინავი ბედის მიერ გიგუას ტუჩებზე

შეთამაშებული გესლიანი ღიმილი მრავალფეროვანი ნიუანსებით, რომელიც მართლაც და განუმეორებლად გადმოსცა არადელ იშხნელმა და სცენის ოსტატის სახელიც ღირსეულად დაიმსახურა.

ანეტა ქიქოძესაც თავსამტვრევი ამოცანა მისცა. მისი ნატო უნდა ყოფილიყო არა მარტო მინდვრის ყვავილი, არამედ სტრაჟნიკის მკვლელის ვითომდა გმირობით მოხიბლული არსება, რომელიც სრულიად გულუბრყვილოდ იკიდებს მკვლელი წითელი რაზმელის ცოდვას სოფლის წინაშე.

ალ. იმედაშვილისათვის ბევრი დრო არ დაუხარჯია, თუ რა უნდა დაეხატა მას სოფლის მიერ გაღებული მსხვერპლის დახატვის დროს: მისი ვანო უნდა ყოფილიყო წითელი რაზმელი, სოფლის პატიოსნებისა და გმირობის სახელის დამცველი, სოფლის ბედნიერებისთვის თავდადებული უანგარო მებრძოლი ვაჟკაცი.

ახლა გაბუა (ვიქტორ გამყრელიძე), ეს ხომ სოფლის პატიოსნების მედროშე უნდა ყოფილიყო, სოფლის სიბრძნის გამომვლინებელი ჯადოსანი, რომლის განსახიერების საიდუმლოება გამყრელიძემ თან ჩაიტანა საფლავში.

არტისტებში გიორგი იშხნელი მეტად თავნება კაცი იყო, ბუნტარული სულის მსახიობი. თუ როლი არ მოეწონებოდა, ან პარტნიორი, მოგეჩამათ ჭირი, უმალვე ხელიდან გაგისხლტებოდათ. მას ძალღონე არ ჰყოფნიდა, რომ კოლოსალური ნიჭი სცენისათვის საჭირო დისციპლინისათვის დაემორჩილებია. აი ასეთი თავნება მსახიობი, სულ მალე მოათვინიერა ახალგაზრდა რეჟისორმა და აგრძნობინა, რომ მარტოოდენ ნიჭი არ კმაროდა, საჭირო იყო წრთვნა, დისციპლინა. ჩვენდა საბედნიეროდ მან ქედი დახარა და გულმოდგინედ შეუდგა გიგუა ტეტიაშვილის როლის ახლებურად შესაწავლას.

თუ რა ბედნიერი ფურცელი გადაიშალა იშხნელის ნიჭის დამორჩილების შემდეგ ჩვენი თეატრალური მიღწევების მატიანეში, დავიმოწმებ პატივცემულ ალ. ბურთიკაშვილს, რომელიც აი რასა წერს არადელ-იშხნელის ტეტიაშვილზე:

„...განა ადამიანის გონებას შეუძლიან წარმოიდგინოს უკეთესი თამაში? თქვენს წინ იდგა არა მსახიობი გიგუა ტეტიაშვილის

როლში, არამედ ქართლის მიყრუებულ სოფელ ბრეთის, ანდა არაღეთის გლეხი, პირველი რევოლუციის შემდეგ გზააბნეული, თავისი ვნების მონა, თავზე ხელაღებული ადამიანი, რომელიც პირადი კეთილდღეობის გულისათვის არავითარ ბოროტებას არ ერიდება, და აი, მისი წყალობით სოფელს თავს დაატყდება უბედურება — უმანკო მსხვერპლი შეეწირა სოფელს. სტრაჟნიკის მკვლელი გიგო გადარჩება, უდანაშაულო ვანო კი ჩამოახრჩეს. მაგრამ გულის სიღრმეში სინდისმა გაიღვიძა, მოიშალა გიგო, საშინელი მსხვერპლი მოსვენებას არ აძლევს, სინიდისი ჭეჯნის, როცა ცოლი ფულს უკან მიაყრის და ეტყვის, ვანოს დედამ არ მიიღო—სისხლის სუნი უდისო, მაშინ უნდა გენახათ მსახიობის სახეზე აღბეჭდილი ტანჯვა და მწუხარება. აქ არ იყო თეატრალობა, არა, ეს უფრო მეტი იყო, თვითონ უკუღმართი მაშინდელი ცხოვრება"*.

სრული ჭეშარიტებაა! მე ბევრ როლებში, მინახავს მანამდე ეს ბუმბერაზი სცენის ოსტატი. მაგრამ აქ მაინც სულ სხვა რამ იყო. იშხნელი ზოგჯერ ისეთ სცენებს ჰქმნიდა, რომ გედევანიშვილის „მსხვერპლის" გმირი ტეტიაშვილი ტრაგედიის გმირს უტოლდებოდა. მაყურებელნი ღელავდნენ, თვალებზე ხშირად ხელს ისვამდნენ, ალბათ მუქი სათვალეები სჭირდებოდათ, რომ დიდი მსახიობის მაღალ განცდათა ალს ისინიც არ დაეწვა.

და განა მარტო არადელ-იშხნელი იყო ასე ბრწყინვალე, თვით ისინიც, ვინც მეორეხარისხოვან როლებში გამოჰყავდა ხოლმე, დღეს უტოლდებოდნენ სცენის კორიფეებს. „მე ვერ ვიცანი ჩვენი სცენა, — ამბობს ერთ-ერთი რეცენზენტი „მსხვერპლის" გამო გამოქვეყნებულ წერილში „პირველი ნაბიჯი", — სადღა იყო მსახიობთა ის დაუდევრობა, რომელიც ბეგლარს (სუფლიორს— პოეტ ბ. ახოსპირელს, დ. კ.) სულს აცლიდა. სადღა იყვნენ ის სასაცილო მანეკენები, აქამდის მასიურ სცენებს რომ ჰქმნიდნენ. კვირას ყოველივე ეს განდევნილი იყო და ქართული სცენიდან მოსჩანდა ის, რასაც ანსამბლი ეწოდება... გაფაციცებით ვადევნებდი

---

* იხ. ალ. ბურთიკაშვილის „სცენის ოსტატები", გამომც. „ხელოვნება", გვ. 41—42.

თვალყურს და ყველა ჰათგანი გამოძერწილი ტიპი იყო, თვითეულ-მა მათგანმა საუცხოოდ დაგვიხატა თავისი სახე, მისი არსი, მისი მსჯელობა, ისე რომ სულ ბუნებრივად გვიდგენდნენ, მწყობრად...“*

დიახაც, ალ. წუწუნავა სასიქადულო რეჟისორის სიმაღლეზე იდგა და მწვერვალებისაკენ მიისწრაფოდა.

* * *

საზეიმო სპექტაკლის შემდეგ ერთ დღესაც არ გაევლო, რომ დრამატიული საზოგადოების თეატრი ხანძარმა ჩანთქა. საზოგადოება დაიბნა, ის დიდი იმედები, რაც მათ აღეძრათ ახალი რეჟისორის მიერ დადგმული „მსხვერპლით“, უეცრივ გაჰქრა, სასოწარკვეთილებამ იფეთქა. თეატრის დაწვა დიდი ეროვნული უბედურება იყო. ხალხმა დაჰკარგა ერთ-ერთი შესანიშნავი ნავსაყუდარი, საიდანაც გაისმოდა ცოცხალი სიტყვა.

ეს საბედისწერო დღე ალიოშას სიტყვით გათენებულა 1914 წელს. დასი ღვთის ანაბარად იყო დარჩენილი, უთავშესაფაროდ, ყოველგვარი ნივთიერი დახმარების გარეშე. მეტი ღონე არ იყო, თვითონ მსახიობთ უნდა ეზრუნათ თავიანთ თავზე, დააარსეს ამხანაგობა და მიხეილ ქორელისა და ალ. წუწუნავას მეთაურობით მიადგნენ არტისტული საზოგადოების თეატრს—ტარტოს და მის დირექციას. როგორც იყო, კვირაში ერთი დღე ძლივს დაათმობინეს. მამასისხლად დაუჯდათ ეს ერთი დღე—რაკი დაინახეს ქართული დასი უბედურ დღეში ჩავარდაო, წარმოუდგენელი ქირა მოსთხოვეს. შემოსავალი სულ ქირის გადახდას უნდებოდა. ამ გარემოებით ისარგებლა „ტარტოში“ მომუშავე რუს მსახიობთა ამხანაგობამ და დასის ხელმძღვანელის ალ. ტუგანოვის რჩევით 1915 წელს ალ. წუწუნავა მიიწვია მთავარ რეჟისორად. სეზონის დამლევამდე ალ. წუწუნავამ რამდენიმე პიესა დადგა, რომელთა შორის თვალსაჩინო სპექტაკლებად ითვლება „რევიზორი“, „ვაი ჭკუისაგან“ და

---

* იხ. ალ. ბურთიკაშვილის „სცენის ოსტატები“, გამომც. „ხელოვნება“, გვ. 41—42. აგრეთვე ქ. „კლდეში“ მოთავსებული დიოგენის წერილი „პირველი ნაბიჯი“.

„ღალატი“. მინდა შევჩერდე ქართულად დაწერილ ერთ პრინციპულ ხასიათის წერილზე, რომელიც ეკუთვნის ალექსანდრე ახმეტელს: — „არ შემიძლია დავდუმდე მას შემდეგ, რაც მე ვნახე რუსულ ენაზე დადგმული „ღალატი“ და არ შევჩერდები იმიტომ, რომ ბ. წუწუნავა მართლაც მშვენიერი გემოვნების და მასთან დაკვირვებული რეჟისორი ყოფილა. მე პირველად ვხედავ მისი ხელმძღვანელობით წარმოდგენას. მართალია, ბევრი გამეგო მის მუშაობაზე, მაგრამ მე, როგორც ურწმუნო თომას, არ მჯეროდა, ახლა კი მეც დავრწმუნდი. ბ-ნ წუწუნავას ეტყობა, რომ სცენის ტექნიკა კარგად იცის. სცენა მეორე პლანის და რამპის მთელი მოქმედება გადმოაქვს ისეთი გაბედულებით, რომ სცენიური სიმეტრია სრულებით არ ირღვევა. ამასთანავე მიზანსცენების. იგი სრულიად სამართლიანად და მარტივად ანაწილებს ფერადების კონტრასტს და ილუზიათა კონტურებს. არ ეპატიება მხოლოდ ისეთგვარი სინათლის განაწილება სცენაზე, როგორც მას უნებებია. სინათლეს ისეთი მნიშვნელობა აქვს სცენაზე, რომ შეიძლება სულ უბრალო შეცდომამ მთელი სურათი მოსპოს. ამასთანავე ბ-ნ წუწუნავას ნაკლები ყურადღება მიუქცევია დრამის რიტმულობისათვის. „ღალატში“ კი ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. პირველი მოქმედების და მეხუთე მოქმედების პირველი ნახევრის რიტმი სულ სხვაგვარია, ვიდრე დანარჩენებისა...

ყველა ეს დეფექტები მაინც ხელს არ მიშლის სიამოვნებით ვაღიარო, რომ ქართულ სცენას მართლაც ჰყოლია ნამდვილი, საქმის მცოდნე და მოყვარული რეჟისორი ბ. წუწუნავა.“*

სეზონის გათავებისას ალ. წუწუნავა მიიწვიეს როსტოვის დრამატულ თეატრში. ერთი სეზონის წინ აქ რეჟისორად იყო ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი კოტე მარჯანიშვილი, რომელიც კიევში გადასულიყო. ამგვარად ალ. წუწუნავა ახლა უკვე რუსული თეატრის მუშაკი ხდება.

---

* რეცენზია ამოკრილი სახით ინახება ალ. წუწუნავას არქივში. თუ არ ვცდები, გაზეთ „საქართველოდან“ უნდა იყოს ამოღებული, სადაც იმ დროს თან ნამშრომლობდა ა. ახმეტელი.

მაგრამ აი ალიოშამ მიიღო მიპატიჟება საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბაქოს განყოფილებისაგან. და 1918 წლის იანვარში მას უკვე ვხედავთ ბაქოში. აქ ალექსანდრე წუწუნავა შეხვდება თავის ყოფილ მასწავლებელს ალიოშა ჯაფარიძეს, რომელიც გაამხნევებს მას, მისივე წინადადებით დასდგამს პოლიკარპე კაკაბაძის პიესას „უღელტეხილზე“ რუსულ ენაზე, რაც დიდის აღფრთოვანებით მოწონებულ იქნა მუშებისაგან და რამდენჯერმე გაამეორებინეს კიდეც. მაგრამ არც ბაქოს შერჩება იგი დიდხანს.

მაისის პირველ რიცხვებში ალ. წუწუნავას კვლავ თბილისში ვხედავთ, სამოქალაქო ცხოვრებაში გამეფებული იყო დიდი ქაოსი და თვითნებობა.

ქართული დასის შედგენაზე ოცნებაც კი შეუძლებელი იყო. ოპერისა და „ტარტოს“ თეატრის გარდა აღარც ერთი თეატრი არ მუშაობდა. წუწუნავას წინადადება მისცეს ოპერისათვის გაეწია ხელმძღვანელობა. დიდი ყოყმანის შემდეგ ალ. წუწუნავამ მიიღო წინადადება და ამით გადასწყვიტა როგორც თავისი მომავლის ბედი, ისე თვითონ ოპერის თეატრისაც.

* * *

ალ. წუწუნავამ დანიშვნა მიიღო 1918 წ. 18 მაისს.

მეტად მძიმე პირობებში მოუხდა მას მუშაობა ოპერის თეატრში. „თეატრი აუტანელ მდგომარეობაში დამხვდა“ — აღიარებს ალ. წუწუნავა თავის მემუარებში. — თეატრში ათასნაირი ჯურის ორგანიზაციას მოეყარა თავი. მოსამსახურეთა და მსახიობთა კავშირის გამგეობას მთავრობისა და დირექციის ლოჟებში მოეკალათებინათ. საშინელი უსუფთაობა, პაპიროსის ნამწვები, ნაგავი, სპექტაკლების დროს იმავე ლოჟებში მილეთის ხალხი თავს იყრიდა, იყო ერთი აურზაური, — ერთი სიტყვით თეატრში სრული ანარქია იყო გამეფებული. აი ამ ანარქიის წინააღმდეგ მიიტანა ალიოშამ პირველი იერიში და მალე წესიერება დაამყარა, თეატრი თეატრს დაამსგავსა.

შემდეგი ნაბიჯი იყო ქართული ოპერების ბედი. წარმოიდგინეთ, არა თუ ორიგინალური ოპერებისათვის დაეხშოთ კარი, არამედ ქართულად თარგმნილი ოპერებიც უგულებელეყოთ.

ქართული ეროვნული ოპერის პირველი გაზაფხული არსებითად ალ. წუწუნავას სახელთან არის დაკავშირებული. მისი ინიციატივით ფილარმონიულ საზოგადოებაში საგანგებო კრება იქნა მოწვეული, სადაც ოპერის მდგომარეობა და ქართული ოპერების დადგმის საკითხი იქნა განხილული. ზ. ფალიაშვილმა წარმოადგინა თავისი ოპერა „აბესალომ და ეთერი“, დიმ. არაყიშვილმა „თქმულება შოთა რუსთაველზე“, მელიტონ ბალანჩივაძემაც დააიმედა კრება, რომ სულ მალე მზად ექნებოდა ოპერა „თამარ ცბიერი“, შემდეგში „დარეჯან ცბიერად“ ცნობილი.

ჩვენი მუსიკის თავდადებული მუშაკების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველანი თავის მხრივ მსხვერპლის გაღებაზე მზად იყვნენ. ვანო სარაჯიშვილი ავადმყოფი საწოლზე იყო გაკრული, მაგრამ იმანაც კი დააიმედა ქართული ოპერის მოჭირნახულენი, თუ სიკვდილს გადავრჩი, ჩემი თავი ქართული მუსიკის საქმიანობას ენაცვალოსო. მიაღწიეს იმას, რომ ქართულად წარმოედგინათ ჯერჯერობით რუბინშტეინის „დემონი“, სათარგმნელად გადაეცა ია კარგარეთელს. უნდა აღინიშნოს, რომ ალ. წუწუნავას „დემონის“ დადგმამდე დიდი ბრძოლები გადახდა, მაგრამ იგი წარბშეუხრელად განაგრძობდა სწრაფვას დასახული მიზნისაკენ. ალ. წუწუნავამ გაიხსენა ერთი კარგი მეგობარი, ჩვენი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე და დახმარება სთხოვა. ისიც არ დაზარებია. პირველ რიგში ნიკოლაძემ თეატრს აღმოუჩინა ცნობილი მხატვარი ზალცმანი, რომელიც არა თუ კარგი ოსტატი გამოდგა, იმავე დროს მშვენივრად ერკვეოდა ხელოვნების საკითხებში და კალამიც საკმაოდ უჭრიდა.

ამასობაში ვანო სარაჯიშვილიც განიკურნა და იგი დაუყოვნებლივ მიიწვიეს ოპერის დასში. „დემონში“ სინოდალის როლისთვის სარაჯიშვილი მისწრება იყო. დანარჩენი როლები შემდეგნაირად იქნა განაწილებული: დემონი—სანდრო ინაშვილი, გუდალი—ისეცკი, დირიჟორად სამოსუდი, დადგმა იკისრა ალ. წუწუნავამ, დეკორაციები მხატვარ ზალცმანს დიდი ხანია მოთავებული ჰქონდა.

როგორ ჩატარდა მუშაობა „დემონის“ ირგვლივ? თავის მემუარებში რეჟისორი ალ. წუწუნავა აღიარებს, რომ ოპერა „დემონი“ დეკადენტური მიდგომით იყო დადგმული, რამაც ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ალ. წუწუნავას ცხოვრებაში ეს პირველი და უკანასკნელი მარცხი იყო. აქ მან უღალატა მოსკოვის სამხატვრო თეატრის პრინციპებს და აჰყვა დეკადენტური მოდის ვაკხანალიას.

ხსენებულ ოპერაში დეკადენტური ხელი განსაკუთრებით თვითონ დემონს ემჩნეოდა. ამ ფაქტს თვითონ წუწუნავა მწუხარებით იგონებდა და ჰგმობდა.

ჯერი ახლა ქართული ოპერის დადგმაზე მიდგა. დასი გატაცებით ემზადებოდა. ქართული მუსიკის სურნელმა რუსი მსახიობებიც დაათრო, გააბრუა. მათ სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ დიდი გულმოდგინებით შეუდგნენ მუშაობას, მაგრამ როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, ხელახლად გამოჩნდნენ სკეპტიკოსები და დაჟინებით მოითხოვეს მოეწვიათ სპეციალისტების კომისია ორივე ქართული ოპერის შესამოწმებლად. დიმიტრი არაყიშვილის ოპერას დიდი დავა არ გამოუწვევია, მისი „თქმულება შოთა რუსთაველზე“ ერთხმად იქნა მიღებული. ზაქ. ფალიაშვილის ოპერას კი დიდი თავდასხმა მოუწყეს. თავის მოგონებებში ალ. წუწუნავა გულისწუხილით აღნიშნავს ამ მომენტს. დისკუსიამ ისეთი უკუღმართი მიმართულება მიიღო, რომ დანაშაულადაც კი უთვლიდნენ ფალიაშვილს, ასეთი ოპერის დაწერა როგორ გაბედეო!

როგორც იქნა გადაწყდა პირველი ქართული ორიგინალური ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ წარმოდგენილი ყოფილიყო 1919 წლის 5 თებერვალს. ეს დღეც გათენდა. დანიშნულ 5 თებერვალს აცხადდა ქართველი ერის დიდი ხნის ოცნება, როგორც იქნა ვეღირსეთ ქართული ოპერის დადგმას.

პირველი ქართული ორიგინალური ოპერის მიმრქმელად გამოვიდნენ: თამარ—სპიტკო, ნინო—ო. კალანდაძე, გულჩინა—ო. ბახუტაშვილი-შულგინა, შოთა—ვანო სარაჯიშვილი, აბდულ არაბი—დროზდო პოლიაევი, დამდგმელი—ბრძოლით ოფლში გაწუწული, მაგრამ ქედმოუხრელი ალ. წუწუნავა, დირიჟორი ს. სტოლერმანი, დეკორატორი—ქართული ოპერის გამარჯვებისათვის თავდადებული მოამაგე ზალცმანი.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ქართული ორიგინალური ოპერის წარმოდგენას აუარება ხალხი დაესწრო, ფარდის ახდისთანავე სიმფონიურმა შესავალმა და ზალცმანის დეკორაციებმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს, უბრალოება, რასაც დაჟინებით სთხოვდა რეჟისორი ჩინებულ მხატვარ-დეკორატორ ზალცმანს, მთლიანად დაცული იყო, დეკორაციები მეტად მსუბუქად და შეხამებულად ეთანხმებოდა მომქმედ პირთა სამოსის ფერებს.

„საქართველოს ისტორიული პერსონაჟების გამოჩენაზე მაყურებლები შეტოკდნენ, განსაკუთრებით ვანო სარაჯიშვილის შოთა რუსთაველი სიხარულის ცრემლებს აღვრევინებდა მათ“, — ასე განაგრძობს მემუარებში ამ ბედნიერი დღის აღწერას რეჟისორი. იგი წერს: დიდი გამარჯვება წილად ხვდა დ. არაყიშვილს, ხალხმა ოვაციები გაუმართაო. მაგრამ იმ დღის მოწმე მეც გახლდით და არა ნაკლები ტაშის გრიალით შეხვდნენ თვითონ წუწუნავასაც, რომელმაც ასე ლამაზად შეასხა ხორცი კომპოზიტორ დ. არაყიშვილის შემოქმედების ამ „ნაზ ყვავილს“!

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თბილისში გამოსული ყველა მიმართულების გაზეთები შეხმატკბილებით ერთმანეთს უდასტურებდნენ, რომ ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ მართლაც ჩინებულია, მუსიკა „გაზაფხულის ნიავსავით მსუბუქია“, „სურნელოვანი“, რომ „ოპერაში საუცხოოდ დაცულია ქართული ჰანგები, ქართული კოლორიტი...“ პრესაშივე არ იშურებენ რეჟისორ ალ. წუწუნავასადმი თბილ სიტყვებს. ასე, მაგალითად, პოეტი ი. მჭედლიშვილი აღფრთოვანებით ირწმუნებოდა, დღეიდან ყოველი ნიჭის სალაღობოდ ღიაა კარი სახელმწიფო თეატრისა, რომელსაც განაგებს იმისთანა შეგნებული, ნიჭიერი და უანგარო მუშაკი, როგორიცაა რეჟისორი ალ. წუწუნავა. ამიტომ დიდი იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართული ხელოვნება მალე სათანადო ადგილს დაიკავებსო.

საზოგადოებრივი მოწონებით გამხნევებული ალ. წუწუნავა აღარ დააყოვნებს და ხელახლად სდგამს ბედნიერ დღეზე დაბადებულ დიმიტრი არაყიშვილის ოპერას 15 თებერვლისათვის, აფიშებზე მოკრძალებული წარწერით: „კომპოზიტორის მოღვაწეობის 15 წლისთავის აღსანიშნავად სამუსიკო ასპარეზზე“. კვლავ აუარებელი ხალხი

მიაწყდა ოპერის შენობას. უფრო თვალსაჩინო შეიქნა პირველი ქართული ოპერის მაღალი ლირიზმი, მისი სიმფონიური ხასიათი.

დიმიტრი არაყიშვილის ოპერის გამარჯვებით ფრთები შეესხა ალ. წუწუნავას. მან გვერდი აუხვია ოპერის შემფასებელი კომისიის ხელახლა დანიშვნას და პირადი პასუხისმგებლობით იმავე წელს, თებერვლის ოცდარვისთვის დანიშნა მეორე ქართული ოპერის ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ დადგმა.

თუ ამ ორი ოპერის ერთმანეთთან გარეგნულად შეფარდებას მოვახდენთ, დავინახავთ, რომ რამდენადაც „თქმულება შოთა რუსთაველზე“ თავისი პატარა მოცულობით და აღნაგობით უფრო მშვენიერი სიმფონიის სახეს იღებდა, ვიდრე ოპერისას, იმდენად ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ მეტისმეტად გადატვირთული იყო უსარგებლო სცენებით. ოპერის სიდიდეს დაერთო ტექნიკური მოუმზადებლობაც, (ზოგიერთი დეკორაცია სახელდახელოდ იხატებოდა და ნაჭერ-ნაჭერ გადადიოდა რეჟისორისა და სცენარიუსების ხელში). რეჟისორმა იცოდა ოპერის დაუხვეწელობა, იცოდა ისიც თუ რა პირობებში უხდებოდა კომპოზიტორს გამოსვლა, მაგრამ იგი მაინც გულმაგრად იდგა, რადგან ღრმად სწამდა, რომ ეს იყო ოპერა, რომელიც დიდ გამარჯვებას უქადდა ქართულ ხელოვნებას.

ოპერა მაყურებელმა გულთბილად მიიღო, თუმცა ეტყობოდათ, რაღაცა ხინჯი რჩებოდათ გულში. ანტრაქტებში ფიცხი კამათი გაიმართა. ცხადზე უცხადესი შეიქნა, რომ ოპერა უნდა შეკვეცილიყო. პირადად მე, როგორც ერთ-ერთ მაყურებელს მესამე აქტი მთლიანად ამოსაგდებად მეჩვენებოდა. წინადაც, ვიდრე ოპერაში ოფიციალურ მსვლელობას მისცემდა ზ. ფალიაშვილი, ქართულ გიმნაზიაში „ეთერიანის“ ლიბრეტოს ავტორი პეტრე მირიანაშვილი საცდელად როცა დააკვრევინებდა ხოლმე რომელიმე არიას, დუეტს, ან კვარტეტს, მესამე მოქმედება საჭოჭმანოდ მიმაჩნდა, და არა ერთხელ მირჩევია სცენა მურმანისაგან დედის სულის მიყიდვის შესახებ მთლიანად დაეთმო. მაგრამ ამის წინააღმდეგ მიდიოდა როგორც ლიბრეტოს ავტორი, ისე კომპოზიტორი. ახლა კი ეს ნაკლი მეტისმეტად თვალსაჩინო გახდა. სასიამოვნო იყო, რომ ალ. წუწუნავაც ამ აზრს დაადგა

დირიჟორ-კომპოზიტორმა ჩერეპნინმა და დირიჟორმა სტოლერმანმაც, მიუხედავად კომპოზიტორისადმი უგულითადესი განწყობილებისა, აღიარეს, რომ არა თუ მესამე აქტი, შიგა და შიგ სცენების განტვირთვაა საჭირო, ზოგი კიდევ უნდა გადახალისდესო. საბედნიეროდ, ზ. ფალიაშვილს ამჯერად ჯიუტობა არ გამოუჩენია. ჩაიკეტა კაბინეტში და საოცარი სისწრაფით ქირურგიული ოპერაცია ჩაატარა ოპერის გასაჯანსაღებლად. იგი გზადაგზა იწვევდა რჩევისათვის, როგორც რეჟისორ ა. წუწუნავას, ისე ჩერეპნინს.

როდესაც ზ. ფალიაშვილმა დასრულებულად ჩასთვალა გადამუშავებული ოპერა და რეჟისორს გადასცა დასადგმელად, ალიოშა დიდი მოწადინებით შეუდგა „აბესალომ და ეთერის“ მეორედ დადგმას. ამჯერად ეს დადგმა უძღვნა „ზ. ფალიაშვილის 25 წლის უანგარო მოღვაწეობას ჩვენი მუსიკის სარბიელზე“. ეს ამბავი ყუმბარასავით გავარდა თბილისში.

ოპერის როლები რეჟისორმა თვითონ ზ. ფალიაშვილს გაანაწილებინა: ეთერი—ბახუტაშვილი-შულგინა,. აბესალომი — ზალიპსკი, მურმანი—სანდრო ინაშვილი, მარეხი—გრანელი, აბიო—ქურხული. დირიჟორობა იკისრა თვითონ ავტორმა, ზალცმანს მთლიანად ვერ მოუწონა დეკორაციები რეჟისორმა და ზოგიერთი სცენისათვის ახლად გადაამუშავებინა.

„აბესალომ და ეთერის“ საიუბილეო წარმოდგენას აუარება ხალხი დაესწრო. აი, შეირხა ფარდა. თვალმა რაც ნახა ფიქსირებულია იმ დროინდელ ჟურნალ-გაზეთებში. კომპოზიტორ ფალიაშვილის საიუბილეოდ დადგმული მისი „აბესალომ და ეთერი“ სიუჟეტურად და დრამის იდეური შინაარსით უკვე მონოლითურად ჩამოსხმული მომეჩვენა. რეჟისორმა ოპერის პერსონაჟებს ცოცხალი ადამიანების სახეები მისცა. ჩინებული დეკორაციების ჩარჩოში გათამაშებული დრამა ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, როგორც შუა საუკუნეთა უმშვენიერესი ლეგენდა, გულუბრყვილობის მანდილით მოქვალთული. აქ არ იყო ზღაპრული, ან ფანტაზიური ფერია, რომელსაც შეეძლო ცთუნებაში შეეყვანა ჭაბუკი რეჟისორი.არა, ალ. წუწუნავამ მთელი ოპერა შორეულ წარსულის ფონზე ისე ამოჰკვეთა, რომ მასში ეშმაკელთა სამყაროდან არც ერთ ჭინკას არ გაუჭაჭანებია. სა-

მაგიეროდ წინ წამოსწია სოციალური უთანასწორობის ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტის მოტივი, ისე რომ უფლისწულ აბესალომის წინაშე საბრალო ეთერის დაჩივლება „შენ დიდი ხარ დიდებული“ და არავინ შეიწუნარებს სასახლეში ოხერტიალი გოგონას გადედოფლებასო, რელიეფურად იყო მოცემული. მიუხედავად უფლისწულის გულწრფელად მიცემული ფიცისა, რომ იგი არ უღალატებდა თავის სატრფოს, მაყურებლებისათვის ცხადი იყო, რომ სოციალური უკუღმართობის სახადი ძალაში დარჩებოდა და იმსხვერპლებდა არა მარტო უდანაშაულო ეთერს, არამედ თვით უფლისწულსაც. ასეთ რეალისტურ ფონზე იქნა გათამაშებული ეს დრამა, სოციალურმა უთანასწორობამ იმსხვერპლა ორი მშვენიერი არსება. აი, ასეთ რეალურ ტონებში ჩამოჰქნა და ჩამოძერწა რეჟისორმა ეს უმშვენიერესი ლეგენდა. რამდენი სიხარული, რამდენი სინათლე დავინახეთ ეთერის პირველი სიყვარულის გაფურჩქვნაში და რა ზარდამცემი დაისი განვიცადეთ ამ სიყვარულის დამსხვრევის გამო!

ასეთი ლირიკული, ნაზი ძერწვით გაგვახარა რეჟისორმა ალ. წუწუნავამ და დაგვარწმუნა ოპერა „აბესალომ და ეთერის“ უკვდავებაში, რომლითაც უნდა იხსნებოდეს ქართული ოპერის ყოველი სეზონი და რომლითაც უნდა იხურებოდეს სეზონის კარი, — ასეთი იყო დიადი სანახაობით გატაცებული საზოგადოების იმდროინდელი სურვილი.

განა ღირს რამედ გავიხსენოთ იმ დიდებული სანახაობის შემდეგ პროზაული ფინალი, როდესაც იუბილარს აღფრთოვანებული სიტყვებით უხდიდნენ მადლობას და ათასნაირი საჩუქრებით აჯილდოვებდნენ? ალ. წუწუნავამ, როგორც თეატრის დირექტორმა, ჰონორარად ათი ათასი მანეთი გადასცა კომპოზიტორს, მაგრამ გინდა ათჯერ და ასჯერ მეტიც გადაეცა, არაფრად გამოჩნდებოდა იმ მილოცვის სიტყვებთან, რომელიც თითქოს ზეშთაგონებით წარმოსთქვა რეჟისორმა: „ჩვენ მცირე საჩუქრით გისტუმრებთ, ბატონო ზაქარია. მაგრამ გაძლევთ სიტყვას, რომ დღეიდან თქვენი აბესალომი აღარ მოშორდება ოპერის სცენას და რომ ბრძოლით მოპოვებული დადგმის უფლების შარავანდედში თქვენი ნათელი სახელი მარად იელვებს თვითეული ქართველის გულში, როგორც ეროვნული სიამა-

უის თეთრი გვირგვინი". ახდა ნიჭიერი რეჟისორის სიტყვები. ჯერ კიდევ იმავე წლის სეზონში ყოველ მეორე და მესამე დღეს იდგმებოდა „აბესალომ და ეთერი".

1922 წელს მეასე წარმოდგენის დღეს მსახიობები, რომლებმაც ასჯერ მიიღეს მონაწილეობა ერთსა და იმავე როლებში, რეჟისორმა საზოგადოების წინაშე ვერცხლის ჟეტონებით დაასაჩუქრა. „მახსოვს,—ამბობს მემუარებში ალ. წუწუნავა,—ჟეტონებს რომ ვურიგებდით საჯაროდ ჩვენს მსახიობთ, საზოგადოებიდან ორმა მაყურებელმა საყვედურით მოგვმართა: ჩვენ რაღა დავაშავეთ, სისტემატურად დავდიოდით და აგერ დასამტკიცებელი საბუთიც, ეს მეასე ბილეთი დღეს ვიყიდეთ, დანარჩენებიც თანმიმდევრობით უბეში გვილაგიაო" და მართლაც ორივემ ას-ასი ოპერის თეატრის ბილეთი წარმოადგინა. ერთგული მაყურებლებიც ჟეტონებით იქნენ დაჯილდოებულნი.

• • •

მშობლიურ ნიადაგზე წარმოშობილი ოპერების გამარჯვებამ ალ. წუწუნავა წელში გაასწორა. მან მოინდომა ახლა მ. ბალანჩივაძის ოპერით გაეხარებინა ქართველი საზოგადოება. სამწუხაროდ, მელიტონს ის ჯერ კიდევ დაუმთავრებელი აღმოაჩნდა. „ძალიან ბევრი აღმოჩნდა გასაკეთებელი" — გვეუბნება ალ. წუწუნავა თავის მოგონებებში. — საქმის დასაჩქარებლად, რომ ახალი ოპერა გრაფიკიდან არ ამოვარდნილიყო, დამხმარე კომპოზიტორების ჯგუფი მივუჩინე, რომელშიც შედიოდნენ კომპოზიტორი ნ. ჩერეპნინი, კომპოზიტორი ჰარტმანი, ხელმძღვანელად კი კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი". კოტე ფოცხვერაშვილი, როგორც ყოველთვის, თავდადებულ პატრიოტად შერჩა ქართულ ოპერას და ახლაც უსასყიდლოდ მუშაობდა. იგი არა თუ მელიტონ ბალანჩივაძის ოპერის დამხმარე კომპოზიტორებს ხელმძღვანელობდა, არამედ თვით ოპერის ტექსტი, რომელიც მ. ბალანჩივაძეს რუსულ ენაზე ჰქონდა შედგენილი, გად-

მოსთარგმნა და ნოტებიც გადაწერა, „რისთვისაც მადლობის ღირსია იგი“, ამბობს მემუარებში ჩვენი რეჟისორი.

ვიდრე ბალანჩივაძის ოპერა დამთავრდებოდა, დროს მოსაგებად, ალ. წუწუნავამ ოპერის თეატრში კოტე ფოცხვერაშვილს ქართულად ათარგმნინა იპოლიტოვ-ივანოვის ოპერა „ღალატი“, რადგან ამ ოპერის პარტიტურა თბილისში არ აღმოჩნდა და ვერც მოსკოვიდან გამოიწერდნენ, მისი გაკეთება ოპერის დირიჟორს სტოლერმანს მიანდეს.

აქ მოხდა ერთი თითქოს პატარა, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი ამბავი, რამაც აანაზღაურა ჩვენი რეჟისორის წუხილი და გულგატეხილობა მელიტონ ბალანჩივაძის ოპერის დაგვიანების გამო. სწორედ ამ დროს ოპერის თეატრის კარს მოადგა უცნობი ჭაბუკი, რომელმაც შემოაგორა ნოტებით დატვირთული ხელურემი, — გვეუბნება მემუარებში ალ. წუწუნავა.—ეს უცნობი ჭაბუკი გახლდათ ახალგაზრდა კომპოზიტორი ვიქტორ დოლიძე, რომელმაც გადმოგვცა გასაშინჯად თავისი კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“. თუმცა ალ. წუწუნავასათვის სრულიად უცნობი იყო ახალგაზრდა კომპოზიტორი, მაგრამ მან ნაწარმოების გაცნობისთანავე განჭვრიტა მისი მომავალი და სპეციალისტების კომისია მოიწვია გასაშინჯად. როგორც წესი, სპეციალისტებმა აქაც დაიწუნეს ეს საუცხოო კომიკური ოპერა, გამონაკლისს შეადგენდა ჩერეპნინი და დირიჟორი სტოლერმანი. რამდენადაც მახსოვს დიდ რუს კომპოზიტორს გლინკას უნდა ეკუთვნოდეს ეს სიტყვები: „ხალხი ჰქმნის მუსიკას და კომპოზიტორები ალამაზებენო!“ დოლიძის „ქეთო და კოტეში“ კი იმდენი იყო ხალხური საუნჯიდან ამოკრეფილი მარგალიტი, რომ მიუხედავად წინააღმდეგობისა ალ. წუწუნავამ ვერ გაიმეტა დასამარხად ახალი ქართული ოპერა და გადასცა მოსამზადებლად სტოლერმანს. რეპეტიციების დროს რეჟისორის მითითებით ყალბი ადგილები ამოშლილ იქნა. ხოლო ზოგიერთი სცენა გადაკეთებული. 1919 წლის 11 დეკემბრისათვის ოპერა გამოიტანეს სცენაზე, როლები რეჟისორმა ასე გაანაწილა: ქეთო—კალანდაძე, ბარბალე — ნ. შელუდოვსკაია, ბაბუსი—ოვსიანოვა, ლევან—თარხნიშვილი, კოტე—როგოჩევსკი, მაკარის როლს ასრულებდა

ისეკკი, საქოს — გ. ქურხული, სიკოს — კურბატოვი, ბოქაულს — შილდოვსკი.

ოპერის დადგმაში რეჟისორმა დიდი ექსპრესია გამოიჩინა. კომიკური ეპიზოდები (ბარბალესა და ბაბუსის წაკიდება, ბარბალეს მიერ ტანისამოსის გადაცმა და მრავალი სხვა) მჩქეფარე იუმორით იყო აღსავსე. ეს მორიგი დიდი გამარჯვება იყო ქართული ოპერის დასამკვიდრებლად. ქართულ ოპერებს ახლა ვეღარავინ ჩაუქრობდა რამპის შუქს.

* * *

ვიდრე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდებოდა, ცხოვრება რთულდებოდა, სიღარიბე საგრძნობი ხდებოდა. ალ. წუწუნავას ახლა თავისთავზეც უნდა ეფიქრა, რათა პირადი ხელმოკლეობა როგორმე შეემსუბუქებინა. მორიგი სპექტაკლი „აბესალომ და ეთერი“ თავის საბენეფისოდ გამოაცხადა. დაიწყეს მზადება. თითქმის ყველაფერი მზად იყო, მაგრამ სპექტაკლი არ შედგა. რატომ? ვანო სარაჯიშვილი და ინაშვილი ბაქოში იყვნენ წასული საგასტროლოდ, დროზე ვერ დაბრუნდნენ. სპექტაკლი შეცვალეს „აიდათი“. წარმოდგენის შემდეგ ნაშუაღამევის 2 საათზე, როდესაც ალიოშამ ჩვეულებისამებრ შემოუარა თეატრის შენობას, იგი ოპერის დარაჯს ბერძენ ნიკოლას წააწყდა, რომელსაც ჩასძინებოდა, დიდად ეწყინა, მაგრამ საყვედურის გამოთქმა ვერ მოასწრო, რომ მიწისძვრამ თეატრის შენობის კედლები შეაზანზარა. შეიქნა პანიკა, უთავბოლო სირბილი, ნიკოლამ თვალები მოიფშვნიტა, უფროსის დანახვაზე წამოიწია და თითქოს ახალ ამბად მიახარა: „აი, უყურე,—ინძრა! შენ კი ამბობ, ღმერთი არ არისო!“ მაგრამ ალიოშას ნიკოლას ფილოსოფიისათვის არ ეცალა: „რა დროს ეგაა, მომყე, სადმე ელექტრო მავთულმა ხანძარი არ გააჩინოს!“ გათენებამდის ასე უვლიდა თეატრის შენობას გარშემო ორი დარაჯი... მხოლოდ გათენებისას გაიგეს, რომ მიწისძვრას გორი გაენადგურებია.

მეორე დღეს მიწისძვრა კვლავ განმეორდა. ახლა უფრო მეტმა პანიკამ მოიცვა ყველანი, შიშობდნენ გორის საშინელი ამბები აქაც არ დატრიალებულიყო.

ამ გარემოებამ ალიოშას მეორედაც გადაადებინა საბენეფისო სპექტაკლი. თუმცა ვანო სარაჯიშვილი და სანდრო ინაშვილი ჯერაც არ დაბრუნებულიყვნენ ბაქოდან, მაგრამ მესამედ დანიშნული სპექტაკლი მაინც შედგა. თურმე გიორგი ქურხულს მურმანის პარტია თავისით მოემზადებინა, ალიოშას ახლა მაინც არ ჩაეშალოს ბენეფისიო. ზალიპსკი ხომ ნაცადი იყო აბესალომის როლში, ასე რომ უხერხულობას ადგილი აღარ ექნებოდა.

დაიწყეს სპექტაკლი. მეორე მოქმედების დაწყებამდის თეატრში ვანომ და სანდრომ შემოჰყვეს თავი. სანდრო ინაშვილმა მოინდომა მურმანის როლის გაგრძელება, რა თქმა უნდა, რეჟისორისადმი პატივისცემის გამოსახატავად, მაგრამ გიორგი ქურხულმა არ დაუთმო, რახან დავიწყე, ბოლომდე მივიყვანო. გიორგი ქურხულის ასეთი პრეტენზია სამართლიანად ჩასთვალა ალიოშამ და გიორგის დაათავებინა სპექტაკლი.

მაგრამ ეს არ არის მთავარი, საყვარელი და თეატრის დიდი მოამაგე რეჟისორის პატივსაცემად აუარება ხალხი დაესწრო სპექტაკლს. მეორე მოქმედების შემდეგ ტაშის გრიალით მოითხოვეს სცენაზე რეჟისორის გამოსვლა. ოვაციები, თაიგულები, საჩუქრები, გულწრფელი მილოცვები. მილოცვის დროს ალ. წუწუნავა ხელს ასწევს და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდება. იგი მხურვალე მადლობას უცხადებს საზოგადოებას, რომ ესოდენი პატივის ღირსი გახადეს იგი. ერთგვარი უხერხულობა ჩამოვარდა. ზაქარია ფალიაშვილი აღელდა და ერთ-ერთ მსახიობს ალიოშას გასაგონად უთხრა:

— კაცო, კაცო, რას სჩადის ეს ოჯახჭორი! ვის გაუგონია ბენეფისის დროს მადლობის გადახდა? ეს ხომ იუბილე არ არის?

მაგრამ ალიოშა არ ჩერდება. კიდევ წუთიც და სამადლობელი სიტყვის დასასრულს უეცრივ იგი ჩაურთავს მრავლის მეტყველ „მაგრამს“, რომელსაც მძიმე პაუზა მოაყოლა. იგი ათრთოლებული ხმით განაგრძობს:

— მოქალაქენო, ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რა უბედურება ეწვია გორს, საჭიროა სწრაფი დახმარება. დღევანდელი ჩემი ბენეფისის შემოსავალს მთლიანად ვწირავ მიწისძვრისაგან დაზარალებულთ, მაგრამ ეს ცოტაა! გთხოვთ, ამ თანხას კიდევ ერთი ამდენი დაუმატოთ!

მჭუხარე ტაში.

ზაქარია ფალიაშვილი გრძნობამორეული თავს ველარ იკავებს და შესძახებს:

— შენი ჭირიმე, ბიჭო! — და საქვეყნოდ გადაეხვევა. — მაპატიე, ძმაო, არ ვიცოდი თუ ამას აპირებდი!

საზოგადოება დიდი თანაგრძნობით განიმსჭვალა, ბალერინები ბროლის ლანგრებით ჩამოივლიან და ბენეფისიდან შემოსულ თანხას — 13.500 მანეთს გაზრდიან 28.000 მანეთამდე, რაც დაუყოვნებლივ გადაიგზავნა გორში დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად. ამის გამო ვიღაცამ თითქოს იოხუნჯა:

— რა უცნაური კაცია წუწუნავა! თავისთვის შარვალი ვერ უყიდია და ქველმოქმედებას კი ეწევაო!

* * *

1921 წელს 25 თებერვალს საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, ამ გარემოებამ ძირფესვიანად შესცვალა ძველი სოციალ-პოლიტიკური თუ ეკონომიური ცხოვრება. თეატრი, როგორც კულტურის სხვა კერები, ხელისუფლებამ თავის მფარველობის ქვეშ აიყვანა. ჩამოყალიბდა საქ. ხელოვნების მუშაკთა კავშირი. დაინიშნა თბილისის ოპერისა და დრამატული თეატრების კომისარი. ხელოვნებისა და მეცნიერების დარგში დამსახურებულ მოღვაწეებს ენიშნებათ ყოველთვიური სახელმწიფო დახმარება. თავისუფლად ამოისუნთქა ალ. წუწუნავამაც. ბოლო მოეღო მის გაუთავებელ ბრძოლას სიდუხჭირესთან. იგი ახლა უფრო ხელგაშლილია. იგი ზრუნავს ოპერის სტუდიისათვის, რომ მომღერლების სათანადო კადრები მოუმზადოს თეატრს. თეატრი ნელ-ნელა ივსება ნიჭიერი და ყოველმხრივ მომზადებული ახალგაზრდებით. ალ. წუწუნავას ენერგიული წაქეზებით ზაქარია ფალიაშვილი წერს მეორე ოპერას — „დაისს“, შემდეგ „ლატავრას“. ვიქტორ დოლიძეც გამაგრდა წელში და „ქეთო და კოტეს“ მიაყოლებს „ლეილას“ და თანამედროვე თემატიკაზე დაწერილ „ცისანას“. მელიტონ ბალანჩივაძემ დააზუსტა „დარეჯან ცბიერი“. წამოიზარდნენ ახალ-ახალი კომპოზიტორები, რომელთა პლეადას ამშვენებენ ისეთი სახელები, როგორიც შ. მშველიძე, ი. ტუსკია, აზმა-

იფარაშვილი, შ. თაქთაქიშვილი, გ. თაქთაქიშვილი, გ. კილაძე, ა. ბალანჩივაძე, ა. მაჭავარიანი, ვ. გოკიელი, ა. კერესელიძე... აქ დასახელებული კომპოზიტორებიდან არც ერთი არაა ისეთი, რომლისთვისაც მშობლიური მზრუნველობა არ გაეწიოს ალიოშას. ყველაზე საგრძნობი ამაგი აქვს გაწეული თუ რჩევით, თუ მათი ნაწარმოებების გამოტანით სცენაზე. ასევე გაიზარდა და გაძლიერდა თეატრი მსახიობთა ახალ-ახალი ძალებით. ვანო სარაჯიშვილს და სანდრო ინაშვილს ემატება ახალგაზრდა მომღერალთა პლეადა: ნ. ქუმსიაშვილი, დ. ანდღულაძე, დ. ბადრიძე, დ. გამრეკელი, პ. ამირანაშვილი, ვ. ქაშაკაშვილი, გ. ვენაძე, ნ. ხარაძე, ეკ. სოხაძე, ნ. ცომაია, ბ. კრავეიშვილი და სხვები, რომლებიც სრულიად თავისუფლად გამოდიან კლასიკოსთა ოპერებში, როგორიცაა „ევგენი ონეგინი“, „აიდა“, „კარმენი“, „მარგალიტის მაძიებელნი“, „ფაუსტი“, „ჩიო-ჩიო-სანი“ და მრავალი სხვა.

ალ. წუწუნავას შემოქმედება ახალ აღმავლობას განიცდის. ჯერ კიდევ 1921 წელს, 28 თებერვალს ალ. წუწუნავასადმი მიწერილ ბარათში ვალ. გუნია წერს:

„წუხელის მოვისმინე შენი დადგმული „კარმენის“ ორი მოქმედება. შენი დადგმა და ინტერპრეტაცია უაღრესად ხელოვნური და მაღალი შეგნების ნაყოფია. გულწრფელად გილოცავ გამარჯვებას და მრავალ დაბრკოლებათა რაინდულად გადალახვას. ნიშნად ჩემი აღტაცებისა — გეამბორები!.. შენი ვალიკო გუნია“.

ვინ არ იცნობს ვალერიან გუნიას, როგორც პირში მთქმელს, უშიშარს, თეატრალური ხელოვნების დიდ მცოდნეს და მოამაგეს. ის ასეთ ქათინაურებს როდი გამოიმეტებდა, რომ ალ. წუწუნავას მიერ დადგმულ „კარმენში“ რაიმე ხინჯი დაენახა. არა, ეს დადგმა იყო სრულფასოვანი. ახლებური გაგებით. კარმენით ალ. წუწუნავამ ოპერა სტატიურობიდან გამოიყვანა და ახლა დინამიურობას დაუთმო ადგილი. კარმენი სიცოცხლეა. კარმენი ალ. წუწუნავას წყალობით ხორციელია, რეალური არსება, მეტად საინტერესოდ გაშიფრული.

მაგრამ ჩვენთვის ბევრად საინტერესოა ისევ ქართული ოპერების ბედის გადაწყვეტა და მათი დამკვიდრება ოპერის სცენაზე. ზაქარია ფალიაშვილმა მალე გაანაღდა დაპირება და მეორე პრემიერად წარუდგინა „დაისი“, დაისის ლიბრეტოს ავტორი გახლდათ ვალერი-

ან გუნია. შეხედეთ რა უბრალოებაზეა აგებული ამ ოპერის შინაარსი და რა ბრწყინვალედ გაიშალა იგი მნახველთა წინ ოპერის სცენაზე! უბრალო გოგონას შეუყვარდება მალხაზი, რომელიც ვერც კი მოასწრებს სიყვარულის ყვავილთა მოწყვეტას, რომ ომში წავა. კარგა ხანს ცნობები არ მოდის. ყველას მკვდარი ჰგონია იგი. ქალს დედა ჩასციებია ჩაიკლას სიყვარული მალხაზისადმი და გაჰყვეს კიაზოს. მაროს, როგორც იქნა, დაითათბირებს, თუმცა ფარულად ისევ მალხაზის აჩრდილს შესტრფის იგი. მოულოდნელად გამოჩნდება მალხაზი, გაიგებს საქმის ვითარებას და ჰკიცხავს მაროს ღალატისათვის. სიყვარული კვლავ აენთება, ხოლო შეურაცხყოფილი კიაზო ხმალში შერკინებისას კლავს მალხაზს. მარო გამოუთქმელი მწუხარებით დაიტირებს სატრფოს.

ამ უბრალო სიუჟეტში კომპოზიტორმა შესძლო მუსიკალური ფოლკლორიდან ძვირფასი მარგალიტები გამოეენახა სადუეტოდ, ან ტრიოსათვის ჭართული ჰარმონიის რელიეფურად აღხატვისათვის, ერთის დამატებით: ოპერა „დაისში“ მალხაზის ერთ-ერთ მთავარ არიად ვანო სარაჯიშვილის თხოვნით შეტანილ იქნა „თავო ჩემო“.

მშვენიერ ოპერას მშვენიერი დამდგმელი გამოუჩნდა. ალ. წუწუნავამ მთელი ათეული წლების განმავლობაში „დაისს“ შეალია თავისი ძალ-ღონე, ვიდრე მიზანს არ მიაღწია. „შემოქმედების მზიური მწვერვალები“, აი რა შეგვიძლია ვუწოდოთ ალ. წუწუნავას მიერ დადგმულ „დაისს“, სულ დინამიკა და დინამიკა! უვერტიურიდან დაწყებული ტრაგიკულ ფინალამდე სანახაობა სანახაობას მისდევს შეუნელებელი ექსპრესიით და ინტერესით. მოქმედი პირნი სიცოცხლით სუნთქავენ. ავიღოთ სანიმუშოდ მესამე აქტი, ფარდის ახდისთანავე მაროს სირბილი, რომელსაც უკან მოსდევს კიაზო, ანდა სცენა ურემთან შეტაკება მაროსი კიაზოსთან აუწერელი დინამიკის ალშია გახვეული.

რეჟისორის შემოქმედებითს გამარჯვებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ოპერა მოქცეულია ხალხურობის უდიდეს რკალში, აქ საუცხოოდაა გამოყენებული ფერხული, ზედმიწევნით დაცულია ჭართული ჩვევები, ადათები, ბრწყინვალე მასობრივი სცენები. მთლიანად თქვენ საქმე გაქვთ დიდებულ სიმფონიასთან, ჰეშმარიტად დიდ

ეროვნულ სპექტაკლთან, კომპოზიტორის ჩანაფიქრის ამაღლებულ და სრულყოფილ წარმოსახვასთან, რომელშიც მეტი სისათუთით ჩაქსოვილია დეკორაციების მშვენიერებათა ანარეკლიც, მოქმედ პირთა მორთვა-მოკაზმულობაც, და სხვა ათასი ღირსება. ამ მხრივ „დაისი“ წუწუნავას რეჟისორული შემოქმედების მწვერვალია, როგორიცაა კოტე მარჯანიშვილისათვის „ურიელ აკოსტა“. „დაისის“ დადგმა ხაზგასმით აღიარებულ იქნა შედევრად სცენიურ სფეროში, როგორც ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, ისე რუსულში და მოძმე რესპუბლიკათა პრესაში.

დიდმა რეჟისორმა ბრწყინვალედ გამოავლინა ახალი საქართველოს მოღიმარი სიცოცხლით სავსე სახე, რომელსაც არც ერთი ნაოჭი ძველი სევდისა აღარ შერჩენოდა შუბლზე. განა ამიტომ არ იყო, რომ ჯერ კიდევ 1934 წელს იუბილე გადაუხადეს მისი მოღვაწეობის 35 წლისთავს? განა ამისათვის არ მიენიჭა მას საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება? განა ამიტომ არ დააჯილდოვეს იგი ლენინის ორდენით, წითელი დროშის ორი ორდენით და მედლებით, ხოლო 1947 წელს იგი სახელმწიფო პრემიით დაიდაფნა.

ღვაწლმოსილმა, ნაამაგარმა ხელოვანმა სამუდამოდ დახუჭა თვალები 1955 წლის 26 ოქტომბრის ღამეს, ხოლო მადლიერმა ერმა მას მოწიწებით შეუღო კარი დიდუბის პანთეონში.

• • •

ჩვენ განგებ გვერდი ავუხვიეთ ალ. წუწუნავას, როგორც პირველ ქართველ კინორეჟისორს და საზოგადოდ ჩვენი კინომრეწველობის განვითარების დიდ მოამაგეს. განმეორება იმისა, თუ ეგნატე ნინოშვილის „ქრისტინეს“ ეკრანიზაციისათვის რამდენს ეწამა იგი, შემდეგ რა ნაბიჯები გადადგა ილია ელეფთერიძის ფსიქოლოგიური დრამის „ორი მონადირის“ ეკრანზე გადასატანად, როგორ გაითქვა სახელი „ვინ არის დამნაშავის“ ეკრანიზაციით, ანდა როგორ გამოიჩინა თავი მასობრივი სცენების ოსტატურად დადგმით, ჩვენ ძალიან შორს წაგვიყვანდა და ვერც ვერაფერს ახალს ვიტყოდით. აქ ხაზგასმულია

მხოლოდ მრავალმეტყველი ფაქტი, რომ „ალ. წუწუნავა იყო ერთერთი ფუძემდებელი და მამაშთავარი ჩვენში კინემატოგრაფიის გამარჯვებისა, იგი მგრძნობიარე რეჟისორი იყო, მუყაითი, მშვენიერი შემცნობი ჩვენი საუკუნის ტკივილებისა, რომელთა გადმოცემა ეკრანზე პირველ ათეულ წლებში მაინც ისე არავის ეხერხებოდა, როგორც მას".

* * *

დასასრულს ჩემი მიზანია გავაცნო მკითხველს ალ. წუწუნავა „ხალათში", ე. ი. შინაურ ცხოვრებაში.

ალ. წუწუნავა მეტად ფაქიზი იყო, პეწენიკი, შინ და გარეთ თავის თავს უვლიდა, რომ ღირსეულად გჩვენებოდათ. ვერასოდეს ნახავდით გაუპარსავს. ჰალსტუხს სარკის წინ ერთი ათასჯერ შეიხსნიდა და შეისწორებდა ხოლმე, მაგრამ ყველაზე მეტად შეყვარებული იყო თავის თმებში, რომელთა ვარცხნილობა ერთგვარ მღედელმსახურებასავით უნდა ჩაეტარებინა ხოლმე.

აი, მიხვედით სტუმრად. მასში მუდამ გულუხვ მასპინძელს დაინახავდით.

სტუმართან იგი მეტად ტკბილი მოუბარი იყო. მის ხსოვნის საწყობს ათასი სარკმელი ჰქონდა, სადაც შეგხვდებოდათ ნაირ-ნაირი საუბრებით დაგატკბობდათ — თუ შორეული ცხოვრების გახსენებით, თუ თანამედროვე საჭირბოროტო საკითხებით. პატივმოყვარე იყო. ადვილად არაფერს დაგითმობდათ.

მას დიდად მოსწონდა თავი, რომ სოფელ ლიხაურში დაიბადა, სწორედ იმ ციხის ძირში, რომელიც დღესაც კორტოხზეა წამოდგმული, ამაყად, მაღალი, ტანაყრილი, ოთხივ კუთხივ ბასტიონებით და სათოფურებითაა მოჯავშნული. აქ, ამ ციხის ძირს თავს იყრიდა მამისა და დედის ნათესაობა, — თაყაიშვილები და ნაკაშიძეები, განსაკუთრებით თბილი მოგონებებით ატკბობდა მსმენელს დიდი პაპა ალექსანდრე წუწუნავას რომანტიკული თავგადასავლით, როგორ მოეტაცნა ნაკაშიძისათვის ქალიშვილი და რანაირად ჩაკეტილიყო ლიხაურის ციხეში. თავდასხმა, ბრძოლა... შეუწყნარებლობა... ბოლოს შე-

რიგება და სიძე-სიმამრის გადახვევა, ყანწების ჯახა-ჯუხი. უამბნია ისიც, თუ თითონ ალიოშას დაბადების დღე როგორ აღენიშნათ კაჭიანი თოფების სროლით... გზადაგზა უამბნია ისიც, თუ როგორ შეისწავლა სოფლური სიმღერები, ან ზღაპრები, ხორუმის ცეკვა... ბავშვობის შთაბეჭდილებებიდან წარუხოცველად აღბეჭდილი იყო მის ხსოვნაში ლელო ბურთის გატანა, რაც ასე ლამაზად გამოიყვანა კინოფილმში „ვინ არის დამნაშავე?“. მიამბობდა სკოლის ამბებს, რომლებსაც თავის ადგილას გაკვრით გავეცანით. მაგრამ მისი მრავალფეროვანი საუბრების მთავარ საგანს შეადგენდა ისევ ოპერა. როდესაც „აბესალომ და ეთერი“ მეასედ წარმოადგინეს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, მას სიხარულის ცრემლები სცვიოდა, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, „რამდენი მწუხარება იყო ნაგრძნობი, რამდენი გადაულახავი დაბრკოლება დაძლეული, ვიდრე ეს უდიდესი განძი ქართველი ხალხისა გამოჩნდებოდა სცენაზე და ქართველ მსმენელს სიამაყის ღიმილს მოჰგვრიდა;“ და არც არავინ მეგულება საქართველოში, ისე ღრმად განეცადოს მისი წარმატება და გამარჯვება, როგორც ალ. წუწუნავას, ცხადია, ფალიაშვილის შემდეგ, რომელსაც თურმე არა ერთხელ გაუცხადებია: „მე პრეტენზია არა მაქვს, რათა ჩემზე სთქვან ოპერა დაწერაო. ჩემი მუშაობის აზრია: მე ვიძლევი მასალას, ვკრებ და ვაყალიბებ მას, გამოვიტან საზოგადოებაში, შემდეგ ალბათ გამოჩნდება ვინმე ნიჭიერი და ოპერას დაწერსო!“ ასეთი მოკრძალება კომპოზიტორისა ხიბლავდა ალ. წუწუნავას.

...ერთხელ ალიოშა წუწუნავა შეწუხებული სახით წამოწოლილი დამხვდა, რაღაცა ძველისძველი ჟურნალი ეჭირა და კითხულობდა, დავინტერესდი.

— მაგას რას კითხულობ?

— „თეატრი და ცხოვრებას“...

ძველისძველი ამბები გამახსენა ამ ჟურნალმა. აი, ნახე, აქ ჩემი დის ეველინა წუწუნავას შესახებ მოთავსებულია მეტისმეტად თბილი და გრძნობიერი წერილი შალვა დადიანისა.

ჟურნალი ჩამოვართვი, ჩემთვის უცნობი იყო ეს წერილი. ხმამაღლა წამაკითხა, სულ თვალებში მომჩერებოდა, დიდად განიცდიდა

შალვას ხელით დაწერილ ნეკროლოგს ჩვენი „უბედო ეველინას შესახებ, რომელსაც ფართო საზოგადოება ვერც კი იცნობდა, რადგან ხანმოკლე იყო მისი მუშაობა ჩვენს სცენაზე და სრული გაფურჩქნა არ ღირსებია მის უსათუოდ მკვირცხლ ნიჭს, მის საკვირველ ესთეტიკურ გემოვნებას, თუმცა შესაძლებლობა ბევრი იყო“... „მისი ქრისტინე“, მისი „სალიხე“, ეს ხომ დაუვიწყარი ნაკვესებია მისი შემოქმედებისა“... „დიაღ, ეველინა, თეატრი უსათუოდ ტაძარია და შენ მისი ქურუმი იყავი... ვაჰ, რომ დასჭკნა უდროოდ ნისლიანი დღის განთიადზე“.

ალიოშას ცრემლები მოერია, შემდეგ ამოიოხრა და თქვა:

— ყველაზე მძიმე ისაა, რომ ჩვენ ხელი ავიღეთ ასეთ მშვენიერ ტრადიციაზე. ჩემი და ეველინა გამოჩენილი მსახიობი არ იყო, ძალიან ცოტა იცოცხლა, მაგრამ პატივცემულმა შალვამ უკვდავჰყო მისი სახელი. აი, ახლა მას შემდეგ რამდენიმე ხანმა გაიარა, მაგრამ როდესაც ამ წერილს ვკითხულობ, რაღაც შვებას ვგრძნობ... მეტის-მეტი ოფიციალობა ჩვენი პრესისა ჩვენთვის ძვირფასი ადამიანების მიმართ არ მომწონს.

ალექსანდრე წუწუნავას ახასიათებდა გულთბილობა. დიდად უყვარდა თავისი თანამშრომლები, უფროსი ამხანაგების დავიწყება ხომ არ შეიძლებოდა. და აი, იმ დღეს, როდესაც თავის და ეველინაზე მესაუბრებოდა, ნელ-ნელა „თეატრი და ცხოვრება“ გვერდით გადადო, გავიხსენეთ თვითონ ჟურნალის რედაქტორი იოსებ იმედაშვილი, ბოლოს ჩემი ყურადღება გადაიტანა ერთ ინციდენტზე, რომელიც თავს გადაჰხდომოდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობ რეჟისორ ვასილი ვასილის ძე ლუჩსკის გამო. ეს ინციდენტი მოხდენილადაა აღწერილი ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე ნ. ტელეშოვის მიერ და მოთავსებულია ჟურნალ „ოგონიოკში“ 1946 წლის ივნისის 27 ნომერში. თვითონ ალიოშამ კი აი როგორ გააშუქა:

— სცენაზე არ მინახავს, ისე კი ვიცი, რომ გამოჩენილი მსახიობი იყო. ბევრს მოითხოვდა მსახიობისაგან, მაგრამ თავის თავსაც სთხოვდა. სამხატვრო თეატრის მსახიობთ ახსოვთ ერთი ასეთი შემთხვევა: ოქტომბრის რევოლუციის პირველ წლებში თეატრი საგასტროლოდ წავიდა ეკატერინოსლავში, სდგამდნენ გორკის პიესას

„ფსკერზე“, რეპეტიციების წინ რამდენიმე აქტიორი, მათ შორის თვითონ ვასილი ვასილის ძეს შვილი ე. ვ. ლუქსკი, სცენაზე ისე შევიდნენ, რომ ქუდები არ მოუხდიათ. უეცრივ თეატრის დარბაზის კარი გაიღო და მაყურებელთა დარბაზიდან გაისმა მრისხანე ხმა ლუქსკისა:

— ქუდი მოიხადე! ქუდი მოიხადე-მეთქი! განა დაივიწყე, რომ სცენაზე ხარ? — დანარჩენი ამ „ოგონიოკში“ წერია, წაიკითხე გეთაყვა.

ჟურნალი გამოვართვი და ნაჩვენები ადგილიდან მოვყევი კითხვას:

„...როგორც მუდამ თავაზიანმა ვასილი ვასილის ძემ მხოლოდ შვილს შენიშნა ასე, მაგრამ არ შესცდა; მისი შენიშვნა სცენაზე მყოფმა მსახიობებმა თავის თავზედაც მიიღეს და მაშინვე ქუდები მოიხადეს.

— ხელოვნებას პატივისცემით უნდა ვეპყრობოდეთ, — წარმოსთქვა მან უკვე შემრიგებელი კილოთი და ყველას ხელი ჩამოართვა.

ერთხელ ლუქსკის მეგობარმა ცნობილმა პროვინციელმა აქტიორმა ალექსანდრე ბაროვმა რეპეტიციაზე დაიგვიანა. ვასილი ვასილის ძემ მკაცრი შენიშვნა მისცა. ბაროვმა ითაკილა და ლუქსკის შუაკაცები მიუგზავნა დუელში გასაწვევად.

იმავე დღეს ბაროვმა ვერ მოითმინა და ერთ-ერთ აქტიორთაგანს უამბო, ასე და ასე დამემართა, ლუქსკი დუელში გავიწვიეო. დუელის ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელს თეატრში. აქტიორები რიგრიგად მიდიოდნენ ბაროვთან და სრულიად სერიოზულად უცხადებდნენ, ჩვენ მზად ვართ დუელში გამოვიდეთ თქვენთან გინდათ ხმალდახმალ, გინდათ დამბაჩებით, ან როგორც მოისურვებთ, მაგრამ არ დავუშვებთ, რომ ჩვენი საყვარელი მასწავლებელი ვ. ვ. ლუქსკი სულელურ წამოწყების მსხვერპლი გახდესო.

— კეთილ ინებეთ და ბოდიში მოიხადეთ ვასილი ვასილის ძეს წინაშე, — ფიცხად შეუძახა აქტიორმა წუწუნავამ, — არადა მე თვითონ მივიღებ თქვენს გამოწვევას...

— რას ამბობ, საშა, — დარცხვენით თავს იმართლებდა ბაროვი, — ამგვარად ხომ მთელ თეატრთან მომიხდება შებმა. მიეხვდი,

რომ დავაშავე. ახლავე წავალ და ვასილ ვასილის ძეს პატიებასა ვთხოვ.“

ბევრი ვიცინეთ „ოგონიოკის“ კითხვის დროს. შემდეგ აღარ მახსოვს, როგორ გადავედით სუმბათაშვილის „ღალატზე“. მან გაიხსენა, თუ როგორ ეწვია ა. ი. სუმბათაშვილი არტისტული საზოგადოების თეატრს 1916 წ. 30 მაისს და რუსულ-ქართულად მისი (ალ. წუწუნავას) რეჟისორობით როგორ დაიდგა „ღალატი“.

— როგორ? — შევეკითხე, — ნუთუ „ღალატი“ მაშინ შენი რეჟისორობით დაიდგა?

— რა თქმა უნდა. ვალერიან გუნიას რჩევით სუმბათაშვილმა მთხოვა რეჟისორობა გამეწია მისი „ღალატისთვის“. აბა უარს როგორ ვეტყოდი.

ალ. წუწუნავა მოგონებამ გაიტაცა. გაიხსენა წარმოდგენის შემდეგ როგორ უმასპინძლებოდა ხოლმე სუმბათაშვილი თვითონ ალიოშას, მაკო საფაროვა-აბაშიძისას, ვასო აბაშიძეს და სხვებს. შემდეგ გადავიდა ერთ ინტიმურ საუბარზე, რომელიც სუმბათაშვილს ჩაუტარებია მასთან, როდესაც tête—à—tête-ად დარჩენილან და უთხოვია, საიდუმლოდ შეენახა ეს ამბავი.

— განა რა საიდუმლოა ისეთი?

—საქმე ეხებოდა „ღალატს“. თურმე ა. სუმბათაშვილს იტალიიდან მიპატიჟება მიეღო, რომ იქ წასულიყო თავისი პიესის ეკრანზე გადასაღებად. რეჟისორობას და მთავარი როლის შესრულებას სთხოვდნენ, თანაც „კარტ-ბლანშს“ აძლევდნენ დამატებით მიეყვანა მსახიობი, რომელსაც მოისურვებდა.

— მერე, უარი უთხრა? — ვეკითხები.

— არა, ჯერ ეჭვობდა იმიტომ, რომ კინორეჟისორობა მისთვის უცნობი იყო.

— მერე შენ?

— მე გავუადვილე, ბედნიერ შემთხვევას ნუ დაჰკარგავთ, წაიყვანეთ ერმოლოვა, ან მარია გავრილოვნა სავინა. მე მგონია, ერმოლოვა აჯობებს ზეინაბის როლში.

სუმბათაშვილი შეფიქრიანდა.

— არა, არც ერმოლოვა და არც სავინა, თუ წასვლა იქნება, არ-ჩევანს ნუცა ჩხეიძეზე შევაჩერებდი.

— როგორ? სად ერმოლოვა და სად ნუცა?

— უკაცრავად, ერმოლოვა დიდი მსახიობია, დიდზე დიდი და ზეინაბის როლსაც საუცხოოდ ასრულებს, მისი თამაში ზედმიწევნით დახვეწილია, მაგრამ მაინც, წვას ვერ გაგრძნობინებს, მაშინ როდესაც ნუცა სცენაზე იწვის და მაყურებელსაც წვავს. ალბათ ეს იმიტომ ხდება, რომ ერმოლოვა და სავინა დიდი ერის შვილები არიან და არ განუცდიათ ის ეროვნული ჩაგვრა, რასაც ქართველები განვიცდიდით ისტორიულ წარსულში. ნუცას ზეინაბი ჩვენი ეროვნული სიმწარისა და უბედურობის სიმბოლოდ დარჩება. გამოგიტყდებით, იმ დღეს აქეთ, რაც მისი თამაშიდან სამს მომენტს ვიხსენებ, ოთარბეგთან შეხვედრას, ერეკლეს პირველ ნახვას და მეტეხის აფეთქების დროს,— ჟრუანტელი მივლის... ნუცას პათოსს დიდი შინაგანი წვა ახასიათებს...

ასევე თავ-თავისი უძღვნა გუნიას ოთარ-ბეგს, გ. იშხნელის დათოს, ვიქტორ გამყრელიძის ანანიას, კარგარეთელის გველისებურ სრიალს რუქაიას როლში, სოსო ივანიძის საბას... ერთი სიტყვით, ყველას თავისი მიუზღო. შემდეგ შემეკითხა:

— რას იტყოდით, ბ-ნო ალექსანდრე, თქვენთვის რომ შემოეთავაზებინათ რეჟისორობა ჩემი „ღალატისა“, როგორ ხორცს შეასხამდით?

— მე რა ღირსი ვარ ამ საკითხში ჩამოგერიოთ...

— არა, ბრძანეთ... თქვენ დიდი გამოცდილება გაქვთ როგორც რეჟისორს, ლევან ყიფიანის წერილი წავიკითხე ამ შვიდი-რვა წლის წინათ თქვენ მიერ დადგმული „იორიოს ასულის“ შესახებ და გულში ჩამწვდა. სწორედ წუხელის გამახსენდა ის წერილი და იმავე დროს ჩემი მიპატიჟებაც იტალიაში... მაინც თქვენთვის რომ მოენდოთ კინორეჟისორობა „ღალატისა“ რანაირად მოხაზავდით? საინტერესოა, გაკვრით... გეგმის სახით მაინც...

მეც ჩემი ვუთხარი, როგორც შემეძლო, დავიწყე ექსპოზიციით. მთვარიანი ღამე. ღრმა ძილში გახვეული ძველი თბილისი. საბედის-

წერო ღრუბლების წამოწევა ნარიყალას თავზე. ღრუბლები ზლაზვნით იწყებენ ადგილის გადანაცვლებას მეტეხისკენ. სეიდაბადის ბაღების სიღრმეში გრიგალივით ამოვარდება ველური ყიჟინა, მოჰქრის სოლეიმანი მოკაუჭებული ხმლით. ასეთივე ხმლებით მოჰყიჟინებენ პირალანძული მისი თანმხლებნი, ავარდება ხანძარი თბილისის მისადგომებთან... ხანძარი ადგილს გადმოინაცვლებს. მრავლდება... კიდევ! სიონის, ანჩისხატის ზარების გაგიჟებული განგაში... დამფრთხალი მძინარე მოსახლეები, აქა-იქ ზეკაცური ბრძოლის ეპიზოდები... მეტეხის თავზე სასახლის კოშკის ბანზე გამოიჭრება დედოფალი თამარ გულზე მიხუტებული თოთო ბავშვით... მას მდევარსავით ფეხდაფეხ მოსდევს ხანძრის ალი... იქვე დაჭრილი ოთარ-ბეგ სისხლიდან იცლება... მოჩვენებაა თუ? ხანძრის ალ-ში თმაგაწეწილი ისახარ მოარღვევს ცეცხლის რკალს აკვნის ბავშვით. მას უკან მოსდევს ანანია... აგერ, სოლეიმანი... იგი გაშმაგებით დაეძებს დედოფალ თამარს, რომ მკერდიდან აჰგლიჯოს პირმშო და ცხენის წიხლ ქვეშ გასთელოს. მაგრამ დედოფალს აეფარება ანანია, როგორც უმჯობესი სიმბოლო მამულიშვილობისა, თავის მეუღლეს ისახარს გამოსტაცებს საკუთარ ბავშვს და დედოფალს შეუნაცვლებს უფლისწულში, დედოფლის ხელში მიჩიჩებულ ბავშვს სოლეიმანს მიუგდებენ... სოლეიმან ცხენის ფეხქვეშ გასთელავს ბავშვს, ხოლო ანანია ანანურისაკენ მიჰქრის გულზე მიხუტებული უფლისწულით... გამარჯვებული სოლეიმანი შეჰბილწავს საქართველოს მეფეთა ტახტს დედოფლის გამხევლებით..

სუმბათაშვილს ცრემლი მოერია...

— არა, ძნელია... ძნელი!.. — სთქვა მან და შუბლზე მაკოცა. შემდეგ დასძინა — მოვიფიქრებო.

არ ვიცი რა მოიფიქრა, მაგრამ მაშინვე შევატყვე, რომ „ღალატის“ ეკრანზე გადატანა ამ საუბრის შემდეგ კიდევ უფრო საძნელოდ მეიჩნია.

• • •

მართალია ალექსანდრე წუწუნავა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში უკვე. დამორჩილებული ჰყავდა მძიმე ავადმყოფობას, მაგრამ ყოველთვის, როდესაც მიხდებოდა მასთან ყოფნა და საუბარი,

მისი მოგონებები ჩემზე სტოვებდნენ ისეთ შთაბეჭდილებას, როგორც ნაირ-ნაირი ყვავილები, შებინდებისას რომ დაისის ცვარნამით ცოცხლდებიან და უფრო მეტ სურნელს მოგვაფრქვევენ, ვიდრე დილით. მე უფლება არ მქონდა ალ. წუწუნავას ცოცხალი მოგონებები უგულებელმეყო და ფართო საზოგადოებისათვის არ მიმეწოდებინა, როგორც ჩემი ძვირფასი მეგობრის, საუკეთესო მოქალაქის, მრავალმხრივი მოღვაწისა და ჭეშმარიტად დიდი ოსტატის, ხელოვანის უგულითადესი საჩუქარი. არასოდეს მისი სიყვარული და გულითადობა ისე არ მომჩვენებია ფართო ჰორიზონტ გაშლილი, როგორც ამ ინტიმური საუბრების დროს. სიკვდილნაკბენიც კი მუდამ ჩვენი ხელოვნების გამარჯვებისათვის ფიქრობდა და მისი კეთილდღეობის სამსხვერპლოზე იფერფლებოდა..

1957



ერთი საათით დიმიტრი არაყიშვილთან

ოდესაც კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილის სახელს ახსენებენ, უნებურად ძველისძველი ამბავი მაგონდება. ეს მოხდა, თუ არა ვცდები, 1914 წელს, ბანკის ბაღის საკონცერტო დარბაზში, დღევანდელ გრიბოედოვის სახელობის თეატრის გვერდით.

დარბაზში ჩემი ყურადღება მიიპყრო მეტად მოხდენილმა ვაჟკაცმა.

— ვინ არის ეს უცნობი? — შევეკითხე ჩემს გვერდით მჯდომ ლევან ყიფიანს.

— დიმიტრი არაყიშვილი. წავიდეთ, გაგაცნობთ, — მეუბნება იგი, — მეტად საინტერესო პიროვნებაა.

მიმიყვანა, გამაცნო. ზარის ხმა გაისმა.

ჩვენ წინა ადგილები დავიკავეთ. ფარდა შეირხა. აგერ გამოჩნდა ვანო სარაჯიშვილი.

მან ჯერ მელიტონ ბალანჩივაძის რომანსი შეასრულა: „ოდეს შეწვევეა სევდა დამწველი“, ამას მოჰყვა დიმიტრის „ურმული“, შემდეგ ნადირის არია „მარგალიტის მაძიებლიდან“ და ბოლოს ისევ დიმიტრის რომანსი: „ღამეა ბნელი“.

ვანოს ხმის გრძნეულობა, მისი ლირიულობა, აუწერელი გრაცია გვხიბლავდა ყველას. ვუმზერდით და უმალ ვხვდებოდით, როგორ იწვოდა, რა ღრმად განიცდიდა იგი კომპოზიტორისა და პოეტის სულის ობლობას, მარტოობას, მიუსაფრობას:

„ღამეა ბნელი,
ღამეა ვრცელი...
სულსა ჰფლობს ჰმუნვა,
სულსა ჰფლობს გლოვა...
არავის ვუცდი,
არავის ველი...
ან ვის ვახსოვარ?
ვინ მყავს?..
ვინ მოვა?!

უჩვეულო მელოდია მოუნახია დიმიტრის ამ რომანსისათვის. მისი შემოქმედება მგზნებარეა, ნაზი როგორც თვითონ ლექსი განსვენებული მგოსნისა. ამ რომანსში არის რაღაც კეთილშობილური ამაყი სევდა, შინაგანი წვა... ვანო ხელოვნებდა. ის არა მარტო მღეროდა, თითქოს თქვენს თვალწინ იწვოდა, იფერფლებოდა, საკუთარი სისხლით წერდა კომპოზიტორისა და პოეტის სევდით დაზიდულ მელოდიას:

„მდუმარებს არე,
მდუმარებს ველი,
სული წუხდება,
სული ვალალებს.
არავინა სჩანს,
არავის ველი...
ვინ შემიმშრალებს
ცრემლიან თვალებს?"

ჩაწყდა უკანასკნელი აკორდი და ვანომ მდაბლად დაჰხარა თავი. აღარ შევუდგები იმის აღწერას, თუ რა ოვაციები გაუმართეს მაყურებლებმა მომღერალს და როგორ წამოვიდა ყვავილების სურნელოვანი თოვლი. ჩემი ყურადღება დიმიტრი არაყიშვილმა მიიპყრო, იგი ღრმად ჩაფიქრებულიყო, მერე გადმომხედა და ნაღვლიანად წარმოსთქვა:

— ხომ ნახეთ, რა ჯადოსანი შემოქმედია ვანო, რა უბრწყინვალესი ტალანტი!.. ჩვენი ერი უაღრესად მუსიკალური ერია. აი, აქ, საქართველოში, დაიბადა „გრძელი კახური", აქვე წარმოიშვა „ჩაკრულო" აჭარული „ხასანბეგურა", პირდაპირ ოპერისათვის განმზადებული ისეთი მძლავრი საგანთიადო საგალობელი, როგორიცაა სვანური — „ლილე", გურული მკვირცხლი სიმღერები... ნეტავ, შეგვეძლოს ქართული ოპერის თეატრი დაგვეარსებინა და მაშინ დაინახავდით, როგორ აყვავდებოდა ჩვენი მუსიკა... რამდენი მომხიბვლელი რომანსი დაიწერებოდა, რამდენი სიმფონია, ოპერა...

იმავე წლის შემოდგომის მიწურულში დავესწარი დიმიტრი არაყიშვილის კონცერტს ქართულ თეატრში, სადაც უნდა მომხდარიყო მისი მუსიკალური შემოქმედების დემონსტრაცია.

დიმიტრი არაყიშვილი თვითონვე ხელმძღვანელობდა ორკესტრს. საუცხოო შთაბეჭდილება დასტოვეს მისმა ლირიკულმა რომანსებმა. მაგრამ უფრო მეტად მომხიბლა ოპერა „შოთა რუსთაველის" უვერტიურამ.

„რუსთაველის" უვერტიურას მოჰყვა „ორმუზდის ჰიმნი" — ეს მართლაც სრულყოფილი სიმფონია.

• • •

მას შემდეგ მრავალმა წელმა გაიარა; დიმიტრი არაყიშვილიც მოესწრო თავისი სანუკვარი ოცნების განხორციელებას. დიდმა ოქტომბერმა გაათავისუფლა ჩვენი ქვეყანა. საბჭოთა წყობილების პირობებში აღმავლობა განიცადა ქართულმა მუსიკალურმა კულტურამ. ამ დიდი კულტურის შემოქმედთა პირველ რიგებში მუდამ იდგა და დგას დიმიტრი არაყიშვილი. იგი არა მარტო შესანიშნავი შემოქმედია, არამედ თვალსაჩინო მკვლევარიც, ჩვენი მუსიკალური ფოლკლორის მარგალიტების მაძიებელიც. ჩვენი კულტურის ზღაპრული ზრდის და აღმავლობის ცნობილი მემატიანეც.

ამას წინათ საღამოს შვიდ საათზე ვეწვიე დიმიტრი არაყიშვილს. ვიდრე დიმიტრი გამოვიდოდა, მისაღებ ოთახს ვათვალიერებდი. ჩემი ყურადღება მიიპყრო კედელზე ჩამოკიდებულმა ფართო ტილომ. ეს ბატალური სურათია, რომელიც გამოხატავს წითელარმიელების გმირულ ბრძოლას სამშობლოს დასაცავად. სურათი შესრულებულია დიმიტრის ვაჟიშვილის ალექსანდრეს მიერ.

კუთხეში მრგვალი მაგიდაა ჟურნალ-გაზეთებისათვის. აქვეა დიმიტრის მდიდარი არქივის ნაწილი. მაგიდაზე აწყვია დიმიტრი არაყიშვილის ნაშრომები რუსულ ენაზე, ოთხტომად გამოსული ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში. ნაშრომები ეხება ქართული მუსიკალური ფოლკლორის საკითხებს. აქ წარმოდგენილია ქართლ-კახეთის, გურიის, სამეგრელოს, იმერეთის, ფშავ-ხევსურეთის მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშები. ვნახე აგრეთვე დიმიტრის რომანსები ფრანგულ ენაზე, რომელსაც სწავლობენ პარიზის კონსერვატორიაში. აგერ მისი შრომა რუსულ ენაზე: „აღმოსავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერების მიმოხილვა“.

ამასობაში დიმიტრიც შემოვიდა. მივულოცე ლაურეატობა. მრგვალ მაგიდას მივუსხედით.

— ჰა, როგორ იყო, დიმიტრი, გახსოვს, ოდესღაც ვანო სარაჯიშვილის გამოსვლის დროს რომ ოხრავდი და სჩიოდი, რატომ ოპერის თეატრი არა გვაქვსო...

აღარ დამამთავრებინა.

— ნუღარ გამახსენებ, — მითხრა დიმიტრიმ, — არ მინდა ძველი ტკივილებით კვლავ გავიკაწრო გული. ახლა ბედნიერი ვარ. ჩემი ოცნება აცხადდა, ჩვენი ახალი კულტურა საოცარი ტემპებით იზრდება. აი, თუნდაც, ეს ფილმი — „ჯურღაის ფარი“, მარტო ის კი არ მახარებს, რომ ლაურეატობა მივიღე მეც სხვებთან ერთად, არამედ ის, რომ მთელი ეს ფილმი დადგმულია ჩვენი საკუთარი ძალებით. ლიბრეტისტები ჩვენები არიან, კომპოზიტორებიც, არტისტებიც, მხატვრებიც, რეჟისორებიც... მაგრამ მარტო „ჯურღაი“ ხომ არაა! ხელოვნების ყველა დარგში ასე ვიმარჯვებთ, და არა მარტო ხელოვნების, არამედ კულტურის, ეკონომიკის, საზოგადოდ ცხოვრების ყველა ფრონტზე. გაიხსენეთ, რამდენი საუცხოო პოეტი, მხატვარი, მოქანდაკე, ხუროთმოძღვარი, მუსიკოსი გვყავს...

გატაცებით, გრძნობამორევით ლაპარაკობს დიმიტრი, მეშინია, არ დავღალო მოხუცი... მაგრამ თვითონვე ხალისობს, როდი ჩერდება, ჰაბუკური აღმაფრენით განაგრძობს:

— მარტო ჩვენი დარგი აიღეთ, — მეუბნება, — რამდენი რამ შეიქნა სახარბიელო, რამდენი კომპოზიტორი გამოვზარდეთ და ზოგნიც ზრდის პერიოდში არიან! მე ყველაზე უხუცესი ვარ მათში. ეს ახალგაზრდები მართლაც მუხლმაგრად მოდიან... მათ ბევრი რამ შეიტანეს ჩვენი მუსიკალური კულტურის საგანძურში. თვითეულ მათგანს თავისი საკუთარი სახე აქვს. მათი ოპერები, სიმფონიები და ბალეტები უკვე დადაფნული და დაფასებულია ღირსეულად. ეს ქმნილებანი არა მარტო ჩვენს საკუთრებას შეადგენენ, არამედ მთელი საბჭოთა ხალხისას! რამდენი რომანსი დაიწერა, რამდენი ბალეტი, რამდენი ტრიო და კვარტეტი, რამდენი სიმფონია და ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ დაიწერება!.. ახლა მომღერალთა გუნდები!.. დიდი და დაუშრეტელია ჩვენი მუსიკალური საუნჯე, ჩვენი ხალხური შემოქმედება. ბედნიერებაა, რომ ამ საუნჯეს ღირსეული მომველი ჰყავს.

დიმიტრი უფრო სხვებზე ლაპარაკობს, არ სწყინდება ლაპარაკი სხვათა ქმნილებებზე. რამდენი მეცადინეობაა საჭირო, რომ თავის თავზეც შეაჩეროთ. მე ვიცნობ მის ოფიციალურსა და მეტად მშრალ ბიოგრაფიას, მაგრამ მინდა მეტი ვიცოდე და მკითხველსაც გადავცე.

და აი საუბრის დროს შევეკითხე: რამ გაგიღვიძათ ბავშვობის წლებში მუსიკისადმი მისწრაფება-მეთქი.

დიმიტრის სახე მოენისლა, შეჩერდა. ეტყობოდა, რაღაცა მძიმე ამბავი გაახსენდა.

— ჩემი ბავშვობა უნუგეშო იყო, — დაიწყო მან, — ლაპარაკიც არ მინდა. ხან მოჯამაგირედ ვიყავ, ხან ხელზე მოსამსახურედ. გორკის თავგადასავალს რომ ეკითხულობ, ასე მგონია, ჩემი ცხოვრება დაუწერია-მეთქი. 13 წლის ასაკში ჩემმა უფროსმა ძმამ გიორგიმ არმავირში გადამიყვანა და მაზრის სამანუფაქტურო მაღაზიაში მიმაბარა მორბედ ბიჭად. მუშტრის მომსახურება, შეშის ჭრა, დუქნის დაგვა-დასუფთავება, უფროსების ტანისამოსისა და ფეხსაცმელების დაწმენდა... აი ეს იყო ჩემი საქმე დილიდან გვიან საღამომდე. მუსიკა დიდად მიყვარდა. არმავირის ეკლესიას ჩინებული მგალობელთა გუნდი ჰყავდა. ეს ეკლესია იყო ჩემი ოპერაც და თეატრიც. ყურმინაბული ვუსმენდი საგალობლებს და უმალვე ვითვისებდი. ხმა აღმომაჩნდა და მგალობლად ამიყვანეს. 1888 წელს არმავირს ეწვია თავისი გუნდით ლადო აღნიაშვილი. გაჭირვებამ წამოიყვანა ასე შორს. გუნდს ლადომ მთელი თავისი ავლადიდება შეალია. მუდმივ დახმარებას არსაიდან იღებდა. მეცენატებმა ზურგი შეაქციეს, გუნდს ბოლოს თავისი ხარჯით უნდა ერჩინა თავი. და თუ არა ასეთი გასტროლები, გუნდი დაიშლებოდა. საწყალი აღნიაშვილი! ამ გუნდის შენახვას გადაჰყვა... მან დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს კულტურას!..

— თქვენ ბრძანეთ, ლადო არმავირში გვეწვიაო. გქონდათ რაიმე საუბარი? რა გირჩიათ? ან რა გავლენა მოახდინა მან თქვენს ცხოვრებაზე?

— არა, გამომცნაურებას აბა როგორ გავუბედავდი ისეთ დიდ კაცს ვიღაცა უბრალო ბიჭი! მაგრამ მან რომ ეროვნული მუსიკის გატაცებული მოყვარული გამხადა, ეს კი მართალია. ჯერ გამაოცა გუნდის ქართულმა საპარადო ჩაცმულობამ, მშვენიერი ქულაჯები პირველად ვნახე. გუნდის მონაწილენი ზღაპრულ რაინდებად მომეჩვენენ. მათმა სიმღერამ ხომ გადამრია. ვთრთოდი, გონებას ვკარგავდი. შინ რომ დავბრუნდი, სიხარულისაგან დიდხანს ვტიროდი. აი, თურმე ვინ ვყოფილვართ ჩვენ—ქართველები, აი რა ჩაცმულობა

გვქონია, რანაირი სიმღერები!.. სულ ზღაპრულად მეხატებოდა მშობლიური მიწა-წყალი, ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი საქართველო. რომლის სიყვარულს მუდამ მინერგავდნენ მშობლები... ბიჭებს რომ დუქანში ჩემი შთაბეჭდილებანი გავუზიარე და ბეჯითად ვუთხარი, ფული უნდა მოვაგროვო, მუსიკა შევისწავლო და სამშობლოში უნდა დავბრუნდე-მეთქი, სიცილი დამაყარეს, თავი კინაღამ მომაკვლევინეს. შემდეგ ეკლესიის გუნდის ხელმძღვანელს გავანდე ჩემი გასაჭირი... მან სერიოზულად მომკიდა ხელი, ნოტები შემასწავლა და ბოლოს მირჩია: არმავირში შენი დარჩენა ცოდვაა. მოდი როგორმე ეკატერინოდარში გადადი, იქ მუსიკის მოყვარულთა წრე არსებობს და შესაფერ ცოდნას მიიღებო!..

და აი, უკვე ეკატერინოდარში ვარ, მუსიკის მოყვარულთა წრის წევრად მიმიღეს. შევუდექი გულმოდგინედ მუშაობას. მალე ავითვისე მუსიკის წერის მანერები. მე უკვე ვწერდი ქართულ სიმღერებს, ქართულ ცეკვებს ფორტეპიანოსთვის... ბოლოს მეგობრების რჩევით მოსკოვში წავედი სასწავლებლად. ვღელავდი, ვაი თუ არ მიმიღონ-მეთქი! ბედმა გამიღიმა. ფილარმონიაში მიმიღეს. ჩემმა ძმამ გაიხარა. ტყავს იძრობდა და ყოველთვე 15 მანეთს მიგზავნიდა სამი წლის განმავლობაში. ქართველი სტუდენტების სათვისტომოშიც დავტრიალდი, პროგრესულ მოძრაობაში ვიღებდი მონაწილეობას, ილიას გაზეთ „იევრიაში“ დავიწყე თანამშრომლობა, ვწერდი წერილებს: „როგორ მოვუაროთ ხალხურ სიმღერებს“, „ქართული სიმღერების ტექსტის შეცვლის შესახებ“. ჩემი ყურადღების ცენტრში ხალხი იყო. ხალხური შემოქმედება. და აი, სტუდენტობის დროსვე უნივერსიტეტის მუსიკალურ-ეთნოგრაფიული განყოფილება დაინტერესდა ჩემი მუშაობით და საქართველოში გამომგზავნა ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესაკრებად. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხე შემოვიარე პრიმიტული ფონოგრაფით და იქვე ხალხის წინაშე ვამოწმებდი ჩაწერილ სიმღერებს. იმდროინდელი ფონოგრაფი დღევანდელს როდი ჰგავდა, ზოგ ადგილებს ჟღრიალით გადმოსცემდა, მეტად ბუნდოვნად. დიდი ენერგიის დახარჯვა იყო საჭირო, რომ სწორად ჩაგეწერათ, და არ შეგერყვნათ სიმღერები. დიდი ყურადღებით მიიღეს მოსკოვში ჩემი ჩანაწერი სიმღერები და წერილები, დაიწყეს მათი გამოცემა...

შემდეგ დიმიტრი კვლავ თანამედროვე მუსიკის საკითხებს უბრუნდება და დიდხანს ლაპარაკობს ქართული მუსიკის აღმავლობაზე, იმ ბრწყინვალე პერსპექტივებზე, რომლებიც მის წინაშეა გადაშლილი.

დრო გადასულიყო. მე მოვიბოდიშე, რომ დავღალე მხცოვანი კომპოზიტორი, გამოვეთხოვე და კვლავ ვუსურვე დიდხანს სიცოცხლე და ნაყოფიერი მუშაობა საბჭოთა კულტურის მშენებლობის ფრონტზე.

1956



გალაკტიონი

პირველი შეხვედრა

„მე, მერნებით გაფრენილს, ქარი დამედევნება
ძახილით: გალაკტიონ! და სწყურია მიგნება,
სადაც ახლა ჯვარია და გვიანი მტევნები,
იქ უკვდავი მაგიის მარმარილო იქნება!“

გალაკტიონი

ეს იყო ქარიშხლებისა და სიყვარულის მგზნებარე ტრუბადური. „ყველაფერს თავისი ცრემლი ახლავს“ — ამბობდნენ ძველი რომაელები. ვინ იფიქრებდა, რომ ეს ბრძნული, პოეტური სიტყვები გალაკტიონ **ტაბიძის**ათვის ზედგამოჭრილი ეპიტაფია იქნებოდა!

* * *

გალაკტიონის პოეზიის ცაზე ეწერა „პოეტის გზა“ და „ახალი ლალის კართაგენები“, მისმა „ლურჯა ცხენებმა“ გამოანგრიეს ეფემერული ბურუსი და უკვდავების შარაგზაზე გამოაქროლეს გალაკტიონის პოეზიის მზიური ოქროს ეტლი.

მხოლოდ გალაქტიონს შეეძლო შეემჩნია, თუ როგორ „ფითრდება იაგუნდის დღე“, „როგორ იძინებს თეთრი ზამბახი“, „რაზე შრიალებს ტოტი ვერხვისა“, „როგორ იწვის, როგორ დნება შუადამე“, „რა ამოძრავებს კიპარისის ტანს“...

მხოლოდ გალაკტიონი შეიგრძნობდა ბარათაშვილივით მთაწმინდის მთვარეს, სასაფლაოს, „ელვარე საღამოს, ალმას საყურეთა“, „გრაალის კოშკებს—ზმანებათ სამრეკლოს“, „ქარვათა მორევში დაშვებულ ფარდებს“, „ჩამავალ მზით ნაფენ ელვარე ნაპირს, სამუდამო მხარეში“...

გალაკტიონი, როგორც ქართველი პოეტების მებაირახტრე, ისე იდგა „იქ, სადაც ქარიშხალია“, რათა სიცოცხლე შეეწირა „ახალი გრიგალებისათვის“...

გალაკტიონისთვის, როგორც მოქალაქისთვის, „პოეტი არის მებრძოლი“, „ახალი ქვეყნის მჭედელი“... „წინ, პოეზიავ, წინ!“ გაჰკიოდა იგი ქარიშხალში და სწამდა, რომ თავის მხრივ „ახალი ეპოქაც სჭედდა ხელოვანს“, რომ „თითოეული პოეტი ინჟინერია“...

გალაკტიონი, როგორც ტრიბუნი, მისტიროდა ილიას ცხედარს, რომელსაც ტყვიით განუგმირეს მზიური შუბლი, „ელვის ციმციმში“ ხედავდა აკაკის ლანდს: გალაკტიონის პოეზიის დროშაზე დახატული იყო „დიდებული“, „მზეთა-მზე“, „ღვთაებრივი“, „მშვენება“ — შოთა!

მის ბობოქარ, ზღვა სულს, „თოვლის უსპეტაკესს“, სიკვდილამდე მხოლოდ ერთი შეგრძნება ჰქონდა—ემღერა ხალისისა და ბრძოლის სიმღერები.

გალაკტიონი იყო სიკეკლუცისა და ქარიშხლების უბადლო ტრუბადური, მისი ოქროს ჩანგისთვის პოეზია იყო „უპირველეს ყოვლისა“.

* * *

მე მუდამ მიტაცებდა ახალი სიტყვა პოეზიაში, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას ახლდა შინაარსი, ღრმა აზრი. ბრმა ან ყრუ უნდა იყოს ადამიანი (თუ ის პოეტური ბუნებისაა), რომ გული არ აუტოკოს გალაკტიონის უჩვეულო სიტყვების ღრმა მუსიკალურმა ჟღერადობამ. გალაკტიონის ყოველი თქმა, ყოველი რითმა მსუბუქია, ღრმად პოეტური და ბეჭედივით მოკვეთილი.

გალაკტიონი ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ გავიცანი. ჩვენი გაცნობა დაემთხვა ჩემს პირველ ჩასვლას ქუთაისში, მაისის ულამაზეს თვეში.

მაშინდელი ქუთაისი მიყრუებულ, პროვინციულ ქალაქს წარმოადგენდა. საფიჩხიასა და საღორიას მიდამოებში გაუთავებელი ღრეობა იყო, ბალახვანთან განუწყვეტლივ ჰყვიტინებდა ერემია ქუთათელაძის განთქმული გარმონი, რიყეზე, ჰაბუკებში, ქართული ჰიდაობა იყო გაჩაღებული, თეთრი ხიდიდან და რესტორან „იალტას“ სახურავიდან სხვადასხვა „ფასონებით“ ხტებოდნენ რიონში ბიჭები, ხონის გადასახვევზე სამტრედიისკენ, წყალტუბოსკენ, ხონისკენ მიჰქროდნენ არღნიანი ეტლები. ასათიანის ჭალაში, ქართულ სუფრაზე საგანგებოდ ცოცხლდებოდა შოთა რუსთაველი და აკაკი, ომახიან „მრავალჟამიერს“ მოჰყვებოდა პრასი და ლობიო, წვრილ-წვრილი მჭადები და ცივი, სვირული ღვინო, მცვრიანი მწვადები და შუაზე გაკაფული, ან თხილის შამფურზე მთლიანად შემწვარი „ტუხუს გოჭი“...

ჩემის აზრით, არსად ისეთი გემო, შნო და ლაზათი არა აქვს სუფრას, როგორც აკაკის „სავარდო და სამაისო“ ქალაქში. და ამ უკვდავ, რომანტიკულ ელფერით გაჟღენთილ პეიზაჟს ულვაშების გრეხითა და ზღაპრული სინარნარით არწევდა ნამდვილად ქართული, ძარღვიანი შემოძახილი:

„ჩემი გული შენ მოგიკლავს, ნანინა,
სხვისი გაგიხარებია!“

მაგრამ ეს სხვათაშორის. მივდიოდი ქუთაისში და ვფიქრობდი გალაკტიონზე! ძლიერ მაინტერესებდა მისი გაცნობა...

მე ის წარმოდგენილი მყავდა ხან პოლ ვერლენად, ხან ლეკონტ დე ლილად, ხან შარლ ბოდლერად...

გზადაგზა ვფიქრობდი, როგორ შევხვედროდი ამ უჩვეულო, ბრწყინვალე პოეტური ხმის მქონე ადამიანს.

ქუთაისში ჩასვლისას, სადგურზე დამხვდა მხცოვანი ბელეტრისტი ია ეკალაძე, გალაკტიონის სათაყვანებელი აღმზრდელი. მე საზაფხულო პალტოსი და ჯოხის მეტი სხვა ბარგი არ მქონდა.

ია დიდი სიყვარულითა და სტუმართმოყვარეობით გამიძღვა წინ.

საღამოს გალაკტიონი გავიცანი. მეც და იაც მიგვიპატიჟა ჯაჭვის ხიდის თავზე, დიანოზ კობერიძის სახელგანთქმულ რესტორანში. ვახშმად მწვადებამდე მოგვართვეს, ღომი და „წკირზე“ შემწვარი წიწილი, მწვანილეული, ბოლოკი და, რა თქმა უნდა, ქუთაისური პრასიც. სუფრას ამშვენებდა ცოლიკაური — დაწმენდილი „თავი ღვინო“, ისრიმ-მაყვალში ჩაწყობილი აქნილი ქათამი, პიტნითა დ ომბალოთი შეკაზმული ჭყინტი ყველი, წაბლის ფოთლებში გამომცხვარი ჭადები, თიხის კეცებში შემწვარი ვარიის ტაბაკა, „ჩქოლა“ გოჭი— ბურვაკზე მომცრო, პილპილიანი ფლავით შეზავებული...

გულუხვად გვიმასპინძლდებოდა გალაკტიონი. მაშინ ის ფერმკრთალი ყმაწვილი იყო, ღრმა, მეოცნებე, უძირო თვალებით. შავი გრუზა თმებით, ევროპულად პირგაპარსული, მაგრამ არც თუ ისე ენაწყლიანი მოსაუბრე.

რამოდენიმე ბოთლის შემდეგ მასპინძელს ვთხოვე ქეიფი დამთავრებულად ჩაეთვალა და ჩემთვის ეჩვენებინათ ბაგრატის ღიდებული ტაძრის ნანგრევები, ან გელათი.

გალაკტიონმა იტკიცა:

— როგორ, ჩემო დავით! პირველად ბრძანდებით ქუთაისში?

მე პასუხად თავი დავხარე და მწვანილი გავწიწკნე კბილით.

— საოცარია, ამდენი ქვეყნები მოიარე და ქუთაისში არ ყოფილხარ?!

გალაკტიონს იაც მიემხრო. მან ბევრი ილაპარაკა უინტერესობაზე, გადაგვარებაზე, სიზარმაცეზე. ია წრესგადასულად სვამდა და

ახლა მთელი სიფიცხით მიემხრო თავის ყოფილ მოწაფეს — გალაკტიონს.

გალაკტიონმა თვალით მანიშნა იას მისამართით. როგორც იქნა, დავამშვიდეთ ია და რესტორანიდან გამრეკდით. ია ბარბაცით მოგვყვებოდა.

— პოლ ვერლენი ამბობდა: „პოეზიაში მუსიკა უპირველეს ყოვლისა!" შენ კი, ჩემო გალაკტიონ, ეს დაივიწყე.

გალაკტიონი, სახტად დარჩენილი, შეაჩერდა აღმზრდელს:

— როგორ?!

— შენი ლექსები არ იმღერება. შენს ლექსებში წინა პლანზეა აზრი. აზრი სრესს მუსიკას და უკანა პლანზე აგდებს.

გალაკტიონმა გაიღიმა თავისებურად და შემპარაიი ხმით მიუგო:

— განა აზრი, მუსიკა არ არის?!.

მე გამეღიმა. ია ხელებს იქნევდა და არ ეთანხმებოდა მოწაფეს.

იგი თავს ესხმოდა გალაკტიონს, მოუწოდებდა, არწმუნებდა.

ქუთაისის ჭუჩები იისფერი ბინდბუნდის ლეჩაქში იყო გახვეული. ავყევით არქიელის გორაზე ხავსმოდებულ, ლოდებიან აღმართს. ძალე ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან მდგარნი, გაბრუებულნი და მოხიბლულნი გავყურებდით რიონის პანორამას და ნისლში აკვამლებულ მეორე საოცრებას — მოწამეთას მიდამოებს.

* * *

შინ დავბრუნდით გვიან, დაღლილნი, დაქანცულნი და კმაყოფილნი.

გალაკტიონის ოთახი დალაგებული იყო. მეზობელ ქალს, ტასოს, ჩვენი პოეტის თაყვანისმცემელს, ჩვეულებად ჰქონია ოთახის მოვლა-პატრონობა.

ჭაღარა მანდილოსანს ცოცხალი წითლად მოხასხასე ვარდების თაიგულით შეემკო საწერი მაგიდა. იმ დღეს გავიგე, რომ გალაკტიონს მეტისმეტად უყვარდა ვარდები, ამით თითქოს ფარდაც აეხადა აკაკის ჯადოსნური სიმღერების სიდუმლოს.

მართლაც, ვინ არ დადგებოდა პოეტურ გუნებაზე წითლად მოე-

ლვარე. ქუთაისური ვარდების დანახვისას! ლექსიც რომ არ დასწერო, პოეტი ხარ!

გალაკტიონმა სკამი გამოსწია, მაგიდას მიუჯდა და ვარდების თაიგულში ჩამალა სახე. ერთხანს ასე დარჩა. ია, რომელიც მეტისმეტად ფიცხი და ცოტა უტაქტოც იყო, შეიშმუშნა.

გალაქტიონმა ვეფხვის სიშმაგით დაყნოსა ვარდები, დაჰკოცნა და საყელო შეიხსნა:

— ამაზე ლამაზი რაა ქვეყნად! რამდენიმე წუთით განვიცდი ეფემერულ ტკბობას. ჩემო დავით, გამიგონია, ძველ ბაბილონსა და არაბეთში ყოფილა საგანგებო ყავახანები, სადაც მსურველები იღებენ ოპიუმს, კოკაინს და სხვა ნარკოტულ სასმელს, გაბრუებულნი ივიწყებენ ყოფას და მაჰმადის მიერ აღთქმულ სამოთხეში დაფოინავენ, ჰურიებთან — მუსლიმანურ ულამაზეს გოგონებთან, ანგელოსებთან. აი, ეს ყვავილებია ჩემთვის ყველაფერი, ქუთაისური ვარდებია ჩემი პირველი დამათრობელი, ჩემი უმაღლესი სიამოვნება, ნეტარება და პოეზია.

მაგიდაზე, საწერ-კალამთან იდო გალაკტიონის ახალი ლექსი — „ვარდები“. ეს ლექსი უფრო ენციკლოპედიური ტერმინებით იყო დაწერილი. წაგვიკითხა. აქ იყო მოტანილი ჰომეროსი, ჰესიოდე, ფლორა, ეროსი, ბოტიჩელი, რაფაელი, ჯიოტი, ვან-დეიკი, ლეონარდო და ვინჩი. იამ სამართლიანად უსაყვედურა გალაკტიონს—ლექსი ამ პიროვნებათა გარეშეც შესანიშნავი იქნებოდაო.

გალაკტიონი დარცხვენილი უსმენდა თავის ყოფილ მასწავლებელს. ბოლოს დაიწყეს კამათი დეკადენტებზე.

მე შევნიშნე, რომ გალაკტიონმა ცუდად წაიკითხა ლექსი, უეფექტოდ, პათოსის გარეშე, არასწორად.

კამათმა დიდხანს გასტანა. გალაკტიონი, რომელიც იცავდა სიმბოლიზმს, დამარცხდა.

იამ სასტიკი განაჩენი გამოუტანა თავის საყვარელ, ნიჭიერ ნამოწაფარს. გალაკტიონის წამწამზე ცრემლი გაბრწყინდა...

ო. ის ცრემლი!

ო, ის ფერმიხდილობა!..

ალბათ, ასეთი ფერმიხდილი იყო მეფე ერეკლეც, როდესაც

კრწანისის ომიც შემდეგ თვალცრემლიანი წარსდგა აბო თბილელის ხატის წინაშე.

მე მაშინ დიდი მოურავიც გამახსენდა, ფიქრის გორაზე ღალატით დამხობილი, გადატეხილი მახვილით რომ ჩაბღუოდა მიწას სისხლის ცრემლებით:: „მშობელო მიწავ, მითხარ, როგორ მოვიქცე?!“..

გალაკტიონმა ცრემლი მოიწურა და ფერმკრთალ სახეზე გადაისვა თხელი, ათრთოლებული თითები...

„ყველაფერს თავის ცრემლი ახლავსო“, ამბობდნენ ძველი რომაელები. სიცრუეა! ასეთი წმინდა, სპეტაკი ცრემლი ყველას არ ახლავს... იგი მხოლოდ გალაკტიონის ცრემლია...

* * *

„მესაფლავის“, „მე და ღამის“, „მერის“, „ლურჯა ცხენების“ ავტორმა, ქართველ პოეტთა ახალგაზრდა მეფემ, დიდი მასპინძლობა გაგვიწია.

აღარ მახსოვს, როგორ, რანაირად მიმიყვანეს სასტუმროში.

დილაადრიან გამეღვიძა.

თვალი გავახილე, მაგრამ თავი ვეღარ წამოვწიე ბალიშიდან.

კარზე მიკაკუნებდნენ.

როგორც იყო შევეხმიანე. ავდექი. გავაღე და სასწრაფოდ დავუბრუნდი ლოგინს. გალაკტიონი იყო. საჩქაროდ გადავიცვი. რიონი! რიონი — გალაკტიონი!.. მომადგა სასიმღეროდ რითმა. სტუმარი შემოვიპატიჟე.

ბედზე ჩემს ოთახს გარეთა პატარა აივანი აღმოაჩნდა.

გალაკტიონი აივანზე გავიდა და ტკბებოდა ქუთაისის ბუნების სილამაზით. უცებ შემობრუნდა ოთახში და წამოიძახა:

— ბუნება მუდამ ნგრევა-შენებაშია!..: არავინაა ისეთი მხატვარი, როგორიც ბუნებაა. ზღაპრებშიც კი არაა ბუნებაზე დიდი ხუროთმოძღვარი, გრგვინვა-ქუხილის მაესტრო, ღვთაებრივი ბეთჰოვენი...

ოჰო, ისევ ბეთჰოვენი! გალაკტიონს ბეთჰოვენი მიაჩნდა პოეზიისა და მუსიკის ღმერთად, აპოლონის ნაცვლად.

პოეზიაში პოლემიკის დროს გალაკტიონს არასოდეს არ ეძნელებოდა ფილოსოფიის კამათლების ტყორცნა...

* * *

სასტუმროდან გამოვედით.

ნელ-ნელა გავუდექით გზას გელათისაკენ.

გალაკტიონს ვინ არ იცნობდა?!

ერთი წაუსტვინა და ისე მომეჩვენა, თითქოს წინ გაფრინდა კიდეც.

თვალის შევლებაც ვერ მოვასწარი, რომ ჩემს წინ ორცხენიანი ეტლი გაჩნდა.

მეეტლემ ქუდი მოიხადა და მაღლა აიშვირა.

იჯდა ასე, კოფოზე, აშვერილი ქუდით.

ესეც ლექსი იყო, რაღაც ჩემთვის გაუგებარი. ალბათ, ქუთაისური ჟესტი.

— აბა, გოგია ჩემო! ნელი სვლით გელათისაკენ.

— გახლავართ ოცდახუთი ცხენოსნით, — მიუგო მეეტლემ — გოგია კარანაძემ და ქუდი დაიხურა.

— დილის მოციონი ასე სჯობს, — მომიბრუნდა გალაკტიონი, როდესაც ეტლში ჩამსვა და ჩემს გვერდით ადგილი დაიკავა.

ეტლი გასცდა ქუთაისის დაბრეცილ, ორსართულიან სასტუმროს —, „გრანდ ოტელს“. ქალაქის თეატრის წინ გამოკრული იყო აფიშა „კოტე მარჯანიშვილის სპექტაკლი“.

— ესაა ქუთაისი — პატარა პარიზი, — მითხრა გალაკტიონმა.

მე გამეღიმა:

— ეიფელის კოშკი აკლია.

გალაკტიონმა ხუმრობა განაგრძო:

— აი, ესაა ქუთაისის „ბაღის კიდე“. პარიზში ხომ გინახავს ელისეის მინდვრები ან ლუქსემბურგის ბაღი?

მე გამახსენდა ელისეის გიგანტური ბულვარი და გამეცინა.

— ახლა მარჯვნივ მიიხედე! ეგაა მთავარანგელოსის ეკლესია, „ნოტრ დამ დე პარი“ — პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი.

მსგავსება იმდენად „დიდი“ იყო, რომ ისევ გამეცინა.

— სწორს გეუბნები, ნუ იცინი, აი ესაა ჩილინგარიშვილების საკონდიტროები, რომელიც აღემატება თავის ხარისხით კაფე „პასკალს“.

— ეს რა კიოსკებია?

— ო, ეს კი ლალიძის წყლების მაღაზიებია, აქ უკვე ხუმრობა გაშვებით, პარიზელებსაც არ ექნებათ ასეთი საუკეთესო, სურნელოვანი ლიმონათები, როგორსაც ჩვენ ვამზადებთ.

ეტლმა გაიარა ძველი ეკლესია.

— ეს რა ქოხმახებია?

— ესაა „მწვანეყვავილა“.

მოწამეთა'ში ცალკე გზით ჩავედით და გამოჩნდა აღმართიც, გელათის გრანდიოზული მისასვლელი.

გელათის კარიბჭესთან ვეებერთელა ქვა შევნიშნე.

— აი, ეს ქვა თითონ დავითმა ამოზიდა საკუთარი მხრებით, — მითხრა გალაკტიონმა.

მე თვალები დავაჭყიტე:

— რას ამბობ, კაცო, ამოდენა ქვას როგორ ასწევდა?!

გალაკტიონს საშინლად ეწყინა:

— მაშ, დავითი რაღა დავითი იქნებოდა?..

— არა, გოლიათი რომ იყო, ეს ვიცი, მაგრამ...

— რა მაგრამ... მითხარი! — შემომანათა გალაკტიონმა ჯიღა თვალები.

— რადგან პარიზს ვახსენებდი, გეტყვი. პარიზში, ნაპოლეონის ბრძანებით ძველი მემფისიდან ასი უღელი ცხენით ძლივს გადაიტანეს მთლიანი ქვის სვეტი, ეგვიპტური წარწერით. ეს ქვა იმ ობელისკზე მეტია.

— არა! დავითის ამოტანილია, დავითის! ასე იცის ქართველმა ხალხმა, ასე მწამს მეც.

რაღას ვიზამდი! რასაც ხალხის ბეჭედი აზის, უნდა იწამო კიდეც, მით უმეტეს, როცა გალაკტიონი ემოწმება!

* * *

გელათის კარი ღია დაგვხვდა. ვიდრე შიგნით შევიდოდით, ბერი მომეგება, მათე კერესელიძე.

ის ჩემი ნაცნობი გამოდგა, თბილისიდან. მაშინ საერო კაცი იყო და სტამბის შემოსავლით ცხოვრობდა. ძირითადად სახარებებს ბეჭდავდა. იმთავითვე დიდი მორწმუნე იყო. მთელი საქართველოს კუთხეები საკუთარი ფეხით შემოიარა, თან დაჰყავდა მუსიკის მცოდნე დირიჟორი ფილიმონ ქორიძე და თავის საფასურით ნოტებზე გადაჰქონდა საგალობლები: „შენ ხარ ვენახი“, „შენ გიგალობ“, „ღირს არს ჰეშმარიტად“ და მრავალი სხვა.

მესტამბე და ასლანდელი ბერი დიდი სიხარულით შემოგვეგება. გალაკტიონი ვერ შეიცნო და შეცბა თითქოს.

— ნუ გეშინია, ეს ხომ ჩვენი სახელოვანი პოეტია, გალაკტიონი!

ამ სახელის გაგონებაზე მათე შეკრთა და უაღრესი პატივისცემითა და მოწიწებით აღივსო.

რა საოცრებაა ჩვენი კორიფეების სახელები! ახსენეთ შოთა, აკაკი, ილია, ვაჟა, ბესიკი და...

— გალაკტიონიო?!.

გალაკტიონმა ხელი გაუწოდა. ბერმა გაიხარა.

— მე წამიკითხავს თქვენი ლექსები. ძალიან კარგია, შედევრებია!

გელათში შევედით.

— მათე, შენ კარგად იცნობ გალაკტიონს?

ბერი სახტად დარჩა:

— მოწინავე ქართველმა უნდა იცოდეს გალაკტიონი. ის ჩვენი მწერლების „ახალი ღმერთია“. თანამედროვე ჰაბუკებში „არა ჰყავს ტოლი“.

— როგორ თუ ტოლი არა ჰყავს? — ვაღიზიანებ მე.

— ამას თითონვე ამბობს თავის ერთ-ერთ ლექსში — თანამედროვე ფსალმუნში — „შემოქმედება“.

— მოგწონს?

— დიდებული ლექსია, შინაარსიანი.

გალაკტიონი გაწითლდა, მორცხვობის ყაყაჩოები გაეშალა ლოყებზე. მე ბერს დავუმოწმე:

— მართალი ხარ, მათე. გალაკტიონი თითონვე ამბობს:

„ვარსკვლავთა შორის, სხივთა ტბაში
არ მყავდა ტოლი“.

— ბედნიერი ვარ, რომ გალაკტიონი გავიცანი! — თქვა ბერმა და წინ გაგვიძღვა.

— მობრძანდით, აი აქეთ, გეთაყვა. თქვენს წინაშეა გელათის მონასტრის მთავარი ტაძარი...

„სწავლულმა“ ბერმა ბევრი ილაპარაკა გელათის ტაძრის ისტორიაზე.

გალაკტიონი შიგადაშიგ უსწორებდა. მე პირველად ვნახე გელათი, მაგრამ ბერზე გაცილებით მეტი ვიცოდი გელათის შესახებ. ზრდილობის გულისათვის ვუსმენდით მეც და გალაკტიონიც. გავიტანჯეთ!

სხვათაშორის, მათე კერესელიძე სწორედ ის ბერი გახლდათ, შემდეგ წლებში რომ მოჰკლეს ყაჩაღებმა, ჯვრის მონასტერში, გაძარცვის მიზნით.

ბერი განაგრძობდა:

— მობრძანდით, აქეთ მობრძანდით. აი, ეს დავით აღმაშენებლის სამარეა. ეს კი თამარის... ესეც ლაშა გიორგის საფლავი. საქართველოს საუკეთესო მეფეები სულ აქ არიან.

გალაკტიონმა ჩაიცინა:

— სულ თამარი, სულ დავითი, სულ ლაშა...

ბერი კი განაგრძობდა:

— არქეოლოგიური გათხრები ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ თამარის სანატრელი სამარე მაინც მოინახება. ლეგენდა ადასტურებს, რომ თამარმა გიორგი ლაშას უანდერძა, როცა მოვკვდები, იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში გადამიტანეთო... ჩაის ხომ არ ინებებთ?

გალაკტიონი სრულიად გამოგვეთიშა. იგი ხარბად შეჰყურებდა გელათის გუმბათს, მის დიად აღნაგობას, მის მშვენიერ თაღებს.

კაბადონებს, მის მოზაიკურ მხატვრობას, უნიკალურ არქიტექტონიკას.

— ქამგარდუვალი დარაჯია გელათი!

მეუბნება გალაკტიონი, ოცნებაში ჩაძირული, შემდეგ მომიბრუნდა და მითხრა:

— მოდი ვიმღეროთ, ჩემო დავით.

— ვიმღეროთ. რა ვიმღეროთ?

— „შენ ხარ ვენახი“.

მათე ახორხოცდა:

— ეგ საყოველთაო გალობაა, სასულიერო. გაგვიძნელდება.

მე მოვუჭერი:

— სასულიერო კი არა, საეროა. დავით აღმაშენებლის ვაჟის, დემეტრეს მიერ დაწერილი.

— დავიწყოთ, ვცადოთ!

დავთანხმდი. მე, როგორც მღვდლის ვაჟმა, ზედმიწევნით ვიცოდი თითქმის ყველა საგალობელი. მე პირველს ვამბობდი, მასპინძელი მეორეს, გელათის გუმბათი ზარივით რეკდა. გალაკტიონი შეეცადა ბანი ეთქვა, მაგრამ პირზე ხელი მივაფარე.

— ნუ, შენი ჭირიმე, გალაკტიონ, სხვა დროს ვიმღეროთ.

მიმიხვდა.

— ჩემო დათა, ილიაც არ მღეროდა, მაგრამ სუფრის პირველი თამადა იყო.

— ილია როცა თამადად იდგა, ილია წინამძღვრიშვილის ჭინკა მოწაფეები ავსებდნენ სიმღერებით ილიას ნაკლს.

გალაკტიონი არ დამეთანხმა.

— აბა ერთი ილიას გულშიც ჩაგეხედათ მაშინ, რა სიმფონიები გუგუნებდა. ილიაობაზე ილიას არ უმღერია, მაგრამ „განდეგილზე“ კი ფიქრობდა.

მათე კი ისევ განაგრძობდა:

— მობრძანდით აქეთ... ქართულს, ბიზანტიურსა და აღმოსავლურ-ქრისტიანულ ხელოვნებაში ღვთისმშობლისა და ანგელოსების გამოსახულების ანალიზი გვიჩვენებს...

გალაკტიონმა შეაწყვეტინა:

— ჩაი, ახლა ჩაი გვინდა, მათე.

* * *

ასე გავიცანი გალაკტიონი. საღამოთი თბილისისაკენ მიმაფრენდა მატარებელი. თან მიმჭონდა ზღაპრული სიხარული, სიმსუბუქე, მშვენიერება, მწამდა, რომ საიმედო ახალგაზრდობა გვეზრდებოდა, რომ ახალი თაობის პირველი პოეტის, გალაკტიონის კალმით მოხდებოდა მშობლიური პოეზიის ცაზე გამოდარება.

მოვემგზავრებოდი თბილისში და ვფიქრობდი:

„გალაკტ¬ონი — ქუთაისია! უფრო მეტიც... იგი ახალი საქართველოს სიმბოლოა, ჯანღონით სავსე, ბრწყინვალე პერსპექტივების მქონე პოეტი!“

მოვემგზავრებოდი და თან მომყვებოდა გალაკტიონის სითბო, როგორც მგზნებარე პოეტის, მოქალაქისა და დიდი მეგობრის...



სცენის დიდოსტატი

კოტე მარჯანიშვილი

ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიის საფუძვლები ეყრდნობა ბუმბერაზ შემოქმედს, განუმეორებელ ხელოვანს, ნათელი, ფართო ჰორიზონტებისა და უღრმესი ერუდიციის რეჟისორს — კოტე მარჯანიშვილს.

იგი იყო სიმართლის რაინდი, ადამიანის გულის მესაიდუმლე, ფაფარაყრილი ლომი...

• • •

ჩემი სიცოცხლის აზრის ნახევარს თეატრი წარმოადგენდა. ათეული წლების მანძილზე ვუხდიდი ხარკს ქართულ თეატრს, ვაშუქებდი და ვაკრიტიკებდი დადგმებს. პირუთვნელი და მოუსყიდველი რეცენზიების დაწერისათვის ერთხელ კოტე მესხმა დუელშიც კი გა-

მომიწვია „იულიოს კეისრის დადგმის გამო“. მის მიერ მოგზავნილ სეკუნდანტებს მწერალ სანდრო ყანჩელს და გაზეთ „თემის“ რედაქტორს — გიგო დიასამიძეს ღიმილით ვუთხარი: „მე ახალგაზრდა რეცენზენტი ვარ, როგორ ვესვრი კოტე მესხს, რომელიც ქართული სცენის ერთ-ერთი ბურჯია-მეთქი“... კოტე მესხთან ზედ სცენაზე შემარიგეს. გადამეხვია, გადამკოცნა.

მე მუდამ ფხიზლად ვადევნებდი თვალს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს, სადაც თეატრალურ ცხოვრების ქრონიკებში ელვასავით გაიკაშკაშებდა ხოლმე „კოტე მარჯანიშვილი“. მე პირადად ვიცნობდი ლადო მესხიშვილს, მაკო საფაროვას, ვასო აბაშიძეს, რეჟისორებს— შალიკაშვილს, ანდრონიკაშვილს, წუწუნავას, მაგრამ მაოცებდა კოტე მარჯანიშვილის პიროვნება. მისი პორტრეტის წინ მოხიბლული ვიდექი, როგორც საჰარის უდაბნოში ეგვიპტის პირამიდების გამოუცნობი სფინქსის წინაშე მდგარი დაღლილი მოგზაური.

მარჯანიშვილის სახის პორტრეტული ხასიათები წმინდა ქართული იყო. მის ღრმა თვალებში თვლემდა სფინქსის მძვინვარება და ალერსის დაუშრეტელი ზღვა, კაშკაშა მეტეორები და ყვარლის ღამე. იშვიათი სილამაზის პროფილს ასრულებდა მისი ჩამოქნილი სწორი ცხვირი, ქართული ულვაშები და მტკიცე ნიკაპი.

კოტე მარჯანიშვილი გამოირჩეოდა სხვა თეატრალებისაგან კინომსახიობის სილამაზითა და მიმზიდველობით.

ვიქტორ ჰიუგოს თქმისა არ იყოს: იგი კამათის დროს ხან ჩხვლეტდა, როგორც დაშნა, ხან ჩეხდა, როგორც ნაჯახი.

ამ დაუღალავი, დაუშრეტელი ენერგიის მქონე საოცარი კაცის გენია დიდხანს ჰქუხდა ყველგან, რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალტიისპირა ქვეყნებში, საზღვარგარეთ...

ვიცნობდი მის გატაცებას ჰენრიკ იბსენით („მშენებელი სოლნეს“), შექსპირით („ჰამლეტი“, „მეფე ლირი“), ლოპე დე ვეგათი („ცხვრის წყარო“ —ფუენტე ოვეხუნა), კნუტ ჰამსუნით („პიერ გუნტი“), დ' ანუნციოს პიესებით.

ზღაპრული ოგანგაშება კოტე მარჯანიშვილის ჯადოქრობის შესახებ, მის მიერ დადგმული სპექტაკლების ანალიზის მიხედვით არ იყო ლეფუძველს მოკლებული.

კოტე მარჯანიშვილი იყო ის ხელბედნიერი მემანქანე, რომელმაც დაღუპვის ლიანდაგზე შემდგარი ქართული თეატრი გამარჯვების ბრწყინვალე გზაზე გაიყვანა. მე მხედველობაში მაქვს ის ქართული თეატრი, რომელსაც დიდმა თეატრალმა გიორგი ჯაბადარმაც ვერა უშველა რა, თუმცა 1910 წლამდე მთელი ქონება თეატრის საკეთილდღეოდ გადააგო, გაკოტრდა და საბოლოოდ ბრიუსელს შეაფარა თავი.

რუსეთიდან 1922 წელს კოტე მარჯანიშვილის ჩამოსვლა დაემთხვა ქართული თეატრისათვის საგანგაშო ჩავარდნების პერიოდს.

პირველ პრემიერად კოტემ შეარჩია ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“.

სპექტაკლის ზღაპრულმა წარმატებამ მაყურებლებს თავბრუ დაახვია. მანამდე, პარიზის თეატრები ზედმიწევნით მქონდა შესწავლილი (ნამეტნავად ვეხარბებოდი, როგორც მაყურებელი, სარა ბერნარის თეატრს, სადაც ხშირად ვყოფილვარ მიხეილ ჯავახიშვილთან ერთად), ვიცნობდი თეატრს სახელწოდებით „ლა კომედი ფრანსეზ“ ან „ფოლი ბერჟერის“, ანტუანის თეატრს, სადაც სარეჟისორო განხრით მუშაობდა ჩემი მეგობარი რეჟისორი კოწო ანდრონიკაშვილი, თვით ანტუანთან, უშუალოდ... არ გამომრჩენია არც ერთი ახლად დადგმული ოპერა, თვით ვაგნერის „პარსიფალი“, რომლის პრემიერაზე ერთი წლით ადრე განგაშებდა პარიზის პრესა. მაგრამ... საქართველოში დაბრუნებისას მე ვნახე კოტეს თეატრი! ქართული თეატრი — ნაირნაირ ორანჟერეების ფერად-ფერადი ჯეჯგილებით... ეს თეატრი შეიქმნა შემდეგ ქართველი მაყურებლის თვალისთვის საალერსო სანახაობა და ყურისთვის ტკბილად მოსასმენი სიმფონია. ეს იყო ხელოვნების ნამდვილი დღესასწაულის თეატრი, აღსავსე რემბრანდტის ფერების ზღაპრული საოცრებით, სიცოცხლით, ბედნიერებითა და ადამიანური სიყვარულით...

მე დამემოწმება დღევანდელი ქართული თეატრის ყველა მსახიობი, ვისაც ახსოვს ის დადგმა — ლამაზი სანახაობითა და მიმზიდველობით „ცხვრის წყაროს“ ვერავინ ტოლს ვერ დაუდებდა.

ის დღე — 25 ნოემბერი — ქართული თეატრის განახლების დღე იყო.

მე მეგონა, რომ პრემიერის პირველმა დღემ გაზვიადებული სანახაობა ამიცისკრა თვალებში. მეორედ და მესამედ ნახვისას დავრწმუნდი კოტე მარჯანიშვილის გენიოსობაში!

თეატრის ფოიეში შემომეხვია ქართველი ახალგაზრდობა, სურდათ გაეგოთ ჩემი აზრი. მე „გამხმარი ფოთლისა“ და „სულელის“ ავტორს, ნიკო შიუკაშვილს ვებაასებოდი.

ნიკომ ახალგაზრდებს განუმარტა ჩემ მაგიერ:

— ეს დადგმა იმდენად ჩინებულია, რომ მის შესწავლას ათეულ წლებს მოანდომებენ.

მე თავაზიანად დავუმატე:

— მართლაც დიდებულია, ლეგენდარული. სჩანს გენიოსის ხელი.

— კოტე მარჯანიშვილმა ალბათ უბრალო კარტის თამაშიც რომ დადგას, ისიც ასევე დიდებული რამ გამოვა!

ახალგაზრდები აღტაცებით მხიარულებდნენ.

... იმ ღამეს, ვინ იცის მერამდენედ, ყვავილთა თაიგულის ზღვაში ჩაძირული „ძვირფასი კოტე“, დაღლილი და კმაყოფილი გამოვიდა მსახიობთა „უკანა კარებიდან“.

* * *

ბათუმი. მოლივლივე ზღვის ტალღები. თეთრი, კეკლუცი პატარძალი. საქართველოს ულამაზესი ნავსადგური-ქალაქი. პალმები. გრძელ მერხზე ვსხედვართ მე და გიორგი ჯაბადარის მოწაფე— აკაკი ვასაძე.

ჯაბადარმა ორი ტალანტი დაგვიტოვა — აკაკი და ვერიკო.

მას მარად სწამდა აკაკის ბრწყინვალე ნიჭის. აკაკი ვასაძე ზღვას გაჰყურებდა. იგი გატაცებით ლაპარაკობდა მარჯანიშვილზე. მისი ენთუზიაზმი ძალზე დიდი იყო! მე მეგონა — მარჯანიშვილის მოწაფეები აქ, ბათუმში ჩამოსულან, რათა „ცხვრის წყარო“ დადგან-მეთქი.

„ცხვრის წყაროს" ეს პირველი უქრობი კოცონი იყო კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებაში, რომელმაც წინ წამოსწია მთელი პლეადა ნიჭიერი მსახიობებისა.

მე მაინტერესებდა, თუ როგორ მუშაობდა კოტე მარჯანიშვილი მსახიობებთან.

—აკაკი, რას მეტყვი, მარჯანიშვილი სულ რუსულ ენაზე ხელმძღვანელობს, თუ ქართულსაც იშველიებს?

აკაკიმ გაიცინა:

— პირიქით! ქართულად გვიხსნის პიესის შინაარსს, გვაცნობს მოხაზულ ესკიზებს, ხოლო თუ დასჭირდა (იშვიათ შეჭხვევაში) რუსულს იშველიებს!

მართალია, იგი თბილისში ჩამოსვლისას რუსულ დასთან იყო შეკრული კონტრაქტით და არც უნდოდა ქართული დასის ხელმძღვანელობა, მაგრამ როცა ქართული თეატრის წინაშე დახურვის საფრთხე აიზიდა, კოტე საგონებელში ჩავარდა.

— რატომ გაურბოდნენ მსახიობები „ცხვრის წყაროს" პირველ რეპეტიციებს?

— არ ვიცი. ის კია, რომ პირველ სამ რეპეტიციაზე სრულიად ვერ მოიყარეს თავი. მერე კოტემ ყველა გაგვკიცხა, დაგვემუქრა.

— რა იყო თეატრის პერსპექტივისათვის კოტეს ძირითადი პრინციპი?

— კოტე ამბობდა: „ყოველ თეატრს უნდა ჰქონდეს საკუთარი სახე, საკუთარი გზა. უამისოდ ვერც ერთი თეატრი ვერ იარსებებს"...

მე დავუკვირდი ვასაძის წარმოთქმულ სიტყვებს. ამ სიტყვებში კოტეს დიდი და სრული სიმართლე იყო.

ჩვენს წინ კი ქუხდა და ბორგავდა შავი ზღვა, როგორც კოტე მარჯანიშვილის ბობოქარი სული...

* * *

კიდევ ერთი პატარა ეპიზოდი. მე, ჩემს მეგობარ სოლომონ ხვლედიანთან ვიყავი ვახშმად.

იქ დამხვდა სოლომონ, აგრეთვე რუსული თეატრის მსახიობი,

ჩემი მასპინძლის მეუღლე ნინო (ჯულიეტა) და კოტე მარჯანიშვილი. მე თავაზიანად მივესალმე ყველას. კოტე თუმცა ათი წლით ჩემზე უფროსი იყო, წამოდგა, ხელი ჩამომართვა. შემდეგ სავარძელში ჩაჯდა. ერთ ხელში პაწაწინა ფინჯანით ყავა დაიკავა, მეორეში განუყრელი ანთებული პაპიროსი. იგი ნეტარებდა, ისვენებდა. მან იცოდა განუწყვეტელი მუშაობაც და საოცარი ნებისყოფის წყალობით დასვენებაც, როცა ეს აუცილებელი იყო.

კოტეს თითქოს ნახევრად ეძინა. ლაპარაკობდა წყნარი მტკიცე ხმით:

—სარა ბერნარი ბოლო ხანებში უკვე ის აღარ იყო, რაც წინათ. მას გუნდრუკს ნაკლებად უკმევდნენ ფრანგებიც და იტალიელებიც...

— როგორ? დ'ანუნციო?—შეეკითხა დიასახლისი ნინო.

კოტემ პაპიროსი მოჰქაჩა და თვალი მოჭუტა:

— გაბრიელ დ'ანუნციო და მისი მთელი პლეადა მეხოტბეებისა სარა ბერნარს ვეღარას ჰმატებდა. სარა კარგა მობერებული იყო, როცა პათეტიური როლით გამოვიდა „ლეგლონში".

— „არწივის ბარტყი", როსტანისა, — გადმოვთარგმნე მე.

— დიახ, „არწივის ბარტყი", ედმუნდ როსტანის. სარას ხელოვნური ბუდაპერჩინ გულმკერდი ჰქონდა, ჯოხით დადიოდა, ხოლო სცენაზე სავარძლებსა და მაგიდებს ეყრდნობოდა. მაინც დიდებული იყო მის მიერ ნათამაშები თოთხმეტი წლის ბიჭუნა—უფლისწული.

— ელეონორა დუზე მთელი თავით მაღლა იდგა მასზე, რეალისტურად უყურებდა თეატრს, — თქვა სოლომონმა.

კოტემ ყავა მოსვა.

— მე მაშინ კალთებს მაგლეჯდნენ პარიზის, ლონდონის, როპის, ნეაპოლის, მილანის თეატრები, რათა იქ დავრჩენილიყავი რეჟისორად, მაგრამ უარვყავი. ელეონორა დუზე მე ვნახე „მილან-თეატრში", შემდეგ პარიზშიც. გაბრიელ დ'ანუნციო მისი პირველი გულშემატკივარი ტრუბადური იყო. მაგრამ ვერც ელეონორა დუზეს მშვენებამ უშველა პიესა „მკვდარ ქალაქს". პიესა ჩავარდა, იგი უდღეური გამოდგა.

დიასახლისმა კონიაკი, ყველი, ბლინები და შამპანიურში ჩაცივებული ხილი ჩამოარიგა. კოტე კი განაგრძობდა:

— სამაგიეროდ ელეონორა დუზემ გადამრია თავისი თამაშით, პარიზში გასტროლების დროს. მან მაშინ ითამაშა „მარგარიტა გოტიე“... დაუვიწყარი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე, განსაკუთრებით არმანთან საიდუმლოდ გაპარვის სცენის დროს. იგი ალერსის ზღვად იქცა, კოცნიდა ყველა ნივთს, საავარძელს, რომელზედაც მჯდარა არმანი, ალერსით ეთხოვებოდა ყველაფერს და თან... ყვითლდებოდა! არავითარი შუქი! მე მეგონა თვალმა მომატყუა, მაგრამ მე ოთხჯერ ვნახე იგი ამ სპექტაკლში და ოთხჯერვე იგივე შთაბეჭდილება! აი, მსახიობი! იგი კი არ დადიოდა, დასცურავდა სცენაზე, ჰაეროვნად.

აი რატომ ვტანჯავ, რატომ ვაწამებ ვერიკოს.

— ვერიკოს?!!

მე სიხარულით შემიტოკდა გული:

— არც სცდებით, მაესტრო! თქვენი ღვაწლი არ გაჰქრება არც ვერიკოს, არც თამარის მიმართ.

კოტემ ჩამქრალ პაპიროსს მოუკიდა. სიჩუმე მე დავარღვიე:

— ბატონო კოტე, ალბათ იცნობთ ავსტრიელ დრამატურგს. ლოთარს...

— „მეფე არლეკინის“ ავტორს? მერე? თქვენ თარგმნეთ?

— არა, გადმოვაკეთე, ქართულად გადავამუშავე.

მან შუბლი შეიკრა. ფიქრმა გაიტაცა. ვაცალე; იქნება გაიხსენოს „მეფე არლეკინის“ შინაარსი-მეთქი, მერე ვუთხარი:

— იცით რა, ქუთაისის საზოგადოება იცნობს ამ პიესას, როგორც დავით კასრაძის „მეფე არლეკინს“.

— დაბეჭდილი გაქვთ?

— როგორ არა, შარშან ცალკე წიგნად გამოვეცი ოთხი პიესა: „მეფე არლეკინი“, „იუდა“, „რია“ და „ციხის ცრემლები“.

— „მეფე არლეკინი“ დაიდგა?

— დიახ, ქუთაისის სცენაზე. დიდი წარმატებითაც.

—ვინ თამაშობდა მეფე არლეკინს?

— ლადო მესხიშვილი.

— ტანკრედს?

— ვალერიან გუნია.

— Весьма интересно. ვინ დადგა?

— ლადომ.

— მჯერა. სახარბიელო კი იყო მისთვის „არლეკინის“ როლი?

— ო, ძალიან უყვარდა, ეს იყო რევოლუციური პიესა, თქვენი უაიდის.

— ჩემი?

შეფიქრიანდა.

— ჰო, მაგრამ ძველ დადგმების აღდგენას რომ ვერ ვეწყობი?

— რას ბრძანებთ, ბატონო კოტე, თქვენ და „ძველ დადგმებს“ გაურბიხართ? დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ ახლებურად არ გაშალეთ? ზურაბ ანტონოვის „მზის დაბნელება?“ მე მახსოვს ყველა კორიფე, რომლებიც თქვენ იმ პიესაში ათამაშეთ — მაკო საფაროვა, ვასო აბაშიძე; სუმბათაშვილმა-იუჟინმაც კი ითამაშა ვიღაც ჩინოვნიკის როლი...

— მე რა თქმა უნდა, მაინტერესებს თქვენი წინადადება, მაგრამ ამჟამად სხვა რამ მიტაცებს.

— რა?

— „აბესალომ და ეთერი“.

* * *

კოტე თავისებური კაცი იყო. ერთი შეხედვით — მსახიობი. მეორე შეხედვით — შინაური. მესამე შეხედვით—უცხო... მსახიობთა წინაშე ერთ წუთს თავს ისე იჭერდა, როგორც უმანკო ბავშვი, მაგრამ ეს იყო წუთიერად, მეორე წუთს დაჭრილ ვეფხვივით იღრიალებდა, რას არ უწოდებდა მსახიობებს. მისი აღზრდილები სულ ერთ რამეზე „ჩივიან“: მცირეოდნად დისციპლინის დარღვევისას ან უბრალო სცენური დეტალის არასწორად დამუშავებისას ისე იფეთქებდა და იქუხებდა ხოლმე, რომ მსახიობებს „სული ეპარებოდათ“. მეორე წუთში იგი გულში იკრავდა ვერიკოს თუ უშანგის, როგორც ბავშვებს და სადავო, მიუღწეველი სასცენო დეტალი უკვე აღარ იყო არც მძიმე და არც მიუწვდომელი, იგი ხდებოდა უბრალო, ადამიანური, ჩვეულებრივი რამ. მისი ხელოვნების ძირითადი იდეა

იყო სრული ჰარმონია დეკორაციების, სინათლისა და მსახიობთა თამაშს შორის. ყველაზე დიდი, დაუფასებელი სიხარული ჩემთვის, ეს იყო კოტე მარჯანიშვილისა და ახალგაზრდა რეჟისორ სანდრო ახმეტელის დამეგობრება. ამ ორმა გენიალურმა რეჟისორმა დიდებით შემოსეს ქართული თეატრი.

რა ბედნიერი დღეები იყო ის დღეები!

ჰაღარა კოტე, როგორც მამა, ისე ეპყრობოდა სანდროს. უხდებოდა კიდეც ამ ფაფარაყრილ ლომს ასეთი ბოკვერის გულზე მიხუტება. პირველ ხანებში სანდრო სულ თვალებში შეჰყურებდა, დიდი მაესტროს სიხარული მის აღმაფრენას შეადგენდა, თავბრუდამხვევი იყო სანდრო ახმეტელისათვის კოტეს ყოველი სიტყვა...

კოტე ნატრობდა, როდის დადგამდა სანდრო ახმეტელი დ:- მოუკიდებელ სპექტაკლს, სანდრო კი ნატრობდა, როდის მოუწონებდა პირველ პრემიერას მასწავლებელი.

ვინ იცის რას არ ფიქრობდა იგი თავის ერთგულ მოწაფეზე, მაგრამ მათ პირად ცხოვრებაში „მშენებელი სოლნესის“ მსგავსი რაღაც გათამაშდა.

კოტეს აღარ დასცალდა თავის შემოქმედების დიდებული დაფნა გადაეცა სანდრო ახმეტელისთვის.

სრულიად მოულოდნელად მათ შორის „შავმა კატამ“ გაირბინა.

შავ-უკუღმართი და წყეული იყოს ის დღე, როდესაც ეს ორი მგზნებარე შემოქმედი ერთმანეთს შეეტაკა და გაეთიშა... თეატრის ბრწყინვალე კოლექტივი დაირღვა და ორ დასად გაიყო...

კოტე მარტო დარჩა.

კოტესთვის აუტანელი იყო, რომ „მშენებელ სოლნესისავით“ ხელოვნების მწვერვალიდან გადმოშვებულიყო დასაღუპავად. მან დასტოვა რუსთაველის სახელობის თეატრში თავისი უსაყვარლესი მოწაფე სანდრო ახმეტელი და დააარსა ახალი, მ ა რ ჯ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს თეატრი.

ამ ორი კორიფეს შერიგება ვეღარ მოხერხდა... და აი, მარჯანიშვილის „ახალი თეატრი“ ბურუსით მოცულ შარაგზაზე აკეთებს პირველ ნაბიჯს.

ეს იყო გუცკოვის პიესა „ურიელ აკოსტა“. ეს სპექტაკლი კი არ იყო, არამედ ფერწერის, მსახიობის, მუსიკის შეხმატკბილებული მეცხრე სიმფონია...

გაიხსნა ფარდა და მაყურებლის თვალი მიეჯაჭვა ვერიკო ანჯაფარიძის ივდითს. ფარდის ახდისთანავე იგი ისე კაშკაშებდა და ბრწყინავდა, როგორც ვერცხლისფერი ლოტოსი თებას ტაძრის კედელზე. ახლა უშანგი ჩხეიძის ურიელ? რა გენიოსურად ამოძერწა კოტე მარჯანიშვილმა უშანგის სახეში ურიელის სახე! ახლა შალვა ღამბაშიძის დე-სილვა? არ არის წუთი, რომ ურიელი ახსენოთ და დე-სილვას აჩრდილმა მანტიით, შალვა ღამბაშიძის სახით, წინ არ ჩამოგიქროლოთ... ახლა ბენ-აკიბა, სანდრო ჟორჟოლიანისა? ახლაც, მარჯანიშვილის თეატრის შენობას ისე ვერ ჩაუვლი, რომ გადაყრუებულ ბენ-აკიბას სიტყვები არ მოგესმათ ყორნის ჩხავილად:

„—დიახ, ყოფილა... ასე ყოფილა...“

ყველა ზეიმობდა „ურიელ აკოსტას“ გამარჯვებას!


„თეატრის გამარჯვების საწინდარი მუდმივი ძიებაა!“ ხშირად უთქვამს კოტეს. ამ სიახლის ძიებას იგი არასდროს არ წყვეტდა. მე მთელი სერიები ვნახე კლასიკური პიესებისა, მაგრამ სულ სხვა რამ იყო კოტეს დადგმით განსახიერებული. მე არას ვამბობ სიმბოლურ პიესებზე, როგორიც იყო ო. უაილდის „სალომეა“, ჰ. იბსენის „ნორა“, „ზღვისპირელი ქალი“, ჰ. ჰაუპტმანის „ჰანელი“, ლ. ანდრეევის „ადამიანის ცხოვრება“ ან „შავი ნიღბები“, ყველა ეს პიესები იძლეოდა მდიდარ მასალას ფეირვერკულ სანახაობის გასაშლელად. კოტემ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა მაქსიმ გორკის პიესების „ფსკერზე“ და „მდაბიონი“-ს დადგმით.

კოტეს მხატვრული გემოვნება აუცილებელი საწყაული იყო, არ ეძლეოდა არ კმაყოფილდებოდა თავის მიღწევებით.

აი ასეთი ძიების დროს იგი მოსკოვში, პარალელურად დგამდა „მშენებელ სოლნეს“, შილერის „დონ კარლოსს“... მაგრამ უეცრად დაბნელდა ქართულ სცენაზე... მოსკოვში ჩაქრა დიდებული ლამპარი სასცენო ხელოვნებისა... გლოვობდა მთელი თეატრალური რუსეთი, საქართველო, საზღვარგარეთული თეატრები...

მოსკოვიდან ჩამოტანილი მისი ფერფლი დაკრძალული იქნა დიდ კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის გვერდით.

შავი ყვავილების თოვლი ეფინებოდა მაშინ ქართულ ოპერის სკვერში დაკრძალულ ორ უკვდავ ხელოვანს, რათა მადლიერ შთამომავლობას შემდგომში აღემართა მათ სამარეზე დიდების ძეგლები...



აბჯროსანი „უიარაღო“

კონდრატე თათარიშვილი

ძველ თბილისში წარსული საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში ქართულ პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში და გამოცემებში მეტეორივით ელავდა მანამდე უცნობი მწერლის ფსევდონიმი „უიარაღო“.

ვინ იყო ეს „უიარაღო“, ქალი თუ კაცი, საერო თუ სასულიერო პიროვნება? რატომ იყო იგი „უიარაღო“, რისთვის?! ებრძოდა თუ არა ვინმეს? რა იყო მისი სამწერლო მიზანი? როგორი იყო მისი სოციალური პირობები? ვერავინ გეტყოდათ! მაგრამ მითქმა-მოთქმა

თანდათან იზრდებოდა: „რა კარგად წერს!..“ „ვინაა ეს ავტორი?“ „ჩინებულია!..“ „რა კარგი ქართული იცის!..“ „საუცხოო მწერალია!“

ხუთიოდე წელმა განელო, ვიდრე საიდუმლოს ფარდა აეხდებოდა და ქართველი საზოგადოების წინაშე წარსდგებოდა ახალგაზრდა, ასე ოცი-ოცდასამი წლის ჭაბუკი სემინარიელი, წყნარი, თაფლისფერი ალერსიანი თვალებით და ცეცხლოვანი მანერებით.

ფსევდონიმ „უიარაღოს“ ამოჰფარებოდა სასულიერო პირი, კონდრატე თათარიშვილი.

მის შემოქმედებას ყველაზე ადრე ილიას „ივერია“ გამოეხმაურა. მან ღრმა ანალიზით დადებითი შეფასება მისცა მის ნაწერებს, რომლებიც „საუცხოო ავტორს“ დაუწერია „სემინარიის ბურსაში“.

ილიას „ივერია“ არ მოტყუვდა ჭაბუკი მწერლის შეფასებაში. „უიარაღომ“ იწყო უფრო დიდ-დიდი მხატვრული ტილოების წერა. 1912 წელს ლიტერატურული კრებულის „გრდემლის“ ფურცლებზე თვალის მომჭრელი კაშკაშით გაბრწყინდა უიარაღოს შესანიშნავი რომანი „მამელუკი“.

* * *

1912 წელს მე ხელმეორედ გავემგზავრე საზღვარგარეთ. ამჟამად მივემგზავრებოდი არა პარიზში, არამედ ბრიუსელში, სწავლის გასაგრძელებლად...

ბრიუსელში მოწინავე ქართველ მოღვაწეთა ჯგუფი სწავლობდა, მათ შორის უიარაღოც.

როდესაც კელნიდან აახენში ჩავედი, ბინდდებოდა. აახენიდან ლიეჟამდე დაახლოებით იმდენივე მანძილია, რამდენიც თბილისიდან გორამდე. ლიეჟ-ბრიუსელის მატარებელში ლიეჟის საეპისკოპოსოში გერმანელი პოლიციელები ამოვიდნენ და პასპორტები უკანასკნელად შეგვიმოწმეს.

გავიარეთ მონტენიე, ვარემი, ლანდენი, ჰევერლე, ლუვენი. ზურგს უკან დარჩა ლუქსემბურგის ჩრდილოეთ პროვინციის ლიმბურგის მინდვრები, მთელ მსოფლიოში განთქმული ბელგიური კომბოსტოებით.

სადღაც მხარ მარცხნივ და წინ, ბინდბუნდში იძინებდა ვატერ-

ლოო, სადაც 1815 წელს სისხლიანი წერტილი დაესვა ნაპოლეონის ბრძოლების მატიანეს.

კიდევ ერთი საათიც და მატარებელი შეცურდა ბრიუსელში, ბურგუნდის ჰერცოგთა უძველეს ქალაქში, ესპანეთის მეფის ფილიპე მეორის ძველისძველ რეზიდენციაში.

მაშინ ბრიუსელი 3—4 რკინიგზის სადგურს თუ დაითვლიდა მდინარე სენზე გაშლილი ეს პოლიტიკური, ფინანსური, და სავაჭრო-სამრეწველო ცენტრი, ნახევარმილიონიანი მოსახლეობით პროლეტარიატის ვეებერთელა ოჯახს წარმოადგენდა, რომელსაც სისხლს სწოვდა ერთი მუჭა კაპიტალისტ მაგნატთა ბრბო „ეროვნული ბანკით“ და „ბრიუსელის ბანკით“, („სოსიეტი ჟენერალ დე ბელჟიკ“) რომლებიც გერმანელმა და ბელგიელმა ბანკირებმა დააარსეს 1871 წლიდან.

ბრიუსელის სადგურის ბაქანზე დამხვდა ილიკო თაქთაქიშვილის მშვენიერი და სტუმართმოყვარე ოჯახი.

ილიკოს ოჯახი თავისკენ მიზიდავდა ქართული თავაზით საცხოვრებლად, მაგრამ მე არამც და არამც არ მსურდა ვინმეს შეწუხება. მე მინდოდა მარტოდმარტო მეცხოვრა, რათა 24 საათი ჩემს სრულ განკარგულებაში ყოფილიყო სწავლისათვის.

ასეთი მყუდრო და განმარტოვებული ბინა იყო რიუსანსუსის № 16, მადამ ბოვის სახლში.

* * *

ზაფხული გადატყდა. ჩემი მეგობარი ქართველი სტუდენტები გახვეტილიყვნენ ოსტენდერისკენ (ბათუმის მსგავსი ქალაქია ბელგიაში) და ახლა ნელ-ნელა იწყეს დაბრუნება ბრიუსელში.

პირველ დღეებში ვასილ წერეთელი შემხვდა, შემდეგ გოგინა ბაგრატიონი, შესანიშნავი მოცეკვავე, რომელმაც ანეტა ყიფიანთან ერთად ხშირად გვასახელა ცეკვა „ქართულით“. ამ წყვილს ხშირად მოუხიბლავს პარიზისა და ბრიუსელის სცენები. „ქართულის“ საცეკვაო მუსიკას დირიჟორობდა ერეკლე ჯაბადარი.

გოგინა ბაგრატიონი ჟენიუ-ლუისის უმშვენიერეს ბულვარზე შემომხვდა.

— გამარჯვება, დავით.

— ამბავი?

— შენ გეძებს თედო სახოკია და ერთი ქართველი.

— ვინ უნდა იყოს ის, მეორე?

— არ ვიცი.

გოგინამ უბის წიგნაკში ჩამაწერინა თედო სახოკიას ახალი მისამართი. თედო ფოტოგრაფ-რეტუშორთან დაბინავებულიყო.

საღამოს თედოსთან გავჩნდი.

გამეხარდა: შინ დამხვდა.

ცრემლები, აღტაცება, სიხარული, მისალმება.

აქეთური, იქითური. იქვე, მაგიდასთან იჯდა ჩემთვის უცნობი სტუმარი, რომელიც იღიმებოდა, ხმას კი არ იღებდა.

დავაკვირდი. ვერ ვიცანი. ორმოციოდე წლის ვაჟკაცი იქნებოდა.

თედომ სტუმარი წარმომიდგინა:

— ამ ჭაბუკ ჯენტლმენს იცნობ?

— არა.

თედო უცნაური კაცი იყო. დიდად იწყინა, რომ არ ვიცნობდი მის მოღიმარ სტუმარს.

— თათარიშვილი!

ვერც ამ გვარმა ამიხსნა რამე.

— რა ღმერთი გაგიწყრა? „უიარაღო!“

— ა!.. ჰო!..

ხელი მაგრად ჩამოვართვი, სიხარულმა დამძლია და მაგრად ჩავეხვიე.

— კონდრატე!

— დავით...

ტიროდა თედო, ტიროდა „უიარაღო“, ავტირდი მეც...

* * *

მთელი თვე ვირბინეთ, სანამ ჩვენს „უიარაღოს“ სასურველ ბინას ვუშოვიდით. დავძმობილდით.

შემოდგომის წვიმიან კვირა დღეს, პალიკო ყიფიანთან შევიკრი-

ბეთ ბელგიაში მცხოვრები ქართველები: დიდი თეატრალი გიორგი ჯაბადარი, მისი ძმა, დირიჟორი და კომპოზიტორი ერეკლე, სტუდენტები — კონდრატე თათარიშვილი, ილო ჯორჯაძე, სანდრო ორჯონიკიძე, აქ იყვნენ გოგინა ბაგრატიონი, ვარო ყიფიანი, ილიკო თაქთაქიშვილი, მისი მეუღლე მაშო და სხვები.

ჩვენს ლიტერატურულ საღამოზე არ ესწრებოდნენ ერეკლე ტატიშვილი და გერონტი ქიქოძე, რომელიც მოგვიანებით გადმოვიდა ჟენევიდან ჩემს ბინაში საცხოვრებლად, თედო სახოკია, რომელიც პარიზში იყო, აგრეთვე არ ყოფილან შიო იოსავა და ირაკლი ციციშვილი. ვასილ წერეთელი ლიეჟში იყო.

ვარო ყიფიანი და მაშო თაქთაქიშვილი დიასახლისობდნენ.

საღამოზე კარგი მხატვრული პათოსით წავიკითხეთ უიარაღოს „მამელუკი“.

იყო ერთი სლუკუნი, სამშობლოდან მოშორებულ ადამიანთა ტირილი, მსმენელთა ცხვირსახოცების ფრიალი და შეძახილები.

„მამელუკს“ ბრწყინვალე წარმატება ხვდა.

„უიარაღო“ სათითაოდ გადავკოცნეთ. ვარო ყიფიანმაც კი, რომელმაც ცუდად იცოდა ქართული, ფრანგულად მიულოცა.

პალიკო ყიფიანის აზრით, ეგვიპტეში, ნაპოლეონის არმიის წინააღმდეგ ყველა ასისთავი და ათასისთავი არაბი—ეროვნებით ქართველი იყო, გაყიდული ტყვე.

კონდრატემ თავისი წუნარი, ალერსიანი მზერა ესროლა მასპინძელს:

— ჩემო პალიკო, ილიას „იანიჩარის“ არ იყოს, ყველა ქართველი მამელუკი განწირული იყო უცხოთა კარზე.

ერეკლე ჯაბადარმა შენიშნა, რომ ბოროდინოზე, ფრანგების წინააღმდეგ ბრძოლაში მრავალი ქართველი გენერალი იღებდა მონაწილეობას. ისინი საკუთარი მკერდით იცავდნენ მოსკოვს, მათი რიცხვი ორმოცდაათს აჭარბებდაო.

— ღმერთო ჩემო! ნეტა როდის იქნება ქართველმა ხალხმა სცენაზე იხილოს „მამელუკი“! როდის? — შესძახა გიორგი ჯაბადარმა.

პასუხად ფანჯრის რაფებიდან იხედებოდა ბელგიის ბნელი ცა.

* * *

სექტემბრის პირველი რიცხვები იყო. კონდრატეს დავალებით ერთი დღე უნდა შემეწირა და მისთვის მეჩვენებინა სამხატვრო გალერეები, მუზეუმები და სხვა. მე, რამოდენიმე წლით ადრე ვიცნობდი ბელგიის მუზეუმებს, ამიტომ აღვუთქვი მეგზურობა.

ერთ ღრუბლიან ოთხშაბათს კონდრატეს ჩემთან გამოევლო და ბარათი დაეტოვებინა.

ბარათი მადამ ბოვმა გადმომცა:

„ჩემო დათიკო!

ფერწერის ჰომიროსს ამბობენ, მხატვარ ვირცზე. ვირცის სალონი დავათვალიეროთ, მოდი, ნუ დაიზარებ. ხვალ დილით შეგხვდები პლას-როიალის მოედანზე, დილის 11 საათზე.

შენი კ ო ნ დ რ ა ტ ე.“

მეორე დღეს, დილით სახელდახელოდ წავისაუზმე, ცოტა დავისვენე და თერთმეტ საათზე ცილინდრსა და სერთუკში გამოწყობილი პლას-როიალზე ვიყავი.

მოედანზე კონდრატე მომეგება. იგი იდგა ამაყად აღმართული გოტფრიდ ბულონელის ქანდაკებასთან.

— მოგწონს? — შევეკითხე ქანდაკების მისამართით.

— ბევრი ვერაფერი შვილია!.. ბრიუსელში უკეთესი ქანდაკებები მინახავს.

ხელი ხელს გავუყარეთ და გავწიეთ მხატვარ ვირცის სალონისკენ.

გავიარეთ „პლას დე მარტირ“. — „მოწამეთა მოედანი“. კონდრატეც და მეც შევჩერდით.

— რატომ ჰქვია მოწამეთა მოედანი, დათიკო?

— იმიტომ, რომ ამ მოედანზე სისხლში სასტიკად ჩაახშეს 1830 წელს მომხდარი რევოლუცია. მოწამეთა სახელში აქ დახვრეტილ აჯანყებული მუშები იგულისხმება.

კონდრატეს ძალზე აღელვებდა ასეთი ამბები. სურდა ერთი დაკვრით შეეჭყლიტა მთელი ბრიუსელი.

— ძნელია და სატანჯველი სწავლა ჩემს პირობებში და ისიც უცხო ქვეყანაში, მაგრამ საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანო. წიგნების იქით დრო თითქმის აღარც კი მრჩება. დღიურს ვაწარმოებ. საკუთარი გეგმა მაქვს. უნდა გავიცნო ყველა მუზეუმი — საბუნებისმეტყველო, ეთნოგრაფიული, კოლონიის, ინტერნაციონალური მუზეუმი... მეფის სასახლეები, პარკები, ყველა ბიბლიოთეკა!

კონდრატე წუნარი, ხავერდოვანი ხმით ლაპარაკობდა. არასოდეს არ ჩქარობდა, მოუსაზრებლად ეთქვა რამე სათქმელი. ტკბილი მოსაუბრე და დაბრძენილი მეტყველი გახლდათ.

მან ცივი უარი მითხრა — დაეთვალიერებინა გერმანელთა გაშოფენის პავილიონი, სადაც საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა და ყველას შიშის ზარს სცემდა ახალი სისტემის ზარბაზნების ექსპონატები.

— თავი დავანებოთ, დათიკო, შენი ჭირიმე. ჰაერში ისედაც ომის სუნი ტრიალებს. სანამ სამუდამოდ არ აილაგმებიან ეს შარაგზის ბანდიტი გერმანელი ტევტონები, მანამდე ქვეყანას მშვიდობა არ ეღირსება... ისევ მხატვრის სალონში წავიდეთ!..

— ერთხელ მაინც შევხედოთ ამ გერმანულ ზარბაზნებს!

— არ მინდა, ადამიანო! ეგ ზარბაზნები კაციჭამია იმპერატორის ვილჰელმის კბილებია!

კონდრატეს უქმი ლაპარაკი და ლაყბობა არ უყვარდა. გავუარეთ ახალ უნივერსიტეტს, რომლის წინ მეფის სასახლის ბაღის ღია წალკოტი იყო გატყორცნილი.

შუა ბაღში შევნიშნეთ ბელგიის ხელმწიფის ალბერტის ვაჟიშვილის „ახალი ტახტის მემკვიდრე", ათიოდე წლის ლეოპოლდი. იგი ქერა კულულებ-დაყრილი ბიჭუნა იყო, გადიები ვითომ კეგლის თამაშით ართობდნენ, სინამდვილეში კი თითონ უფრო ერთობოდნენ, ვიდრე ნაღვლიანი უფლისწული. კონდრატეს მათ დანახვაზე ელიმებოდა.

მალე დიდი მხატვრის ვირცის სახელობის მუზეუმს მივაღწიეთ.

— მოვედით, დათიკო?

— მოვედით!

• • •

ანტუან ჟოზეფ ვირცი რუბენსის შემდეგ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ბელგიაში. იგი განთქმული იყო არა მარტო ფერწერის ჯადოქრობით, არამედ ბურუსით მოცული, უჩვეულო თემატიკითაც.

კონდრატე აღტაცებაში მოიყვანა ვირცმა — სილამაზის მოტრფიალემ, მაგრამ შემდეგ კი იმედი გაუცრუვდა.

ვირცის სახელობის მუზეუმში შესვლისთანავე „უიარაღო“ შეიპყრო მხატვრის სიურპრიზმა: ღია ფანჯრებიდან კეკლუცი, ჯეირანი-გოგონა იყო გადმოხრილი მაყურებლისაკენ. მას თან გადმოეზიდა მთელი გაზაფხულის მშვენება, ჯერ დაუფარავი, ღია გულმკერდი, ვარდისფერი, ულამაზესი სახე. მარწყვისფერი ტუჩები... იგი თლილი თითებით გვთავაზობდა ხასხასა, წითელი ვარდის ჯერ გაუფურჩქვნელ კოკორს.

— დათიკო, ეს ნამდვილად სასწაულია! ყური რომ დაუგდო, ალბათ, მის კისკისსაც გაიგონებ!.. — შესძახა კონდრატემ.

გოგონა კი ეშხიანად უხმოდ იცინის და კოკორიც ისე მოხერხებულად გამოუწვდია ჩვენკენ, თითქოს გვეკითხება „მე ვჯობივარ, თუ ეს წითელი ვარდი მჯობიაო?!“.

მე მეათედ ვნახე ეს გოგონა. მეც და კონდრატეც უსაზღვრო განცვიფრებისაგან ერთხანს უსიტყვოდ ვტკბებოდით. დიდხანს ვერ შევურიგდით იმ აზრს, რომ ეს გოგონაც, ვარდებიანი ფანჯრის ჩარჩოც სურათს წარმოადგენდა. არ გვსურდა დაგვეჯერებინა!

კონდრატემ ღრმად ამოისუნთქა:

— არა, ძმაო, ეს რაღაც ულტრა-რეალური სიმფონიაა.

— მოგწონს ვირცი?

— ცოცხალი ფერების დირიჟორი ყოფილა.

— გავიდეთ, კონდრატე, მეორე დარბაზში...

— არა, ამას კიდევ ვნახავ!..

გავედით მეორე დარბაზში, სადაც მთელ კედელზე მოთავსებული იყო უზარმაზარი სურათი დევკაცებისა. ესენი იყვნენ ჰომეროსის გმირები „ილიადადან“: ჰექტორი, აქილევსი, ოდისევსი, აგამემნონი

და სხვები. ვერც ამ სურათს მოვაშორეთ თვალი, კონდრატემ გაიხსენა ელინური მითების ყველა წვრილმანი დეტალი.

— აქ მხატვარი ვირცი ჰომეროსს ბაძავს!

— რა თქმა უნდა! — კვერი დავუკარი მეგობარს.

შემდეგი ტილო იყო „ნაპოლეონი ჯოჯოხეთში“. ცენტრალური ადგილი ნაპოლეონს ეჭირა. იგი ცეცხლის ალში იმზირებოდა მისთვის ჩვეული პოზით. მის გარშემო მოჩანდნენ აქვითინებული დედები, ქვრივი ქალები, პატარძლები, მგლოვიარე დები.

ერთი განგმირული ქმრის გულს უჩვენებდა, მეორე—ძმის მოტეხილ მკლავს, მესამე — დაობლებულ ორდენებსა და მედლებს, მეოთხე — მიჯნურის თავის ქალას. მჭმუნვარება... ბონაპარტისკენ გაწვდილი გამხდარი, მარმარილოსებური ხელები. თითქოს ისმოდა ამ სურათის გმირი ქალების ვაება, გოდება: „ვისთვის რა საჭირო იყო ეს სისხლისმღვრელი ომები, ამდენი ხალხების ჟლეტა-დასახიჩრება?!“

მაგრამ დესპოტი იმპერატორი ღმერთის სიდიადით სდუმდა. თითქოს დასცინოდა მათს შეკითხვებს და ზიზღის მომგვრელი ღიმილით ამბობდა: „ასე იყო, ასე არის, ასე იქნება“...

კონდრატეზე ამაღელვებელი შთაბეჭდილება მოახდინა ამ სურათმა. მან ზედმიწევნით იცოდა არა მარტო ლეტეციასა და კარლო ბონაპარტის შვილების, არამედ ნაპოლეონის მარშლების: ნეის, დავუს, ბერტიეს, სულტის, ლანის, დეზის, მიურატის, ჟიუნოს, ოჟეროს ბიოგრაფიები; ვინ სად დაასრულა სიცოცხლე, ვინ მიემხრო და ვინ გადაუდგა ნაპოლეონის სიკვდილის შემდეგ ბურბონებს, ვინ სად დახვრიტეს, რომელ ქალაქსა და სოფელში...

ასევე ბრწყინვალედ იცოდა „უიარაღომ“ ეგვიპტეში ნაპოლეონის ექსპანსიისა და ოკუპაციის ამბები, მამელუკთა თავგანწირული ბრძოლა და მათი კავალერიების ყოველი მანევრი პირამიდების ჩრდილქვეშ...

კამათითა და საუბრით გავედით შემდეგ დარბაზში. ოთახის კუთხეში ჩანავლული ბუხარი თვლემდა. მის წინ საამურ სითბოს ჩაუძინებია შავი ძაღლი.

კონდრატე შეკრთა, იმდენად ცოცხლად იყო ძაღლი დახატული. მიუახლოვდა აღტაცებით:

— აი, ეს მომწონს, ასეთი უნდა მხატვრობა. შეხედე, როგორ შავად ბზინავს ძაღლის ბეწვი! აი, სიურპრიზი.

— ეს ძაღლი ყველას ცოცხალი არსება ჰგონია... მაგრამ ნუ ჩქარობ, ჯერ სადა ხარ, ჩემო კონდრატე, ერთი იმ განყოფილებაშიც შეიხედოთ!

შევედით ნახევრად განათებულ დარბაზში.

აქ ვირცი თავს გვიჩვენებდა, როგორც მოქანდაკე. კუთხეში იდგა ჯგუფური ქანდაკება „ბრძოლა გვირგვინისათვის". კონდრატემ შესძახა:

— შეხედე! ხელმწიფესა და მის მეტოქეს მოსვლიათ ჩხუბი გვირგვინისათვის. მეტოქეს მეფისათვის ტარამდე ჩაუცია გულში ხახჯალი, მახვილის წვერი ზურგშია გატანილი. გამწარებულ მეფეს მეტოქისათვის კბილებით მთელი მხარის ხორცი ამოუფლეთია, როგორც ფოცხვერს, ხოლო მეორე ხელიდან მახვილი გავარდნია...

— კონდრატე აბა, გვირგვინს თუ იპოვი.

— აგერ არაა? ძირს დანთხეულ სისხლში მიგორავს, უპატრონოდ. აქ მთელი ფილოსოფიაა. შემდეგ ღრმად ამოისუნთქა და შუბლზე ხელი მიიდო სასოწარკვეთით:

— როდემდე უნდა გრძელდებოდეს ასეთი მხეცობა!..

შევატყვე, რომ კონდრატე ძალზე მგრძნობიარე და განცდებით აღსავსე კაცი იყო და გადავწყვიტე, შთაბეჭდილება აღარ წამეხდინა მისთვის, სხვა სურათებთან აღარ მივიყვანე. აღარაფრის ნახვა აღარ უნდოდა, წახდა კაცი! მას უნახავი დარჩა ხოლერაშეხვედრილი ადამიანის ჰაი-ჰარად დამარხვის სურათი, გამოღვიძება საფლავში, მშიერმა დედამ როგორ დაკლა საჭმელად საკუთარი შვილი, „უკანასკნელი ზარბაზანი" და სხვა.

ვირცის მუზეუმი სასწრაფოდ მივატოვეთ.

* * *

გავიდა რამოდენიმე თვეც. დაგვიზამთრდა.

ბრიუსელი თეთრად შეიმოსა.

კონდრატე ნელ-ნელა თავის სამყაროში გადაბარგდა. მას თით-

ჭოს ალარ აინტერესებდა არც ხელოვნება და არც მწერლობა. ძირითადად გეოლოგია იტაცებდა, ხოლო ახალმა სამყარომ ახალი მეგობრები გაუჩინა.

ერთ დღეს სანდრო ორჯონიკიძემ არასასურველი წერილი მიიღო საქართველოდან. ყველა ავღელდით. სანდრომ გამოსათხოვარი საღამო მოაწყო. ვახშამის შემდეგ გავაცილეთ ჩრდილო-სადგურში.

სადგურზე მოვიდა კონდრატე თათარიშვილიც. იგი, აცრემლებული, მხურვალედ გამოესალმა ამხანაგს, ყველა ვიცრემლებოდით.

სანდრო თავის კუპეში შევაცილეთ. გადავკოცნეთ.

აგერ, ნიშანი მისცეს მატარებლის დაძვრისა. მატარებელი დაიძრა.

სანდრო ვაგონის სარკმელიდან იცინოდა. ხელსახოცს გვიქნევდა. ჩვენც ხელსახოცებს ვუქნევდით.

მატარებელი თვალს მოეფარა. ჩვენ ვიწყეთ დაშლა. მე და კონდრატე უხმაუროდ მივაბიჯებდით თოვლში.

— რამ დაგაღონა, კონდრატე?

პასუხი გაუძნელდა. ვინ რა იცის, ვის გულში რა ტრიალებს!

გავიარეთ დუმილით რამოდენიმე კვარტალი.

— საქართველო მომენატრა, ბიჭო! ძალიან მომენატრა.

— ეეჰ, ჩემო კონდრატე...

— აი, რამდენი ხანია რაც ბრიუსელში ვარ. ზედმიწევნით შევისწავლე ყველა მუზეუმი, ყველა გამოფენა. კარგია ბელგია, ბრიუსელი, მაგრამ ადამიანი უცხოეთში ვერ გაძლებს, ჩემო დათიკო.

— სამუდამოდ ხომ არა ვართ? აი, გაირბენს წლები და...

— არა, ჩვენ ისეთ წლებში ვცხოვრობთ, რომ ევროპაში უსათუოდ გავარდება ომის მეხი... მე კი უნივერსიტეტში, ბუნებისმეტყველების დარგში ვჩალიჩობ...

— კონდრატე! „მამელუკის“ ავტორი მოაზროვნე მხატვარია. მე არ მომწონს, რომ გეოლოგებთან ჩხირკედელაობ ბრიუსელის გარეუბნებში. რად აირჩიე გეოლოგია? რატომ სალიტერატურო კარიერა არ გაიღრმავე?

ყოფილმა „ხუცესმა“ გაიცინა:

— გატყობ, რომ გეოლოგიისა არაფერი გესმის. ესაა მეცნიერე-

ბის საფუძველი ბუნებისმეტყველების მცოდნეობის ყველა დარგში. ბიბლია ყალბია. ბიბლიის ენას რომ დავუჯეროთ, ზღაპრებით გავიბერებით. გეოლოგები დედამიწის არსებობის მილიონობით წლებს ითვლიან. შენგან არ მიკვირს? აბე, ჩაიხედე მიწის წიაღში, ნახე ვულკანები, ჰეიზერები, რამდენი ცვლილებებია. შე დალოცვილო, გოეთე სპეციალურად ჩაუჯდა ბუნებისმეტყველებას. „ფაუსტის“ ავტორმა გეოლოგიაც შეისწავლა და მე, უიარაღომ რომ მეცნიერული შეიარაღება მოვისურვე, რა გასაკვირია.

კონდრატე მართალი იყო. იგი არც მაშინ ებრძოდა ქარის წისქვილებს, როცა ანაფორით დაშარიშურობდა, ახლა კი მისთვის მთავარი იყო მეცნიერული ჰეშმარიტება და სინამდვილის ანალიზი.

იმ ღამეს ერთად ვივახშმეთ, მადამ ბოვთან. კონდრატე დიდი გატაცებითა და სიყვარულით იგონებდა თბილისს, „ქალაქურ ამბებს“. მადამ ბოვი აღტაცებული იყო.

გარეთ კი სულ თოვდა, თოვდა, თოვდა...

თითქოს მას სურდა თოვლით გადაეფარა ჩვენი ფიქრები შორეულ სამშობლოზე...

* * *

ივნისი იდგა. მზის მცხუნვარე სხივები იჭრებოდა ჩემს ოთახში. მე რუსთაველის პრობლემებზე ვმუშაობდი. კარები ზათქით გაიღო და კედელს მიეხეთქა.

— დაიწყო!!!

— რა?

— ომი დაიწყო.

ოთახში კონდრატე შემოვარდა, ძალზე აღელვებული და შეშფოთებული.

— ვინ გითხრა?

— ერეკლე ტატიშვილმა.

— ვაიმე! რაღა ვქნათ?!

— არ ვიცი.

ელვის სისწრაფით ქუჩაში გავჩნდით.

— ჩვენ დიდ საფრთხეში ვართ? — ვუთხარი კონდრატეს. — ხაფანგში ჩავცვივდით. სამშობლოსაკენ გზა მოგვეჭრება!

გაზეთები შევიძინეთ. ომი დაწყებულა ძველისძველი, გაცვეთილი ფანდებით. პრესაში ატეხილი აურზაური, ქარბუქი და უჩვეულო აჟიოტაჟი საფუძველს მოკლებული არ იყო. მსოფლიო ომი დაწყებულა. პოლიტიკური გაზეთები იუწყებოდნენ სარაევოში მომხდარი „ტრაგედიის“ შესახებ: 28 ივნისს სარაევოში მოჰკლეს ავსტრო-უნგრეთის ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი. მკვლელი აღმოჩნდა სერბიელი სტუდენტი.

ავსტრიის „ეროვნული“ ღირსება „შელახული“ იყო. მან „დამამცირებელი“ ულტიმატუმი წარუდგინა სერბიას. გათამაშდა თოჯინების თეატრი პოლიტიკური ევროპის თეჯირზე. ავსტრიას გამოექომაგა მთავარი რეჟისორი — გერმანია. გერმანია მსოფლიოს დაემუქრა განადგურებით! მსოფლიო კომედია ტრაღიკულად დაიწყო.

ქუჩაში, „ჩვენს ბირჟაზე“ ჩვენმა ბიჭებმა მოიყარეს თავი. ყველამ გადავწყვიტეთ — გვეფიქრა მომავალზე. დანარჩენებს, ვინც ჩვენთან არ იყო (ზოგი მონსში იყო, ზოგი ლიეჟში), დეპეშები დავუგზავნეთ.

— კონდრატე, რას ფიქრობ?

— რა უნდა ვიფიქრო? სანოვაგე უნდა მოვიმარაგოთ.

— მერე? სადამდე გვეყოფა ეგ მარაგი?

— ერთი ორი-სამი თვე მაინც, სანამ ომი გათავდებოდეს. მერე ქვეყანაც დამშვიდდება, არეულობაც შეწყდება.

კონდრატეს გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ ის საზარელი ომი, რომელსაც შემდეგ პირველი მსოფლიო ომი ეწოდა, რაღაც სამიოდე თვეში მოთავდებოდა.

ბიჭები ნერვიულობდნენ.

— ვილჰელმის დედაც...

— კეთილგონიერება დაჰკარგა...

— ის მაღლა აგრეხილი მედიდური ულვაშები, ნაცემი ძაღლის კუდს რომ დამსგავსებია, უნდა დააგლიჯო!

—მაგის ბოლო გილიოტინაა! — ამბობდა აღშფოთებული კონდრატე.

— მერე? ვინ აიყვანს გილიოტინაზე?

კონდრატემ სახეანთებულმა შესძახა:

— ვინ აიყვანს და დიდი რევოლუცია!

— რომელი რევოლუცია?

— აი, ამ ომს რომ მოჰყვება!.. დღევანდელი [illegible] ჰელმმა რომ აქეთ-იქით მიაყარა კოხივით, უბრალო [illegible] სერიოზულად ფიქრობს რამეს, ურჩევნია თავის თავზე [illegible] კი გასაქცევად არა მცალია.

— ამისგან სხვა პასუხს ვერც მიიღებ! — იყვირა [illegible] შვილმა.

* * *

სარაევოს ტრაგიკულმა ამბავმა ძილი წაგვართვა. ბრიტანელი ციებ-ცხელება იდგა.

ვილჰელმი, თავისი გერმანული რკინის კოჰორტებით, მკაცრად მიაბიჯებდა მრავალი მიმართულებით, როგორც გიგანტური შხამიანი ობობა. იქ საფრანგეთს გადასწვდა, იქ რუსეთს, თვალის დახამხამებაში დაიპყრო პატარა სახელმწიფონი, ბელგიაში დაეცა ნამიური, მონსი, ლიეჟი, ლუვენი, ბრიუსელი...

პირველ ხანებში გერმანელები ლოიალურად იქცეოდნენ, მოსახლეობას თითქოს არაფერს ერჩოდნენ, მაგრამ ეს მოჩვენებითი იყო.

ქალაქ ბრიუსელის კომენდატმა მოსახლეობა გააფრთხილა, სამხედრო საქმეებში არ ჩაერიოთ, თორემ თქვენ ქალაქიდან ქვას ქვაზე არ დავტოვებთო.

მაგრამ პარტიზანებმა მაინც იჩინეს თავი: ლუვენში შეიარაღებულმა კათოლიკე ბერებმა ააფეთქეს გერმანელთა სამხედრო შტაბი. ეს კი საბაბი გახდა, რომ ბრიუსელში მთელი მოსახლეობა გაემწკრივებინათ და ყოველი მეხუთე კაცი უმოწყალოდ დაეხვრიტათ. შემთხვევით მეც შემიპყრეს და მწკრივში დამაყენეს. მე ორი კაცით ამცდა დახვრეტა. მივხვდი, რომ ისეთი ცეცხლის ხაროში ვიყავი, საიდანაც ძნელი იყო თავის დაძვრენა...

ამ ცეცხლის რკალში აღმოჩნდა კონდრატეც. საღამოს, ჩემს ბინაზე გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. არ ვიცოდით, თბილისში კიდევ შევხვდებოდით თუ არა ერთმანეთს!

ერეკლე ტატიშვილმა როგორღაც მიაგნო თავის ყოფილ გერმანელ პროფესორს (ახლა უკვე სამხედრო პირს), რომელმაც დიდი დახმარება აღმოგვიჩინა. სასტუმრო „ფრანციაში“ ერეკლემ ჩემი თავი ზია-ბეგ აბაშიძედ გაასაღა და სამიოდე დღეში რუსეთის გემით, ყალბი პასპორტით ბათუმში გამოვემგზავრე. ბათუმში ჩამოსვლისთანავე თბილისისკენ ავიღე გეზი.

* * *

კონდრატე თათარიშვილი ჩემს მეხსიერებაში დარჩა, როგორც უცხოეთში მოსწავლე მგზნებარე, ბეჯითი სტუდენტი, მას მკერდით დაჰქონდა ოკეანე — სამშობლოს სიყვარული.

იგი იყო ტიპიური წარმომადგენელი ჩვენი მოწინავე ინტელიგენციისა, და მარად ნატრობდა მშვიდობას, ძმობას, თანასწორობას...

იგი სრულიადაც არ იყო „უიარაღო“. იგი იყო უიარაღო აბჯროსანი, რომლის იარაღს წარმოადგენდა ღრმა ცოდნა, შემოქმედების ცეცხლი და ბრწყინვალე ნიჭი...

* * *

უცხოეთიდან ჩამოსვლის შემდეგ, პირადი საქმეების მოგვარებისას, ვერ იქნა და ვეღარ გავიგე კეთილი და სათნოებით აღსავსე უფროსი ამხანაგის ბედი.

რა დაემართა იმ კაცს, რომელმაც თავის ცხოვრების მონაკვეთები ასე საოცარი სხვადასხვაობით განვლო?!

მე არავითარი ცნობა არ მომდიოდა.

პირველი იმპერიალისტური ომიც გაჭიანურდა. ნუთუ ყველაფერი მიწყნარდა? ნუთუ დავიწყებას მიეცა?

კონდრატემ ხმა ვეღარ მოაწვდინა სამშობლოს. ოსმალეთთან ომის დროს, როცა ენვერ-ფაშა შორიდან მუშტს უღერებდა ჩვენს დედაქალაქს თბილისს, ხმა დაირხა—თითქოს კონდრატე სტამბოლში დაიღუპა გებენ-ბრესლაუსა და ინგლისის ფლოტის დუელის დროს.

მე ვერ დავიჯერე, (უკეთ, არ მინდოდა დამეჯერებინა), რომ სამხედრო ოპერაციების მსხვერპლი გამხდარიყო ისეთი კაცი, რომელიც არსად თავს უბრალოდ არ წააკლავდა...

მიჰქროდა წლები, მაგრამ კონდრატე მაინც არ წაიშალა ჩემი მეხსიერებიდან...

* * *

ზაფხულის სიცხე-პაპანაქება ბუგავდა თბილისს. ჩიტუნების ორკესტრის ჟივილ-ხივილი აყრუებდა მწვანედ აფოთლილ ხეივანს.

„ლაღიძის წყლების“ მაღაზიას მივაშურე.

— დავით! დავით, mon chere! — მესმის ერთი კუთხიდან ხმა. მივბრუნდი, დავაკვირდი.

ვიღაცა ჯენტლმენი მარტო იდგა და გაზეთი ეჭირა ხელში.

— კონდრატე!

დიდი ხნის უნახავი ძმები ერთმანეთს ჩაეხვიეთ. გამვლელებს ჩერდებოდნენ ქუჩაში. უკვირდათ, ასე რატომ ეხვეოდით ერთმანეთს...

უჩვეულო ლირიკულმა გრძნობამ აღგვაფრთოვანა.

კონდრატე ბევრად უფრო დაკაცებულიყო, უფრო დაბრძენებულიყო.

მის სამოსწავლო მზეს მზიურ წრეზე თავისი სავალი გზა დაემთავრებინა და ახლა, როგორც თაფლით დატვირთული ფუტკარი მშობლიურ სკას მიაშურებს, კონდრატეს ისე მოენახა თავისი ბინა. ხელკავი გამიკეთა და მთაწმინდის აღმართს შევუდექით.

— როგორც იქნა დააკმაყოფილეს ჩემი თხოვნა. უცხოეთში რა გამაძლებინებდა! საბჭოთა ვიზით ჩამოვედი სამშობლოში. ახალ ცხოვრებას ვეწევი... სამსახური მომცეს... ახლა ჩემს სტუდენტებს ვასწავლი მშობლიურ გეოლოგიას, რომლის წყურვილი ბრიუსელის უმაღლეს სასწავლებლებში მკლავდა.

მე შევუერთდი კონდრატეს სიხარულს: გეოლოგია თუ წინათ მშრალ საგნად მიმაჩნდა, ახლა კონდრატეს ლირიკულ განწყობილებას ავყევი, და გეოლოგია პოეზიის ნათესაურ დარგად ვაღიარე...

მთაწმინდის კალთებს ავყევით. კონდრატეს საკუთარი ხელით გა-

შოენგრია კლდე. გაეპრა საძირკველი, ლოდებით აეშენებინა მკვრივი კედლები და მშვენიერი სახლი დაედგა მთაწმინდის ცის ფერმკრთალი ვარსკვლავების ქვეშ.

მთაწმინდის ფერხთით გაშლილიყო დედა-თბილისი.

— აი, აქ, რუსების ეკლესიასთან შეარჩია თავისი ატელიესათვის ადგილი მოსე თოიძემ... — მეუბნება კონდრატე.

— ჩვენმა მოსემ? კარგი მეზობელი გყოლია!

— დავით, გახედე აქედან თბილისს! რომელი ბრიუსელი შეედრება!

— ჰოდა, ჩემო კონდრატე, ეს ჩვენი ახალი შემოქმედებითი ჰორიზონტია, ახალი ტილოების ასამეტყველებლად!... აი, როცა შენი „მამელუკის“ გმირებს წაუკითხავ მოსე თოიძეს...

კონდრატე შეკრთა.

— რა შუაშია „მამელუკი“?!

მე დავამშვიდე:

— „მამელუკი“ ჩვენთვის დიდი ნაწარმოებია. მოსე თოიძეს გააცანი, ბეჯითი ყურადღებით წაიკითხავს და სურვილიც აღეძრება, ტილოზე გააცოცხლოს მისი ეპიზოდები: „ნაპოლეონი პირამიდებთან“... „უკანასკნელი შეხვედრა“...

კონდრატეს ცრემლები ღაპა-ღუპით წამოუვიდა.

მე განვაგრძობდი:

— საზარელი ბრძოლის ველის ფონზე, ურიცხვ გვამთა შორის, ორი, ერთმანეთს გადაჭდობილი გვამი იქნება გამოხატული. ერთს ეცმევა ძვირფასი არაბული ხალათი, ხოლო მეორეს — ვენეციელი გვარდიელის მწვანე მუნდირი...

კონდრატემ დაასრულა.

— „ღმერთმა ხომ იცოდა, რომ არც ერთი იყო არაბი და არც მეორე ვენეციელი... ორივე ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ“...

კონდრატეს ცრემლებს ჩემი ცრემლიც შეემატა.

— მე მგონი, მოსე შესძლებს ამის დახატვას. „მამელუკის“ ილუსტრაციების ავტორს თუ რუბენსის არა, დელაკრუას ძალღონე

უნდა ჰქონდეს, ან ვერეშჩაგინისა, ეს ხომ ბატალური თემატიკაა, რომელსაც სჭირია თავისი მოცარტი, შოპენი, ან ვაგნერი...

დიდხანს ვისხედით ასე ორივე, ვიდრე არ დაიწყო ნიკო ბარათაშვილის ჯადოსნური „შემოღამება მთაწმინდაზე“.

კონდრატეს თვალები მიეშტერებინა მტკვრის დიდებულ პანორამისკენ.

მე მხარზე გადავდე ხელი ჩემს ძველ მეგობარს:

— „მამელუკი“ — პოეზიაა, ჩემო კონდრატე, სადაც გაისმის ილიას გოდება, აკაკის მოთქმა, ნიკოსი და ვაჟას დაჭრილი გულის ბღავილი...

— ეგ დიდებული ადამიანები აქ, ამ მთაწმინდის კალთებზე წვანან. მათ სამარადისოდ დახუჭეს თვალი, არ შეუძლიათ შეხედონ განახლებულ საქართველოს თავისუფალ, უკვდავ განთიადს...

დიდხანს ვისხედით ასე ორივე.

ბევრი ამოსულა აქ, მთაწმინდის კალთებზე, მაგრამ ჩვენზე ბედნიერი მთელს მსოფლიოში იმ წუთს არავინ იყო!...

1927



ირაკლი გამრეკელის დეკორატიული სიმფონიები

ქათას ცხრაას ოცდაოთხი წელი. იანვრის მიწურული. იშვიათი მზიანი დღეები. თბილისურ კეკლუც ფირუზოვან ცის გუმბათში მტრედების ნავარდი.

რუსთაველის სახელობის თეატრს აუარება ხალხი მისწყდომია. აუწერელი ჩოჩქოლია. მხიარული სახეები, თითქოს მზის კარნავალში ჩასაბმელად განმზადებულანო.

საყოველთაო ცნობისმოყვარეობის აცისკრება და ამაზე მეტი განცვიფრება.

ახალგაზრდა მსახიობნი რეჟისორ სანდრო ახმეტელის მეთაურობით თეატრიდან გამოჭრილან და მხიარული ყიჟინის მაშხალებს ტყორცნიან მარჯვნივ და მარცხნივ...

არიან ძველი მსახიობნიც, რომლებიც აქ დგანან. კანტიკუნტად ლიფლიფებს მათი ლანდი, გაბუტული სახით იმზირებიან. ერთადერთი ვალერიან გუნიაა, რომელსაც მუშტები მძაფრად დაუკუმშია და თითქოს საკრივოდ ემზადება. მის მახლობლად ვასო აბაშიძე მარჯნის კრიალოსანს ათამაშებს და საოცარი ოპტიმისტური ღიმილით მიჰმართავს თავის თანამეუღლეს თეატრალურ მოღვაწეობის ასპარეზზე.

— არაფერია, ქაჯან, ეს მხოლოდ ჩვენი თეატრის წყალდიდობაა, საგაზაფხულო ნიაღვრის მოვარდნა... დაიქუხებს... მაგრამ მალე გაივლის... დაწყნარდება... კალაპოტში ჩადგება... მეტ ნაყოფს მოგვცემს... ეს ძიებაა... კოტეს ბუნებას სჩვევია ასეთ უკიდურესობათა სივრცეში ნავარდი.

— ჰო, მაგრამ ძველ მოჭირნახულეებს რად გვამცირებენ? ჩვენ და კამეჩები! აბა, სცადონ ერთი ათეული წელი მაინც ათრიონ ის ურემი, რომელსაც ამ ნახევარ საუკუნეში ვეზიდებოდით და მაშინ ბრძანონ: რა კამეჩებიც ვყოფილვართ!..

აი, თვითონ მარჯანიშვილმა გამოიხედა თეატრის საპარადო კარიდან და ახმეტელს მიუხმო თავისთან. როგორ აღტაცებული იყო იგი. თვითონ ახმეტელიც!...

არ ვიცი რა უთხრა ახმეტელს კოტემ, ის კი დავინახე, რომ ძმურად ხელკავი გაუკეთა და ისე შევიდნენ თეატრში.

აქ კი, თეატრის მისადგომთან კვლავ გრძელდება ბობოქრობა ახალგაზრდა მსახიობებისა. აგერ ეს დავით ჩხეიძეა, იგი ახლაც ისევე იქცევა მედიდურად, როგორც „ცხვრის წყაროში“ კომანდირი. მის გვერდით ბობოქრობს ორიგინალურად გამოწყობილი შალვა ღამბაშიძე.

აგერ ვასაძეც. სულ ცეკვავს, ცეკვავს როგორც ახმა ანზორში, თავის აულის ციხე-კოშკებს რომ თავისთან ერთად აცეკვებს.

აგერ შუბლშეკრული აკაკი ხორავა. მონისლულია მისი შუბლი,

ხოლო მისი ხმა იერიქონის საყვირივით ბოხი და ძლიერი — პროსპექტის მეორე მხარეზეც ისმის.

აგერ მუდამ დარბაისელი და გადაჭარბებით თავდაჭერილი გიორგი დავითაშვილი, მის გვერდით თამარ ჭავჭავაძე, რომელიც უშანგი ჩხეიძეს რაღაცაზე სტუქსავს... უშანგი დარცხვენით იღიმება, არ უჯერებს...

აგერ ელენე დონაურიც, ფაქტიური კეკლუცი დედოფალი ამდენ ახალგაზრდებისა, როგორც სვებედმორჩმული მეუღლე მაესტრო კოტე მარჯანიშვილისა...

აგერ ნაპოლეონისებურად თმა გვერდით გადავარცხნილი და ნაპოლეონისებური ცხვირით, მუდამ ჩუმი, მხატვარი-დეკორატორი ირაკლი გამრეკელი, ისიც გამოცოცხლებულა, დარბის, თითქოს პატრუქი უჭირავს ვიღაცის თუ რიღაცის ასაფეთქებლად...

აგერ დოდო ანთაძე თითქოს განზე გამდგარა და შავიშვილსა და საშა გველესიანს რაღაცაზე აქეზებს...

აგერ პლატონ კორიშელი, მას თითქოს ზურგზე წამოჯდომია ვეჩესლავ ჯიქია, რომელიც აღტაცებული ჟესტიკულაციით აღტაცების ფეირვერკებს ტყორცნის.

ათასი თვალია საჭირო, რომ პაპიროსის მწევლები დროებით შეაკავოთ, თორემ ოდნავად ასანთის გაკვრა და ისე წამოიქცევა ეს თეატრიც, როგორც „ღალატში" მეტეხის ციხე მადლიანი ანანიას ხელით აფეთქებული.

მე ათეული წლობით ვიცნობდი ქართულ თეატრს. ვიცოდი მისი ყველა კულისი, ყველა მსახიობი, სცენის ყველა ნათურაც კი. მაგრამ ადამიანის განუყრელმა ცნობისმოყვარეობამ უხილავი ჯაჭვით მიმაჯაჭვა იმ დღის შემდეგ თეატრის მღელვარე ცხოვრებას.

ამიტომ მოვუხშირე რუსთაველის თეატრში სიარულს, ვაკვირდებოდი როგორც ახალგაზრდათა გაბედულ თამაშს, ისე პიესის მხატვრულ გაფორმებას. რა საოცარი მოვლენა აღმოვაჩინე! არასოდეს ძველ ქართულ თეატრში არ მენახა ასეთი შეთანხმება პიესის შინაარსისა და მისი დეკორაციებისა. როგორ დამავიწყდება ქართული სცენის გენია ლადო მესხიშვილის ტრაგიკული უსაშველობა, როდესაც სულ ერთსა და იმავე გაცვეთილსა და თვალისთვის მოსაბეზრე-

ბელ გაქუცულ დაძონძილ დეკორაციებში უხდებოდა ღვთაებრივი ურიელ აკოსტას როლის შესრულებაც, დანიის პრინცის ჰამლეტის როლის გათამაშებაც, კარლ და ფრანც მოორების გაცოცხლებაც, ჰაუპტმანის „დაძირულ ზარში“ ჰენრიხის განხორციელებაც და ლევან ხიმშიაშვილის მამულიშვილურ გრძნობათა გადმოღვრაც. მაგრამ, ის ხომ ფენომენი იყო და დეკორაციათა სიღატაკეს არ გაგრძნობინებდათ!..

აქ კი რუსთაველის თეატრში ყველაფერი შეხმატკბილებულია... ვისაც შანშიაშვილის „ანზორი“ უნახავს სცენაზე, ან „მალშტრემი“, „ლონდა“, „ლამარა“, დამეთანხმება, რომ თვალს უალერსებდა არა მარტო შესანიშნავად შეწყობილი თამაში ახალგაზრდებისა, არამედ დეკორაციების საოცარი ჯადოსნობა, თითქოს არტისტებთან ერთად ცეკვავდნენ ფერები, ცეკვავდნენ აულის ციხე-კოშკები... იშვიათი მხატვრული გემოვნებით წინა პლანზე წამოდგმულ ჩვენი მთიანეთის ხავსიან კლდეებზე ლამარას და მისი დობილების სურებით გამოსვლაზე საზოგადოების ტაში არა მარტო დამდგმელს და ავტორებს ეკუთვნოდა, არამედ პიესის გამფორმებელსაც — ირაკლი ბამრეკელს!

* * *

ირაკლი იოველის ძე გამრეკელი დაიბადა სოფელ მეჯვრისხევში 1894 წელს. მშობლები მას გორის სასულიერო სასწავლებელში ზრდიდნენ, ხოლო შემდეგ სწავლა დაამთავრებინეს თბილისის სასულიერო სემინარიაში, რის შემდეგ მასში შესტრფოდნენ მომავალ მიტრამოსილ არქიელს. მაგრამ ირაკლიმ არ გაამართლა მათი იმედები. იგი როსტოვში მიდის და იქაურ უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე განაგრძობს სწავლას. იმ პერიოდში თვითონ ირაკლი ვერ გარკვეულიყო თავის მოწოდებაში. როდესაც გაიგო თბილისშიც უნივერსიტეტი გაიხსნაო, დაუყოვნებლივ მშობლიურ ქვეყანას მოაშურა. თბილისის უნივერსიტეტს შემდეგშიც მუდამ მოწიწებით იხსენებდა იგი. მე არა მარტო მედიცინა მაინტერესებდა, — ამბობდა ირაკლი გამრეკელი, — არამედ სიტყვიერების დარგიც, აქ უფრო

ღრმად შევიმცნე „ვეფხისტყაოსანი“, აქვე პირველად მოვისმინე ოპიზრის სახელი. ყურები ვცქვიტე: თურმე ჩვენ გეყოლია ჯადოსანი მხატვრებიც! ვერ წარმოიდგენთ რა მოწიწებით ვემთხვიე ოპიზრების ფრესკების უკვდავ ასლებს. ღრმად იფეთქა ჩემმა ბავშვობის გატაცებამ მხატვრობისადმი და მომთხოვა კანონიერი გზა მიმეცა მისთვის. ოპიზრებმა უჩინრად ხელი მკრეს, იმპულსი მისცეს ჩემს მოწოდებას ფრთების შესასხმელად.

ირაკლი გამრეკელი, მართლაც, ბავშვობიდანვე დიდად იყო გატაცებული მხატვრობით, ბუნების სილამაზე აჯადოებდა, უყვარდა მზის ამოსვლის ყურება, განსაკუთრებით დაისის მისტერიები კავკასიონის მთაგრეხილზე, რომელიც ბავშვის ფანტაზიას ისე ეჩვენებოდა, თითქოს აგერ-აგერ ის საოცარი დევკაცი ვარდისფერ ღრუბლებიდან გამოცურდება, დასტაცებს ხელს და სივრცეში გადასტყორცნის. სოფელ მეჯვრისხევში არც ერთი სახლი არ გამორჩენია, სადაც კავკასიონის სილუეტთა ნაკვთები არ გადმოეტანა ან ნახშირით, ახ ცარცით. გორის სასულიერო სასწავლებელშიც და შემდეგ თბილისის სემინარიაშიც, მხცოვან პედაგოგ კრიტიკოს იპოლიტე ვართაგავას მოწმობით, თურმე ირაკლი გაკვეთილების დროს უფრო ფერად-ფერადი ფანქრებით ვარჯიშობდა. მანვე გადმომცა, ერთხელ ისე მოვიხიბლე მისი ნახატით, რომ სერიოზულად ვურჩიე ირაკლის სამხატვრო სკოლაში გადასულიყოო.

ყმაწვილს მშობლებისათვისაც გაუზიარებია თავისი სურვილი, მაგრამ ცივი უარი მიუღია. მშობლების ასეთი პროტესტი გასაგები იქნება, თუ გავიხსენებთ, როგორ ფასდებოდა საზოგადოდ ხელოვნება მაშინ და მით უმეტეს მხატვრობა. მხატვრებს ისე უყურებდნენ, როგორც ცხოვრების გერებს. ჩვენი მხცოვანი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე უფრო მხაზველობის მასწავლებლობით ირჩენდა თავს, ვიდრე თავისი მადლიანი საკვეთელით. მოსე თოიძე დახეულ სალდათურ ფეხსაცმელებით ისე დააბიჯებდა პროსპექტზე, როგორც დევნილი წინასწარმეტყველი — გაფითრებული სახით და ანთებული თვალებით. მაშ რაღა გასაკვირია, თუ ირაკლის მშობლები წინააღმდეგობას გაუწევდნენ საყვარელ შვილს, რომელიც აღნაგობით ძალიან სუსტი იყო და საჭიროებდა მუდმივ ზრუნვასა და პატრონო-

ბას. დიდი ნაღველი შემოაწვა ირაკლის, გული უკვდებოდა, მაგრამ შეხეთ ბედმა როგორ გაუღიმა!..

ერთხელ ოსკარ უაილდის „სალომეას“ გამოსაცემად მას ილუსტრაციების დახატვა დაუკვეთეს. ირაკლიმ ეს ილუსტრაციები ისე ჩინებულად შეასრულა, რომ თვითონ გამომცემელმა უკარნახა მონაწილეობა მიეღო გამოფენაში მხატვართა ტილოების გვერდით. ეს იყო 1922 წელს. გამოფენას დაესწრო გემოვნებით გამოწყობილი თმაშეკერცხლილი ერთი მოხდენილი ვაჟკაცი თუშური ქუდით. იგი უცბად ირაკლის მიერ შესრულებულ ილუსტრაციების წინ შეჩერდა. აშკარად ეტყობოდა, რომ მას უბრალო ცნობისმოყვარეობის გარდა უფრო სხვა რამ აინტერესებდა.

— ვინაა ამ ილუსტრაციების ავტორი?

— მე გახლავართ, — იყო მოკრძალებული პასუხი ირაკლისა.

— მე მინდა შენთან ვიმუშაო, — უთხრა უცნობმა, თან მამაშვილურად გაუღიმა და თავისი ვინაობა გააცნო. — მე კოტე მარჯანიშვილი ვარ, რეჟისორი. გაგიგონია ჩემი სახელი?

ირაკლიმ მორცხვად თავი დაჰხარა და რაღაცა წაილუღლუღა.

— უაილდის „სალომეას“ ვამზადებ თეატრისათვის. მე ვგრძნობ, რომ შენზე უკეთესად თბილისში საჭირო დეკორაციებს ვერვინ დამიწერს. თანახმა ხარ?

— ჰო, მაგრამ... ბატონო კოტე, მე ხომ...

— არავითარი „მაგრამ“. ლონდონის ლიტერატურული ცის ეს უმშვენიერესი ვარსკვლავი ახლა თბილისის თავზეც უნდა გავაბრწყინოთ.

ბევრი აღარ უდავიათ. შმაგმა გენიამ ერთხელ კიდევ შეზომა ჭაბუკის მიერ შესრულებული „სალომეას“ ილუსტრაციები, დიდრონი, ზღვა თვალები მოჭუტა, რამდენიმე წუთით სტკბებოდა ახალგაზრდა მხატვრის ხაზების სითამამით, აღარ დაუყოვნებია და ლომის თათით პირდაპირ თეატრის რამპასთან მიაგდო იგი. მსახიობთ და ბუტაფორიის მსახურთ ირაკლი გამრეკელი ისე წარუდგინა, როგორც დასრულებული მხატვარი, დეკორატორი.

მაშინდელი ჩვეულების მიხედვით კოტემ ირაკლი თან გაიყოლა ქალაქგარეთ პატარა რესტორანში დასალოცავად. ეტყობოდა რეს-

ტორნის გამგე კარგად იცნობდა სტუმრის გემოვნებას, მაშინვე ცალკე კაბინეტში შეიყვანა, თეთრი სუფრა გადააფარა მაგიდაზე, ორიგინალურად მოურთო ლამაზ-ლამაზი ყვავილებით, მოუთხოვნელად ყვარლის ღვინო გააჩინა, რასაც მოჰყვა მწვადი და ხაჭაპურები.

მორცხვი ჭაბუკის მოსაშინაურებლად მარჯანიშვილმა თავისი თუშური ქუდი დაახურა თავზე, ხოლო ასეთი სიმბოლური ხელდასმა დაბეჭდა იმით, რომ პირველად მისი სადღეგრძელოს დალევა ინება.

ირაკლი დადნა. ზღაპარში ეგონა თავისი თავი... შემკრთალი თვალები უციმციმებდა და მოჯადოებული უსმენდა კოტეს.

კოტემ პირველ მცნებად ასწავლა ის, რომ დიდი გემოვნების მხატვრები არ უნდა გაურბოდნენ დეკორაციების ხატვასო.

— დღემდე ძალიან ბევრს ისე ჰგონია, თითქოს დეკორაციების ხატვა მხოლოდ თხუპნია მღებავების საქმეა. მცდარი აზრია. რა სისულელეა მღებავებს მიუგდო ღვთაებრივ ესქილეს, სოფოკლეს, შექსპირის თუ შილერის პიესების დეკორაციების დამზადება?! თეატრს ნამდვილი მხატვრები სჭირია, თუნდ ისეთები, როგორც არიან რეპინი, რუბენსი, რემბრანდტი... ჰაუპტმანის ჰანელეს ანდა იბსენის ბრანდს ვინ შესწვდება, თუ არა ველასკეზის ფუნჯი?!. ჩვენი ეპოქა უდიდესი ეპოქაა კაცობრიობის ისტორიაში. ოდესღაც დეკორაციების მაგიერობას უბრალო წარწერები ეწეოდა: „ეს ტყეა“, „აქ იგულისხმეთ ციხე-დარბაზი“, და ასე შემდეგ. შემდეგში წარწერების ადგილი წილად ჰხვდა თხუპნია მღებავებს, ახლა სცენის ახლოს მათ ვერ გავატარებ, პირდაპირ მათრახით ვერეკები და ვცდილობ დიდი მხატვრები ჩავრიო ამ საქმეში. რა თქმა უნდა, ამასაც მალე მივაღწევ...

შემდეგ შეგონებაზე გადავიდა:

— ნურაფრისა ნუ შეგეშინდება, შვილო! იყავ მებრძოლი, მაძიებელი უკეთესისა! დაუჯერე მხოლოდ შენს შემოქმედებას და იყავ უწინარეს ყოვლისა ხელოვანი!.. უაილდი უდიდესი ესთეტიკოსი იყო. ყალბ და დახავსებულ ფორმულების მსხვრეველი და ახლის მაძიებელი. ჩემი ოცნებაა მისი სახელის პატივსაცემად ღირსეულად დავდგა მისი „სალომეა“, გთხოვ, დეკორაციების ხატვის დროს ის

ფერები მოიხმარო, რომლითაც ასე ნაზად მოქსოვილია ეს თვალწარმტაცი ტრაგედია. მე მჭირია მოჭარბებით ვერცხლის ცქრიალა ფერი, როგორადაც დაინახა უაილდის სალომეამ თავისი ტრფობის საბედისწერო ობიექტად მეუდაბნოე, წინასწარმეტყველ იოქანაანის ნათელ ბროლსავით შუქმფინარე შავ სხეულში; ასევე ჭარბად მჭირია შავი ფერი როგორც იმავე იოქანაანის. გრუზა თმა და გიშრის წვერ-ულვაში, ბოლოს წითელი ფერი როგორც ისევ და ისევ იმავე იოქანაანის ანაკვერცხლებული ტუჩები. ამ ფერთა იქით სხვა აღარაა საჭირო... ხომ მონახავ, ჩემო ირაკლი, ვერცხლის ფერს, შავს და ანთებულ ნაკვერჩხალსავით აღაჟღაჟებულ ფერებს?!.

— ვეცდები, — მდაბლად მიუგო ირაკლიმ. — თუ დავმარცხდი, ამიხილეთ თვალები და ისე შევეწირები თქვენს ოცნებას.

— ღმერთმა დამიფაროს მაგნაირი მოძალეობისაგან. თუ ვერ დასძლევ, მაშინაც გულითად მეგობრებად დავრჩებით, ჩემო კარგო!

მარჯანიშვილმა როგორც მაესტრომ მტკიცედ ჩამოართვა ხელი ახლად შეძენილ მოწაფეს და იმედიანად დასტოვა უდაბური გზის თეთრი რესტორანი...

* * *

მეორე დღესვე გაჩაღდა მუშაობა.

ატელიეს მინამსგავსი კუთხე თვითონ კოტემ აღმოუჩინა და თვითონვე ხელმძღვანელობდა სასურველ ფერების შერჩევაში. გზადაგზა მაესტრო ცდილობდა, რომ ჭაბუკ მხატვრისათვის ჩაენერგა სული მებრძოლი, სული დაუცხრომელი, სული მშფოთვარი, მაძიებელი და მოტრფიალე ერთადერთი ღვთაებისა, რომელსაც მშვენიერებას ეძახიან.

უნდა გენახათ, როგორ გაეხარდა კოტეს, როდესაც ირაკლიმ პირველი დეკორაციის მაკეტი დაამზადა — მყინვარწვერი სულ დაფარა სპეტაკი ვერცხლისფერი ფიფქებით, ხოლო სიღრმეში ააციმციმა ნამგალა მთვარე, რომელსაც უნდა მიშტერებოდა სალომეაში უიმედოდ შეყვარებული სირიელი ახალგაზრდა მხედარი.

— ეს ჯერ კიდევ ის არ არის, რასაც მე ვთხოულობ, — შენიშ-

ნავს კოტე ჭაბუკ მხატვარს, — მაგ მთვარეს უნდა შემოუგრაგნო ღრუბლები. პირველ შეხედვისთანავე უნდა იგრძნობოდეს, რომ ეს ლამაზი მთვარე ამ ღრუბლების მანტიით მალე ვიღაცის საფლავად გარდაიქცევა, რომ მისი რომანტიკული იდუმალი სიმღერები სიცი ელ მხედრის გულში ყვავ-ყორანთა ჩხავილად იქცევა და რომ აქეთ მომავალ იოქანაანის ბედნიერების გზას კი არ გაუნათებს, არამედ ჩამქრალ მზეებად გარდაიქმნება! მაშინ სალომეას ცეკვასაც აზრი მიეცემა, — ეს უნდა იყოს ცეკვა რემბრანდტისებური მარადიულ ჩრდილებში, უკანასკნელი ამოგმინვა მისი გულის უძლურებისა... სალომეა მნახველს უნდა შერჩეს როგორც საშინელი, მაგრამ უალრესად მიუწვდომელი სილამაზე!

და ჭაბუკი მხატვარიც სულ მუშაობდა და მუშაობდა. თრთოდა. მაესტროს სიტყვები თილისმურად ამოქმედებდა მის ფუნჯს.

კოტემ ახლა მაკეტები დაამზადებინა ყველა მოქმედ პირისთვის. საჭირო კოსტუმები, ვარცხნილობა და საზოგადოდ სამკაულები. დაახატვინა თვითონ სალომეა ცეკვის დროს თავისი ცნობილი შვიდფეროვანი სარტყელებით ცისარტყელას შვიდი ფერის გადმოტანით.

— ახლა დამიხატე სალომეას შვიდფეროვანი სარტყელი, — განაგრძობდა მაესტრო, — მაგრამ ისე, რომ თვითეული წრის შემოვლაზე და სარტყლის შერხევაზე ალივლივდნენ ყველა ფერები და ლალის წვიმას მოაჩქეფებდნენ, როგორც დანით გადასერილი ბროწეულის გულიდან გადმოცვენილი მარჯნის მარცვლები. საერთოდ თვითონ დეკორაციამ უნდა გასწიოს ორკესტრის მაგივრობა, გვიჩვენოს ფერების ორგია ადამიანის სულის სადავეთა დასაჭერად. აქ უნდა იგრძნობოდეს სიხარულიც და მწუხარებაც, სინაზეც, სიბრალულიც, მღელვარებაც, გაანჩხლებაც... ერთი სიტყვით მღელვარე სულის ნაირ-ნაირ ემოციას თავისი გამოხატულება უნდა ერთვოდეს...

მალე შეასრულა ჭაბუკმა მხატვარმა სალომეასათვის საჭირო დეკორაციების მაკეტები. მარჯანიშვილი ღელავდა. წამდაუწუმ მხარზე ხელის დაკვრით აგრძნობინებდა, რომ მას უსაზღვროდ მოსწონდა ირაკლის ნამუშევარი.

— კარგია. ჩინებულია... სწორედ საგრავიურო დეკორაციებია!

წინდაწინ მადლობას გიხდი, რომ მასახელებ, ჩემო ირაკლი, დიახ, დიახ, მასახელებ!

მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლებლად სცნო მაესტრომ სპექტაკლის გაშვება რუსულ ენაზე. დეკორაციების ფერების სიმფონიამ ფარდის ახდისთანავე მოხიბლა მაყურებელი. ტაშმა იგრიალა. და ეს ტაში შეუწყვეტლივ მისდევდა პიესას დასრულებამდე. განსაკუთრებით მომხიბვლელი იყო სალომეას ცეკვა. სარტყელი რომ შეირხა და აელვარდა, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ცისარტყელა შარავანდედად ადგებოდა მთელს სპექტაკლს. ასევე საოცნებო სურათი იყო იოქანაანის დაღუპვის შემდეგ ჰეროდეს მხედრების აჯანყება, როდესაც სინგურის ხსნარში ამოვლებულ შუბებისა და ფარების ტყე აღმართეს სალომეას თავზე.

და განა გასაკვირია, თუ ამის შემდეგ მაესტრო მარჯანიშვილი რუსთაველის სახელობის თეატრში მიპატიჟებისთანავე ახალგაზრდა მხატვარ ტრიუმფიატორს ხელს მოჰკიდებდა და სრული ნდობით თეატრის ატელიეში ერთგვარ მაიორდომობას უბოძებდა!

* * *

ჩემს წინაშე ხშირად დასმულა კითხვა: გაიმარჯვებდნენ თუ არა მარჯანიშვილი და ახმეტელი რუსთაველის სახელობის თეატრში, რომ მათ არ ჰყოლოდათ ირაკლი გამრეკელი? იმდენად დიდი იყო ირაკლის დამსახურება ყოველი სპექტაკლის გამარჯვების საქმეში.

მისი საღებავების ნაირნაირობა და სიმსუბუქე, საერთოდ სიმფონიური ჰაეროვნება, პირდაპირ გატყვევებდათ მაშინაც კი, თუნდაც მსახიობს ხმა არ ამოეღო.

1924 — 1925 წლის სეზონში მარჯანიშვილმა დასდგა „ჰამლეტი". შესანიშნავი დადგმა იყო! ახალგაზრდა მხატვრის სასიხარულოდ ირაკლიმ ამ შემთხვევაშიც დიდად ასახელა რეჟისორი თავისი ფერწერის მზიურობით. „ჰამლეტს" მოჰყვა ვაჟა-ფშაველას მოტივებზე აგებული პიესა „ლამარა", სანდრო შანშიაშვილის „ანზორი", შემდეგ შალვა დადიანის „თეთნულდი". კვლავ დიდად ისახელა თავი ირაკლიმ როგორც მხატვარმა. აქ გამოყენებულ იყო, ირაკლის სიტყვე-

ბით რომ ვთქვათ, „რეალური კონსტრუქტივიზმის პრინციპები“, ესე იგი, მხატვრის მიერ გამოყენებული იქნა ფერწერის ტილოების ნაცვლად პირდაპირ დეკორატიული კონსტრუქციები, რომ უფრო ნათელი ყოფილიყო ლანდშაფტების ილუზიების მიღება, იმავე დროს გამოყენებული ყოფილიყო ზედ სცენიურ მოქმედების გასათამაშებლად.

ამავე პრინციპით დაიდგა შილერის „ყაჩაღებიც“ (ინ ტირანოს). „ყაჩაღების“ მონუმენტალური არქიტექტურული დეკორაციები, განსაკუთრებით სცენა ტყეში, შედევრად უნდა ჩაითვალოს ირაკლი გამრეკელის შემოქმედებაში.

ირაკლის სიკვდილამდე შერჩა მარჯანიშვილის მიერ ნაანდერძევი მცნება: მუდმივი ძიება, მუდმივი დაუდგრომლობა, მუდმივად შინაგანი ცეცხლის გამოშუქება და ჩაქსოვება დეკორაციებში.

ახალი სცენიური ხილვადობა, ახალ-ახალი ფერწერის ენის გამონახვა, ახალ-ახალი თეატრალური პრინციპებით ხელმძღვანელობა, სცენის სტრუქტურის საოცარი შეგრძნება, ფერიობა და ფერადფერადი შუქის შეწყობა, — აი რას ელტვოდა გამრეკელის დაუცხრომელი ძიება.

ირაკლი გამრეკელს ახასიათებდა ფორმის პროპორციის საუცხოო ცოდნა. მის გრძნეულ ხელებს ემარჯვებოდა ფერადების ნაირ-ნაირი ტონალობა, ამ მხრივ ლამარა თვალისთვის ფერწერის ნამდვილი სიმფონია, ასევე „ანზორ“, „ინ ტირანოს“ და ბოლოს „ოტელო“, რომელიც არა მარტო რუსთაველის თეატრის დადგმათა შორის უბრწყინვალესი მონუმენტალური ძეგლია, არამედ ირაკლი გამრეკელის შემოქმედების უმაღლესი მწვერვალიც.

სარჩევი

ბრძენი ილია	3
აკაკის ჩირაღდნები	17
გოლიათი ვაჟა	24
„დედა ენის“ ბურჯი იაკობი	33
„ბედნიერი მანდილოსანი“ — ეკ. გაბაშვილი	65
„არმაზის ჭურუმი“ — ვასილ ბარნოვი	82
პირველი რომანისტი ბანოვანი — ან. ერისთავ-ხოშტარია	92
ქართული სცენის მშვენება — ლადო მესხიშვილი	119
ლაპარაკობს მიხეილ ჯავახიშვილი	163
ია კარგარეთელის ცხოვრების საბედისწერო ეპიზოდები	188
მარად მომღიმარი რაინდი — შალვა დადიანი	205
შეუდარებელი შემოქმედი — ალექსანდრე წუწუნავა	213
ერთი საათით დიმიტრი არაყიშვილთან	284
გალაკტიონი	292
სცენის დიდოსტატი — კოტე მარჯანიშვილი	305
აბჯროსანი „უიარაღო“ — კონდრატე თათარიშვილი	316
ირაკლი გამრეკელის დეკორატიული სიმფონიები	334

რედაქტორი ნ. ინასარიძე
მხატვარი ვლ. ალიმბარაშვილი
მხატვრული რედაქტორი თ. ციციშვილი
ტექრედაქტორი შ. ძოწენიძე
კორექტორი ლ. არეშიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/XI-62 წ.
ქაღალდის ზომა 60×84$^{1}/_{16}$.
ნაბეჭდი თაბახი 21,75. საღრ.-საგამომც.
თაბახი 15,5. საავტორო თაბახი 1'5.
უე 03533 ტირაჟი 10.000 შეკვ. № 526
ფასი 77 კაპ.

მე-4 სტამბა, თბილისი, მედქალაქი.
Типография № 4, Тбилиси, Медгородок.